ISSN 0132-599X

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენათმეცნიერება

8

1990

მნათობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი 66-ე № 8 აგვისტო, 1990 წ.

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

შინაარსი

ახალი აღთქმა — კავლე მოციქულის ეპისტოლენი. გაგრძელება. თარგმანი ძველბერძნულიდან 3

პროზა, პოეზია

ემზარ კვიტაიშვილი — ლექსები 28
ვლადიმერ სიხარულიძე — მტარვალი (რომანის ნაწყვეტი) 33
ზურაბ კუზიანიძე — ლექსები 46
გრიგოლ აბაშიძე — მიწისძვრა (პიესა ორ ნაწილად) 49
ლალი თოთაძე — ლექსები 66
სტეფანე კასრაძე — თარი-არალე. რომანი. მეოთხე ნაწილი. დასასრული 70
ოთარ შალამბერიძე — ლექსები 88
გიორგი გიგაური — ლექსები 91
თამარ გოთუა, ალექსანდრე გოთუა — თავგადასავალი ლევან გოთუასი. გაგრძელება 93

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ფატი აბულაძე — დღეის დღის პოეზია 108
გიორგი ნატროშვილი — ფიქრისა და ძიების გზით 113
აკაკი ბაქრაძე — მწერლობის მოთვინიერება. გაგრძელება 119

მეცნიერება

ეკვთიმე თაყაიშვილი — სამუსულმანო საქართველო. პუბლიკაცია მოამზადა გურამ შარაძემ 130
მანანა ჟუმსიშვილი — ყოფიერება, დრო, სივრცე და ადამიანი ჰაიდეგერის ფილოსოფიაში 144

მოგონებები, ფაქტები

ს. გოგიბერიძე — ბრძოლა სამშობლოსათვის. გაგრძელება 149

იხ. მეორე გვერდი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

წიგნების მიმოხილვა

გიორგი ნადარეიშვილი — ეროვნებათაშორისო ურთიერთობის ისტორიიდან 166

ალექსანდრე კარტოზია — აუცილებელი განმარტება 172

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსათხოვარი

ელდარ შენგელაია — სიკეთით განათებული გზა 174

დათო მაღრაძე — ყველა საშურვლით შემკული 175

მთავარი რედაქტორი **არჩილ სულაკაური**

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, გ. გვერდწითელი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, გ. კალანდია, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, ს. პაიჭაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), **რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, გ. ხარანაული** (პ/მგ. მდივანი), **რ. ჯაფარიძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი აღთქმა

პავლე მოციქულის ეპისტოლენი

ფილიპელთა მიმართ

თავი პირველი

1. პავლე და ტიმოთე, მონები იესო ქრისტესი, ყველა წმიდას ქრისტე იესოში, რომელნიც არიან ფილიპეში, ეპისკოპოსებსა და დიაკვნებთან ერთად:

2. მადლი თქვენდა და მშვიდობა ღმერთის, მამის ჩვენისა და უფლის იესო ქრისტესაგან;

3. ვმადლობ ღმერთს ჩემსას თქვენი ყოველი გახსენებისას,

4. ყოველთვის, ჩემს ყველა ლოცვაში, ყოველი თქვენგანისათვის სიხარულით აღვავლენ ვედრებას,

5. თქვენი თანამოზიარებისათვის სახარებაში, პირველი დღიდან ვიდრე აქამდე;

6. რადგანაც მწამს რომ თქვეხს, შორის კეთილი საქმის დამწყები აღასრულებს მას თვით იესო ქრისტეს დღემდე.

7. რასაც სამართლიანად უნდა ვფიქრობდე კიდეც თქვენს გამო, ვინაიდან გულში მყავხართ უკლებლივ ყველა, როგორც ჩემი თანაზიარნი არა მარტო მადლში, არამედ ჩემს ტყვეობაშიც, ისევე როგორც თავის მართლებასა და სახარების განმტკიცებაში.

8. რადგან ღმერთი მყავს მოწმედ, როგორ მიყვარხართ ყველანი იესო ქრისტეს სიყვარულით;

9. და ვლოცულობ, რომ თქვენი სიყვარული უფრო და უფრო იზრდებოდეს შემეცნებასა და ყოველგვარ შეგრძნებაში,

10. რათა შეიცნოთ უმჯობესი, და, ამრიგად, წმიდანი და შეუმცთარნი იყოთ ქრისტეს დღეს,

11. სიმართლის ნაყოფით აღვსილნი იესო ქრისტეს მეოხებით, ღმრთის საქებრად და სადიდებლად.

12. მინდა იცოდეთ, ძმანო, რომ ყველაფერი, რაც თავს გადამხდა, სახარების სასიკეთოდ მოიწია ჩემზე.

13. ასე რომ, ჩემი ტყვეობა ქრისტეში ცხადი შეიქმნა მთელი პრეტორიუმისა და ყველა დანარჩენთათვის,

14. და ძმათა უმრავლესობამ, ჩემი ბორკილებით განმტკიცებულმა უფალში, უფრო თამამად და უშიშრად დაიწყო ქადაგება ღმერთის სიტყვისა.

15. ზოგიერთნი, მართალია, შურით და ცილობით, ზოგიერთნი კი კეთილგანწყობით ქადაგებენ ქრისტეს.

16. ერთნი ცილობით ქადაგებენ ქრისტეს არაწმიდად, და ფიქრობენ ურვა მიუსართონ ჩემს ბორკილებს;

17. მეორენი კი სიყვარულით, რადგან იციან, რომ სახარების დასაცავად ვდგავარ.

18. მერედა რა? როგორც უნდა იქადაგებოდეს ქრისტე, პირმოთნეობით თუ ჭეშმარიტებით, მე ვხარობ და კიდევაც ვიხარებ.

19. რადგანაც ვიცი, რომ ეს წამადგება სახსნელად თქვენი ლოცვითა და იესო ქრისტეს სულის შეწევნით;

20. ჩემი მოლოდინისა და სასოებისამებრ, რომ არაფერში არ შევრცხვები, არამედ მთელი სითამამით, როგორც ყოველთვის, ისე ამჟამადაც იდიდება ქრისტე ჩემი სხეულის მიერ სიცოცხლითა თუ სიკვდილით.

21. რადგანაც ჩემი სიცოცხლე — ქრისტეა, და სიკვდილი — სარგებელი.

22. ხოლო თუ ხორციელად სიცოცხლე ნაყოფიერია ჩემი საქმისათვის, არ ვიცი, რომელი ავირჩიო.

23. ერთიც მიზიდავს და მეორეც:

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 7.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გული მითქვამს, რომ გასვლა და ქრისტესთან ყოფნა ათასწილ უმჯობესია.

24. ხოლო ხორციელად ყოფნა უფრო საჭიროა თქვენთვის.

25. და ეს დაბეჯითებით ვიცი, რომ დავრჩები და ყველა თქვენთაგანთან ერთად ვიქნები თქვენი წარმატებისა და თქვენივე რწმენის სიხარულისთვის,

26. რათა თქვენმა სიქადულმა იმრავლოს ქრისტე იესოში ჩემი მეოხებით, როცა კვლავ გეწვევით თქვენ.

27. მხოლოდ იქცეოდეთ ქრისტეს სახარების ღირსად, რათა, მოვალ და გიხილავთ თქვენ, თუ შორს ვიქნები, მესმოდეს თქვენზე, რომ ერთსულოვნად დგახართ, და ერთობლივად იღვწით სახარების რწმენისათვის.

28. და ნურაფერში შეუკრთებით წინააღმდგომთ; მათთვის ეს წარწყმედის ნიშანია, თქვენთვის კი ხსნისა, და ეს — ღმრთისაგან არის.

29. რადგანაც თქვენ მოგემადლათ ქრისტეს გულისთვის არა მარტო მისი რწმენა, არამედ ვნებაც მისთვის;

30. იგივე ღვაწლი გქონდეთ, როგორიც იხილეთ ჩემში, და ახლაც გესმით ჩემზე.

თავი მეორე

1. ამრიგად, თუ არის რაიმე ნუგეში ქრისტეში, თუ არის რაიმე სიამე სიყვარულისა, თუ არის რაიმე ზიარება სულის, თუ არის რაიმე მოწყალება, და წყალობა,

2. აღავსეთ ჩემი სიხარული, რათა იმასვე იზრახდეთ, და იგივე სიყვარული გქონდეთ; ერთსულოვანნი იყავით და თანამზრახველნი.

3. ნურას ჩაიდენთ ცილობით და ცუდმედიდობით, არამედ, ქედმოდრეკილებმა, საკუთარ თავზე უმეტესად შერაცხეთ ერთიმეორე;

4. და თავის თავზე ნუკი იზრუნებს თვითეული, არამედ სხვებისთვისაც.

5. იგივე ზრახვანი გქონდეთ, როგორიც ქრისტე იესოს,

6. რომელსაც, როგორც ღმერთის ხატს, ნაძარცვად არ [illegible] ღმრთის სწორად ყოფნა;

7. მაგრამ დაიმცირა თავისი თავი, მონობის ხატი შეიმოსა და კაცის მსგავსად იქცა.

8. თავი დაიმდაბლა და მორჩილი გახდა სიკვდილამდე, ჯვარზე სიკვდილამდე.

9. ამიტომაც აღამაღლა იგი ღმერთმა, და მისცა მას სახელი უზენაეს ყოველი სახელისა,

10. რათა იესოს სახელის წინაშე მოიდრიკოს ყოველი მუხლი, ზეცისანი, ქვეყანისანი და ქვესკნელისანი,

11. და ყოველმა ენამ აღიაროს, რომ იესო ქრისტე არის უფალი სადიდებლად ღმრთისა და მამის.

12. ამრიგად, საყვარელნო ჩემნო, როგორც ყოველთვის მორჩილნი იყავით, არა მარტო მაშინ, როცა გვერდით გყავდით, არამედ, მით უმეტეს, ახლა, ჩემი შორს ყოფნის ჟამს, — შიშით და ძრწოლით აღასრულეთ თქვენი ხსნის საქმე.

13. რადგანაც ღმერთია, რომელიც შეიქმს თქვენში ნდომასაც და ქმედებასაც თავისი კეთილნებელობით.

14. ყველაფერს იქმოდეთ უდრტვინველად და უყოყმანოდ,

15. რათა იყოთ უბრალონი და უძანკონი, ღმერთის უმწიკვლო შვილნი უკუღმართ და გახრწნილ მოდგმაში, რომელშიაც ნათობთ როგორც მნათობნი სამყაროში,

16. სიცოცხლის სიტყვის მფლობელნი, რათა ქრისტეს დღეს შემეძლოს დავიქადო, რომ ფუჭად არ მიღვაწია, და არც ამაოდ დავშვერ.

17. მაგრამ თუ კიდეც შევიწირები თქვენი რწმენის შესაწირავად და სამსახურებლად, მიხარია და ვილხენ ყველა თქვენგანთან ერთად.

18. მაშ, თქვენც ხარობდეთ და ილხენდეთ ჩემთან ერთად.

19. ხოლო იმედი მაქვს უფლის იესოს მიერ, რომ მალე წარმოვგზავნი ტიმოთეს თქვენთან, რათა შევიტყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი ამბავი. და მეც გავიხარო გულით.

20. რადგან არავინა მყავს მისებრ გულმოდგინე, ასევე წრფელად რომ ზრუნავდეს თქვენთვის.

21. ვინაიდან ყველა თავისას ეძებს, და არა ქრისტე იესოსას.

22. ხოლო გამოცდილება მისი იცით, ვინაიდან როგორც მამას შვილი, ისე ემსახურა სახარებას ჩემთან ერთად.

23. ასე რომ, იმედი მაქვს ამის წარმოგზავნისა, როგორც კი გავიგებ, რა მელის.

24. ხოლო მწამს უფლის მიერ, რომ თავადაც მალე გეწვევით.

25. მაგრამ საჭიროდ ვცანი წარმოგზავნა ეპაფროდიტოსი, ჩემი ძმა, თანაშემწე და თანამოსაგრე, ხოლო თქვენი მოციქული, და გაჭირვების ჩემის მსახური.

26. ვინაიდან ძალიან სურდა ყველა თქვენგანის ნახვა, და წუხდა, რადგან გაგიგიათ, რომ დასნეულდა.

27. და მართლაც, ისე დასნეულდა, რომ კინაღამ მოკვდა; მაგრამ ღმერთმა შეიწყალა იგი, და არა მარტო იგი, არამედ მეც, რათა მწუხარება მწუხარებაზე არ დამრთოდა.

28. ამიტომაც საჩქაროდ წარმოვგზავნე, რათა გაგეხარათ მისი ხილვით, და მეც მომკლებოდა საწუხარი.

29. შეიწყნარეთ იგი უფლის მიერ მთელი სიხარულით, და პატივი ეცით მისთანებს.

30. რადგანაც ქრისტეს საქმისათვის გადადო და სასიკვდილოდ გასწირა თავი, რათა შეევსო დანაკლისი თქვენი მსახურებისა ჩემდამი.

თავი მესამე

1. ხოლო სხვა მხრივ, ძმანო ჩემნო, ხარობდეთ უფალში. ამის მოწერა საძნელო როდია ჩემთვის, თქვენთვის კი სიმტკიცეა.

2. ერიდეთ ძაღლებს, ერიდეთ ბოროტის მოქმედთ, ერიდეთ წინადაცვეთას.

3. ვინაიდან წინადაცვეთილნი ჩვენ ვართ, რომელნიც ვემსახურებიან ღმერთს, და ვიქადით ქრისტე იესოთი, და ხორცზე არ ვამყარებთ იმედს.

4. თუმცა მე შეიძლება იმედი ხორცისაც მქონდეს, თუკი სხვა ვინმე ფიქრობს, რომ აქვს ხორცის იმედი, მე — მით უმეტეს:

5. მერვე დღეს წინადაცვეთილი, მოდგმით ისრაელიტი, ტომით ბენიამინისა, ებრაელთაგან ებრაელი, სწავლით ფარისეველი,

6. შურით ეკლესიის მდევნელი, რჯულის სიმართლით უმანკო;

7. მაგრამ რაც სარგო იყო ჩემთვის, ქრისტეს გულისთვის ზარალად შევრაცხე.

8. და ყოველივე დანარჩენსაც ზარალად ვრაცხ უფლის ჩემის ქრისტეს უპირატესი შემეცნებისთვის; მისთვის ვიზარალე ყოველი, და ყველაფერი ნაგვად შემირაცხავს, რათა შევიძინო ქრისტე,

9. და ვიქნე მასში — არა ჩემი სიმართლით, რომელიც არის რჯულისაგან, არამედ სიმართლით, რომელიც არის ქრისტესადმი რწმენისა და ღმრთისაგან, რწმენის მეოხებით.

10. რათა შევიცნო იგი, და ძალა მისი აღდგომისა, და ზიარება მისი ვნებებისა, და ვემსგავსო მის სიკვდილს.

11. და, ამრიგად, მივწვდე აღდგომას მკვდართა.

12. არა იმიტომ, თითქოს უკვე მივიღე, ან უკვე მივაღწიე სრულქმნილებას; არამედ ვესწრაფვი, ხომ არ მივწვდები-მეთქი, როგორც მომწვდა მე ქრისტე იესო.

13. ძმანო, მე არ შემირაცხავს ჩემი თავი მიწევნილად; მხოლოდ ეს ერთი კია: უკანას ვივიწყებ და წინას ვესწრაფვი;

14. მიველტვი მიზანს, ღმერთის უზენაესი ხმობის პატივს ქრისტე იესოში.

15. ამრიგად, ვინც სრულქმნილია, ამნაირად უნდა ფიქრობდეს; მაგრამ სხვანაირადაც რომ ფიქრობდეთ, ღმერთი გამოგიცხადებთ ამას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. თუმცა, რასაც მივაღწიეთ, ისევე უნდა ვფიქრობდეთ და იმავე წესს ვადგეთ.

17. მომბაძეთ მე, ძმანო, და დაუკვირდით მათ, რომელნიც იქცევიან იმ ნიმუშისამებრ, რაც ჩვენში გაქვთ.

18. რადგანაც მრავალნი, რომელთათვისაც მრავალგზის გეუბნებოდით თქვენ, ხოლო აწ ტირილით გეუბნებით, ისე იქცევიან, როგორც ქრისტეს ჯვრის მტერნი.

19. რომელთა აღსასრული წარწყმედაა, რომელთა ღმერთი — მუცელი, ხოლო დიდება — სირცხვილი მათი, რადგანაც მიწიერზე ფიქრობენ.

20. ხოლო ჩვენი მოქალაქეობა ცაშია, საიდანაც მოველით მხსნელსაც, უფალს ჩვენსას იესო ქრისტეს,

21. რომელიც ისე გარდაქმნის ჩვენი სიმდაბლის სხეულს, რომ თავისი დიდებამოსილი სხეულის მსგავსად აქცევს, ძალით, რომლითაც ის მოქმედებს და იმორჩილებს ყოველს.

თავი მეოთხე

1. ასე რომ, ძმანო ჩემნო, საყვარელნო და სასურველნო, სიხარულნო და გვირგვინნო ჩემნო, აგრე მტკიცედ იდექით უფალში, საყვარელნო.

2. ევოდრები ევოდიას, და ევოდრები სინტიქეს, ამასვე ფიქრობდნენ უფალში.

3. ჰო, გევედრები შენც, ერთგულო თანამდგომო, შეეწიე ამათ, რომელნიც თანამოღვაწენი მექმნენ სახარებაში კლემენტესა და ჩემს თანაშემწეებთან ერთად, რომელთა სახელებიც არის სიცოცხლის წიგნში.

4. გიხაროდეთ მარადის უფალში; კვლავ ვიტყვი: გიხაროდეთ.

5. თვინიერება თქვენი, დე იცოდეს ყოველმა კაცმა, ახლოა უფალი.

6. ნურარას ზრუნავთ, არამედ ყოველი ლოცვა-ვედრებისას, მადლიერებით გაუმჟღავნეთ თქვენი სათხოვარი ღმერთს.

7. და მშვიდობა ღმერთისა, რომელიც ყველა გონებაზე უზენაესია, დაიფარავს თქვენს გულებს და თქვენს ზრახვებსაც ქრისტე იესოში.

8. დაბოლოს, ძმანო, რაც კი რამ ჭეშმარიტია, რაც პატიოსანია, რაც სამართლიანია, რაც წმიდაა რაც საყვარელია, რაც საქებელია, სათნო და ქებული, მასზე იფიქრეთ.

9. რაც ისწავლეთ და მიიღეთ, რაც ისმინეთ და იხილეთ ჩემში, ის აღასრულეთ; და ღმერთი მშვიდობისა იქნება თქვენთან.

10. დიდად გავიხარე უფალში, რომ კვლავ დაიწყეთ ჩემზე ზრუნვა; თუმცა უწინაც ზრუნავდით, მაგრამ ვითარებამ დაგაბრკოლათ.

11. იმიტომ როდი ვამბობ, რომ რამე მაკლია, რადგან მე ვისწავლე კმაყოფილი ვიყო იმით, რაცა მაქვს.

12. გაჭირვებაც ვიცი და ხელგაშლილობაც; ყველაფერი მისწავლია ყოველში; სიმაძღრეც და შიმშილიც, სიმწარეც და სიუხვეც.

13. ყველაფერი შემიძლია ჩემს განმაძლიერებელ ქრისტეში.

14. მაგრამ კარგად მოიქეცით, რომ გაიზიარეთ ჩემი გასაჭირი.

15. ხოლო თქვენც იცით, ფილიპელნო, რომ სახარების დასაბამს, როცა გამოვედი, მაკედონიით, არცერთმა ეკლესიამ არაფერი გამიზიარა მოცემითა თუ მიღებით, თქვენს გარდა.

16. ვინაიდან თვით თესალონიკეშიც ერთი-ორჯერ გამომიგზავნეთ, რაც საჭირო იყო ჩემთვის.

17. არა იმიტომ, თითქოს საბოძვარს ვეძებ, არამედ ნაყოფს, რომელიც მრავლდება თქვენდა სარგებლად.

18. ყველაფერი მივიღე, და უხვადაც მაქვს; სავსე ვარ იმით, რაც ეპაფროდიტოსის ხელით გამომიგზავნეთ, როგორც ნელსურნელება, საამო შეწირულება, კეთილსასურველი ღმრთისთვის.

19. ღმერთმა ჩემმა, დაე, შეავსოს
თქვენი ყოველგვარი ნაკლულოვნება
თავისი სიმდიდრისამებრ ქრისტე იესო-
ში დიდებით.

20. ხოლო ღმერთსა და მამას ჩვენსას
დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

21. მოიკითხეთ ყველა წმიდა ქრისტეს
იესოში. მოგიკითხავენ ჩემთან ერთად
ძმანი.

22. მოგიკითხავენ ყველა წმიდანი,
უმეტესად კეისრის სახლისანი.

23. მადლი უფლის ჩვენის იესო ქრი-
სტესი ყველა თქვენგანთან. ამინ.

კოლოსელთა მიმართ

თავი პირველი

1. პავლე, ღმრთის ნებით მოციქული
იესო ქრისტესი, და ტიმოთე ძმა,

2. კოლოსეში მყოფ წმიდათ და სარ-
წმუნო ძმათ ქრისტეში: მადლი თქვე-
ნდა და მშვიდობა ღმრთის, მამის ჩვე-
ნისა და უფლის იესო ქრისტესაგან.

3. ვმადლობთ ღმერთსა და მამას უფ-
ლის ჩვენი იესო ქრისტესას; მარადის
ვლოცულობთ თქვენთვის,

4. გავიგეთ რა თქვენი რწმენა ქრი-
სტე იესოში და სიყვარული ყველა წმი-
დის მიმართ,

5. ცაში თქვენთვის გამზადებული
იმედის გამო, რაც ადრევე გსმენიათ,
ჭეშმარიტების სიტყვით სახარებისა,

6. რომელიც არის თქვენში, ისევე
როგორც მთელს სამყაროში, და არის
ნაყოფიერი, და იზრდება, როგორც
თქვენს შორისაც, იმ დღიდან, რაც ის-
მინეთ და შეიმეცნეთ მადლი ღმრთისა
ჭეშმარიტებით.

7. და როგორც ისწავლეთ ეპაფრა-
საგან, ჩვენი საყვარელი თანა-მონისა-
გან, რომელიც არის თქვენთვის სარ-
წმუნო მსახური ქრისტესი,

8. და რომელმაც გვაუწყა თქვენი
სიყვარული სულის მიერ.

9. ამიტომ ჩვენც, იმ დღის შემდეგ,
რაც ეს ამბავი გავიგეთ, გამუდმებით
ვლოცულობთ თქვენთვის და ვითხოვთ,
რომ აღივსოთ შემეცნებით მისი ნები-
სა, მთელი სიბრძნითა და სულიერი
წვდომით,

10. რათა იარებოდეთ ღირსად უფ-
ლისა, ყოველმხრივ მისდა საამებლად,
ყოველ კეთილ საქმეში ნაყოფის გამო-
საღებად და ღმერთის შემეცნებით სა-
ზრდელად,

11. ყოველი ძალით გაძლიერებულნი
მისი დიდების სიმტკიცისამებრ, ყო-
ველგვარი თმენისა და დიდსულოვნე-
ბისათვის სიხარულით;

12. ჰმადლობდეთ ღმერთსა და მა-
მას, რომელმაც იმის ღირსნი გვყო, რომ
ვეზიარებოდეთ წმიდათა ხვედრს ნა-
თელში,

13. რომელმაც გვიხსნა ბნელის ხელ-
მწიფებისაგან, და გადაგვიყვანა თავისი
საყვარელი ძის სასუფეველში,

14. რომლისაგანაც გვაქვს გამოსყი-
დვა მისი სისხლით, და მოტევება ჩვე-
ნი ცოდვების,

15. და რომელიც არის ხატი უხი-
ლავი ღმრთისა, ყველა ქმნილებაზე უწი-
ნარეს დაბადებული,

16. რადგანაც მასში შეიქმნა ყოვე-
ლი: მიწიერიც და ზეციერიც; ხილული
თუ უხილავი, საყდარნი თუ უფლებანი,
მთავრობანი თუ ხელმწიფებანი: ყვე-
ლაფერი მის მიერ და მისთვის შეიქმ-
ნა.

17. და იგია უწინარეს ყოვლისა, და
ყველაფერი დამკვიდრდა მასში.

18. იგია სხეულის, ეკლესიის თავი;
იგია საწყისი, ყველა მოკვდავზე უწი-
ნარეს დაბადებული, რათა ყველაფერ-
ში პირველობდეს.

19. რადგან კეთილნებავ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასში დამკვიდრებულიყო მთელი სავსება,

20. და მისი მეშვეობით შემოერიგებინა ყოველი, და მისი ჯვრის სისხლით დაეზავებინა ყველაფერი, როგორც მიწიერი, ისე ზეციერიც.

21. და თქვენც, ოდესღაც უცხოქმნილნი და მტერნი გონებით, უკეთურ საქმეთა მიმართ მიდრეკილნი,

22. აწ შეგირიგათ მის ხორციელ სხეულში, მისი სიკვდილით, რათა წმიდად, უბიწოდ და უბრალოდ წარგადგინოთ მის წინაშე,

23. თუკი მკვიდრობთ რწმენით დაფუძნებულნი და განმტკიცებულნი, და არ განეშორებით სასოებას სახარებისას, რომელიც გსმენიათ, ცისქვეშეთის ყველა ქმნილებისთვის ქადაგებული, და რომლის მსახურიც ვიქმენ მე, პავლე.

24. აწ ვხარობ ჩემი ვნებების გამო, რომლებიც დავითმინე თქვენი გულისთვის, და აღვასრულებ მას, რაც დავაკელი ჩემი ხორცით ურვას ქრისტესას მისი სხეულისათვის, რომელიც არის ეკლესია,

25. და რომლის მსახურიც ვიქმენ ღმრთის მოღვაწეობით, რომელიც მომეცა თქვენთვის, რათა აღვასრულო სიტყვა ღმერთისა, —

26. საიდუმლო, დაფარული უკუნისიდან და თაობათა დასაბამიდან, ხოლო აწ გაცხადებული მის წმიდათა მიმართ,

27. რომელთათვისაც ინება ღმერთმა ეუწყებინა, როგორია წარმართთა შორის დიდება ამ საიდუმლოსი, რომელიც არის ქრისტე თქვენში. სასოება დიდებისა,

28. რომელსაც ჩვენ ვქადაგებთ, და შევაგონებთ თვითეულ კაცს, და ვმოძღვრავთ მათ მთელი სიბრძნით, რათა სრულად წარმოვადგინოთ ყოველი კაცი ქრისტე იესოში.

29. რისთვისაც ვშრომობ და ვიღვწვი მისი ძალით, რომელიც ძლევამოსილებით მოქმედებს ჩემში.

თავი მეოთხე

1. რადგანაც მინდა იცოდეთ, როგორი ღვაწლი მაქვს თქვენთვის და ლაოდიკელთა და ყველა მათგანისათვის, რომელთაც არ უხილავთ ჩემი სახე ხორციელად,

2. რათა ნუგეშცემულ იქმნენ მათი გულები, შეერთებულნი სიყვარულითა და სრული წვდომის მთელი სიმდიდრით, ღმერთის და მამისა და ქრისტეს საიდუმლოს შესამეცნებლად,

3. რომელშიაც დაფარულია სიბრძნისა და ცოდნის მთელი საუნჯე.

4. ამას ვამბობ, რათა არავინ გაცდუნოთ შემპარავი სიტყვით;

5. რადგან, თუმცა ხორცით შორსა ვარ, მაგრამ თქვენთან ვარ სულით: ვხარობ და ვხედავ თქვენს წესრიგს, და თქვენი რწმენის სიმტკიცეს ქრისტეს მიმართ.

6. მაშ, როგორც მიგიღიათ ქრისტე იესო უფალი, ასევე იარეთ მასში,

7. მისით დაფუძნებულნი და აშენებულნი, და განმტკიცებულნი რწმენის მიერ; როგორც გისწავლიათ, იზარდეთ მასში მადლიერებით.

8. ფრთხილად, არავინ გაცდუნოთ სიბრძნის მოყვარეობითა და ფუჭი საცდურით, კაცთა გადმოცემებისა თუ ქვეყნის საწყისთამებრ, და არა ქრისტეს თანახმად.

9. რადგანაც მასში მკვიდრობს ღვთაების მთელი სავსება სხეულებრივად.

10. და თქვენც სავსენი ხართ მასში, ვინც არის თავი ყოველი მთავრობისა და ხელმწიფებისა,

11. ვისშიაც წინადაიცვითეთ ხელთუქმნელი წინადაცვეთით, ცოდვილი ხორციელი სხეულისგან განძარცვით, ქრისტეს წინადაცვეთით;

12. მასთან ერთად დაიმარხეთ ნათლისღებით, და მასთან ერთადვე აღდექით ღმერთის ქმედითი ძალის რწმენით, რომელმაც აღადგინა იგი მკვდრეთით;

13. და თქვენც, რომელნიც მკვდარნი იყავით ცოდვებითა და თქვენი ხორცის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინადაუცვეთელობით, მასთან ერთად გაგაცოცხლათ, ყოველ[illegible] დვის მოტევებით:

14. და წარხოცა სწავლით ჩვენს გამო შეთხზული ხელწერილი, რომელიც იყო ჩვენს წინააღმდეგ, და აიღო შუაგულიდან და მიაჭედა იგი ჯვარს,

15. და ძალისაგან განძარცვა მთავრობანი და ხელმწიფებანი, საჯაროდ განაქიქა ისინი და თვით იმძლავრა მათზე.

16. მაშ, ნურავინ განგსჯით საჭმლისა თუ სასმლის, ან რაიმე დღესასწაულის, ან კიდევ ახალი მთვარისა თუ შაბათთა გამო,

17. რაც ჩრდილია მომავლისა, ხოლო სხეული არის ქრისტესი.

18. ნურავინ გაცდუნებთ თვითნებური მორჩილებითა თუ ანგელოზთა მიმართ მსახურებით, რომელნიც არასოდეს უხილავს, ამაოდ გალაღებულს თავისი ხორციელი გონებით,

19. და განშორებულს თავისაგან, ვის მიერაც მთელი სხეული, სახსართა და ნაწევართაგან შეკრული და შეერთებული, იზრდება საღმრთო ზრდით.

20. ამრიგად, თუ ქრისტესთან ერთად მკვდარნი ხართ ქვეყნის საწყისთათვის, მაშ, როგორც კვლავ ქვეყნად მცხოვრებნი, რატომღა მისდევთ მის წესს:

21. ნუ შეეხები, ნუ იგემებ, ნუ გაეკარები.

22. (რაც იხრწნება ხმარებისგან), კაცთა მცნებებისა და მოძღვრებისამებრ?

23. რაც მოჩვენებითი სიბრძნეა მხოლოდ, თვითნებური მსახურებით, მორჩილებითა და სხეულის მოძულებით, მაგრამ არა რაიმე ღირსებისათვის, არამედ რაც საჭიროა ხორცის საძღომად.

თავი მესამე

1. თუკი ქრისტესთან ერთად აღსდექით, ზეცისას ეძიებდეთ, სადაც ქრისტე ზის ღმერთის მარჯვნივ;

2. ზეცისას ფიქრობდეთ, [illegible] ქვეყნისას.

3. რადგანაც მოკვდით და სიცოცხლე თქვენი დაიფარა ქრისტესთან ერთად ღმერთში.

4. როდესაც გამოჩნდება ქრისტე, სიცოცხლე თქვენი, მაშინ თქვენც გამოჩნდებით მასთან ერთად დიდებით.

5. მაშ, მოაკვდინეთ თქვენი მიწიერი ასონი: სიძვა, უწმინდურება, ვნება, ბოროტი გულისთქმა და ანგარება, რაც არის კერპთმსახურება,

6. რომელთა გამოც მოიწევა რისხვა ღმრთისა ურჩობის ძეთა თავზე,

7. რომელთა შორისაც თქვენც იარეებოდით ოდესღაც, როცა ცხოვრობდით მათში.

8. ხოლო აწ განიშორეთ ყველაფერი: რისხვა, გულისწყრომა, ბოროტება, გმობა და უშვერი სიტყვა თქვენს ბაგეთაგან.

9. ნუ ეცრუებით ერთმანეთს; განიძარცვეთ ძველი კაცი მისი ყოველი საქმითურთ,

10. და შეიმოსეთ ახალი, რომელიც განახლდება შემეცნებით, თანახმად მისი ხატისა, ვინც შექმნა იგი;

11. სადაც არ არის ბერძენი და იუდეველი, წინადაცვეთილობა თუ წინადაუცვეთელობა, ბარბაროსი, სკვითი, მონა, თავისუფალი, არამედ ყველაფერი და ყველაფერში — ქრისტე.

12. მაშ, შეიმოსეთ, როგორც ღმრთის რჩეულთა, წმიდათა და საყვარელთა, გულმოწყალება, შემწყნარებლობა, სიტკბოება, სიმდაბლე, სიმშვიდე დიდსულოვნება.

13. მიუტევეთ და თქვენი თავი მიჰმადლეთ ერთურთს, თუკი ვინმეს ვისიმე მიმართ აქვს საჩივარი: როგორც ქრისტემ მოგიტევათ, ასევე თქვენც.

14. ხოლო უწინარეს ყოვლისა შეიმოსეთ სიყვარული, რომელიც არის სიმტკიცე სრულქმნილებისა.

15. დაე, ყველაფერს განაგებდეს თქვენს გულებში მშვიდობა ღმრთისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლის მიმართაც ერთი ხორცით ხართ ხმობილნი; და მადლიერნი იყავით.

16. და სიტყვა ქრისტესი მთელი სიბრძნით და სიუხვით დაემკვიდროს თქვენში; ასწავლიდეთ და შეაგონებდეთ ერთმანეთს ფსალმუნებით, საგალობლებითა და სულიერი შესხმით; მადლიერებით უგალობდეთ თქვენს გულებში უფალს.

17. და რასაც უნდა იქმოდეთ, სიტყვით თუ საქმით, იქმოდეთ მას უფლის იესოს სახელით, რათა ჰმადლობდეთ მის მიერ ღმერთსა და მამას.

18. ცოლებო, დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, როგორც ჯერ-არს, უფალში.

19. ქმრებო, გიყვარდეთ თქვენი ცოლები, და ნუ იქნებით მკაცრნი მათ მიმართ.

20. შვილებო, დაემორჩილეთ მშობლებს ყველაფერში, რადგან ეს მოსწონს უფალს.

21. მამებო, ნუ განარისხებთ თქვენს შვილებს, რათა არ დაეცნენ სულით.

22. მონებო, ყველაფერში დაემორჩილეთ თქვენს ხორციელ ბატონებს, არა თვალასახვევად, როგორც პირმოთნენი, არამედ გულის უბრალოებითა და ღმრთისმოშიშებით.

23. ყველაფერს, რასაც აკეთებთ, გულმოდგინედ აკეთეთ, როგორც უფლისთვის, და არა როგორც კაცთათვის.

24. იცოდეთ, რომ უფლისგან საზღაურად მიიღებთ სამკვიდროს, რადგან უფალს ქრისტეს ემსახურებით.

25. ხოლო უსამართლოს მიეგება იმის მიხედვით, რაც უსამართლოდ მოიმოქმედა, რადგან უფლისთვის უცხოა მიკერძოება.

თავი მეოთხე

1. ბატონებო, სამართალი და სისწორე მიაგეთ მონებს; იცოდეთ, რომ თქვენცა გყავთ უფალი ცაში.

2. ნუ მოშლით ლოცვას, და იფხიზლეთ მასში მადლიერებით.

3. ილოცეთ ჩვენთვისაც, რათა ღმერთმა გაგვიღოს სიტყვის კარი, ქრისტეს საიდუმლოს საუწყებლად, რისთვისაც მადევს ბორკილები;

4. რათა ცხადვყო, თუ როგორ მმართებს მისი უწყება.

5. ბრძნულად იქცეოდეთ გარეშეთა მიმართ; დრო მოიხმარეთ.

6. სიტყვა თქვენი ყოველთვის იყოს მადლით, როგორც მარილით შეზავებული, რათა იცოდეთ, როგორ გმართებთ თვითეულისთვის სიტყვის მიგება.

7. ჩემსას ყოველივეს გაუწყებთ ტიქიკოსი, საყვარელი ძმა და სარწმუნო მსახური და თანა-მონა უფალში,

8. რომელიც სწორედ იმიტომ წარმოვგზავნე თქვენთან, რომ გაიგოს თქვენი ამბავი და ნუგეში სცეს თქვენს გულებს.

9. ონისიმესთან, სარწმუნო და საყვარელ ძმასთან ერთად, რომელიც არის ერთი თქვენგანი. ისინი გაუწყებენ აქაურ ამბებს.

10. მოგიკითხავთ არისტარქე, თანატყვე ჩემი, აგრეთვე მარკოზი, ბიძაშვილი ბარნაბასი (რომლისთვისაც მიიღეთ ბრძანება: თუ მოვა თქვენთან, შეიწყნარეთ-მეთქი),

11. და იესო, იუსტუსად წოდებული, რომელნიც არიან წინადაცვეთილთაგანნი; მხოლოდ ესენი შემეწევიან ღმერთის სასუფევლის საქმეში; მხოლოდ ესენი იყვნენ ჩემი ნუგეში.

12. მოგიკითხავთ ეპაფრა, თქვენიანი, მონა ქრისტესი, მარადის თქვენთვის მოღვაწე თავის ლოცვებში, რათა მტკიცედ სდგეთ სრულნი და აღვსებულნი ყოვლითურთ, რაც ნებავს ღმერთს.

13. რადგანაც ვემოწმები მას, რომ დიდად მოწადინებულია თქვენთვის, ლაოდიკელთა და ჰიერაპოლისელთათვის.

14. მოგიკითხავთ ლუკა, მკურნალი საყვარელი ,და დემასი.

15. მოიკითხეთ ლაოდიკელი ძმები;

აგრეთვე ნიმფასი და შინაური ეკლესია მისი.

16. როცა ამ ეპისტოლეს წაიკითხავთ, ისე ჰყავით, რომ ლაოდიკელთა ეკლესიაშიც წაიკითხონ იგი; ხოლო ლაოდიკელთაგან გამოგზავნილი თქვენც წაიკითხეთ.

17. უთხარით არქიპოსს: ეგზორციზმი, როგორ აღასრულებ მსახურებასა, ეგზორციზმი მელიც მიიღე უფალში.

18. მოგიკითხავთ ჩემი ხელით, პავლე. გახსოვდეთ ტყვეობა ჩემი. მადლი თქვენდა, ამინ.

პირველი თესალონიკელთა მიმართ

თავი პირველი

1. პავლე და სილვანესი და ტიმოთე — თესალონიკელთა ეკლესიას მამა ღმერთსა და უფალ იესო ქრისტეში: მადლი თქვენდა და მშვიდობა ღმრთისა და მამის ჩვენისა და უფალ იესო ქრისტესაგან.

2. მარადის ვმადლობთ ღმერთს ყოველი თქვენგანისათვის, და ჩვენს ლოცვებში გიხსენებთ,

3. გამუდმებით ვიგონებთ საქმეს თქვენი რწმენისას, და შრომას სიყვარულისას, და თმენას სასოებისას უფლის ჩვენის იესო ქრისტეს მიმართ, ღმრთისა და მამის ჩვენის წინაშე,

4. ვიცით რა თქვენი რჩეულება, ძმანო საყვარელნო ღმერთის მიერ.

5. რადგანაც სახარება ჩვენი თქვენდა მომართ იყო არა მარტო სიტყვით, არამედ ძალითა და სულით წმიდითა და სრული დარწმუნებით, როგორც თავად მოგეხსენებათ, რანი ვიყავით თქვენს შორის თქვენთვის.

6. და თქვენ ჩვენი და უფლის მიმბაძველნი გახდით, და შეიწყნარეთ სიტყვა ჭირმრავლობაში სულის წმიდის სიხარულით.

7. ასე რომ, ყველა მორწმუნის ნიმუშად იქეცით მაკედონიასა და აქაიაში,

8. რადგან თქვენს მიერ განეფინა სიტყვა უფლისა არა მარტო მაკედონიასა და აქაიაში, არამედ თქვენმა რწმენამ ღმრთისადმი ყველა სხვა მხარესაც უწია, ასე რომ, აღარაფერი დაგვრჩა სათქმელი.

9. ვინაიდან ისინი თვითონ გითხრობენ ჩვენზე, როგორი შემოსვლა გვქონდა თქვენთან, როგორ მოიქეცით ღმრთის მიმართ კერპთაგან, რათა ემსახუროთ ცოცხალსა და ჭეშმარიტ ღმერთს,

10. და დაელოდოთ ზეციდან მის ძეს, რომელიც აღადგინა მკვდრეთით, იესოს, მომავალი რისხვისაგან ჩვენს მხსნელს.

თავი მეორე

1. რადგან თქვენ თვითონ იცით, ძმანო, რომ ჩვენი შემოსვლა თქვენთან არ იყო ფუჭი.

2. არამედ, ფილიპეში მანამდე ვნებულთა და შეგინებულთა, როგორც მოგეხსენებათ, გავბედეთ ღმერთის ჩვენის მიერ გვექადაგა თქვენთვის სახარება ღმრთისა მრავალი ღვაწლით.

3. რადგანაც ჩვენი შეგონება არც ცთომისგანაა, არც უწმინდურებისაგან და არც ზაკვის მიერ.

4. არამედ, როგორც გამოცდილნი ვართ ღმრთისაგან, რათა მოგვენდოს სახარება, ასევე ვქადაგებთ; არა კაცთა საამებლად, არამედ ღმრთისა, რომელიც არის გამომცდელი ჩვენი გულების.

5. ამიტომ, როგორც მოგეხსენებათ,

არასოდეს გვიხმარია ლიქნის სიტყვა, და არც ანგარებისთვის მიგვიმართავს, ღმერთია მოწმე.

6. არც ვეძებთ კაცთაგან დიდებას, არც თქვენგან და არც სხვებისაგან.

7. და თუმცა, როგორც ქრისტეს მოციქულებს, შეგვეძლო მძიმე ტვირთად დაგწოლოდით, მაგრამ მშვიდნი ვიყავით თქვენს შორის, როგორც ძიძა, თავს რომ ევლება თავის პატარებს.

8. ასევე ჩვენც, თქვენდამი კეთილ განწყობის გამო, მოვისურვეთ გადმოგვეცა თქვენთვის არა მარტო სახარება ღმრთისა, არამედ ჩვენი სულიც, ვინაიდან საყვარელნი გახდით ჩვენთვის.

9. რადგანაც გახსოვთ, ძმანო, ჩვენი შრომა და რუდუნება: დღე და ღამეს ვასწორებდით, რათა არ შეგვეწუხებინა რომელიმე თქვენგანი, და ასე გიქადაგებდით ღმრთის სახარებას.

10. თქვენა ხართ მოწმენი და ღმერთი, თუ როგორ წმიდად, მართლად და უბიწოდ ვიქცეოდით თქვენდამი — მორწმუნეთა მომართ.

11. რადგან თავადაც იცით, რომ, როგორც მამა — შვილებს,

12. სათითაოდ შეგაგონებდით, გარწმუნებდით და გემოწმებოდით, რომ გევლოთ ღირსად ღმრთისა, რომელმაც გიხმო თავისი სასუფევლისა და დიდებისკენ.

13. ამიტომ განუწყვეტლივ მადლს ვწირავდით ღმერთს, რადგანაც მიიღეთ ჩვენი წყალობით მოსმენილი სიტყვა და შეიწყნარეთ იგი არა კაცთა სიტყვად, არამედ (როგორც არის სინამდვილეში) ღმრთის სიტყვად, რომელიც მოქმედებს კიდეც თქვენში — მორწმუნეთა შორის.

14. რადგანაც, ძმანო, მიმბაძველნი გახდით ღმერთის ეკლესიათა, რომელნიც არიან იუდეაში ქრისტე იესოს მიერ, რაკიღა იგივე დაითმინეთ თვისტომთაგან, რაც მათ — იუდეველთაგან,

15. რომელთაც მოკლეს უფალი იესოც და მისი წინასწარმეტყველნიც, ხოლო ჩვენ გამოგვაძევეს, და რომელნიც არას დაგიდევენ ღმერთს, და მტერნი არიან ყოველი კაცისა.

16. გვიკრძალავენ რა ქადაგებას წარმართთა მიმართ, რათა ცხოვნდნენ; ასე რომ, ერთავად ავსებენ თავიანთ ცოდვათა საწყაულს, რისთვისაც მოიწევა მათზე რისხვა აღსასრულამდე.

17. ხოლო ჩვენ, ძმანო, თვალით და არა გულით ცოტა ხანს თქვენგან განშორებულნი, მით უფრო მეტად ვესწრაფვით პირის თქვენს ხილვას წადიერებით.

18. ამიტომ ჩვენ, მით უმეტეს მე — პავლემ, ერჯერ თუ ორჯერ დავაპირე თქვენთან წამოსვლა, მაგრამ დაგვაბრკოლა ჩვენ სატანამ.

19. რადგან, რა არის ჩვენი სასოება, ან სიხარული, ან გვირგვინი სიქადულისა, თუ არა თქვენ, უფლის ჩვენის იესო ქრისტეს წინაშე მისი მოსვლისას?

20. რადგან თქვენა ხართ დიდება ჩვენი და სიხარული.

თავი მესამე

1. ამიტომ, რაკი მეტი ვეღარ მოვითმინეთ, გადავწყვიტეთ მარტონი დავრჩენილიყავით ათენში,

2. და წარმოვგზავნეთ ტიმოთე, ძმა ჩვენი და მსახური ღმრთისა და თანაშემწე ჩვენი ქრისტეს სახარების საქმეში, რათა განგამტკიცოთ თქვენ და ნუგეში გცეთ თქვენი რწმენისთვის,

3. რათა არავინ შეირყეს ამ ურვაში, რადგან თავადაც მოგეხსენებათ, რომ ამისთვის ვდგავართ.

4. და თქვენთან ყოფნისას წინასწარ გითხარით, რომ ტანჯვა გველოდა, რაც ახდა კიდეც და გაიგეთ.

5. ამიტომ მეც ვეღარ მოვითმინე და წარმოვგზავნე ტიმოთე, რათა შევიტყო თქვენი რწმენის ამბავი: ხომ არ გაცდუნათ მაცდურმა, და ხომ არ გაცუდდა შრომა ჩვენი.

6. ხოლო აწ დაბრუნდა ტიმოთე, და გვახარა ჩვენ რწმენა და სიყვარული

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი; რადგან თურმე ყოველთვის კეთილად გვიხსენებთ, და გსურთ ჩვენი ნახვა, ისევე როგორც ჩვენ — თქვენი;

7. ასე რომ, ძმანო, მთელი ჩვენი ურვისა და გაჭირვების მიუხედავად, ნუგეშცემულნი ვიქმენით თქვენი რწმენით.

8. რადგან აწ ვცოცხლობთ, რაკიღა მტკიცედ დგახართ უფალში.

9. რა მადლი შეგვიძლია შევწიროთ თქვენს გამო ღმერთს, იმ სიხარულის სანაცვლოდ, რომლითაც ვხარობთ თქვენთვის ღმერთის ჩვენის წინაშე?

10. დღედაღამ გულმხურვალედ ვლოცულობთ, რათა პირისპირ გიხილოთ თქვენ, და, ამრიგად, შევავსოთ ის, რაც ჯერ კიდევ აკლია თქვენს რწმენას.

11. ხოლო თვით ღმერთმა და მამამ ჩვენმა და უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ, დაე, წარმართონ ჩვენი გზა თქვენსკენ.

12. თქვენ კი უფალმა აგავსოთ და აგაშენოთ ერთურთისა და ყველას სიყვარულით, როგორც ჩვენა ვართ სავსენი თქვენდამი.

13. რათა სიწმიდით და უბიწობით განვამტკიცოთ თქვენი გულები ღმრთისა და მამის ჩვენის წინაშე, უფლის ჩვენის იესო ქრისტეს მოსვლისას მის ყველა წმიდასთან ერთად. ამინ.

თავი მეოთხე

1. შემდგომ ამისა, ძმანო ჩემნო, გევედრებით და გემუდარებით უფალ იესოს მიერ, რათა ჩვენი სწავლა, — როგორ იარებოდეთ და ესათნოებოდეთ ღმერთს, — აღასრულოთ მთელი სავსებით.

2. რადგანაც იცით, როგორი მცნებები მოგეცით უფალ იესოს მიერ.

3. ვინაიდან ესაა ნება ღმრთისა: სიწმიდე თქვენი, რათა განეშოროთ სიძვას,

4. და თვითეულმა თქვენგანმა იცოდეს, როგორ შეინახოს თავისი ჭურჭელი სიწმიდით და პატიოსნებით.

5. და არა გულისთქმის ვნებით, წარმართთა მსგავსად, რომელთაც არ იცან ან ღმერთი;

6. რათა არავინ დათრგუნოს, და არც ანგარებით გააცუროს საქმეში თავისი ძმა, ვინაიდან ღმერთია შურისმაძიებელი ყოველივე ამის გამო, როგორც უწინაც მითქვამს და მიმოწმებია თქვენთვის.

7. რადგან უწმიდურების კი არა, სიწმიდისკენ გვიხმო ჩვენ ღმერთმა.

8. ამრიგად, ურჩი — კაცის მიმართ კი არაა ურჩი, არამედ ღმრთისა, რომელმაც მოგვცა ჩვენ სული თვისი წმიდა.

9. ხოლო ძმათმოყვარეობისათვის აღარ გჭირდებათ რაიმეს მოწერა, რადგან თვით ღმერთმა გასწავლათ, რომ უნდა გიყვარდეთ ერთმანეთი.

10. და რადგან ასევე იქცევით ყველა ძმის მიმართ მთელს მაკედონიაში; მაგრამ გევედრებით, ძმანო, უფრო მეტად გიყვარდეთ ისინი,

11. და გულმოდგინეთ ეცადეთ, რომ იცხოვროთ მშვიდად, აკეთოთ თქვენი საქმე, და იშრომოთ თქვენი ხელით, როგორც გამცნეთ თქვენ,

12. რათა ღირსეულად იქცეოდეთ გარეშეთა მიმართ, და არაფერი გაკლდეთ.

13. მაგრამ არ გვნებავს, ძმანო, რომ არა იცოდეთ რა განსვენებულთა, რათა არ სწუხდეთ დანარჩენთა მსგავსად, რომელთაც არა აქვთ სასოება.

14. რადგანაც, თუ გვწამს, რომ იესო მოკვდა და აღდგა, მაშინ ღმერთი იესოში განსვენებულთ მოიყვანს მასთან ერთად.

15. ხოლო ამას გეუბნებით თქვენ უფლის სიტყვით, რომ ჩვენ, ცოცხლად შთენილნი უფლის მოსვლამდე, ვერ დავასწრებთ განსვენებულთ,

16. რადგან თვით უფალის ბრძანებით, მთავარანგელოზის ხმობითა და ღმერთის საყვირის ხმით, გარდმოხდება ზეცით, და ქრისტეში მკვდარნი აღდგებიან პირველად;

17. შემდეგ კი ჩვენც, ცოცხლად შთენილნიც, მათთან ერთად აღვიტაცებით ღრუბლებში, რათა ჰაერში შეეგებოთ უფალს, და ასე მარადის ვიქნებით უფალთან ერთად.

18. მაშ, ამ სიტყვებით ანუგეშეთ ერთიმეორე.

თავი მეხუთე

1. ხოლო დროთა და ჟამთათვის, ძმანო, არ გჭირდებათ რამეს მოწერა,

2. რადგან თქვენ თვითონ გამოწვლილვით იცით, რომ დღე უფლისა მოვა, როგორც მპარავი ღამით.

3. ვინაიდან როცა იტყვიან: მშვიდობა და უშიშობაო, სწორედ მაშინ მოიწევა მათზე სიკვდილი, როგორც სალმობა მშობიარისა, და ვერ წაუვლენ.

4. ხოლო თქვენ, ძმანო, ბნელში როდი ხართ, რომ დღე მპარავივით გეწიოთ.

5. რადგან ყველანი ნათლის ძენი ხართ და ძენი დღისა; არა ვართ ღამის, და არც ბნელისა.

6. მაშ, თავს ნუ მივცემთ ძილს, დანარჩენთა მსგავსად, არამედ ვიფხიზლოთ და ვიღვიძოთ.

7. რადგან მძინარეთ ღამით სძინავთ, და მემთვრალენი ღამით თვრებიან.

8. ხოლო ჩვენ, რადგან დღის ძენი ვართ, ვიფხიზლოთ და შევიმოსოთ აბჯარი რწმენისა და სიყვარულისა, და ჩაფხუტი ხსნის სასოებისა.

9. რადგანაც ღმერთმა რისხვისთვის კი არ შეგვქმნა, არამედ ხსნისთვის უფლის ჩვენის იესო ქრისტეს მიერ,

10. რომელიც მოკვდა ჩვენთვის, რათა, მღვიძართ თუ მძინართ, გვეცოცხლა მასთან ერთად.

11. ამიტომაც ნუგეში ეცით და შეაგონეთ ერთიმეორეს, როგორც იქცევით კიდეც.

12. ხოლო გევედრებით, ძმანო, სცანით მაშვრალნი თქვენ შორის და წინამძღვარნი თქვენნი უფალში და მოძღვარნი თქვენნი,

13. და პატივი მიაგეთ მათ უპირატესად სიყვარულით, მათივე საქმის გამო; მშვიდობა გქონდეთ ერთმანეთს შორის.

14. კვლავაც გევედრებით ძმანო, შეაგონეთ უწესოთ, ანუგეშეთ სულმოკლენი, მხარში ამოუდექით უმწეოთ, დიდსულოვანნი იყავით ყველას მიმართ.

15. ფხიზლად იყავით, რათა ბოროტის წილ არვინ მიაგოს ვინმეს ბოროტი, არამედ ყოველთვს ეძებდეთ სიკეთეს ერთმანეთისა და ყველას მიმართ.

16. მარადის ხარობდეთ.

17. გამუდმებით ილოცეთ.

18. მადლიერნი იყავით ყველაფრისათვის, რადგან ასეთია თქვენდამი ნება ღმრთისა ქრისტე იესოში.

19. ნუ დაშრეტთ სულს.

20. წინასწარმეტყველებას ნუ შეურაცხყოფთ.

21. ყველაფერი გამოსცადეთ; მისდიეთ კეთილს.

22. განეშორეთ ყოველგვარ ბოროტს.

23. ხოლო თვით ღმერთმა მშვიდობისა, დაე, წმიდა გყოთ თქვენ მთელი სისრულით, და თქვენი სული და სამშვინველი და სხეული უბილწოდ დაცულ იქნეს მთელი სავსებით უფლის ჩვენის იესო ქრისტეს მოსვლისას.

24. სარწმუნოა თქვენი მხმობელი, რომელიც კიდევაც აღასრულებს ამას.

25. ძმანო, ილოცეთ ჩვენთვის.

26. მოიკითხეთ ყველა ძმა წმიდა ამბორით.

27. გაფიცებთ უფალს, წაუკითხეთ ეს წერილი ყველა წმიდა ძმას.

28. მადლი უფლის ჩვენის იესო ქრისტესი თქვენთან. ამინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე თესალონიკელთა მიმართ

თავი პირველი

1. პავლე და სილვანუსი და ტიმოთე — თესალონიკელთა ეკლესიას ღმერთსა — მამას ჩვენსა და უფალ იესო ქრისტეში:

2. მადლი თქვენდა და მშვიდობა ღმრთისა და მამის ჩვენისა და უფლის იესო ქრისტესაგან.

3. მოვალენი ვართ, ძმანო, მარადის ვმადლობდეთ ღმერთს თქვენთვის, როგორც ჯერ-არს, ვინაიდან უმეტესად იზრდება თქვენი რწმენა, და მრავლდება თითოეული თქვენგანის სიყვარული ერთურთის მიმართ.

4. ასე რომ თვითონვე ვიქადით თქვენით ღმრთის ეკლესიებში, თქვენი თმენისა და რწმენის გამო ყოველგვარ დევნილობასა თუ გასაჭირში, რასაც იტანთ.

5. იმის დასტურად, რომ იქნება ღმრთის მართალი მსჯავრი, რათა ღირსნი გახდეთ ღმრთის სასუფეველისა, რისთვისაც ევნებით კიდეც.

6. რადგანაც სამართლიანია ღმრთის წინაშე, რომ ჭირი მიეგოს თქვენს შემაჭირვებელთ,

7. ხოლო თქვენ, შეჭირვებულთ, ლხინი ჩვენთან ერთად, უფლის ჩვენის იესოს გამოცხადებისას ზეცით, მისი ძალმოსილების ანგელოზებთან ერთად,

8. რათა ცეცხლის ალში აღასრულოს შურისგება ღმერთის არმცნობთა და უფლის ჩვენის იესო ქრისტეს სახარების ურჩთა მიმართ.

9. რომელთაც სასჯელად მიეგებათ საუკუნო სიკვდილი, უფლის სახისა და მისი ძალმოსილების დიდებისაგან,

10. როდესაც მოვა სადიდებლად მის წმიდათა შორის, და საოცრებად ყველა მის მორწმუნეს შორის (რადგანაც ირწმუნეთ ჩვენი მოწმობა თქვენს მიმართ) იმ დღეს.

11. ამიტომაც მარადის ვლოცულობთ თქვენთვის, რათა ხმობის ღირსნი გყოთ ღმერთმა და აღასრულოს თავისი სიკეთის მთელი სათნოება და რწმენის საქმე ძალმოსილებით;

12. რათა იდიდოს სახელი უფლის ჩვენის იესო ქრისტესი თქვენში, ხოლო თქვენ — მასში, ღმერთის ჩვენისა და უფლის იესო ქრისტეს მადლით.

თავი მეორე

1. ხოლო გევედრებით თქვენ, ძმანო, უფლის ჩვენის იესო ქრისტეს მოსვლისა და მასთან ჩვენი შეკრებისათვს,

2. იოლად ნუ შეიძვრით გონებით, ნურც შეშფოთდებით ნურც სულის, ნურც სიტყვის, ნურც თითქოს ჩვენგან მოწერილი წერილის გამო, ვითომც უკვე მოიწია დღე ქრისტესი.

3. ნურც ნურავინ ნურასგზით გაცდუნებთ თქვენ, რადგანაც არ მოიწევა ის დღე, ვიდრე უმალ არ მოაწევს განდგომილება და არ გაცხადდება ცოდვის კაცი, ძე წარწყმედისა,

4. წინააღმდგომი და იმის მსურველი, რომ თავზე მოექცეს ყველაფერს, რაც სახელდებულია ღმეროად თუ ღვთაებად, ასე რომ, ღმერთის ტაძარში დაჯდება იგი, როგორც ღმერთი, და ღმერთად მოგვაჩვენებს თავს.

5. ნუთუ არ გახსოვთ, რომ ჯერ კიდევ თქვენთან ყოფნისას გეტყოდით ამას?

6. და აწ იცით, თუ რა არ აძლევს გასაქანს, რათა გაცხადდეს თავის დროს.

7. რადგანაც ურჯულოების საიდუმლო უკვე მოქმედებს, მაგრამ არ აღსრულდება მანამ, სანამ შუაგულით არ აღიხოცება ძალა, რომელიც გასაქანს არ აძლევს მას.

8. და მაშინ გაცხადდება ურჯულო, რომელსაც უფალი იესო წარხოცს ბაგეთა თვისთა სულით, და განაქარებს თავისი მოსვლის გამონათებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. მას, ვისი მოსვლაც არის სატანის შეწევნით, მთელი ძალითა და ნიშებითა და ცრუ სასწაულებით,

10. და უსამართლობის ყველა საცდურით წარწყმედილთათვის, რადგანაც არ შეიწყნარეს ჭეშმარიტების სიყვარული, რომელსაც შეეძლო მათი ხსნა.

11 ამიტომაც მოუვლენს მათ ღმერთი საცდურის ქმედებას, რათა ირწმუნონ სიცრუე,

12. რათა განისაჯონ ყველანი, რომელთაც არ ირწმუნეს ჭეშმარიტება, არამედ შეიყვარეს უსამართლობა.

13. ხოლო ჩვენ მარადის უნდა ვმადლობდეთ თქვენს გამო ღმერთს, ძმანო საყვარელნო უფლის მიერ; რადგანაც ღმერთმა დასაბამითვე, სულის წმიდა ყოფითა და რწმენის ჭეშმარიტებით, გამოგარჩიათ თქვენ სახსნელად.

14. რომლის მიმართაც გიხმობთ კიდეც ჩვენი სახარებით, უფლის ჩვენის იესო ქრისტეს დიდების მისაღწევად.

15. მაშ, მტკიცედ იდექით, ძმანო, და იპყარით მოძღვრება, რომელიც გისწავლიათ სიტყვითა თუ ჩვენი წერილით.

16. ხოლო თვით უფალმა ჩვემა იესო ქრისტემ, და ღმერთმა და მამამ ჩვენმა, რომელმაც შეგვიყვარა და მოგვცა ნუ-

გეში საუკუნო და სასოება კეთილი -- მადლით,

17. ანუგეშოს თქვენი გულები, და განგამტკიცოთ თქვენ ყოველ სიტყვასა და კეთილ საქმეში.

თავი მესამე

1. და მერე, ილოცეთ ჩვენთვის, ძმანო, რათა სიტყვა ღმრთისა განივრცოს და იდიდოს, ისე, ვით თქვენს შორის,

2. და რათა განვერიდოთ უწესო და უკეთურ კაცთა; ვინაიდან ყველას როდი აქვს რწმენა.

3. ხოლო სარწმუნოა უფალი, რომელიც განგამტკიცებთ თქვენ, და დაგიცავთ უკეთურისაგან.

4. და გენდობით თქვენ უფალში, რომ ასრულებთ და კვლავაც ასრულებთ იმას, რასაც გამცნობთ.

5. ხოლო უფალმა, დე, წარმართოს თქვენი გულები ღმრთის სიყვარულისა და ქრისტეს მოთმინებისკენ.

6. გამცნობთ თქვენ, ძმანო, უფლის ჩვენის იესო ქრისტეს სახელით, რომ განეშოროთ ყველა ძმას, რომელიც უწესოდ იარება, და არა იმ მოძღვრებისამებრ, რაც შეითვისა ჩვენგან.

7. რადგან თვითონვე იცით, თუ როგორ უნდა მოგვბაძოთ; ვინაიდან უჯერო არა გვიქმნია რა თქვენს შორის,

8. არავისას გვიჭამია პური მუქთად. არამედ დღედაღამ ვშრომობდით და ვრუდუნებდით, რათა არ შეგვეწუხებინა არცერთი თქვენგანი,

9. არა იმიტომ, თითქოს არ გვქონდა ამის უფლება, არამედ რათა მისაბაძ ნიმუშად დაგვესახა თქვენთვის თავი.

10. რადგან, როცა თქვენთან ვიყავით, ამას გამცნობდით: თუ ვინმეს არ სურს მუშაობა, მაშინ ნურც ჭამს.

11. მაგრამ გვესმის, რომ ზოგიერთი თქვენგანი უწესოდ იქცევა, არაფერს აკეთებს, არამედ ფუჭად ფუსფუსებს.

12. ამნაირებს ვამცნობთ და შევაგონებთ უფლის ჩვენის იესო ქრისტეს მიერ, რომ მშვიდად იშრომონ და ასე ჭამონ თავიანთი პური.

13. ხოლო თქვენ, ძმანო, ნუ მოგბეზრდებათ სიკეთის ქმნა.

14. ხოლო თუ ვინმე არ შეისმენს ამ ჩვენი წერილის სიტყვებს, დაიხსომეთ იგი და ნუღარ გაიკარებთ, რათა შერცხვენილ იქნეს;

15. მაგრამ მტრად ნუკი შერაცხავთ, არამედ შეაგონეთ, როგორც ძმას.

16. ხოლო თვით უფალმა მშვიდობისა, დე, მოგცეთ მშვიდობა ყოველთვის და ყოველგან; უფალი იყოს ყველა თქვენთაგანთაგან.

17. მოკითხვა ჩემი, პავლეს ხელით, რომელიც არის ნიშანი ყველა წერილისა; მე ასე ვწერ:

18. მადლი უფლის ჩვენის იესო ქრისტესი ყველა თქვენთაგან. ამინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ტიმოთეს მიმართ

თავი პირველი

1. პავლე, მოციქული იესო ქრისტესი, ღმერთის, ჩვენი მაცხოვრისა, და უფლის იესო ქრისტეს, ჩვენი სასოების, ბრძანებით,

2. ტიმოთეს, ჭეშმარიტ შვილს რწმენაში: მადლი, წყალობა და მშვიდობა ღმერთის, მამის ჩვენისა და ქრისტე იესოს, უფლის ჩვენის მიერ.

3. მაკედონიაში წასვლისას მე გთხოვე, დარჩენილიყავი ეფესოში, რათა გემცნო ზოგიერთისთვის, რომ ნუ ასწავლიან სხვა რამეს,

4. და ნურც გადაჰყვებიან არაკებსა თუ გვარტომობის დაუსრულებელ ამბებს, რომლებიც უფრო მეტ დავას იწვევენ, ვიდრე ღმრთის შეგონებას რწმენით.

5. ხოლო მიზანი მცნებისა არის სიყვარული წმიდა გულით, წრფელი სინიდისითა და უპირფერო რწმენით;

6. მას რომ დასცილდნენ, ზოგიერთი ფუჭსიტყვაობისკენ მიიქცია.

7. რჯულისმოძღვრება სწადიათ, მაგრამ არც ის ესმით, რას ამბობენ, და არც ის, რასაც ამტკიცებენ.

8. ხოლო ჩვენ ვიცით, რომ რჯული კეთილია, თუკი ვინმე რჯულიერად მოიხმარს მას:

9. რადგანაც გვესმის, რომ რჯული მართლისთვის კი არა დევს, არამედ ურჯულოთა და ურჩთათვის, უღმერთოთა და ცოდვილთა, მკრეხელთა და ბილწთა, დედ-მამის მკვლელთა და კაცისმკვლელთათვის,

10. მეძავთა, მამათმავალთა, კაცის გამყიდველთა, ცრუთა, ფიცის გამტეხთა და ყველა სხვათათვის, რომელნიც თავიანთი ქცევით ეურჩებიან ჯანსაღ მოძღვრებას,

11. თანახმად ნეტარი ღმრთის დიდებული სახარებისა, რომელიც მომენდო მე.

12. მადლიერი ვარ მისი, ვინც მომცა ძალა, უფლის ჩვენის იესო ქრისტესი, რადგანაც სარწმუნოდ შემრაცხა მე, და მსახურად დამადგინა,

13. მე, რომელიც უწინ ვიყავი მგმობელი, მდევნელი და მაგინებელი, მაგრამ შეწყალებულ ვიქმენ, რადგანაც ასე ვიქცეოდი უმეცრებით, ურწმუნოების გამო;

14. ხოლო მადლმა უფლის ჩვენსამ უფრო მეტად იმრავლა ჩემში რწმენითა და სიყვარულით ქრისტე იესოს მიერ.

15. სარწმუნოა და ყოველგვარი შეწყნარების ღირსია სიტყვა, რომ ქრისტე იესო მოვიდა ქვეყნად ცოდვილთ სახსნელად, რომელთაგანაც მე ვარ პირველი.

16. მაგრამ იმიტომ ვიქმენ შეწყალებული, რომ იესო ქრისტეს ჩემი სახით პირველად ეჩვენებინა მთელი დიდსულოვნება, რათა ნიმუში ვყოფილიყავ მათთვის, რომელნიც მერმის ირწმუნებენ მას საუკუნო სიცოცხლისათვის.

17. ხოლო საუკუნეთა მეუფეს, უხრწნელს, უხილავს, ერთსა და ბრძენ ღმერთს პატივი და დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

18. ამ მცნებას შეგავედრებ შენ, შვილო ტიმოთე, იმ წინასწარმეტყველებათა თანახმად, რომელნიც შენთვის იღებენ დასაბამს, რათა იომო კეთილი ომით,

19. და გქონდეს რწმენა და წრფელი სინიდისი, რაიც უარყო ზოგ-ზოგმა, და მარცხი განიცადა რწმენის წიაღში, როგორც ხომალდმა ზღვაში.

20. როგორც მაგალითად, ჰიმენეოსმა და ალექსანდრემ, რომელნიც გადავეცი სატანას, რათა ისწავლონ, თუ როგორ გადაეჩვიონ გმობას.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეოთხე

1. ხოლო, უწინარეს ყოვლისა, მოგიწოდებ აღასრულო ლოცვანი, თხოვნანი, ვედრებანი და მადლიერებანი ყველა კაცისთვის,

2. მეფეთა და ყველა მთავართათვის, რათა მშვიდად და უშფოთველად ვიცხოვროთ მთელი ღვთისმოსაობითა და სიწმიდით,

3. რადგან ეს კეთილად და სათნოდ უჩანს მაცხოვარს ჩვენსას, ღმერთს,

4. რომელსაც სურს, რომ ყველა კაცი ცხონდეს და ეზიაროს ჭეშმარიტების შემეცნებას.

5. რადგან ერთია ღმერთი, და ერთია შუამდგომელი ღმერთსა და კაცთა შორის, კაცი ქრისტე იესო,

6. რომელმაც მისცა თავი ყველას გამოსასყიდად, რათა ემოწმებინა თავის დროზე;

7. რომლისთვისაც დადგინებულ ვარ მე ქადაგად და მოციქულად (ჭეშმარიტებას ვამბობ ქრისტეში, არა ვცრუობ), წარმართთა მოძღვრად რწმენითა და ჭეშმარიტებით.

8. ამრიგად, მსურს, რომ ყოველგან ლოცულობდნენ კაცები, და აღაპყრობდნენ თავიანთ წმიდა ხელებს ურისხველად და უყოყმანოდ;

9. ასევე ქალებიც, ღირსეულად მოსილნი, კდემითა და უმანკოებით, იმკობდნენ თავს არა თმაწნულობით, არა ოქროთი თუ მარგალიტით, ანდა ძვირფასი სამოსით,

10. არამედ კეთილი საქმით, როგორც შეშვენის ქალებს, რომელთაც თვით ღვთისმოსაობას მიუძღვნეს თავი.

11. ქალი სწავლობდეს მდუმარედ, სრული მორჩილებით.

12. ხოლო მე არა ვრთავ ქალს სწავლების ნებას, და არც ქმარზე მბრძანებლობისას, არამედ რათა იყოს მდუმარედ.

13. რადგანაც პირველად ადამი შეიქმნა, და მერე ევა.

14. და ადამი კი არ შემცდარა, არამედ ქალი შეცდა და [illegible] და;

15. თუმცა, მაინც ცხონდება, იმის წყალობით, რომ შვილებს გააჩენს, თუკი იქნება რწმენაში, სიყვარულსა და სიწმიდეში კდემით.

თავი მესამე

1. სარწმუნოა სიტყვა: თუ ვინმეს ეპისკოპოსობა სურს, კეთილი საქმე სურს.

2. მაგრამ ეპისკოპოსი უნდა იყოს უმწიკვლო, ერთი ცოლის ქმარი, არამსმელი, გონიერი, ღირსეული, სტუმართმოყვარე განმსწავლელი,

3. არა მემთვრალე, არა ჩხუბისთავი, არა ანგარი, არამედ წყნარი, მშვიდობისმოყვარე, ვერცხლისმოძულე,

4. თავისი სახლის კეთილად გამგებელი, შვილების მორჩილებით მყოლი მთელი ღირსებით,

5. (რადგან ვინც თავის სახლს ვერ განაგებს, როგორღა იზრუნებს ღმრთის ეკლესიის მიმართ?),

6. არა ახლად მოქცეული, რათა თავს არ გაუვიდეს, და არ გახდეს ღირსი ეშმაკის სასჯელისა.

7. უნდა ჰქონდეს აგრეთვე კეთილი მოწმობა გარეშეთაგან, რათა საგმობი არ გახდეს, და არ გაებას ეშმაკის მახეში.

8. დიაკვნებიც ასევე წმიდანი უნდა იყვნენ, არა ორგულნი, არა ღვინოს მიძალებულნი, არა ანგარნი,

9. რწმენის საიდუმლოს შემნახველნი წრფელი სინიდისით.

10. ამნაირნი ჯერ უნდა გამოიცადონ, და მხოლოდ შემდეგ, თუ უმწიკვლონი არიან, მიენდოთ მსახურება.

11. მათი ცოლებიც ღირსეულნი უნდა იყვნენ, არა ცილისმწამებელნი, ფხიზელნი და ყოველმხრივ სარწმუნონი.

12. დიაკონი ერთი ცოლის ქმარი უნდა იყოს, კეთილად უნდა განაგებდეს შვილებს და თავის სახლს.

13. რადგან კეთილად მსახურებელი თავის თავს უმზადებს კეთილ ხარისხს და დიდ მხნეობას რწმენასა და ქრისტე იესოში.

14. ამას გწერ შენ, და იმედი მაქვს გეწვევი.

15. ხოლო თუ დავყოვნდი, იცოდე, როგორ უნდა მოიქცე ღმრთის სახლში, რომელიც ჭრის ეკლესია ცოცხალი ღმრთისა, ჭეშმარიტების სვეტი და სიმტკიცე.

16. უეჭველად დიდია ღვთისმოსაობის საიდუმლო: ღმერთი გამოჩნდა ხორცით, გამართლდა სულით, ეჩვენა ანგელოზებს, ქადაგებულ იქნა წარმართთა შორის, სარწმუნო იქნა ქვეყნისათვის, და ამაღლდა დიდებით.

თავი მეოთხე

1. ხოლო სული ცხადად მეტყველებს, რომ უკანასკნელ ჟამს რწმენისაგან განდგებიან ზოგიერთნი, და შეუდგებიან მაცდურ სულთა და დემონთ მოძღვრებას.

2. ცრუმეტყველთა თვალთმაქცობისამებრ, რომელთაც დაჰფერფლეს თავიანთი სინიდისი,

3. და რომელნიც კრძალავენ ქორწინებასა და იმის ჭამას, რაც შექმნა ღმერთმა, რათა მორწმუნენი და ჭეშმარიტების მცოდნენი მადლიერებით ჭამდნენ.

4. რადგანაც კეთილია ღმერთის ყოველი ქმნილება, და არ არის უარსაყოფი, თუკი მიიღება მადლიერებით.

5. ვინაიდან ღმრთის სიტყვითა და ლოცვით განიწმინდება.

6. ამას ასწავლიდე ძმებს, და იქნები კეთილი მსახური იესო ქრისტესი, ნასაზრდოები რწმენის სიტყვითა და კეთილი მოძღვრებით, რომელსაც შეუდეგ.

7. ხოლო ბილწთა და დედაბერთა ზღაპრებს ერიდე, და ღვთისმოსაობაში გაიწვრთენ თავი.

8. რადგან სხეულის წვრთნა ცოტა რამეში თუ წაგადგება, ხოლო ღვთისმოსაობა ყოველმხრივ სასარგებლოა, რაკიღა აქვს აღთქმა აწინდელი სიცოცხლისაც და მერმისისაც.

9. სარწმუნოა ეს სიტყვა და ღირსი ყოველგვარი შეწყნარებისა.

10. რადგან იმიტომ ვშრომობთ და ვიგმობით, რომ ვესავთ ცოცხალ ღმერთს, რომელიც არის ყოველი კაცისა და, მით უმეტეს, მორწმუნეთა მხსნელი.

11. ამას ამცნებდე და ასწავლიდე.

12. დაე, ნურავინ შეურაცხყოფს შენს სიჭაბუკეს, არამედ ნიმუშად ექმენ მორწმუნეთ სიტყვით, ქცევით, სიყვარულით, სულით, რწმენით, სიწმიდით.

13. ვიდრემდე მოვალ, გამუდმებით იკითხე, შეაგონე, დამოძღვრე.

14. ნუ უგულებელყოფ შენთვის მონიჭებულ მადლს, რომელიც მოგეცა წინასწარმეტყველებითა და ხუცობის ხელთდასხმით.

15. ამისთვის იზრუნე, და ასე იყავი, რათა შენი წარმატება ცხადი შეიქნეს ყველასთვის.

16. ჩაუღრმავდი შენს თავს და მოძღვრებას; დამკვიდრდი მათში: რადგან ამის მოქმედი თავსაც იხსნი და შენს მსმენელთაც.

თავი მეხუთე

1. ხანდაზმულს ნუ ჰრისხავ, არამედ შეაგონე, როგორც მამას, ხოლო ჭაბუკებს — როგორც ძმათ,

2. დედაბრებს — როგორც დედათ, ქალწულებს — როგორც დათ, მთელი სიწმიდით.

3. ქვრივ ქალებს პატივი ეცი, ჭეშმარიტ ქვრივებს.

4. ხოლო თუ ქვრივს შვილები ან შვილიშვილები ჰყავს, დაე, მათ თავდაპირველად ისწავლონ თავიანთი სახლის პატივისცემა, და სანაცვლო მიაგონ

მშობლებს, რადგან ეს სათნო უჩანს ღმერთს.

5. ჭეშმარიტი ქვრივი და მარტოხელა ღმერთს ესავს და ლოცვა-ვედრებაში ატარებს ღამეს და დღეს.

6. ხოლო ფუფუნებაში ჩაფლული ცოცხლადვე მკვდარია.

7. ეს ამცნე მათ, რათა უბიწონი იყვნენ.

8. ხოლო თუ ვინმე თავისიანთა და, მით უმეტეს, სახლეულთათვის არ ზრუნავს, რწმენის უარმყოფელია და ურწმუნოზედაც უარესი.

9. ქვრივად შეიძლება შეირაცხოს, ვინც არანაკლებ სამოცი წლისაა და ერთნაქმარევი,

10. და კეთილ საქმეთათვის კეთილი მოწმობით შემკული: რომ დაზარდა შვილები, რომ მასპინძლობდა სტუმრებს, რომ ფეხებს ჰბანდა წმიდათ, რომ შეეწეოდა გაჭირვებულთ და გულმოდგინე იყო ყოველი კეთილი საქმის მიმართ.

11. ხოლო ახალგაზრდა ქვრივებს ერიდე, რადგან ქრისტეს ზურგს აქცევენ, და კვლავ გათხოვება სურთ,

12. რისთვისაც სასჯელის ღირსნი არიან, რადგან უარყვეს უწინდელი რწმენა;

13. ეგეც არ იყოს, უქმად ყოფნას ეჩვევიან და კარდაკარ წანწალს; და არა მარტო უქნარანი არიან, არამედ ყბედნიც, ცნობისმოყვარენიცა და უტიფრად მოჭარტალენიც.

14. ამიტომ მინდა, რომ ახალგაზრდა ქვრივები დათხოვდნენ, შვილები გაზრდიან, დიასახლისები გახდნენ და გმობის საბაბი არ მისცენ მტერს.

15. რადგანაც ზოგმა უკვე გადაუხვია, და მიჰყვა სატანას.

16. თუ რომელიმე მორწმუნე კაცს ან ქალს ქვრივი ნათესავები ჰყავს, ხელი შეუწყოს მათ, რათა ეკლესიას არ დაეწვნენ ტვირთად, და შეიძლოს ჭეშმარიტ ქვრივთა შეწევნა.

17. ხუცესნი, რომელნიც კეთილად წინამძღვრობენ, ორმაგი პატივის ღირსნი არიან, მით უმეტეს [illegible] ნიც მუშაობენ სიტყვ[illegible]

18. რადგანაც წერილი იტყვის: პირს ნუ აუკრავ მეკალოე ხარს, და: ღირსია მუშაკი თავისი საზღაურისა.

19. ნუ მიიღებ ხუცესთათვის წაყენებულ ბრალდებას ისე, თუ არ დაისწარი ორი ან სამი მოწმე.

20. შემცოდენი ყველას წინაშე ამხილე, რათა ეშინოდეთ დანარჩენთ.

21. ღმრთისა და უფლის იესო ქრისტესა და რჩეულ ანგელოზთა წინაშე გემუდარები, პირუთვნელად დაიმარხო ეს, და ნურაფერს აღასრულებ მიკერძოებით.

22. ნაჩქარევი ხელთდასხმისაგან თავი შეიკავე, ნუ ეზიარები სხვის ცოდვებს, და წმიდად შეინახე თავი.

23. ამიერიდან მარტო წყალს ნუკი სვამ, არამედ ცოტ-ცოტა ღვინოც იგემე; ეს მოუხდება შენს სტომაქსა და ესოდენ ხშირ სნეულებას.

24. ზოგიერთი კაცის ცოდვანი განკითხვამდეც ცხადნი არიან, ზოგიერთისა კი გაცხადდებიან მხოლოდ შემდეგ.

25. ასევე ცხადნი არიან კეთილი საქმენიც, და თუ ჯერხნობით არ არიან ცხადნი, ბოლოს მაინც ვერ დაიფარვიან.

თავი მეექვსე

1. უღელქვეშ მყოფი მონები ყოველნაირი პატივის ღირსად უნდა რაცხდნენ თავიანთ ბატონებს, რათა სახელი ღმრთისა და სწავლა არ იგმოს.

2. ისინი, რომელთაც მორწმუნე ბატონები ჰყავთ, ნუ შეურაცხყოფენ მათ, ვინაიდან ძმები არიან; არამედ მით უფრო მეტად უნდა ჰმონებდნენ მათ, რომ მორწმუნენი არიან, საყვარელნი და ქველმოქმედნი. ასე ასწავლე და შეაგონე.

3. თუ ვინმე სხვა რამეს ასწავლის, და არ მისდევს უფლის ჩვენის იესო ქრისტეს გონივრულ სიტყვებსა და ღვთისმოსაობის მოძღვრებას,

4. მზვაობარია იგი, არაფრის მცოდნე, და დასნეულებულია დავისა და ცილობის სენით, რომლისგანაც წარმოსდგება შური, განხეთქილება, გმობა, უკეთური ეჭვი,

5. გონებაგახრწნილ კაცთა ფუჭი კამათი, რომელთაც არ გააჩნიათ ჭეშმარიტება და ღვთისმოსაობა სარფიანი საქმე ჰგონიათ: განეშორე ამნაირთაგან.

6. ხოლო ღვთისმოსაობა და თვითმკმარობა მარჯვლაც დიდი შენაძენია.

7. რადგან ამ ქვეყნად არაფერი მოგვიტანია, და, რა თქმა უნდა, ვერც რას წავიღებთ.

8. თუ საჭმელი და ტანსაცმელი მოგვეძებნება, ვიკმაროთ ეს.

9. ხოლო გამდიდრების მოსურნენი საცდურის მახეში ებმებიან, და მრავალი შლეგური, მავნე და კაცთა დამღუპველი და წარმწყმედი გულისთქმის ტყვენი ხდებიან.

10. რადგან ყოველი ბოროტების ფესვი ვერცხლისმოყვარეობაა, რომლითაც გულშეძრული ზოგ-ზოგი შეცდა, რწმენას განუდგა და თავს დაიტეხა ურიცხვი ჭირი.

11. ხოლო შენ, კაცო ღმრთისაო, ერიდე ამას, და მისდიე სიმართლეს, ღვთისმოსაობას, რწმენას, სიყვარულს, მოთმინებას, თვინიერებას;

12. იღვაწე რწმენის კეთილი ღვაწლით, შეიტკბე საუკუნო სიცოცხლე, რომლისთვისაც ხარ ხმობილი, და აღიარე კეთილი აღსარება მრავალი მოწმის წინაშე.

13. გამცნებ შენ ყოვლის [illegible]ლებელი ღმრთისა და ქრისტ[illegible] წინაშე, რომელმაც პონტიუს პილატეს წინაშე იმოწმა აღსარება კეთილი:

14. წმიდად და უბიწოდ დაიმარხე მცნება, უფლის ჩვენის იესო ქრისტეს გამოჩენამდე,

15. რომელსაც თავის დროს გამოაჩენს ნეტარი და ერთადერთი მბრძანებელი, მეუფეთა მეუფე და უფლებათა უფალი,

16. რომელსაც ერთადერთს აქვს უკვდავება, მიუწვდომელ ნათელში მყოფს, რომელიც არ უხილავს არცერთ კაცთაგანს, და ვერც შესძლებს მის ხილვას, ვისიცაა პატივი და ძალი საკუნო. ამინ.

17. მდიდართა ამა ქვეყნისათა ამცნე: ნუ ქედმაღლობენ, და ფუჭი სიმდიდრის იმედი ნუკი ექნებათ, არამედ ცოცხალი ღმრთისა, რომელიც უხვად გვაძლევს ყველაფერს სამხიარულოდ;

18. რათა ყველანი ქველმოქმედებდნენ, კეთილი საქმით მდიდრდებოდნენ, გულუხვნი იყვნენ და გულღიანი,

19. და იუნჯებდნენ კეთილ საფუძველს სამერმისოდ, რათა მიაღწიონ საუკუნო სიცოცხლეს.

20. ო, ტიმოთე, რაც მოგენდო, დაიმარხე, და განეშორე ბილწ ფუჭსიტყვაობასა და ცრუმეცნიერების ცილობას,

21. რაც საქმეც გაიხადა ზოგ-ზოგმა, და აკი განუდგა კიდეც რწმენას. მადლი შენთან. ამინ.

მეორე ტიმოთეს მიმართ

თავი პირველი

1. პავლე, ღმრთის ნებით მოციქული იესო ქრისტესი, სიცოცხლის აღთქმისამებრ ქრისტე იესოში.

2. ტიმოთეს, საყვარელ შვილს: მადლი, წყალობა, მშვიდობა ღმრთისა და მამისა და ქრისტე იესოს, უფლის ჩვენისაგან.

3. ვმადლობ ღმერთს, რომელსაც ვმსახურებ წინაპართაგან წრფელი სინიდისით, იმის გამო, რომ გამუდმებით გიხსენებ ჩემს ლოცვებში, ღამით თუ დღისით,

4. და მსურს შენი ხილვა, ვიხსენებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა შენს ცრემლებს, რათა სიხარულით აღვივსო;

5. მახსენდება შენი უპირფერო რწმენა, რომელიც პირველად დაემკვიდრა დიდედაშენ ლოიდესა და დედაშენ ევნიკესთან, და მწამს, შენთანაც.

6. რისთვისაც შეგახსენებ, განაცხოველო გზნებით ნიჭი ღმრთისა, რომელიც არის შენში ჩემი ხელთდასხმით.

7. რადგანაც არ მოგვცა ჩვენ ღმერრთმა სული მოშიშებისა, არამედ ძლიერების, სიყვარულის და თავდაჭერისა.

8. მაშ, ნუ გრცხვენია უფლის ჩვენის მოწმობისა, და ნურც ჩემი, მისი ტყვისა, არამედ ჩემთან ერთად დაითმინე ბოროტი სახარებისათვის, ღმრთის ძალისამებრ,

9. რომელმაც გვიხსნა ჩვენ და გვიხმო წმიდა ხმობით არა ჩვენთა საქმეთა გამო, არამედ თავისი ნებითა და მადლით, რომელიც საუკუნო ჟამთა უწინარეს მოგვეცა ქრისტე იესოში,

10. და რომელიც აწ გამოჩნდა უფლის ჩვენის იესო ქრისტეს გამოჩინებით, ვინც განაქარა სიკვდილი, და გაანათლა სიცოცხლე და უხრწნელება სახარებით,

11. რომლის ქადაგად და მოციქულადაც ვარ დადგენილი, ისევე როგორც წარმართთა მოძღვრად,

12. და რომლის მიზეზითაც ვევნები ასე, მაგრამ არა მრცხვენია, რადგანაც ვიცი, ვინ ვირწმუნე, და მწამს, რომ ძალუძს საიმღისოდ შეინახოს ჩემი შენავედრი.

13. მისდიე მაცოცხლებელ სიტყვას, რომელიც გესმა ჩემგან ქრისტე იესოში სიყვარულითა და რწმენით.

1. შეინახე კეთილი შენავედრი სულით წმიდით, რომელიც მკვიდრობს ჩვენში.

15. შენ იცი, რომ ყველა ასიელმა მიმატოვა, მათ შორის ფიგელუსმა და ჰერმოგენემ.

16. წყალობა მისცეს უფალმა ონისიფორეს სახლს, რადგანაც მრავალგზის მომიფონა, და სირცხვილად არ უნდა ჩემი ბორკილები.

17. არამედ, რომში ჩამოსული, გულმოდგინედ მეძებდა და მიპოვა კიდეც.

18. უფალმა ქნას, რომ წყალობა ჰპოვოს .უფლის მიერ იმ დღეს; ხოლო რაც ეფესოში მემსახურა, შენ უკეთ იცი.

თავი მეორე

1. მაშ, გაძლიერდი, შვილო ჩემო, ქრისტე იესოს მადლით,

2. და რაც გსმენია ჩემგან მრავალი მოწმის თანდასწრებით, გადაეცი სარწმუნო კაცთ, რომელნიც შეძლებენ ასწავლონ სხვებსაც.

3. მაშ, დაითმინე ჭირი, როგორც იესო ქრისტეს კეთილმა მეომარმა.

4. არცერთი მეომარი არ იკრავს ხელ-ფეხს ცხოვრებისეული საქმით, რათა თავი მოაწონოს მხედართმთავარს.

5. და თუ ვინმე ომობს, ვერ გახდება გვირგვინის ღირსი, თუკი არარჯულიერად ომობს.

6. მიწის მუშაკმა პირველმა უნდა იგემოს ნაყოფი.

7. დაუფიქრდი, რას გეუბნები, რადგანაც ღმერთი მოგცემს შენს ყოვლის გაგების უნარს.

8. გაიხსენე იესო ქრისტე, დავითის მოდგმისაგანი, მკვდრეთით აღმდგარი ჩემი სახარებისამებრ,

9. რომლისთვისაც ვევნები, თვით ბორკილებამდე; მაგრამ ღმრთის სიტყვას ვერ დაადებ ბორკილს.

10. ამიტომაც ყველაფერს ვითმენ რჩეულთა გულისათვის, რათა მათაც ჰპოვონ ხსნა ქრისტე იესოში საუკუნო დიდებით.

11. სარწმუნოა სიტყვა: თუკი მასთან ერთად მოკვდით, მასთან ერთადვე ვიცოცხლებთ.

12. თუკი დავითმენთ, მასთან ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თად გვექნება სუფევა: თუ განვუდგებით, ისიც განდგება ჩვენგან.

13. თუკი არ ვირწმუნებთ, ის მაინც სარწმუნოა, რადგანაც თავის თავს ვერ განუდგება.

14. ეს შეახსენე მათ, და უმოწმე უფლის წინაშე, ნუ დაიწყებენ სიტყვებით ჭიდილს, რომელიც არას გვარგია, და მსმენელებს კი ჩამოგვაცილებს.

15. ეცადე რჩეულად წარუდგინო თავი ღმერთს, პირნათელ მუშაკად, ჭეშმარიტების სიტყვის სარწმუნოდ მქადაგებლად.

16. ხოლო ბილწ ფუჭსიტყვაობას ერიდე: რადგანაც უფრო გაღრმავდება მათი უღმერთოება.

17. და სიტყვა, მათი როგორც სირსვილი, საძოვარს პოვებს, როგორც მაგალითად, ჰიმენეოსის და ფილეტოსისა:

18. რომლებიც განუდგნენ ჭეშმარიტებას, და ამბობენ, რომ აღდგომა უკვე იყო, და, ამრიგად რწმენას უხშობენ მავანთ.

19. ხოლო ურყევი საფუძველი ღმრთისა მტკიცეა, და აქვს ეს ბეჭედი: იცის უფალმა, რომელნი არიან მისნი: და: განეშოროს უსამართლობას ყველა, ვინც აღიარებს სახელს უფლისას.

20. ხოლო დიდ სახლში ჭურჭელი არა მარტო ოქროსია და ვერცხლის, არამედ ხისა და ეიხისაც: ზოგი საპატიოდ სახმარი, ზოგიც უპატიოდ.

21. თუ ვინმე განიწმენდს თავს ყოველივე ამისაგან, საპატიო ჭურჭელი იქნება, განწმენდილი და უფლისთვის კეთილსასურველი, ყოველი კეთილი საქმისათვის სახმარი.

22. ხოლო სიჭაბუკის გულისთქმათაგან ილტვოდე: მისდიე სიმართლეს, სარწმუნოებას, სიყვარულს, მშვიდობას ყველა მათგანთან ერთად, რომელნიც წმიდა გულით უხმობენ უფალს.

23. შლეგურსა და უგუნურ ძიებებს ერიდე: იცოდე, რომ ისინი იწვევენ სიტყვიერ ბრძოლებს.

24. უფლის მონას კი არ შეშვენის სიტყვით ბრძოლა, არამედ ალერსიანი უნდა იყოს ყველას მიმართ, დამმოძღვრავი, ჭირთამთმენი.

25. თვინიერებით უნდა ასწავლიდეს წინააღმდგომთ, ეგების მისცეს მათ უფალმა სინანული ჭეშმარიტების შესამეცნებლად,

26. და თავი დააღწიონ ეშმაკის მახეს, რომელმაც შეიპყრო ისინი თავისი ნებით.

თავი მესამე

1. ხოლო ეს იცოდე, რომ უკანასკნელ დღეთა დადგომისას მოიწევა ბოროტი ჟამი:

2. რადგანაც კაცნი იქნებიან თვითმოყვარენი, ვერცხლისმოყვარენი, ქედმაღალნი, ამპარტავანნი, მგმობელნი, დედ-მამის ურჩნი, უმადლონი, უღირსნი,

3. კაცთმოძულენი, გულღრძონი, მაბეზღარნი, აღვირახსნილნი, გულმხეცნი, სიკეთის მოძულენი,

4. გამცემნი, თავხედნი, მზვაობარნი, უფრო მეტად განცხრომის მოყვარენი, ვიდრე ღმერთისა,

5. მოსაჩვენებლად ღვთისმოსაობის მსახურნი, მაგრამ მისი ძალისაგან განდგომილნი: მათგან შორს დაიჭირე თავი.

6. რადგანაც ამათთაგანნი არიან, ზაკვით რომ იპარებიან სახლებში, და აცთუნებენ ცოდვით დამძიმებულსა და სხვადასხვა ვნებით შეპყრობილ ქალებს;

7. ერთავად რომ სწავლობენ, და ვერსაგზით კი ვერ აღწევენ ჭეშმარიტების შემეცნებას.

8. როგორც იანე და იამბრე უპირისპირდებოდნენ მოსეს, ისე ესენი უპირისპირდებიან ჭეშმარიტებას: გონებაგახრწნილი კაცნი, სარწმუნოების უმეცარნი:

9. მაგრამ ბევრს ვერაფერს მიაღწევენ, რადგან ამათი უგუნურება ისევე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადი გახდება ყველასთვის, როგორც იმათი.

10. შენ კი გამოჰყევ ჩემს მოძღვრებას, სარბიელს, განზრახვას, რწმენას, დიდსულოვნებას, სიყვარულს, მოთმინებას,

11. დევნილობას, ვნებას, რაც დავითმინე ანტიოქიაში, იკონიაში, ლისტრეში და ყველაფრისგან მიხსნა მე უფალმა.

12. ყველა, ვისაც სურს ღვთისმოსაობით იცხოვროს ქრისტე იესოში, დევნილი იქნება აგრეთვე.

13. ხოლო უკეთური კაცნი და გრძნეულნი უარესს მოიმოქმედებენ: სხვებსაც აცთუნებენ და თავადაც შეცდებიან.

14. შენ კი დამკვიდრდი იმაში, რაც გისწავლია და გიწამებია; იცოდე ვის მიერა ხარ განსწავლული.

15. ეგეც არ იყოს, სიყრმითვე იცნობ საღმრთო წერილს, რომელსაც ძალუძს შენი გაბრძნობა, რათა ცხონდე რწმენით, ქრისტე იესოში.

16. მთელი წერილი ღმრთივსულიერია და სარგო — სამოძღვრებლად, სამხილებლად, გამოსასწორებლად და სიმართლის სასწავლელად,

17. რათა სრულქმნილი იყოს ღმრთის კაცი, ყოველი კეთილი საქმის აღსასრულებლად გამზადებული.

თავი მეოთხე

1. ამრიგად, მოგიწოდებ შენ ღმრთისა და უფლის იესო ქრისტეს წინაშე, რომელნიც განიკითხავს ცოცხალთაც და მკვდართაც მისი გამოჩინებისა და სუფევისამებრ:

2. იქადაგე სიტყვა, თავს ადექ დროულად თუ უდროოდ, ამხილე, შერისხე, შეაგონე მთელი დიდსულოვნებითა და მოძღვრებით,

3. რადგანაც დადგება დრო, როცა აღარ გაიზიარებენ ცხოველმყოფელ მოძღვრებას, არამედ თავიანთი ჟინისამებრ შეკრებენ მოძღვრებლებს, [illegible] სიტყვები საამოდ ელამუნოს მათ სმენას.

4. ყურს აღარ ათხოვებენ ჭეშმარიტებას, და მიუბრუნდებიან ზღაპრებს.

5. მაგრამ შენ ფხიზლად იყავი მარადჟამ, დაითმინე ბოროტი, აკეთე მახარებლის საქმე, და კეთილად აღასრულე მსახურება შენი.

6. რადგან მე უკვე მსხვერპლად ვიწირები, და მოახლოვდა ჩემი მიქცევის ჟამი.

7. კეთილი ღვაწლი მომიღვაწავს, სარბიელი გამილევია, რწმენა შემინახავს.

8. ამიერიდან მომელის სიმართლის გვირგვინი, რომელსაც მომცემს უფალი, მართლად გამკითხე, იმ დღეს; და არა მარტო მე, არამედ ყველას, ვინც შეიყვარა გამოჩინება მისი.

9. უცადე მალე მოხვიდე ჩემთან,

10. რადგანაც დემასმა მიმატოვა, შეიყვარა ეს საწუთრო და წავიდა თესალონიკეში, კრესკე — გალატეას, ტიტე — დალმაციას, ლუკაღა დარჩა ჩემთან.

11. მარკოზი დასძარი და მომგვარე, რადგანაც მჭირდება სამსახურებლად.

12. ტიქიკოსი ეფესოს წარვგზავნე.

13. წამოსვლისას წამომიღე მოსასხამი, ტროაში რომ დავტოვე, კარპოსსთან; აგრეთვე წიგნები, მეტადრე ტყავისა.

14. ალექსანდრე მჭედელმა სიცოცხლე გამიმწარა; მისი საქმისამებრ მიაგებს უფალი.

15. შენც ერიდე, რადგან თავგამოდებით აღუდგა წინ ჩვენს სიტყვებს.

16. ჩემი პირველი თავის მართლებისას არავინ ამომიდგა მხარში, არამედ ყველამ მიმატოვა; ნუ მოეკითხება მათ.

17. მაგრამ უფალი დამიდგა გვერდით და განმამტკიცა, რათა ჩემს მიერ აღსრულდეს ქადაგება, ისმინოს ყველა წარმართმა, და თავი დავაღწიო ლომის ხახას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. და დამიხსნის მე უფალი ყოველი ბოროტი საქმისაგან, და მაცხონებს თავის ზეციურ სასუფეველში; მისია დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

19. მოკითხვა გადაეცი პრისკილას და აკვილას, და ონესიფორეს სახლს.

20. ერასტე კორინთოში დარჩა, ხოლო ტროფიმე მილეტოსში დავადებული.

21. ეცადე ზამთარს დაასწრო მოსვლა. მოგიკითხავენ ევბულე და პუდე და ლინოსი, კლავდია, და ყველა ძმანი.

22. უფალი იესო ქრისტე იყოს შენს სულთან. მადლი თქვენდა. ამინ.

ტიტეს მიმართ

თავი პირველი

1. პავლე, მონა ღმრთისა, მოციქული იესო ქრისტესი, ღმრთის რჩეულთა რწმენისა და ჭეშმარიტების ცოდნისამებრ, რომელიც არის ღმრთისმოსაობის თანახმად,

2. საუკუნო სიცოცხლის სასოებით, რომელიც აღგითქვა უტყუარმა ღმერთმა საუკუნო ჟამთა უწინარეს,

3. ხოლო თავის დროს ქადაგებით გამოაცხადა სიტყვა თვისი, რომელიც მომენდო მე მაცხოვრის ჩვენის, ღმერთის ბრძანებით, —

4. ტიტეს, ჭეშმარიტ შვილს საერთო რწმენისამებრ: მადლი, წყალობა, მშვიდობა ღმრთისა და მამისა და იესო ქრისტეს, მაცხოვრის ჩვენის მიერ.

5. იმიტომ დაგტოვე კრეტეს, რომ დასამთავრებელი დაასრულო, და ხუცესნი დაადგინო ყველა ქალაქში, როგორც გიბრძანე:

6. ვინც უბიწოა, ერთი ცოლის ქმარი, და მორწმუნე შვილების მამა, რომლებსაც ვერავინ დასდებს ბრალად ბილწებასა თუ ურჩობას,

7. რადგანაც ეპისკოპოსი უბიწო უნდა იყოს, როგორც მნე ღმრთისა: არა თავხედი, არა გულმწყრალი, არა მემთვრალე, არა შფოთისთავი, არა ანგარი,

8. არამედ სტუმართმოყვარე, სიკეთისმოყვარე, თავდაჭერილი, მართალი, ღმრთის მოსავი, მტკიცე,

9. სარწმუნო სიტყვის მიმდევარი მოძღვრებისამებრ, რათა ჯანსაღი მოძღვრებით შეეძლოს შეგონება და ურჩთა მხილება.

10. რადგან ბევრია ურჩიც, ფუჭმეტყველიცა და გონებამაცდურიც, უმეტესწილად წინადაცვეთილთაგან,

11. რომელთაც უნდა ავუკრათ პირი, რადგანაც რყვნიან მთელს სახლებს, და ასწავლიან იმას, რასაც არ უნდა ასწავლიდნენ, სასირცხვო ანგარებით.

12. ერთმა მათგანმა, იქაურმა წინასწარმეტყველმა თქვა: კრეტელნი ყოველთვის ცრუნი არიან, მძვინვარე მხეცნი, უქმი მუცელნი.

13. ეს მოწმობა ჭეშმარიტია. ამიტომ ამხილე ისინი მკაცრად, რათა მრთელნი იყვნენ რწმენაში,

14. ყურს ნუ ათხოვებთ იუდეველთა ზღაპრებსა და ჭეშმარიტებისაგან განდგომილ კაცთა მცნებებს.

15. რადგან წმიდათათვის ყველაფერი წმიდაა, ხოლო ბილწთა და ურწმუნოთათვის არა არის რა წმიდა, არამედ შებილწულია მათი გონებაცა და მათი სინიდისიც.

16. სიტყვით აღიარებენ, ხოლო საქმით უარყოფენ ღმერთს, ბილწნი, ურჩნი და ყოველი კეთილი საქმისათვის ურგებნი.

თავი მეოთხე

1. ხოლო შენ ილაპარაკე ის, რაც შეშვენის ჯანსაღ მოძღვრებას:

2. დაე, ხუცესნი ფხიზელნი იყვნენ, ღირსნი, წმიდანი და რწმენით, სიყვარულითა და მოთმინებით ჯანსაღნი,

3. მოხუცებული დედანიც ისეთნი იყვნენ, როგორც შეშვენის წმიდათ: არა მაბეზღარნი, არა ღვინოს დამონებულნი, არამედ სიკეთის მოძღვარნი,

4. რათა შეაგონებდნენ ყმაწვილ ქალებს, უყვარდეთ ქმრები, უყვარდეთ შვილები,

5. კეთილგონიერნი იყვნენ, უბიწონი, მეოჯახენი, კეთილნი, თავიანთი ქმრების მორჩილნი, რათა არ იგმობოდეს ღმრთის სიტყვა.

6. ჭაბუკებსაც ასევე შეაგონე, რომ კეთილგონიერნი იყვნენ.

7. ყველაფერში კეთილი საქმის ნიმუშად წარმოაჩინე თავი, წმიდად, უხრწნელად, ღირსეულად, მოძღვრებისამებრ.

8. ილაპარაკე ცოცხლად, უგმობლად, რათა წინააღმდგომს შერცხვეს, და ცუდი ველარაფერი თქვას ჩვენზე.

9. მონები თავიანთ ბატონებს დაემორჩილონ, სათნო ეყონ მათ ყველაფერში, ნუ შეუბრუნებენ სიტყვას,

10. ნუ მოიპარავენ, არამედ ავლენდნენ მთელს კეთილ ერთგულებას, რათა სრულად შეამკონ მაცხოვრის ჩვენის მოძღვრება.

11. რადგანაც მხსნელი მადლი ღმრთისა და ყველა კაცისათვის გამოჩნდა,

12. ჩვენდა სამოძღვრებლად, რათა უარვყოთ უღმრთოება და ამქვეყნიური გულისთქმანი, და სიწმიდით, სამართლით და ღმრთისმოსაობით ვიცხოვროთ ქვეყნად,

13. და მოველოდეთ ნეტარ სასოებასა და დიადი ღმერთისა და მაცხოვრის ჩვენის იესო ქრისტეს დიდების გამოჩინებას,

14. რომელმაც მისცა თავი თავისა ჩვენთვის, რათა ვეხსნენ ყოველ უსჯულოებისაგან, და რათა განეწმიდა თავისთვის ხალხი რჩეული, გულმოდგინე კეთილ საქმეთა მიმართ.

15. ამას ამბობდე, შეაგონებდე და ამხილებდე მთელი მბრძანებლობით; ნურც ნურავინ შეურაცხგყოფს შენ.

თავი მესამე

1. შეახსენე მათ, დაემორჩილონ მთავრობათა და ხელმწიფებათ; დაე, იყვნენ მორჩილნი და ყოველი კეთილი საქმისათვის გამზადებულნი;

2. ნურცა ვის ჰგმობენ, უშფოთველნი იყვნენ, კეთილმოსურნენი, და ყოველი კაცის მიმართ იჩენდნენ თვინიერებას.

3. რადგან ოდესღაც ჩვენც უგონონი ვიყავით, ურჩნი, შეცდომილნი, და ვმონებდით გულისთქმათა და სხვადასხვაგვარ განცხრომას, ბოროტებასა და შურში დანთქმულნი, ბილწნი და ერთურთის მოძულენი.

4. ხოლო როდესაც გამოჩნდა სიტკბოება და კაცთმოყვარეობა მაცხოვრის ჩვენის, ღმრთისა,

5. მან გვიხსნა ჩვენ არა მართალ საქმეთა გამო, რომელნიც აღვასრულეთ, არამედ თავისი წყალობით, ხელახლა შობის განბანითა და სულის წმიდის მიერ განახლებით,

6. რომელიც უხვად მოგვფინა მაცხოვრის ჩვენის იესო ქრისტეს მიერ,

7. რათა მისი მადლით გამართლებულთ სასოებისამებრ დაგვემკვიდრებინა საუკუნო სიცოცხლე.

8. სარწმუნოა სიტყვა; და მინდა, რომ შენ დაამტკიცო ეს, რათა ირწმუნონ ღმერთი და ეცადონ კეთილ საქმეთა ქმნას; რადგანაც ეს კეთილი და სარგოა კაცთათვის.

9. ხოლო უგუნურ კვლევა-ძიებას, გვარტომობის ამბავთა ჩხრეკას, შუღლსა

ქართული ბიბლიოთეკა

და შეხლა-შემოხლას თავი არიდე, რადგან ყოველივე ეს ურგებია და ამაო.

10. მწვალებელ კაცს ერთი თუ ორი შეგონების შემდეგ განეშორე;

11. იცოდე, რომ გარყვნილია და სცოდავს, თავისივე თავის მიერ დასჯილი.

12. როდესაც წარმოვგზავნი შენთან არტემასს და ტიქიკოსს, გამოეშურე ჩემსკენ, ნიკოპოლისს, რადგანაც იქ გადავწყვიტე გამოზამთრება.

13. ძენასს, რჯულის მოძღვარსა, და აპოლოსს რომ წარმოგზავნი, ეცადე არაფერი მოაკლდეთ.

14. დაე, ჩვენებმაც ისწავლონ კეთილ საქმეთა ქმნა, მათივე საჭიროებისათვის, რათა არ იყვნენ უნაყოფონი.

15. მოგიკითხავენ ყველანი, ჩემთან მყოფნი. მოიკითხე, ვისაც ვუყვარვართ ჩვენ რწმენით. მადლი ყველა თქვენგანთან. ამინ.

თარგმანი ძველბერძნულიდან

შემდეგ ნომერში: პავლე მოციქულის ეპისტოლენი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ემზარ კვიტაიშვილი

აუწდენელი

(წლობით ნაგროვები)

ვინძლო, გამიჭრა, ხერხო ნაცადო.
ნელ-ნელა, დუმილს ღვთისას
ვგებულობ.
ეგებ შეგბრალდე და დამაცადო,
სვევ წინასწარო და წაგებულო.

რაც უგემნია თვალთა და ბაგეთ —
ყველა სიამის, სიტკბოს ნაზავი;
ყოვლის, რაც დღემდე ამკეთ და აქეთ,
მე ვარ ჩამკეტი და ჩამრაზავი.

ფიქრიც რომ ვერ ფრენს, მე იქ
ავსულვარ,
ქუსლებს, დახეთქილს, მიწა ეცლება,
იქ ვერ მომაგნოს—ბილწმა, ავსულმა,—
ბოროტს ნათელში არ გაეძლება.

თქვან, მოქცეულა დროის გარეთო,
დარჩეს უძრავი და დაუმპალი,
შევძლო, როგორმე ხრწნას ავარიდო —
კუნწულა ბლის და ყურძნის კუმპალი.

ამ საოცრების თქვენ იყოთ მჭვრეტი —
ჩამკვრივებული ვარდის კოკრები,
ათასი წლისა ან თუნდაც მეტის,
გავდეს ნამიანს, ახლად მოკრეფილს.

მზე უბზინავდეს ლოყაზე მაყვალს,
შერჩეს ცის მადლი და ნაუბარი,
არარა იმის არ ჯობდეს ნახვას,
არ ჩანდეს კვალი ზედ ნაობარი.

ზაფხულს თავისი წილი მიაგე,
ხურტკმელის კანში ჩასმულო ზოლო,
სამოთხის ვაშლმა იწყოს ციაგი
და თოთო ლალი—გაბრწყინდეს ჟოლო.

ტოკავს მდინარე მწვანეზვირთება,
რკინიგზის პირას ღვივის ძახველი.
თავს არ გაწონებს,
მას არ ჭირდება —
არც მაქებარი, არც დამძრახველი.

აგნებ მწვანეში ჩაკიდულ გიშერს,
გულს, აგორებულს, თან ავსებ, თან
— ცლი.
ცერზე შემდგარა,
ბრტყელ გვირგვინს გიშვერს,
ჩაშავებული, წერწეტა ანწლი.

ღარიბ ჩარჩოში ვით ჩავაჯინო
თქმული ბუნების უკვდავ ენაზე;
ციხის ნაშალთან გახდეს საჩინო
რტო დაწინწკლული ძაღლყურძენასი.

მე სასწაულთა ცქერით ავად ვარ,
შიშინებს ტანში ტანჯვა მარადი..
ეზოს, წართმეულს, როგორ წავართვა—
ცა, დაკენკილი ბალამწარათი.

დუღილი მაჭრის... ვერცრამ დაღალოს
სიცოცხლის ღარი — ჭიპი თუ ყუნწი;
ჩაჭიდებია მიწას აყალოს,
ხარობს მოცხარი — იგივე ხუნწი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანამდე სათქმელს მიზანში ტყორცნი,
უნდა შემართულს გავდე მშვილდისარს,
იმარჯვე, ვიდრე შეფერა ხორცნი
მსუყე სირბილემ წვნიან შვინდისა.

მორცხვობას ამხელს, ატმისას რო გავს,
სიწითლე, ქალის ლოყებს აკრული...
ყუჩდება, რეკავს,
გუბდება, როკავს —
სისხლი, ძარღვებში ნაყონ-ნაქროლი.

ტოტზე ატმები — სიზმარი ხისა —
(მიხვდები, ფერიც, ზოგჯერ, ხაზია),
გაუქანებლად დავტოვო ისე,
როგორც პომპეის ერთ ფრესკაზეა.

დავჯერდებოდი მათ ცქერას სულაც...
ერთს — გაჭრილს — კურკა უჩანს
მალული:
წარმოუდგენლად აცოცხლებს სურათს
ფოთლები — ვიწრო და მორკალული.

ხილთან — დაბალი ბროლის გრაფინი,
ველარ გავცლივარ დაცლილს შუამდე...
ლიცლიცებს ჭავლი, მიგან ნაფენი,
მაშვრალს წყურვილი რომ დაუამდეს.

რამდენს დაფერფლავს მშვენება მუნჯი,
გამქრალ ოსტატის თვალწინ შობილი:
საღებავები, კირწყალი, ფუნჯი —
ორი ათასი წლის შეშრობილი...

მე არ შევირევ ფერებს ჭყეტელას,
დაველოდები ამინდს უქაროს;
დაუღამებლად,
განუწყვეტელად. —
იდინოს სხივმა და იმშუქაროს.

აცხადებული, უცხო სურვილი —
თხელ პერგამენტზე ანდა ტილოზე —
უნდა დატოვო დაუურველი, —
ასცდეს სიცივე მარმარილოსი.

მაინც სხვაგვარად მაფორიაქებს,
დანატოვარი უსახელოთა;
მათ ხსოვნას პატივს არვინ მიაგებს,
არც უნაღვლიათ, თუ რა ელოდათ.

ჩვენივე თავის ვართ მესაჭეენ...
გარს ვუვლით, ვჯიჯგნით — [illegible]
მარჩენალს.
დავიწყებისთვის შექმნილს, გაჩენილს—
ეგებ უცნობად უჯობს დარჩენა.

II

მე ვცხოვრობ ქვეყნად, თითქოს არ
ვიყო —
შეუმჩნეველი ღობის ფიცარი,
მერჩივნა, სული ცად გამპარვიყო,
ისედაც აღარ მეთქმის მღვიძარი.

დავხურე ხსოვნა, სად ულეველი
დამარხულია — ხატნი, სახენი...
იქვე შრიალებს ჩემი ტყე-ველი,
საუფლო ჩემი არგასახუნი.

მკერდდასვრეტილი, მტირალი უხმოდ,
ფიქვი ტანადი ამოიფსა...
დახტის, შეიცნო კალიამ რუხმა
ჟამი მოსავლის და სიმწიფისა.

რად ფეთქავს ნეტა ფრინველი ღამის,
ვის გასაგონად კვნესის ოლოლი...
ბოლი ავარდეს ბროწეულს ლამის,
შუშხავს ლეღვის კანს რძე მოწოლილი.

მინახავს — როგორ ორთქლდება, დნება
დაკერებული ცას ასპიროზი...
უფლის ხელია და უფლის ნება,
რასაც სისრულე ახლავს სფეროსი.

რას ითხოვს ამდენს არარას მდომი...
ვიცით, ხომ რჩება ქვიშა ქვიშადვე...
არც მე დამეტყოს ნიშანი კვდომის,
თავ-პირი, ყელი არ გამიშავდეს.

ვერ დავინახე ვერსად საშველი
და ახირებულს ავყევი წადილს;
აჯობებს, რახან ფუჭად დავშვერი,
წრეში ჩავტოვო ფერ-ხორცი ხრწნადი.

ბნელ წიაღს ჩემივ თითებით მოვთხრი,
მოგნახავ ყოვლის ძირო, დედანო;
ეგებ გადარჩეს სტრიქონი ოთხი —
შიგ ჩავეშენო და ჩავეტანო.

ეგულებოდეს გამცემი ხმისა,
მარტო არ დარჩეს სიტყვა ჰაერთან;
ფუძეა ჩემი, დავეძებ ვისაც,
რასაც დავშორდი, მას შემაერთონ.

ლორად გამოშრეს მუცელი — რუმბი,
მარჯანი წითლად უნდა შეღებო...
არ გამაკარო შმორი და წუმპე,
არ შეყვეს წყაროს — დუჟი, ლეყეპო...

ცა დამითმია, ზღვა დამითმია,
ბალახი — მიწის თმა — დამითმია,
რომ ერეკება შიგნეულს გარეთ,
გარეტებული ჩემი რიტმია.

ვნებივრობდე და ვიყო ვნებული,
რომ ტანში მეჯდეს ტანჯვა და შვება;
ერთად — კეთილი, გაავებული —
რომ ბუდეს ჩემსას მოვწყდე და ვება.

წავშალო ზღვარი — ზმანება, ცხადი...
ვჰვრეტდე ჯოჯოხეთს სამოთხის კარად...
ცეცხლმოდებული, მარადი ხვატი
გავყინო, გავდეს დეკემბერს მარადს.

იტყვიან, რითი ვეღარ გაძღაო..
გამჩენს, დალოცვილს, ჰქონდა რა ძალა,
რომ ვერ დაცალა ჩემი საწყაო
და სულის მოთქმა არ დამაცალა.

არც სალოცავად ვარ ...
არც მიმდევარი — ...
მარცხდება მუდამ, როდის ყოფილა —
უკვდავისათვის ეჯობნოს მოკვდავს.

სულიერს რაღა არ ემუქრება;
ხან — დანის წვერი,
ხან — თოფის ლულა..
ხიფათთან სენიც კლავს და უქრება
მზე დაწურული. ასედაც თქმულა:

გარდუვალს ვერვინ გახდის საცილოს...
ან თავი თვითონ ამოიჭამო,
ან წლებმა უნდა დაგინაწილოს
და შეისრუტოს თაფლი ფიჭამო.

მწუხარებასთან ვინც რო დაწინდეს,
სად გაექცევა მარწუხს აწინდელს,
თავს ნუ იტყუებს,
იფიქროს კაცმა —
წრეს შემოვლებულს, არ გადაცილდეს.

სცოდავდი, აღარ გინდა სცოდავდე,
ჩაგენგრას მკერდი და დაცოტავდე;
მაინც დაგრჩება ზღვა საწადელი,
რაგინდ იბორგო,
რაგინდ შფოთავდე..
დაკვირვებიხარ გრილ შემოდგომას?!..—
შენც, შეეცადე, ისე მოთავდე.

გოჭები ხაშურის ბაზარზე

ზაფხულის ბუღი. მტვრიანი შარა.
ჩაცდები ბოგას და... ბაზარია.
გაბრუვდი. გიჯობს გაბრუნდე ჩქარა..
რასაც აქ ხედავ, შესაზარია.

ერთად დადიან — ბრუნდი, მართალი,
ათქვეფილია ძაღლი და კატა..
კუჭ-მაჭი ქათმის, წვივი არტალის,
ერთად აწყვია შაშხი და ქადა.

გვერდს ვერ აუქცევ ფხიზელს და ნასვამს,
შერეულია — საზამთრო, ნესვი,
გადაბმულია თოკი და თასმა,
არეულია ტახი და ნეზვი.

დაკიდებულნი თავქვე, შვეულად —
კოჭებგაკრული თეთრი გოჭები...
(ღვთის რისხვისაგან ვინ დაზღვეულა —
ყველგან თუხთუხებს თითო კოჭობი).

მიწაზე დასთრევთ ფეხები წინა,
შეგინთო ცეცხლი ჭყვირილმა მათმა,
ამდენიაო ცოცხალი წონა —
ასახელებენ კილოს თუ ბათმანს.

ვაი, თვალებში ჩამდგარო ბინდო..
უკვირთ — სად დარჩა დრო საამური:
მოწყვეტილთ დედის ძუძუს და მინდორს,
ელით მდუღარე, თონის ალმური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაოგნებული გზას როგორ იგნებს...
მნატვრელი ჯგლეთის და ზედახორის,
წართმეულ შვილებს დაეძებს იქნებ —
ჩამესმის ხვნეშა მე დედაღორის.

ადამის ძეო, საქმეა განა —
ამათ წაართვა თხრილი და ტლაპო,
ყელზე. მფეთქავზე. აძგერო დანა,
აძგერებული გულები აპო.

რიგს — დღეს დაკლავენ,
რიგს — დაკოდავენ...
ელიან მუშტარს და შევაჭრებას...
ჯერ ისევ ცოცხლებს. ამ საცოდავებს—
დანაწილებულს ვხედავ ნაჭრებად.

რა საჭიროა სჯა და კამათი,
ხვალ გააწყობენ სუფრას ამათით —
პირში ბოლოკი უნდა ჩაჩარონ..
არადა. შენი ღვიძლია ყველა,
არ შეგიძლია არაფრით შველა,
შენ ურიგდები ამას. ლაჩარო.

ერთი — ნათრევი. განაწვალები,
სხმარტალა. ხელში ძლივს რომ აზიდავ,
დაეჭვებულით მიმზერს თვალებით,
სხვებზე მეტია — სიგრძით. ფასითაც.

ვერ ჩიჩქნის ეზოს, ვერც ყარა ...
ბაჯასთან ვეღარ მივა ახლოს...
წყვილი ნასვრეტი სოველი დინგის
მტვერსღა ისრუტავს, რაღას
დაყნოსავს.

ერთმაც, ჩანს, მკლავი გლეხს მოუდუნა
და ტომრიანა გზის პირას გდია,
შეკავებული ისმის ღრუტუნი —
წინდაწინ აჩვევს პატრონი წყვდიადს.

მეცნო ცხოველის ალღო თუ გეში...
ბეჭებდაფოთლილ, გაბაწრულ ბურვაკს
რას წაადგება ჩემი ნუგეში,
წამყვება მისი ტანჯვა და ურვა.

თვითონაც იცი, ქვეყანავ მკაცრო,
თვალს ვიხვევ განგებ,
არ ვამბობ მთავარს:
ენა და ფეხი ავიდგი რაც რო,
მას მერე სისხლის გუბეში ვდგავარ.

დამაქვს ყოველთა ხვედრი, ზიარი,
ეშმაკმა იცის, სად რა ვიარე,
ვისაც ან რასაც მზე დაუბნელდა,
სუყველა ჩემი საგლოვი არი.

ვნანობ...

ბნელთან, ბოროტთან დანაჭიდარი,
ამბობენ, ღმერთი დიდ არს.
ვიყო ჯაბანი, შეინც ვაჯობებ —
ფულით, ქონებით მდიდარს.

ხევის წანწკარ წყაროს ყინული
მალე დაადებს ბოქლომს...
სახურავებზე გადაინაცვლა
ალვისხეების ოქრომ.

აქ რომ წესები მკვიდრობენ, მტრისას,
ეერაფერს ნახავ სანდოს;
მადლობა უთხარ მზეს, სილამაზე
თუ წამით მოგალანდოს.

რად უშინდები გრიალს ქარისას
ან რამ აგრია აგრე,
ზაფხული, ცხელი და ახვეტილი,
გამცნობს — შენც უნდა გაქრე.

ვისი ვისურვო თავშესაფარი,
ანდა შევჩივლო მე ვის...
როსღა გათავდეს ძრწოლა, წრიალი —
ამ სულის, წასართმევის.

ცას, ნაცვარს, რაღად გამოვეყავი,
ვნანობ, გემდური, თიხავ...
თუ ყოფნა ერქვა, ბევრად მერჩია
იქ, სადაც ადრე ვიყავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოდგომა ელენე აწვლედიანის ეზოში

ღვთის წყრომაა — თქვენი ფუნჯი
უმოძრაოდ იდოს;
ეფერება ნოემბერი
ვაზის ფოთოლს თითოს.

შეიცადოს, რად ქრება
სამოსელი თუთის...
მნახველს ამ საოცრების
თვალი ცად მიუდის.

სთველმა ნაყოფს სიმწიფე
ტანში გაუჯინა;
თქვენს აივანს ზაფრანამ
ცეცხლი გაუჩინა.

მაშხალები აანთო
ნეკერჩხალმა ყღალმა;
ქედმა თრიმლის, ყინყღილა,
დაიხვია ჩალმა.

დაჰკრა სუსხმა, სილამაზე
უღვთოდ ნადგურდება;
ვინ მიაგნოს, სული მისი
სად დასადგურდება.

ვინ დახატოს თქვენსავით
თიხა გამომწვარი,
ან მთაწმინდის კალთაზე
ჩამოყრილი ცვარი.

თქვენს ნახელავს ოქროსი
აქვს ფასი და წონა...
მოგვენატრე, მართლაცდა
დიდო ქალბატონო.

ამ დღეს თქვენი სჭირდება
თილისმა და ჯადო.
სასწაული ერთხელაც,
ვინძლო, დაგვიხატო...

გაქრობის სურვილი

სხვაგვარად მიყვარს ჩემი ქალაქის გამტვერილი,
თავჩაქინდრული ლამპიონები, იქ, მტკვრის გადაღმა,
სქელკედლება სარდაფის სარკმლებში დატანებულნი.
იწვიან, გიწვევენ — იდუმალების გახსნას გპირდებიან.
თუ დარჩენა ისურვე, სამუდამოდ დაგიტოვებენ,
შეეხორცები აბლაბუდებით დაბინდულ ნესტიან თაღებს.
არაფერი არ ჯობია ასე ჩუმად, უკვალოდ გაქრობას.
ვერავინ მოგაგნებს. თან გეცოდინება, რომ არსებობ.
მოსაგონებელი, გასანდობი არავისთან არაფერი გექნება.
ვერავინ შეგიშლის ხელს — შენს საყვარელ გასართობს მიეცე —
გახსნი გრილ ქუთუთოებს: ნეონის შუქზე აკანკალებული,
წვრილი ქუსლებით დაკენკილი ღამის სუნთქვას დააკვირდები...
გათენდება და რა დააღამებსო, იტყვი; დაღამდება და...
ისევ გაცრიატებულ, ნაცრისფერ დილას დაუცდი.
შეუდარებლად ბევრი გამოჩნდება რამდენიმე საცოდავი წელი,
ამ გაწბილებულ, სისხლით გაწებილ მიწაზე რომ დაგრჩენია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ სიხარულიძე

მ ტ ა რ ვ ა ლ ი

(რომანის ნაწყვეტი)

პარკში დიდი სეირნობა დამთავრდა. წეროებივით ანძების თავებიდან საცეკვაო მოედნებზე გადმოკიდებული ნათურები ჩაქრა. ჩაბნელდა ღია ესტრადა. რესტორნები დაკეტეს. თანდათანობით მიწყნარდა ხმაური და ღამემ უფრო მოხერხებულად დაიბუდა პარკში. არყით გაჟღენთილი ხმა ხანდახან სიჩუმეს გახლიჩავდა, უხეიროდ, ნაფლეთებივით იპნეოდა სიმღერები...

პარკის გზიდან მოშორებით, მთვარით განათებულ მდელოზე მარინა დადიოდა. მდელო სქელტანიანი ხეებით იყო შემოზღუდული. ხეებს ტოტები ჩარდახებივით გადაეშალათ გარშემო. ჩარდახის სიბნელეში მიწაზე თომა იჯდა და მარინას უყურებდა. მარინა წინ და უკან დადიოდა, ოქროსფერი, კეფაზე კუდივით გაკრული თმა სიარულისას მხრებზე ელამუნებოდა.

— ვითომ მარტო ვარ, თომა, სულ მარტო და ვსეირნობ ჩემთვის ტყეში... ღამეა, მაგრამ რა მოხდა მერე?.. ვთქვათ, სწორედ ღამით მიყვარს სეირნობა!

— არაფერიც არ მოხდა. ვთქვათ, შენ მთვარის შუქზე გიყვარს სეირნობა და ისეირნე რამდენიც გინდა, — გაიცინა თომამ.

— ვსეირნობ აქ ჩემთვის, შენ კი ვითომ სულ არ მიცნობ, ზიხარ ხის ჩეროში, სიბნელეში და მალულად უთვალთვალებ უცხო გოგონას... გოგო რაღაც უცნაურს აკეთებს!..

მარინა დიდ ბუჩქთან მივიდა, ტოტები გადაშალა და შიგ ჩაიმალა. ცერა თავი ამოჰყო და გაიღიმა.

— რას იფიქრებდი თომა?

— ვიფიქრებდი გოგონას ღამე უყვარს, ბუჩქი უყვარს, კარგ ხასიათზეა და თამაშობს...

— მერე, თომა, რას ეტყოდი გოგონას?

მარინა გაიმართა, ბუჩქმა წელამდე დაფარა. ფართე, ფურფუშელა ქვედატანივით მოდებოდა მარინას ბუჩქი.

— არ შევუშლიდი, — თქვა თომამ, — შორიდან ვუყურებდი, როგორც ახლა, ისე... ან ჩუმად გავიპარებოდი, რომ არ დამეფრთხო გოგონა.

— არა, არ უნდა გაიპარო! — უთხრა მარინამ.

— არ გავიპარებოდი, — თქვა თომამ, — შორიდან ვუყურებდი.

გოგო ბუჩქიდან გამოვიდა და იქვე, ბალახზე დაჯდა. თომას ვერ ხედავდა, სადაც ეგულებოდა — იქით, ხისკენ იყურებოდა.

— მთელი ცხოვრება ასე მინდა ვიყო, — თქვა მარინამ და მოლზე გაწვა.

— მიწა გრილია, — უთხრა თომამ.

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 7.

3. „მნათობი", № 8.

— არ გავცივდები... წარმოიდგინე, რომ სულ აქ ვართ, თომა, მთელი ჩვენი ცხოვრება. მე — ბალახში გახვეული, შენ — ჩემს გვერდით ყოველთვის... ვართ უამრავი წელი. ხან თოვლია, ხან მზე, ან კიდევ თქეში წვიმა მოდის, ჩვენ კი აინუნშიც არ ვაგდებთ ამას, არ გვაწუხებს არაფერი!.. ხეები კი იზრდებიან, იზრდებიან ბუჩქებიც, ბალახიც ჩვენი სიმაღლისა გახდება, აბიბინდება, კენწეროებს ნიავს მიუშვერს ხოლმე... ჩვენ კი, თითქოს ერთი დღეც არ გასულიყოს — ვართ ისევ ძველებურად, მწვანე მოლზე ვნებივრობთ... იცვლება ყველაფერი გარშემო, ჩვენს გარდა ყველაფერი იცვლება...

პარკში ხეები შრიალებდნენ. ქალაქის ქოშინი ყრუდ მოისმოდა შორიდან.

„...თუ შეიცვალა ჩვენი დამოკიდებულება, რისკენ უნდა შეიცვალოს? — უსიამოვნო მოგონებასავით აეკვიატა თომას კითხვა. — რაში შეიძლება გადაიზარდოს ჩემი და მარინას დამოკიდებულება?.. არაფერში არ მინდა გადაიზარდოს, რადგან უკეთესისკენ არ შეიცვლება — არ არსებობს ამაზე უკეთესი...“

იმის გაფიქრებამ, რომ მათ შორის შეიძლება რამე შეიცვალოს, ცუდ გუნებაზე დააყენა ბიჭი.

„ზოგი რამ არ უნდა ვითარდებოდეს და ალბათ ასეცაა — არც ვითარდება!“

— რატომ შორდებიან ზოგიერთები ერთმანეთს? — იკითხა მარინამ.

— ათასი მიზეზია. — უგუნებოდ უპასუხა თომამ.

გოგო წამოჯდა, მუხლებზე კაბა გაისწორა და ბიჭისკენ გაიხედა.

— განშორებისას ყველაზე ძნელი ასატანი ახლობლისგან ცუდის მოსმენაა ალბათ. — ხმამაღლა გაიფიქრა მარინამ. — თომა, ვერ წარმოიდგენია როგორ უნდა მითხრა ცუდი... შეგიძლია ცუდი მითხრა, თომა?

— მოდი ჩემთან, მარინა! — ჩუმად დაუძახა ბიჭმა.

— როგორ უნდა მითხრა, ალბათ ალარ მიყვარხარო? — [illegible] გაუხარდა, რომ წარმოიდგინა — რა ყალბად მოეჩვენებოდა მისგან ეს სიტყვა.

მარინას ლაპარაკი აკვიატებულ ფიქრს ულიზიანებდა თომას.

— თომა, მითხარი ხმამაღლა, რომ არ გინდივარ, მოგბეზრდი, ალარ გიყვარვარ! — შეეხვეწა გოგო.

— ნუ ლაპარაკობ ასე, მარინა! — გაუწყრა ბიჭი.

— მითხარი, რა მოხდება?! — გაიბუტასავით გოგო.

მაღალი ნაძვიდან გირჩა გადმოვარდა, ხმაურით გაირბინა ტოტებში და მათგან ახლოს მძიმედ დაეცა.

— ალარ მიყვარხარ!.. მომბეზრდი!.. არც არასოდეს გნახავ! — თქვა დაღვრემილმა ბიჭმა.

მარინას არ მოეწონა ნათქვამი, თომასთან მივიდა, მიეყრდნო, ალარ თქვაო, — უთხრა.

წამშივე გაუქრა ბიჭს წყენა, გოგოს ხელი მოხვია და მოეფერა.

მდელოზე მკრთალად მოსჩანდა ბილიკად გატკეპნილი მოლი, რომელიც ხეებში იკარგებოდა. ხეებს იქით განათებული ზოლი პარკს სერავდა და გასასვლელისკენ, ქალაქისკენ მიდიოდა.

მდელოს გადაღმა სიბნელეს მიაშტერდა თომა.

უცებ სიბნელიდან, იმ მხრიდან, საითაც ბიჭი იხედებოდა, გასროლასავით გამოვარდა კაცის ბოხი ხმა:

— მტარვალო!.. მოუნგრიე გოგოს სული?

დარტყმასავით უბიძგა ხმამ თომას. ხმა ჩემში გაიწურა, ხეებში გაიწურა, მიწა გადაგლისა, ყველაფერი მოიცვაო, — ეგონა ბიჭს მოულოდნელობისაგან. თმა აებურძგნა, ტანი დაეხორკლა და რაღაცნაირად მოდუნდა.

დაფეთებულმა მარინამ თომას ხელი ჩაავლო და გზისკენ გააქანა. როცა გზაზე გავიდნენ, ბიჭი გოხს მოვიდა, გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯიუტდა, გოგოს ხელი შეაშვებინა და დადგა.

ბუჩქებში რაღაც გაშლიგინდა და გზაზე მაღალი კაცის სილუეტი აიყუდა. ცოცხალი კაცის დანახვამ უცბადვე დაამშვიდა ბიჭი. კაცი მოშორებით იდგა და მთვრალივით ირწეოდა.

— რატომ მოუნგრიე გოგოს სული, მტარვალო? — თქვა მთვრალმა.

უცნობის გრძელი ჩრდილის თავი ფეხსაცმლის წვერზე ეცემოდა თომას. გაოცებისაგან თომას გაეცინა. მერე ახარხარდა.

— იცინის კიდეც?! ჯალათო, ბინძურო ჯალათო! — იყვირა კაცმა.

მთვრალს ნაჯახივით წამახული სახე ჰქონდა.

— წავიდეთ, — თქვა მარინამ, — წავიდეთ!

თომა მხიარულ ხასიათზე დადგა. გოგომ მკლავზე მოქაჩა და გასასვლელისკენ წაიყვანა.

— ნუ ჰკიდებ საცოდავ გოგოს ხელს! — იყვირა კაცმა და დაედევნა.

გოგომ ხელი შეუშვა ბიჭს და ნაბიჯს აუჩქარა.

„მტარვალოს“ ძახილით მთვრალი მათ უკან მობაჯბაჯებდა.

თომამ მარინას ხელი მოხვია.

— არ გაბედო ხელის ხლება, არ გაბედო! მოუნგრია სული და ახლა ხელს კიდებს ისევ! — აღრიალდა კაცი.

ბიჭი გაჩერდა. გაჩერდა მდევარიც. მისი ჩრდილი ისევ ფეხებამდე წვდებოდა თომას.

— რა გინდა ჩემგან? — მხიარულად უთხრა თომამ.

— მტარვალო, საშინელო მტარვალო! — თქვა მთვრალმა.

— გირჩევნია თავი დამანებო, — უთხრა ბიჭმა ღიმილით.

— კიდევაც რომ მაშინებს! ჯალათო, ჯალათო! — სხაპასხუპით მიაყარა აყლაყუდამ.

თომამ მარინას ხელი გადახვია და გზა გააგრძელეს.

— გოგოს ნუ აწამებ, მტარვალო, მე მივაცილებ საწყალს სახლში! — და აყლაყუდა.

პარკის გზაზე წითელი აგურის ღორღი ეყარა. ღორღი ფეხქვეშ თოვლივით ხრაშუნობდა. ზემოდან გზას ნათურებიანი მავთული გასდევდა და სავალი განათებული იყო.

— საითაც ვიყურებოდი, სწორედ იქედან ამოვარდა ხმა და ძალიან შემეშინდა, — ღიმილით უთხრა თომამ გოგოს.

— მე ახლაც მეშინია! — თქვა მარინამ.

— დადექი! შენ გეუბნებიან, დადექი! — ყვიროდა კაცი.

— გასასვლელთან მილიციელი იდგება და თუ არ დამეხსნები, დაგასმენ, იცოდე! — უთხრა თომამ, ისე რომ ნაბიჯი არ შეუნელებია, მხოლოდ თავი მიატრიალა ოდნავ მისკენ.

— რას ეტყვი, მტარვალო?.. იმას ხომ არა, რომ საცოდავ გოგოს გრძნობა გაუთელე? — ნიშნის მოგებით დაეკითხა აყლაყუდა.

— თქვენ ცდებით, ძალიან ცდებით! — სიარულისას უხერხულად შემოტრიალდა მარინა და შეშინებული ხმით უთხრა მდევარს.

— შეაშინე გოგო, შენს ნებაზე ათამაშებ? — შეუყვირა მთვრალმა.

— ვეტყვი მილიციელს და დათვივით გამოგამწყვდევენ გალიაში, ჩვენ კი სანახავად მოვალთ, სწორედ ისე, როგორც ზოოპარკში, — ხუმრობდა ბიჭი.

— ასე ნუ ლაპარაკობ, თომა! — შეეხვეწა გოგო.

— გოგოს გული მოუკალი, ჯალათო!.. ამ დანაშაულზე სასჯელი არაა და ამით სარგებლობ? — იყვირა კაცმა.

— სამაგიეროდ შენისთანებისთვის არსებობს კანონი... ზუსტად ნახევარი თვით პატიმრობა, არც მეტი, არც ნაკლები. მთელი ქალაქის ქუჩებს შენ დაგაგვეინებენ, — უხალისოდ თქვა ბიჭმა, უკვე მობეზრდა ასეთი უაზრო ლაპარაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენთვის მე ვიქნები კანონი! — ისევ იყვირა მთვრალმა.

თომამ პასუხი არ გასცა.

გზამ მარჯვნივ გაუხვია და დასასრულში რკინის მაღალი მესერი და შემოსასვლელი ჭიშკარი გამოჩნდა. შორიდან იქ არავინ ჩანდა. სანამ შემოსასვლელის განათებულ წრეში შევიდოდნენ თომა გაჩერდა და აყლაყუდას მიუტრიალდა. გოგო უკან ამოეფარა.

— დამანებე თავი! — მკაცრად უთხრა ბიჭმა კაცს.

— რატომ მოუნგრიე გოგოს სული, მტარვალო? — მთვრალმაც მკაცრად თქვა.

თომა უხმოდ გატრიალდა.

„მარინას სახლში გავუშვებ და მერე გიჩვენებ სეირს!“ — შეუკურთხა გულში ბიჭმა.

პარკისწინა მოედნის კუთხეში, გრძელ სკამზე მილიციელები ისხდნენ. ისინი ვიღაცა ქალთან საუბარში იყვნენ გართულნი.

მოედნიდან გაჭიმული, განიერი გაზონით ორად გაჩეხილი ფართე ქუჩა მეტროს სადგურს ებჯინებოდა. გამვლელი ცოტა იყო. გოგო და ბიჭი აჩქარებული ნაბიჯით მიდიოდნენ. თითქოს ერთხელ და სამუდამოდ დაკანონებული მანძილის დაშორებით აყლაყუდა ძუნძულით მისდევდა წყვილს და ისევ თავისას გაიძახოდა.

— მარტო უნდა წახვიდე სახლში, ხომ ხედავ, არ მეშვება? — უთხრა თომამ მარინას.

— არ წავალ! — გაჯიუტდა გოგო, — მთვრალს ჭკუა არ მოეკითხება, თომა.

— განა ჩხუბს ვაპირებ?.. უბრალოდ გავიქცევი, დავემალები... შენთან ერთად ხომ არ ვირბენ?

„მართლაც ასე ვიზამ“. — გაიფიქრა ბიჭმა.

— ოღონდ არ იჩხუბო! — სთხოვა მარინამ.

თომას უნდოდა მეტროს მატარებლამდე მიეცილებინა მარინა, მაგრამ იფიქრა — მთვრალი გაბოროტდება, ხელ-ხში ყვირილს დამიწყებს და გოგო მარტო გაუშვა.

მეტროს სადგურს წინ გაჩირაღდნებული გამზირი ჩაუდიოდა. ვიწრო, ბნელი ქუჩები გამზირს შენაკადებივით ერთვოდა. სახლი, სადაც თომა ცხოვრობდა, ამ გამზირის პარალელურ ქუჩაზე იდგა, აქედან არც თუ ისე შორს.

ბიჭმა ყველაზე ბნელი ქუჩა შეარჩია, რომლითაც სახლში მისვლა შეეძლო, განათებული მონაკვეთი სირბილით გადაჭრა და სიბნელეში შევარდა.

აყლაყუდა მოსდევდა, ხარივით დაეხარა კისერი და თითქოს რქებით მოაპობდა სიბნელეს.

— გარბიხარ, ჯალათო, გარბიხარ?! — ჩუმად იძახდა, მაგრამ ქუჩა ცარიელი იყო და მისი ხმა მაინც ესმოდა თომას.

კაცის ქშენა საგანივით ეხახუნებოდა ბეჭებზე თომას. მერე ბიჭი დაიღალა და გაჩერდა. გაჩერდა მდევარიც, ოციოდე ნაბიჯის მოშორებით დადგა.

ქუჩაზე რკინიგზის ხიდი გადიოდა. ხიდის გაგრძელებაზე მიწაყრილი იყო. ცალ მხარეს მიწაყრილს ბოძები გასდევდა. ყოველ ბოძზე ნათურა ეკიდა. რკინიგზაზე კაცი მიდიოდა და რკინის ჯოხით რელსებზე უკაკუნებდა.

— რა გინდა ჩემგან? — მძიმედ თქვა თომამ.

— რატომ აწამე გოგო, ჯალათო? — გაჭირვებით ამოიტანა სიტყვები გადაღლილმა მთვრალმა.

— რა შენი საქმეა?! — იყვირა ბიჭმა.

— მაშ არ უნდა შევიბრალო გოგო?.. ვინ უნდა დაიცვას იგი შენისთანა მტარვალებისგან?.. თუ გინდა, ხელი არავინ შეგიშალოს და შენი ბინძური საქმეები თავისუფლად აკეთო, ა?.. ჯალათო, გინდა არა? — ჩაიცინა კაცმა.

— ხომ ხედავ, ქუჩაში არავინაა! — უთხრა გაცოფებულმა თომამ. — თუ არ მომეშვები, ისე დაგიხეთქავ თავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირს, რომ საკუთარ თავს ვეღარ იცნობ!

— არ მეშინია, არაფრის არ მეშინია!.. მართალი საქმისთვის თავს დავდებ! ვერ მოგართვეს! გეგონა ლაჩარს გადაეყარე? არ შეგეშალოს, მართალი საქმისთვის ტანკს შევუვარდები ქვეშ! — აყვირდა კაცი.

ბიჭმა აყლაყუდას თავზევით ქუჩას გახედა, მერე საწინააღმდეგო მხარეს გაიხედა, ადგილს უცებ მოწყდა და პირველსავე შესახვევში შევარდა. იქვე კედელს აეკრა, გაინაბა.

მთვრალის ქშენა სწრაფად ახლოვდებოდა. ჯერ არყის ოხშივარი ეცა, მერე კაცის წამახული, აწითლებული სახე დაინახა და თომამ მოწყვეტით მიარტყა მუშტი. კაცი გადაიზნიქა, მუხლებში გაკეცილმა რამდენიმე ნაბიჯი უკანუკან თითქოს სრიალით გადადგა და ქუჩის შუაგულში გაიშხლართა.

ბიჭმა გაქცევა დააპირა, მაგრამ ფეხები გაუშეშდა. მერე წაქცეულთან ახლოს მივიდა და თავი გაუსწორა. მთვრალს პირზე ქაფი ჰქონდა მოდებული, ამოსუნთქვისას ტუჩები ნერწყვის ბუშტებით ევსებოდა. ტროტუარზე, ხესთან ონკანი შენიშნა თომამ. წყალი პეშვში დაიგროვა, უკან გამოიქცა და მთვრალს სახეში შეასხა. სანამ კაცი გონს მოვიდოდა, კიდევ რამდენიმეჯერ მოიტანა ბიჭმა წყალი.

მთვრალმა თვალები გაახილა, ბიჭს გულზე მოეშვა.

გაწკარუნდა ლიანდაგი. ხიდზე მატარებელი შემოგრიალდა. ვაგონებიდან გამოსული სინათლე ზოლად გაეფინა ქუჩას, მიწაყრილზეც აცახცახდა. ელმავალმა გაბმული, ბუბუნა ხმა გამოსცა... წითელი შუქნიშანი ბოლო ვაგონზე დიდხანს მიცურავდა სიბნელეში. თომა ამ წითელ ფარანს უყურებდა და მიტოვებული კაცივით წყდებოდა გული...

კაცი ამღვრეული თვალებით უაზროდ იხედებოდა ბიჭისკენ.

— რა ხდება აქ?

ცალ მუხლზე ჩაჩოქილი თომა ფეხებით შეეფეთა მილიციელს.

მილიციელმა შეკითხვა გაიმეორა და დავარდნილს დააშტერდა.

— ზედმეტი მოუვიდა, — ძლივს ამოიდგა ენა ბიჭმა. — არაყი დალია ბევრი.

მილიციელი მთვრალის მაჯას დასწვდა, პულსი გაუსინჯა და თქვა:

— ამას გამოსაფხიზლებელი უნდა.

— არა, — უთხრა თომამ. — მე წავიყვან სახლში, აქვე ცხოვრობს, სულ რამდენიმე ნაბიჯია აქედან. მე ფხიზელი ვარ, წვეთიც არ დამილევია.

— თუ გაჯიუტდა ხმამაღლა დამიძახე. აქვე, ახლომახლო ვიქნები.

— გმადლობთ! აუცილებლად დაგიძახებთ თუ გამიჭირდა.

თომამ მზერით გააცილა დიდი, მძიმე, ქუსლებმონგრეული ჩექმები.

— ესე იგი შენ დამარტყი მე, არა? — ალაპარაკდა მთვრალი, წამოიწია და ქუჩას იდაყვით დაეყრდნო.

— ავდგები ახლა და გიჩვენებ სეირს, გიჩვენებ როგორ უნდა დარტყმა! — წამოდგომა დააპირა, მაგრამ გაუჭირდა და ისევ მიწვა. — ნახე, რამხელა მუშტი მაქვს, შენნაირს ორს მახვილივით გააპობს, — თქვა კაცმა და ხმალივით დაიქნია ხელი.

— დიდი მუშტია, ღონიერიც, მაგრამ არ უნდა დამარტყა... არა ვარ დამნაშავე, — თქვა თომამ.

— წამომაყენე, წამომაყენე! — ბრძანებით უთხრა მთვრალმა.

ბიჭი მივიდა, ხელი გაუწოდა და აყლაყუდა წამოაყენა.

მთვრალი ადგილზე ტორტმანებდა, თვალებს აბრიალებდა, იმუქრებოდა.

— აი, ახლა შეტევაზე გადმოვალ... მარცხენას კაუჭივით ამოგარტყამ მუცელში. მერე მარჯვენას პირდაპირ გითავაზებ ცხვირში და ვნახოთ რა ხასიათზე დადგები!.. ორივე ხელსაც ამოგიგდებ, რომ აღარც ცემა შეგეძლოს ვინმესი და საცოდავი გოგონებიც არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაამწარო!.. ვიცი ერთი ილეთი სამბოდან. აი, ვიწყებ უკვე. მოვდივარ!

მაგრამ იგი ადგილზევე იდგა და ირწეოდა.

— მეგობარო, ნასვამი ხარ და ბევრი რამე გეშლება... დამიჯერე ძმურად, წადი სახლში!.. თუ გამიყოლებ, გაგაცილებ... ხვალ შევხვდეთ და რამდენიც გინდა ვილაპარაკოთ.

აყლაყუდა დიდხანს ფიქრობდა.

— შეგეშინდა! ვხედავ, შეგეშინდა ჩემი!.. მცემე, პატიოსან გოგოს გული მოუკალი და ახლა შერიგება გნებავს?.. ლაჩარო, პირუტყვო, ხულიგანო, მუსუსო! — უცებ გაუხარდა კაცს.

— როგორც გინდა, ისე იფიქრე... აღარ ვჩხუბობ შენთან და შინ მივდივარ! — თქვა თომამ და წავიდა.

მთვრალი აედევნა, ერთხელვე დაკანონებულ დისტანციას მტკიცედ ინარჩუნებდა, ერთი ნაბიჯითაც კი არ უახლოვდებოდა თომას.

ასე იარეს მთელი გზა...

აყლაყუდა ილანძღებოდა...

თომა თავის სახლს მიადგა, სადარბაზოში უცებ შევარდა და კიბეზე გაიქცა.

მესამე სართულზე ბნელოდა. ზემო სართულიდან სინათლე ძუნწად იღვრებოდა. ბიჭმა კარის ჭუჭრუტანა ხელით მოძებნა და გასაღები გადაატრიალა. დიასახლისს კარი მეორე საკეტითაც ჩაერაზა. ვიდრე იმ მეორესაც გააღებდა, სადარბაზოს მიხეთქების ხმა და კიბეზე აჩქარებით ამომავალი კაცის ქშენა მოესმა.

თომა ბინაში შევიდა, კარი ყველა საკეტით გადაკეტა, იქვე დადგა და მიაყურადა.

თომა მდგმურად ცხოვრობდა მარიამთან. სამოთახიანი ბინის შესასვლელის მოპირდაპირე მხარეს, დერეფნის ბოლოში მარიამის ოთახი იყო. ქალს სიმშვიდე უყვარდა...

დერეფანში ბნელოდა. ბიჭმა გაიგო — როგორ ამოვიდა კაცი კიბეზე და მის კართან გაჩერდა. ცოტა ხანში კუნიც მოისმა.

— ვერ დამემალები, მტარვალო, მიწაშიც რომ ჩაძვრე, მაინც მოგაგნებ! — მოისმა გარედან.

თომა არ გაეპასუხა. ფეხის წვერებზე შემდგარი მარიამის ოთახთან მივიდა და კარს მიაყურადა.

შემოსასვლელზე უფრო მაგრად დააკაკუნეს. თომამ ფეხაკრეფით ახლა იქ მიირბინა და კარს ყური მიადო.

— თომა, მოხვედი? — ოთახიდან მარიამმა გამოსძახა.

— მოვედი, მარიამ! — ბიჭი შუა დერეფანში დადგა და მარიამს მერეღა გაეპასუხა. — ცოტა შემაგვიანდა.

— კარი კარგად ჩარაზე... მაცივარში დევს ყველაფერი, თუ გშია... ღამე ნებისა, თომა! — თქვა მარიამმა.

— ღამე ნებისა, მარიამ! — უთხრა ბიჭმა.

ქალის ხმა ყრუდ, თითქოს ჭიდან მოისმოდა.

— ხომ გიპოვე, ჯალათო?! კარი გააღე, არ შეგრჩება არაფერი! — დაიძახა მთვრალმა გარედან.

თომა გაისუსა. მერე ქალის ოთახთან მივიდა და დაბალი ხმით თქვა: — მარიამ, მინდა ვიბანავო!

— უდროოდ იცი, თომა, ყველაფერი, — აწუწუნდა მარიამი, — რაც გინდა ქენი, ოღონდაც მომასვენე!

ბიჭმა შხაპი მოუშვა. სააბაზანოს კარი ღია დატოვა. ბანაობაზე არც უფიქრია, წყლის შხუილით მთვრალის ხმის დახშობას ცდილობდა.

აყლაყუდა აღარ ლაპარაკობდა და არც აკაკუნებდა. თომა ახლოს მივიდა შემოსასვლელ კართან და მიაყურა. ფშვინვა მოესმა. ჩაცუცქდა. ახლა უფრო მკაფიოდ გაიგო ფშვინვა.

— უკვე ბანაობ, თომა? — დაიძახა მარიამმა.

— ვბანაობ! — გაეპასუხა ბიჭი.

თომა სამზარეულოში გავიდა, სინათლე აანთო და საჭმელი მონახა...

ომის დაწყებისას მარიამი ოცდაორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლისა იყო. ისა და კოლენკა ერთად სწავლობდნენ ტექნიკური ინსტიტუტის მესამე კურსზე. მარიამის მოგონებებმა თომასაც შეაყვარა გამხდარი, ჭორფლიანი კოლენკა. როგორც ბევრი იმ დროს, კოლენკაც გაიძახეს ჯარში. წასვლამდე ერთი თვით ადრე, მარიამმა მასთან იქორწინა და სადღესასწაულო სუფრა სწორედ ამ ბინაში გაიმართა. მაშინ მარიამს მოხუცი მშობლები ჰყავდა. კოლენკას, — რაც თავი ახსოვდა — არავინ ჰყოლია, მარიამის გარდა... ფრონტიდან გრძელ წერილებს იღებდა მარიამი. იმ ავბედით დროში მარიამმა სწავლის გაგრძელება ვეღარ შესძლო და რკინიგზაზე დისპეტჩერად დაიწყო მუშაობა. ომიანობის მესამე ზამთარს თითქმის ერთდროულად გარდაეცვალა მშობლები. ამხელა ბინაში მარტოდმარტო დარჩა და ისევ იღებდა კოლენკასგან გრძელ წერილებს... ბოლოს წერილებიც შეწყდა, ნაცვლად კი არაფერი მიუღია, ისე, უბრალოდ — მოდიოდა წერილები და შეწყდა... მარიამი, ომის დამთავრების შემდეგაც რკინიგზაზე განაგრძობდა სამსახურს, ერთხელ გადასაყვან ლიანდაგებს შორის ფეხი მოჰყვა და რკინამ ქუსლი წააგლიჯა... დაკოჭლდა ქალი, პენსია დაუნიშნეს... მანაც თანდათანობით უკლო გარეთ სიარულს. სახლში უყვარდა ყოფნა, იმ ოთახში, სადაც ისა და კოლენკა ცხოვრობდნენ. იჯდა და ფიქრობდა ქმარზე, ან წიგნებს კითხულობდა. მარტო ყოფნით, გამუდმებული მოგონებით, თითქოს წარსულს აწმყოდ აქცევდა, კოლენკას უბრუნდებოდა. ბოლო ხანს სულ გამოიკეტა სახლში, გარეთ კვირაში ერთხელ თუ გავიდოდა და ისიც სასყიდლებზე... ასე ცხოვრობდა მარიამი. ახლა ორმოცდარვა წლის ქალი იყო, გარეგნულად კი გაცილებით ხნიერი ჩანდა. ბინაში ბიჭის დასახლების შემდეგ, ცოტა სიხალისე დაეტყო — ძალიან მოსწონდა თომა და ხშირად, საღამოობით გრძელ, შინაურულ საუბრებს მართავდა მასთან. მაგრამ, მარიამისა და კოლენკას ოთახში თომა არასოდეს ყოფილა. თუ დიასახლისი თავის ოთახში იყო და ბიჭი დაუძახებდა, ქალი არ შეიპატიჟებდა, თავად გამოვიდოდა გარეთ, კარს უეჭველად გამოიხურავდა. მთავარ, ძირეულ ცხოვრებაში არ უშვებდა თომას მარიამი... ხანდახან უხეშიც იყო მდგმურისადმი დიასახლისი. ბიჭს არ სწყინდა. რადგან იცოდა რომ ახლობლად ეგულებოდა იგი ქალს და ამიტომაც აძლევდა თავს ამის უფლებას...

...თომამ ვახშამი მოათავა, ყველაფერი თავის ადგილას მიაწყო და დერეფანში გავიდა. ჭამაში თითქოს გადაავიწყდა კართან მიძინებული მთვრალი. თავის ოთახში შევიდა, საწოლი გაიმზადა და მერე სამზარეულოში შებრუნდა. სინათლე ჩააქრო, შხაპი გადაკეტა, სააბაზანოს კარი გამოიხურა თუ არა და შემოსასვლელი კარიც ახმაურდა.

ბიჭი გველნაკბენივით შეხტა, როგორღაც თავისთავად დადგა ფეხისწვერებზე, დერეფანი ფრთხილად გაიარა და შემოსასვლელთან აიტუზა.

— გააღე მტარვალო კარი! გააღე მტარვალო კარი!.. — მშვიდად, მონოტონურად, საქმიანად იძახდა მთვრალი, თითქოს ეთერში მიკროფონით საიდუმლო ცნობას გადასცემდა.

— ვიღაც აკაკუნებს! — დაიძახა მარიამმა.

— არ მესმის! — უთხრა თომამ და იმ იმედით, რომ ხმას შეაკავებდა ხელგაშლილი, მთელი ტანით კარს აეკრა.

— აკაკუნებენ! — ისევ მოისმა მარიამის ხმა.

— ვიღაც მთვრალია, — ხმამაღლა გასძახა ბიჭმა, მერე დაიხარა და გასაღების ჭუჭრუტანაში ჩაიჩურჩულა: — წადი აქედან, ლოთო, შეზობლებს ნუ მიფრთხობ, მოთმინებიდან ნუ გამოგიყვან!

— რა უნდა? — იკითხა მარიამმა.

— არ ვიცი! — სასოწარკვეთილება გაერია თომას ხმაში.

— არ იცი? — ალაპარაკდა გარედან კაცი, — ვის ესაუბრები, ჩემო ბატონო, ცოოლს? რაღა თქმა უნდა ცოლს. აბა ვისი იქნება ქალის ხმა?! იქ, საცოდავ გოგოს ატყუებ და აქ, ცოლს. ნამდვილი ცხოველი ხარ, მტაცებელი!

— ასე გვიან რა უნდა ჩვენთან მთვრალ კაცს? — მარიამის ხმაში წყრომა იგრძნობოდა.

— რა და ქვეყანამ მინდა გაიგოს თქვენი ქმრის სიბინძურისა და ყაჩაღობის ამბავი!... მე მცემა, საწყალი გოგო მიაგდო და კიდევ რამდენ ავ საქმეს ჩაიდენდა, ჩემს დაუსწრებლად, ვერავინ დათვლის ალბათ!

— ღმერთო ჩემო, რას როშავს ეგ კაცი? — შეიცხადა მარიამმა.

— მარიამ, დამშვიდდი, ყური არ დაუგდო და მე ორ წუთში მოველაპარაკები!... რა გქვია შენ? — მშვიდად შეეკითხა თომა მთვრალს.

— ჩემი სახელი რაში გაინტერესებს, მტარვალო?

— მე თომა მქვია, რატომ მიმალავ სახელს, რისი გეშინია?

— რისი უნდა მეშინოდეს! სერიოგა მქვია, სე-რი-ო-გა! — დამარცვლა კაცმა თავისი სახელი.

— სერიოგა, ძმაო, რას მერჩი?

— ვერ ხვდები, მტარვალო, რას გერჩი? — გაოცდა მთვრალი.

— შენ შეგეშალა, სერიოგა! გინდა მოგიყვე რა მოხდა ჩემსა და მარინას შორის?.. იმ გოგოს მარინა ჰქვია... მოგიყვები და უცბად გაიგებ ყველაფერს. ძალიან ვნანობ, ადრე რომ ვერ მოვიფიქრე ამის გაკეთება. — დაუყვავა ბიჭმა.

— აბა თქვი!

— ცოტა მეუხერხულება, სერიოგა, ძალიან პირადულ ამბავს რომ გიყვები...

— მე არ მეუხერხულება! — გააწყვეტინა სერიოგამ.

— მე, სერიოგა, სხვა ქალაქიდან ვარ. მარინა აქ გავიცანი. ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს და აქ სხვისი ჩარევა, რბილად რომ ვთქვათ — უ[illegible] საც შენ ყური მოჰკარი, [illegible] ვა, ჩემო სერიოგა, ხუმრობით ითქვა... სხვა პატარა მიზეზიც იყო, ამასაც გეტყოდი, მაგრამ არაა საინტერესო და ცოტა ძნელი გასაგებიცაა... მარინა თავზე მეტად მიყვარს, სერიოგა!..

— რაა ძნელი გასაგები? — ისევ გააწყვეტინა კაცმა.

— გოგოსთან არ ყოფილხარ ახლოს? — ჰკითხა ბიჭმა.

— ვყოფილვარ, ცოლიც მყავს! — თქვა სერიოგამ.

— ძალიან კარგი... სხვათაშორის, ის ქალი, რომლის ხმაც წეღან მოგესმა, ჩემი დიასახლისია, ხანშიშესული, ავადმყოფი ადამიანი... მაგრამ რაზედაც ვლაპარაკობდით ისევ იმას დავუბრუნდეთ. რა იყო სხვა მიზეზი?.. ამ ქვეყანაზე მუდმივად არავინ და არაფერი არსებობს, სერიოგა. ჩვენც წარმავალები ვართ, წარმავალია აგრეთვე ჩვენი ყველა დამოკიდებულება თუ გრძნობა. ამას თავისი მიზეზები აქვს: სიბერე, გრძნობათა დაჩლუნგება თუ ზოგიერთი პიროვნების დაუდგრომელი ხასიათი. ასეა, ჩემო სერიოგა!.. ჰოდა, ვიფიქრე, რომ ის კარგი, სრულყოფილი დამოკიდებულება ჩემსა და მარინას შორის რომ არსებობს, ალბათ, ცუდისკენ უნდა შეიცვალოს მეთქი, რადგან უკეთესისკენ შეცვლა შეუძლებელია — ვერ წარმომიდგენია ამაზე უკეთესი... აბა, მუდამ ერთნაირი ხომ არ იქნება, ხომ არ გაიყინება?! გამუდმებულ მოძრაობაშია ყველაფერი და მასთან ერთად ჩვენც, ჩვენი გრძნობებით... ეგ გამიჯდა თავში, თანაც მარინამ მოინდომა მეთქვა და ის წამომცდა, რამაც შენ ასე გაგაბრაზა... ახლა ხომ მეთანხმები, სერიოგა, რომ მართალი არ იყავი?.. ისე მეც დამნაშავე ვარ, ამაზე არც უნდა ფიქრობდეს კაცი. მაგრამ ასე ვარ აწყობილი და რა ვქნა?!

კარგა ხნით ჩამოწვა სიჩუმე. მერე ბიჭს კარის მიღმიდან ფშვინვა მოესმა.

— დაიძინა! — გაოცდა თომა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არაფერი მესმის, რაშია საქმე? — ისევ იკითხა მარიამმა.

ახლა ქალს მოუყვა ბიჭი ყველაფერს. რცხვენოდა, ასეთ რაღაცეებზე რომ უწევდა ლაპარაკი. მარიამთან კიდევ არა უშავდა რა, მაგრამ უცხო კაცს რომ გადაუშალა გული — ძალიან რცხვენოდა.

— უცნაური ამბავია, მაგრამ მაგას ვინ ეკითხება? — თქვა ქალმა.

— ყველაზე ცუდი რა არის იცი, მარიამ?.. ეგ ამბავი რატომღაც მარინაზეც მაბრაზებს!.. აბა რა შუაშია აქ მარინა?

— არაფერში! მარინა კარგი გოგოა. მაგ ასაკში მეც ლამაზი ვიყავი.

— ისიც მაცოფებს, მარიამ, რომ მარინას არავითარი ბრალი არ მიუძღვის და მე კი მაინც ვბრაზდები მასზე!

— დავარდნილ სიჩუმეში გარედან სერიოგას დინჯი ხვრინვა ისმოდა.

— რას აკეთებს? იკითხა ქალმა.

— კართან ზის და ხვრინავს.

— რა საშინელებაა, ღმერთო ჩემო, როდემდე უნდა იყოს აქ?

— ჯერ ერთი უზრდელობაა სხვისი საუბრისთვის ყურის მიგდება. მეორეც — თუ რაღაც აგიჩემებია კაცს, ამის შესახებ სხვისი აზრის გაგებას მაინც შეეცადე. როცა მარინაზე ველაპარაკებოდი ამ მთვრალს, მეგონა თავსაც და მარინასაც ვაშიშვლებდი მის წინაშე... მას კი არხეინად წაუძინია კართან... სირცხვილით წავედი ამ დათმობაზე, ვიფიქრე ყველაფერს გაიგებს და დამშვიდდება-თქო, მას კი არხეინად სძინავს!.. რა უნდა ქნას კაცმა?!

— გაანებე, ნომა, თავი. იყოს კართან, რა გენაღვლება?! — უთხრა ქალმა.

— როგორ, მარიამ?.. მაწუხებს, როცა ვიცი რომ აქვეა!.. თანაც ლაპარაკობს და აკაკუნებს გამუდმებით... როგორც შიმშილი შეგაწუხებს კაცს, ისე მაწუხებს ეგეც!.. როგორც გათენება ან დაღამება შემოდის ჩემში გარდუვალად, უეჭველად. ასევე მოდის მისი ხმაც!

— მტარვალი, ნამდვილი მტარვალი! — თქვა ქალმა.

— აღარ ვიცი რა დავარქვა ამას!

— ნამდვილი მტარვალია, როგორც ჩემი და კოლენკასი, ისეთი!

— ვერ გავიგე, მარიამ!

— ერთი სურათი მუდამ მიდგას თვალწინ. — ჩუმად თქვა ქალმა.

— რა სურათი, მარიამ? — აჩქარებით გაეხმაურა ნომა, რომ ლაპარაკი გაეგრძელებინა.

დიდი ხნით გაჩუმდა მარიამი. ბიჭის თვალი სიბნელეს შეეჩვია და მკრთალად ხედავდა ქალის ოთახის დიდ კარს. კარი მუქად იყო შეღებილი და ზღაპრული გამოქვაბულის შესასვლელზე მიდებულს ქვის მძიმე ფილასავით მოჩანდა. მერე მარიამი წყნარი, დაბალი ხმით ალაპარაკდა და ნომას ეგონა, რომ ქალის ხმა ძალიან შორიდან, გამოქვაბულის სიღრმიდან მოდიოდა.

— უკიდეგანო ველს ვხედავ, რომელზედაც უამრავი სანგრებია გათხრილი. სანგრებში ჯარისკაცებია. ჩემი კოლენკაც მათთან ერთადაა, მუზარადი წარბებზე ჩამოუფხატავს და მოჭუტული თვალებით შორს, ჰორიზონტისკენ იცქირება. ტრამალის კიდეზე, საითაც კოლენკა იყურება, შავი წერტილი გამოჩნდება. წერტილი სანგრებისაკენ მოიწევს და თანდათან მსხვილდება. მიწით გათხუპნული ხელის ზურგით თვალებს მოისრესს კოლენკა, იმ შავ წერტილს აკვირდება. აკვირდებიან სხვებიც, ვინც კი თხრილებში არიან ჩამალულები. შავი წერტილი ახლოვდება, თანდათანობით იკვეთება მისი კონტურები, ჩაჯავშნული გვერდები და რქიანი შუბლი, იცვლის შეფერილობასაც, მწვანე ფერისა ხდება. იგი სანგრებისაკენ მოხოხავს. დროდადრო ჩერდება, რქით, ეჭვიანი კაცივით მოათვალიერებს გარემოს, ჯერ მარცხნიდან მარჯვნივ, მერე მარჯვნიდან მარცხნივ და ისევ წინ მიდის. ყველანი ისვრიან, ისვრის კოლენკაც. საგანი კი ისე მიხოხავს, თითქოს აქ არაფერიაო.

უკვე მისი მუხლუხების ღრჭიალიც ესმით... ამ მწვანე მტარვალს მერე კი ააფეთქებენ, მაგრამ ჯერა არა... ჯერ არა, ვიდრე იგი სანგარს არ გადაუვლის... კოლენკა კი ამ დროს ჩემზე ფიქრობს, რადგან სხვა არავინა ჰყავს კოლენკას რომ გაიხსენოს... ისეთი შეგრძნება მაქვს, თომა, რომ ტრამალის კიდედან ჯარისკაცებიან თხრილებამდე უხიფათოდ გაივლის მტარვალი, არაფერი შეემთხვევა, სანამ სანგარს მიაღწევდეს. სანგარს მიაღწევს და... აღარ იფიქრებს ჩემზე კოლენკა, აღარაფერზე არ იფიქრებს... აღარ იქნება ცოცხალი კოლენკა...

ბიჭი დადიოდა შემოსასვლელი კარიდან მარიამის ოთახამდე და უკან.

სიჩუმე რაღაცას მოითხოვდა, ქალის მონაყოლი ამბავიც მოითხოვდა თომასგან, რომ რაღაცა ეთქვა.

— ერთ ჩემს მეგობარს უპატიოსნება დასწამეს, — თქვა ბიჭმა. — სწორედ რომ დასწამეს, რადგანაც ძალიან კარგად ვიცნობდი და ვიცოდი — არ შეეძლო მას უპატიოსნოდ მოქცევა. რა ძალა ჰქონია, მარიამ, დაჩემებას! მერე მეც ეჭვით დამიწყო ყურება, ეგონა აღარც მე მწამდა მისი და ბოლოს წამეჩხუბა კიდეც.

თომას ოთახის კარი ღია იყო. როცა ბიჭი თავის კართან ჩაივლიდა, მკრთალად ხედავდა მარინას დატოვებულ ყვავილების დიდ თაიგულს, რომელიც შუა მაგიდაზე მაღალ, ბროლის ვაზაში იდო.

— ჩემი ბავშვობის დროს ამ სახლში მოხუცი კაცი ცხოვრობდა... მის ნაამბობს გეტყვი, თომა, როგორც მახსოვს, ისე, — თქვა მარიამმა დუნედ, გაგუდულად, შემოდგომის წვიმიან დილასავით უხალისოდ. — მიწისქვეშა სარდაფი წარმოიდგინე, ვიწრო დერეფნები, სადაც ზორბა კაცი გაჭირვებით გაეტევა. დერეფნების ორივე მხარეს ულაზათოდ ნაშენი დანომრილი საკნებია. რუსულ ზღაპრებში რომ ქოხია, ქათმის ფეხებზე შემდგარი, ისევე მოღრეცილად მდგარი. სარდაფში ჩაყანგული სინათლე, ჩაყანგული სინათლე, ჩაყანგული სინათლე. ... სტის სუნია და უცნაური გუგუნი, თითქოს ათასი მტრედის უწყვეტი ღუღუნი სადღაც ქვევიდან, სიღრმიდან მოისმოდეს. სარდაფში სიკვდილმისჯილებია.

— დაიჭერდა ბოიარებს, კრიჭ და აღარაა წვერი... აბა ის იყო კაცი და ნებაც მას ჰქონდა! — ისმის ხმა საკნიდან, — მაგაზე ძლიერი მეფე მსოფლიოს არ ახსოვს.

— მაშ მაკედონელი მეფე კი არა — მეჯინიბე ყოფილა! — ამბობს როხროხა ხმა სხვა საკნიდან.

— მაშინ სხვა დრო იყო, ბიჭო, როგორ არ გესმის მაგდენი. მაშინ საომარი ეტლები და ბევრი სპილო თუ გეყოლებოდა, პირველიც შენ იქნებოდი. იმ დროს ერთი ქვემეხით აიღებდა კაცი მსოფლიოს. მოსახლეობაც ნაკლები იყო და რა თქმა უნდა, ჯარიც შედარებით მცირერიცხოვანი იქნებოდა. ორი ათასი კაცი უფრო ძნელი მოსავლელია, თუ ორასი?... სანამ რამეს იტყოდე, უნდა იფიქრო.

— ვიღაცას მაკედონელი სიმღერით უამებია და ამისთვის ერთი ქალაქი უჩუქებია მომღერლისათვის... მეფობა ამას ჰქვია და არა იმას, რამდენ კაცს მოუვლი, ორასს თუ ათასს. ერთ ქალაქს თავისი ცხენის სახელიც დაარქვა... არის მაგარი მეფობა ეგ, თუ არა? — თქვა როხროხა ხმამ.

— გატყობ, ისევ ჩხუბის გუნებაზე ხარ, საშკო!.. ჯიუტად არ გინდა გამიგო... მაკედონელს ღონიერი მამიკო ჰყავდა, გაწყობილი და გამზადებული დაუტოვა სახელმწიფო... რატომ არ გინდა ამის გაგება?

— ერთხელ მაკედონელს ათიათასკაციანი სუფრა გაუშლია, ამისთვის შენობაც აუგია საგანგებოდ... ასე უნდა მეფობა!.. აგერ წიგნი მაქვს, ყველაფერი წერია შიგ... — არ იშლიდა თავისას საშკო.

— შენთან ლაპარაკი წყლის ნაყვას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნავს. აიჩემებ რამეს და გათავდა.

— როგორ თუ წყლის ნაყვას ნიშნავს, როგორ ლაპარაკობ შენ? — შეუტია საშკომ.

— კარგი, გავათავოთ!.. შენ შენთვის იყავი, მე ჩემთვის ვიქნები! — გაბრაზდა პირველი ხმაც.

— პეტრე პირველზე დიდი კაცი ჩვენში არ ყოფილა! — ამბობს ზედამხედველი, რომელიც დერეფანში დაიარება და დროდადრო მისთვის საინტერესო საუბარში ერევა.

— პეტრემ ყველაფერი ახლიდან დაიწყო, სულ თავიდან, თითქოს მანამდე არც არაფერი ყოფილიყოს. — თქვა პირველმა.

— კარგია, როცა ახლიდან იწყება ყველაფერი! — ისმის ახალგაზრდა კაცის ხმა.

— შენ ერთი კაცის თუ რამდენიმე კაცისთვის ხარ მისჯილი? — ეკითხება ახალგაზრდას პირველი.

პაუზა დიდხანს გრძელდება, გაჩუმებულია ყველა. რალაცნაირად მორცხვად, სევდიანად ამბობს ახალგაზრდა: „ორისთვის".

— ზოგჯერ მაგნაირ შემთხვევაშიც ხდება შეწყალება! — ეუბნება საშკო.

— მე ერთისთვის მომისაჯეს! — წვრილი ხმით წამოიძახებს რომელიღაც, თითქოს დაგუბებული სიხარული თავისთავად ამოვარდაო.

მძიმედ ჩამოწვება სიჩუმე. მერე ალიუმინის ჯამებზე ხის კოვზები არახუნდება. ვახშამს არიგებენ. საუბრობენ საჭმლის ხარისხსა და რაოდენობაზე. ვახშამი თავდება. ჭერში დატანებულ სარკმელებს სიბნელე აწვება. უფრო გარკვევით ისმის უამრავი მტრედების შორეული ღუღუნი.

— მეორმოცე,.. მეორმოცე! — საკნიდან ყვირის ახალგაზრდა.

არავინ პასუხობს.

— საშკო!... მეორმოცე!.. საშკო!.. — კიდევ იძახის რამდენიმე ხანს, ბოლოს უიმედოდ, სხვათაშორის, გასძახებს და ჩუმდება ისიც.

— არა მცალია, ვფიქრობ! — ძოგვიანებით პასუხობს გაღიზიანებული საშკო.

გასუსულია იქაურობა. ზედამხედველი თავის ოთახში მიდის. პატიმარივით ჩაყვითლებული ნათურა თითქოს არავისთვის ანათებს. ყველა ელოდება, როდის მოვა ის. ის ამ დროს მოდის ხოლმე...

თომა წინ და უკან სიარულს განაგრძობდა. მარიამი გაჩუმდა. სააბაზანოდან წყლის წვეთების მონოტონური წკაპუნი ისმოდა.

— ჩემი დეიდა ქალაქის გარეუბანში ცხოვრობს, — მოულოდნელად თქვა სერიოგამ.

ბიჭი შემოსასვლელ კარს მიაჩერდა.

— ...ფიცრულ, ერთსართულიან სახლში. ამავე სახლში ერთი ოთახი მარტოხელა ქალს ეკავა. ქალს ქმარი დიდი ხნის წინათ გარდაეცვალა. იგი მოხუცებული იყო და თავს ხელთათმანებისა და ქუდების ქსოვით ირჩენდა. ხშირად მცმია მისი ნახელავი ხელთათმანები. ძალიან კეთილი ქალი იყო, დარია ერქვა სახელად. ბოლო წელს ლოგინად ჩავარდა... იმ ხანებში დეიდაჩემთან ხშირად დავდიოდი და ერთხელ დასაძინებლადაც დავრჩი. შუა ღამისას ჩოჩქოლი ატყდა. დეიდაჩემი სლუკუნით დაბორიალობდა ოთახში, რალაცას დაეძებდა.

— რაშია საქმე? — ნახევრად მძინარემ ვიკითხე.

— დარია კვდება! — მითხრა დეიდამ.

ჩავიცვი და მომაკვდავის ოთახში გავეფი. ჩემამდე ერთი მეზობელი კაცი მისულიყო, კუთხეში სკამზე იჯდა და ფოტოალბომს ათვალიერებდა. დეიდაჩემი ოთახს ალაგებდა, თან ჩუმად მოსთქვამდა.

საწოლზე გვერდულად იწვა მოხუცი დარია. სახის ნახევარი ბალიშზე მიეჭყლიტა, თვალები მაგრად მოეხუჭა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლედ, ხშირად და ძალიან გამოკვეთით სუნთქავდა. ხელი ნათხოვარიეით ამოედო ტანქვეშ, მეორე — ზურგზე გადაეგდო უხერხულად. მოხრილი ფეხები სახესთან ახლოს მიეტანა. ტანი, კიდურები, სახე — ყველაფერი გაშეშებული ჰქონდა.

— ექიმი ხომ არ გამოგვეძახა? — უფრო იმიტომ ვთქვი, რომ ოთახში ჩამოწოლილი სიჩუმე დამერღვია.

— აზრი არა აქვს, — მითხრა მეზობელმა, — მის ნათესავებს კი უკვე შეეატყობინეთ.

მომაკვდავი არ ირხეოდა. მალე ნათესავები მოვიდნენ, წაიტირეს, მერე დეიდაჩემს ოთახის დალაგებაში მიეხმარენ.

გამთენიისას მომაკვდავს სუნთქვა შეუსუსტდა. თითქოს მოხუცშივე იკარგებოდა თანდათანობით სუნთქვა და მზე რომ ამოიწვერა შეწყდა კიდეც. მიცვალებული გაასწორეს, ყბა აუხვიეს და ზეწარი გადააფარეს... აი ასე!

სერიოგა მიყუჩდა.

— მერე სერიოგა? — შეეკითხა ბიჭი. თომას სერიოგასთან გამოლაპარაკება უნდოდა.

კაცმა პასუხი არ გასცა, არც მერე, როცა ბიჭმა შეკითხვა გაიმეორა.

— ხედავ, მარიამ, რა თქვა სერიოგამ? — სიხარულით დაიძახა თომამ.

— უცნაურია მთვრალი კაცი! — ამოიხვნეშა ქალმა.

ბიჭს მოეჩვენა, რომ ტანზე ღვედი ჰქონდა მჭიდროდ შემოჭერილი და მხოლოდ ახლაღა შეხსნეს. უცებ მოვარდა სიხარული, როგორც კოშმარული სიზმრის შემდეგ გაღვიძებისას იცის ხოლმე... ბიჭმა უსაშველო დაღლა იგრძნო, ძილი მოუნდა.

— რას აკეთებს ახლა? — იკითხა მარიამმა.

— ალბათ ჩასთვლიმა... მაგრამ უკვე არა უშავს, გამოიღვიძებს და წავა სახლში, — უთხრა ბიჭმა.

კედელზე ქალის ხელი გაშრიალდა.

— ღამე ნებისა, თომა!

— ღამე ნებისა, მარიამ! — დაიბუტბუტა ძალიან... მშვიდად დაიძინეთ... ძალიან... მშვიდად და მაგრად. ღამე ნებისა! — უთხრა თომამ და თავის ოთახისკენ წავიდა.

— არა! — თქვა გარედან კაცმა, — არ წახვალ!

ბიჭი გაშეშდა.

— მშვიდი ძილი გნებავს, მტარვალო! — განაგრძო მთვრალმა, — საცოდავ გოგოს ალბათ საშინელება ესიზმრება, შესაძლოა თავის მოკვლაც კი აქვს გადაწყვეტილი და სწორედ მაშინ მოინდომოს ასრულება, როცა შენ ტკბილად მილულავ თვალებს...

— მარიამ, მარიამ! — დაიძახა თომამ და დერეფანში უაზროდ აწრიალდა.

ქალი გაეპასუხა.

— რა ვქნა, მარიამ, რა გავახერხო?

— დავარდნილი ქალი ვარ, თომა, აბა რა შემიძლია?.. ნერვები დაწყვეტაზე მაქვს... როგორმე უჩემოდ მოახერხე, — აწუწუნდა მარიამი.

— სად გაიცანი, მტარვალო, ის გოგო? — იკითხა მთვრალმა.

— ვინ გკითხავს შენ? — ამოიხროტინა ბიჭმა.

— ლაპარაკსაც მამადლი?! ახლა ჭიანჭველა რომ დარბის პარკში — ის და მე ერთნაირად გაწუხებთ, არა?.. არაფერი გაწუხებს, არა?.. ტუჩი რომ გადმობრუნებული მაქვს და ლაპარაკი მიჭირს, ესეც არაფერი?.. აბა ერთი დაიძინე!.. იმდენს ვიყვირებ — ქვეყანა გაიგებს შენს ავკაცობას...

— თავი დამანებე, დამანებე თავი! — იყვირა თომამ, უნებურად სამზარეულოში გაიქცა და იქ ხორცის დასაჭრელი ნაჯახის ძებნა დაიწყო.

— ნუ ყვირი, თომა, ავადმყოფი ვარ, გინდა გული გამისკდეს? — გამოსძახა მარიამმა ცრემლგარეული ხმით.

— ნამუსი თუ შეგრჩა კიდევ, ფანჯრიდან თავით უნდა გადახტე!.. არ უნდა ცხოვრობდნენ შენისთანები!.. აი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მინდა, გესმის ახლა? — თქვა კაცმა და გესლიანი სიცილი დააყოლა.

— მილიციას ლაუძახე, თომა, — ურჩია ქალმა.

— როგორ დავუძახო?.. კართან ეგ უგუნური დგას... გეფიცები, მარიამ, ამ შემთხვევაში არავითარი ბრალი არ მიმიძღვის.

— სტყუი, მტარვალო! შენი უწმინდურების მოწმე მე ვარ! — თქვა მტაცედ სერიოგამ.

თომამ ნაჯახი იპოვა და მარიამის კართან მივიდა.

— მე რაღა დავაშავე, მოქალაქევ?.. ეს ჩემი ბინაა. არაა ლამაზი უცხოსთან, ისიც ავადმყოფთან მივარდნა და მისი ოჯახის აწიოკება, — დაიძახა ქალმა.

— არც ის იყო ლამაზი, ჩემს ცოლს — მუსიას ივანა მუტრუკთან რომ შევუსწარი საწოლში, განა მე დამნაშავე ვიყავი? განა დავაკელი რაიმე მუსიას?.. თუ პატივი არ მიცია ივანასთვის, დაბრუნ-ათჯერ მაინც სახლში არ დამბრუნებია? და მერე როგორი იყო ადრე ჩემი მუსია?!. ჩუმი, მორიდებული, წყნარი, როგორი ყინვაც არ უნდა ყოფილიყო, მთელ ღამეს ივანზე გაატარებდა ჩემს ლოდინში, თუ კი როგორღაც შემაგვიანდებოდა... ან კიდევ, როცა ივანას გეგმა უვარდებოდა და იღუპებოდა კაცი, ამოვუდექი თუ არა ვაუკაცურად მხარში?.. ლამაზია, კარგია? — გაბოროტებით ლაპარაკობდა კაცი.

— ცუდია ძალიან, მაგრამ რა შუაშია ეს? — თქვა მარიამმა.

— მოსვენება გნებავს, მტარვალო?.. გააღე კარი, გახრწნილო, გააღე კარი!

— აყვირდა კაცი.

თომა ნაჯახით ხელში დერეფანში იდგა მარიამის კარს მიყრდნობილი, შემოსასვლელს გასცქეროდა და გაბოროტებით ივანა მუტრუკზე ფიქრობდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ კუხიანიძე

საით, გულო?!

ცნობილ ქართველ პოეტს ზურაბ კუხიანიძეს დაბადების 60 წელი შეუსრულდა. ჟურნალ „მნათობის“ რედაქცია ულოცავს ამ შესანიშნავ თარიღს და უსურვებს შემოქმედებით წარმატებებს.

საით, გულო?! —
დადექ.
მანდეთ
მტრებით სავსე ბნელი ტყეა;
გადეყრები ფათერაკებს,
ბოლოს გელის ცხელი ტყეია.

საით, გულო?! —
რა სადაო
ვიწრო ბილიკს მიმასწავლი...
მანდეთ ტანკი დგას და, ძმაო,
გაგსრესს წვიმის ჭიასავით.

საით, გულო?! —
მანდეთ ჯიბგირთ
გაყოფა აქვთ ნაქურდალის;
ემაგ გზაზე ათასრიგი
დგას მახე და სახუნდარი.

საით, გულო? —
მანდეთ ვიღაც
დასაკლავად ლესავს დანას.
აგაგლიჯავს ოქროს ჯილას
და ჩაგიქრობს მზეს სატანა.

საით, გულო?! —
მანდეთ შავი
ურჩხული წევს ღია ხახით.
დაგეიქცია სალოცავი,
მოგვიშხამა იალაღი.

საით, გულო?!
საით, გულო?! —
მანდეთ გზაა ჩახლართული
და გზის პირას საიდუმლო
სერობაა გამართული.

საით გულო?! —
მანდეთ თათარს
წააწყდები კაკვით ხელში,
ან მოგაშთობს საბლით ანდა
გადაგაგდებს საკირეში.

საით, გულო?! —
მანდეთ მგლებმა
გზები შეკრეს ავბედითად...
არაფერი არ დამრჩება
შენი მფეთქავ აბედიდან.

ჩემი რჩევა
რჩევად რჩება,
არა ესმის გზასაცდენილს —
მაინც იქით მექაჩება,
სადაც გველის განსაცდელი.
. . . . . .

აბა, გული
ლავიწიან
საგულეში რად კანდელობს,
იქით თუ არ გაიწია,
სადაც უჭირს საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვის ავგაროზი

ბავშვობაში მე ბებიამ ყელზე დიდის ამბითა
გახვრეტილი პატარა ქვა ავგაროზად დამკიდა.
„შელოცვილი ჯადოაო".
თავზე შემოგვლებია,
ავი თვალი არ მოგხვდესო, — ჩურჩულებდა ბებია. —
ძილშიც კი არ მოიცილო,
თილისმაა ამგვარი:
გაიზრდები, გამოგყვება გული ქვისებრ მაგარი".
იმ ქვას დიდხანს ვატარებდი,
გამთბარს გულის ფიცართან,
ბორბოტისგან, ავთვალისგან ბავშვობაში მიცავდა.

დრო გავიდა, მაგრამ გული არ გამაგრდა ქვასავით,
ავი თვალი, ავი ენაც ბევრჯერ მოხვდა სარსალით.
გული მაინც გულად დარჩა,
თუმც დაკორტნეს ქორებმა,
ბროწეულის ყვავილიც კი ყოფნის ასაჩქროლებლად.
ვერ უშველა შელოცვილმა ავგაროზმა პაწიამ,
ვერც დაიცვა ავისაგან, ვერც ქვად გადააქცია.
გული მაინც გულად დარჩა, —
ხან ხმაურობს, ხან დნება,
მკერდზე ლოდს რომ დამადებენ, მაშინ თუ გაქვავდება.

* * *

ამ კაცმა, ახლა თაფლის სანთლების
მკრთალ შუქზე რომ თრთის,
ვით უცოდველი,
ტყუილ-ჭორების კორიანტელით
განლია თავის წუთისოფელი.

ძალა არ შესწევს, ისევ ახირდეს,
თვალნი მოგვაპყროს ალმაცერები:
ღიმილის ვაჭარს,
სულის გამყიდველს
გამოუზოგეს ძუნწი ცრემლები.

არვინ უსურვებს ცხრარჯულს ცხონებას,
წევს გაჭიმული და ფერმიხდილი...
ისე ცრუობდა მთელი ცხოვრება,
რომ არცკი მჯერა მისი სიკვდილის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისხალ-მისხალ...

მზერას რისხვით აფეთებ,
როცა მტრები ავყიად
მფეთქავ მკერდზე შავ ბელტებს
ხელუკუღმა გაყრიან.
მოგიდუნდა დღეს ლარი,
ერო დროს მარჯვე მოისარს:
გზებზე მწარედ კვნესს ქარი,
ქარი სალამოისა.
აგვიანებს ავსებას
შენი ლურჯი თასები...
ის არ გეძვირფასება,
არც შენ ეძვირფასება.

ვინ გაკაფავს ნარ-ეკალს
შენი ცხრაკლიტულების,
ვიღაც მწუხრის ზარს რეკავს,
გაჰკივიან ტურები.
რომ მოცოცავს გზად კიდევ —
თაგვისფერი ბინდია..
მისხალ-მისხალ გაგყიდეს,
მტკაველ-მტკაველ გყიდიან.
თრთის, ვით ოვეზი დარანში,
შენი კერპი სხეული,
ნისლის თეთრ სუდარაში
ობლად გამოხვეული.

მამის საფლავი

შენი საფლავი, მამაჩემო,
ქვედა მესხეთში.
ბაბუაჩემის გვერდით არ არი.
შენი საფლავი ძელქვიანაზე
ბებიაჩემის გვერდით არ არი,
არც დედაჩემის გვერდით არ არი...
არცა მესხეთში
და არც კიდევ ძელქვიანაზე —
არა, არ არი...

მიწა არ იყო,
მამაჩემო, მიწა არ იყო...

დრო მოვა,
ალბათ, არც დედაჩემთან
და არც შენს გვერდით
არ დამმარხავენ —
მიწას გვტაცებენ,
მამაჩემო, მიწას გვტაცებენ.

* * *

არც სინანული, არც შენანება
არ შეხებია მძაფრად გულის სიმს,
ცხოვრება ისე მიეჭანება —
ვერ მოვიცალე სინანულისთვის.

წავალ, წამყვება ჩუმი შიში და
მძაფრ სინანულის დარდი ფარული,
რომლის სათქმელად აქ ხელს მიშლიდა
ცხოვრება, ლტოლვა და სიყვარული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ აბაშიძე

მიწისძვრა

პიესა ორ ნაწილად

მოქმედნი

პავლე — ძველი ბოლშევიკი
ნინო — მისი რძალი
რენა — მისი შვილი
ტიტე — რეჟისორი
გურამი — მწერალი
ეკა — ახალგაზრდა მსახიობი
ვახტანგი — მსახიობი, მთამსვლელი
დავარ — მისი და
სესილი — დავარის დედა
ბესიკი — ახალგაზრდა მსახიობი
რატი — ახალგაზრდა მსახიობი
ლევანი — მხატვარი
ზეზვა — მთამსვლელი
მეამბოხეები, მოქალაქეები

მოქმედება პიესის ძირითადი ნაწილისა ხდება ჩვენს დროში, თბილისში. ჩართული პიესისა — უსახელო ქვეყანაში, ჩვენს წელთ აღრიცხვამდე.

მოქმედება პირველი

სურათი 1

სცენის სიღრმეში მრავალსართულიანი სახლი დგას. ამ სახლის მაღალ, ფართო კიბეს თითქმის მთელი სცენა უჭირავს.

შუაღამე გადასულია. მრავალსართულიანი სახლის ფანჯრების უმრავლესობა ჩაბნელებულია.

უცებ შენობა შექანდება. მიწა იძრა. ჩაბნელებული სარკმელი ერთიმეორის მიყოლებით ნათდება.

სახლის ბინადრები გარეთ ისე გამორბიან, როგორც მიწისძვრამ მოსწროთ — საწოლ პიჟამოებში, ღამის პერანგებში, ხელდახელ ნამოსხმულ შალებში. მხოლოდ ტიტეს, გურამს და დავარს აცვიათ ტანსაცმელი.

ტ ი ტ ე — ოო, რა ძლიერი მიწისძვრაა!

გ უ რ ა მ ი — ამოდენა სახლი გემივით შექანდა!

ტ ი ტ ე — ასეთი ძალით, რომ ერთხელ კიდევ განმეორდეს, ეს შენობა ვეღარ გაუძლებს!

გ უ რ ა მ ი — ყველამ გამოასწრო? იქნებ კიდევ ვინმეს სძინავს და ვერ შეიტყო?!

(კიბეზე ჩამოდიან ყავარჯენდაბიჯგებული პავლე, ნინო, რენა. რენას ცალხელში ტრანზისტორი აქვს, მეორეში — იადონებიანი გალია.

რ ე ნ ა — ხომ გეუბნებოდი, დედაჩემო, რომ ყოველ ღამე მაღვიძებს ასეთი შენჯღრევა, სარკმელს ვაღებ ხოლმე და ფრთაგამოსხმული მივფრინავ ცისკენ. რაკი ავადმყოფად მთვლით, ჩემი არ გჯეროდათ და მადლობა ღმერთს, რომ ახლა საკუთარი თვალით ნახეთ და განიცადეთ: ლუსტრები შექანდა, კარადები ადგილიდან დაიძრა და საწოლი ლამის ქვეშ გამოგვეცალა!

ნ ი ნ ო — არაფერია, შვილო, მიწა იძრა. დაწყნარდი!

გ უ რ ა მ ი — (მიდის რენასთან) ხომ არაფერი მოგისმენია? ვახტანგისა ხომ არაფერია პამირიდან?

რ ე ნ ა — დუშანბე მოვისმინე ამ ერთი საათის წინ. ორი დღეა, რაც მთასვლელებთან რადიო კავშირი შეწყვეტილია. მაშველი ჯგუფი შემდგარა და ვერტმფრენებიც ეძებენ, მაგრამ პამირზე ისეთი ბურუსი ყოფილა, ჯერჯერობით ვერსად მიაკვლიეს მთამსვლელები.

დ ა ვ ა რ ი — ნუთუ ვახტანგი ცოცხალი აღარ იქნება?

გ უ რ ა მ ი — ცოცხალი იქნება და სულ მალე დაბრუნდება.

დ ა ვ ა რ ი — ღმერთო ჩემო! ჯავრისაგან სულ გამოვშტერდი! დედა სად არი? დედა-ჩემი!

ნ ი ნ ო — როგორ, დედა შინ არ იყო?

დ ა ვ ა რ ი — არ ვიცი, შინ მე თვითონ არ ვიყავი, ძია გურამთან ინგლისურის გაკვეთილი მქონდა.

ნ ი ნ ო — ინგლისურის გაკვეთილი ნაშუალამევს!..

დ ა ვ ა რ ი — დიახ! გაკვეთილის შემდეგ ძია ტიტე შემოვიდა, გურამის პიესაზე მუშაობდნენ. მათმა მსჯელობამ გამიტაცა და აღარ წამოვედი.

ტ ი ტ ე — ბოლოს, ჩვენი საუბარი, რომ ძალზე პროფესიული გახდა, ძილი მოგერია და საავარძელში ჩაგთვლიმა. ჩვენც უკვე დაღლილები ვიყავით და ბევრი არაფერი დაგიკარგავს.

პ ა ვ ლ ე — აგერ, დედაშენი!

კიბეზე ჩამორბიან სესილი და ლევანი. სესილს ღამის პერანგზე ლევანის პიჯაკის მოხურვა მოუსწრია, ხელში დაუმთავრებელი სურათი უჭირავს ლევანს საძინებელი პიჟამო აცვია.

ს ე ს ი ლ ი — ყველამ დროზე უშველა თავს, ჩვენ კი მანსარდიდან ძლივს ჩამოვაღწიეთ. ერთხელაც რომ შენძრეულიყო მიწა, ალბათ ნანგრევებში მოვყვებოდით.

პ ა ვ ლ ე — რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ქალბატონო, თქვენ ამ სახლის მესამე სართულზე ცხოვრობთ.

ს ე ს ი ლ ი — დიახ, მესამეზე ვცხოვრობთ.

პ ა ვ ლ ე — მერე ნაშუალამევს მანსარდზე რა გინდოდათ?

ს ე ს ი ლ ი—თქვენ ყველაფერი გაინტერესებთ!

ძველი ბოლშევიკი ხართ და ყველას ამბავი უნდა იცოდეთ!.. მანსარდზე, მოგეხსენებათ, ლევანი ცხოვრობს, ჩვენი თეატრის სახელოვანი მხატვარი, იგი ჩემს პორტრეტს ხატავს (აჩვენებს დაუმთავრებელ პორტრეტს).

პ ა ვ ლ ე — (სათვალეს იკეთებს და აკვირდება) შიშველს გხატავს? ნიუ, არა?

ს ე ს ი ლ ი — დიახ, შიშველს! რატომ გიკვირთ?

პ ა ვ ლ ე — არა, სულაც , არ მიკვირს... თქვენგან.

ს ე ს ი ლ ი — ქვეყანა მოვლილი გაქვთ, განათლებული კაცი გქვიათ და, შიშველი სხეულის დანახვას ფარისევლურად ვერ იტანთ... მაგრამ თქვენთან კამათი არა ღირს, თქვენ შორეული წარსულით ცხოვრობთ და ვერც გრძნობთ, როგორ ანაქრონიზმად გამოიყურებით დღევანდელ ფონზე.

პ ა ვ ლ ე — მე ვარ ანაქრონიზმი? მე, ვინც ჩემი ახალგაზრდობა რევოლუციას შევწირე და ჩემი სიცოცხლე ქვეყნის განახლებას მოვახმარე?

ს ე ს ი ლ ი — დიახ, თქვენა ხართ ანაქრონიზმი, რადგან რევოლუციის ფეხს-ხმას აყოლილი ბევრი თქვენი ნაბიჯი, საბაქილო ანაქრონიზმად გამოიყურება. [illegible] თქვენი შვილიშვილის სახელი — რენა.

პ ა ვ ლ ე — ჩემი შვილიშვილი რა შუაშია?!

ს ე ს ი ლ ი — ეს თქვენ დაარქვით თქვენს შვილიშვილს უცნაური სახელი — რენა, რაც თურმე ორ-ორი ქართველი და რუსული სიტყვის წინა ორი მარცვლის შეკრებით მიგიღიათ — Революции награда "რუსულად—რე+ნა და რევოლუციის ნაყოფი ქართულად, ისევ — რე+ნა.

პ ა ვ ლ ე — მერე აქ საბაქილო რა არის?

ს ე ს ი ლ ი — ამასაც ვერ ხვდებით! ქვეყანამ იცის რევოლუციის როგორი ჯილდო და ნაყოფიც არის თქვენი დებილი შვილიშვილი.

ნ ი ნ ო — თქვენ უფლება არა გაქვთ, ადამიანის ავადმყოფობას დასცინოთ! მე ამის ნებას არ მოგცემთ!

პ ა ვ ლ ე — ამაოდ ცდილობთ სხვისი ნაკლით საკუთარი უზნეობის დაფარვას, გრცხვენოდეთ!

ტ ი ტ ე — გეყოფათ, რა გაჩხუბებთ!

გ უ რ ა მ ი — მაგას ისა სჯობს, რენამ ტრანზისტორი ჩართოს და უკანასკნელი ცნობები მოვისმინოთ.

ტ ი ტ ე — ნაშუალამევს უკანასკნელ ცნობებს თბილისი როდის გადასცემდა?!

გ უ რ ა მ ი — იქნებ სპეცგამოშვება იყოს, მიწისძვრასთან დაკავშირებით (მიდის რენასთან) შენს მუსიკას უსმენ, რენა? რატომ ეგრე ხმადაბლა?

რ ე ნ ა — ჩემს იადონებს აგრე უყვართ, ხმადაბალ მუსიკაზე სძინავთ ხოლმე.

გ უ რ ა მ ი — ახლა სძინავთ იადონებს?

რ ე ნ ა — სძინავთ, მუსიკაზე ჩაეძინათ...

გ უ რ ა მ ი — შეიძლება თბილისზე გადმოვრთოთ? ეგებ უკანასკნელი ცნობების საგანგებო გამოშვება იყოს.

რ ე ნ ა — ვნახოთ... ვცადოთ... (რთავს თბილისს).

დიქტორის ხმა... — ყურადღება! ყურადღება! მოისმინეთ საქართველოს რადიოს სპეციალური გამოშვება: დღეს ნაშუალამევს, ოთხ საათზე თბილისში მოხდა მიწისძვრა. მიწისძვრის ძალამ დედაქალაქში ხუთ-ექვს ბალს მიაღწია. არის ნგრევა. მსხვერპლი არ ყოფილა.

ვინაიდან მოსალოდნელია მიწისქვეშა ბიძგების განმეორება, მოსახლეობას ვაფრთხილებთ, დარჩნენ გარეთ და არ შევიდნენ სახლებში.

გ უ რ ა მ ი — მადლობა ღმერთს! მსხვერპლი არ ყოფილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ ა ვ ლ ე — რა ვიცი, ეს სახლი კი შექანდა საქანელასავით და!...

ს ე ს ი ლ ი — ჩემს ქმარს უმადლოდეთ, რომ ასე მკვიდრი სახლი აგიშენათ.

ტ ი ტ ე — ჩვენი სახლი მართლაც მკვიდრად ნაშენია. მიწისძვრა კი არა, ზარბაზანი ვერ დაანგრევს. ისეთი სქელი კედლები აქვს. კარგად აშენებდა, სესილ, თქვენი ქმარი!

ს ე ს ი ლ ი — მერე ვინ დაუფასა! ამოდენა შენობაში მისი ოჯახისთვის სამი ოთახი ძლივს გაიმეტეს!

ნ ი ნ ო — ძალიანაც კარგად დაუფასეს, სამი ოთახი მისცეს რეგორც ამ სახლის ამშენებელ ინჟინერს, ოორემ სახლში, რომელშიაც ჩვენი რესპუბლიკის ყველაზე გამოჩენილი მსახიობები ცხოვრობენ, თქვენ ერთი ოთახიც არ შეგხვდებოდათ.

ს ე ს ი ლ ი — ვითომ და რათაო? მე ვისზე ნაკლები მსახიობი ვარ?

ნ ი ნ ო — თქვენს რეპერტუარს ჩახედეთ. მუნჯი, უსიტყვო როლების მეტი არაფერი გითამაშნიათ.

ს ე ს ი ლ ი — როლები რომ ნიჭის მიხედვით ნაწილდებოდეს, შენც სტატისტად დაბერდებოდი, მაგრამ რას იზამ, ჩემს ქმარს ყველაფერში იყენებთ და მას კი არაფერში არგიხართ! ის რომ არ იყოს, ან ფული ენანებოდეს, არც წყალი და სინათლე გექნებოდათ, არც ლიფტი იმუშავებდა.

პ ა ვ ლ ე — მართლაც ჩვენი ბედი, რომ ახლა თქვენი ქმარიც დაბალჭერიან, ხუხულებს აშენებს და ფული ჩეჩქივითა აქვს!

ს ე ს ი ლ ი — ეგეც თქვენი სადარდელია! სულ სხვის ჯიბეში ყურება აღარ მოგწყინდა, საცოდავო ანაქრონიზმო?

პ ა ვ ლ ე — (ჯოხს ამართავს) თუ თქვენ კიდევ მაგ სახელს მიწოდებთ, შედეგისათვის პასუხს არ ვაგებ!

ტ ი ტ ე — (შუაში ჩაუდგება) რატომ კადრულობთ! დამშვიდდით!

ს ე ს ი ლ ი — ნეტავი თქვენი მეზობელი არ ვიყო, სულ კოჭებში მიყურებთ და ჩემს ყოველ ნაბიჯს უთვალთვალებთ! რატომ უნდა მქონოდა საქმე ასე ზევით-ქვევით სარბენად! იმის ღირსი არ ვიყავი, რომ მხატვარი ჩემს ბინაში მომეწვია და იქ დავეხატე? მაგრამ სად? სამ ოთახში ოთხი სული ძლივს ვეტევით!

პ ა ვ ლ ე — სამი ოთახი ოთხი სულისათვის არც ისე ცოტაა. გასაბჭოების პირველ წლებში ორი ოთახი რომ მივიღე, ჩემზე ბედნიერი კაცი არ მეგონა! ჩემი რაიონიდან ვინც თბილისისკენ დაიძრებოდა, ყველა ჩემსას ჩერდებოდა!

ს ე ს ი ლ ი — ისევ ანაქრონიზმი!... გაიგეთ, წავიდა ის დრო, როცა ერთ საბანქვეშ ცხოვრებისაკენ მოუწოდებდით! ჩვენ ... გადოების განვითარებამ გვიჩვენა, რომ ... მფორტული ბინებითა და მსუბუქი ავტომობილებითაც შეიძლება კომუნიზმში შესვლა.

პ ა ვ ლ ე — ყოჩაღ! ჩვენი საზოგადოების განვითარებაც შეგისწავლიათ!

ს ე ს ი ლ ი — დამეხსენით, მე თქვენთან ლაპარაკი არ მსურს (გურამს) ბატონო გურამ, ვერ იქნა და თქვენ ვერ მოგელაპარაკეთ! გადადით, სამ ოთახში, რომელ რაიონშიც ისურვებთ! ბოლოს და ბოლოს, ფულსაც დაგიმატებთ! თქვენს ორ ოთახს შევიერთებ, თქვენც მეფესავით იცხოვრებთ და ჩვენც ადამიანურად ამოვისუნთქავთ.

გ უ რ ა მ ი — რამდენჯერ უნდა გითხრათ, ქალბატონო სესილ, ვერსადაც ვერ გადავალ მე ჩემი ორი ოთახიც მყოფნის.

ს ე ს ი ლ ი — როგორ გყოფნით! ამოდენა ბიბლიოთეკა გაქვთ და წიგნები აღარსად გეტევათ!

გ უ რ ა მ ი — ეგ არაფერია, წიგნები სულაც არ მიშლიან.

დ ა ვ ა რ ი — შენ სულ მარტო შენს თავზე ფიქრობ. ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ გურამი აქედან გადავიდეს! მე რა მეშველება?!

ს ე ს ი ლ ი — შენ რა უსაშველო გჭირს, ინგლისურის მასწავლებელს სხვას ველარ იშოვი?

დ ა ვ ა რ ი — განა გურამი მარტო ინგლისურის მასწავლებელია ჩემთვის?

ს ე ს ი ლ ი — არ გადამრიო, ქალო! სხვა კიდევ რა უნდა იყოს შენთვის მამისტოლა კაცი?

დ ა ვ ა რ ი — იგი ერთადერთი ნათელია ჩვენს უღიმღამო ყოველდღიურობაში, მეშჩანობის მოსაწყენ ერთფეროვნებაში. გურამი ამ სახლიდან არ წავა და ვერც ჩვენ წავალთ, დედა.

ს ე ს ი ლ ი — არც მე მინდა აქედან წასვლა, მაგრამ დღეს თუ ხვალ შენი ძმა ცოლს მოიყვანს, მე ისეც თავი მაქვს მოძულებული გერთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრებით და იმის ცოლს როგორლა შევეგუო!

პ ა ვ ლ ე — ამიტომ გაიქცა ვახტანგი! ან კი რა გააჩერებდა! ფულიანი მამა საყვარელთან იყო გადაბარგებული და თვეობით შინ არ შემოდიოდა, დაი მეზობელი მასწავლებლის ბინიდან არ გამოდიოდა, ხოლო დედინაცვალი მანსარდზედ ათენებდა, რათა ცნობილ მხატვარს შიშველი დაეხატა.

დ ა ვ ა რ ი — ჩვენ სიყვარულისა და ზრუნვის მეტი არაფერი გამოგვიჩენია ვახტანგისადმი და ჩვენს პატიოსნებაში მას ეჭვი არასოდეს შესვლია.

ს ე ს ი ლ ი — თუ ვინმემ აუმღვრია ვახ-

ტანგს გული და გონება, ეს თქვენ იყავით თქვენ მოუწამლეთ წასელის წინა დღეები.

პ ა ვ ლ ე — მე როგორ? საიდან?

ს ე ს ი ლ ი — თავს ნუ იკატუნებთ, კარგად იცით, საიდანაც და როგორც!

პ ა ვ ლ ე — მე ვახტანგი საკუთარ შვილზე ნაკლებ არ მიყვარდა, მისთვის ზრუნვა არ დამიკლია და თვითონაც მამასავით ვუყვარდი.

დ ა ვ ა რ ი — სწორედ მაგ სიყვარულზე გულის გატეხვამ, თქვენდამი რწმენის დაკარგვამ მოუწამლა ბოლო დღეები ვახტანგს.

სცენა ბნელდება. ნათდება ავანსცენის ის კუთხე, სადაც სესილი და დავარი დგანან. განათებულ ნრეში შემოდის ვახტანგი.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ნეტავ არ წამეკითხა! (ისვრის ჟურნალს) ნუთუ ყველაფერი ეს მართალია და პავლე შალვას დახვრეტის მონაწილეა?

დ ა ვ ა რ ი — რას ამბობ! საიდან მოიტანე?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — აგერ, მათი ამხანაგის, ძველი ბოლშევიკის მოგონებაა, ისიც პაპაჩემ შალვასა და პავლეს მეგობარი ყოფილა. დაწვრილებით ნერს, როგორ აღმოჩნდნენ შალვა პაპა და პავლე ერთმანეთის მოწინააღმდეგე ბანკებში, როგორ გამოიჩინა პავლემ პარტიული პრინციპულობა და როგორ გაიმეტა დასახვრეტად მისი განუყრელი მეგობარი.

ს ე ს ი ლ ი — მე ეგ ადრეც ვიცოდი, მამაშენისაგან, მაგრამ არ გეუბნებოდი; პავლე შენ რაინდობისა და კეთილშობილების მაგალითად მიგაჩნდა და არ მინდოდა გული გატეხოდა საკუთარ რწმენასა და ადამიანებზე.

დ ა ვ ა რ ი — ეგებ ცილს სწამებენ პავლეს, იქნებ ეს ბრალდება მისი მტრების მიერ არის შეთხზული და მოგონილი!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ღმერთმა ჰქნას, რომ ეგრე იყოს! სჯობს თავათ პავლეს გამოკითხოთ, არა მგონია, ვაჟკაცობა არ ეყოს და წიმართლე არ მითხრას.

სინათლე ქრება, ნათდება ავანსცენის სხვა კუთხე, პავლე სკამზე ზის და კითხულობს იმავე ჟურნალს. განათებულ ნრეში შემოდის ვახტანგი. პავლე დანაშაულზე წასწრებულივით დაიბნევა, არ იცის ყურნალს რა უყოს. ბოლოს გადაისვრის.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — (იღებს ჟურნალს) ძია პავლე! მართალია, რაც აქ სწერია?

პ ა ვ ლ ე — (ამოიოხრებს) მართალია!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — მერე რატომ ერთხელ მაინც არ მითხარი?

პ ა ვ ლ ე — ვერ გითხარი. მემეძალა, მეშინოდა, [illegible] მაშენის მამა იყო.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — მამაჩემ [illegible] ტე და ეს დანაკლისი იმით აუნაზღაურე, რომ მთელი სიცოცხლე მის კეთილდღეობაზე ზრუნავდი, ჩვენს ოჯახს საკუთარსავით თავს დასტრიალებდი.

პ ა ვ ლ ე — როგორც შემეძლო ხელს გიმართავდით.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ამ სახლშიც შენი დახმარებით მოგვცეს ბინა.

პ ა ვ ლ ე — ახლო მინდოდა მყოლოდით, რომ მეტი ყურადღება მომექცია.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ნუთუ არ იცოდი, რომ სისხლს ზრუნვითა და ყურადღებით ვერ გამოისყიდდი?

პ ა ვ ლ ე — მე ჩემსას ვცდილობდი!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — მაინც როგორ გაიმეტე დასახვრეტად ბავშვობისა და სიყრმის განუყრელი მეგობარი, რომელთანაც ერთ ძუძუს სწოვდი? როგორ არ დაინდე?

პ ა ვ ლ ე — რევოლუციამ დანდობა არ იცის, მას თავისი კანონები აქვს. მისი მიზნები პირად, ადამიანურ გრძნობებსა და დამოკიდებულებაზე მაღლა დგანან.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — გამარჯვებულ რევოლუციას ერთი გზააბნეული ახალგაზრდისათვის სიცოცხლის შენარჩუნება რას დააკლებდა. თუ კი ეს შენს ხელთ იყო?

პ ა ვ ლ ე — მე მწამდა, რომ რევოლუციის კანონით ვმოქმედებდი და სხვაგვარად მოქმედება არ შემეძლო.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ის ხომ შეგეძლო, რომ ჩვენი ოჯახი ეგრე არ დაგეახლოებინა, ჩვენთვის ამდენი ამაგი არ დაგედო და თავი ისე არ შეგეყვარებინა?!

პ ა ვ ლ ე — შემეძლო.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — თქვენ ჩემთვის რაინდობის იდეალი იყავით და აი, უცებ ყველაფერი დაიმსხვრა. ალბათ მსგავსი რამ არასოდეს გამოგიცდიათ და იქნებ ვერც წარმოიდგინოთ, რა ძნელი ყოფილა რწმენის დამსხვრევა.

პ ა ვ ლ ე — ვიცი... რწმენის დამსხვრევა ზოგჯერ სიკვდილზე ძნელია.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ადამიანთაგან ერთადერთის თქვენი რწმენა მქონდა და ისიც რომ დამემსხვრა, ასე მგონია, ქვეყანა დაცარიელდა.

პ ა ვ ლ ე — კარგი იყო ისე წავსულიყავი ამ ქვეყნიდან, ჩემი წარსულის ეს ეპიზოდი არ შეგეტყო. შენ ახლო ხარ დაღუპულ პაპასთან და მისი ტკივილი გტკივა. ამიტომ ვერ იქნები შენ მიუდგომელი განმსჯელი ჩვენი მაშინდელი ნაბიჯებისა, რომელთაგან ზოგი საბედისწეროც იყო. შენი შვილი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილიშვილი უფრო სამართლიანად განსჯიან ჩვენს ურთიერთობას. მე მათ მსჯავრს ვერ მოვესწრები, მაგრამ მათი მიუდგომლობისა მჯერა და მათ განაჩენს უდრტვინველად შეხვდება ჩემი სინდისი.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ჩემი მსჯავრი გულის გატეხვა და იმედის გაცრუებაა, არა მარტო შენდამი, არამედ საერთოდ ცხოვრებისადმი, რომელმაც ადამიანების რწმენა წამართვა, როცა რწმენას ჰკარგავ, ცხოვრების აზრიც გეკარგება თურმე... (გადის).

სცენა ისევ ბნელდება და მაშინვე მთლიანად ნათდება.

ს ე ს ი ლ ი — ამ.ს შემდეგ, ადამიანებზე გულგატეხილი და ცხოვრებაზე ხელჩაქნეული, ისეთ გუნებაზე იყო, ჰამირზე კი არა, სახრჩობელაზე ავიდოდა დაუფიქრებლად.

ე კ ა — მეც ცუდ დროს გადავუდექი, მაშინ ჩამოვშორდი, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდა ჩემი სიახლოვე. მაგრამ ეს შენი ბრალი იყო.

ს ე ს ი ლ ი — ჩემი ბრალი ის იყო, რომ ვახტანგი მიყვარდა? სიყვარული დანაშაული არ არის და თუ შენ ჩვენი სიყვარულის გამომჟღავნების მოწმე გახდი...

სცენა ბნელდება. ისევ ნათდება.

ლოგინში სესილი წევს. ჩანთიდან სარკეს იღებს, თმებს ისწორებს, მერე საბანს ჩასწევს და მკერდს მოიღელავს.

ს ე ს ი ლ ი — ვახტანგ!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — (მეორე ოთახიდან) გისმენ...

ს ე ს ი ლ ი — რას აკეთებ?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ვკითხულობ.

ს ე ს ი ლ ი — ცუდადა ვარ, ვახტანგ. ერთ წუთს შემოდი.

(შემოდის ვახტანგი, ხელში გაშლილი წიგნი უჭირავს).

ს ე ს ი ლ ი — ჩამოჯექი (ხელით ანიშნებს) ვახტანგი საწოლის ბოლოზე ჯდება.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — რა გაწუხებს, სესილ?

ს ე ს ი ლ ი — რა მაწუხებს? რა მაწუხებს და მარტოობა, უყურადღებობა. მთელი დღე ისე გავა, ერთხელ არ მიკითხავ.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — როგორ არ გკითხულობ.

ს ე ს ი ლ ი — ცუდად მკითხულობ, ვახტანგ. ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობთ და ერთხელ ჩემთან არ შემოიხედავ, ერთხელ არ მკითხავ, რა მჭირდება, რა მაკლია.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — განა რამე გაკლია?

ს ე ს ი ლ ი — შენც მამაშენივით მეკითხები. რაკი საჭმელ-სასმელი მაქვს და ჩაცმულ-დახურულიცა ვარ, სხვა არაფერი მჭირდება? ეგრე მამაშენი ფიქრობს, ფულს მომიგდებს და თვითონ იკარგება. ის კი არ აწუხებს, რომ მასზე, ოცდახუთი წლით უმცროსი ვარ და ჭამასმისა და ჩაცმა დახურვის გარდა, სიყვარული ვარული და ალერსიც მინდა... მე, ხომ, შენი ხნისა ვარ, ვახტანგ... რა ვუყოთ, რომ დედინაცვალი მქვია. განა მეც შენსავით ახალგაზრდა არა ვარ? რატომ ერთხელ არ დაფიქრდები ჩემს მარტოობაზე, რატომ ერთ ალერსიან სიტყვას არ მეტყვი.

(კარი იღება. ზღურბლზე ეკა შეჩერდება).

ს ე ს ი ლ ი — აი. ახლაც სიცხე მაქვს... მოიწი ახლოს (ვახტანგი ოდნავ გაიწევა სესილისკენ) მომეცი ხელი (ვახტანგი ხელს აძლევს) დამადევი შუბლზე, ნახე, როგორი ცხელია.

((ვახტანგი წამოინევა, შუბლზე ხელს ადებს და სესილისკენ იხრება, სესილი ხელს ხვევს.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — გამიშვი, სესილ, რას სჩადი...

ს ე ს ი ლ ი — ნუთუ ვერ ხედავ, რომ შენი სიყვარულით ვარ ავად? (ეხვევა).

ე კ ა — აჰ!

(ეკას შეკივლებაზე ვახტანგი სესილის ხელებიდან თავს იძვრენს და შეშფოთებული შებრუნდება).

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ეკა!

(ეკას ცრემლი წასკდება, თვალებზე ხელებს აიფარებს და გარბის).

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ეკა! ეკა! შეჩერდი ეკა.

(სცენა ბნელდება. ისევ ნათდება).

აქოშინებული ვახტანგი ეკას დაეწევა.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ეკა, შეჩერდი. მომისმინე...

ეკა — (ჩერდება): რა უნდა მოგისმინო, ორპირსა და მოღალატეს?!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — შენი ღალატი ფიქრადაც არ მომსვლია, ეკა...

ე კ ა — დამეხსენი, ჩემთან საერთო აღარაფერი გაქვს, შენ ავხორცე დედინაცვალს მიხედე. უმკურნალე და დაამშვიდე.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — რას ამბობ, ეკა, მაგას როგორ მკადრებ!

ე კ ა — დამეხსენი, ჩვენს შორის ყველაფერი გათავებულია! თვალით აღარ დამენახო!

(სცენა ბნელდება. ისევ ნათდება).

ე კ ა — არ უნდა ავჩქარებულიყავი!

ს ე ს ი ლ ი — მით უმეტეს, რომ ჩვენს შორის არაფერი ყოფილა.

ე კ ა — მაინცდამაინც ისეთ დროს წავეჩხუბე, როცა უჩემობა ყველაზე ძნელი გადასატანი იქნებოდა ვახტანგისათვის. რატომ არ დავფიქრდი, ყველაზე ძვირფას ადამიანს, რომ თავიდან ვიშორებდი და დაღუპვისაკენ ვუბიძგებდი, დამნაშავე ვარ, დამნაშავე, ყველაფერი ჩემი ბრალია...

რ ე ნ ა — შენი კი არა, ჩემი ბრალია, მე გავუმხილე სიმართლე ვახტანგს.

(სცენა ბნელდება. ნათდება წრე. წრეში —

ვახტანგი. შემოდის რენა ხელში იადონებიანი გალიით).

რ ე ნ ა — არც შენ გძინავს, ვახტანგ? უჰ, როგორ დავიქანცე, ორ საათზე მეტია, ქალაქის თავზე დავფრინავთ მე და ეკა, ერთმანეთს ვეხვევით და ვეალერსებით.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — შენ და ეკა?

რ ე ნ ა — ჰო, მე და ეკა! ყოველ ღამე, თქვენ რომ გძინავთ, მე და ეკა ცისკენ მივფრინავთ, ერთმანეთის ალერსით ვტკბებით და ისევ უკან ვბრუნდებით. მე მას ვუყვარვარ და ეს შენ არ უნდა გეწყინოს.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — არ მწყინს, რენა.

რ ე ნ ა — არც უნდა შეგშურდეს! თუ კი არ უყვარხარ. რა ჰქნას ეკამ?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — რა ჰქნას, მისი რა ბრალია!

რ ე ნ ა — არც ჩემი ბრალია, მე რომ ვუყვარვარ!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — არა, შენი რა ბრალია!

რ ე ნ ა — ჰოდა, ნურც მე მომიძულებ!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — არა, რენა, შენ როგორ მოგიძულებ! (რენა გადის) ნეტავი შენ! ნუთუ ჭკუასუსტი უნდა იყოს კაცი, რომ თავი ბედნიერად იგრძნოს! სად წავიდე, აღარ ვიცი, აღარც სატრფო, აღარც მეგობარი!... (შეჩერდება) დროზე მაინც დაიწყებოდეს ფილმის გადაღება, აქაურობას გავეცლებოდი! (სცენა დაბნელდა. მაშინვე ნათდება მთელი სცენა).

ტ ი ტ ე — მე ჩავშალე ფილმის გადაღება. ყველაზე მეტი ბრალი მე მიმიძღვის ვახტანგის ბედის შეტრიალებაში.

გ ურ ა მ ი — როგორ? შენც სიყვარულის სამკუთხედში ხარ ჩართული?

ტ ი ტ ე — არა! სიყვარული არაფერ შუაშია! ვახტანგი პამირის დასაპყრობად ივლისის ბოლოს უნდა წასულიყო. ყველაფერი მზად ჰქონდა და ამ დროს მე მოვიწვიე ჩემს ფილმში მთავარი როლის შემსრულებლად. სასინჯი გადაღებები საუცხოო გამოვიდა. ხელშეკრულება დავუდევი და ჯგუფში ჩავრიცხე. ყველაფერი მზად იყო გადაღებებზე გასამგზავრებლად, გურამ, თეატრმა რომ შენი პიესის დადგმა შემომთავაზა. პიესა წავიკითხე, იმდენად გამიტაცა, ყველაფერი დამავიწყდა. კინოსტუდიას სამი თვით გადავადებინე გადასაღებად წასვლა და ჯგუფი დროებით დავშალე.

სცენა ბნელდება. ნათდება წრე. წრეში ვახტანგი და ზეზვა.

ზ ე ზ ვ ა — რაღაც ძალიან გაჭიანურდა ფილმის გადაღების დაწყება.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ამ დღეებში გავუდგებით გზას.

ზ ე ზ ვ ა — ტყუილად დავკარგეთ ამდენი დრო, ახლა უკვე პამირი დაპყრობილი გვექნებოდა.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ეგერ, ბატონ ... — ... ჟისორი, ალბათ გასამგზავრებლად გასასწორებელ ხილებს.

ზ ე ზ ვ ა — გაიგე. თუ კაცი ხარ, როდის მიდიხართ, თუ კიდევ ყოვნდებით, პამირისაკენ გავუტიოთ, ჯერ კიდევ შეიძლება მწვერვალის დაპყრობა.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ვითომ? მგონია, გვიან არი! (ზეზვა გადის. შემოდის ტიტე. ვახტანგი ეგებება) ბატონ ტიტეს გაუმარჯოს.

ტ ი ტ ე — გამარჯობა, ვახტანგ! სწორედ შენ გეძებდი. (სხდებიან) მოხდა გაუთვალისწინებელი რამ. იძულებულ გავხდი, ფილმის გადაღება გადავდო.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — (სასონარკვეთილი) ნუთუ?!

ტ ი ტ ე — სულ სამი თვით გადაიდება. გურამის პიესა უნდა დავდგა სასწრაფოდ. ალბათ სამ თვეზე ადრეც მოვრჩები და მაშინვე ფილმის გადაღებას დავიწყებ. თუ ისურვებდი პიესაშიც აგიყვანდი, კარგ როლს მოგცემდი.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — (დაბნეული) პიესაში? არა არა ღირს, მირჩევნია ფილმის მთავარი როლისათვის ვემზადო... ცოტა ადრე, რომ მცოდნოდა, პამირზე წავიდოდი, ჯგუფი, კარგა ხანია, მიცდის.

ტ ი ტ ე — ახლა გვიან არის?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — კი, ცოტა შეგვიანდა. მწვერვალის დასაპყრობად განკუთვნილი საუკეთესო დრო გასულია. ამინდი უკვე სანდო აღარ არის... მაგრამ არაუშავს. კარგი, გამოცდილი ბიჭები მიმყავს, ალბათ შეეძლებთ...

ტ ი ტ ე — ეგებ მაინც წაგეკითხა პიესა.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — წავიკითხავ, სიამოვნებით წავიკითხავ.

ტ ი ტ ე — ნაილე, წაიკითხე და დამიბრუნე.

ჩაბნელება. სცენა ნათდება მთლიანად.

დ ა ვ ა რ ი — პიესა ერთი ჩაჯდომით ნაიკითხა. რომ დაამთავრა, მოსვენება დაჰკარგა, ერთთავად სულ პიესას უტრიალებდა, ავტორს ედავებოდა. ბოლოს გადაწყვიტა, პირადად გასაუბრებოდა გურამს.

სცენა ისევ ბნელდება. ნათდება წრე. გურამი წიგნს კითხულობს. რეკავს კარის ზარი

გ ურ ა მ ი — (თავაუღებლად) მობრძანდით, ღიაა!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — (შემოდის) უკაცრავად, ხომ არ შეგიშალეთ.

გ ურ ა მ ი — ოო, ვახტანგს ვახლავართ! დაბრძანდით!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — თქვენ სულ წიგნს კითხულობთ.

გ ურ ა მ ი — რას იზამ, ვახტანგ! ქვეყნად იმდენი კარგი წიგნია დაწერილი, კაცს ერთი სიცოცხლე არ ეყოფა ყველას წასაკითხავად.

ზოგჯერ სიკვდილზე დაფიქრებისას იმაზეც მწყდება ხოლმე გული, რომ მომავალშიც ბევრი კარგი წიგნი დაიწერება და მე მათ ვერ წავიკითხავ!..

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ეგეც კია ალბათ გულდასაწყვეტი! ადრე საუკუნეებში მცხოვრებ ადამიანს რამდენი რამ აკლდა იმის გამო, რომ მაშინ ჯერ კიდევ არ იყო დაწერილი, არც რუსთაველის ვეფხისტყაოსანი, არც დანტეს, „ღვთაებრივი კომედია", არც შექსპირის ტრაგედიები, არც „დონკიხოტი" და „ფაუსტი". მაგრამ მე ახლა არც იმ შორეულ წარსულზე ვაპირებ თქვენთან საუბარს, არც გაურკვეველ მომავალზე... მე თქვენი პიესა წავიკითხე...

გ უ რ ა მ ი — სასიამოვნოა! როგორ მოგეწონათ? მე თქვენს აზრს დიდად ვაფასებ.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — მომეწონა, მაგრამ საკამათოც ბევრი მაქვს.

გ უ რ ა მ ი — ოო, ეს კარგი ნიშანია! ის რაც დავას და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს სიცოცხლის უნარიანი უნდა იყოს.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — რაც მთავარია, მე ვერ დაგეთანხმები იმაში, თითქოს მწვერვალი არ არსებობდეს.

გ უ რ ა მ ი — ნუ აუბრალოებთ! მე ბუნებაში მწვერვალების ფიზიკურ არსებობას როდი უარვყოფ.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — დიახ, მე მესმის! მწვერვალად თქვენ გულისხმობთ უკიდურესობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მას მხოლოდ მოსაჩვენარ თავის მოტყუებად თვლით. ადამიანი თქვენის აზრით იმიტომ ადის მწვერვალზე, რომ ისევ დაბლა ჩამოვიდეს. თქვენ კაბინეტში გამოკეტილი მოაზროვნე ხართ და ალბათ ვერ წარმოიდგენთ იმ სიხარულის სიდიადეს, რომელიც მწვერვალზე ასვლას მოაქვს მთამსვლელისათვის.

გ უ რ ა მ ი — მე მთამსვლელები სულაც არ მყვანან მხედველობაში. მწვერვალი ჩემს პიესაში მხოლოდ სიმბოლოა საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმოქმნილი უკიდურესობისა. გადის დრო და ირკვევა, რომ იმ უკიდურესობის განხორციელება სრულიადაც არ ღირდა გაღებულ მსხვერპლად. მაგრამ თავი დავანებოთ საზოგადოებრივ ცხოვრებას და ეს სიმბოლო გაუბრალოებულად ავიღოთ. ვაბა, რომელიმე დაუპყრობელ მწვერვალზე ასვლის სიხარული ამართლებს იმ შესანიშნავი ჭაბუკების დაღუპვას, რომლებიც ძნელი მწვერვალების აღებას შეეწირნენ, ახ ხელ-ფეხი მოეყინათ და სამუდამოდ დაინვალიდდნენ?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — თქვენ არ იცნობთ მწვერვალის დაპყრობის სიხარულს. როცა ფეხდაუდგამ მწვერვალზე ვდგავარ და ქვეყანას გადმოვცქერი, თავი ღმერთი მგონია.

გ უ რ ა მ ი — მაგ სიხარულს მხოლოდ ერთეულები განიცდით. როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელებული უკიდურესობით ტკბობას განიცდიან მხოლოდ ხელისუფლების ყინით დაავადებული ცალკე მეთაურები. ამდენად ყოველივე ეს ინდივიდუალიზმია და ჩემთვის მიუღებელი უნდა იყოს!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — თქვენ ადრე სულ სხვას ჩამაგონებდით. მწვერვალებისკენ სწრაფვა თქვენ ჩამინერგეთ პატარობიდან, თქვენი ლექსებით.

გ უ რ ა მ ი — ადრე მეც შენსავით ვფიქრობდი, მაგრამ... ალბათ მართალნი არიან ისინი, ვინც ქადაგებენ, რომ არცერთმა ადამიანმა ან საზოგადოებრივმა სისტემამ დიდხანს არ უნდა იარსებოს, თავქვე დაშვებასა და თავისი თავის უარყოფას არ უნდა მოესწროს. ჩემი პიესა ხანდაზმული კაცის დაკვირვებებს გადმოსცემს, ოცნებებზე გულის გატეხვასა და ბევრ რამეზე იმედის გაცრუებას. ამიტომ ეგეც სჯობდა სულაც არ წაგეკითხათ იგი და, მერე ისიც, იმ დროს, როცა მწვერვალის დასაპყრობად მიემგზავრებით. კაცი რომ დიდი შემართებისათვის ემზადება, ეჭვი ახლოს არ უნდა გაიკაროს!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ეგ ეჭვის ჭია მე უკვე მღრღნის, მაგრამ მე მას მოვერევი! მე ერთხელ კიდევ ავალ დაუპყრობელ მწვერვალზე და ერთხელ კიდევ დავუმტკიცებ ჩემს თავსაც და თქვენს მსგავს სკეპტიკოსებსაც, ბატონო გურამ, რომ მწვერვალების არსებობა ალამაზებს ჩვენს ცხოვრებასაც და ისტორიასაც და რომ იმ მწვერვალების დაპყრობის სიხარული ყველა სხვა სიხარულზე მეტია!

დაბნელება.

ნაწილი მეორე

ყველანი თავთავისთვის სხედან. ზოგი თვლემს, ზოგი კითხულობს.

ტ ი ტ ე — (აკვირდება ბესიკს) რას კითხულობ, ბესიკ?

ბ ე ს ი კ ი — ჩემს როლს ვსწავლობ „მიწისძვრიდან".

ტ ი ტ ე — ოჰო! შენა? შენ რაღას კითხულობ ნინო?

ნ ი ნ ო — მეც გურამის პიესას ვკითხულობ. მინა რომ იძრა ამ წიგნიანად გამოვვარდი გარეთ.

ტ ი ტ ე — კარგია! კარგია! (დაფიქრდება) გურამ, ერთი იდეა მომივიდა!

გ უ რ ა მ ი — რა იდეა?

ტ ი ტ ე — როგორც გამოირკვა, ჩვენ აქ კარგა ხანს ვიქნებით ღია ცის ქვეშ, რაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინ ვერ შევდივართ. დრო მაინც როგორმე უნდა მოვკლათ და ბარემ გამოვიყენოთ...

გ ურ ა მ ი — როგორ გამოვიყენოთ?

ტ ი ტ ე — როგორ და შენი პიესის რეპეტიცია გავიაროთ. პიესის მონაწილე მსახიობების უმრავლესობა აქ არის. მათ უამისოდაც უნდოდათ რეპეტიციაზე შენი მოწვევა. ალბათ შენთვისაც საინტერესო იქნება საკუთარი პიესის მოსმენა მსახიობთა შესრულებით.

გ ურ ა მ ი — რა თქმა უნდა! მე ადრეც გთხოვე დასწრება. რეპეტიციაზე პიესის ხარვეზები, დიალოგის ნაკლი თუ მოქმედების არაბუნებრიობა უმალვე იჩენს ხოლმე თავს და მათი გასწორებაც ადვილია ასეთი შავი მუშაობის დროს.

ტ ი ტ ე — ჰო და ძალიანაც კარგი! აბა, ამ-ხანაგო მსახიობებო, მოდით, აქეთ მოგროვდით! (მსახიობები გარს ერტყმიან) რას იტყოდით ახლა, რომ „მინისძვრის" რეპეტიცია ჩაგვეტარებინა? შინ მაინც ვერ შევდივართ დასაძინებლად და რა უნდა ვაკეთოთ?

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ძალიან კარგი იქნება! დროსაც მოვკლავთ და საქმესაც წინ ვავნევთ!

ტ ი ტ ე — როლები ალბათ ჯერ არ გეცოდინებათ ზეპირად.

რ ა ტ ი — ზოგმა ვიცით, ვისაც მოკლე ტექსტები გვაქვს.

ტ ი ტ ე — არა უშავს! პიესის სრული ტექსტი მეცა მაქვს და, როგორც გამოირკვა, ნინოსა და ბესიკსაც თან ჰქონიათ. ისე რომ, ამ მხრივ იოლად წავალთ. რაც მთავარია, ავტორი გვესწრება. თქვენთვის საინტერესო განმარტებასაც მოგვცემს და ზოგ რამეშიც უკეთ გაგვარკვევს.

ბ ე ს ი კ ი — ორი თუ სამი მსახიობი, რომ გვაკლია?

ტ ი ტ ე — მე და გურამი შევცვლით, ზოგჯერ დავარი და ბატონი პავლეც მოგვეშველებიან. მასობრივ სცენებს ყველანი ერთად წარმოვადგენთ, ზოგს პირობითად გავითამაშებთ, ზოგსაც ვიგულისხმებთ. თანახმა ხართ? მაშ, დავიწყოთ.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — დავიწყოთ!

დავიწყოთ!

ტ ი ტ ე — (კითხულობს) სცენა წარმოადგენს ერთმანეთზე გადაბმულ და ერთიმეორეზე დაშენებული სახლების გროვას. ლევან, გესმის? მე უკვე მქონდა შენთან საუბარი. რაღაც შატილის მსგავსი მაკეტი უნდა გააკეთო შატილში ხომ ყოფილხართ?

ლ ე ვ ა ნ ი — როგორ არა! მარტო შატილში კი არა, ქისტეთსა და დაღესტნის აულებშიაც გახლდით.

ტ ი ტ ე — ჰოდა, რაღაც მათი მიმსგავსებული უნდა გააკეთო. მდაბალ, ამფითეატრივით. შეფენილი, ერთმანეთზე შეფენილი, მაღალ-ყობილი და მიშენებული სახლები, ერთი ბანიდან რომ მეორეზე გადადიან. ამ სახლების სიმრავლე უნდა ქმნიდეს შთაბეჭდილებას, რომ იქ ტერმიტებივით უთვალავი ადამიანი ცხოვრობს. მიწა რომ იძრება, გარეთ ფუტკრის სკასავით ურიცხვი ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა უნდა გამოცვივდეს.

მაშ ასე! მიწა იძრა... გამოდით... გაიფანტენით (ყველანი კიბეებზე გაიფანტებიან). ისმის ნანგრევებქვეშ მოყოლილთა კვნესა და ტირილი; ვაიმე! მიშველეთ! ნყალი!

ბ ე ს ი კ ი — (მოიხმობს რატის) ან დღეს, ან არასოდეს! ახლა ყოველი ნუთის დაგვიანება დანაშაულს უდრის. ხალხის რისხვასა და აღშფოთებას საზღვარი აღარა აქვს. სწრაფად, საზრიანად მოქმედება გვმართებს — ცეცხლი კიდევ უფრო უნდა გავაღვივოთ. ამ-ბოხებულ ხალხს პირდაპირ მეფის სასახლისკენ უნდა გავუძღვეთ.

რ ა ტ ი — სწორედ შესაფერისი დრო არი! აღშფოთებული ხალხი მზად არის ყველაფერი დალეწოს და გადაბუგოს, ცეცხლი შევუნთოთ და წინ გავუძღვეთ!

ბ ე ს ი კ ი — ხალხნო! მისმინეთ, ხალხნო! (კიბის მაღალ საფეხურზე დგება. ხალხი გროვდება, ნგრევაში მოყოლილი დაშავებულნი გადარჩენილებს დაყრდნობილები მოდიან). როდემდის უნდა ითმინოთ, ხალხნო? ორი წელიც არ გასულა საშინელი მიწისძვრისაგან და ვაივაგლახით აღდგენილი სახლები ისევ თავზე ჩამოგვექცა, ნახევარმაც ვერ გამოასწრო და ნანგრევებში ცოცხლად დაიმარხნენ.

(შეძახილები ხალხიდან:

— ვაი, შვილებო!

— ნეტავ მეც იქ დავმარხულიყავი!

— ჩვენი სიცოცხლე, რაღა სიცოცხლეა!)

ბ ე ს ი კ ი — როდემდის ვუყუროთ ასე უმოქმედოდ ჩვენს დაქცევასა და მოსპობას?

(შეძახილები ხალხიდან:

— როდემდის!

— როდის უნდა დადგეს საშველი?)

ბ ე ს ი კ ი — რახანია, აღთქმული ქვეყნისაკენ მოგინოდებთ! აი, ამ მთების გადაღმაა ის აღთქმული ქვეყანა, იქ არც მიწისძვრა ხდება თავის დღეში და არც წყალდიდობა.

(ხმები ხალხიდან:

— სად არის ამისთანა ქვეყანა?

— აქ მაინც აღარ გვედგომება და რატომ არ მივდივართ?)

რა ხანია, გეუბნებით, რომ აქ არ გვედგომება. ჩვენი სამკვიდრო ადამიანის საცხოვრებლად გაჩენილი არ არის. ყოველ ორ-სამ წე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლინადში ან მიწისძვრა გვსპობს და ან წყალდიდობა. აღთქმული ქვეყნის გზა მე კარგად ვიცი და თვითონ გაგიძღვებით. იქ წელიწადში ორი მოსავალი მოდის. დაუსახლებელ წალკოტს თანაბრად გავიყოფთ, ერთად ვიშრომებთ. პურისა და ღვინის უხვ მოსავალს მოვიყვანთ და მდიდრად, უზრუნველად ვიცხოვრებთ, არც მიწისძვრის შიში გვექნება და არც წყალდიდობის.

(ხმები ხალხიდან:

— მაგას რა სჯობს!

— ახლავე ნავიდეთ!)

აქამდესაც ვუშველიდით თავს და აღთქმულ ქვეყანაში ვიქნებოდით, მაგრამ მეფე და მისი დამქაშები წინ გვეღობებიან!

(ხმები ხალხიდან:

— ძირს მეფე!

— სიკვდილი მეფეს!)

თვითონ ჩვენს ძვლებზე ნაშენებ სასახლეებში ცხოვრობენ. ის სასახლეები ისე მკვიდრად გვაშენებინეს, მიწისძვრა ვერაფერს აკლებს. ჩვენ ნახგრევებში ვიმარხებით, თვითონ ფუფუნებასა და განცხრომაში ცხოვრობენ.

(ხმები ხალხიდან:

— ძირს მეფე!

— ცეცხლი სასახლეებს)

მათ თქვენი განსაცდელი სულაც არ აწუხებთ, ისინი ახლაც წინაღუდგებიან აღთქმული ქვეყნისაკენ თქვენს გამგზავრებას, ათასი სიძნელით დაგაშინებენ და ძალასაც იხმარენ, რომ აქაურობა არ დატოვოთ. თუ გინდათ, მონობიდან თავის დახსნა, ახლავე სასახლეს გარს შემოვერტყათ, მეფე და მისი ვეზირები დავხოცოთ, მათი ქონება გავიყოთ და აღთქმული ქვეყნის გზას გავუდგეთ.

(ხმები ხალხიდან:

„მეფე დავამხოთ!

— ვისაც ჩვენ არ ვებრალებით, არც ჩვენ შევიბრალოთ) იარაღი აისხით და მომყევით! სიკვდილი მტარვალებს!

(ხმები ხალხიდან:

— სიკვდილი მეფეს!

— სიკვდილი მტარვალებს!)

ჟინჟღილები წამოიღეთ სასახლეების გადასაწვავად!

(ხმები ხალხიდან:

— ცეცხლი სასახლეებს!

— სიკვდილი მეფეს!)

ტ ი ტ ე — (ანთებს ჟინჟღილებს, ფარხმალს ისხამენ. კეტებითა და ფინლებით შეიარაღებულები გარბიან). ლევან! შემდეგ სცენებში ამბოხების მეთაურებს უკვე განსხვავებული, სხვებისაგან გამორჩეული ტანსაცმელი უნდა ეცვათ. იფიქრე კოსტუმებზე... ქუდებიც თავისებური უნდა ეხუროთ, ეგებ მუზეუმებიდან მსგავსი.

ლ ე ვ ა ნ ი — ვიფიქრებ, ბატონო ტიტე ძველი ფრესკებიდან რაიმეს, შესაფერისს გადმოვიღებ.

ტ ი ტ ე — აჯანყებულების უმრავლესობას იარაღი არ ექნება. ეს ძირითადად ღარიბი, ფეხშიშველა მასაა, რომელიც ტირანიის წინააღმდეგ აღსდგა. მეამბოხეები სასახლის საიერიშოდ მირბიან. რაკი აქ არავითარი რეკვიზიტი არა გვაქვს, ვიგულისხმოთ, რომ ხელს დაავლებენ კეტებსა და ფინლებს, ყველაფერს, რაც ხელში მოჰყვებათ. (კითხულობა) სცენის გარედან მოისმის ნგრევისა და ლაწა-ლუწის ხმა, ხელჩართული ბრძოლის ხმაური. სცენაზე გარბი-გამორბიან აჯანყებულები და მეფის ხელისუფლების დამცველები.

შემოდის ბესიკი თან ამბოხებულები შემოჰყვებიან.

ბ ე ს ი კ ი — მეფე და დედოფალი უფლისწულებთან ერთად ცალკე საკნებში მოათავსეთ. მეფის სხვა ახლობლები და მათი ქომაგები საერთო ციხეში შეჰყარეთ, ყველას რომ დააპატიმრებთ, ციხეს ცეცხლი გაუჩინეთ და ერთიანად გამობუგეთ. მეფე და მისი ცოლშვილი მთავარ დამნაშავეებთან ერთად მოედანზე ჩამოახრჩვეთ. მათგან ცოცხალი არავინ უნდა გადარჩეს. არავითარი ლმობიერება და შებრალება მათ მიმართ.

რ ა ტ ი — ბავშვებს და მოხუცებს რა ვუყოთ?

ბ ე ს ი კ ი — სიკვდილი ყველას. დიდსაც და პატარასაც! არავითარი დანდობა და შებრალება! ყველა მეამბოხე, რომელიც ლმობიერებას გამოიჩენს, ადგილზევე დახოცეთ სხვების სამაგალითოდ.

ტ ი ტ ე — (კითხულობს) შემოდის ნატო... ნატოს ვინ თამაშობს.

ნ ი ნ ო — მე ბატონო ტიტე.

ტ ი ტ ე — ჰო და შემოდი... ოღონდ აგრე უღერღილოდ კი არა. შენ რევოლუციით გატაცებულ ქალს — ნატოს ანსახიერებ. მეტი ტემპერამენტი, მეტი რომანტიკა სიტყვაშიც, მოძრაობაშიც.

ბ ე ს ი კ ი — ნატო! ძლივს გიპოვნე! ცოცხალი აღარ მეგონე! (ეხვევა). აღსრულდა! გავიმარჯვეთ! მტარვალი დამხობილია და ხალხი ზეიმობს.

ნ ა ტ ო — (ნინო) — მე ქალების რაზმს ვუძღოდი. მოიერიშეებს უკან მიეყვებოდი და დაჭრილ მეომრებს ვშველოდი.

ბ ე ს ი კ ი — ყოჩაღ, ნატო! შენსავით ფუფუნებაში გაზრდილი ქალისაგან ხალხისათვის ასეთ თავდადებას არ ველოდი!

ნ ა ტ ო (ნ ი ნ ო) — მეც ამბოხების ცეცხლითა ვარ ანთებული, მაგრამ შენ რომ აჯა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნყების მეთაური არ იყო, ვერც მე გავხდებოდი ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლის მონაწილე, მე შენმა სიყვარულმა მომიყვანა აჯანყებულთა რიგებში.

ბ ე ს ი კ ი — ვიცი, ნატო და შენი მადლობელი ვარ. მაგრამ ეს გახსოვდეს, არავითარი პირადი ბედნიერება, ვიდრე ხალხი არ იქნება ბედნიერი! ჩვენი პირადი ბედნიერება საერთო სახალხო ბედნიერებას უნდა ვანაცვალოთ, ხალხს უნდა გავუძღვეთ აღთქმული ქვეყნისაკენ.

ნ ა ტ ო (ნ ი ნ ო) — გავუძღვეთ, ბესიკ! მე ყველგან შენთან ვიქნები! (კოცნიან ერთმანეთს).

ბ ე ს ი კ ი — ბრძოლა გრძელდება, მე იქ უნდა ვიყო! (გადის).

ტ ი ტ ე — კითხულობს (შემოდის ქეთევანი, თმაგაშლილი, სასოწარკვეთილი...) სესილ, შემოდი!...

ქ ე თ ე ვ ა ნ ი — (სესილი) — ძლივს მოგაგენი, შვილო ნატო! მიშველე შენი ჭირიმე!

ნ ა ტ ო (ნ ი ნ ო) — (ცივად) მე რა შველა შემიძლია?!

ქ ე თ ე ვ ა ნ ი (ს ე ს ი ლ ი) — ჩემი შალვა შეიპყრეს და ჩამოხრჩობას უპირებენ.

ნ ა ტ ო (ნ ი ნ ო) — ჩამოახრჩობენ თუ ხალხის წინააღმდეგ იბრძოდა.

ქ ე თ ე ვ ა ნ ი (ს ე ს ი ლ ი) — ჩამოახრჩობენო? რა თქვი?

ნ ა ტ ო (ნ ი ნ ო) — დიახ! აჯანყებულთა კანონით დასჯიან, თუ აჯანყებულებს ებრძოდა და ხალხის მტრების ბანაკში იყო.

ქ ე თ ე ვ ა ნ ი (ს ე ს ი ლ ი) — ნუთუ შენ ამას დაუშვებ, ნატო? შენ ხომ შალვასთან ერთად ერთი ძუძუთი ხარ გაზრდილი, ჩემი ძუძუთი.

ნ ა ტ ო (ნ ი ნ ო) — შალვა მეფის მხარეზე იბრძოდა.

ქ ე თ ე ვ ა ნ ი (ს ე ს ი ლ ი) — შალვა ძმაზე ძვირფასი იყო შენთვის.

ნ ა ტ ო (ნ ი ნ ო) — შალვა ჩემთვის ძმასავით საყვარელი იყო, მაგრამ მე ხალხის ბედნიერებას ყველა სიყვარულზე მაღლა ვაყენებ!

ქ ე თ ა ვ ა ნ ი (ს ე ს ი ლ ი) — ნუთუ შენ შალვას გასწირავ?

ნ ა ტ ო (ნ ი ნ ო) — შალვამ თვითონ გასწირა თავისი თავი, ჩვენს მოწინააღმდეგე ბანაკს რომ შეუერთდა.

ქ ე თ ე ვ ა ნ ი (ს ე ს ი ლ ი) — მიშველე, ნატო! შენს მეტი ვერავინ გადაარჩენს შალვას. ბესიკთან მიშუამდგომლე, ისიც ხომ შალვას სიყრმის მეგობარია.

ნ ა ტ ო (ნ ი ნ ო) — იყო მეგობარი... ახლა მოსისხლე მტერია!

ქ ე თ ე ვ ა ნ ი (ს ე ს ი ლ ი) — [illegible] ძმასავით თან შეზრდილ ადამიანს არ დაეხმარები?! სიკვდილით სჯიან და მის გადასარჩენად არაფერს იღონებ?

ნ ა ტ ო (ნ ი ნ ო) — ვერაფერს ვიღონებ! ვთქვი და გავათავე!

ქ ე თ ე ვ ა ნ ი (ს ე ს ი ლ ი)—მაშ უნდა ჩამოახრჩონ შალვა და შენ სეირს უნდა უყურო?

ნ ა ტ ო (ნ ი ნ ო) — თუ ჩამოხრჩობას იმსახურებს, ჩამოახრჩობენ. მეამბოხეებს მე ვერ გავაჩერებ და ვერც ბესიკს ჩავრევ მაგ საქმეში.

ქ ე თ ე ვ ა ნ ი (ს ე ს ი ლ ი) — საბოლოოა შენი პასუხი?

ნ ა ტ ო (ნ ი ნ ო) — საბოლოო და ურყევი! ხალხის ბედნიერება მსხვერპლს მოითხოვს.

ქ ე თ ე ვ ა ნ ი (ს ე ს ი ლ ი)—მაშ ისმინე ჩემი წყევლა: შხამად შეგერგოს ჩემი რძე, ის ძუძუ, რომელსაც შალვასთან ერთად სწოვდი. უშვილოდ და უძიროდ გაგესრულებინოს შენი დღე, როგორც მე ვრჩები უშვილძიროდ. სიკეთე და სიხარული არ გაღირსოს ღმერთმა, როგორც ჩემს შვილს აღარ ეღირსება სიხარული! ნაყოფი გაგიწყალდეს და არ მოესწრო შვილის გაჩენის ბედნიერებას შენ და შენი ბესიკი...

ნ ა ტ ო (ნ ი ნ ო) — იწყევლე და იყვირე, რამდენიც გინდა, მე ყურს არ გიგდებ და არც ძალა აქვს შენს წყევლას. (გადის).

ქ ე თ ე ვ ა ნ ი (ს ე ს ი ლ ი) — წყეულიმც იყავ ან და მარადის უკუნისამდე!

ტ ი ტ ე — აქ თავდება პირველი სურათი მცირე ჩაბნელების შემდეგ სცენა ისევ ნათდება. მოქმედება გრძელდება იმავე მოედანზე. შემოდიან ბესიკი და მისი თანამებრძოლები.

რ ა ტ ი — ყველანი ჩამოვახრჩეთ. მეფე და დედოფალი გვევედრებოდნენ, ჯერ ჩვენ ჩამოგვახრჩვეთ, შვილების სიკვდილს ნუ გვაყურებინებთო, მაგრამ ჩვენ ყურიც არ ვათხოვეთ მათ ხვეწნა-მუდარას.

ბ ე ს ი კ ი — ყოჩაღ! სიმტკიცე გამოგიჩენიათ!

რ ა ტ ი — პატარა უფლისწულები მშობლების თვალწინ ჩამოვკიდეთ თოკებზე და მეფე-დედოფალი გულწასულები ავიყვანეთ სახრჩობელაზე.

ბ ე ს ი კ ი — სხვები? ციხეში დამწყვდეულები?

რ ა ტ ი — ციხეში დამწყვდეულები ციხეშივე გამოვბუგეთ...

ბ ე ს ი კ ი — მთავარი დამნაშავენი?

რ ა ტ ი — ისინიც მოედანზე ჩამოვახრჩეთ.

ბ ე ს ი კ ი — შალვა? შალვაც ხომ...

რ ა ტ ი — შალვა ყველაზე მეტს ბობოქრობდა. როცა უკანასკნელად მივმართე —

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანაშაული მოინანიე და პატიება თხოვე ბესიკსთქო, სახეში მომაფურთხა და გაცეცხლებულმა მომახალა, ბესიკს გადაეცი, რომ იგი ხალხისა და ქვეყნის დამღუპველი ყაჩაღების მეთაურია და მისგან პატიებას სირცხვილად ჩავთვლიდიო.

ბ ე ს ი კ ი — მუდამ ეგრე ჯიუტი იყო და ქუდმოუდრეკელი.

რ ა ტ ი — ჩვენმა ბიჭებმა სათქმელი ბოლომდე არ ათქმევინეს.

ბ ე ს ი კ ი — ახია! თავის თავს დააბრალოს! ტყეს რომ სჭრიან, ნაფოტები ცვივა!...

ნ ა ტ ო (ნ ი ნ ო) — დაეხსენ მაგაზე ფიქრს, ბესიკ! შენ დაღლილი ხარ, სამი ღამე თვალი არ მოგიხუჭავს, აგერ, კარავში გაგიშალე ლოგინი, ცოტა დანაყრდი და თვალიც მოატყუე, რომ ძალლონე აღიდგინო!

ბ ე ს ი კ ი — ნანას მიმღერებ ნატო?

ნ ა ტ ო (ნ ი ნ ო) გიმღერებ, ბესიკ! (ხელგადახვეული მიდიან, ნატო იავნანას წამოიწყებს).

პ ა ვ ლ ე — (გამოდის წინ, ყავარჯენს აღმართავს) ბატონებო, შეჩერდით! ერთი წუთით შეჩერდით!

ტ ი ტ ე — რა იყო? რა მოხდა?

პ ა ვ ლ ე — ავტორთანა გვაქვს პრეტენზია.

გ უ რ ა მ ი — აქ გახლავართ, გისმენთ.

პ ა ვ ლ ე — უპირველეს ყოვლისა, ძალიან საწყენად მიმაჩნია, რომ თქვენს პიესაში ძალზე ბევრია ალეგორია და ჩვენს დროზე მინიშნება...

გ უ რ ა მ ი — რასა ბრძანებთ! არც მიფიქრია!

პ ა ვ ლ ე — გიფიქრიათ, თუ არ გიფიქრიათ, მაგას მნიშვნელობა აღარა აქვს, როცა საქმე მომხდარ ფაქტთანა გვაქვს. მაგრამ ყველა ავტორს უფლება აქვს, როგორც სურს ისე სწეროს, ოღონდ სინამდვილე არ უნდა გააყალბოს.

გ უ რ ა მ — სად ხედავთ გაყალბებას?

პ ა ვ ლ ე — მოითმინეთ, მათქმევინეთ! თქვენ აღებული გაქვთ ეპიზოდი ჩემი ბიოგრაფიიდან.

გ უ რ ა მ ი — როგორ გეკადრებათ?!

პ ა ვ ლ ე — მაცალეთ, მოგახსენებთ. მე მართლაც მყავდა უახლოესი მეგობარი პეტროგრადში. რევოლუციამ ჩვენ ერთმანეთს გაგვთიშა და ერთიმეორის საპირისპირო სხვადასხვა ბანაკში აღმოვჩნდით. მე რევოლუციის ბელადებს შორის არ ვიყავი, მაგრამ ოქტომბრის გადატრიალების აქტიური მონაწილე გახლდით და ჩემს უბანზე მთავარი პასუხისმგებლობა მე მეკისრებოდა. მე შემეძლო რევოლუციის წინააღმდეგ მებრძოლი ჩემი სიყრმის მეგობრის გადარჩენა, მაგრამ პატიება არც მან ითხოვა, და სასჯელისაგან კონტრევოლუციონერის დახსნა მეც არ ვიხდიდი. მე ხელი მოვაწერე მის დახვრეტას. მაგრამ ეგრე არხეინად კი არა, როგორც თქვენ აჩვენებთ თქვენს პიესაში. ჩემი ეს ნაბიჯი ძალზე ძნელი გახლდათ და დიდი სულიერი ტკივილისა და მღელვარების ფასად იყო გადადგმული. თქვენ კი აქ ისე გაქვთ წარმოდგენილი, თითქოს ჩალადაც არ მიღირდა თან შეზრდილი მეგობრის სიკვდილით დასჯა.

ნ ა ტ ო (ნ ი ნ ო) — კიდევ უფრო მკაცრად თქვენ მე მომექეცით, პატივცემულო ავტორო. ჩემი ძიძიშვილის სიკვდილით დასჯაზე ისეთი მკაცრი სიცივით მალაპარაკებთ, თითქოს ქვის გული ჰქონოდეს დედაჩემს! და ქალი კი არა ყოველგვარ ადამიანურ გრძნობებს მოკლებული ავტომატი ყოფილიყოს.

გ უ რ ა მ ი — დედათქვენი რაღა შუაშია?

ნ ა ტ ო (ნ ი ნ ო) — თავი დაანებეთ უხეირო შენიღბავს. თქვენ მამაჩემისა და დედაჩემის ბიოგრაფიიდანა გაქვთ აღებული პიესის ეს ეპიზოდი. ამას ისიც ადასტურებს, რომ მამაჩემის მეგობრის შალვას სახელი უცვლელად გაქვთ გადმოტანილი.

გ უ რ ა მ ი — ეგ უნებური დამთხვევაა და ახლავე შემიძლია გავასწორო.

პ ა ვ ლ ე — თქვენ ყველაფერს უნებური დამთხვევით ხსნით, მაგრამ ჩვენი ოჯახის ყველა ნაცნობი მიხვდება, რომ თქვენი პიესის ეს ეპიზოდი თითქმის უცვლელად გაქვთ აღებული ჩემი ბიოგრაფიიდან.

გ უ რ ა მ ი — გეფიცებით, მე თქვენ სულაც არ მყავდით მხედველობაში. თქვენი ბიოგრაფია ჩემთვის უცნობი იყო და არ შემეძლო პიესის რომელიმე გმირის პროტიტიპად თქვენ მყოლოდით. მაგრამ თუ მაინც რაიმე ანალოგიას ხედავთ, ეს იმ საკმაოდ ტიპიური სიტუაციით აიხსნება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ყველა რევოლუციის დროს. რაც კაცობრიობა არსებობს და რევოლუციები ხდება, ორ მტრულ ბანაკში მეგობრების მოხვედრა ჩვეულებრივი მოვლენაა და ამ ნიადაგზე დატრიალებული ტრაგედიებიც ერთმანეთს გვანან, ისე, რომ თქვენ არაფერ შუაში ხართ.

ტ ი ტ ე — ჩვენი ავტორი მართალია და გულწრფელი, ბატონებო, მსგავსი შემთხვევა, როცა მეგობრები სხვადასხვა რწმენასა და სხვადასხვა ბანაკს ეკუთვნიან, ყოველთვის წარმოქმნიდა მძაფრ დაპირისპირებასა და დრამატულ სიტუაციას. ავტორს აზრადაც არ მოსვლია ჩვენი დღეების რაიმე ალეგორია წარმოედგინა და ჩვენს წელთაღრიცხვამდე მომხდარ აჯანყებაში ჩვენი რევოლუცია ეგულისხმა. ასეთი მხატვრული ხერხი მე თვითონ მიულებლად მიმაჩნია და დრამატურგს, რომ მისთვის კიდევაც მიემართა, მე ჩემს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგმაში ვერ გავიზიარებდი ასეთ კონცეფციას.

ნ ა ტ ო (ნ ი ნ ო) — კარგი, ალეგორიას თავი დავანებოთ. მაგრამ აჯანყების მეთაურებისა და, მით უფრო, მეამბოხე ქალებისათვის, ნუთუ არ შეგეძლოთ ცოტა ადამიანური გრძნობების მიმადლება? განა სახალხო ბედნიერებისათვის მებრძოლი ქალები უგულო და უსიცოცხლო სქემები იყვნენ?

ტ ი ტ ე — აი, აქ კი შეიძლება ვეკამათოთ ავტორს.

გ უ რ ა მ ი — საკამათო აქაც ცოტაა. რელიგიურ ან სხვა იდეების ნიადაგზე დაწყებულ ბრძოლებში მეთაურები ხშირად მიდიოდნენ უკიდურეს ფანატიზმამდე. გამონაკლისები არც ქალები იყვნენ და მიზნისა და რწმენისადმი ერთგულების გამოჩენისას ხშირად მამაკაცებსაც აჭარბებდნენ სიმკაცრით.

ტ ი ტ ე — კარგი, ამ თემაზე ჩვენ კიდევ მოვილაპარაკებთ, ახლა კი ვიკმაროთ და რეპეტიცია განვაგრძოთ.

ამ სურათში ბესიკის მოწოდებით სამკვიდროდან აყრილი ხალხი აღთქმული ქვეყნისაკენ მიემართება გრძელი, ძნელად სავალი აღმართით. დღევანდელი შავი რეპეტიციისათვის ისევ ეს კიბეები გამოვიყენოთ, მაგრამ სპექტაკლში ამ სურათს წინა სურათისაგან განსხვავებული დეკორაცია დასჭირდება, ლევან.

ლ ე ვ ა ნ ი — მე უკვე მოფიქრებული მაქვს დეკორაცია — მაღალი, ციცაბო კლდეებიანი მთა, რომელიც პერსპექტივაში ისე ალიქმება, თითქოს ბოლო არ აქვს.

ტ ი ტ ე — კარგია, სწორად გადაგიწყვეტია.

ლ ე ვ ა ნ ი — პერსპექტივაში ეს მთა თუმცა მაღლდება, მაგრამ არ ვიწროვდება, კიდევ უფრო იშლება და ფართოვდება.

ტ ი ტ ე — ეგეც სწორია და ავტორის ჩანაფიქრს პასუხობს.

ლ ე ვ ა ნ ი — მთა ორივე მხარეს ხეობებით უნდა იყოს შემოზღუდული და ისეთი შთაბეჭდილება უნდა იქმნებოდეს, თითქოს თვალჩაუწვდენელი უფსკრულები ერტყმიან.

ტ ი ტ ე — ჰო, მაგრამ სიზიფი სად იქნება? სად უნდა ეზიდებოდეს თავის ლოდს?

ლ ე ვ ა ნ ი — სიზიფი სწორედ იმ უფსკრულებიდან უნდა ამოდიოდეს, ხევს გაღმა ქარაფებზე უნდა მიცოცავდეს და მერე იმ მთის წვერიდან მისგანვე დაგორებულ ლოდს უნდა მოსდევდეს უკანვე.

ტ ი ტ ე — (გურამს) როგორ შევუთავსოთ ერთმანეთს ზღაპარი და სინამდვილე? სიზიფი ზღაპრის, მითოსის პერსონაჟია, რომელსაც ღმერთებმა სამუდამოდ მიუსაჯეს საიქიო ცხოვრებაში მძიმე ლოდის ზიდვა მაღალი მთის მწვერვალისაკენ. მერე იმ ლოდის უკანვე დაგორება და, ასე [illegible] ტებაში უნაყოფოდ, უაზროდ ოფლის ღვრა. თქვენი პიესის გმირები, აღთქმული ქვეყნისაკენ მიმავალი მეამბოხეები — რეალური, ამ ქვეყნიური ადამიანები არიან. როგორ შემოვიყვანოთ მათ რეალურ სამყაროში მითიური სიზიფი?

გ უ რ ა მ ი — სიზიფი ადამიანური ქმედების უაზრობის სიმბოლოა. იგი იმ ძველი ბერძნების მოგონილია, რომელთაც ცხოვრების ამაოებას გაუსწორეს თვალი და შრომისა და ბრძოლის საჭიროებაზე. გულგატეხილებმა ხელი ჩაიქნიეს ყველაფერზე, რასაც სიცოცხლის აზრი და მიზანი ჰქვია. სიზიფეს ლანდი ყველა დიდ კაცსა და შემოქმედს თანა სდევს სიმაღლისაკენ სწრაფვაში. რადგან ეჭვი და სკეპსისი დიდი საქმეების შემოქმედთ ისევე ახასიათებთ, როგორც ბრძოლისა და შრომის დაუოკებელი ნყურვილი. აღთქმული ქვეყნისაკენ ძნელი ალმართია მიმავალი, აჯანყებულები დროდადრო ხედავენ მსუბუქ ნისლში გახვეულ სიზიფს.

იგი აჯანყებულთა უმრავლესობისათვის თვალით უხილავია და მას მხოლოდ ისინი დაინახავენ, ვისაც გზის სიძნელემ ეჭვის ჭია გაუჩინა, მთელი ამ ნამონყების სისწორის რწმენა დაუკარგა და ამაოებათა ამაოებაზე დააფიქრა.

თავდაპირველად მინდოდა პიესის მოქმედება, იმქვეყნიურ ცხოვრებაში გადამეტანა, აჯანყება ჯოჯოხეთის კარზე მომხდარიყო და ამბოხებული სულები სამოთხისაკენ მიმავალ ალმართს შესდგომოდნენ, მაგრამ მისტიურსა და ირეალურს, ბოლოს მაინც რეალური ცხოვრების ჩვენება ვამჯობინე და პიესის მოქმედება ჩვენს ცოდვილ მიწაზე გავშალე.

ტ ი ტ ე — არც მაგაში შემცდარხარ. რეალური და ცხოვრებისეული ყოველთვის უფრო მეტად აღელვებს მსახიობსაც და მაყურებელსაც. სიზიფის როლი თითქოს შეუმჩნეველია პიესაში, მას სულ რამდენიმე სიტყვა აქვს. მაგრამ მისი მნიშვნელობა გაცილებით დიდია. იგი ბოლომდე გასდევს აღთქმული ქვეყნისაკენ მიმავალ აჯანყებულთა მოქმედებას და პიესას აზრობრივ დატვირთვას მატებს... სიზიფის როლი ვის მივანდეთ?

ბ ე ს ი კ ი — ახალგაზრდა სტუდიელს დავალეთ, მაგრამ ის აქ არ არის, ამ სახლში არ ცხოვრობს.

ტ ი ტ ე — ვიცი, აქ არ ცხოვრობს. ამაღამინდელ რეპეტიციაში, შენ უნდა მოგვეშველო. ლევან, ტექსტი ცოტაა და არ გაგიძნელდება. ლოდის მაგივრად ეგ შენი მეზობლის პორტრეტი დაიჭირე ხელში, აი, ასე... ახლა შევუდგეთ... აბა, ყურადღება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

(კითხულობს) სცენა წარმოადგენს აღთქმული ქვეყნისაკენ მიმავალთა ბანაკს მთაზე. შორს ცხვრის ფარა ძოვს. აჯანყებულთაგან ზოგი თევზის საჭერ ბადეს ქსოვს, ზოგი ხე-ტყეს ხერხავს, ყველანი შრომობენ. ცენტრში ბესიკი და მისი თანამებრძოლები.

ბ ე ს ი კ ი — მეფისა და მემამულეების დამხობამ ჩვენს ხალხს თავისუფლება და ბედნიერება მოუტანა. მდიდართა ქონების ღარიბებს შორის განაწილებამ მშრომელები წელში გამართა. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ მჩაგვრელები და ჩაგრულები აღარ არიან. ყველა ერთისათვის და თითოეული ყველასათვის, აი თავისუფალი შრომის დედააზრი, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენს წინსვლას. ჩვენ მალე მივაღწევთ აღთქმულ ქვეყანას, სადაც საბოლოოდ შევასხამთ ხორცს ადამიანის ოცნებას ამქვეყნიურ ბედნიერ ცხოვრებაზე. ხალხი ერთსულოვნად მოგვყვება, რადგან ხედავს, რომ სწორი გზით მივდივართ.

რ ა ტ ი — ხალხი ჩვენთან არის, მაგრამ ხალხის მტრები მაინც არ ისვენებენ, ახალ-ახალ შეთქმულებას აწყობენ.

ბ ე ს ი კ ი — ხალხის წინააღმდეგ შეთქმულებს კვლავაც სასტიკად გავუსწორდებით. ვერავითარი ძალა ჩვენს წინსვლას ვერ შეაჩერებს.

რ ა ტ ი — ისინი ისევ ცდილობენ ხალხის უკან დაბრუნებას. აღთქმული ქვეყნისაკენ მიმავალთა შორის ეჭვსა და უნდობლობას სთესენ.

ნ ა ტ ო (ნ ი ნ ო) — გზის სიძნელეებსა და ეროვნებით შეფერხებებს იყენებენ იმისათვის, რომ ხალხს იმ საოცნებო ქვეყნის მიღწევის რწმენა დაუკარგონ.

ტ ი ტ ე — აქ დაეჭვებული მეამბოხე უნდა ჩაერთოს. ამ როლის შემსრულებელი მსახიობიც არ არის აქ. იქნებ შენ შეცვალო, გურამ! ტექსტი გახსოვს?

გ ურ ა მ ი — მახსოვს! (დგება უფსკრულის თავზე და გაჰყურებს ხევს გაღმა მთაზე მომავალ სიზიფს) ეჰეი! მანდ ვინა ხარ?

ს ი ზ ი ფ ი (ლ ე ვ ა ნ ი) — მე სიზიფი ვარ.

დ ა ე ჭ ვ ებ უ ლ ი მ ე ა მ ბ ო ხ ე (გურამი) — მერე მაგ მძიმე ლოდს სად მიათრევ?

ს ი ზ ი ფ ი (ლ ე ვ ა ნ ი) — მთის წვერზე უნდა ავიტანო, რომ შემდეგ იქიდან დაბლა დავაგორო და მეც დაბლა დავეშვა.

დ ა ე ჭ ვ ებ უ ლ ი მ ე ა მ ბ ო ხ ე — მერე მაგას რისთვის აკეთებ? რა აზრი აქვს მწვერვალზე ლოდის ატანას თუ ისევ დაბლა უნდა დაგორდეს.

ს ი ზ ი ფ ი (ლ ე ვ ა ნ ი) — ცხოვრების ერთადერთი საბოლოო აზრი ეს არის, მაღლა იმისთვის ადიხარ, რომ ისევ დაბლა დაეშვა, რადგან არ არსებობს აღმართი, [illegible] დაღმართი არ მოსდევდეს.

დ ა ე ჭ ვ ებ უ ლ ი მ ე ა მ ბ ო ხ ე (გურამი) — ნუთუ ჩვენც დაბლა უნდა დავეშვათ?

ს ი ზ ი ფ ი (ლ ე ვ ა ნ ი) — თქვენც დაბლა დაეშვებით, რადგან თქვენი აღმართიც მალე დასრულდება და იქიდან სხვა გზა აღარსაით იქნება, დაბლა დასაშვები გზის გარდა.

დ ა ე ჭ ვ ებ უ ლ ი მ ე ა მ ბ ო ხ ე (გურამი) ხალხნო, გესმით, რას ამბობს სიზიფი? ბოლოს მაინც დაბლა უნდა დაეშვათო, სხვა გზა არ არის დაბლა დასაშვები გზის გარდაო.

რ ა ტ ი — გესმის, მეთაურო? ხომ გაიგონე, რაც თქვა! ასე სთესენ ეჭვს და ცდილობენ რწმენა დაუკარგონ ხალხს.

ბ ე ს ი კ ი — შეიპყარით! ახლავე დააპატიმრეთ?

(მისცვივდებიან დაეჭვებულ მეამბოხეს, ხელფეხს უკრავენ, აპატიმრებენ).

დ ა ე ჭ ვ ებ უ ლ ი მ ე ა მ ბ ო ხ ე (გურამი)— ნუთუ არ გესმით სიზიფის ხმა? ეს ხომ სიმართლის ხმაა! თქვენ გინდათ სმენა დაუხშოთ ხალხს, რომ ჭეშმარიტების ხმა არ გაიგონონ? რამდენს შეიპყრობთ და დასჯით? ჭეშმარიტებას ციხეში ვერ ჩაამწყვდევთ, ვერც სიკვდილით დასჯით, იგი უკვდავია და უძლეველი.

ბ ე ს ი კ ი — ხმა ჩაუწყვიტეთ! გაიყვანეთ! (შეპყრობილი გაჰყავთ). ასეთების მიმართ ლმობიერებისა და სისუსტის გამოჩენა ხალხის ღალატს უდრის, სიკვდილი ხალხის მტრებს!

ტ ი ტ ე — (კითხულობს) ამ დროს მოულოდნელად გამოსროლილი ისარი შიგ გულში ხვდება ბესიკს.

ბ ე ს ი კ ი — ვაი! (მკერდზე ხელს იტაცებს) მომკლეს.

ნ ა ტ ო (ნ ი ნ ო) — (მივარდება ნაქცეულს) ბესიკ! ბესიკ! მიშველეთ, ექიმი!...

რ ა ტ ი — ექიმი იხმეთ!... გზები შეკკარით! შეთქმულებაა! ხევის გზები ჩაჰკეტეთ! ყველა ეჭვმიტანილის სახლს ცეცხლი გაუჩინეთ!

ბ ე ს ი კ ი — მშვიდობით, ძმებო! მე ვკვდები, მაგრამ მჯერა, რომ რწმენა გაიმარჯვებს. ჩემი გზა განაგრძეთ, იგი სწორია. და აღთქმულ ქვეყანაში მიგიყვანთ. ნუ სტირით! წამომაყენეთ და იმღერეთ! ის სიმღერა იმღერეთ, მეფის სასახლის იერიშზე, რომ ვმღეროდით! (წამოაყენებენ, ქუდს იხდიან და მღერიან).

ტ ი ტ ე — აქ თავდება სურათი. მომდევნო სურათის მოქმედება ისევ მთაზე იშლება, აღმართის შემდგომ მონაკვეთზე. აქ კიდევ ორი ახალი პერსონაჟი გვჭირდება — I და II მეამბოხე. მეორე მეამბოხე მე ვიქნები, პირველი — შენ, ბესიკ, მაინც მოგკლეს და

თავისუფალი ხარ.

I მეამბ. (ბესიკი) — ხალხი გამრავლდა და სურსათ-სანოვაგე აღარ გვყოფნის. აღთქმული ქვეყნისაკენ ჩვენი ძლევამოსილი სვლა მტრების გაბოროტებას იწვევს, ისინი თანდათან კრავენ წრეს ჩვენს ირგვლივ და გადამწყვეტი შემოტევისათვის ემზადებიან.

რატი — არა უშავს, ჩვენ დავძლევთ ამ სიძნელეებს ომი გარდუვალია და უნდა ვემზადოთ. მთავარი, ისაა, რომ აღთქმული ქვეყნისაკენ სწორი გზით მივდივართ, ბესიკის მიერ ნაჩვენები გზით.

ტიტე — (კითხულობს) შემოდის მეორე მეამბოხე. მეორე მეამბოხე მე ვარ (ჩაახველებს. უახლოვდება რატის) ნუხელ მეწინავე ჯგუფმა გზაჯვარედინს მიაღწია გზის გასაყართან შეჩერდნენ და ორად გაიყვნენ. ერთნი რომ მარცხნივ მიმავალი გზისკენ ენეოდნენ ხალხს, მეორენი მარჯვნივ მიმავალ გზაზე დადგომას ურჩევდნენ. შუაღამემდე კამათობდნენ და ჩხუბობდნენ. დილით გზაჯვარედინთან წარწერები გაჩნდა:

მარცხნივ წახვალ, ინანებ!

მარჯვნივ წახვალ ,ინანებ!

ერთმანეთზე ისედაც ამხედრებულებმა იმ წარწერების გაჩენა ერთიმეორეს დააბრალეს, ურთიერთს მიესივნენ და ერთმანეთი ამოხოცეს.

რატი — ჩვენ არც მარცხნივ წავალთ და არც მარჯვნივ. ჩვენ ერთადერთი სწორი გზით ვივლით, ბესიკის მიერ ნაჩვენები გზით.

ტიტე — (კითხულობს) შემოდის პირველი მეამბოხე. ბესიკ, შემოდი!

I მეამბოხე (ბესიკი) — მტერი შეტევაზე გადმოვიდა, ომის გამოუცხადებლად, ჩვენი სასაზღვრო სიმაგრეები გაარღვია და ახლა აქეთ მოიწევს.

რატი — სიკვდილი მტერს! ხალხისათვის, ჩვენი წმინდა მიწაწყლისათვის!

(იძრობს ხმალს).

ტიტე — (კითხულობს. ხეობებიდან ამოდიან ხმალამოღებული მტრის ჯარისკაცები, ხელჩართული ბრძოლა).

რატი — (ეცემა მკერდგანგმირული) ვკვდები, ძმებო! მტერი განდევნეთ და მოსპეთ აღთქმული ქვეყნისაკენ მიმავალ სწორ გზას არ უღალატოთ!

ტიტე — აქ წუთიერი ჩაბნელებაა. სინათლე აინთება, ისევ აღთქმული ქვეყნისკენ მიმავალთა ბანაკი. იწყება დაეჭვებული მეამბოხის რეპლიკით, გურამ!

დაეჭ. მეამ. (გურამი) — მტრის შემოსევამ გადამარჩინა. განსაცდელი რომ დაუდგათ, მაშინ გაიხსენეს ჩემი მხედრული ნიჭი და გამოცდილება. ციხიდან გამომიშვეს და საარდლობა ჩამაბარეს. გადამწყვეტ ბრძოლაში მტერი დავამარცხე და ერთხელ კიდევ — დაბუმტკიცე ხალხს ჩემი ერთგულება.

II მეამბოხე (ტიტე) — შეცდომები გამოსწორებულია. შენი უფლებები აღდგენილია. ხალხი ომის მიერ მიყენებულ ჭრილობებს იშუშებს და აღთქმული ქვეყნისკენ მიმავალ გზას განუხრელად აგრძელებს.

დაეჭ. მეამბ. (გურამი) — ნუ თუ არ გესმით სიზიფეს ძახილი?

II მეამბოხე (ტიტე) — არავითარი სიზიფი! ეს მხოლოდ შენ გეჩვენება!

დაეჭვ. მეამბოხე (გურამი) — ღმერთო ჩემო, მათ აღარც სმენა აქვთ და აღარც იმას ხედავენ, რომ აღმა კი აღარ მიდიან, ისევ ერთ ადგილს ტკეპნიან. (II მეამბოხეს) ნუთუ ვერ ხედავთ, რომ კარგა ხანია მწვერვალისკენ აღარ მივდივართ.

II მეამბოხე (ტიტე) — ამის თქმა მხოლოდ გაბოროტებულ მტრებს შეუძლიათ! ბრმა უნდა იყოს კაცი, რომელიც ჩვენს აღმასვლას ვერ ხედავს. რახანია, მიწისძვრა და წყალდიდობა აღარ გვინახავს, განა ეს ცოტაა!

უცებ მიწა იძვრება, სცენა შეტორტმანდება და სახლებიდან გამორბიან გაღვიძებული მოქალაქეები!

ტიტე — აქაც ისევ ერთმანეთს შევენაცვლოთ. პირველი მოქალაქე შენ იქნები, ბესიკ! რატი, შენ მეორე მოქალაქე ხარ. სულ ორ-ორი რეპლიკა გექნებათ.

I მოქ. (ბესიკი) — მიწა იძრა!

II მოქ. (რატი) — ძალიან ძლიერი მიწისძვრაა, ალბათ ბევრგან სახლებიც დაინგრა.

I მოქ. ბესიკი — უთუოდ მსხვერპლიც იქნება.

II მოქ. (რატი) ამოდენა გზა გავიარეთ და მიწისძვრას კი ვერ გავექეცით. ნუთუ განუყრელად თან უნდა გვდევდეს ეს უბედურება?

I მოქ. (ბესიკი) — მიწისძვრას ალბათ აღთქმულ ქვეყანაშიც ვერსად წაუვალთ. მაგრამ ჩვენ უკვე მაღლა კი აღარ ავდივართ, ნელ-ნელა დაბლა ვეშვებით.

პავლე — უკაცრავად, ბატონო ავტორო და რეჟისორო! (გამოდის ნინ). მაპატიეთ, რომ გაწყვეტინებთ, მაგრამ გულმა არ მომითმინა. იქნებ არ იყო აუცილებელი იმის ჩვენება, რომ აღთქმული ქვეყნისკენ დიდი მგზნებარებით დაძრული ხალხი, გზას სიმაღლისაკენ კი აღარ აგრძელებს, არამედ ადგილს ტკეპნის და შეუმჩნევლად დაბლა ეშვება. განა უფრო საინტერესო არ იქნებოდა, პიესა იქ მთავრდებოდეს, სადაც ხალხს სჯერა აღთქმული ქვეყნის არსებობისა და იმ ქვეყნისაკენ მიმავალი გზის სისწორის? აი, მე ძვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ბოლშევიკი ვარ და საკმაოზე მეტხანს ვცოცხლობ. მე რომ სამოქალაქო ომში დავღუპულიყავი, ან სოციალიზმის მტრებთან ბრძოლაში დავცემულიყავი, მაშინ, როცა ჩემი ცხოვრება რომანტიზმის შუქით იყო გაბრწყინებული, ეს გაცილებით ლამაზი და მიმზიდველი იქნებოდა, ვიდრე დღევანდელი ჩემი ცხოვრებაა — მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდი, უზრუნველყოფილი სიბერე, დამსახურებული პენსია.

ნ ი ნ ო (ნ ა ტ ო) — ან იმის ქადაგება რა საჭიროა, თითქოს მიწისძვრა და მსგავსი სტიქიური უბედურება ადამიანის ცხოვრების აუცილებელი თანამგზავრები იყვნენ. მიწისძვრა თქვენს პიესაში ერთგვარი სიმბოლოა ხალხის უბედურებისა და, რათ გინდათ იმის მტკიცება, რომ ადამიანი უბედურებას ვერსად გაექცევა?!

პ ა ვ ლ ე — არც იმის ხაზგასმა მეჩვენება გამართლებულად. თითქოს აღთქმული ქვეყნიაკენ მიმავალ ადამიანებს იმის გაგების უნარი არ ჰქონდეთ, რომ მაღლა აღარ მიდიან, ერთ ადგილს ტკეპნიან და ნელ-ნელა, შეუმჩნეველად დაბლა ეშვებიან. ეგ აღთქმული ქვეყანა ხომ სიმბოლურად ადამიანის იდეალია, ოცნებაა უკეთეს ცხოვრებაზე.

ტ ი ტ ე — თქვენ ბოლომდე არ იცნობთ პიესას, სიმაღლე, სიმაღლისაკენ მიმავალი გზა ავტორს ირეალურად, მხოლოდ ადამიანის ოცნებაში არსებულად ესახება და ამიტომაც მოსაჩვენარი აღმართის დაძლევისათვის გაღებული მსხვერპლი საეჭვოდ და გაუმართლებლად.

პ ა ვ ლ ე — ეგ რომ აგრე იყოს მიზანი და წინსვლა აღარ იქნებოდა. საზოგადოების განვითარება ერთ ადგილზე გაიყინებოდა და ადამიანის სიცოცხლე აზრსა და სილამაზეს დაკარგავდა.

დაბნელება. ნათდება სცენის ერთი კუთხე. ვახტანგი და ზეზვა პამირის მწვერვალზე.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — რა ლამაზია ქვეყანა! ღმერთი მგონია ჩემი თავი მწვერვალიდან, რომ დავყურებ!

ზ ე ზ ვ ა — (რადიოგადამცემთან ფუსფუსებს) უკვე გადავეცი ბარს, რომ მწვერვალი დაპყრობილია. რადიო კავშირის შეწყვეტის დროიდან იქ დიდი შეშფოთება ყოფილა. მაშველი ჯგუფი ჩვენს კვალს დადგომია და ორი დღეა თურმე ვერტმფრენებითაც გვეძებენ.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — წეღან მესმოდა ვერტმფრენის გუგუნი, ეტყობა, თავს გადაგვიარა, მაგრამ ისეთი ნისლი იდგა, რას დაგვინახავდნენ!

ზ ე ზ ვ ა — დროა დავბრუნდეთ, ამინდი ისევ ფუჭდება.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — რაო? სად დავბრუნდეთ?

ზ ე ზ ვ ა — ამინდი ფუჭდება. [illegible] უნდა დავეშვათ.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — არ მინდა დაბლა დაშვება.

ზ ე ზ ვ ა — მაშ აქ როდემდე უნდა ვიყოთ? ამინდი რომ გაფუჭდება, მერე იქნებ გზაც ველარ გავიკვლიოთ.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ნუთუ მხოლოდ იმისთვის ამოვედით მწვერვალზე, რომ ისევ უკან დავბრუნდეთ?

ზ ე ზ ვ ა — როგორ ბავშვივით კითხულობ, გულუბრყვილოდ. მაშ რა უნდა ვქნათ, სად წავიდეთ?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — მე ისევ მაღლა სვლა მინდა, სულ ზევით და მაღლა.

ზ ე ზ ვ ა — ჩვენს ზევით მხოლოდ ღმერთია! ჩვენ მხოლოდ ერთი გზა გვრჩება, ძირს დასაშვები გზა. იქ ჩვენ გამარჯვების ზეიმი გველის. ახლობლებთან და მეგობრებთან შეხვედრის სიხარული!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — გამარჯვებისა და დაბრუნების სიხარული ადრე მეც შენსავით მაღელვებდა, ახლა ჩემთვის ყველაფერი დასრულებულია, იქ მე აღარავინ მელის და ჩემთან შეხვედრის სიხარულს აღარავინ გაიზიარებს.

ზ ე ზ ვ ა — მაგას რად ამბობ, ვახტანგ? გელიან კიდეც და გაიხარებენ კიდევაც, ნახავ, როგორი ზეიმით შეგხვდებიან.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ნეტავ შეიძლებოდეს არდაბრუნება, არ მინდა ზეზვა, სიზიფივით უკან დაბრუნება, არ მინდა! ნუთუ გურამი მართალია და მწვერვალზე მხოლოდ იმისთვის ამოვდივართ, რომ უკანვე დავბრუნდეთ, არა, გურამი ცდება. მე ისევ მაღლა, კიდევ უფრო ძნელად დასაპყრობ მწვერვალზე ასვლა მინდა!

ზ ე ზ ვ ა — (შეფიქრიანებული) დანყნარდი, ვახტანგ, შენ ალბათ სიცხეცა გაქვს, წელან ფეხების მოყინვა გეწყებოდა. დროზე უნდა ჩავიდეთ, შენ სასწრაფო სამედიცინო დახმარება გჭირდება. წავიდეთ... (მხარში შეუდგება).

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ვისთან ვბრუნდები, ვისთან შეხვედრამ უნდა გამახაროს?!.. (იშორებს ზეზვას). შენ ნადი, მე მარტო დავრჩები.

ზ ე ზ ვ ა — რას ამბობ, ეგ როგორ გაიფიქრე?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ხომ არის ადამიანის ცხოვრებაში ნუთები, როცა მას არავისი სიახლოვე არ უნდა, მარტო დარჩენა ენატრება, მარტოდმარტო ყოფნა.

ზ ე ზ ვ ა — აქ რა მარტო დასარჩენი ადგილი ნახე... წავიდეთ...

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — მე არსადაც აღარ მეჩ-

ქარება, ზეზვა. შენც ხელს გიშლი დაბრუნებაში. ჩვენ ერთმანეთს ვუშლით ხელს და სჯობია, შენ მარტო დაბრუნდე. ადამიანები ხელს უშლიან ერთმანეთს.. ძალიან ბევრნი არიან და იმიტომ უშლიან ერთიმეორეს, კაცთამოდგმა მაშინ იყო ბედნიერი, როცა ცოტანი იყვნენ, როცა მარტო ადამი და ევა იყო ქვეყნად.

ზ ე ზ ვ ა — (უსინჯავს მაჯას). შენ ისევ სიცხე გაქვს, ვახტანგ, ახლა კამათის დრო არ არის, მაგრამ მაინც უნდა გითხრა, ადამიანებს ერთმანეთი უყვართ და ერთმანეთს შველიან... წავიდეთ... დავეშვათ...

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — მართლა მაქვს სიცხე... მოყინვა შენც გამოგიცდია. ადამიანი რომ იყინება, მთვრალივით ბრუვდება და ტკივილის შეგრძნებას კარგავს. მე სულ ასეთ სიკვდილს ვნატრობდი, უგრძნობლობის ბურანში წასვლით სიკვდილს და მერე ისიც, ყველაზე მაღალ და ლამაზ მწვერვალზე სიკვდილს.

ზ ე ზ ვ ა — წავედით.., წავედით... ვიჩქაროთ! (თითქმის ძალით მიჰყავს).

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — (დაუსხლტება ხელიდან) აბა, მომყე... დამეწიე...

ვიაროთ... დავეშვათ...

(თანდათან ჯანღი მატულობს, ბურუსში ერთმანეთს ველარ ხედავენ).

ზ ე ზ ვ ა — ვახტანგ! ეჰეი, ვახტანგ!..

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ეჰეჰეი, ზეზვა!

ზ ე ზ ვ ა — სად ხარ, ვახტანგ, ნელა იარე, ფრთხილად...

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — (შეჩერდება). აქ პალო უნდა დავასო დასაშვებად.

(ასობს პალოს).

ზ ე ზ ვ ა — (ყურს უგდებს) კიდევ დაარტყი, თორემ არ დაიჭერს.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — დასობილია! დაიჭერს! აბა, დავეშვი!

(ხტება უფსკრულის თავზე, თოკი იჭიმება, პალო შეირყევა და ამოვარდება).

ზ ე ზ ვ ა — ვახტანგ! ვახტანგ! (დგება უფსკრულის თავზე). ნუთუ დაიღუპა?

(ილებს ყინულიდან ამოვარდნილ პალოს. დაჰყურებს ყინულს) როგორ უნდა დაეჭირა, ოდნავ ძლივს ყოფილა ჩასობილი! ეს გამოუცდელ მთამსვლელსაც არ ეპატიება! ვაახტანგ!... ვაახტანგ!... (სინათლე ქრება. ისევ ნათდება მთელი სცენა. ყველანი უსმენენ რენას ტრანზისტორს).

ზეზვას ხმა:

— მე ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ვახტანგი სიკვდილს ეძებდა მთებში. ჯერ იყო და, გვიან დავიწყეთ მწვერვალზე ასვლა, მაშინ როცა ამინდის იმედი აღარ უნდა გვქონოდა. მერე იმასაც ვამჩნევდი, რომ ასვლის დროს უსაფრთხოების [illegible] არ იცავდა, დაუდევრად [illegible] ცალკე ცდილობდა სიარულს, ისე, რომ ერთმანეთის დაზღვევაზე არ გვეზრუნა. მწვერვალიდან დაბრუნება, საერთოდ, არც უნდოდა, თითქოს ძალით დავიყოლიე. დავეშვით თუ არა, ისე წინ გაიჭრა, ველარ დავეწიე. სულ სიკვდილზე, მარადიული ყინულების აკლდამებზე ლაპარაკობდა და აისრულა კიდევაც — იგი თავის საყვარელ თოვლ-ყინულებში დარჩა სამუდამოდ.

დ ა ვ ა რ ი — (შეჰკივლებს) ძმაო! ვაი, ძმაო!

ე კ ა — (ქვითინებს) ვახტანგ, ჩემო ვახტანგ!

პ ა ვ ლ ე — რა კეთილშობილი ვაჟკაცი დავკარგეთ!

ტ ი ტ ე — ნუთუ ვახტანგი დაიღუპა, არაჩვეულებრივად ნიჭიერი, დიდი მომავლის მქონე მსახიობი, ფილმზე მუშაობა რომ დამეწყო...

გ უ რ ა მ ი — ჩემი პიესა, რომ არ გამომტყვრალიყო!..

პ ა ვ ლ ე — ყველანი ვართ დამნაშავენი მეტნაკლებად.

გ უ რ ა მ ი — მაგრამ ყველაზე მეტად, ალბათ მე...

რ ე ნ ა — მორჩა! ჩემს მეტი ვახტანგს ვერავინ მოძებნის პამირის ყინულებში (ილებს გალიას და ტრანზისტორს) მე გავფრინდები და ვიდრე აქ სხვებს სძინავთ, ვახტანგთან ერთად უკან მოვფრინდები (მიდის).

ტ ი ტ ე — სად მიდიხარ, რენა?

(რენა შედგება დანამაულზე ნასწრებულივით).

გ უ რ ა მ ი — გაუშვი, წავიდეს!

ტ ი ტ ე — სად უნდა ნავიდეს, არაფერი მოიწიოს!

გ უ რ ა მ ი — არაფერი არ მოუვა! დე სჯეროდეს, რომ ფრენა შეუძლია და მთებში დაღუპულ ვახტანგს იპოვის! ნეტავ მეც შემეძლოს ჩემი თავი დავარწმუნო ოცნების სინამდვილეში! როგორ სჭირდება თურმე ადამიანს ილუზიით, ოცნებით ცხოვრება!

ტ ი ტ ე — მერე რა უშლის ხელს?

გ უ რ ა მ ი — სინამდვილე, მკაცრი სინამდვილე და იმ სინამდვილეს ზედმეტად დამორჩილებული ადამიანები. ჩემი მსგავსი ადამიანები, რომელთაც ზღაპრისა და ოცნებისა აღარ სჯერათ და თავის წმინდა მოვალეობად მიაჩნიათ, რაც შეიძლება მეტ ადამიანს აუხილონ სინამდვილეზე თვალი. ადამიანი კი ილუზიისთვის, ბრმა რწმენისათვის არის თურმე გაჩენილი ქვეყნად და სულაც არ საჭიროებს თვალის ახელას. ის ვისაც რენასავით უშუალოდ არ სჯერა მის მიერ შექმნილი ილუზიისა, ღვინოს სვამს, რომ თრობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

იპოვოს თავდავიწყება და გაბრუებით შეიქმნას უდარდელობის ილუზია. ამიტომ არის ჩემისთანა თვალის ამხელი და ილუზიის დამმსხვრევი ბოროტმოქმედი. ქურდი იმდენ დანაშაულს არ ჩადის, რამდენსაც ის ადამიანი, რომელიც გაქურდულს დაარწმუნებს, რომ იგი ნამდვილად გაძარცულია. მე არასოდეს აღარ ვეცდები, რომ ადამიანები თავიანთ ოცნებებში დავაეჭვო და მათი ილუზიები დავამსხვრიო. დე, სჯეროდეთ მწვერვალებისა და აღთქმული ქვეყნის! იმაზე ლამაზი რა არის, ადამიანი რომ სიმაღლისაკენ ისწრაფვის!

ტ ი ტ ე — ადრე რომ ეგრე გვეფიქრა, ამ სახლის ბინადართა ბედი სხვაგვარად წარიმართებოდა!

გ უ რ ა მ ი — მართალი ხარ, ტიტე, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გვიან. მე ჩემს პიესას გადავამუშავებ და აპოთეოზით სადღაც იქ დავამთავრებ, სადაც ადამიანებს სჯერათ აღთქმული ქვეყნისკენ სწრაფვის აუცილებლობა და იმ მწვერვალისკენ მიმავალი გზის სისწორე. მორწმუნეებს მსჯავრი მხოლოდ მორწმუნეებმა უნდა გამოუტანონ და არა რწმენადაკარგულმა სკეპტიკოსებმა.

ტ ი ტ ე — მაშ პავლე მართალი ყოფილა მომავალ თაობებს რომ თვლის მისი მოქმედების ერთადერთ მიუდგომელ მოსამართლედ.

გ უ რ ა მ ი — მართალია! ყველა... ადამიანი, რომ მომავლის წინაშე პასუხისმგებლობის შეგნებით მოქმედებდეს, ჩვენ ყველანი გაცილებით ბედნიერები ვიქნებოდით. (მიდის რენასთან. ჩამოართმევს ტრანზისტორს) ეს ჩვენ დაგვიტოვე, რენა, ფრენას დაგიშლის.

რ ე ნ ა — დაგიტოვებთ... ბარემ ჩავრთავ (რთავს).

დიქტორის ხმა:

ვიმეორებ: მიწისძვრა აღარ იქნება. შეგიძლიათ სახლებში დაბრუნდეთ.

გ უ რ ა მ ი — „მიწისძვრა აღარ იქნება", აი ჩემი პიესის ახალი სათაური!

ტ ი ტ ე — კარგია, ოღონდ დროზე გადაამუშავე. რეპეტიციები არ შემიფერხო.

გ უ რ ა მ ი — რეპეტიციები არ შეფერხდება. კარგ დროს შეგვაჩერა პავლემ, სწორედ იმ ადგილიდან გადავამუშავებ და ახალ ფინალს დავწერ.

ტ ი ტ ე — ეს ხალხი არ გავაღვიძოთ?

გ უ რ ა მ ი — არა, იძინონ, ძილის გატეხვა და ილუზიის დამსხვრევა ერთნაირად სანინააღმდეგოა ადამიანის ბუნებისა. ჩვენ ხომ არ ვიცით, იქნებ ისინი სასურველ სიზმრებს ხედავენ და ბედნიერები არიან.

1980 წ.

ფ ა რ დ ა.

---

* პიესა დაიწერა 1980 წელს. რუსულად თარგმნა ცნობილმა პოეტმა მ. ალიგერმა და დაიბეჭდა ჟურნალ „ტეატრის" № 6-ში, 1981 წ. ქართულად ქვეყნდება პირველად.

გ. ბ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლალი თოთაძე

• • •

წარსულის ციდან მზე დასცქერს
მშვიდად
მიწას, ცის მნატვრელს და დაღლილს
შურით,
განათებული მთის მწვერვალიდან
ბილიკი ხტება, ვით ლაღი შუნი.

მოსჩანს მონღოლი. მისი ყიჟინა
ძველ სასახლეებს არყევს და ჭერს ხდის,
ცხენს მიაგელვებს, ზეცისკენ მზირალს
და ვარსკვლავების ნალით დაჭედილს.

მონღოლი, უცნობ თავგამოდებით
ბედს რომ გვჩუქნიდა ავს და
რისხვიანს,
ბაგრატოვანთა ძველი დროშები
გაჩორკნილ ძვლებზე ვინც დაიმსხვრია.

ვინც გადასცურა ჟამი მკლავურით,
დიდხანს გვიხმობდა შორს წყეული ხმით
და ოქროსფერი დიდი მამული
გახლიჩა მწიფე ბროწეულივით.

ძველ იბერიელს მგლის ადევს ფერი,
ხელათრთოლებულს ცრემლი სძულს
თვალზე
და არშობილი სიმშვიდე ჩემი
გამობმული აქვს ცხენის ძუაზე.

გაოგნებული თვალებით უცქერს
მოწყენილ ლოდებს, მთასა თუ ჭრელ
მოლს
და, ვით ნიამორს, მკლავებზე უწვენს
ზეცა ნაზ ღრუბელს, ფაფუკს,
უცრემლოს.

მაინც იმედი უხმობს ბღავილით,
ახლოა ზეცაც — მკაცრი სარანგი,
და შამქორმოვლილ პაპის ხმალივით
შემორტყმული აქვს წელზე არაგვი.

აბრეშუმის გზა

აქ გადიოდა გზა. გარდასული
კვლავ მექცა ცრემლად და კაეშანად.
ქართლს დაფარავდა ის აბრეშუმი,
მზეზე კვირტივით რომ გაეშალათ.
მოინატრებდა ლალს და ალმასებს,
სასწაულის და იმედის მდომი,
თამარის ტანზე — მწვანე ალვაზე
მღეროდა ხოლმე, ვით იადონი.
მერე თამარის მზესა და ვარდნარს

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუგი ჰკადრა დრომ მეშურნის ხმით,
დიდი ხანია მიწაში ჩადნა
აბრეშუმის გზა აბრეშუმივით.
ეძებს იმედი მზეს — ზეცის მაღლობს,
ყვითელ ყვავილში კვლავ უკვდავ
სულს დებს,
მსხლის ხეზე, როგორც სულ ბოლო
ნაყოფს,
მზის სხივი ათბობს ოქროსფერ ბუდეს.
შემორჩათ დღესაც სევდა ამ ძველ გზის
მთებს და მინდვრების გრილ ტაძრებს
— მუხებს,
ბინდში კი მტკვარი, ვით დიდი თევზი,
კუდს მოიქნევს და მთებისკენ უხვევს.

* * *

შენ იმ დროის ხარ, სულ პირველ
სიზმრებს
ლანდად რომ სჭვრეტდნენ, როგორც
წყაროს ჩრდილს,
როცა ჰაერი ჰგავდა ქარვისფერ
ნისლსა თუ ყვავილს, ციდან
ამოზრდილს.

როცა ვარსკვლავი კოცნიდა ვარსკვლავს,
ხეთა გრილ ტანში ცა ჩუმ ზარს დებდა
და გრილ კალაპოტს, ვით ოქროს აკვანს
ყვავილთა ნამი მტკვარს უმზადებდა.

ჩათავდა ყამი სიხარულისა,
არ გეკითხები, რადა ხარ ცალად,
შენ კვლავ ღვინოს მთხოვ ჩემი სულისას,
რაღას იპოვი, სიტყვამ დამცალა.

ხოლო ყველაზე მწარე ბგერები,
რომ შესცქერიან დარდს — შაოსან
ჭკებს,
როგორც ველურ ვაზს მწიფე მტევნები,
მარტოსულ ტანზე უნდა შემაჭკნენ.

რამ მოგაგონა წარსულის სევდა,
ქვებში გამქრალი მზერა დევების,
შენს ძვლებზე ჩავლილ საუკუნეთა
არა ჩანს კვალი და ნაჭდევები.

შენ იმ დროის ხარ, როცა მგალობლებს
ესმოდათ ჰანგი ბალახის როკვის,
როცა არმაზში, სისხლის წყაროზე,
მზე მიდიოდა ლამაზი კოკით.

და ადედოფლებს

ამ მინდვრის შვილი ტოროლას ჰქვია,
ისიც მის სათქმელს ამბობს გალობით,
ზოგჯერ ქედნები მოფრინდებიან
უცნობ მინდვრებში ნაგოგმანები.

მოედებიან არეს გურგურით,
ლაღნი სხვა მინდვრით, მზით და
ცამრგვალით

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოიტანენ ჭრელი ბუმბულით
ნამს — განთიადზე დამდნარ
მარგალიტს.

არის ეგ გრძნობა ჩემთვის, ვით წამი
ზოგჯერ მწუხარე დღის განმკურნელი,
ვით ამ მინდვრისთვის სხვა მინდვრის
ნამი
ჩიტის პატარა ფრთით ნაპკურები,

სად ვარდის ბუჩქი ფიქრს ეტრფის
თამამს
ძალმიცემული ცხელი მზით, მნათით
და ადედოფლებს, ვით მეფე-მამა
პირველ ვარდს — მორცხვ და მცინარ
თინათინს.

ჩანს მტკვართან

იბერიელო, დამდგარო მზეში,
მტრის ჯავრს რომ პირქუშ ბედს არ
აჭმევდი,
შენ არ იყავი, ღვინოს ქვევრებში
და დევის ტანში სისხლს ამაჭრებდი?

მზეს ახსოვს შენი ლამაზი გზები
სული, სად ზეცა დღესაც ლერწამს ტევს,
ქართლის ქალები, თამამი ხმლებით
ბოლო წუთში რომ სიკვდილს
კენწლავდნენ.

რიჟრაჟზე ხელში მალავდი ცივ ხომლს,
მზე გიღებავდა ცრემლს და სულს
წითლად.

საქართველოში ის სიტყვა იყო
პირველად, შენს ყელს რომ დაუმწიფდა.

ახლაც შენს მკლავზე ისევ ქართლი წევს,
გავედრებს თავის მინდვრებს თუ
ფერებს,
შენ ფარნავაზის სისხლის ბოლო წვეთს,
როგორც ნაღვერდალს, სული უბერე.

ბრწყინავს ბალახზე დაღვრილი ცვარი,
ჩანს მტკვართან შუქი ოქროს
კვერთხივით
და უფლისციხე, გასაოცარი,
შენს დიდრონ ძვლებში გამოკვეთილი.

როგორც წითელ ვარდს

კვლავ ყვითელ ჩიტებს ვხედავ აუზთან
(ჭვრეტენ ღრუბლები — გლოვის
მგოსანნი),
თითქოსდა ვინმეს უცბად გაუწყდა,
ქარვის ლამაზი კრიალოსანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ სულ მალე, სანამ ცის წყევლა
ჩამოექცევათ მეხად და რისხვად,
ჩამოეშვება ზეციდან ელვა
და ყველას ცეცხლის ტანზე აისხამს.

ჩანს ჩემი ბნელით სისხლი მკვნესარი
— ელვარე მტრედის უმწეო ხუნდი,
ვით მოწყვეტილი ვარსკვლავი ღამით,
ან ყორნისფერი თმით იაგუნდი.

სისხლის სახელით შუქი და ღელვა
ჩამირბენს ტანში, დაიწყებს ციმციმს,
როგორც წითელ ვარდს, მე ვყნოსავ
ელვას
და ამინდს მუდამ კანივით ვიცვლი.

* * *

ეს ნაკადული, რომ ალხენს არეს,
პატარაა და მზის სარკე არის,
ვით სიყმაწვილის ცრემლები თვალებს,
ამუქებს კენჭებს და აკრიალებს.

ზოგჯერ ზედაპირს შვებით შეამსხვრევს
ელვარე მზის სხივს — ოქროსფერ
ხანჯალს,
ჯერ ყველა სურვილს, წვეთს და
ყველა შხეფს
თავის ჭკუაზე აფრქვევს და ხარჯავს.

შუადღის ხვატში, როს ზეცა ძველი
იმედებს ეძებს და ძერწავს ფრთებად,
როგორც წითელი ფური ირემი,
მზე მოდის ხოლმე და ეწაფება.

ხიბლავს ნაკადულს ყვავილთ
ცრემლები,
ზეცა რომელიც ილტვის არსაით
და ფრიალებენ მისი შხეფები,
მთიელი ქალის ჩიქილასავით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სტეფანე კასრაძე

თარი-არალე

რომანი

მეორე ნაწილი

29

სოლომონი მოტეხილიყო.

მართალია სოლომონის ვაჟები დიდრონები იყვნენ და ნაცნობების არჩევა თვით შეეძლოთ, მაგრამ ძველი ჩვეულების ძალით, ბატონმა სოლომონმა, გონების თვალი გადააკლო ლევანის კრებულს: ერთი, სათვალებიანი და ქერა, იყო უცხო კაცი, ჩამოსული და მსმელი კაცის სახელი ჰქონდა, ხოლო მეორეს, სრულიად ბავშვს, მხატვარს ეძახდნენ და მგონი დასდევდა სოლომონის ქალიშვილს, მანანას.

სოლომონმა გაიღიმა; შემდეგ ასე მოღიმარმა მიმოიხედა ირგვლივ და ღიმილი, რომელიც გამოიწვია თავისმა ბავშვმა, ეხლა ეკუთვნოდა გარემოს:

ჩასული მზე, სადღაც ქვესკნელიდან ანათებდა სამყაროს და ეს სანახაობა თვალისათვისაც იყო საამური და გონებასაც ართობდა. ზღვა მრავალ ფერდაკრული, ოდნავ ისროდა ტალღებს; ისმოდა ქვებზე ტალღების ტლაპუნი. ყველაფერი იყო მშვიდობიანი და ღმერთმა სითბო დალოცოს!, ყველაფერი იყო მყუდრო, არა მრისხანე, არა საშიში!

ბ-ნ სოლომონს მოეჩვენა, თითქოს მას თვალთ მოებლანდა ისეთი მანდილოსანი, რომელიც ჰგავდა ანნა ივანოვნას.

სოლომონი მომავალთ დააკვირდა. სწორედ! ეს იყო ანნა ივანოვნა. მას ხელმოკიდებული მოპყავდა პატარა, ექვსიოდე წლის გოგონა, რომელიც დაუსრულებლივ ტიკტიკობდა.

ანნა ივანოვნას დანახვაზე სოლომონს დაემართა ის, რაც ბშირად ემართებათ ადამიანებს: ზღვა და ხმელეთი, რომელიც სულს ამშვიდებდა, სრულიად გაჰქრა და სოლომონის წინაშე იდგა ცოტათი შემკრთალი მანდილოსანი, რომელიც ისე შესდგა და მიმოიხედა, რომ სოლომონი მიმხვდარიყო, თუ იგი არ იყო მარტო.

მღელვარე სოლომონი ამას ვერ მიხვდა.

— სალამი, ქალბატონო — ამბობდა ხელგაწვდილი სოლომონი.

— მე თქვენ გთხოვთ ბატონო სოლომონ... გთხოვთ — მღელვარებით ამბობდა ქალი.

საუბარი სწარმოებდა რუსულად და ქალმა „ბატონო სოლომონ", გამოსთქვა ფრანგულად. ქალის შიში ბავშვსაც გადაეცა და ტირილისათვის გამზადებული, იგი ეკვროდა ქალს.

ეს ის ანნა ივანოვნა იყო, მანანას ფრანგული ენის მასწავლებელი, რომელიც სოლომონს ეკლესიაში შეხვდა და რომელმაც თვალთა მეტყველებით საბაბი მისცა, რათა სოლომონი მასთან ყოფილიყო თავისუფლად. სოლომონი აჰყვა! და ამჟამად, იგი მიტომ ჰღელავდა, რომ პირველ ხანებში, მან ვერ გა-

---

დასასრული, იხ. „მნათობი", № 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიჩინა სიმტკიცე, რათა არ აჰყოლოდა დედაკაცს, რომელიც აღმოჩნდა ბილწი! უკანასკნელად ანნა ივანოვნა გაჰქრა.

— მე თქვენ გთხოვთ... — ისევ შიშით წარმოთქვა ქალმა და დაუმატა, რომ იგი არ არის მარტო!

— ო, ვიცი, ვიცი... — მწარედ სთქვა სოლომონმა; მას სმენოდა, რომ ანნა ივანოვნას ვილაც მეფურნესთან დაეწყო ცხოვრება და ეხლა კილოთი აყვედრიდა: სად კულტურული ქალი, სად მეფურნე!?

— ღმერთმა მაშოროს გზაზე რომ გადაგეღობოთ... — განშორებისას ამბობდა სოლომონი და ცდილობდა ეს ეთქვა ღიმილით, რათა არ გამოეჩინა სახე დამარცხებულ მამაკაცისა.

ამის შემდეგ, გამოჩნდა უცნობი კაცი, შავი, მაღალი, ის მოდიოდა ჩქარა და სოლომონს მან გამოწვევით უთხრა:

— რას მიყურებ, ვერ მიცანი?! გინდა გაგაცნო ჩემი თავი? —

უთუოდ ეს იყო მეფურნე. ანნა ივანოვნამ მას სახელოში ჩაავლო ხელები და ისინი, ხმამაღალი ლაპარაკით წავიდნენ.

რამდენიმე ხანი სოლომონს გული ძალზედ უცემდა, იგი მიაბიჯებდა გონება დაბნეული და ხშირად დგებოდა. ბოლოს გულის ცემა დასცხრა და მას მოაგონდა, რომ ქუთუთოები, რომელზედაც ძლიერ ემჩნეოდა ნაოჭები, პარკივით ჰქონდა დაბერილი და ეჩვენებოდა, თითქოს გრძნობდა მათ სიმძიმეს და თითქოს ყოველივე ეს იცოდა ქვეყანამ.

ანნა ივანოვნა მას ჰკოცნიდა და სიცილით ამბობდა: ჩემი მოხუცი!

დაღვრემილი დაბრუნდა სოლომონი ქალაქში. იგი იყო დაღვრემილი და შერიგებული, რომ სულიერად და ხორციელად დაღლილია, რადგან ცხოვრება გაათავა და რომ ცოტაოდენი ხანი კიდევ დარჩენია უყუროს ქვეყნის ტრიალს, რომელშიაც ის მონაწილეობას ვერ მიიღებს.

ქალაქში, გამალებული მიმოდიოდნენ, თითქმის დარბოდნენ შეიარაღებული კომუნისტები, უთუოდ [illegible] აწარმოებდნენ". ამ სანახაობამ სულმთლად დაამძიმა სული.

30

როგორც ხშირად ხდებოდა, მანანას ზღვაზე თავი ასტკენოდა და ბიცოლა ბარბალეს, გასეირნების მაგიერ, იგი პირდაპირ სახლში წამოეყვანა. მანანას ბევრი ეფიცა, რომ თავი ოდნავ სტკიოდა, რომ კიდეც გაიარა, მაგრამ ქალბატონი ბადრიძე ვერ დაეჯერებია.

სახლში თავის ტკივილს გაევლო და თავის-თავზე გულმოსული მანანა შიშობდა ამ საღამოს კინოში უმისოდ არ წასულიყვნენ. კინოში წასვლა გადაწყვეტილი ჰქონდათ ლევანს, ანიკოს, ვანოსა და მანანას; უარეს შემთხვევაში, შესაძლებელია მათთან ბიცოლა ბარბალეც წამოსულიყო; უარეს შემთხვევაში იმიტომ რომ იგი, ორივე მხრიდან მოისვამდა მანანასა და ვანოს და ხან ერთს ელაპარაკებოდა ხან მეორეს.

მანანა ტახტზე იწვა და დაუცხრობლად ლაპარაკობდა. მასთან იჯდა ბიცოლა ნინო, რომელიც თუმცა ცდილობდა, მაგრამ უღიმილოდ ვერ ისმენდა მანანას.

ბიცოლა ნინოს ხელთ ეჭირა მანანას ფუნთუშა ხელები და დროგამოშვებით, ალერსით ამბობდა:

— ოი, შე სულელო! —

ზღვასა და მზეს მანანა გაეშავებია. იგი იწყებდა დაქალებას და მის შემხედვარეს ჰხიბლავდა მშვენება ჭაბუკ სახისა და სხეულის. როდესაც მანანა ზღვიდან დაბრუნდა, ბიცოლა ნინო თავის ოთახში ლოცულობდა. ბიცოლა იყო დაჩოქილი და მანანამაც დაიჩოქა. მანანა იყო მოწყენილი.

— რა დაგემართა, შვილო! —

— თავი მტკივა, ბიცოლა! —

— ნუ გეშინია, გაივლის, ღმერთი მოწყალეა! —

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის ტკივილმა მართლა გაიარა და მანანა ეხლა ლაპარაკობდა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოერთო ოთახები გათხოვების შემდეგ. მას სჭიროდა ბევრი ოთახი და ბიცოლას უნდა სცოდნოდა, რომ საჭირო იყო აგრეთვე ტანთსავარჯიშო ოთახიც! ეს ალბად ანიკოს გავლენა იყო.

როდესაც ვანო სურათების გამოფენას მოაწყობდა, მანანას უნდა ჩაეცვა შავი ხავერდის ტანსაცმელი. ძალიან, ძალიან, სადა, რადგან ასე უყვარდა ვანოს, ხოლო მანანას, სულერთია ისიც დაშვენდებოდა: არა ბიცოლა!? —

უეცრად მანანა ტახტიდან წამოიჭრა: ბიცოლა, ყურში წყალი მაქვს დაგუბებული!, სთქვა მან და ცალფეხზე იწყო ხტუნვა, თან ყურს თითით იჩიჩქნიდა და ხიხინებდა.

ოთახში მძიმე ნაბიჯით შემოვიდა სოლომონი, შესდგა.

— წყალი მაქვს, მამა... — ხტუნვას განაგრძობდა მანანა. მამა მეორე ოთახში გავიდა. გასვლის წინ, მან განაწამები ხმით წარმოსთქვა:

— დამასვენეთ, ადამიანებო... მე თქვენ გთხოვთ ყველას, დამასვენეთ —

მანანა შესდგა, აცრემლდა და ბიცოლა ნინომ იგი დაამშვიდა:

— დაღლილია... ცოდვაა... —

მანანას მოაგონდა, რომ მალე კინოში წასასვლელად გამოუვლიდნენ და ამან განწყობილება იხსნა.

„საწყალი მამა!" — სიბრალულით .ფიქრობდა მანანა.

ანიკო ბადრიძის ქალს მუსიკა უყვარდა და უთუოდ ესმოდა;

როდესაც სოლომონმა მანანასა და ბიცოლას წინაშე საყვედური გამოსთქვა და მეორე ოთახში გავიდა, მაშინ იწყებოდა მიმწუხრი და ოთახებში იდგა მოლურჯო ნათელი, რომელიც არც ნათელია და არც იმდენი ბნელი, რომ ჰღირდეს სინათლის ანთება.

ანიკო ბადრიძის ქალი თავის პაწია სასტუმროში პიანინოს უკრავდა. იქვე ისხდნენ ლევანი და ვანო; ლევანი სავარძელში, ხოლო ვანო [illegible] ნილ იატაკზე რაღაც [illegible] შებსა და მუთაქებში ნახევრად ჩაწოლილი.

ანიკოს წინაშე, ვეებერთელა ენა-გამოგდებული ჰქელთავდა მგლის ჯიშის ძაღლი. ეს იყო „კომპერო", მოუსვენარი და გადარეული ძაღლი, რომელიც შარშან რომელიღაც უცხოელ გემის კაპიტანს ეჩუქებია პავლე ბადრიძისათვის. ძაღლი, სანაპირო ქალაქში ცნობილი იყო, როგორც ადამიანთა მოსიყვარულე და ცოტათი სულელი, რადგან ვერ არჩევდა შინაურსა და გარეულ ფრინველებს. ბადრიძეების სიყვარულში პომპერო სწორედ თავდაუჭერელი იყო და, როდესაც დღეს ეზოში კაბრიოლეტი შემოვიდა, მან მეორე სართულიდან დააპირა გადმოხტომა და ბატონმა პავლეზ იგი ძლივს დააკავა. ეხლა პომპერო იყო წყნარად.

ანიკომ ჯერ რაღაც ხმები გასინჯა (ლევანმა იცოდა, რომ პიანინოთი ანიკო არ იყო კმაყოფილი, თუმცა ლევანი ვერაფერს ამჩნევდა), შემდეგ ანიკომ უეცრად გამოცვლილი განწყობილებით გაატარა თითები პიანინოზე და დაიწყო მუსიკა.

ახალგაზრდების მიმოხრა, სიტყვა-პასუხი თუ ერთობ თავის დაჭერა მანდილოსნის წინაშე, აგებულია ერთ სურვილზე: იყვნენ მოხდენილნი!

ჩვენი გმირებიც, ლევანი და ვანო, ისე ვით ანიკო მათ წინაშე, იჯდნენ მოხდენილად; სწორედ რომ ითქვას, ისინი სრულებით არ იჯდნენ მოხდენილად, არამედ თავისუფლად, თითქმის დაუდევრად, მხოლოდ ასეთ დაუდევრობაში სჩანდა მათი ბუნების სირბილე და კეთილშობილება. მუსიკის ხმებზე ყველაფერი გამოიცვალა. ვანოს ხელთ ეჭირა დასურათებული ჟურნალი; თვალიერებას თავი ანება. სხეულში ვანომ იგრძნო ისეთი უხერხულობა, თითქოს საკმაო იყო ოდნავი შერხევა, რათა ცრემლები წამოსვლოდა, ამიტომ ჯერ ის დარჩა გაუნძრევლად. შემდეგ უხერხუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობამ გაიარა და სხეულიც გადაავიწ-ყდა.

არც ლევანი ირხეოდა; იგი ერთობ ჩაიძირა სავარძელში, მხოლოდ უმჯობესი იქნებოდა, რომ პომპერო აქ არ ყოფილიყო, რადგან მას, უთრთოდა ენა.

„ო, რაღა თქმა უნდა, მუსიკა ადამიანს აუძლურებს; ართმევს სიმტკიცეს და გულს უცრუებს იმ მრავალ პაწია მიზანთა მიღწევაზედ, რომელნიც ქმნიან ცხოვრებას" —

ამის გამო, ლევანს, ანიკოს წინაშე ბევრჯერ უთქვამს ასე: „როგორც ვატყობ, მე ისედაც რბილი ადამიანი ვარ! მე ზშირად გავურბივარ ბრძოლას მაშინ, როდესაც სხვები მიიწევენ და გავურბივარ სხვა-დასხვა-გვარი გონიერი მოსაზრებით, თუმცა ეხლა ვშიშობ და ვეჭვობ, რომ საფუძველი მოსაზრებათა არის არა გონიერება, არამედ სიმხდალე! მე მაქვს უნარი გავარჩიო კარგი და ცუდი მუსიკა, რადგან იგი მიყვარს; მაგრამ რადგან მეშინია, კიდევ უფრო არ შემიყვარდეს და არ დამაუძლუროს, რაც ყოვლად მიუღებელია ჩვენს ბანაში, ამიტომ გთხოვ: ხუღარ ამიხსნი მუსიკას და ნუ მასწავლი...

მუსიკა შესწყდა. რამდენიმე ხანი ჩუმად იყვნენ, ბოლოს ლევანმა სთქვა:

— თქვენი მუსიკა იყო მშვენიერი! —

ამის შემდეგ ამოძრავდნენ, თითქოს ამოისუნთქეს. ალაპარაკდა ვანო; ის ლაპარაკობდა ჩუმად და რადგან ენა ოდნავ ებმოდა, თითქოს იმის ნაწილს ამბობდა, რისი თქმაც შეეძლო.

— გმადლობთ! — უბრალოდ სთქვა მან — მე თქვენ ანიკო, გიცხადებთ ძმობას; რაც თქვენ ეხლა გაგვიზიარეთ, ჩვენ იმას ზშირად ვამბობთ, მხოლოდ ლევანი სიტყვებით, მე ფერადებით, მაგრამ ერთი რამ შევნიშნე! თქვენს ნახელავნებში, მგონია მთვარე იყო ბევრი, მთვარე სჭარბობდა —

„მთვარე" პირობითი გამოთქმა იყო, გულისხმობდა გრძნობიერებას და მას, ისე ვით სიყვარულს, ჰკილავდნენ, ან ცდილობდნენ გაეკილათ.

— არ ვიცი!... — გულწრფელად სთქვა ანიკომ.

როდესაც ახალგაზრდები კინოში მიდიოდნენ, ქალაქის აყვავებულ ხეივანს მთვარე დასდგომოდა. ფოთლებში ელექტრონის სანათურებიც ანათებდნენ და იდგა თავბრუ დამხვევი სუნნელება ცაცხვის ყვავილებისა.

ძალიან მცხვენია, ბატონებო — დაიძახა ვანომ — მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ეს მთვარე, ჯერ კიდევ მშვენიერებაა, რადგან იგი დღეს ისეთია, თითქოს პირველად ვხედავდეთ... გაიცინეს. დღეს სიცხე შენელებულიყო და ისეთი გრილი ნიავი ქროდა, რომ შესაძლებელია გაწვიმებულიყო. ლევანს მიჰყავდა ანიკო, ხოლო ვანო უთნელიძე, რომელიც მანანას წამოსაყვანად უნდა წასულიყო, მიდიოდა კენტად და ხმა-მაღლა ხუმრობდა.

გარეშენი, რომელნიც ჩვეულებისამებრ ბევრნი იყვნენ ხეივანში, ხედავდნენ აბობოქრებულ ვანოს; იგი უყვარდათ.

ის იყო ვანო დაშორდა ლევანსა და ანიკოს და ბნელოში შეუხვია, რომ მის წინაშე აიმართა ვიღაც თოფიანი კაცი:

— ამხანაგო უთნელიძე — სთქვა უცნობმა — მომყევით მე, ჩეკაში გიბარებენ! —

ვანომ ხმაზე იცნო მერაბი, რომელიც ეხლა-ხან ჩაწერილიყო პარტიაში.

ვანო გაჯავრდა:

— რას ამბობ, კაცო, გიჟი არ იყო! — ვანო ჯავრობდა მეგობრულად, შემდეგ მერაბს სთხოვა:

— თუ კაცი ხარ ეხლა გამიშვი და გაძლევ პატიოსან სიტყვას, კინოს შემდეგ მე თვით მოვალ.

— ამხანაგო უთნელიძე, შენ არავინ გიჭერს, ეხლავე გაგიშვებენ! წამოდით! —

ვანო გაჰყვა. ყველაფერი მშვენივრად მოეწყო: „არც ქალბატონი ბარბალე ეახლა ახალგაზრდებს, არც პავლე და მხოლოდ იმისათვის, რომ დაბოლოს ვანო დაეტუსაღებიათ". ასე ფიქრობდა გულდაწყვეტილი ვანო, რომელიც ჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კის შენობაში, მეორე სართულზე აიყვანეს და ერთ განათებულ ოთახში დასტოვეს. ოთახში საწერ მაგიდაზე იდგა ელსმენი, იქვე შავი რევოლვერი. როდესაც ვანო შემოიყვანეს, ისე ვით შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში, ოთახი იყო ცარიელი, მხოლოდ საფერფლეზე ბოლავდა ახლად აკიდებული და დავიწყებული პაპიროსი. ყოველივე ამას: რევოლვერს, სიჩუმეს, თუ შეგნებას იმისა, რომ ეს არის მრისხანე ჩეკა, ადამიანი უნდა დაეფრთხო, მაგრამ ვანო უთნელიძე მანანაზე ფიქრობდა და შიში არ შეეფეროდა.

ლევანი და ანიკო კინოში ისხდნენ ამ დროს, სანაპირო ქალაქში, ზაფხულობით სეანსები იმართებოდა ღია ჰაერზე. ეს იყო საამური, ლევანი და ანიკო ლოჟებში ისხდნენ, ისინი გატაცებული იყვნენ ურთ-ერთით, მაგრამ დრო იპოვეს რათა განცვიფრებით აღენიშნათ, რომ არც ვანო მოვიდა, არც მანანა.

— უთუოდ — სთქვა ანიკომ — მანანას თავი კიდევ სტკივა და ამიტომ. — სინათლეები ჩააქრეს. ტილოზე მოზომილი თრთოლვით ამოძრავდნენ სულიერი და უსულო საგნები. დაბლა დაუკრა პიანინომ და ანიკო ლევანს მიეკრა.

— მე დღეს შენთვის დავუკარი — ჩურჩულებდა ანიკო.

— ვიცი... — ლევანს თვალთ ოდნავ დაუბნელდა: „ჯანდაბას ყოველივე!" მიბნედილ გონებაში ამბობდა ვიღაც ლევანის მაგივრად. ლევანმა დაუწყო კოცნა სველ ტუჩებს. ქალი ამბობდა:

— შე სულელო, რატომ მაწვალებ... — ქალი ჰგულისხმობდა ლევანის სიჯიუტეს და მოითხოვდა მას სავსებით.

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, ოთახში შემოვიდა ჩეკის მოხელე; ეს იყო ტომით რუსი, იონა თავაძის ერთი თანაშემწეთაგანი. იგი იღიმოდა. უთუოდ ეს ადამიანი, როგორც თავდაჭერაში ემჩნეოდა, ნიჭიერი კაცი იყო. რადგან მას უბრალო მეზღვაურობა [illegible] და მეზღვაურისათვის [illegible] ლი თავაზიანობით ბოდიში მოიხადა.

— მან თვითონ არ იცოდა თუ ამხანაგ უთნელიძეს ამდენ ხანს ალოდინებდა — სახის გამომეტყველება სწრაფად გამოიცვალა, დაჯდა. ამხანაგი ანდრეევი, საქმის დროს სჩანდა დინჯი, საკვირველია, ის იყო შავგვრემანი და არა ბობრი, ვით საზოგადოდ რუსები.

— ამხანაგო უთნელიძე, თქვენ მუშაობდით აგიტპროპში... —

ვანო ოდნავ შეკრთა: — დიახ... — საუბარი სწარმოებდა რუსულად.

— თქვენ მუშაობდით აგიტ-პროპში კარგად და ჩვენ გვინდა ვიფიქროთ, რომ თქვენ ხართ ჩვენი კაცი —

ვანომ წამოიძახა: არაფერი არ მესმის!

ანდრეევმა, ამ წამოძახილით უთნელიძე შეაფასა ვით გამოუცდელი ყმაწვილი კაცი და ოდნავ გაუღიმა მას სიბრალულითა და თანაგრძნობით.

— აი რა, უთნელიძე; რასაც გეტყვი, ეს რჩება ჩვენ შორის... შენ შესულიხარ ფერეულების წრეში; იქ შენ გენდობიან. შენ უნდა გვაცნობო ყოველივე ის, რასაც ლაპარაკობენ ისინი და რაც უმთავრესია; შენ უნდა გაიგო და გვაცნობო ყოველივე, რასაც აკეთებენ ისინი! —

ვანო თავზარდაცემული უსმენდა ანდრეევს და მას ისეთი შესაბრალისი, ისეთი შეშფოთებული და უმწეო გამომეტყველება ჰქონდა, რომ უთუოდ დაეჯერებოდა თუ იტყოდა: რომ მას სწორედ არაფერი ესმის და საზოგადოდ ამ საქმეში, პოლიტიკის საქმეში არაფერი გაეგება... ამხანაგი ანდრეევი ამაში დარწმუნებული უნდა ყოფილიყო! — ანდრეევმა გააწყვეტინა:

— კმარა! — მკაცრად სთქვა მან, უთნელიძეს თვალებში ცივად ჩაჰხედა და ყმაწვილი კაცი მიხვდა, რომ ანდრეევს ის არ შეებრალებოდა. ანდრეევმა კიდევ გაიმეორა: კმარა! — თითქოს სილა გაარტყა.

— ეხლა წადი უთნელიძე! ყოველი-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ვე საიდუმლოა! პირველ ცნობებს წარმომიდგენო ერთ კვირაში! —

უთუოდ დიდი ხანი გასულიყო, რადგან ხეივანში არავინ სჩანდა. ვანო ნაგვემივით მიდიოდა. მას მოაგონდა, რომ პაწია, მაჯის საათი, მანანასთან ჩხუბის დროს მდინარეში გადაისროლა. ეს იყო ისეთი მოვლენა, რომელიც იწვევდა გულის ძგერას, აგრეთვე ღიმილს. მაგრამ დღეის შემდეგ. ვანო უთნელიძე არ იყო ღარსი ღიმილის და უბედურებად ისიც კმაროდა, რომ მას საზოგადოდ ჰქონდა გული, რომ იყო ცოცხალი —

ყვავილთა სუნი ხეივანში ღამით მძაფრი იყო და ვანო ისე უილაჯოდ მიდიოდა, რომ აყენებდა მტვერს და მას მტვერის სუნიც სცემდა.

ანდრეევმა უთხრა: თუ შენ იფიქრებ დეზერტირობას, შენ მაგივრად პასუხს აგებენ ისინი, ვინაც შენ გიყვარს... — გზები იყო მოჭრილი.

ვანოს გამალებული ნაბიჯები შემოესმა: ეს იყო ლევანი, რომელსაც ანიკო სახლში მიეცილებია.

— რა მოგივიდა, ვანო!?... — შორიდანვე ჰკითხულობდა ლევანი. ვანოს ძლიერ გაეხარდა. მან ძრწოლვით წამოიძახა: ოჰ, ლევან გეთაყვა!, მაგრამ წამსვე მოაგონდა, რომ შესაძლებელი იყო მას უთვალთვალებდნენ.

— ჩეკაში ვიყავი! მინახულე ხვალ! ეხლა მომეშვი! —

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

გონიერება და რომელიც შეეგებოდა ანნა ივანოვნას.

სოლომონმა თვალები მიხუჭა; შემდეგ აიღო წიგნი და დაიწყო კითხვა. ისე გადაიკითხა მთელი გვერდი, რომ არც შეუმჩნევია თუ ჰკითხულობდა, არც ის, თუ სხვაზე ჰფიქრობდა. გონების სიღრმეში დაუცხრომლად იცინოდა ანნა ივანოვნა; სიცილის დროს, ლოყებზე მას უცხადდებოდა პაწია ორმოები და ეს იყო თავ-ბრუ დამხვევი.

თავ-ბრუ დამხვევი იყო აგრეთვე სიცილი, მოჩვენებითი წყნარი, რასაც ისროდა სხეული. ამ ორ მოვლენაში, სიცილსა და პაწია ორმოებში ცხადდებოდა მთელი მშვენიერება ანნა ივანოვნასი, ვაგლახ, სამუდამოდ წასულის!

კიდევ ფიქრობდა სოლომონი: — აი მდინარე, არსებობს აგრეთვე რევოლვერი და მრავალი საშუალებანი, რათა ადამიანმა ბოლო მოუღო ყოველგვარ სისაძაგლეს, ყოველგვარ სისულელეს! —

სოლომონი ისე წამოდგა, თითქოს წიგნი ხელთ არ სჭეროდა. წიგნი იატაკზე დაეცა.

სოლომონმა შეახვია მსხვილი თუთუნი, ააბოლა და ოთახში იწყო სიარული. მან კარგად იცოდა, რომ თავს არ მოიკლავდა, თუმცა გონების თვალით, გარკვევით დაინახა რევოლვერი, რომელიც უნდა დაეხალა პირში.

31

სოლომონ ფერეული, ტანთ-გაუხდელი, ლოგინზე გარინდებული წამოწოლილიყო და თუმცა ღია ფანჯარაში ბაღს გასცქეროდა, მაგრამ სანახაობა მთვარით განათებულ ბაღისა მას არ ართობდა.

„როდესაც ქალი წასულია, მასთან ვედრებით ვერაფერს გააწყობ!“. ეს იყო პასუხი მრავალნაირ გეგმათა, რომელსაც იძლეოდა გამოცდილება და

32

იმ ხანებში, როდესაც ვინმეს ჩვენს ქვეყანაში დაპერა მოელოდა, იგი გარბოდა სხვა ქალაქში და რამდენიმე თვის შემდგომ, როდესაც მას ივიწყებდნენ, ეს დამოკიდებული იყო ბრალდების სიმძიმეზე. იგი უკანვე ბრუნდებოდა.

მაგრამ ვანო უთნელიძეს წასვლა არ შეეძლო; ჯერ ერთი იმიტომ, რომ მის მაგივრად სხვებს დაიჭერდნენ, ხოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც მთავარია, შესაძლებელია ამითი ჩეკას ეფიქრა: რომ ვანო უთნელიძე გაიქცა, რადგან ბევრი იცოდა! ამიტომ გადასწყვიტეს: ვანო ქალაქში დარჩენილიყო, ერთი კვირის განმავლობაში, ვანო სამჯერ დაიბარეს ჩეკაში; და ბოლოს იგი დაატყვევეს და ერთი კვირის შემდეგ სრულიად მოულოდნელად გაანთავისუფლეს.

ჩეკის ასეთი საქციელი, აგრეთვე ის, რაც იმ ხანებში ჩეკამ მოიმოქმედა, იყო და დარჩა გაუგებარი. თუმცა ცხადია, ჩეკას სურდა რაღაც დაებადა ან წარმოედგინა სხვა გვარად.

იქნებოდა დილის სამი საათი, როდესაც ნაცემი ვანო უთნელიძე ჩეკიდან გაუშვეს. გარედ წვიმდა და ჰქროდა ქარი. ვანო მიდიოდა ისე, თითქოს სულერთი ყოფილიყო მისთვის, სადაც უნდა წასულიყო. ქალაქის ხეივანში იგი შესდგა; უნებურად აჰხედა ცას და რაღაც გადაწყვეტილება მიღებული, თითქმის სირბილით გაემართა სოლომონ ფერეულის სახლისაკენ. ისეთივე აჩქარებული შევიდა ეზოში, უკანა აივანზე ერთ ფანჯარას მიადგა და ჩურჩულით დაიწყო ხმობა:

— მანანა, მანანა... —

ოთახი განათდა, გაიღო ფანჯარა და მანანას მაგივრად გამოჩნდა კოტე ფერეული.

ვანოსათვის სულერთი იყო, ვინც უნდა ენახა; კოტეს მან დალაპარაკება არ აცალა.

მშრალი ხმით აბორგდა:

— აი, მოვედი გამცემი, მოღალატე... მიფრთხილდით ყველამ! სულ ყველამ მიფრთხილდით!.. —

კოტე ფანჯარაზე გადახტა და გასაქცევად გამზადებულ ვანოს საყელოში წვდა.

— აქ მოდი! — ოთახში ფანჯრიდან შევიდნენ.

ვანო სოველი იყო, სახეც სოველი ჰქონდა და ღაწვზე აჩნდა დალილავებული.

— დამშვიდდი! — უბრძანა კოტემ — სთქვი რა მოხდა! —

— გითხარი კოტე... [illegible] ხოვენ სტამბის გაცემას... [illegible] იარაღის გაცემას...

ხვალ ისევ დამატუსაღებენ და ჩემთან ერთად მშობლებსაც... —

— არ მესმის... რატომ უნდა დაგატუსაღონ, აკი გამცემი ვარო!?.. გაეცი!?. —

კოტე მკაცრად ეკითხებოდა.

— არა! მცემეს! მეტი არ შემიძლია!!! —

კოტემ სახე ხელებით დაუჭირა, თვალებში ჩაჰხედა და კიდევ ჰკითხა, მხოლოდ გარკვევითა და დაბეჯითებით:

— მიპასუხე, გაეცი თუ არა!!? —

ვანო თითქოს გონს მოვიდა, გაჯავრებით მიუგო, ვით შეურაცხყოფილმა:

— რას ამბობ! არა! —

— მაშ კარგი — სთქვა კოტემ — ჩავიცვამ და წავიდეთ. მგონი მანანა გინდოდა გენახა? —

— მინდოდა... —

— წამო... — უეცრად კოტემ ვანო შეაჩერა და ისევ ჰკითხა: — ღირსი ხარ თუ არა! ხომ არ გითქვამს! —

— არა, კოტე, არა! —

მანანა გააღვიძეს. ნაცემარ ღაწვზე, ვანოს მან ხელი მოუსვა. მანანას თვალთ ცრემლები ადგა; ცრემლები, თვალთა გამოისობით სჩანდნენ შავად და ბრწყინავდნენ.

იმავე ღამეს, არ გაევლო ერთ საათსაც, რომ მურზა უთნელიძეს თავისი ვაჟი მიჰყავდა სამურზაყანოში, იქ უნდა დარჩენილიყო ვანო, სანამ ამბები მიწყნარდებოდა.

მამა და შვილი ისხდნენ ცხენებზე.

კოტე მათ დაემშვიდობა და სხვა გზით გაემართა შინისაკენ. ისევ წვიმდა. ქარი არხევდა ხეებს და რადგან მათ დანათოდა ელექტრონი, ამიტომ ჩრდილი ფოთლებისა, ისე იხრებოდა მიწაზე, ვით სულიერი.

კოტემ შორს შენიშნა რამდენიმე კაცი; ისიხი სჩანდნენ ბუნდოვანად და კოტე მათ დააკვირდა რათა გამოეცნო: ესხათ თუ არა იარაღი, ამ დროს კოტეს დაუძახეს:

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— ფერეულო, გაჩერდი! არ გაინძრე! —

ეს იყო მერაბი, რომელიც არ სჩანდა. მხოლოდ იძახოდა აუღელვებლად. თუმცა წყრომით. წამს მოაგონდა კოტეს, რომ ის მერაბის ქუჩაზე იყო და არ ჰქონდა იარაღი. ბნელოდა, ხეს მიფარებული გამოვიდა მერაბი და იღლიაში თოფ ამოჩრილი წამოვიდა კოტესთან.

კოტემ ჯერ იფიქრა, ხელ-დახელ მოდისო. მერაბი მოახლოვდა; ერთი რაღაც გაურკვევლად შეხედა კოტეს, შემდეგ თავი დაუქნია:

— წამოდი! — სთქვა უმადური კილოთი, როგორც იტყვის თავის-თავზე უკმაყოფილო კაცი; კოტეს ხუთი შეაქცია და გაემართა: — გამიგონე მერაბ... — მაშინ მერაბი შესდგა და გამწყრალი, მაგრამ ისე, თითქოს თავის-თავს უწყრებოდა, წარმოსთქვა:

— წამოდი, დაგექცა ოჯახი, ყველა ქუჩები გაკრულია, ცოცხალი ვერ გახვალ — მერაბი ცდილობდა ხმა-დაბლა ელაპარაკა, მაშასადამე შესაძლებელი იყო სხვებს გაეგონათ, ამიტომ ერიდებოდა და საერთოდ მისი საქციელი იყო წრფელი, ემჩნეოდა, იგი არ ეძებდა სისხლს. განცვიფრებული კოტე, მერაბმა მიიყვანა თავის სახლში და მოათავსა ერთს ბნელს ოთახში, რომელიც ქუჩას გადმოჰყურებდა.

— ჩემს მოსვლამდე არსად წახვიდე — სთქვა მან და წავიდა.

კოტე დაჯდა რიდეებით დაბურულ ფანჯარასთან და დაიწყო ლოდინი. მას შეეძლო წასულიყო; იქნებ ეს ყოფილიყო უფრო გონიერი, მაგრამ ეს იქნებოდა გაპარვა. კოტემ არ იკადრა. წვიმა შესწყდა. შორს, სადღაც განთიადისას იყივლეს მამლებმა და ქუჩაში ადგა ნისლი, რომელნიც თანდათან სქელდებოდა. მერაბი მოვიდა. ის იყო დაღვრემილი და არ მალავდა უკმაყოფილებას. მის შემოსვლაზე, კოტე ფეხზე წამოდგა. მერაბმა სთქვა:

— სხვა პირობებში შენახე ფერეულო, უეჭველად მოგკლავდი! — მან ხელი ისე გადააჭნია, რომ თავის გონებაში ჯერ კიდევ არ ჰქონდა [illegible] ყვეტილი: კარგად იქცეოდ[illegible] და დაუმატა:

— გადამირჩი!

ყოველივე ამას და რაც შემდეგ სთქვა, მერაბი ლაპარაკობდა უნდილად, თითქოს იძულებით.

— ეხლა წადი! არ გირჩევ სახლში წასვლას, ა. ეს წაიღე — მაუზერი ხელთ მისცა — ალბად, შენები დაჭერილი იქნებიან. წყალქვეშამ ჩაიდინა ყველაფერი! ამას იმიტომ ვამბობ, რომ მურზას ბიჭს არაფერი დაბრალდეს; იმის დაჭერაც წყალქვეშას ჩაწყობილია, ვითომ თავისთავზე რომ ეჭვები ეეშორებია. ეხლა მამა-მისს სადღაც ცხენით მიყავდა ბაღანა; ჩეკას ესეც გამოანგარიშებული ქონდა, გაუშვეს. გირჩევ სადმე წახვიდე! თომა, ფიჩორიდან დაჭერილი ჩამოიყვანეს; ამბობენ, სადღაც ზღვის პირზე სტამბაც დაუჭერიათო! —

კოტე წავიდა. მან გააღვიძა მათია და რაც იცოდა მოუთხრო.

მალე ორივენი მიიჩქაროდნენ ნაპირისაკენ, ფიჩორში წასასვლელად. მათ ჯერ ტყეში გადამალული იარაღი უნდა მოენახულებიათ, ხოლო შემდეგ, რადგან კოტე ქალაქს უნდა გასცლოდა, მათია მას გადაიყვანდა თავის სოფელში.

კოტე და მათია მიდიოდნენ მაღალი ჯებირით; ნისლში არაფერი სჩანდა და ის იყო, მათია შესდგა, რათა თავისი ბაიდა ეცნო, რომ კოტემ თავის წინ შენიშნა ვიღაც კაცი. უცნობმა, უთუოდ უფრო ადრე დაინახა ისინი და კოტეს მოეჩვენა, რომ იგი შესდგა და იარაღის ამოღება დააპირა. კოტე გადახტა და უცნობი დასცა. ეს იყო წყალქვეშა: იგი წინააღმდეგობის გაწევას არ აპირებდა.

— ბიჭოს, ბიჭოს... — ქშინავდა კოტე — ეს მომეცი აქ — ბოხჩიდან რევოლვერი ამოაცალა: უბეები გაუსინჯა. წამოაყენა წყალქვეშა.

— წამო ჩვენთან! მხოლოდ იცოდე: ხმა ამოგიღია, გათავდა!!! —

ლოყაზე ტლაპო მისხმოდა წყალქვეშას. ქამრიდან ხალათი ამოსძურწოდა, მაგრამ არც სახე გაუწმენდია, არც ტანთ გაუსწორებია: — თქვენ მე ვერ გადაგირჩებით, თქვე პირძაღლებო! — სთქვა მან.

იგი ნიჩბებზე დასვეს. ზურგიდან მიუჯდა კოტე და რათა უეცრად წყალში არ გადავარდნილიყო, მას ფეხზე მდგარი, ნიჩბებზე შველოდა მათია.

ბაიდა რომელიც ნისლში მათიას მიჰყავდა ალღოთი, მიდიოდა სწრაფად. ასე უხმოდ იარეს ნახევარი საათი. ნისლმა იწყო კლება და რამდენადაც იგი კლებულობდა, იმდენად ჩნდებოდა ქვეყნიერება, რომელიც თითქოს პირველად იბადებოდა ქაოსიდან.

მდინარე ფიჩორის სათავეში, თომას კარავთან ბაიდა გააჩერეს და კოტე სწრაფად ავიდა ნაპირზე.

მურა არ სჩანდა. კარავი იყო ღია, ხოლო კარავში ყოველივე არეული. ლოგინი აეყარათ, წიგნები მიმოეფანტათ. ერთი წიგნი აიღო კოტემ, მწუხარებით გადაშალა: „იყო ერთი კაცი და ჰყავდა ერთი გაღლეტილი ვირი"... საბა ორბელიანის იგავ-არაკები. წიგნი დაადგდ და ბაიდაში დაბრუნდა. გზა განაგრძეს.

33

შუადღე გადასული იყო, როდესაც ჩვენი მგზავრები მდინარე ფიჩორის სათავეებს შეუდგნენ. ისინი მისცურავდნენ მდინარის ერთ შენაკადით, რომელიც გამოდიოდა ულრან ტყეში და ჰგავდა პატარა რუს, სადაც ნიჩბებსაც ვეღარ ხმარობდნენ. ბაიდა მიწოლით მიჰყავდა რუში ჩასულ კოტეს; წყალი მას ხან მუხლებამდე წვდებოდა, ხან მკერდამდე. ბაიდაში, კოტესაკენ ზურგშექცევით იჯდა წყალქვეშა და არ ირხეოდა. კოტე შესდგა. გააჩერა ბაიდა.

— ამოდით! — სთქვა მან.

მათია ამოხტა. წყალქვეშა ამოვიდა. შემკრთალი, ვით ადამიანი, ... ყურთა-სმენა არა აქვს და არ იცის, შვრება თუ არა იმას, რასაც უბრძანებენ. იგი ჭაობში ჩაეფლო და რა ფეხი ამოიღო, გავარდა რევოლვერი. კოტემ ესროლა. წყალქვეშა დაეცა პირ-ჩალმა.

რევოლვერის ხმაზე, სადღაც ახლოს ტყეში, თავზარდაცემული აფრინდა ძერა; იგი ისე ჰკიოდა, თითქოს თვითონ ყოფილიყო დაჭრილი. შემდეგ დამკვიდრდა სიჩუმე, მხოლოდ ისმოდა წყლის ხმა. კოტემ სთქვა:

— სხვაფერ არ შეიძლებოდა —

რამდენიმე ხნის შემდეგ მათიამ იკითხა:

— ახლა რას აპირობ?! —

— იარაღი ამოვიღოთ და იგი იქ ჩავმარხოთ —

— კი მარა, ტურა ამოთხრის შეჩვენებული... — მერე ერთბაშად წამოიძახა მათიამ:

— აბა არიქა! არ ღირს დროს დაკარგვა! —

უსულო გვამი, როგორც იყო პირჩალმა, ისე ასწიეს და ტყეში შევიდნენ. ისინი მიდიოდნენ უხმოდ, ხშირად იფლეთოდნენ და ბარდი. ტანთ ედებოდათ მათ იმგვარადვე, როგორც ედებოდა მათ ტვირთს. ერთგან მკვდარი დაასვენეს და მათიამ, იქვე ბარდში შენახული, გამოიტანა ნაჯახი და ბარი. აქ, ხის მორებით ამოყვანილ, საკმაოდ დიდ ორმოში, სადაც ჩაეტეოდა ოცი-ოდე თოფი, ჩაფლული ჰქონდათ იარაღი. იარაღი ამოიღეს. ორმოში იდგა წყალი. წყალქვეშას გვამი ჩააგდეს ორმოში და რათა მხეცებს არ ამოეღოთ იგი, სასწრაფოდ მოსჭრეს დიდი თხემლა, თხემლის მორებით გვამი ზევიდან დატვირთეს და შემდეგ დააყარეს მიწა.

მეორე დღის შუაღამეს, უძინარი და დაქანცული მათია დაბრუნდა სახლში. კოტე მან ჩააბარა თავის სოფლელებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელთაც იგი უნდა გადაეყვანათ მთებში.

მთებშივე გადაიტანდნენ იარაღსაც.

34

როგორც მუდამ, საერთო დაჭერების დროს, ჩეკის სარდაფები სავსე იყო ტუსაღებით. აქ იყვნენ თითქმის ყველა ჩვენი ნაცნობები, გარდა იმათი ვინაც გაიქცნენ. გარდა მანდილოსნებისა და სოლომონ ფერეულისა, პავლე ბადრიძისა და ვიკტორ რაზმაძესი.

ვიკტორ რაზმაძეს ნონა თავაძემ საყვედური უთხრა: — ეჰ შენ მეგობარი მეგონე ამხ. რაზმაძე! — საუბარი სწარმოებდა დაჭერების მეორე დილას. ელსმენით, როდესაც გამოირკვა, რომ კოტე ფერეული გაქცეულიყო, ამ მოვლენას, ჩეკის თავმჯდომარე გაეჯავრებია და იგი ჰყვიროდა. ვიკტორ რაზმაძემაც ყვირილით უპასუხა:

— არც ასეთი საყვედურების მოსმენა მწადია! და თუ გნებავს, გამანთავისუფლე შენი მეგობრობისაგან. გესმის ნონა თავაძე, კმარა! დიახ, კმარა! —

რაზმაძემ ლაპარაკი შესწყვიტა. ჩეკის თავმჯდომარეც უხმოდ გაშორდა ელსმენს, მხოლოდ გონებაში სთქვა: — კეთილი! —

საერთო დატუსაღებათა დროს, სანაპირო ქალაქში, ჩეკის ახლო-მახლო იწყებოდა ქალთა და კაცთა მიმოსვლა. მათ მოჰქონდათ „გადაცემები“ და ასეთ მიმოსვლას არ აკლდა მხიარულება. მაგრამ ეხლა ყველანი იყვნენ დაღვრემილნი. დადიოდა მრავალგვარი ხმები შესახებ იარაღისა და სტამბისა, შესახებ დაჭერილთა და გაქცეულთა.

საერთო საკანიც, რომლის სიმღერები ხშირად ქუჩას წვდებოდნენ, ეხლა დამწუხრებული იყო და ხმას არ იღებდა. საკანმა კარგად იცოდა, რომ ჩეკამ ორი დიდი საქმე „გახსნა“, ტუსაღები დრტვინავდნენ.

თომა ფერეული ცალკე საკანში მოეთავსებიათ. მას, შთამომავლობა, აზნაურს, ბრალდებოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იარაღით ბრძოლა.

საკანი იყო ბნელი და უთუოდ ბინძური. შიგ იდგა ნეხვის სუნი და ილაჯ-გამოლეული თომა, უსულო საგანივით მიგდებულიყო იატაკზე. მან იცოდა, რომ ერთობ ამოსვრილი იყო წუმპეში, მაშასადამე შესაძლებელია, მასთან ლაპარაკი გათავებული ჰქონოდათ, რადგან ასეთ ადამიანთან ლაპარაკს არავინ მოისურვებდა, თუ არავინ შესძლებდა. მას ბევრგან სტკიოდა სხეული.

ეს გასაგები იყო, მხოლოდ გაუგებარი რჩებოდა ცერის სახსარში ტკივილი, რადგან იქნებ ეს ყოფილიყო ნეკრესის ქარი და არა დარტყმული. გონების სიღრმეში თომამ გაიღიმა:

„ნუთუ თომამაც დაარტყა!?“

— ამხანაგო თომა ფერეულო, ინახავდით თუ არა თქვენ იარაღს! — ეკითხებოდა თომას, ჩეკის თავმჯდომარე ნონა თავაძე.

ოთახში ბნელოდა.

თომამ უპასუხა: —

— დიახ, ვინახავდი! — ჩეკის თავმჯდომარემ ძლიერ ნასიამოვნები ხმით ჰკითხა:

— რა თქმა უნდა საბჭოთა წინააღმდეგ!? —

— რა თქმა უნდა! —

— ვინ გადმოგცათ?! —

— არავინ! —

— თომა! სთქვით ვინ გადმოგცათ —

ამაზე თომას ხმა არ ამოუღია. ჩეკის თავმჯდომარემ დაუწყო თხოვნა:

— ძალიან გთხოვთ, რადგან ეს მეტად საჭიროა და დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენთვისაც —

თავმჯდომარემ სინათლე აანთო და იგი თითქმის ევედრებოდა თომას:

— თქვენ თომა ტყუილს ვერ იტყვით! ვინ მოგაბარათ! თქვენ თვით უნდა გვითხრათ, თორემ ჩვენ ისედაც ვიცით! —

მაშინ თომამ ჩვეულებრივი საუბრის

კილოთი სთქვა: — არავითარი იარაღი მე არ მქონია, არც არავითარი მობარება ვიცი! —

ამ სიტყვებზე თავაძეს შესაბრალისი სახე შეექმნა და თომამ უსაყვედურა:

— აბა რა გიყო, შე ოჯახ-ქორო! თუ გინდა, მე შენს განკარგულებაში ვარ, ოღონდ გაძეხი და სხვას ნუ მომთხოვ —

იონა თავაძე ჭირვეულობდა და თომამ ისევ უარყო ყოველივე. მან განაცხადა:

— არავითარი იარაღი მე არ მქონია —

მაშ რისი იყო ის ორმო თქვენს ლოგინ-ქვეშით? — უთუოდ თავმჯდომარეს ჰსურდა, ბრალდებულს იგი მოსჩვენებოდა გულუბრყვილო კაცად.

— ორმო? — განცვიფრებით იკითხა თომამ — შიგ იძინებდა მურა! ჩემი ძაღლი მურა იძინებდა შიგ, რომელიც შენმა კაცებმა მოჰკლეს —

რა თქმა უნდა, იონა თავაძე გულუბრყვილო ადამიანი არ იყო და მან შესცვალა ხერხი:

— შენ უნდა იცოდე — მკაცრად წარმოსთქვა მან — რომ ასეთი პასუხით, შენ ეჭვის ქვეშ აყენებ ყველა მათ, ვინც მე დაბლა მყავს დატუსაღებული —

— შენ ასე გსურს, იონა, თავაძე, თორემ მე არაფერ შუაში ვარ —

ოთახში სინათლე ჩაჰქრა. თომა ვიღაცამ იატაკზე წააკვა და სცემეს.

ასე მეორდებოდა ყოველ ღამე მთელი კვირის განმავლობაში. ბოლოს თომას თავი ანებეს.

თომას გვერდით მოთავსებული იყო ონისიმე ფერეული. ერთი-მეორის მეზობლობა მათ არ იცოდნენ. ონისიმესაც იარაღის საქმე ბრალდებოდა, თუმცა მან განაცხადა, რომ გარდა საოჯახო საქმეებისა, არც პოლიტიკისა იცოდა რაიმე, არც იარაღისა. თავაძე იძიებდა:

— ნუთუ არავინ არაფერი გითხრა ან შეგეკითხა ან დაგავალა, როგორ დავიჯერო! —

— არავინ არაფერ[illegible] დებოდნენ, როგორ[illegible] შვილის პატრონს —

როდესაც თავაძე გაჯავრდა და საცემრად წამოვარდა, ონისიმე მიეყრდნო ჰოლანდურ ღუმელს და დაებჯინა სავარძელს. მაშინ იონა თავაძემ სთქვა:

— კარგი, დაჯექი ონისიმე —

თავმჯდომარემ იცოდა, რომ ონისიმე ფერეული შეაკვდებოდა, მაგრამ არავის გაელახვინებოდა. იგი, როგორც კოტე ფერეული, იყო ღონიერი. საკანში ონისიმეს უმეტესად ეძინა.

ლევანი, თემუყვა და ბატონი ვარლამი საერთო საკანში მოეთავსებიათ, სადაც მათ გარდა, თავსდებოდა ორმოციოდე კაცი. მათი ცხოვრება, ისე ვით მათი დაკითხვა დიდათ საყურადღებო არ იყო, თუმცა შეიძლება აღინიშნოს ორი მოვლენა. ერთი, ლევანი დაკითხვაზე უპასუხებდა უკმეხად და იგი არავის უცემია. მეორე, ერთჯერ თემუყვამ ბატონ ვარლამს უთხრა: — თუ თქვენ იცოდით სოციალიზმის ამბავი, მგონებოდა, გასამართლებას აღარ მოვითხოვდიო —

ერთს პატარა, ბინძურსა და ნახევრად ბნელ საკანში, ერთად იჯდნენ მოხუცი ივანე და მისი დიშვილი გოგია კოკოსაძე. ისინი გადაცემებს არ ღებულობდნენ, თუმცა მათი საქმე ნათელი იყო; ამჟამად ჩეკა იძიებდა, თუ მათ გარდა ამ საქმეში კიდევ ვინ ღებულობდა მონაწილეობას.

„არ არის ბოროტება ისეთი, რომელსაც კაცთა შორის არ გამოუჩნდეს მფარველი და მაქებარი, არ არის სიკეთე ისეთი, რომელსაც ყველანი მფარველობდნენ და არავინ აძაგებდეს“ — ეს იყო ცნობილი ვითარება და ამის გამო, გოგია კოკოსაძეს მართებდა გულგრილობა. როდესაც ჩეკის თავმჯდომარემ მიმართა მას ასეთი სიტყვებით:

— ნუთუ შენ, უბედურო გოგია კოკოსაძე, არ გცხვენია შენი საქციელ[illegible]ს... მე სწორედ განცვიფრებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარ — იონა თავაძე გულწრფელი იყო — შენ, ღარიბი ახალგაზრდა კაცი, შთამომავლობით გლეხი, ნუთუ კაცო გული არ გაქვს, რომ მშრომელს ებრძვი!?.. —

გოგია კოკოსაძეს, იონა თავაძე კარგად ვერ იცნობდა, მაგრამ პირველ დაკითხვისთანავე აღმოჩნდა, რომ გოგია უფრო გონიერი იყო და საზოგადოდ იყო სხვა კაცი, ვიდრე ამას უმტკიცებდა გარეგნობა. გოგიამ მიუგო:

— ყველაფერი ეს, შემიძლია გკითხო შენ! —

გოგია ლაპარაკობდა მშვიდად. მან თავაძის პაპიროსიც მოსწია, რასაც დაკითხვის დროს ტუსაღები ერიდებოდნენ, რადგან ხმები დადიოდა, თითქოს თუთუნში ახვევდნენ ბანგს.

იონა თავაძეს მაგიდაზე ედო მაუზერი. გოგიამ ლაპარაკში მაუზერს ხელი შეახო, სავარძელში ჩაჯდა. ყველაფერი იყო ბუნებრივი.

— ...და არა მარტო მე, ამხანაგო თავმჯდომარე, არამედ მთელს ჩვენს ქვეყანას შეუძლია შენ გკითხოს, თუ რატომ არ გცხვენია! მე კი, ვემსახურები ჩემს ქვეყანას! —

— მეც ვემსახურები —

— შე-ენ? — გოგია განცვიფრდა. მერე ხელი ჩაიქნია — კარგი კაცო, ზღაპარს ნუ ლაპარაკობ! — თავაძეს ჯერ სურდა ეყვირა, თავი შეიკავა. გოგიას დამშვიდება აცალა.

— მე კარგად ვიცი — სთქვა მან — რომ, მთელი ქვეყანა, ჩვენი და ჩემი წინააღმდეგია. მათ მე ანგარიშს არ უწევ! ეს არ არის ადვილი, მაგრამ ეს ასეა. მხოლოდ მე მინდა, ზოგიერთებმა იცოდნენ, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ, რომ მე არ ვსტყუი; ჩვენი ქვეყანა არის პატარა, მას არ შეუძლია იარსებოს დამოუკიდებლად —

გოგიამ გააგრძელა:

— და ამიტომ საჭიროა რუსის ჯარების შემოყვანა! თქვენ ამას ეძახით ქვეყნის სამსახურს, ჩვენ — ღალატს —

იონა თავაძისათვის ნათელი შეიქნა, რომ გოგიასთან არ გასჭრიდა [illegible] რაკება, მაგრამ მაინც გააგრ[illegible]

— მიუხედავად ამისა, შე უბედურო გოგია კოკოსაძე, ეს გახლავს ქართველ მეფეების პოლიტიკა, რომელთაც მე ვფიქრობ, შენ ვერ დაუწუნებ ვერც გონიერებას, ვერც გამჭრიახობას —

— ვერა, ვერ დაუწუნებ! ეს არც საჭიროა! მხოლოდ, მაშინ ევროპა იყო შორს და არ არსებობდნენ ისეთი, რამეები, რაც არსებობენ დღეს! კიდევ კარგი, რუსეთმა ვერ შესძლო ჩვენი პატივისცემის დამსახურება, თორემ შესაძლებელია დამოუკიდებლობისათვის მაშინ არ გვებრძოლა და დავიღუპებოდით! რადგან დამორჩილებული ერის შვილი, არ შეიძლება იყოს სულით დიადი, არ შეიძლება ჰქონდეს შემოქმედებითი აღმაფრენა და სხვა მრავალი ასეთი, ხედავ თავმჯდომარე, რამდენი რამ გვაქვს სათქმელი?!

ეს არ არის თავმოყვარეობის საკითხი... —

გოგია კოკოსაძე, იქნებ იმიტომ ებრალებოდა თავმჯდომარეს, რომ მას, გოგიას ელოდა გადასახლება, ეს დაუსრულებელი ტანჯვა და მშიერი სიკვდილი, ხოლო გოგიამ ეს არ იცოდა და უთუოდ გულუბრყვილობის გამო იყო უდარდელად.

გოგია სავარძლიდან წამოდგა და როგორც იცოდა, აღმა-დაღმა სიარულით ოთახში გაიარ-გამოიარა და სთქვა:

— რადგან თქვენ, ძვირფასო ჩეკის თავმჯდომარე, პატრიოტი ხართ, მოდი დროს ნუ დავკარგავთ, დამიბრუნეთ მე ჩემი სტამბა, დავბეჭდავ ფურცლებს და თუ თქვენ ქვეყნის სამსახური გწადიათ, გაიტანეთ იგი ხალხში— —

თავმჯდომარემ წარბები შეიკრა:

— იცი რას გიზამ?! — სთქვა მან — ისეთ ადგილას გადაგასახლებ, სადაც ირმებით დადიან!.. —

— მერე! რა ისეთი უმწეო მნახე... ერთ ირემს მეც დავიჭერ და ვივლი! —

გოგიას სიტყვებზე თავმჯდომარეს გაეღიმა. ამაზე გოგიამ შენიშნა: მას

ეს იმიტომ კი არ უთქვამს, რომ თავმჯდომარეს სიამოვნებოდა. —

მაშინ იონა თავაძე წამოიჭრა. (არის წუთი ადამიანის ცხოვრებაში, როდესაც იგი, შეპყრობილი და ამოძრავებული რაიმე აზრით, მიისწრაფის მის განსახორციელებლად და ამ მისწრაფებაში, სჩადის ისეთ რამეებს, რაც თითქოს, ვერ უნდა ჩაედინა თავისი ბუნების მიხედვით; ასე ემართებოდა, ბუნებით უფრო რბილსა, ვიდრე მკაცრს, იონა თავაძეს, რომელიც იბრძოდა და არ ზოგავდა საშუალებებს).

მან გოგიას დაუწყო ცემა; დაუწყო ცემა არა იმიტომ, თითქოს გოგიას სიტყვები ყოფილიყო მეტად კადნიერი, გინა უშვერი, არამედ იმიტომ, რომ დაკითხვის გაგრძელება იყო უსარგებლო და იგი უნდა დასრულებულიყო.

35

საკანი, სადაც ისხდნენ გოგია კოკოსაძე და ბიძა მისი მოხუცი ივანე, იყო ნახევრად ბნელი. მოხუცს ისედაც თვალთ აკლდა და ვერაფერს ხედავდა, ხოლო გოგია ბნელოს შეეჩვია და ყველაფერს არჩევდა. დატუსაღების პირველ დღეებში, როდესაც ძია დასისხლიანებული დაბრუნდა საკანში, გოგია გაშეშდა და ხმა ვერ ამოიღო, ხოლო ძიამ იფიქრა, უთუოდ ვერ ამჩნევსო და რათა ახალგაზრდა კაცს გული არ გასტეხოდა, ყოველივე დაუმალა. სამაგიეროდ გოგიამაც დაუმალა და ამგვარად, საკანში იჯდა ორი ხელ-შეუხებელი დამნაშავე.

— რა გკითხეს, ძია!? —

— არაფერი, არაფერი! —

ძიას შესაბრალისად უთრთოდა ხმა. მხოლოდ მათ ბევრი არ უნდა ელაპარაკათ, რადგან შესაძლებელია აყურადებდენ და იქნებ კიდეც ამიტომ იყო, რომ ერთად მოეთავსებიათ. ამ მოსაზრებათა მომიზეზებით ძიას დიდხანს ხმა არ ამოუღია; როდესაც ტკივილები და მასთან ერთად მღელვარება მიანელა, ბიძია ივანემ გაიცინა:

— რა არის წვრილი ბურჟუაზია? — იკითხა მან, გოგიამ აუხსნა. ჩეკის აზრით, ბიძია ივანე ეკუთვნოდა წვრილ ბურჟუაზიას.

მთელი ზაფხული გაატარეს ბიძია ივანემ და მისმა დიშვილმა ერთ საკანში. შემდეგ ისინი გააცალკევეს; მათი საშუალებით ჩეკას უნდოდა სხვების აღმოჩენა. მრავალნაირ ხერხს მიმართავდა ჩეკა; მისდგებოდნენ ძიას; გოგიამ ესა და ეს პირები დაასახელა, სხვებიც შენ უნდა სთქვაო, — შემდეგ გოგიას მისდგებოდნენ.

არაფერი გამოვიდა და შემოდგომის დასაწყისში თომა ფერეული, ბიძია ივანე და გოგია კოკოსაძე, გადაყვანილ იქნენ ტფილისის ჩეკაში.

ამავე დროს ჩეკამ იწყო ტუსაღთა ნელნელა განთავისუფლება. განთავისუფლებულ იქნენ ონისიმე, თემუყვა და ბატონი ვარლამი.

36

შუა ზამთარი იდგა, როდესაც ლევან ფერეული მოულოდნელად ჩეკიდან გაუშვეს. ღამის იქნებოდა ცხრა. ბნელსა და უსიცოცხლო ქუჩებში გამვლელი არ სჩანდა. ჰქროდა ცივი ქარი. წუმპეები გაეყინა. საპყრობილეში სიარულს გადაჩვეული ლევანი უნებლიედ იღიმოდა და დროგამოშვებით ისე მიმოიხედავდა ირგვლივ, თითქოს უნდოდა რაიმე განსაკუთრებული დაენახა, ან გაეგონა.

ბადრიძის სახლთან ლევანი შესდგა. რიდეებით დაბურულ ფანჯრებში სინათლე არ სჩანდა, თუმცა მაღლიდან, სადაც ბინადრობდნენ, ისმოდა მუსიკა, მაგრამ იმდენად სუსტი, რომ ქარის ყოველი მოვარდნა ახშობდა მას.

ლევანი იყო გაუპარსავი და დაუბანელი. გზა განაგრძო, ხეივანი გადასჭრა. შორიდან დაინახა კინო; ის იყო განათებული და ღია კარების წინ იდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გნენ ახალგაზრდები, რომელთაც ქარისათვის ზურგი მიექციათ. ლევანმა შეუხვია ბნელსა და ვიწრო ქუჩებში, სადაც გამოდიოდნენ შეუღობავი და უსუფთაო ეზოები სამიკიტნოებისა, ფურნეებისა და სხვათა.

შევიდა თუ არა ლევანი ბნელოში, მოესალმა არეული ხმები: ყვირილი, მუქარა, კვნესა, ხმებზე ლევანი გაიქცა, მაგრამ რა ახლოს მივიდა, თავზარდაცემული შესდგა და საჩქაროდ, რათა არავის დაენახა, ალვის ხეს ამოეფარა.

მიწაზე წაქცეულიყო სოლომონი, რომელსაც ადგომაზე შველოდა ონისიმე. უთუოდ ორივე მთვრალები იყვნენ. სოლომონი ოხრავდა. მოშორებით სჩანდა უცნობი მამაკაცი, რომელიც ემუქრებოდა ალბად სოლომონს, რომ გააძრობდა ტყავს! ონისიმემ მას დაუყვირა:

— ჰეი, შენ გეყოფა თორემ, მე შენ მართლა გასწავლი ჭკუას! — იმდენი მრისხანება ისმოდა ონისიმეს ხმაში და იგი ისე იყო თქმული, რომ უეჭველია მთქმელს ასრულებაც შეეძლო. უცნობი შეყოყმანდა და გულადობის შესანარჩუნებლად წარმოსთქვა: აბაა! ამ დროს გაიღო იქვე კარები და უცნობი მამაკაცი ქალმა შეიყვანა სახლში.

ლევანისათვის ყველაფერი ნათელი შეიქნა: ისევ ის, ფრანგული ენის მასწავლებელი ქალი.

მამა და ონისიმე უთუოდ სადღაც დაითვრნენ: მამა იმ უსირცხვილო ქალთან გაიპარა, შეხვდა საყვარელს, საყვარელმა სცემა. შემდეგ მოვიდა ონისიმე.

მამა ფეხზე წამოდგა, ონისიმეს მხარზე დაეყრდნო და ამოოხვრით სთქვა, თან ბარბაცობდა: ხედავ, იმ წუპაკმა რა მაკადრა!! — ონისიმემ შეაწყვეტია:

— წამო ბიძია, წამო! —

გაჭირვეულებული მამა არ მიჰყვებოდა. მას ხმაზე ეტყობოდა, რომ თანდათან იწყებდა შეურაცხყოფის ვრძნობას და რათა მამის ტირილი არ მოესმინა, დამწუხრებული და შერცხვენილი ლევანი გაეშურა სახლისაკენ.

სახლი ისე იდგა, თითქოს მატონი აეყარათ. არც ერთი განათებული ფანჯარა. ფორთოხლის ხე შეებუდრათ და თვალს ცოტათი იამა, რომ გუშინდელი თოვლი ზედ ეგერ-აგერ შერჩენოდა. შემდეგ ოდნავი სინათლეც გამოკრთა; ანათებდა ბიცოლა ნინოს ოთახი და ლევანი გაიქცა.

ბიცოლა ნინომ ლევანი გულში ჩაიკრა და ატირდა:

— აი, ბებერი ქალი სტირის — ბუტბუტებდა ბიცოლა ნინო — მაგრამ ეს არის სიხარულის და არა სასოწარკვეთილების. მართალია კოტე გახიზნულია და თომა დატუსაღებული, მაგრამ აკი ლევანი დაბრუნდა, დაბრუნდებიან ღვთის წყალობით ისინიც —

ბიცოლა ნინომ უწინ იცოდა ყვირილი, ეხლა თვით სცხვენოდა თავის ცრემლებისა.

როგორც მის სიტყვებიდან გამოირკვა, მანანა ანიკოსთან ათევდა ღამეს, ხოლო სოლომონი სადღაც წასულიყო. ამრიგად სახლი იყო ცარიელი და მას აკლდა სითბო. ლევანი უფრო დანაღვლიანდა.

მეორე დილას, სუფთად გაპარსული, იგი მამის კარებს მიადგა. ის უნდა წასულიყო სამსახურში, სადაც ანიკოსაც შეხვდებოდა, მაგრამ წასვლის წინ მამა უნდა ენახა.

კარზე დააკაკუნა:

— შემოდი! — ხმა გასცა მამამ. ბევრს გაიღებდა ლევანი, რათა ეხლა მამა არ ენახა. ლევანი შევიდა. იგი იმდენად ყოფილიყო აღელვებული, რომ მამის დაძახება: შემოდით! — უთუოდ მოჰყურებოდა, რადგან მამას ეძინა. მამა იყო გალურჯებული, პირი დაეღო და უხმოდ ეძინა. ლევანი ფრთხილად გაბრუნდა. მან დაიწყო ლოდინი, თუ როდის გაიღვიძებდა მამა, რადგან თავისი სურვილის წინააღმდეგ გადასწყვიტა მისი ნახვა. ის ცდილობდა, მამაზე უხეიროდ არ ეფიქრა, საზოგადოდ სულ არ ეფიქრა მამაზე, მხოლოდ მძინარე მამა. ჰგავდა დილის

მთვარეს, რომელიც ცაზე. შესაბრალისი სანახავია დღისით.

სოლომონს, რომელსაც მხოლოდ განთიადზე-ღა ჩასძინებოდა, იქნებ კიდევ გაგრძელებოდა ძილი, მაგრამ ოთახში ლევანის შესვლა მის სმენას მიწვდა და თუმცა არ გამოღვიძებია, მაგრამ სიმშვიდე წაერთვა და ბურანში ჩავარდნილმა იწყო ბორგვა:

„ღმერთო, ღმერთო" — ითხოვდა იგი — „ჭქენი სიზმარი ყოველივე ის სისაძაგლე, რაც მე წუხელის გადამხდა" — სოლომონს გამოეღვიძა.

მამის ოთახიდან მალე მოისმა სიმღერა. ლევანი მიახლოვდა. სიმღერა იყო უთავბოლო და დრო გამოშვებით, ის ემსგავსებოდა ღმუილს, რაიც შეჰფერის თავის თავთან ჩხუბში გამართულ ადამიანს, რომელიც მღერის, რათა არ იყვიროს. ლევანი შეყოყმანდა: სიმღერის გამო, მამისადმი იბადებოდა სძაგელი ეჭვი: „ნეტავ, ნილაბი ხომ არ იყო ასეთი სათნოების გამომეტყველება მამის სახეზე, მაშინ როდესაც, ბუნება მისი არ იყო სათნო და თვინიერი!? ან იქნებ მართლა იყო სათნო, მხოლოდ ახალმა ვითარებამ აჭრია და დაამახინჯა!!?" აქ საჭირო იყო თვალების დახუჭვა და ლევანმა სთქვა:

— მშობლების განსჯა შვილს არ შეჰფერის! —

ვინ იცის, იყო ეს სწორი თუ არა, მხოლოდ ასეთი რამ რომ მოიფიქრა, ლევანს ძალიან გაეხარდა. მამა არ უნახავს, ისე წავიდა.

37

სოლომონმა არც იცოდა თუ მღეროდა, ან თუ რაიმე ხმებს გამოსცემდა. შემთხვევით სარკის წინაშე შესდგა და დაუწყო ცქერა. სარკიდან უსიცოცხლო თვალებით შემოსცქეროდა მას სრულიად მოხუცი ადამიანი, რომელიც მას სურდა ყოფილიყო უკეთესი ვიდრე იყო. მოხუც ადამიანს, ლოყაზე აჩნდა დარტყმული. სოლომონი შემობრუნდა. მას ეცვა შავ[illegible]ლათი, რომელიც დ[illegible]ულ ადგილას სოლომონს, ერთგან მოუჩანდა კისერი, შემდეგ თეთრი პერანგი.

მთელი დღე ოთახში დაჰყო სოლომონმა. მოვიდა ბიცოლა ნინო და როდესაც ბუხარი დაანთო, სთქვა: — ლევანი გაანთავისუფლეს.

— გიშველა ღმერთმა, დაგლოცა ღმერთმა — ამბობდა სოლომონი, ის იჯდა ფანჯარასთან, მის წინ, ბაღში, წამოვიდა თოვლი, რომელიც იყო წვრილი და ჰგავდა სეტყვას.

„როდესაც ტანჯვა მოდის, არ უნდა გაინძრე, რადგან ის გაივლის თავისით, ვით სეტყვა! ბედნიერება მაშინ იქნებოდა ამ ქვეყნად, რომ ადამიანს არ უხდებოდეს ბოროტი საქმეების კეთება" — ამას ფიქრობდა სოლომონი, რომელსაც ბუნების სანახაობათა გამო, თუმცა სუსტად, მაგრამ მაინც უბრუნდებოდა სიმხნევე და სიხარულის უნარი.

მოფრინდნენ ბაღში ბეღურები და იმ ადგილას, სადაც მანანა მათ უყრიდა საკენკს, დაიწყეს სეტყვაში ბანაობა. ჰშლიდნენ ფრთებს, ჰღელავდნენ და სოლომონს მოჰგვარეს ღიმილი, როდესაც ჩამობნელდა და დღე მიიწურა, დაიწყო ნამდვილი თოვა, ფართე და უხვი, რასაც გარემო შეეგება ხმა გაკმედილი.

სოლომონმა პალტო ჩაიცვა და სახლიდან გავიდა, თოვდა. თოვლი მოდიოდა ახლოდან, რადგან ცა ჩამოსულიყო დაბლა. სოლომონმა ხიდი გაიარა და მას მოეჩვენა, თითქოს ზღვიდან (რომელიც აგრეთვე გაყუჩებულიყო) ჩამავალ მზის სხივებმა, ერთი მყისით გაანათეს ქვეყანა, რომელსაც ათოვდა და გაჰქრენ.

— რა მშვენიერებაა! — გონებაში სთქვა სოლომონმა, რომელსაც მართლა სჯეროდა, რომ ეს ასე მოხდა — სწორედ ღირს ადამიანმა იცხოვრო მარტო იმისათვის, რომ ასეთი რამ ნახო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოლომონი გავიდა ხის სახერხ ქარხნების უბანში და მდინარის ამაღლებულ ჯებირზე იწყო სიარული; ის ხან ტყეს გასცქეროდა ერთ ადგილას შემდგარი, ხან ჩქარი ნაბიჯით იწყებდა სიარულს. თუმცა ყოველივე იყო სულერთი, რადგან გარეგ სულიერი არ სჩანდა ვინმეს რომ დაეძრახა. ველური იხვები გადაფრინდნენ; მიფრინავდნენ დაბლა და წამით, ცაზედ ასტეხეს შხუილი და სტვენა. მოხუცმა მათ თვალი გააყოლა. თუმცა მის ცნობიერებას ველური იხვები არ შეჰხებიან.

უცნაურია, უწინ რომ გაიფიქრებდა, მას ძლიერ სიამოვნებდა ის, რაზედაც ჰფიქრობდა, ეხლა უმადური გრძნობებით:

— ჰო, რა თქმა უნდა, ეს თოვლი, ისეთივე ადამიანებისაგან შესდგება როგორც ჩვენ და ოდესმე, ჩვენც ასე ვეწვევით დედამიწას... —

მდინარიდან ლაპარაკი მოისმა. ესენი იყვნენ მონადირენი, ტბაზე სანადიროდ რომ მისცურავდნენ, თან ისე მშვიდობიანად საუბრობდნენ, თითქოს არასოდეს, არაფერი ამაღელვებელი არ მომხდარიყო ამ ქვეყნად.

ეს იყო საკვირველი, აგრეთვე საწყენი, რადგან მათ დაარღვიეს დუმილი!

„დუმილი აღსავსე მშვენიერებით ვით ყოველი უცნაურება. აღსავსე იდუმალებით ვით დიდი მუსიკა. დუმილი ეს უკანასკნელი სიტყვა ყოველივე ხილულისა და უხილავის, დასწყევლოს. ღმერთმა!"

სოლომონმა გაჯავრებით გაიღელა პალტო და ხალათი, რათა თოვლი ჩასვლოდა კისერში.

შუაღამისას, იგი დაბრუნდა სახლში და თავის ოთახში შეავიდა ხველებით.

38

მეორე დღეს სოლომონი ლოგინიდან არ ამდგარა. ის იყო დასუსტებული, გამოიყურებოდა შემკრთალი და აშკარად გაურბოდა მნახველთა თვალებში ცქერას. ხმას არ იღებდა, მუდარით ითხოვდა. რათა არ მოეყვანათ. შუადღისით, როდესაც თოვდა და ჩამობნელდა, მან შენიშნა, რომ ეხლა ყველაფერი შეიქნა უცნაური და ამიტომ ღამდება ადრე.

სოლომონმა ჩასთვლიმა. მაგრამ ისევ ჰბორგავდა და ამბობდა საყვედურით: „დიდი არაფერი იქნებოდა, რათა ყოველივე ის, რაც დედაკაცის გამო შეემთხვა, ყოფილიყო სიზმარი, რადგან ადამიანს გაცილებით ამაზე უარესი და საძაგელი რამ შემთხვევია, მაგრამ აღმოჩენილა სიზმარი..." — სოლომონმა თვალი გაახილა და ამოიოხრა.

ბუხარში ტკარცალით იწვოდა დიდი კუნძი. ერთგული ბიცოლა ნინო ბუხართან იჯდა და წინდას ჰქსოვდა. სოლომონმა ისევ მილულა თვალები. ძილში იგი სწუხდა და წუხილის გამო იღვიძებდა, რათა მეორე წუთშივე თვლემა მორეოდა. სოლომონმა შეშფოთებით გამოიღვიძა და მანანა მოიკითხა: — მომგვარეთ მანანა! —

ბიცოლამ მანანა შემოიყვანა. მამამ მანანას ხელზე ხელი მოჰკიდა:

— მანანა ხარ! — რაღაც მწუხარებით იკითხა და გაიღიმა. გარეშეებმა შენიშნეს, რომ ეს მწუხარება იყო ძილიდან გამოყოლილი.

მართლაც, სიზმრებმა სოლომონი დასჯაბნეს:

„ამას წინად, იგი ვით ნახევრად ველური ადამიანი (სიზმარში რა თქმა უნდა!) სცხოვრობდა ძველთა-ძველ დროს. უღრან ტყეში, თუმცა კარგად იცოდა, რომ ამავე დროს იყო სოლომონ ფერეული. მზე ჩადიოდა და სოლომონმა დაიწყო ვედრება უფალთა-უფლის არალესი, რომელიც ჰბუდობდა დასავლეთით და ყოველდღე ჰყლაპავდა მზეს. ამ დროს ყველაფერი სწუხდა, სულიერი და უსულო" სწუხდა სოლომონიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არალე მზეს მუდამ ანთავისუფლებდა. მაგრამ მაინც საჭირო იყო ლოცვა. რადგან უთუოდ ამ ლოცვის გამო თავისუფლდებოდა მზე.

რა ვედრებას მორჩა. სოლომონი გაემართა მახლობელ ხისაკენ. სადაც ეგულვებოდა თაფლი. ავიდა ხეზე და თაფლით გაერთო. მოვიდა მანანა. მანანამ ზარებით სთქვა: მამას რომ ჰხედავს თაფლის მჭამელს. ასე ჰგონია, თვით მას ტანზე რაღაც სცხია და აწუხებს!..

მამას სიცილი არ ჰქონდა დასრულებული, როდესაც მოულოდნელად გამოტყვრა რომაელი მეომარი და მანანა გაიტაცა. მანანა ჰკიოდა. მამა მისაშველებლად დაედევნა და მეორე მეომარმა შუბი ჰკრა მკერდში. მამა წაიქცა.

ახლოს იყო მდინარე. დაფარული უხვი მცენარეებით. რასაც კიდევ ეფინებოდა მზე. მეორე ნაპირზე. ცხენებს აბანავებდნენ რომაელები. რომელთაც ჩვენში. შურის ძიების გამო ველურებს უწოდებდნენ. რადგან ისინი იყვნენ გამარჯვებულნი და ქვეყანა ჰქონდათ დაპყრობილი! თან. მათ შორის იყვნენ მეომრები ველურ ურდოებიდან.

სოლომონს ესმოდა ცხენების ჭიხვინი და გაქცეულ ცხენებს დადევნებულთა ყიჟინი: აგრეთვე ბავშვებიც გაჰკიოდნენ ცხენთა სახოტბაო სიმღერას: — ვარაიადა ვარადა! —

ჰკიოდა მანანა.

მაშინ. სულთმობრძავმა სოლომონმა განრისხებით დააფურთხა იმ მხარეს, სადაც ეგულვებოდა უფალთა-უფალი არალე! არალეს შეაფურთხა! არალეს უწოდა ბოროტი. რათა იგი განრისხებულიყო და ქვეყნისათვის. ამის მეტად მზე არ გამოეგზავნა!" —

რამდენიმე დღე იწვა სოლომონი. შემდეგ მოვიდა მკურნალი. სოლომონს სიცხე ჰქონდა. თავბრუ ესხმოდა და სასო წარუკვეთა ავადმყოფობისა. ურმა. რაიც გამუდმებით ედგა ყურში. მას მოესმა. რომ დერეფანში მოდიოდნენ. თან ჯანმრთელი ხმებით ლაპარაკობდნენ. ოთახში შემოვიდნენ ჩუმად. შემოსულთა შორის იყო სოლომონის ძველთა-ძველი მეგობარი, მკურნალი ძია ალექსი. ერთმანეთისათვის მათ ბევრი არაფერი უთქვამთ. ურთერთს თვალებში ჩაჰხედეს. გაულიმეს. ძია ალექსიმ ხელებიც გადააქნ-გადმოაქნია და სოლომონმა მას ნატვრით ჰკითხა:

— ნეტავი მალე?...

სოლომონის წუთები დათვლილი იყო. შუალამით. მან განისვენა ყოველგვარ საქმეთაგან. ყოველგვარ საზრუნავთაგან.

39

1924 წლის აგვისტოს მიწურულში, ერთობ საქართველო რუსეთის წინააღმდეგ აჯანყდა. აჯანყება ჩააქრეს. მრავალი დაიხოცა. ჩვენი ტუსაღები: თომა ფერეული. მოხუცი ბიძია ივანე და მისი დიშვილი გოგია კოკოსაძე, რომელნიც ჯერ კიდევ ტფილისში მძევლებად იყვნენ. პირველად დაიხვრიტნენ.

დაიხვრიტა აგრეთვე მერაბი, რომელმაც იარაღი გაიტაცა და აჯანყებულთ შეუერთდა. დაბვრიტეს ვიკტორი.

კოტე ფერეული, რომელიც აჯანყებულთა ერთ რაზმს მეთაურობდა. დამარცხების შემდგომ. თავისი რაზმით ოსმალეთში გადავიდა. რათა უცხოეთში გახიზნულიყო.

დანარჩენნი უვნებლად გადარჩნენ.

შუა ზამთარი იდგა. როდესაც ტფილისის სადგურზე. მატარებლის მოლოდინში ბაქანზე იცდიდნენ ანიკო ბად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიძის ასული ფერეულისა. ლევან ფერეული და მანანა: მატარებლით უნდა ჩამოსულიყო ვანო უთნელიძე, რომელიც ამდენ ხანს სამურზაყანოში იმალებოდა; იგი ჩაირიცხებოდა სამხატვრო აკადემიაში, თან განზრახვა ჰქონდა, დაქორწინებულიყო.

ანიკოსა და ლევანს ჯვარი დაეწერათ.

გამოჩნდა მატარებელი. ვანოს თავ-ჯარა გაელო და თმა გაჯეჯილი იყო, თითქოს გადმოხტომას აპირებდა. მომლოდინენი დაიძრენ. მანანა თავდაფარწყეებით გაეშურა და ლევანმა თავის მეუღლეს უთხრა: — ორივე ბავშვია!... —

ანიკო და ლევანი მიიჩქაროდნენ და ერთი მეორეს ულიმოდნენ.

ქ. სოშო.
1938.

სტეფანე კასრაძემ თავისი რომანის — „თარი-არალეს" მეორე ნაწილის წიგნად გამოცემა ვეღარ მოასწრო (იგი ტრაგიკულად დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში, 1943 წელს). მაგრამ, საბედნიეროდ, „თარი-არალეს" მეორე ნაწილი დარჩენილი ხელნაწერების მიხედვით დაბეჭდილი აღმოჩნდა ჟურნალ „ქართველი ერის" ფურცლებზე (ბერლინი, 1944, № 6/7, № 8/9) ვიქტორ ნოზაძის მიერ. „მნათობის" მკითხველს „თარი-არალეს" დასასრულს ვთავაზობთ სწორედ ამ პუბლიკაციის მიხედვით.

გურამ შარაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ შალამბერიძე

შენ იმ ყაჩაღებს არ მოუკლავხარ

მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე...
ტიციან ტაბიძე

არა, ტიციან, მეტადრე ახლა,
ამის მიხვედრას რად უნდა სიბრძნე:
შენ იმ ყაჩაღებს არ მოუკლავხარ,
ბლაჭიაშვილს რომ ძმად დაეფიცნენ.

სხვა ჯურის იყვნენ ის ყაჩაღები,
ვინც შენს სიცოცხლეს გადაეღობნენ:
დაუკითხავად კარს რომ აღებენ
და შიშის ზარი ახლავთ მეხოტბედ...

ვის არ უნახავთ სწორედ ისინი —
ხაკის ხალათით და გალიფეთი?!.
მათგან აქამდის რომ მოსისინებს
ტანჯვის უკვდავი მაგალითები...

პასუხიც იმათ მოვკითხოთ ახლა,
განხვნეს მათთვისაც კარი სამართლის!
შენ იმ ყაჩაღებს არ მოუკლავხარ,
კლდე-ღრეებში რომ უყვართ ნავარდი...

გარიგება

ქვეყნად ბევრი მხარე ვიცი, —
ყველა ჯურის ხალხს რომ ჰგუობს.
ჯადო-სიტყვაც არ გჭირდება —
ეზო-კარი გამოსტყუო...

შენ კი სულ სხვა გარიგებით
გაქვს სიმტკიცე ბალავრისი:
თუ ქართველის არ იქნები,
არ იქნები არავისი!..

ბევრი ვიცი ქვეყნად ნერგი,
ვარგობს — საცა გინდა დარგე!
შენს მუხას კი ერთი ზნე სჭირს —
მარტო ქართლის წვიმა არგებს!..

ხალხიც ბევრი ვიცი ქვეყნად —
საცა გინდა, იქ იცხოვრებს!

შენ კი, ძარღვში თუ არა გრძნობ
საქართველოს მზის სიცხოველეს,

აღარაფრად გიღირს ყოფნა,
თუნდ ედემი ირგვლივ გერტყას:
იწანწალებ ერთხანს ობლად,
გიმეგზურებს ფიქრიც ერთხანს...

მერე, მწირი, წვეროსანი,
ვერც მოასწრებ გაცებას —
ჩამორჩენილ წეროსავით
სადღაც სული ამოგძერება...

მაშ, ირწმუნე ეგ ღვთიური
გარიგება მარადისი:
შენც ან ქართლის უნდა იყო,
ანდა კიდევ... არავისი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი მონოლოგი

მეოცე კოსტავას ხსოვნას

შენ მაპატიე, მამულო ჩემო,
ვერ ავიცილე ბედი მუხთალი.
გადავიხადე თუმც ბრძოლა ბევრი,
მთავარი დამრჩა გადაუხდელი.
შენ მაპატიე, ხორცშეუსხმელო
ნატვრა-ოცნებავ, — შეგრჩი ლანდიღა...
მაგრამ ჩემთანვე როდი გმარხავენ, —
იმ ჩემს თანამდგომ ძმებში ანთიხარ.
თქვენ მაპატიეთ, ჰოი, ივერნო,
ვერ ვუწინამძღვრე საქმეს ბოლომდი.
თუმცა ეს მოხდა ჩემს უნებურად,
აკი სულ საფრთხის ქინით
ვცხოვრობდი?!
შენ მაპატიე, ირაკლი, შვილო,
წუთით არ ვმჯადრვარ თითქოს
ჩეროში, —
ისე მოგიველ, ვერ გავასრულე
ვალდებულება საქართველოსი.
და შენ, ერთგულო თანამოსაგრევ,
მზვაობარ ქართველს გთხოვ პატიებას,
რომ შუა გზაზე დაგტოვე მარტო
და ჭირს სხვა ჭირი ფესვით მიება...
ფარეხს რო მგელი ააწიოკებს —
ჩვენს ძმობას ქარი დაეცა ავი
და მეჩვენები: სადღაც, მინდორზე
რქამოტეხილი ხარივით ბღავი...
მაგრამ მიმყვება რწმენა უცილო,
რომ არ ჩამითვლი სიკვდილს ღალატად.
ნანატრი მეკვლის ისმის ფეხის ხმა,
სახლში იმედმა შემოანათა!..
განბანილია სული დევნილი
თავისუფლების ბროლის წყაროთი!
ჩანს: მარტო ბრძოლა არ მისწავლია,
თურმე სიკვდილსაც ბრძოლით
ვსწავლობდი!..
დაე, შეიგნონ უგლიმ-უგრძნობთა,
სულ სხვანი რო ვართ, სულ სხვა
დღე როა
და რომ ნამდვილი ქართველის გულში
თითო ნამდვილი საქართველოა!..
შენ მაპატიე, ცაო, მაღალო,
ნუ გეგონება, — თითქოს შემოგვწვდი...
მიტომ ავმაღლდი, — უკანასკნელად
რომ დამეხედა საქართველოსთვის!..

კატათაგვობანა

რაც დღეს — ღიმილი,
    რაც დღეს — სიამე,
ის ხვალ — ტკივილი...
    ის ხვალ — სიავე...

რაც დღეს — თანხმობა
    და გაცინება,
ხვალ — უარყოფა...
    ხვალ — გაწბილება...

რაც დღეს — სიმაღლე
    ხვამლად ხმობილი,
ხვალ — დაპყრობილი...
    ხვალ — დამხობილი...

მას იქით — რაე?
    იქით — რაიღა? —
ცა ლამის ამის
    ფიქრით გაირღვა...

მაშინ — პირიქით,
    მძლეთა მძლეო,
    მაშინ — პირიქით! —
თითქოს ეპოვნოს
    გზადაკარგულს
    მთაში ბილიკი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუნებისათვის ქართველი კაცის

ხან მწარე ცრემლი შიგ სულში აწვიმს,
ხან კი, — იცოცხლე, — უზის არესი!
დაჩაგრულია ქართველი კაცი,
მხოლოდ იმიტომ, — მისი არ ესმით.

სხვის მწუხრში თავის განთიადს
გასცვლის,
კმაყოფილდება ჩიტის ალერსით...
მაგრამ ცოდვაა ქართველი კაცი,
მხოლოდ იმიტომ, — მისი არ ესმით.

ვარდთან თუ ხარობს ძირმწარე ანწლი,
არ ეკადრება ზიზღი არეს მით:
უბედურია ქართველი კაცი,
მხოლოდ იმიტომ, — მისი არ ესმით.

ქართველო კაცო, ბედისწერაში
ლომის არჩევი კიდევაც გშვენის:
შენ ყველაფერი გესმის ყველასი,
მიტომ არავის არ ესმის შენი!..

საქართველოს, მუხად ჩათქმულს

ალბათ, ბედისწერის მიერ
ჩათქმული ხარ, ქართლო, მუხად.
ყველა მეხი შენ გეცემა,
თვით კი ჯერ არ ჩამუხლულხარ.

მაგრამ მეხი რაკი-ღა გმტრობს,
ჩათქმული ხარ რაკი მუხად,
იამაყე! — მეხთან მბრძოლის
უფრორე შურთ, ვიდრე უყვართ!..

იამაყე, მუხავ, ჩემო,
შენს სიმართლეს ბრმაც კი ხედავს:
როდის — არა, მაგრამ ბედმა
ახლა რჯულზე გაგიმეტა.

როდის — არა, მაგრამ ახლა,
აშკარაა — გიჭირს უფრო:
მომრავლებულ მუმლისაგან
ლამის სული შეგეხუთოს.

და მაინც ხამს, მაგ ძარღვებში
წინაპრების ძალას გრძნობდე;
რა ჯურის მტერს არ შეჰყრიხარ,
ამგვარ ზნისას — არასოდეს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი გიგაური

ეძებე, აშენე, ილოცე...

...ის იყო დიდი განძის მძებნელი,
იპოვა კიდეც,
ჭკუა მოიხმო, —
შენც იქ ეძებე,
სადაც შეგფერის,
სადაც ფუძე და კერა მოითხოვს.

აგიზიდია,
კვლავაც ააგე,
ქართულ დარბაზში გაიმასპინძლე,
როგორც შეშვენის მამაც არაგველს,
ალალ ალგეთელს,
პურად ასპინძელს.

სახლი,
წისქვილი,
ციხე,
ტაძარი
უნდა ხარობდეს შენი სახელით,
შენეული და შენი რაც არის
იყოს წმინდა და დაუძრახველი.

მომავალს ნულარ დაუსვამ წერტილს,
სანუკვარ წარსულს ნუ გადათელავ,
რომ ელვარებდეს მამულის სვეტი,
რომ თავს ქართველი გრძნობდეს
ქართველად...

მზე — მთვარე ფართო მკერდს გახატია,
მამა-პაპათა სიქველე გშვენის,
ილოცე, სადაც შენი ხატია,
აშენე, სადაც ფუძეა შენი.

ტაძარში

ავედრებს მამულს მსახური უფლის
ღმერთს,
ანგელოზებს,
ჯვრებსა და ხატებს,
შრება გველების დაღვრილი კუპრი,
ქრება ქარების ნაქსოვი ბადე.

უწმინდეს ტაძარს მიაწყდა მრევლი,
ერის ღაღადი ზეცამდე ადის,
ხევში ქვითინებს
სანთლების ელვით
დამარცხებული უდაბნოს ხვატი.

ქვემეხთა გრიალს
ახშობენ ზარნი,
სამრეკლო სხივებს აბამს თოკებად,
მომხდურს
ათრთოლებს,
აშინებს,
ზარავს
ქართული სულის არდაოკება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ რომ აქ იყო

შენ რომ აქ იყო,
სხივების ელვა
ცას ჩამოხსნიდა ღრუბლის ნაფლეთებს,
მეც მივუშვებდი უბელო მერანს
არწივისა და ორბის საფრენზე.

შენ რომ აქ იყო,
ღამე უძილო
არ დადნებოდა სევდის სტრიქონად,
არ დათვრებოდა გული უღვინოდ,
ის შენზე ფიქრმა გადაიყოლა.

შენ რომ აქ იყო,
ქროლვა ზღვაურის
ვერ შემირყევდა სულის სიმშვიდეს,
ვერ დამჯაბნიდა ზვირთთა ხმაური
და ამღერებას ვერ დამიშლიდნენ.

შენ რომ აქ იყო,
ღამე ვერანი,
დღე — უღიმღამო არ იქნებოდა,
არ დაშრებოდა ჩემი მელანი,
არც სიხარული ჩამიქრებოდა.

თუ მიერთგულებ

ლექსი მწამდა და დავგეშე შენზე,
როცა გიწამე,
გალაღდა რითმა,
სევდის მოთოკვა მე შენით შევძელ,
გულში ნადები მე შენით მითქვამს.

სიამის წყარო დავლიე შენით,
ვკრიფე პირიმზე არაგვის პირას,
სიზმრის ახდენას კვლავ შენით ველი.
ამის გარეშე აბა მე ვინ ვარ..

თუ მიერთგულებ,
მივაღწევ მიზანს,
მთას გადავივლი,
თუ დამავალებ,
მომდევს სინათლე იმავე მზისა,
შენ რომ აჩუქე ჰიმღის წავარნებს.

ყვავილებს ბლოსას ვამღერებ შენზე
და დეკით მორთულ როშკის სანახებს,
მათ სულში წვდომა მე შენით შევძელ,
მათი სიმაღლე შენ დამანახვე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამარ გოთუა, ალექსანდრე გოთუა

თავგადასავალი ლევან გოთუასი

ჩემო კარგებო!

1/1—50 წ.

გილოცავთ ახალ წელს, ესეც 1950 წელი, XX საუკუნის შუა წელი.

დიდი და საინტერესო თარიღია.

ყოველ მხრივ სანიშნო და საჯვარედინო მიჯნა!

საერთო თვალსაზრისითაც და კერძო პირადული საზომითაც. პირადათ ჩემთვის კი მით უფრო, რადგან მე ხომ თითქმის „კბილა" ვარ ჩვენი საუკუნისა. მე და XX საუკუნე ხომ თითქმის ტოლები ვართ. მხოლოდ ხუთი წლითაა იგი ჩემზე უფროსი. სხვა პირობებში იქნებ ჩემთვისაც ეს 1950 წელი შუა გზა ყოფილიყო (როგორც ჩემი საუკუნისათვის), მაგრამ ახლა ჩვენ (მე და საუკუნე) ოდნავ სხვადასხვა პირობებში ვხვდებით ამ თარიღს და მაინც ვხვდებით! ეს არის მთავარი.

დედამიწის ყოველ კუთხეში ალბათ ბევრი ღვინო და მელანი „დაიღვრება" ამ თარიღის აღსანიშნავად. ბევრი ოცნება და იმედი იშვება, ბევრი მოგონება და სევდა იღვიძებს. ბევრი ურთიერთ მოლოცვანი და სურვილები დაირხევა სუფრებზე, თუ მათ გარეშე. ჰოდა, მე მინდა რომ მანდ მიგულოთ. ყველგან მიგულოთ! მანდ კავკასიონის თქვენ მხარეს! მიუხედავად საოცარი სიშორისა, ათას მავთულებითა და სხვა დაბრკოლებათა მიუხედავად.

რაა სიშორე, თუ „გული გულობს", გულს თავისი სხვა გეოგრაფია აქვს... აქ, ხშირად, მანძილი გულწრფელობაში გადადის, ხოლო ახალი დაბრკოლებანი — ცხოვრების გამძაფრებულ წყურვილში!

ამ საუკუნის შუა წელს დედა-მიწის ჩრდილოლერძთან „გადავალაჯე" ბორკილებისა და ქარბუქების ნარევ ხმაში. ვერ გავარჩიე მისი სახე, არ ვიცი იგი წელმოწყვეტილი გველია, თუ ბედითი მექანი... მაგრამ რადგან წელზე მივეჭიდე, გადავწყვიტე ბოლომდე მივყვე!

საოცარია ადამიანი, მით უფრო საოცარია პატიმარი ადამიანი! იგი უფლებრივ სხვაობის გარდა, ფსიქოლოგიის სხვაობასაც ჭარბათ შეიცავს. ამ მხრივ მისი სამყარო ისევე უძიერია, ვით უსაზღვროა სამყარო თავისუფლებისა, მაგრამ აქ... წერტილი დავსვათ. მაშ, გისურვებთ ბედნიერ ახალ წელს თვითეულს და ერთობლივ, ნათესავებს და მეგობრებს, შინაურებსა და მეზობლებს.

მიღებული მაქვს წერილები და ამანათი სწორედ ახალწლის წინა ღამეს — რამაც ფრიად გაგვახარა. აქაურმა „ჩრდილო-ქართველებმა" „ქართული პურმარილით" გავითენეთ ახალი წელი (თუმცა აქ ახლა მეტად გვიან თენდება, ხოლო სამ საათზე უკვე ღამეა).

თქვენი წერილებიდან და შეკითხვებიდან ვგრძნობ, რომ ჩემი წერილები კვლავ ველარ აღწევს თქვენამდე, სავალალოა, მაგრამ რას იზამ, ამ სიგრძე მანძილზე წერილის დაკარგვა რა გასაკვირია!

მე კარგად ვარ, მართლა კარგად. ზამთარს მივეჩვიე ისე, რომ დღეს 5ვ° ყინვა იყო, მაგრამ ჩემზე მაინცდამაინც არაფერი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ამ ბოლო დროს მეტად ბევრს ვწერ და წერით გატაცებულიც კი ვარ, მაგრამ მტრისას თუ ჩამჭვრიტეს. ყველაფერს წამართმევენ, ამიტომ პერიოდულად შიშს დიდი თვალები აქვს. ბანდეროლით გამომიგზავნეთ თუ იშოვნება „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომატია ტ-II" ს. ყუბანეიშვილის (პირველი მაქვს) ტრ. ხუნდაძის ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია.

---

1. გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მნათობი". № 7.

მომწერეთ დაწვრილებით თქვენი ამბავი.

სიყვარულით მოკითხვა დედას და ყველას ვისაც ვახსოვარ.

გკოცნით ყველას თქვენი შორეული ძმა ლევანი.

ჩემო კარგებო!

8/II—50 წ.

თქვენი გამოგზავნილი წერილები დღეს მივიღე, ერთად დაგროვილი, აგრეთვე მიღებული მაქვს ფული, ყველა ბანდეროლები და ამანათები. ამიტომ ამჯერად ფოსტას ვერ დავემდურები. თქვენსკენ უფრო იკარგება წერილ-უსტარი. ჯანმრთელობის მხრივ კარგად ვარ. მთავარია რომ შრომის უნარი და სურვილი კვლავ მეწვია და რაც უმთავრესია — ოდნავი პირობებიც კარგად მოეწყო. ამიტომ არავითარი სურვილი სადმე სხვაგან გადანაცვლებისა არა მაქვს, ჯერჯერობით ასე სჯობია. აქ შეძლებისდაგვარი ფორმა ცხოვრებისა გამოვნახე, ხოლო ეტაპებში ხეტიალი და ყველაფრის თავიდან დაწყება არაფრად სახარბიელო პერსპექტივაა. მით უფრო, არსებით განსხვავებას მაინც ვერ მივაღწევ.

თუ გაზაფხულზე ხელი არ შემეშალა და სხვაგან არ გამაგზავნეს (ამის შემთხვევები არის), საკმაოდ ბევრი დამჭირდება რვეულები. ასე რომ ნურავის ნუ ანუხებთ და ჩემს თავს ნუ აგონებთ, არც მაგის დროა და არც რეალური შესაძლებლობა. (არაფერი არ გამოვა, ვინ არის ჩვენი გამგონი და დამხმარე).

ვნანობ, რომ ჩემი უსტარი № 5 დაიკარგა, იქ, სხვათაშორის, წიგნების სიას გწერდით, აუცილებლად საჭირო წიგნებისა.

— გუგულის გადაეცით. რომ მინდოდა როგორმე მაგისთვის ხელი შემეწყო, არც დამიზარებია, ვაგლახ, რომ ვგონებ, მხოლოდ შევაფერხე!? ახლა თავად იცის. ნუგეშად ისღა მრჩება: მისი ბალეტის ლიბრეტოს ვინაობა „ლიტ-გაზეთში" ამოვიკითხე. ვიცი რა მათი ტაქტი და მხატვრული გემოვნება, ჩემი ნაღვაწი მიმინდია და ყველაფრისათვის წარმატება მისურვებია!

თუ საჭიროა „სამ პატარძალსაც" უაქიმოთ, თუნდაც გაათხოვონ, დანარჩენს კი ხელი უშვან. (მაგ. მეფე ერეკლე, დავით აღმაშენებელი, უძლეველი,

მანდ ჩემს ნაწერებში ნახეთ:

№ 1 სიბრძნე-სიკვდილისა — მოთხრობა.

№ 2 ლურსმული ლექსი

№ 3 აქოჩრილი ვარსკვლავი, ფრაგმენტი ისტორიული რომანიდან.

№ 4 კუდალა ზაქი " "

№ 5 ულვაშის ჩრდილი (გაგრძელება) —

მე სულ ვაგრძელებ და ვაგრძელებ თუ დამცალდა კიდევ მოვიქნევ ლიტერატურულ კუდს და თუ არა და ეს ფრაგმენტები მაინც დარჩეს, როგორც ჩემი „ფეიერი ლამეებისა" თუ „შავი დღეების" თანხმარი. კოლიბაევ დიდი ხარვეზის შემდეგ მიიღო წერილებიც და ამანათებიც. დედა მისმა ერთი ნყვილი წინდა მეც მომიქსოვა, ეს უკვე მეორე ნყვილია მის მიერ გამოგზავნილი. დიდი მადლობა შეუთვალეთ მედიკოს პირით, ტანისამოსიდან არაფერი არ მჭირდება. მრავალ ნანახი და ნაცადი ალპიური კოსტიუმი, ჯერ კიდევ მემსახურება. ტყავის მოკლე ქურქიც მაქვს, ისიც მანდაური. ასე რომ იოლად მივალთ. საკოხტაოდ კი არ მცალია, ან ვინ გვაძლევს ამის უფლებას. გამომიგზავნეთ პირსახოცი და ფუნჯი (პირის საპარსავი), აგრეთვე ჩაი, დანარჩენი თქვენ უკეთ იცით.

მოკითხვა ნათესავებს და ნაცნობ-მოკეთეებს.

სოფელში როგორ არიან. კიკასი აღარაფერი არ გამორკვეულა დამატებით? ვკოცნი დევიკოს, დედას მოუარეთ.

აბა კარგად და კარგად იყავით.

გკოცნით, თქვენი ლევანი.

ჩემო კარგებო!

11/III—50 წ.

დღეს გადმომცეს თინას წერილი, ცოტა დაგვიანებით, მაგრამ ეს გასაგებია, მთავარია, რომ არ იკარგება. ალბათ ახლა უკვე მიღებული გექნებათ ჩემი წერილი. ყოველ შემთხვევაში მოკლედ ვიმეორებ: მიღებული მაქვს ყველაფერი, გარდა ფულისა 100 მანეთი, ესეც მე დამიდასტურეს მიღებაზე, მეორე დღეს, თითქოს უკვე დაგვიანებული იყო უკან გამოუგზავნიათ, ნურც შეგაწუხებთ ეს გარემოება და ნურც დაჰკარგავთ მას. მისამართი იგივეა, ესაა მე — უნებური მოკალმე გამომიჩნდა. არავითარი დამატებითი სახელი არ უნდა.

მოუთმენლად ველი რვეულებს და წიგნებს. განსაკუთრებით აკადემ. ნ. ბერძენიშვილის მასალები XVI-XVII საუკუნის ისტორიდან. (კახეთის შესახებ ალექსანდრე მეფის ირგვლივ). ჩემ წიგნებში იყო უბრალო, უყდო გამოცემა აკადემიის, ძალიან მჭირდება, ეს ღა მიფერხებს მუშაობას.

ისტორიული რომანის თავები — ფრაგმენტები ბლომად დამიგროვდა (ჯერ ველი პასუხს, ჩემს წერილზე 8/11 თარიღია) და თუ რაიმე შემთხვევითმა გარემოებამ ხელი არ შემიშალა, დროს არაფრად დაკარგულად აღარ ჩავთვლი.

სულიერად და ხორციელად გაცილებით უკეთ ვარ. ჯანმრთელობის ერთხელ კიდევ გამოსწორება უდიდესი რამ არის, რა თქმა უნდა ისევ და ისევ საქართველოს მადლითა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მანდაური დახმარებით. თქვენი მუდამ და მუდამ მადლიერი ვარ, მაგრამ მეტის მეტს ნუ გააკეთებთ. თქვენ თავსაც მოუარეთ.

ისე გავერთე ძველი ისტორიით, რომ ხვალინდელ დღეზე არც ვფიქრობ. არც ვაგონებ თავს არავის, ამის დრო არც არის და ვის მოვაგონო? თვითონ ჩვენ მთავრობაში და შინსახკომშიც კარგად იციან ჩემი ნამდვილი ამბავი და რა გამოვიდა. ჩემი ცხოვრება ისევ ისე მავთულხლართებში მიიკეცა. უცვლელად უღიმღამოდ. სიცივეებს მივეჩვიე, ქარბუქს კარგად ვუძლებ, ჰო და მეტი რაღა მინდა მოთმინება, მოთმინება და რვეულები.

მოკითხვა ყველას.

თქვენ შეკითხვებზე მე პასუხი უკვე წინა წერილით გაგეცით. თუ თქვენამდე არ მოვიდა, ისევ მოგწერთ.

ამ ბანაკში ქართველებმა პატარა სათბური გავაკეთეთ. ასე რომ გამომიგზავნეთ თესლები: პამიდორის, კიტრის, ქინძის, წიწაკის, ყველაფერი ძალიან ცოტ-ცოტა. წარწერები რუსულად გააკეთეთ. ამის გამოგზავნა შეიძლება ამანათით. რვეულები ამანათში არ ჩადოთ, არ მომცემენ. არც წიგნები. ცალკე ბანდეროლით, როგორც ყოველთვის. ოჰ! რომ იცოდეთ, როგორ მომენატრეთ სუყველა. ჩემი სამშობლო თბილისი. დრო მიიზლაზნება, მაგრამ მე იმედს არ ვკარგავ, უსათუოდ აღმა დატრიალდება ჩემი ბედის ბორბალი. ჩემს კისერზე იმდენი ორომტრიალი ამოგორდა და გადაიყარა, რომ მჯერა ცისარტყელაც დამხედავს.

შორეთიდან ჩრდილოეთის ძმა.

გკოცნით ლევანი.

ჩემო კარგებო!

22/IV—50 წ.

ცოტაოდენ მე თვითონ შემაგვიანდა მოწერა. ახლა კი ყველაფერს ერთად ვწერ.

ყველაფერი მიღებული მაქვს უკლებლივ, წერილები, ბანდეროლები, ამანათები, საკვირველად წესიერად. მივიღე აგრეთვე წიგნები და რვეულები. ბევრი ვიცინე, ასეთი ყდიანი დიდი ზომის რვეულები აქ სრულიად გამოუსადეგარია. მომავალში გაითვალისწინეთ, რომ გამომიგზავნოთ სულ უბრალო ცალხაზიანი მოწაფის რვეულები, რომ დავკეცო ხოლმე, წინდაში ჩაეტიოს დასამალავად.

ეჰ! აქ ბანაკია და ვიდრე „კარიბჭემდე" მივაღწევთ, ათი მავთული და თვალი უნდა გავიაროთ. მიუხედავად ყველაფრისა, კარგად და ნაყოფიერად ვმუშაობ. ფრაგმენტულად პირველი წიგნი ისტორიული რომანისა, უკვე მზათა მაქვს, მაქვს აგრეთვე დაწერილი მეორე და მესამე წიგნის თავების ფრაგმენტები. საჭირო წიგნებისა და მასალის უქონლობა საშუალებას არ მაძლევს შევკრიბო და მთლიანად რედაქცია მივცე. მე გწერდით, რომ აკად. ბერძენიშვილი [illegible] წიგნებში მოგენახათ. თქვენ ყოველთვის ზოგადათ იწერებით ხოლმე, თუ წაღებულია ჩემი წიგნები? ამიტომ უფრო დაწვრილებით მომწერეთ ყველაფერი.

მე კარგად, ჯანმრთელად ვარ და თუ ასე გაგრძელდა, კიდევ ბლომად მოვასწრებ დაწერას, მე თუ წერა ვერ შევძელი, ისე არც ჯანმრთელობა მინდა და არც სიცოცხლე. უბედურება ისაა, რომ ჩემზე უკეთ არავინ იცის რამდენად ხელს ვაკლებ რომანს უმასალობის გამო.

აქეთ ხელახლა თოვლია. სადღაც მავთულს იქით გაზაფხული მოცოცავს — თუ არ გაიხლართა.

ღამ-ღამობით „ჩრდილოეთის ცისკარი" «Северное сияние» გვინათებს, ასე რომ ჩვენც ვცოცხლობთ!

ამ წერილს დაგვიანებით ვაგზავნი. ისეთი ყინვა შემოიპარა ისევ, რომ შუშებია ისე გაძგიფილი, სინათლეს ძლივს უშვებს, სამაგიეროდ ღამის 3 საათზე უკვე სინათლეა. ერთი სიტყვით ყველაფერი უკუღმაა ამ დაწყევლილ უკუღმართ ადგილზე.

ყველას მოკითხვა და კეთილი სურვილები.

გკოცნით ლევანი.

26/V—50 წ.

ჩემო კარგებო!

ჩემი წერილი № 4 (22/III) პასუხი ჯერ არ მიმიღია, მაგრამ მიღებული მაქვს ფული, ამანათები, როგორც წიგნები, ასევე სურსათი და თქვენი ყველას წერილები. მივიღე წიგნები ჯავახიშვილის ისტორია და მასალები ბერძენიშვილის. ამ უკანასკნელმა განსაკუთრებით გამახარა, თორემ პირდაპირ ხელ-ფეხ შეკრული ვიყავი. ასეთ პირობებში და გარემოში ჩემს მწერლობას ხომ მადლი არა აქვს, მაგრამ სულ უწიგნოდ ყოფნა აღარაფერს ჰგავდა, ერთი სიტყვით ახლა ჩემს ისტორიულ რომანს თავიდან და უკვე უფრო დალაგებულად მოვყვები. როგორც უკვე გწერდით 20 ფორმამდე უკვე დაწერილი მაქვს. მართალია ფრაგმენტულად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ და ალბათ ხელმოკლებითაც, მაგრამ ჩემს პირობებში ესეც სასწაულია, დიახ — სასწაული!

წინა წერილში გწერდით და თუ ნაპოვნი გაქვთ (ჩემს წიგნებს შორის იყო) გამომიგზავნეთ:

1. Белокуров. Сношение России с Кавказом.
2. Веселовский.
3. ვახუშტი „აღწერა სამეფოსა საქართველოსი".
4. Полиевктов.
5. ქიზიყურ სიტყვათა ლექსიკონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე კარგად ვარ, გამძლეთ — მუქ შერეულ ხესავით. შევეგუე თანდათანობით აქაურ ბუნებას. თუმცა აშკარად რომ ვთქვათ, აქ ბუნება არც არის — აქ მხოლოდ გეოგრაფიაა! ისიც მავთულებით საბოლოოდ გაფუჭებული... გაზაფხულის შორეული ყნოსვა ჩვენამდეც აღწევს უკვე, მართალია ხშირად თოვს ხოლმე — მაგრამ უმალვე დნება, ზამთრის თოვლის ქვეშიდან ახლა ჩამპალი ტუნდრა ამოძვრა. მდინარე ჯერ გაყინულია. სამაგიეროდ ჭაობებში ჩაგუბდა წყალი. თეთრი ღამეები კარგა ხანია წამოგვეწყო.

უცნაურ დროში ვართ — ღამის ბინდიც დავკარგეთ და დღის მზეც ჯერ ვერ მოგვნევია, ხოლო ჩრდილო ქარი რომ წამოუბერავს, ისევ შუა ზამთარში გადაგვტყორცნის ხოლმე.

ცხოვრების პირობები ჩვენთან — უცვლელია, ისიც მიხარია, რომ თქვენთან უმჯობესდება მაინც.

აბა ზაფხულის გატარებას კარგად გისურვებთ.

ვინ, სად და როგორ აპირებთ.

ლექსი თუ მიიღეთ, შემატყობინეთ.

აბა კარგად და კარგად.

გკოცნით ლევანი.

ჩემო კარგებო!

14/VI—50 წ. 5/VII

პირველყოვლისა ყველა წიგნები და გაზეთები მიღებული მაქვს. ფულიცა და ამანათებიც, რის შესახებ გწერდით.

ვპასუხობ თქვენს წერილზე: მე მაინტერესებს — საქართველოს უფრო ზუსტად კახეთის ისტორიის მასალებით XVI-XVII საუკუნე. თუ კი რამე ახალია, ამ დარგში ყველაფერი გამომიგზავნეთ, მანდ რომ ვიყავი — ვაგროვებდი მასალებს, მაგრამ არ დაცალდა, ახლა მეხსიერებითა და „ღარიბულად" ვმუშაობ... ესეც თუ დამცალდა! მოკლედ ჩემი ლიტერატურული მუშაობა სულ „დაცდაზე და მოსწრებაზე" არის დამოკიდებული. ამიტომ ვჩქარობდი მუდამ. ახლაც ასეა. წიგნებზე უკვე გწერდით. ბელოკუროვის წიგნის არ ქონება მიფერხებს პირველი წიგნის დამთავრებას. ამ ზაფხულში, ყოველშემთხვევაში, მოვითავებდი. ზაფხულს — თქვენებურ საზომით ვვარაუდობ, თორემ აქ ჯერ კვირტებიც არ გვინახავს!

წავიკითხე გაზეთში საბა-სულხანის ლექსიკონი გამოსულა, ჩემი საყვარელი წიგნია და ნუ მომაკლებთ. მოუთმენლად ველი ვახუშტის „გეოგრაფიას", აქ ყოველი ქართული წიგნი... ქართულ მიწის ნაჭერია და უფრო მეტიც — ქართული სულის ნაჭერი. მანდ რომ ვყოფილიყავი, ჩემ მიერ „აღსაწერ" ადგილებს თავად ვეწვეოდი, „თვალითა და ხელითა" გავსინჯავდი, ახლა კი ზოგი მეხსიერებას და ზოგი „ვახუშტის [illegible] დავემყარო.

ვმუშაობ თხუნელასავით თვალებდახუჭული, არც სუნს და არც სმენას ყურადღებას არ ვაქცევ, მე ჩემს საქმეს ვაკეთებ, თუ მოვაბი თავი, ხომ კარგი, თუ არა და მე ჩემს ცდას არ დავაკლებ. პირველ წიგნის გამოგზავნა ცოტახანს კიდევ გადავდე, ისტორიული მასალის მიღების შემდგომ მრავალი შესწორების საშუალება მომეცემა. თქვენი წყალობით სურსათი და ფული მყოფნის და თუ ფოსტამ განაგრძო ასე ჩესიერად მუშაობა, სჩანს ჩემს ბედს „ძაღლი არ დაჰყეფს".

თუ კახეთზე რამე გამოვა ახალი — კვლავ გამომიგზავნეთ. ამის შესახებ მერმე უფრო დაწვრილებით მოგწერთ. მე ვფიქრობ კიდევ მოვესწრებით ოჯახის მთლიანობას. სულ ასე ხომ არ იქნება ყოველივე, ეს შეუძლებელია. უსათუოდ ახლო მომავალში გასკდება ყველაფერი. ახლა აქ მოთბა, ქურქი და თანსათბური გავიხადე, დიდი მადლობა თესლებისათვის. ჩვენ პატარა სათბურში ვნახოთ რას იზამს ქართული „ქინძი, პრასა, წიწმატი", ესოდენ შორს იქითა ჩრდილოეთში!

ლიტერატურულ, ენათმეცნიერულ და სხვა დისპუტებს ყურადღებით და სიამოვნებით ვეცნობი. მართალია დაგვიანებით და ხარვეზებით, მაგრამ მაინც...

განსაკუთრებით გამაკვირვა და მასიამოვნა „გაპოლიტიკოსებულ და გაკლასობრივებულ" ნაწილის დასამარებამ და დამარილებამ! ეს ამბავი ძალიან საგულისხმოა და ნიშანდობლივი — მარი კი არა, მავრი გამოვიდა!

საბრალო მეგობრის გარდაცვალება წავიკითხე გაზეთში. საერთოდ მაგეთს ამ „ჩრდილიან გვერდში" სავალალოდ მრავალ ნაცნობთ ვხვდები ხოლმე. მივიგლოვ მათ შორიდან — მარტოხელად თავშეუხსენებლივ, რამეთუ აქედან საიქიოც უკეთ ჩანს.

სანამ ეს წერილი მიდგებ-მოდგება, დამჭირდება უბრალო რვეულები „მონაფური", გამომიგზავნეთ ძველი მისამართით. ბევრი არა, ჩამომართმევენ, ათიოდე.

ვცხოვრობ ძველებურად. ჩემს ცხოვრებაში ამ ხნის განმავლობაში არავითარი არსებითი ცვლილება არ მომხდარა და იმედი მაქვს, ასე მყარად ვიქნები კარგა ხანს.

სულ ჩემზე ვსაუბრობ. აბა ეხლა თქვენს შესახებ ვისაუბროთ: ჯერ ერთი მოკითხვა ყველას, ასე ჩამოუთვლელად და უსახელდობრივოდ. არა იმიტომ, რომ არ მახსოვან, არამედ იმიტომ რომ კარგად მახსოვან.

დედა როგორ არის? მოუარეთ კარგად!

აბა, გისურვებთ კარგ ზაფხულს, უკეთეს შემოდგომას.

9/V გაზეთში შევხვდი ჩვენი თამარის დასა-

ხელებას, სამამულო ომში მონაწილეობასთან დაკავშირებით, გამეხარდა, მაგრამ კიდევ ერთხელ ვინანე, რომ მან ჯერ ვერ გამოაქვეყნა იქაური ამბები.

კოცნა, მოკითხვა და კარგი სურვილები ყველას.

ლევანი

23/VIII—50 წ.

ჩემო კარგებო!

ვადასტურებ კვლავ ამანათებისა და ბანდეროლების მიღებას. ასე რომ ფოსტა დიდებულად მუშაობს.

წიგნების ამანათიც მიღებული მაქვს.

ერთი ას მანეთიანი უკან გამოუბრუნებიათ, ვინაიდან სახელი და მამის სახელი ყოფილა შენაცვლებული. ასე, რომ ეს გარემოება ნუ შეგაწუხებთ. იყავით დაკვირვებული. თამარ, არც ჩუსტები და არც ტუფლები არ მინდა. საგარეოდ არც ერთი გამომადგება, არც მეორე. საერთოდ ტანისამოსეული არაფერი არ მინდა, რაც პატიმარს შეესაბამება ის მაქვს, დანარჩენი კი აქ საჭირო არ არის, ვინ ჩაგვაცმევს, წაგვართმევენ, ჩვენ, ხომ აქ ყველა „სიკეთესთან" ერთად გამასხარავებული და გაჩანჩურებული პატიმრები ვართ. ჯანმრთელობით და საერთოდ კარგად ვარ იმიტომ, რომ ბევრს და ნაყოფიერად ვმუშაობ, თქვენ მხოლოდ რვეულები მომაშველეთ, რვეულები.

რა უბედურება მჭირს, ამ პატიმრობაში რა „მასალაზე" არ მომიხდა წერა: ფურცლებზე... ძველ გაზეთებზე... ფიცარზე, მიწაზე, ქვიჩაზე. ხარის ტყავი აქ არ არის, ხოლო ჩემს ტყავზე შესაძლოა მომიხდეს თუ კი შემრჩა ღა...! ასე, რომ რვეულები უბრალო ხაზიანი მომაშველეთ. XX საუკუნე პირველ ყოველისა ქაღალდის საუკუნეც არის და ჩემი „ვიშ-ვიშიც". ამ პრობლემის ირგვლივ პირდაპირ პარადოქსია.

...და ოდესმე ჩემი „შავების" მოგროვება, რომ მოვახერხოთ ერთ სასახლეს ალბათ ავაშენებდი ამ „მასალიდან".

ყველა თარიღები შევამოწმე და გამოირკვა, რომ მარტო ფოსტას ჩემს წინაშე არავითარი დავალიანება არ აქვს. წერილები ყველანი გაცემული აღმოჩნდნენ. ვფიქრობ მარტო იქ არის ამჟამად კეთილშობილი ხალხი.

ტყემლის ბოთლები კი საუბედუროდ ყველანი გაჩეხილი აღმოჩნდნენ. ჩანს სიცივეს ვერ უძლებენ. არც ცენზორმა დააკლო ხელი ჩრდილოეთში! ნარჩენი, ნამტვრევებში მაინც ყველას ძალიან გვეგემრიელა.

მამის გამოცემული გაზეთები მალულად უმჯობესია რომელიმე მუზეუმში გადასცეთ, მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო — თუ დაიკარგა გული დამწყდება, ნუ დაკარგავთ.

ლიტერატურულ, ენათმეცნიერულ და სხვა დისკუსიებს შეძლებისდაგვარად, გაზეთებიდან თვალს ვადევნებ, მაგრამ კომენტარებისგან თავს ვიკავებ.

„საჩვენებლად" მე ველარაფერს ვერ დავწერ, გულუბრყვილობაა, მაგრამ არაფერზე აღარ ვფიქრობ. ამჟამად გულისყურით შემოვიფარგლე ისტორიული რომანით. პირველი ტომი დაწერილი მაქვს, სამი კიდევ დასაწერია და თუ ეს მე აქ შევძელი, ჩემი „თავისუფლებაც" იქნება.

გაზეთს (ქართულს) ყურადღებით ვკითხულობ, ბევრს საამოსა და უამოს ვხვდები შიგ.

აბა, იყავით კარგათ, ჯანმრთელად უკლებლივ.

მოკითხვა ყველას, ყველას, ყველას.

თქვენი ლევანი.

23/IX—50 წ.

ჩემო კარგებო!

ბოლოს მომეცა საშუალება, წერილისა და წიგნის (ხელნაწერის) გამოგზავნისა. ამის გამომტანი ახალგაზრდა ინჟინერი აქ მუშაობდა, იყო პრაქტიკაზე, ასე რომ აქაური ცხოვრების ამბები კარგად იცის.

დანარჩენს თვითონ გიამბობთ.

ამანათები ყველა მიღებული მაქვს და წერილები. გუშინ გადმომეცეს ფული ასი მანეთი.

ბანდეროლები კარგა ხანია არ მიმიღია, ეს ალბათ ზაფხულის ბრალია — ეს არაფერია. მხოლოდ — ვახუშტის „გეოგრაფიის" გამოგზავნა მეტად შეგვიანდა. ხოლო მე მეტის გადადება აღარ შემეძლო. ასე, რომ „ხელნაწერს" ამ მხრივაც შეუსწორებელს ვაგზავნი. ეჰ რას იზამ, მარტო ეგ რომ იყოს კიდევ არაფერია...

ახლა უშუალოდ ისევ ხელნაწერის შესახებ.

საუბედუროდ ხელი სულ უფრო და უფრო გამიფუჭდა, მით უფრო სიჩქარეში და საერთოდ საოცარ „ობიექტურ პირობებში". რვეულ-ქაღალდები და კალმები მძიმე საშოვნელი და სხვადასხვა ყაიდისა მქონდა. ამ მხრივ ჩემი ხელთნაწერი „ბოშურ საბანსა" ჰგავს. შავები რომ ნახოთ ხომ სულ გაოცდებით, ისეთი „შავებია", რომ ალბათ მეც ველარ გავარკვევ. ამიტომ ამ გამოგზავნილ ცალს გაუფრთხილდით, იგი თითქმის ერთადერთია.

გადაწერის არც დრო მქონდა და არც საშუალება, არც ქაღალდი, წინ კი კიდევ სამი წიგნია დასაწერი.

ჰოჰო! — რამდენი სამუშაოა!?

ვგონებ მეტად გვიან, მეტად შორს, მეტად უცნაურ პირობებში, მეტად გრძელი ამბავი წამოვიწყე, მაგრამ მე მხოლოდ ის მაცოცხლებს და მასულდგმულებს, მაშ ასე „ისტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიული რომანის“ პირველი წიგნი გათავებულია და საქართველოში მოდის. მართალია, თუ მეღირსა კიდევ მრავლად დასჭირდება შევსებანი. თუ არ დამცალდა, მე მაინც ვფიქრობ, ამ ნაწარმოებს ამ სახითაც აქვს თავისი მნიშვნელობა და იქნებ მხატვრული ღირებულებაც.

თუ ეს ზამთარიც მშვიდობით გავიტანე — იმედი მაქვს ზამთრის ბოლოს — მეორე წიგნიც მექნება. ჰოი რამდენი თუ... მჭირს?! ახლა თქვენ გთხოვთ შემდეგს: რვეულები რვეულები ერთხაზიანი, უამრავი მჭირდება. აქ რომ არ მეხმარებოდნენ, ალბათ ჩემს ტყავზე მომიწევდა წერა, ამჟამად ესღა გამაჩნია.

გამომიგზავნეთ წიგნები.

Белокуров. Сношение России с Кавказом.

აკადემიის წიგნსაცავში არის, მე იქედან მქონდა წამოღებული. გამოართვით ჩვენი ოჯახის მეგობრებს. მაგალითად სოლიკო ხუციშვილს, ლონგო სუმბაძეს. თუ აუცილებელი იქნება ვისარგებლებ და უკან გამოვგზავნი. ეს წიგნი უშუალოდ ჩემს თემას ეხება! — ხევსურეთზე და ჯავახეთზე რომ გამომიგზავნოთ „ეტნოგრაფიული ნარკვევი“ მათ მაგალითზე ერთ პიესას მაინც დავწერდი, თუმცა მასალები დაკარგული მაქვს, მაგრამ მახსოვს. მეხსიერება ჯერჯერობით კიდევ იქნევს კუდს, თუმცა ესეც ალბათ გამეპარება ხელიდან ერთად უსაზღვროდ ბევრი აქაური საზრუნავისა და პირობების გამო. ამიტომ ვჩქარობ. საინგილოს შესახებ, რაც იშოვნოთ, აგრეთვე გამომიგზავნეთ. არის ზაქარია ედილის წიგნი.

„დასტურ ლამალი“ თუ გამოვიდა ცალკე წიგნად ვ. გაბაშვილის, ისეც მჭირდება.

საერთოდ, რაც ეხება საქართველოს ისტორიის XVI-XVII საუკუნეს, ყველაფერი მაინტერესებს, ზეპირსიტყვაობაც. დანარჩენი თქვენ იცით, წინადაც გწერდით და გამოგზავნილით დიდად მასიამოვნეთ. ახლა თვით ამ „გმირთა ვარამის“ პირველი წიგნის შესახებ: ჯერ ერთი საბეჭდი მანქანა თუ სახლშია? და მზიას თუ აქვს ბეჭდვის საშუალება, ტექნიკა და სურვილი? თუ ეს შესაძლებელია სამ ცალად გაამრავლეთ, გადაბეჭდეთ მხოლოდ ცალ გვერდზე, ან სხვა კარგ და მოკლე ენიან მემანქანეს თუ იშოვნით, ჩინებული საქმე იქნება.

ერთი სიტყვით, თუ ეს ძნელია, მაშინ დადეთ ასევე და იყოს ხელმიუკარებელი. ნურც ეტყვით ვინმეს და ნურც მისცემთ ჩემი ნებართვის გარეშე, ხოლო თუ მოახერხოთ გადაბეჭდვა — ერთი ცალი ჩემთვის გაამზადეთ და როდესაც შემოგითვლით, მაშინვე მომაწოდეთ, დამჭირდება შემდეგ [illegible] თვის.

ცუდ მემანქანეს არ მისცეთ, ცუდი ჩემი ხელიც მეყოფა!

ჯანმრთელობის მხრივ არა მიშავს რა.. ვნახოთ ზამთარი რას მიზამს, ისევე ცინგის ნიშნები შემომეპარა. გამომიგზავნეთ გლუკოზის ამპულები, ასკორბინის სიმჟავესთან ერთად.

სხვა მხრივ არა მიშავს რა, ვმუშაობ ბევრს და მეტად ნაყოფიერად (როგორც ჰხედავთ) რაოდენობის მხრივ მაინც.

გამომიგზავნეთ კბილის ჯაგრისი, პასტა და ჩაი, სია ამანათში რუსულად დაწერეთ.

მოკითხვა ყველას.

ვკოცნი დედას, დევიკოს და ყველას თქვენ.

აბა, მოუთმენლად ველი პასუხს. „გმირთა ვარამის““ მიღება დამიდასტურეთ.

დანარჩენს ალბათ დანვრილებით მომტანი მეტყვის.

თქვენი ძმა ლევანი.

28/XI—50 წ.

ჩემო კარგებო!

ჩვენი მიმოწერა ოდნავ შეფერხდა.

თქვენგან კარგა ხანია წერილები არ მიმიღია, მიღებული მაქვს ამანათები, რომელშიაც გურული ხაპერა იყო, რამაც ფრიად გაგვახარა ყველა. ასევე მიღებული მაქვს ფული (ასი მანეთი) ტკბილისა და ხილის ამანათი და სხვა.

წიგნების ამანათმა ძალზე გამახარა.

მე კარგად ვარ, საკმარისად ჯანმრთელად კარგად არის კოლია მღებრიშვილიც, ზურაბი მიქელაძე, დავით კვიტაიშვილიც და სხვებიც. მხოლოდ საავადმყოფოში წევს ვალერიან ჭუმპურიძე, ვგონებ გულის ასტმა უნდა ჰქონდეს, ამ გარემოებამ ფრიად შეგვაღონა სუყველა, მაგრამ მაინც იმედი გვაქვს კარგად იქნება. გაუძღებს აქაურობას და ჩვენთან ერთად სამშობლოში დაბრუნდება. თუ მიიღეთ ჩემი უსტარი, გამოგზავნილი 25/IX. აბა ასე, ნუ შეგეშინდებათ, ასეთი მოვლენა ხშირად ხდება ამ ზამთრის პირობებში. მე სულ ძველებურად ვცხოვრობ, ვმუშაობ, ვადას ვღრღნი, მივეჩვიე მავთულსაც და ყინვასაც.

ახლა უცბად მომინდა, რომ მოვხვდე მანდ, გულით შევიგრძნო ქართული მზე, ხალხი, ჩემი სამშობლოს ყოველი კუნჭული. მივეგებო მას. მივეხმარო, მივწვდე სულში და გულში, მივესიყვარულო. ოცნებამ ისევ ფრთები გაშალა. მე სულ ვკეცავ და ვკეცავ ამ ოცნების ფრთებს, რომელიც ხშირად მაგიჟებს კიდეც.

უკანასკნელი გაზეთებიდან, რომელიც მე

ხელში ჩამივარდა, გავიგე უშბა-შხელდას ტრავერსის შესრულების შესახებ, მეტად მიამა, ვაშა მათ!!

ხელახლა განვიცადე ალიოშას საოცარი ცხოვრების ზრახვანი და ტრაღიკული დასასრული.

რაც უფრო ვცილდები მისი დაღუპვის თარიღს, დრო ანვრილმანებს, ცხრილავს და უფრო ნათლივ აჩენს ალიოშას ჭეშმარიტად დიდბუნებოვან სახეს, ღვაწლსა და ძალას. მის სწორუპოვარ და სრულიად თავისებურ ხასიათს და საქართველოს მთამსვლელობაში ყველაზე უმაღლეს ბიოგრაფიას. მისი ცხოვრების თარიღები კავკასიონის მწვერვალებზეა გადათვლილი, გადაწერილი! და თუ პირველყოფილმა საქართველოს ამირანის დიდი ლეგენდა შექმნა, ჯერ თვალნახული თქმულება, ალიოშა ჯაფარიძის შესახებ იმავე სიცოცხლით, იმავ ჯაჭვში და იმავ კავკასიონზე იგზნო და გამოიჭედა.

ამ მხრივ ახალი თქმულება ძველი ლეგენდის თავისებურ, უახლეს და ცოცხალ ვარიანტად გვევლინება! ვაშა მათ! ვინც მისი ზვავგავლილი ძვალი ისევ გაწვრთნა და განაგრძო!

ყველას, ყველას მოკითხვა.

თქვენი ჩრდილოეთის ძმა ლევანი.

ლევანისგან ცნობის მიღების შემდეგ საკმარისად დიდმა დრომ გაიარა, ვარკუტიდან არავინ გამოჩნდა. ოჯახში ღელავდნენ. ახალგაზრდა კაცისა და ხელნაწერების გამოჩენის იმედიც დავკარგეთ. საშინლად ვწუხდით. რა მოხდა? რატომ ვერ მოვიდა? გავიდა კიდევ რამდენიმე თვე და როდესაც ყოველგვარი იმედი გადაწურული გვქონდა, ერთ საღამოს სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა ძალიან ახალგაზრდა, სიმპატიური კაცი. ის შემკრთალი და მოკრძალებული იყო. თავიდანვე გვთხოვა ვინაობა არ გვეკითხა.

— მართალია, მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი შეხვედრის ამბავს ვერავინ გაიგებს, — განაცხადა მან, — მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა. დღეს საქართველოში მძიმე ატმოსფეროა და ლევანისათვისაც და ჩემთვისაც ასე უკეთესი იქნებაო.

ლევანი ჯანმრთელად არის, ბრგე და ყოჩაღი ვაჟკაცია, დიდათ სწავლული და განათლებული, მეტად ობიექტური და პატიოსანი, მას ბანაკში დიდი ავტორიტეტი და ნდობა აქვს დამსახურებული, ამიტომ ყოველგვარ კონფლიქტებს პატიმართ შორის ის სწყვეტს, მას უჯერებენ.

ლევანმა გთხოვათ, ეს ხელნაწერი სახლში არ შეინახოთ, ისეთი წვალებით არის დაწერილი და გამოტანილი, რომ ერთი ფურცლის დაკარგვაც კი დიდი საცოდაობაა. ბანაკიდან ეს წიგნი ფურცელ-ფურცელ გამოიტანეს. ამ საქმეში ბევრი ქართველი მონაწილეობდა. თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, ცხრაკლიტულით ჩარაზული ბანაკის მაღალკედლიანი და მავთულხლართიანი „კარიბჭე" და სამწყებად, თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული მცველები. იქ ახლოს პატიმრის მისვლა აკრძალულია, გაუფრთხილებლად შეიძლება გესროლონ და იქვე გაგაგორონ, ამისთანა შემთხვევები ბევრია. შემომსვლელ-გასასვლელებს ჩხრეკენ და ამოწმებენ. ბანაკში შემოსვლის უფლება კი აქვთ ყოფილ პატიმრებს, ამჟამად ქალაქ ვორკუტის მკვიდრებს. ისინი ვადის დამთავრების შემდეგ სამშობლოში არ გაუშვეს და თავისუფალ გადასახლებაში, იქ სამუდამოდ დატოვეს. მათი უმრავლესობა ამ მაღაროში მუშაობს. მათთვის ისიც დიდი შეღავათია, რომ ბანაკიდან გასვლის შემდეგ მაინც სუნთქავენ თავისუფლად. ზოგს ოჯახიც კი ჩამოუვიდა.

ვერც კი დაიჯერებთ თუ რა საოცრად მძიმე პირობებშია დაწერილი ეს წიგნი. იგი დაიწერა მაღაროს მაღალი ძაბვის ქვესადგურში, რომელიც მიწაში ღრმათაა ჩათხრილი, იქ, სადაც უპაერობა, სიცივე, მანქანების გუგუნი და ხმაური მეფობს და თანაც შიშობ, არავინ გაიგოს, რომ წერ.

ერთხელ ლევანს ჰკითხეს — ასეთი პირობებში და ხმაურში როგორ მუშაობთო? მან თავისი ჩვეული ღიმილით უპასუხა: როცა მუშაობა გამიტაცებს, ყრუ და მუნჯი ვხდები, გარემოს მთლიანად ვკარგავ და მარტო ჩემი აზროვნება და მეხსიერება მერჩისო.

ლევანს იქ ხელნაწერებიც საიდუმლოდ აქვს დაცული. მხოლოდ ნაწერების ბანაკიდან გამოტანა ძალიან ძნელია და სახიფათოც. ჩემი თბილისში წამოსვლის დღე რომ გადაწყდა, ბანაკში მყოფი ქართველები აწრიალდნენ, საიდუმლოება გამანდეს. ჩემი თანხმობის შემდეგ, საქმეს შეუდგნენ.

აქვე მინდა გითხრათ, რომ ბანაკში ქართველებს ყველა აფასებს. თითქოს საგანგებოდ კარგი ხალხია შერჩეული, სწავლული, თავდაბალი. ისინი ძალიან მეგობრობენ და ერთ დიდ ოჯახად არიან, ერთმანეთს ეხმარებიან. მათ შორის ლევანი ყველაზე ძლიერი პიროვნებაა.

— ბანაკიდან როგორ გამოიტანეს ლევანის წიგნი? — შეაჩერა ახალგაზრდა თინამ. — ამ წიგნის გამოტანას თან სდევდა ბევრი დაბრკოლება, მაგრამ ჩვენ ყველაფერი დავძლიეთ, წიგნის საიდუმლოდ გამოტანისათვის ქართველებმა რამდენიმე გეგმა შეიმუშავეს. ყველაზე უფრო საიმედოთ და არა სახიფათოდ, ბანაკის ტერიტორიაზე დაყრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორების გამოყენება მიიჩნიეს. ბანაკის ტერიტორიაზე უამრავი მორი და ბოძი ყრია მაღაროს კედლის საყრდენისათვის. ზოგჯერ ეს მორები მაღაროს უფროსის ნებართვით ქალაქში მცხოვრებ თანამშრომლებზე იყიდება. როგორც საწვავი მასალა. მორების გამოყენების აზრი წამოაყენა ვალიკო ჭუმბურიძემ. ის ქალაქში ცხოვრობდა და სწორედ მან შესძლო უფროსისგან მორების შესყიდვის და გატანის ნებართვის მიღება. ამ იდეის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს დავით კვიტაიშვილმა, ნიკო მღებრიშვილმა, ვანო შევარდნაძემ, ზურაბ მიქელაძემ, შალვა ბალარჯიშვილმა, გოგრიჭიანმა და სხვებმა. საჭირო იყო მორების შერჩევა, მათი დამუშავება, გამოფუღუროება, შიგ ნაწერების ფურცელ-ფურცელ ჩადება, შემდგომ ისევ სათანადოდ დახურვა, გამაგრება, ტალახში კარგა ამოგანგვლა და ბანაკგარეთ გამოტანა, ეს ყოველივე დიდი სიფრთხილით, შეუმჩნევლად უნდა გაკეთებულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველასათვის მძიმე შედეგს გამოიღებდა, იმდენად მძიმეს, რომ საბოლოო სასჯელს ვერავინ ვეღარ საზღვრავდა.

ბანაკში ბლომად ირევა ეგრეთწოდებული „სტუკაჩები", ეს ყველაზე საშიში, გაფუჭებული ხალხია, ვინ, სად და როდის გამოძვრება არავინ იცის, უდაოა, რომ რაიმე ეჭვის აღების შემთხვევაში კი უსათუოდ დაასმენენ.

შეირჩა მორები, მოგროვდა წინასწარ განზრახულ ადგილას, ვანო შევარდნაძის საწყობთან, დაიწყო მორების დამუშავება. ქართველები ჭუმბურიძეს ეხმარებოდნენ. ზოგი მორი ტყვილად გაიჩეხა, ზოგი კი ფურცლების ჩასადებად გამზადდა. საბედნიეროდ ამ საიდუმლოებაზე ეჭვი არავის არ მიუტანია. მერე კი დაიწყო მორების გაზიდვა — ლევანი შორიახლოს ამ ესტაფეტას ღელვით და გულის ძგერით თვალყურს ადევნებდა. ამ პირველმა საიდუმლო ოპერაციამ კარგად ჩაიარა, ყველა მორი ვალიკოს ეზოში შეგროვდა. ეს ესტაფეტა რამოდენიმე დღის შემდეგ კვლავ განმეორდა და მიუხედავად ზედამხედველობის შემოწმებისა დაუბრკოლებლად ჩატარდა. ასე რაშდენჯერმე, სანამ წიგნი არ დასრულდა. ვალიკოს არ უნდა დაეყოვნებინა და ცოტა ხანში წიგნი ჩემთვის უნდა გადმოეცა. ის ამისათვის ხელსაყრელ დროს ეძებდა. აქ კი დახეთ ახალ დაბრკოლებას, ვალიკოს ცოლი აუხირდა, ამდენი მორები რად გვინდა გავყიდოთო. მერე მეზობლებიც შეუჩნდნენ — დაჩეხვაში მოგეხმარებითო, ნაწილი მორებისა ჩვენც მოგვყიდეო. მოკლედ, ვალიკოს ძალიან გაუჭირდა. [illegible] მაინც ყველაფერს მოაბა [illegible] გნი თქვენთან არის, შეატყობინეთ, რომ მიიღეთ — ჩვენი პაროლია „სახლში კარგი მოსვალია".

ჩემს იქ ყოფნაში კიდევ ორ საინტერესო ამბავს შევესწარი, — განაგრძო მან! — მაღაროში საშინელი უბედურება დატრიალდა, გაზი აფეთქდა. ბევრი პატიმარი ადგილზე დაიწვა, ბევრი კი გაზით გაიგუდა, ლევანმაც მაშინ თავი ძლივს დააღწია იქედან, ცოცხალმკვდარი ამოვიდა და რამდენიმე პატიმარიც გადაარჩინა.

ერთხელ ლევანს ბანაკში შავად დაწერილი რამდენიმე რვეული მოპარეს. ის მეტად შეწუხდა. ქართველი მეგობრები იმწუთშივე დატრიალდნენ და ცოტახანში ქურდი აღმოაჩინეს, ის უბრალო რუსი კაცი აღმოჩნდა. ქურდი ლევანს მოჰგვარეს.

— რატომ გააკეთეთ ეს, — თავაზიანად შეეკითხა ლევანი ქურდს.

— მე ვიცოდი რომ თქვენ მწერალი ხართ და რატომღაც ვიფიქრე რუსულად სწერდით, კითხვა მომენატრა და ვიფიქრე რამეს წავიკითხავდი. ოხ, როგორ შევცდი, ეშმაკმა დასწყევლოს, იმიტომ გავბედე. ნაწერს რომ დავხედე, უკან მინდოდა მომეტანა.

ვინაიდან ეს კაცი ჯაშუში არ აღმოჩნდა და რაც მთავარია „კითხვა მონატრებია", ლევანმა მას რუსული გაზეთი აჩუქა და მადლობით გაისტუმრა. კითხვისათვის ქურდობა ცოდვათ არ ჩაეთვლებაო.

მე ალბათ ყველას შეფასება ერთნაირად არ შემიძლია, მაგრამ ვინც იქ შემხვდა, თვითეული თავისებურად ნათელი სულის ადამიანები არიან. ღმერთო, ხელი მოუმართე მათ.

ჩემო კარგებო!

ვსარგებლობ ამისთანა შემთხვევით და გწერთ ყველაფერს დაწვრილებით. ჯანმრთელობის მხრივ კარგად ვარ, მხნედ და ყოჩაღად. ვმუშაობ ჯერ კიდევ ახალგაზრდული შემართებით, თვითონ მიკვირს. ჩემს ბედზე ქვესადგურში სახიფათო შემთხვევა არც თუ ხშირია, ამიტომ წერის შესაძლებლობა და სურვილი გამიათკეცდა. მე და მანქანა ერთ რითმში ვმუშაობთ, ვგონებ ხელს ვუწყობთ ერთმანეთს.

ჩემი რომანის პირველი წიგნი გავათავე და ხომ ხედავთ გამოგიგზავნეთ კიდეც. სათაური შემთხვევით გამოინახა. ამხანაგებს წი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გნის შინაარსი დაწვრილებით მოვუყევი, ვერ წავუკითხე. ვინაიდან ხელწერა იმდენად გამიფუჭდა, ჩემ ნაწერს ვეღარც ვარჩევდი, მერე ნახევარზე მეტი თაგვებმა დაძიძგნეს და გამიფუჭეს, დამჭირდა ხელმეორედ დაწერა.

— ნახეთ რამდენი გმირები გყოლიათ კახეთშიო, მივმართე ჩრდილოეთის კახელებს. კახეთში, მართალია, ბევრი გმირები გვყავდა, მაგრამ მათ ბევრი ვარამიც გადაიტანესო, მიპასუხეს მათ.

— ეს რა თქვით კაცო! აღფრთოვანებით შევძახე მე. ძალიან მომეწონა მათი ნათქვამი. ბიჭებო თქვენ ჩემი წიგნის სათაურს მიმაგნებინეთო. — „გმირთა ვარამი". ეს ძალიან შეეფერება ჩემს წიგნს და ამიერიდან ჩემი რომანი გმირთა ვარამად იქნება წოდებული. თქვენ კი ამ წიგნის ნათლიები იქნებით. ამიტომ ჩემ წიგნში მათი დიდი ღვაწლიცაა.

სადღეისოდ ჩვენი ჩაბინდული ბარაკი თავისი უფროსებითა და დასჯის სახეებით საოცარი ნადირებით სავსე ბუნაგს უფრო ჰგავს, ვიდრე მეოცე საუკუნის პატიმრების ციხესამყოფელს, ჩვენ მონები ვართ, ყოველგვარ უფლებას მოკლებული.

აქ გამეფებულია არაადამიანური პირველყოფილი ყოველგვარი დუხჭირი, წამება და წვალება, მორალური თუ ფიზიკური განადგურება. ქრონიკული უჭმელობის, სიმჭლევის და აუტანელ ყოფის შედეგად, ბევრი ავადდება და იღუპება. თუ გადარჩა, ხეიბრდება. ვერ შრომობს, ეს კი აქაურ უფროსებს ხელს არ აძლევს. შემდგომში, საცოდავები, განწირულები ხდებიან, იქვე უმოწყალოდ ანადგურებენ და ოსტატურად აქრობენ ბანაკიდან. ბევრი ჩვენისთანა თავჩაქინდრული დაუღალავ, სახიფათო, მძიმე შრომას ეწევა და სიცოცხლის გადარჩენისათვის ყველაფერს იტანს, მაგრამ ამისთანა რკინის ორგანიზმი ბევრს აღარ აქვს, უმრავლესობას ჯანმრთელობა უცვდება, ნერვები ღალატობს, თვითმკვლელობამდე მიდის. ბევრს კი მთავრობისა და სამართლის მიმართ შურისძიების გრძნობა ასულდგმულებს. ჩემსავით მომავალს შესცქერის, მოკლედ, ბანაკში ჩვენ არ ვითვლებით ადამიანებად. ბარბაროსების ხელში ვართ. ვერც კი წარმომიდგენია საიდან მოდის ასეთი სისასტიკე და გესლი. მე მიკვირს, კაცს, რომელმაც რა არ გადავიტანე.

რა საშინელება არ მინახია ჩემს პატიმრულ ცხოვრებაში, მაგრამ აქ რომ ვნახე პირ-ამოკერილი კაცები, ამან მეც კი შემძრა. ეს საშინელი და შემზარავია. საწყლებმა პროტესტის მიზნით შიმშილობა გამოაცხადეს. ... თქვენ წარმოიდგინეთ რამდენად მძიმე პირობებში იყვნენ ჩავარდნილები, რომ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გადაწყვიტეს. ცდუნებას რომ არ აჰყოლიყვნენ და საკვებს ან სითხეს არ მიჰკარებოდნენ, ხუთმაგად დაგრეხილი კოჭის ძაფით პირები ამოიკერეს როგორც ტომარის პირს ამოკერავენ, აბა მათ ვინ გაუწევს თანაგრძნობას, საწყლებმა სიკვდილი გადაწყვიტეს.

ჩვენ ქართველებს, მე ვგონებ, სხვა ეროვნებებთან შედარებით უფრო დიდი შეგუების ძალა და უნარი შეგვწევს. ჩვენში მომავლის სულისკვეთების ზღურბლი უსასრულობამდე აღწევს. სიცოცხლეს მაგრად ვებღაუჭებით, იმედის უმნიშვნელო ნაპერწკალს მბჟუტავი სანთელივით უბეში მალულად ვინახავთ. ეს იმიტომ, რომ ჩვენ სამშობლო გვაქვს, ჩვენი მიწა, ჩვენი აკვანი. ეს ძლიერი გრძნობა კი ჰფარავს ყველა სიძნელეებს. ოჰ, რომ გვქონდეს მცირე შესაძლებლობა უსამართლობის წინააღმდეგ რა დიდ ცეცხლს ავანთებდით. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენ თავდავიწყებული აღფრთოვანების ხალხი უფრო ვართ, ვიდრე თავდავიწყებული სასოწარკვეთის. ეს ხასიათი აქ ჩვენ ბოლომდე უფრო უკეთ შემოვინახეთ, ვიდრე იქ თქვენ, ჩვენ ისტორიულ მიწაწყალზე.

გულგატეხილობაც ჩვენი ეროვნული ხასიათის ნიშანდობლივი თვისებაა. ამან მრავალჯერ გვისაშველა, მოგვაღწევინა მეოცე საუკუნემდე, თანამედროვე თვითშეგნების გამომწიფებამდე, პიროვნულ და ეროვნულ ოპტიმიზმამდე. საუბედუროდ ეკალ-მავთულის ხლართები ყოველთვის ყველაფერს აკავებდენ.

მერე ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ ბანაკში მკვლელები, ქურდები, თავზეხელაღებული ხალხი და ეგრეთწოდებული პოლიტპატიმარი, ერთად ვართ შეყრილები, ერთ ტაფაში ვიწვებით. კატორღელებიც აქ არიან. ვის არ შეხვდები აქ? საუბედუროდ ყველა უკვე ყოფილები ვართ, დაწყებული უბრალო კაციდან, რომელმაც წერა-კითხვაც არ იცის და, რაც მთავარია, არც ის იცის, ასე სასტიკად რატომ დასაჯეს, გათავებული სწავლული ხალხით, განათლებული ინტელიგენციით, ყოფილი ნარკომებით, აკადემიკოსებით, დიდი რანგის სამხედროებით და პოლიტმუშაკებით. საცოდავები არიან აგრეთვე სამამულო ომის მონაწილეები, ისინი გაიძახიან —

ჩვენ ომი მოვიგეთ, თავისუფლება დავიცავით, ამისათვის სისხლი დავღვარეთ, ეხლა კი არა ავტორიტეტულმა ხალხმა თავისუფლება დაგვაკარგვინა. რატომ?

ჩვენ კი უდანაშაულო პატიმრებს სხვა თვალი გვაქვს. ჩვენზე უარესი არაფერია, ჩვენ გაშიშვლებული გაცრუებული და დაკნინებული შინაგანი გუმანი და გუნება-განწყობილება გვაქვს და ამის საშველი კი ჯერ არსაიდან ჩანს.

ბანაკური დღეები ტუნდრის გაუთავებელ ღამეებს ჰგავს, კიდევ ერთი დღის მშვიდობიანად გათენება იმედიანად გვენიშნება — ღმერთო ნუ მოგვაკლებ ამას.

ბევრი სიმწარე მოგწერეთ, მე გული ამოვიოხე. თქვენ კი გული აგიჩუყეთ ალბათ, მაგრამ თქვენც და მეც უნდა გავმაგრდეთ, იმედით გავითენოთ მომავალი დღე და დრო. ჩემი საშველი არა თუ მარტო ჩემი თქვენიც და ყველა აქ მყოფის სანამ ეს მთავრობა ძალაშია, არაფერი არსაიდან არ მეგულება, მიუხედავად ამისა მომავალს მაინც იმედით შევცქერი. მთავარია მჯერა აქ ათასობით დამონებული ადამიანი საბოლოოდ მაინც იტყვის თავის ძლიერ სიტყვას. იქ კი როგორა ხართ და რას ფიქრობთ უკვე არ ვიცი.

სულ ბედნიერად იყავით. თავს მოუარეთ.

ჩემი გულითადი მოკითხვა და სიყვარული ყველას გადაეცით და ისიც უთხარით — კვლავ შეხვედრამდე მეგობრებო.

გკოცნით ლევანი.

ჩემო კარგებო!

1/I—51 წ.

ისევ და ისევ შორეთიდან გილოცავთ ახალ წელიწადს. ყველას გილოცავთ ნაცნობ-ნათესავთ, საერთოდ ყველას. დედაენიდან ბუნების კარამდე!

კაცობრიობის ისტორიაში ოცნებას უდიდესი დამსახურება მიუძღვის, ხოლო ყველაზე აღიარებული ოცნებისა და კეთილი სურვილების დღე ახალი წლის უხილავი მიჯნა გახლავთ, ამ დღეს ყველა ოცნებობს და ბედნიერია ზღაპრულ ნაცარქექიიდან — მიჯაჭვულ ამირანამდე, ყველა ცოცხალთა და მოაზროვნეთა ჩათვლით. მეოცნებე კაცი კი ყოველთვის უფრო გულკეთილი და ლმობიერია.

იქნებ ამიტომ არის, რომ ამ დღეს კაცობრიობის ისტორიაში თითქმის არცერთი დიდი ბოროტება არ დატრიალებულა. ეს დღე ყველაზე უფრო ჰუმანურია ჩვენ კალენდარში, ამ დღეს მოგილოცავთ სამშობლოს შვილებო. გისურვებთ ბედნიერებას და უსათუოდ თავისუფალი საქართველოს ბედნიერებას. ამაზე მეტი სურვილი მე არც ვიცი, არც ვიცნობ. და ახლა ხომ მით უფრო, — არ გამაჩნია.

უფრო მკაფიოდ, პირდაპირ — უთქვამს, ვთქვა, მე ბედი კი არ დამაკლდა, არამედ დამაკლდა საქართველო!

ჰოი, რამდენი ახალი წელი უცხოობაში მიდუხჭირია?!

...მაგრამ უკან არ ვიხედები.

არც ამ ჩემ ბოლო წლებს მოვხედავ ხოლმე. ისინიც დამხრჩვალ კატებივით ჰგვანან ერთმანეთს.

ისევ წინ, ამირანის ქედს იქით ვჭვრეტ გულმარაგიან თვალით...

ამით ვსულდგმულობ... თუმცა ვიცი, ბნელი თარიღები წინაც მგლებივით მიდარაჯებენ... და მიუხედავად ყველაფრისა, მე მაინც ვფიქრობ ჩემი ცხოვრების წლები მეყოფა — რომ ერთხელ კიდევ შემოვდგა ფეხი ვარდებისა და ვაზების ქვეყანაში!

მაშინ იქნება ჩემი ახალი წელიწადიც და ხელახალი დაბადებაც. ჯერ კი ჩემს გულში საკუთრივ ჩემი... ქართული სამყარო შემოვიფარგლე. „უბის საქართველო" შევთხზე და გავირინდე.

ნურვინ ფიქრობს — გარინდება მოჩლუნგებას ნიშნავდეს, ან დაჩლუნგება-დაგლახაკებას!?

საერთოდ, დინების მიყოლა ადვილი საქმეა, ეს „სიბრძნე" უთქმელმა მეტივემ იცის. ანკარა წყაროს მიგნება და დაცვა კი დიდ მისაღწიერად მიმაჩნია, მით უფრო, როცა ირგვლივ ყველაფერი ამღვრეულია.

აბა, თქვენი ამბები დაწვრილებით მომწერეთ.

ჩვენ მიწის შვილები ვართ და უპირველეს ყოვლისა აქა მშვიდობა გვასულდგმულებს და თუ ცის ქუდი „გაგვერღვა" და „შემოგვაცვდა", დედამიწის ქალამანი ჯერ ურყევად გვაქვს, გვინდა და დაგვრჩება კიდეც.

მეტად გამახარა თამარის მოკლე ბარათმა, თორემ უწერილობა მრავალმხრივ მაფიქრებდა. ჩემი უსტარ-ბარათები ყველა მიგიღიათ, ასე, რომ მარტო ფოსტა გვწყალობს.

თქვენი და თბილისის ამბები დაწვრილებით მომწერეთ. თქვენ თავს და დედას მოუარეთ, ნუ დაგლახავდებით და ყველაფერს იმედის თვალით შეხედეთ.

გკოცნით ყველას საერთოდ და დევის კერძოდ.

მისი საახალწლო სურათი გამომიგზავნეთ.

თქვენი შორეული ძმა ლევანი.

ჩემო კარგებო!

30/I—51 წ.

ჩემი საახალწლო ბარათი ალბათ მიღებული გექნებათ. მივიღე ორი ამანათი. ორივე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩინებულად მოვიდა და ფრიად მოგვედროულა. წიგნებმა და რვეულებმა ძლიერ გამახარა. ფული და გაზეთები ფოსტალიონის ავადობის გამო უკან გამოუგზავნიათ. აქ ჩრდილოეთში თითო-ოროლა სენი ყველასა გვაქვს, ან სურავანდი, ან ასტმა, ან სიყვითლე, ან კუჭის სნეულება და ათასი სხვა რამ. გულის მანკი ხომ აქაური სურდოა. აქაურ პირობებში კიდევ მე კარგათ ვართმევ თავს, ჩემზე ახალგაზრდები ბევრად უფრო მოიკოჭლებენ, მე კი ჯერჯერობით ძველი ჯან-ქონი მომდევს. თქვენგან მიღებულმა წამლებმა ხომ სულ ხელი მომიმართეს. ასე, რომ კვლავ ითქმის — ძველებურად ვცხოვრობთ. ძალიან გამალებით ვმუშაობ, თავისუფალ ერთ წუთს უქმად არ ვფლანგავ, სულ ვწერ და ვწერ. მე მეორე წიგნზე ვმუშაობ და თუ ბეჯითობა და გამძლეობანი არ ამიხირდნენ, იქნებ კიდევ ერთი ხურჯინი ავავსო. აქ არის ჩემთან ვახუშტი, ჯავახიშვილი,... ზურაბ, ბელოკუროვის მასალები... ცაგარელი, პირდაპირ დღეობაა. მიხარია და ვნანობ. ახლა უფრო ვნანობ, რომ ეს წიგნები თავიდან ხელში არ მქონდა, ეს ყოველივე, მაგრამ არა უშავს რა, თუ სხვაფრივ არ შემეშალა ხელი, კიდევ გამოვავსებ ხარვეზებს. აბა, რა ამბავია მანდ, საქართველოში, კერძოდ თბილისში. მე ყველაფერი მაინტერესებს, დაწვრილებით მომწერეთ ხოლმე, ჩვენ თაობებს საქმიანობა და საზრუნავი ხომ არასოდეს არ დაელევათ, მაგრამ ამ საუკუნეს ერგო უდიდესი სოციალური, ეროვნული და სულიერი მძიმე ძვრები და წინააღმდეგობანი. ჩვენ ახალგაზრდა თაობას სჭირდება არა მარტო მწიგნობრობა, ორატორობა და სპეციალური განათლება, არამედ საფუძვლიანი ესთეტიკური და ზნეობრივი აღზრდა-დადულება.

ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ სწავლასა და განათლებას, თანამედროვე მეცნიერების დონეზე დგომას არასდროს არ ჰქონია ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორც ამჟამად და არ ყოფილა ჩამორჩენა ასე ადვილი და ასე საბედისწერო, როგორც ახლაა.

ერთი თხოვნაც: მანდ მოიკითხეთ ახალი წამალი ბრონქიალური ასტმის საწინააღმდეგოდ, ვარდენისათვის, უსათუოდ გამოგზავნეთ, უსაშველოდ კვდება კაცი.

გულითადი მოკითხვა თბილისს, დედას და ყველას.

იყავით სულ მუდამ კარგად.

გკოცნით ლევანი.

თუ არის გამოცემული და იშოვნება გამომიგზავნეთ ჩეხი მწერლის წიგნი, რომელმაც მიიღო „მშვიდობის ჯილდო" ვარშავის [illegible] კურსზე.

მეტად მაინტერესებს, რა [illegible] чек «репортаж с петлей на шее» ახალი ქართულ ლიტერატურაში, ნუთუ სულ „დამუნჯდნენ". მწერლებს კი უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ახლა გულისხმიერი, მაგრამ მომთხოვნი, ფართო მკითხველი გვყავს. ჩვენ, ვგონებ, ჩამოვრჩით, ჩვენთვის ხომ ყოველი ახალი წიგნი ახალი წელია და თავს ვერ ვინუგეშებთ იმით, რომ მწერლობა ნელად მზარდი მრავალწლიანი მარადმწვანე მეცნიერებაა, იქნებ ჩვენ ყველაზე უფრო გვესაჭიროება გადახალისება.

ჩემო კარგებო!

16. III—51 წ.

ახლა სულ აღარ ვიღებ თქვენს წერილებს. ნუთუ არა მწერთ?

ამანათების გარდა არაფერი მოდის. მხოლოდ სია-ნუსხის ძუნწ მინაწერებს ვიღებ თქვენგან.

იქნებ ჩემი წერილებიც გზაში დაიბნენ?

ამ ახალი წლის შემდეგ გამოგზავნილი მაქვს 5 წერილი, ნუთუ აღარც ერთი არ მოვიდა?

იძულებული ვარ მოკლედ გავიმეორო და კვლავ დავადასტურო. ყველა ამანათი, ბანდეროლები — რვეულებით და გაზეთებით და ფული 200 მანეთი მიღებული მაქვს. ფულიდან მარტო 10 მ. მომცეს, დანარჩენი ვითომ ჩემ შემნახველ წიგნაკზე გადარიცხეს, რომელიც მე არა მაქვს. ამიტომ გთხოვთ ფული თქვენ მოიხმაროთ და მე ცოტ-ცოტა გამომიგზავნოთ. მაკლია სარეცხის საპონი, გამომიგზავნეთ.

ერთი სიტყვით ყველაფერი მოდის, გარდა წერილებისა.

ჩვენ ძველებურად ვცხოვრობთ — ვალერიანი ძლივს გადარჩა, ძალიან გვიხარიან. აქ ყოველი ქართველის ცუდათ ყოფნა და დაკარგვა ჩვენი თანამემამულეების დიდი გაჭირვება და ტრაგედიაა. ურთიერთს ძალიან ვეხმარებით, ამით ვცოცხლობთ და ვარსებობთ.

ასკორბინის სიმჟავე ისევ გამომიგზავნეთ, აქ თითქმის ყველას ავიტამინოზი გვჭირს და ვერ წარმოიდგენთ ეს რა უებარი წამალია ყველასთვის აქ.

ან კი რა გასაკვირია, ამ ზამთარში მარტო სიცივეებს რომ უძლებს ადამიანი. სინდიყის თერმომეტრიც კი იყინება.

50-60-72° გრადუსამდე ავიდა ყინვა-ქარის სუსხი. თოვლის ზვინები, ჩვენ საცხოვრებელ ბანაკზე გაცილებით უფრო მაღლა არიან აღმართული, ზოგან მავთულხლართებსაც სჭირდება ხელახალი მოთხრა, მაგრამ არა

უშავს რა პირი გაზაფხულისკენ გვაქვს, დღეს — 54° გრადუსია, სხვათაშორის ქართველები შეგვემატნენ.

მიდით მლეთის შესახვევზე № 5 ტუბდისპანსერის დამსახ. ექიმია ოლღა ჭეიშვილი. გადაეცით, მისი ვაჟი ზურაბ მიქელაძე აქ არის ჩემთან და რომან ბლიაძე. კარგად არიან. თქვენ აუხსენით აქაური პირობები, მოსწერონ ჩემი მისამართით. აგრეთვე აქ არის ილია ბოჭორიშვილის ცოლი ლუბა ნესტორის ას. ორივე ახალ: მოსულები არიან.

ჩვენი ცხოვრების პირობები ბევრი არაფრით გამოცვლილა. ტანისამოსს ნუ გამომიგზავნით. პირიქით, რაც სამოსი მქონდა, სამოქალაქო ტიპისა, ჩამომართვეს და ნომრიანში ჩაგვჭედეს — სპეც ტანისამოსის სახელით. აბა თქვენ მომწერეთ ახალი ამბები. საქართველოს, ლიტერატურასა და საერთო ცხოვრებას მაზიარეთ!

სახლში რა ამბავია, როგორ ხართ, ყველა ნათესავს და მოყვარეს გადაეცით კეთილი სურვილებით დიდი მოკითხვა. დიდი სიყვარული დედას და თქვენ.

ყველა დებსა და ძმას ძმის შვილითურთ.

ნერილის გადაკითხვა მე თავად გამიჭირდა, სულ გამიფუჭდა ხელი, მაპატიეთ, ვგრძნობ როგორ გაგიჭირდებათ ჩემი ნერილების ნაკითხვა.

თუ წერილმა დაიგვიანოს, არც ამაზე ინერვიულოთ, ძალიან შორსა ვართ, მეტად შორს.

გკოცნით თქვენი ლევანი.

15/V—51 წ.

ჩემო კარგებო!

კვლავ ამანათი მივიღე — თამარის წერილითურთ. წინა ამანათები ყველა მიღებული მაქვს. ფულიც 150 მანეთი. აგრეთვე ბანდეროლები და მზიასა და თინას წერილები.

— მოკლედ ვიმეორებ: სამძიმარი გადაეცით ბიძია იაშას ოჯახს, მისი გარდაცვალება გაზეთებიდან გავიგე. გული მწყდება, ნიკოლაძიანთ დიდ გვარში კიდევ ერთი მუხა დაეცა.

ახლა აქეთ: ძველებურად, ძველებურად, ძველებურად!

ქართველები ყველა ერთად ვართ, ძველზე უკეთესად ვცხოვრობთ, საერთოდ ბანაკს მივეჩვიე... პირველი ხუთი ნელი ყოფილა ძნელი, მერმე კი უფრო ადვილია. ბანაკური ცხოვრება დალაგდა და გარკვეული ფორმა მიიღო — მეტი წესიერებაა, ღამე ჩაკეტილები ვართ. თუმცა აქ ახლა ღამე აღარაა. უსაშველოდ გულდასაწყვეტი სულ სინათლეა — სულ დღეა. ტანისამოსის მხრივ ამ ბოლო ხანს კარგად გვამარაგებენ. მკერდზე, ზურგზე, მკლავებზე და მუხლებზე ტანსაცმელი ნომრით აჭრილებული გვაქვს, ასე ეძახიან კატორღელებს. ალბათ ეშინიათ — ეს ალბათ ვიკარგოთ. აბა იქიდან სად წავალთ თუ თვითონ არ გაგვაცურეს სამუდამოდ. მე თითქმის ჯანმრთელობაც გამომიკეთდა, ჭაღარას ყურადღებას არ ვაქცევ, თუმცა აქ დიდიხანია ყველანი „ბატიას" და „პაპაშას" მეძახიან.

ახლა გთხოვთ გამომიგზავნოთ შემდეგი რამ: საპარსავი ხელსაწყო ე. ი. ლამბაქი, საქაფებელი და ფუნჯი. მანდ ბლომად არის უბრალო პლასტმასის. დავპირდი აქაურ დალაქს, აგრეთვე გამომიგზავნეთ შემდეგი წიგნები:

1. ქართლის ცხოვრება „ანასეული". მანდ მაქვს.

2. ოთხთავი (მანდ არის ჩემს წიგნებში, დიდი ყდარბილი წიგნი).

3. „ხატოვან თქმათა ლექსიკონი". თედო სახოკიასი (ახალი გამოცემაა, მიყიდეთ უსათუოდ.)

დანარჩენ წიგნებს, წინა წერილში რომ გთხოვდით, აგრეთვე მოუთმენლად ველი, წიგნები ძველი ამანათის მისამართით გამომიგზავნეთ.

აბა, მოკითხვა ყველას, კარგად ყოფნას გისურვებთ. და წარმატებას.

გკოცნით თქვენი ლევანი.

ჩემო კარგებო!

14/VII—51 წ.

მიღებული მაქვს თქვენი წერილები, ამანათები და ბანდეროლები. ჩვენ ძველებურად ბამბის ფარაჯებში დავდივართ, ქართული წიგნები არ მომცეს. ცენზური შეიცვალა.

ცხოვრება მიდის უფერულად, დიდი გაჭირვებით, მძიმე შრომით. ზურაბი ათავებს ვადას, ეხლა სხვა მხარეს წავა თავისუფალ გადასახლებაში. აქ ყველას ერთი გზა უძევს წინ — ესეც დიდი სიკეთეა. ჩვენ ვცხოვრობთ ძველ პირობებში. წესები ისევ ძველებურია, ყოფა მეტად მძიმე. აქ ჩამომსვლელ მშობლებს პატიმართა ნახვის უფლებას არ აძლევენ. ეს სრულიად გარკვეულია და კატეგორიული (თუ რა თქმა უნდა მოსკოვიდან არ იქნება მასზე განსაკუთრებული ნებართვა). ასე, რომ თუ თქვენ ან ვინმეს მშობელი ფიქრობთ აქეთ ნამოსვლას არ ვურჩევ. მითუმეტეს თქვენ. გულდასაწყვეტი ამაო-იმედების გაცრუება, ზედმეტი ღელვა და უხერხულობანი შეიქმნება. ეს მარტო ჩემი აზრი არ არის.

ერთი მცირე საყვედური: მე ჩემს წერილებს თარიღს და ნუმერს მუდამ ვაწერ. მიპასუხეთ, მომწერეთ, რომელს იღებთ და რომელს არა. თორემ ასე ნერილების მიწერმოწერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიფერხდება და მე აღარ ვიცი რა გავიმეორო და რა არა!

ეხლა ველი თქვენგან რაც შეიძლება მეტ ცალხაზიან რვეულებს (არა ნაკლებ 15-20-სა) სხვას ვეღარ ვეგუები, ეს ხელი ხომ სულ გამიფუჭდა.

აბა თქვენ იცით და თუ ოდესმე ჩამოვბრუნდი, არც ამჯერად ჩამოვალ ხელცარიელი.

ძალიან მჭირია რუსეთის ისტორია. აქ არსად იშოვნება — მაინც XV-XVII საუკუნეები, მაინტერესებს — ივანე მრისხანედან ბორის გოდუნოვამდე და ამის ირგვლივ, რასაც ნახავთ ახალ გამოცემას, მონოგრაფია იქნება თუ მოკლე ისტორია, თუნდაც რომანი, ყველაფერი გამომიგზავნეთ.

ეს ცივი მაჯლაჯუნა — აქაური ზამთარი მოვჩიხეთ, სული მოვითქვით. ყველანი კარგად ვართ.

წიგნები არ მიმიღია, ცენზურაში წაიღეს. ცოტახანს ქართულ წიგნებს ნუ აგზავნით, ცენზური ქართულის მცოდნე არ არის.

— თბილისის აშენება და დამშვენება მახარებს.

აქ გაზეთები როცა მომდის, დიდი გაფაციცებით ვადევნებ თვალყურს. ამ ბოლო დროს ესეც შეგვიანდა რაღაც. ნუთუ ქართულ პრესაში ამ ბოლო დროს არაფერი საყურადღებო არ გამოსულა? გამომიგზავნეთ „ქართული ნუმიზმატიკა" დ. კაპანაძესი მჭირდება.

სახლში როგორ ხართ, ვკოცნი დედიკოს და ყველა ნათესავ-მოყვარეებს. ყველას ხშირხშირად ვიგონებ და შორიდან ვესაუბრები! კარგად იყავით.

მისამართი იგივე, გკოცნით ყველას ლევანი.

ჩემო კარგებო!

13/VII—51 წ.

ვსარგებლობ საოცარი შემთხვევით და კვლავ გწერთ... უფრო თამამად და ადამიანურად.

თქვენ ვერ მოიშორეთ „ქალური" ჩვეულება: არც რიცხვს და არც № წერილებს არ უსვამთ და აბა რა ვქნა. ჯერ წერილების შესახებ: თქვენი წერილები ვალიკოს სახელზე ყველა მომდის, შეიძლება ცოტა დაგვიანებით, რადგან აქედან ხან ორ კვირაში, ხან თვეში ერთხელ მოდის ხოლმე ქალაქში... მით უფრო ახლა, როდესაც ავადმყოფობს. ფული მიღებული მაქვს. ლიტერატურული გაზეთები არ მიმიღია, ხოლო ამანათში გამოგზავნილ გაზეთებს აღარ გვაძლევენ, აგრეთვე ქართულ წიგნებსაც. თვეობით ცენზურაშია და უმრავლეს შემთხვევაში იქვე რჩება. წერილები რუსულად წერეთ. წიგნები ბანდეროლით მიგზავნეთ.

თქვენ გამოგზავნილ ჩარკვიანის მოხსენიებანი და თვით სტალინის ნაწერებსაც იგივე ბედი ეწვია და მე ვერ მივიღე.

— ფუჩიკის წიგნს კი მივაგენი ბოლოს — წავიკითხე და უკან დავუბრუნე.

წერილები ხანდისხან ბანაკის მისამართითაც გამომიგზავნეთ. არ დაეჭვდნენ, ხოლო ვალიკოს მისამართით სავსებით ძალაშია.

ასევე ფული ფოსტის გზით აღარ გამომიგზავნოთ, ეს უკვე აქ ცნობილია. საერთოდ ჩემი მოთხოვნის გარეშე ფული არ გამომიგზავნოთ. თუ რამე განსაკუთრებული არ იქნება, ამანათით ნურაფერს ილონებთ. თუ მაინც და მაინც, ისევ საპონი სჯობია. თითო ოროლად რვეულები გამომიგზავნეთ. სადალაქო პლასტმასის ჭიქა, ფუნჯი და სხვა ნივთები ისევ გამომიგზავნეთ, სხვებიც მთხოვენ.

აქაურ ამბავს აღარ გწერთ, ალბათ გიამბობენ.

მავთული და ურდულები დღითი დღე მატულობს ახლა. ღამღამობით დაკეტილები ვართ. დღე კი ჯერჯერობით გვიღებენ ბარაკის კარს. ვცხოვრობთ მეტისმეტად მჭიდროდ, ორ-ორ სართულიან ხის თაროებზე, ჩვენ ბარაკში — 200 კაცია, ასე რომ შესანიშნავი თუ არა აღსანიშნავი ჰაერი მაინც არის. სინესტის, ფეხის, ოფლის, მახორკას სუნების ნარევი. მრავალხმიანი ხვრინვის ჰარმონიას ხომ ნუ იკითხავთ, მაგრამ ეს ხომ წვრილმანებია.

ისევ სამუშაოზე მიგვეჩქარება ყველას — მაინც ახლა, როდესაც თითქოს გამოზაფხულდა, თუმცა არც გვწყალობს ბედი. დღეს 18 ივლისია... და ჯერ მზიანი დარი არც კი გვინახავს. საბჭოთა პატიმრის მუნდირი — თუ საქვეყნოდ ცნობილი „ბუშლაკი" ჯერაც არ გაგვიხდია. მე თუ აქ გამაჩერეს, შედარებით კარგ ადგილზე ვმუშაობ, ახალი ხელობა შევიძინე და ეს ახალი — ძველს შველის. ელექტრო ქვესადგურში ვარ მაღალ ძაბვაზე — მანტიორად და აქ სულს ვითქვამ ხოლმე. აქაა ჩემი სამყარო.

ჯანმრთელობის მხრივ, წარმოიდგინეთ, მიუხედავად ყველაფრისა, საკმაოდ კარგად ვარ... ფეხები მისივდება მარტო ხანდისხან, იშიაზმაც თავი მომაბეზრა, მაგრამ ეს ყველაფერი სულ უბრალო ამბებია, „თავის მოვლა" აქ ხუმრობად გამოისმის.

მთავარია, რომ მუშაობის უნარი და სურვილი არ დამიკარგავს და ამ მხრივ ალბათ ბევრს გარეთ მყოფსაც შევედარები. მე თვითონ მოხარული ვარ, რომ ძლივს აქ წერის შესაძლებლობა და სურვილიც მომეცა.

მძლავრ მაღალი ძაბვის ქვესადგურში, რომელიც ბანაკებში არსებულ ყველა ქვანახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირის მაღაროებს ემსახურება, შემოსასვლელ კარებზე დიდი დაფაა ჩამოკიდებული ჩონჩხის გამოსახულებით და წარწერით — „სასიკვდილოა“, გამაფრთხილებელი აბრა ჩვეულებრივ ყველგან რომ არის მიმაგრებული მაღალი ძაბვის ჯიხურებზე. ეს ჯადოსნური წარწერა ყველას შიშსა ჰგვრის, განსაკუთრებით ზედამხედველებს, მე კი ხელს მიწყობს. ამიტომ წერის დროს ხელს არავინ მიშლის. ჩემი ნაწერებიც ფრიად საიდუმლოდ და საიმედოდ მაქვს დამალული, ღრმად მიწაში ნიშა გავთხარე, ერთერთი დანადგარის კედელთან, და ზემოდან ისეთივე შესაშინებელი აბრა ჩამოვკიდე. მუშაობა კარგად მიდის. „გმირთა ვარამის“ უკვე მეორე წიგნს ვამთავრებ. ახლა არ ვაგზავნი. გადათეთრების პერიოდში მინდა მთლიანად ხელში მეჭიროს.

ჩემი აზრით ეს ნაწილი გაცილებით დიდი და ვგონებ უფრო დალაგებულიც იქნება, რადგან უკვე მასალებიც გამოჩნდა და ვგონებ „ფორმაშიც“ შევედი. ერთი სიტყვით, ჯერ ვნახოთ.

ახლა ვაგზავნი ჩამორჩენილ „წანამძღვარს“. შემინახეთ. კარგად შემინახეთ — მაგას არც გადაბეჭდვა უნდა და არც არაფერი. არავისარსად! საერთოდ იფიქრეთ სადმე სხვაგან შეინახოთ. ეს ხომ ჩემი კალმისა და სულის ნაწვალები მასალებია ერთად-ერთი, და რომ დაიკარგოს ხელცარიელი ვრჩები. ალბათ ვეღარ შევძლებ გადატანას. თუ სანდო მბეჭდავი ვერ იპოვნეთ, ისე დატოვეთ. ამ წლის ბოლომდე ალბათ არ დამჭირდება და მანამდე რამე მოხერხდება.

ახლა ერთი თხოვნა: ისევ რვეულები და რვეულები. რვეულები მე ბლომად მჭირდება 20-30 ათეულობით და ასეულობით და არა ერთეულებით! აქ აქეთ-იქიდან რომ არ მეხმარებოდნენ, ალბათ, ყველა ფიცრებს ქაღალდებად გავიხმარდი, მაგრამ ამ ვაგლახ ქვეყანაში კარგი ხალხიც ჯერ კიდევ მოიპოვება. ესენი არიან ჩემსავით დაჩაგრულების სულის ჩამდგმელი.

რაიმე მოიფიქრეთ თბილისის ახალ მისამართზე. იქნებ მარო ჭყონია-კალანდაძის მისამართით გამოგიგზავნოთ წერილები თითოოროლა, მას ჰკითხეთ და აგრეთვე მოკითხვა გადაეცით მის შვილს ლეილას და სიძეს თენგიზს, რომელსაც ჯერ არ ვიცნობ, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ კარგ სიძობას გაგვიწევს. საერთოდ ყველა ჭყონიების შთამომავლობას დიდი მოკითხვა, ყველა მიყვარს. ან იქნებ თქვენ სხვა მისამართი ჩართოთ? ადას მისამართი არ ვარგა. მე რამოდენიმე წერილი გამოვგზავნე და თქვენ წერილები არ მიგიღიათ.

მინდა გაგაფრთხილოთ ყოველთვის გახსოვდეთ, რომ თქვენს ირგვლივ „ტრაბლებს“ ხან-დისხან სულ უახლოესი და „ნარმოდგენილი“ ხალხი, ეს უნებლიეთ საშიში თანამოზიარე, რომლებიც ყოველ სიტყვას თუ ჭორს დარაჯობს. ეს ყველაზე თანაბრად ითქმის აკადემიკოსებზე, პროფესორებზე, მნერლებზე, მთამსვლელებზე და სხვა ხალხზე. ეს კი ნვდება სრულიად დამახინჯებულად საზარელ დაწესებულებას. ისინი ყველაფერს თავის სასარგებლოდ იყენებენ და რეაქციაც ჩვენს პატიმრების მიმართ უფრო მკაცრდება. მე ეს ჩემს თავზე განვიცადე. ამიტომ ფრთხილად და ყურადღებით იყავით. ნურავის ჩემს თავს ნუღარ აგონებთ, ეს ამაოცაა (როგორც მნერდით), გულუბრყვილოც და იქნებ მავნეც. ნეტავ დამივიწყონ, სრულიად დამივიწყონ, მაგრამ ვაი, ვაი, რომ ეხლაც აქ ჯერ კიდევ მნვდება მათი თავხედობა, თუ გაიგეს რომ მე ჯანმრთელობით და სულით გავძლიერდი და წერაც დავიწყე, ესეც ხომ ჩემ დანაშაულში შედის. უსათუოდ მიმტრობენ, ამაში დარწმუნებული ვარ. თქვენ რომ იცოდეთ რაც მე ვნახე და გადავიტანე, ან შევიტყვე, ჯერ მანდ და მერე აქ, მაშინ შიხვდებით თუ რა დიდი გულუბრყვილობაა ეს ყოველივე.

ჩემი და ჩემისთანეებისათვის „პატიოსნად“ ყოფნა მანდ, მაგათთვის არ შეიძლება. მე კი უსინდისოდ ყოფნა არ შემიძლია... ნუ თუ ასე გაფუჭდა დრო, რომ არავის სწამს შენი სიმართლე და პატიოსნება. სავალალო კი ის არის, რომ ბევრს უპატიოსნოს გზა და საპარპაშო ადრე გახსნილი აქვთ.

წარსულიდან დიდად სანანებლად დამრჩა, ჩემს სახელთან დაუკავშირებიათ რამოდენიმე კეთილ-პატიოსანი პიროვნებები, ერთ საქმეში გაგვხვიეს, დაღუპეს და გააუბედურეს უდანაშაულო ხალხი.

სად არის ან რა იქნა ილია სარჯველაძე? ან სად არის და რას ერჩოდნენ ბოდღო ემუხვარს, ვალოდია ვაშაკიძეს, სპირიდონ ჭყონიას, კოტე ჯავრიშვილს, გრიშა გიორგობიანს და თუგინდ სხვებს კეთილ, უაღრესად პატიოსან მშრომელებს, ჩემ მეგობრებს, ლალიაშვილს, ხუციშვილს, ბულეიშვილს და სხვ. ნამდვილ ვაჟკაცებს, პატრიოტებს. სამშობლოს მოამაგეებს და საქართველოსათვის ერთგულ ხალხს? საწყალი მანდილოსნებისაგან რაღა უნდოდათ მაგ ურჯულოებს, მარტო იმისათვის რომ წარსულში მე შემხვდა გადასახლებაში როგორ დატანჯეს, გაამწარეს და უმოწყალოდ დაღუპეს დიდებული ქართველი პატრიოტი ქალი მაყვალა რამიშვილი, აწვალეს ნინო ყართანგოზიშვილი? რისთვის?

ძალიან გთხოვთ სუყველას საერთოდ ამ ხალხის შესახებ თუ იქ რაიმე ისმის, შემატყობინეთ, როგორმე მომწერეთ. ყველაზე გული

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემტკივა, ვწუხვარ და განვიცდი. დღესაც ვერ წარმომიდგენია მათ რა ბრალდება წაუყენეს. როგორც გწერდით, მე მათი დაპატიმრება ძალიან გვიან გავიგე, მარტო მათი ტყვილა ტანჯვისათვის მოსასპობია იქაურობა. დიდად სავალალოა, რომ მათ „კეთილ საქმიანობას" დიდი ზიანი მოაქვს საქართველოსთვის, საშველი კი არსაიდან არ არის„

გამომიგზავნეთ რაიმე უბრალო რუკა საქართველოსი.განსაკუთრებით კახეთისა, თორემ ამ ჩემს წიგნებსა და ხელნაწერებში „უგზოუკვლოდ" დავდივარ. (ეს, რა თქმა უნდა. მეორე მისამართია. პირველი ბანაკისა იყოს საანგარიშოდ). ეხლა თქვენს შესახებ. როგორ არის დედა, ალბათ ძალიან მოხუცდა, აგერ მე ვეწევი მოხუცობაში.

დევი-ბიჭი უკვე დიდია. სანდრო როგორ მოღვაწეობს.

ყველას, ყველას გკოცნით და გესალმებით. წიგნებს, რომლის შესახებაც გწერთ, გამომიგზავნეთ. ეს დიდი ნუსხაა მაგრამ ჩემთვის საჭირო.

ერთი დაწვრილებით მომწერეთ: „მამა-შვილის" მხრიდან მათი გზით ჩამოსული ხალხი, ალბათ ყველა აქეთ მოემართება ნელ-ნელა, ასეა? კოლია მღებრიშვილი კარგად არის, მოგიკითხავთ. ზურაბ მიქელაძე მალე ვადას ამთავრებს და თავისუფალ გადასახლებაში წავა, აქეე ქ. ვარკუტაში. აქედან საერთოდ სამშობლოში დაბრუნების გზა არ არსებობს ცოცხლებისათვის, მაგრამ ეს სულ უბრალო ამბავია ყველასათვის მარტო ცუდს მიჩვეულები ვართ. უარესი ნუ იქნება, თუმცა მე უსამშობლოდ სიცოცხლეც არ მინდა. აქ ასე თვლიან: პირველი ათი წელი ძნელია, შემდეგ ვადას მნიშვნელობა ეკარგება. აქ „გასართობი" — რა ჩინ-მედლებითა, მოყვანილობისა, ფერ-ჯამისა და ხასიათების ხალხს არ შეხვდები, აქ ამ „ორფეხათა მუზეუმში", აქ ერთ სარეცელზე წვანან წმინდანები და ქვეწარმავალნი. ერთ ჯამიდან სვლეპავენ საჭმელს გუშინდელი მოსისხლე მტრები. ერთად ცოდვილობენ „გულუცხო" სამუშაოზე მიჯაჭვული ამირანები და თავისი თუ სხვის უგნურების ნამსხვერპლი კაცუნები.

აქ მთელი ცალკე სახელმწიფოა, არა ქვეყანა! უფრო სწორად, მთელი სამყარო! დამონებულთა და ფიზიკურად გასწორებულთა, თუმცა ბევრის გულის სილრმეში ბრძოლის ნაპერწკალი ღვივდება.

სოფელ-ბათუმში, როგორ არიან? გულითადი მოკითხვა მათ. მამიდები, შვილები და შვილიშვილები ერთობლივ მომიკითხეთ. თემიკო დავითის ძე ჭყონია დავაჟკაცდებოდა, ხელი როგორი დაუდგა, ვიმედოვნებ ალბათ კარგი. ხომ არ ავიწყდება რა დიდი გორის ბიჭია.

როგორც ყოველთვის ვჩქარობ, ეს ბარათი ერთი მოსმითაა დაწერილი, არეულ-დარეული, მერე არც დრო მექნება და არც საშუალება.

მოკლედ, ყველაფერი მაინც ვერ ვთქვი რისი თქმაც მინდოდა.

კარგად იყავით, კარგად.

ზამთრისათვის ალბათ დამჭირდება თბილი (შალის) სვიტრი მხოლოდ დიდი ზომის, თორემ მომკლა აქაურმა „კუდრაჭა" სამოსმა. მოკლე-ვიწროში ჯამბაზსა ვგევარ.

გკოცნით ლევანი.

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფატი აბულაძე

დღეის დღის პოეზია

ჩვენი ისტორიაა დღევანდელობაც და მას გაფრთხილება და სიყვარული სჭირდება. იგი ჩვენი წარსულის განუყოფელი ნაწილი, მისი სიხხლი სიხხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია. სწორედ ჩვენთვის იწერებოდა სიხხლით საქართველოს ისტორია!... ამის შეგნება არც ახლა უნდა აძლევდეს მოსვენებას თანამედროვის გონებასა და გრძნობას, რადგანაც დღეს სწორედ ჩვენ გვევალება, რომ „ჩვენი ვშვათ მყოობადი".

დღევანდელობისა და მომავლის წინაშე საუკუნეებს გამოტარებული მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობის სიმძაფრე ჯერაც არ განელებულა. მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობასთან შერწყმული ეროვნული პრობლემატიკა თანამედროვე ქართველ პოეტთა მხოფლმხედველობის ხაუკეთესო გამომხატველია, ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძემ გამოაცხადა თანამედროვეობის შუაგულში მდგომი, ხალხის ჭირ-ვარამის მოზიარე შემოქმედი ერის წინამძღოლად:

„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის
მიწიერი ზეციერსა,
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა".

მურმან ლებანიძის პოეზიაში ნათლად გამოიკვეთა სრულყოფილი შემოქმედის სახე, რომელიც სწორედ ილიასეული იდეალებით ხაზრდოობს:

„ქურთხეულ იყავ, პოეტო ლექსით,
ვარსკვლავებისკენ გაჭრილი სარკმლით!
თავჩაღებული ცხოვრების წესით,
საერო ფიქრით, საქვეყნო ზრახვით! —
ხალხისთვის ომით, ხალხისთვის კვნესით,
განუყოფელი სიტყვით და საქმით!".

ერის წინამძღოლობა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ქართულ პოეზიაშიც „მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ", ამიტომ თანამედროვე ხელოვანმა უდიდესი სიფრთხილითა და პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა ზიდოს შემოქმედის მძიმე ტვირთი და არახოდეს დაივიწყოს, როგორი ტრადიციების მქონე ლიტერატურის მემკვიდრეა.

ქართველი ხალხის ისტორიულმა ცხოვრებამ განსაზღვრა შემოქმედის განსაკუთრებული როლი ერის ცხოვრებაში და ახლაც, როგორც არაერთგზის წარსულში, მთელი ერის იმედიანი თვალი ერის წინამძღოლად აღიარებული შემოქმედისაკენაა მიპყრობილი:

„კაცი გწერს წერილს,
კაცი გსახავს იმედად ერის,
კაცად უცვნიხარ — მეკობრეებზე,
ყაჩაღზე, ფულზე
გწერს, გთხოვს იყვირო, —
კაცი შენგან კაცობას ელის, —
ხმა ამოიღე საკითხებზე ძალიან რთულზე...
ფუ შენს კაცობას!
ფუი, პოეტს — მონას და მორჩილს".

ეროვნულ ინტერესებს არ ემტყუნების, ამიტომ თუკი ხალხი გსახავს „იმედად ერის", უფლებაც არ გაქვს, გაუმტყუნო მას ეს იმედები. სწორედ სიკვდილის კართან სუფთა სინდისით მისული პოეტია მურმან ლებანიძის ზნეობრივი იდეალი:

„შრება სისხლი, კვალად სჭკნება ხორცი,
ყველაფერი ბერდებაო ნორჩი,
უცვლელია მხოლოდ ქამთა დენა,
ყველაფერი ცვალებადობს დროში...
ამიტომაც ცვალებადობს რწმენა!
ამიტომაც ცვალებადობს მრწამსი!
აგე, კაცი! — დგას სიკვდილის პირად —
არაფერი, არაფერი მსგავსი!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტისათვის ნათელია, რომ ზნეობრიობის გვერდით ყოველთვის არსებობს უზნეობაც. ამიტომ სპირდება დაცვა და გაფრთხილება კეთილს. მურმან ლებანიძის ალეგორიულ ლექსში ნათლად ჩანს პატიოსნების წინააღმდეგ იერიშზე გადმოსული „კმაყოფილი ლოკოკინა", რომელსაც არაფრად მიაჩნია არწივი:

„კმაყოფილია ლოკოკინა, ცხოვრების
ეტლით
ბეჭებზე სახლით, მყუდროებით,
კომფორტით, ჩვენდრით!
არ მიაჩნია ეგ არწივი არაფრად დიდად!
მოკლე ნაბიჯით წინ მიიწევს თანაბრად
ძშვიდად.
ხანდახან მაინც გაუელვებს ჩვენს ლოკოკინას
დაბე, უწესოს! მაცოდინა, ეგ როგორ
ფრინავს".

მედროვეობა ხულმდაბლური ფსიქოლოგია ყოველთვის დროის შეხაბამიხად იწრთობა. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც, პირადი კეთილდღეობის თვალსაზრისით, ყოველთვის ყველაზე კარგად გრძნობენ თავს, რადგანაც პირველები უღებენ ალღოს დროის მოთხოვნებს, ამიტომაც ყოველ ეპოქას ყავს ხაკუთარი „ყვარყვარე". ისტორიამ ბევრს მოგვითხრა ამგვარი ცოდვებისათვის და მომავალშიც ბევრს მოგვითხავს. მურმან ლებანიძის არაერთ ლექსში ჩანს მოწოდება მოკალაკეობრივი ხინდისის ღრმა შეცნობისაკენ.:

„კაცური კაცის ცხოვრება, —
გზა, წიგნი სისხლით ნაფერი. —
ხელახლა აიწონება,
ხელახლა — სუყველაფერი!
მედროვის ყალბი დიდება, —
მკვახედ და მკვახედ ნამღერი. —
ხელახლა გაიჩითება,
ხელახლა — სუყველაფერი!
გაზაფხულს წყალი დიდდება —
იქნება ძწუთხე ნაპირი!
იქნება ჯვარცმა კირთება —
ხელახლა წაიკითხება,
ხელახლა — სუყველაფერი!"

იყო დრო, როდესაც არაერთი ქართველი პოეტის ლექსების მამხილებელი პათოსი მალამოდ ედებოდა ჩვენს ეროვნულ ტკივილებს, როცა ხაშიშიც კი იყო პატიოსნად წერა, მაგრამ ამას ბევრისათვის არ შეუშლია ხელი კაცური ღირსებით ეტარებინა პოეზიის წმინდა ხახელი.

აი, რას წერს მურმან ლებანიძე 1967 წელს დაწერილ ლექსში — მინაწერით — „იუმორესკა":

„მაქვს ჩემს რედაქტორთან
ლაზიერს საპირო ცხენი ჩავაფარო...
ხვალ-ზეგ ჩაიშვება კრებული სტამბაში —
რაღაც-რაღაცეები მინდა გავაპარო".

ცენზურას გადარჩენილი, შეფერვით თქმული სიმართლე ქართველ მწერალთა ღვივდებოდა ხალხის ხულში და ნელ-ნელა ამზადებდა დღევანდელ დღეს, ახლა აღარავისაგან გვიკვირს სიმართლეზე წერა, 60-70-იან წლებში კი, ტოტალური სიცრუის ბანაში, უდიდეს მოკალაკეობრივ გამბედაობას მოითხოვდა სიმართლეზე პატიოსნად წერა.

მურმან ლებანიძის სხვა ლექსში, რომელსაც არაშემთხვევით იგივე მინაწერი აქვს — „იუმორესკა", პოეტი უბრალოდ წარმოგვიდგენს ჩვენი არცთუ ისე შორეული წარსულის რეალუ სურათს:

„გაზეთის რიგში კაცი მაძლევს შეკითხვას
ასეთს
(ცხრის თხუთმეტია — ხალხი კიოსკს
აცარიელებს...)
— კითხულობთ გაზეთს?! მაინც
რომელს?!
მე გეტყვით, არცერთს! —
და იღიმება
— მეც თქვენსავით ვათვალიერებ:".

თითქოს ხულ ახლახანს იყო, გაზეთებში დიდი პათეტიკურობით წარმოჩენილი ბედნიერი ადამიანი კიდევ უფრო ბედნიერი მომავლის იმედს რომ გვინერგავდა!

ბევრმა თაობამ იცხოვრა ამ ქყეყნიერ, მხოლოდ მომავლის რწმენით. მაგრამ დაპირებული კომუნიზმი, ფაქტია ჯერაც ვერ აშენდა.

მურმან ლებანიძის ლექსი „შეგონებანიც" იმ დროში დაიწერა, როდესაც მსოფლიოში ყველაზე დიდი ხახელმწიფოს ხათავეში ხიბერიხაგან ძალლონე და გონებაგამოცლილი ბერიკაცები იდგნენ:

„ლაძაზი არ არის:
დონ-ჟუანი საყდრისთვის სცდებოდეს...
ბარემ ესეც ითქვას, ესეთიც ხდებოდეს, —
ხამშობლო ხელთ ეპყრას ბერიკაცს
ათიოდეს".

ამგვარი სიმართლის ალიარება იმ დროს ნამდვილი მოკალაკეობრივი გმირობა იყო, მაგრამ აშკარაა, პოეტს სიცრუით მოპოვებულ კეთილდღეობას, ისევ სიმართლისათვის ჯვარზე გაკვრა ერჩივნა.

მურმან ლებანიძის პოეზიაში პოეტის გარდაცვლილი მამის ხახე წარმოგვიდგება ზნეობრივი სიწმინდისა და პატიოსნების სიმბოლოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც სიტყვით კი არა, საქმით ადასტურებდა ნამდვილ მოკალაქეობრივობას:

„— შენ, შენ რას იქმდი?! —
ვკითხავ მამას, — დათმობით მსუქან
წილს დაითრევდი,
დაიხევდი ლაჩრობით უკან,
თუ საზარალოს
შენც ერთადერთს იტყოდი
სიტყვას?! —
და სდუმს მოხუცი,
და თვალები მშობლისა სწუხან
და ჩვენ ვთათბირობთ,
ყოველივე უსიტყვოთ ითქმის
და ყოველივე ნათელია გარეშე
სიტყვის“.

სწორედ ეს „საზარელო ერთი სიტყვა“ ფიგურირებდა მაშინ ბევრი ჩვენი თანამედროვე პოეტისა და, მათ შორის, მურმან ლებანიძის შემოქმედებაში. მის გამო ზოგს ლექსის დაბეჭდვაც ენატრებოდა, ხოლო ზოგი, ვინც ძლიერთა ამა ქვეყნისათა ხაამებლად წერდა, ყოველგვარ ამქვეყნიურ პატივს იღებდა. ახეთი მდგომარეობა საქმაოდ დიდხანს გაგრძელდა და პოეტს ნამდვილად ჰქონდა იმ შეშფოთების საფუძველი, რაც გამოხატულია მის ლექსში „როდესაც გრიალებს „ბრავო!“

„როდესაც გრიალებს „ბრავო!“
ხეც ლამის სირცხვილით გახმეს...
...როდემდის ცოლო და შვილო?!...
...როდემდის სამშობლო ტკბილო და
შენც ჩემო ბებერო თავო?!“

ეს ხტრიქონები ჯერ კიდევ 1985 წელს იწერებოდა, მაგრამ მსგავს სიმართლეებს არ შეეძლო რევოლუციის მოხდენა მილიონების აზროვნებაში; ჩვენ მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ გაგვიჩნდა „ნოსტალგია ადამიანურ ცხოვრებაზე“ (ო. ჭილაძე „ხფინქსის აჩრდილი“).

არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რა რთულ დროში ჩამოყალიბდა 1956 წლის 9 მარტს დარბეული მამათა თაობა. უდანაშაულოდ დასჯის შიშმა, რომელმაც თითქოს ჩათვლიმა 1987 წლის რეპრესიების შემდეგ, კვლავ გამოიღვიძა, ხალხელმწიფო მანქანამ ერთხელ კიდევ დაანახა ადამიანებს ძალმომრეობის გასაოცარი უნარი და ერთხელ კიდევ „მოხნა ძალამ აღმართი“. მაგრამ, რადგანაც ადამიანები ვართ და თავისუფლება კი ადამიანური არსებობის განმსაზღვრელია, ამიტომაც დღემდე არ წყვეტს მისკენ ლტოლვას ქართველი ერი — ბევრჯერ დაცემული, მაგრამ ყოველთვის მართალი და ამ სიმართლის ძალით მკვდრეთით ბევრჯერ აღმდგარი.

მურმან ლებანიძის ლექსში „ქართველი“ — პოეტი, როგორც კაცი, როგორც ქართველი — ნათლად ჩანს ჩვენი ერის მარადიული მიზანი:

„როგორც პოეტი, როგორც კაცი,
როგორც ქართველი
და როგორც შვილი შენი დროის,
გარკვევით ხედავ შენ შენს მიზანს
და ის გახლავს თავისუფლება, —
რომლისთვისაც — გინდა იქცე ძალად!
რომლისთვისაც ბევრი სისხლი დაღვრილა
და დაიღვრება არანაკლები“

1989 წლის 9 აპრილმაც ნათლად დაგვანახა, რომ თავისუფლებისათვის „ბევრი სისხლი დაღვრილა და დაიღვრება არანაკლები“ ხაბოლოო მიზნის მიღწევამდე.

საქართველოს განგებამ ისეთი ბედი არგუნა, რომ იგი ძველი ჭრილობების მოშუშებასაც ვერ ასწრებდა, ახალი რომ ემატებოდა. მტერი ბან მტრულად, ხანაც მოყვრულად მოსული, ყოველთვის გვგლეჯდა და ისაკუთრებდა ქართულ მიწებს. რაც ძალით ვერ წაგვართვეს, ის ჩვენი ნებით ვაჩუქეთ ხხვებს და ახლა მხოლოდ ისტორიითლა ვიცით, რომ „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“, „ყოფილა ნიკოპსით — დარუბანდამდე გაჭენებული და გამოჭენებული“.

დღესდღეობით რუკაზე დახედავც კი შეზარავს ყველა გულშემატკივარ ქართველს: „მეცოდება ჩემი ხამშობლო — საქართველო, ნაქარალი, ნაქორალი, გაგლეჯილი-გამოგლეჯილი, დაჭრილი არწივი, ვეფხვი უხულოდ დანარცხებული!“ გ. ლეონიძის თბილი გრძნობა, დაჩაგრული ხამშობლოს მიმართ გამოვლენილი, ყველა ქართველის გულისგულში ბუდობს, მაგრამ რომ ვერაფერს ვშველით ჩვენს მრავალტანჯულ მამულს! „ღმერთო, შენ დაამხე ჩვენი მტერი ქართველთაულაპია“.

დრო მიდის და წართმეულის დაბრუნების მხოლოდ იმედს ვეხათუთებით, ამახობაში კი ხხვას გვართმევენ:

„აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავს —
ეს კაცია, ალბათ, თურქის თემის...
და მე ვუყურო: — ჩემს სისხლს დალევს
უწინამც!
და მე ვმღერი: — აფხაზეთი ჩემი!

ჩვენი წინაპრები საქართველოს ყოველი მტკაველი მიწისათვის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ. რა კარგად უთქვამს რაფიელ ერისთავს: „ხამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილებაო“, ოდა, რადგან შეგვეცილნენ და ქართული სისხლიც დაიღვარა, გამოსავლის ძიება ახლა ჩვენზეა — ქართველებზე. საინტერესოა მურმან ლებანიძის პოზიცია ამ შემთხვევაში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მე მინდა ვუთხრა „ადამონ ნიხასს“,
რომ თვისი ხალხი მცდარი გზით მიპყავს,
და შევეხსენო ყრილობას ლიხნის
კანონი ბრძნული —
სისხლის წილ სისხლის“.

საქართველოს ისტორიაში არაერთხელ დამდგარა ეროვნული ცნობიერების მოდუნების პერიოდი, როდესაც პირად ნაზრუნავზე გადაყოლილი ადამიანები მერყეობენ „ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“. თუ ერის შინაგანი ძალები ამოწურულია, ძნელია კვლავ განახლება-აღორძინების გზაზე დადგომა. ასეთ შემთხვევაში ერი გადაშენებისათვის არის განწირული.

დღესდღეობით, პოეტის თქმით, მართალია, გვიან გავიღვიძებთ, მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის დაკარგული:

„გვიან გავიღვიძეთ — ბორბლებაშვერილი,
გადაბრუნებული ლაფში წევს ურემი,
საკუთარ სამშობლოში ობოლი ბავშვები ვართ,
სახლის პატრონობას ჩემობენ მდგმურები“.

ურემი გადაბრუნდა და ყველა ქართველმა ერთბაშად შეხედა თვალებში საქართველოს ხიკვდილს:

„ერის თავისუფლება „სამშობლო წაგებული,
მიწები დაყიდული ლეკზე და თათარზე“.

მურმან ლებანიძე, როგორც ერის გულშემატკივარი პოეტი, ცდილობს შეულამაზებლად დაგვანახოს საქართველოს დღევანდელი უბედურება, რადგან თუ გვიხსნის, ისევ „საკუთარ ხიგლახის მხილება გვიხსნის“: დღეს ტკბილი სიტყვა და გულზე ხელების ბრაგუნი საქართველოს სიყვარულის დასამტკიცებლად, აღარავის სჭირდება, საშიშროება ბოლომდე უნდა იგრძნო, რომ მასთან გასამკლავებლად ძალები გამონახო. მურმან ლებანიძის უსათაურო ლექსში, „ნაზად გავკიკნე მტევანი ყურძნის“, ჩანს, რომ ჩვენი ქვეყანა უფსკრულის პირამდე მივიდა და შესაძლოა საერთოდაც აღიგავოს მისი ხახუნებელი პირისაგან მიწისა:

„ნაზად გავკიკნე მტევანი ყურძნის
(რუსები მისხდნენ სალონში ალყად!)
ყურში ჩამესმა შენიშვნა რუსის:
„ეი, ვინ ცხოვრობს
რუსეთში კარგად!“
სტრუარდესას, კეკლუცს, ეუბვრეტდი,
მე შევბრუნდი და რუსს ვკითხე უცბად:
„მერედა, განა საქართველო არის რუსეთი!“
„ეჰ, რა ჩემი ფეხებია!“ — მომიგო
რუსმა“.

მრავალგზის განსაცდელის პირას მდგომი საქართველოს გადასარჩენად ჩვენი წინაპრები უეჭველად ხვირავდნენ თავს. უსამართლო ომი მათთვის არ არსებობდა, რადგან გამუდმებით თავიანთი ქვეყნის დაცვაში ანთებულნი ბრძოლობდნენ და საკუთარ სისხლს.

თუ საშუალო საუკუნეებში „ქრისტიანული სარწმუნოებისათვის ბრძოლა, ეს იყო ბრძოლა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის“ (ივ. ჯავახიშვილი), XIX საუკუნიდან „სალვთო საქმედ“ იქნა ჩათვლილი მამულისათვის თავის გაწირვა, ვინც არ უნდა ყოფილიყო მტერი, მაჰმადიანი, თუ ქრისტიანი, მაგალითად: ალექსანდრე ბატონიშვილი, რუსების წინააღმდეგ თავგამოდებული მებრძოლი, ასევე რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპული ლევან ბატონიშვილის შესახებ წერდა: ლევანი უკვე სამოთხეში იმყოფება, რადგან თავი დასდო მამულისათვისო, როგორც ნ. ბერძენიშვილი მიუთითებდა“ „ეჰ ახალი, საინტერესო მომენტია აღნიშნული. აქამდე საქართველოს მტრები მაჰმადიანები, (მაინცდამაინც არაქრისტიანები) იყვნენ. ამიტომ სამშობლოს მტრების წინააღმდეგ მებრძოლი, სარწმუნოების წინააღმდეგ მებრძოლიც იყო და, ამდენად ასეთ ბრძოლაში დაღუპული სამოთხეში დამკვიდრდებოდა. ალექსანდრე ბატონიშვილმა კი ახალი პრინციპი გამოაცხადა: სამშობლოსათვის, მამულისათვის მებრძოლი, ვინც უნდა იყოს (ხალხი თუ ცალკე პირი) და ვის წინააღმდეგაც უნდა იყოს ეს ბრძოლა (მაჰმადიანი იქნება ის თუ ქრისტიანი), სულერთია, სამოთხეს დაიმკვიდრებს: „მამულის დაცვა წმინდა საქმეა“. ამ სულისკვეთებით გამსჭვალული ქართველობა ძნელი დასაძლევი იყო მომხდური მტრისათვის.

კრწანისის ბრძოლა, დამოუკიდებელი საქართველოს მიერ წარმოებული უკანასკნელი და ყველაზე ტრაგიკული ომია. ქართველები თავიანთ მამულს იცავდნენ და ამის შეგნება აათამაგებდა მათ ძალებს. ამიტომ იყო, რომ თითქმის შეუძლებელი შეძლეს — აღა-მაჰმად-ხანის მრავალრიცხოვან ლაშქართან პირველი შეტაკება მოიგეს და მოღალატე რომ არა, იქნებ სხვაგვარადაც წარმართულიყო ჩვენი ისტორია.

ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვამ ბევრი რამ შეცვალა ერის ფსიქოლოგიაში. მტრის ჯარში ოცდაბუთწლიანი სამსახური ჯოჯოხეთის ტოლფასი შეიქნა. ქართველებს არ შეეძლოთ გაეთავისებინათ იმპერიის მიერ წარმოებული ომები, მაგრამ რადგანაც ძალა ბშირად ხნავს აღმართს, მრავალი ქართველი ღვრიდა სისხლს სხვათა უაზრო ომებში.

დამოუკიდებლობის აღდგენის სამი წლის მანძილზე ქართველმა მხედრებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ მხოლოდ საქართველოა მათი სამშობლო და მხოლოდ საქართველოს შეეწირება მათი უმანკო სისხლი — სხვათათვის კი არამია.

1921 წლის თებერვალში, კოჯორ-ტაბახმელა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სთან, ბედშავი სამშობლოს დაცვაში, ბევრი ქართველი გმირი დაეცა უგუნურ, ბოროტ ძალასთან ბრძოლაში, მაგრამ ისინი სიკვდილშიც კი ბედნიერნი აღმოჩნდნენ, რადგან საკუთარი სამშობლოს დაცვას შეეწირნენ და მშობლიურ მიწაში ჰპოვეს სამარადისო განსასვენებელი.

ყველაზე შესაბრალისნი, ალბათ, ის ახალგაზრდა ჯაბუკები არიან, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე, სადღაც გადამთიეთში, ამაოდ ოცნებობდნენ თბილ ქართულ მიწაში დაემკვიდრებინათ საუკუნო სასუფეველი.

მურმან ლებანიძე იმ პოეტთაგანია, რომელმაც განვლო ჯარისკაცული ცხოვრების უსიხარულო დღეები და შეხვლო მათი გაცოცხლება ლექსებში:

„ომიდან მახსოვს უმთავრესად მე სამი
ფერი:
შავი — რომლითაც იხატება ზამთრის
ტყეები,
თეთრი — რომელიც ზამთრის ტყეებს
სპირდება ფონად
და კიდევ — ფერი გერმანულ ფრენჩის
თაგვისფერი, რომელიც მწვანეში გადადის".

მურმან ლებანიძის შემოქმედებაში ერთგვარად შეფასდა კიდეც ეს ომი, როგორც „გახრწნა", „დაცემა, დამცირება ადამის ტომის". არავითარი „არა კაც ჰკლა", „არავითარი გიყვარდეს მტერი შენი"..., რადგან ომში თვით ადამიანურობის კატეგორია დგება ეჭვქვეშ.

მურმან ლებანიძის ქვემოთ მოყვანილ ლექსში მაღალადამიანური გრძნობიერებითაა წარმოდგენილი ხიკვდილის პირისპირ მდგარი პოეტი-ჯარისკაცის გულწრფელი აღსარება:

„შენ, სად იყავ, მურმან, იმ დროს!
სული ბორცთან გაყრას გთხოვდა!
არ თქვა ახლა, არ თქვა თითქოს
ბრძოლის ველისაკენ ქროდა!
ოთხი ფუთი ბეჭში გვირდა.
ტერფისგული ლურსმანს გრძნობდა!
ღმერთო, რანაირად წვიმდა!
ღმერთო, რანაირად თოვდა!"

მურმან ლებანიძის სამამულო ომის თემაზე შექმნილ ლექსებში განსაკუთრებით გამოკვეთილია ჩვეულებრივი ადამიანის ხულიერი მდგომარეობა ომში, როცა ხულზე არავინ ფიქრობს, „ვართ სალდათები, სხვა არაფერი არ ვართ და ყველა ერთი აზრითაა შეპყრობილი, გაანადგუროს მტერი — ადამიანი!

„ომი, ბინტი, ჭრილობა, ჩირქი,
ირგვლივ ომი და პოსპიტლის ქვარტლი
...აგდიხარ ბორცი და ბორცში ცხოვრობს
სული დაღლილი და უბადრუკი".

ომი, სამართლიანიც და უსამართლოც, კაცისაკვლას მოითხოვს, პოეტს განსაკუთრებით მძაფრი და ხატოვანი პოეტური [illegible] წარმოდგენილი ომის ხა[illegible] შირებული ფიქრები:

„ვარ შემწყვდეული მარუხის კლდეში...
ოცი წლისწინდელ წვიმაზე ვფიქრობ
და მაძღარი ვარ ყელამდე ლეშით".

ლექსის უკანასკნელი სტრიქონები ვაჟა-ფშაველას ალუდას სიზმარს გვაგონებს. ჰუმანური იდეალების მქონე გმირის კოშმარული ხილვების გამომწვევი სწორედ ადამიანთა მიერ გამოგონილი ბარბაროსული ადათია, რომლის თანახმადაც მოკლულ მტერს მარჯვენა უნდა მოეკვეთოს:

„დავჯე, ჯამ ვინამ დამიდგა
კაცის ხორც იყო წვნიანი,
ვსჭამდი, მზარავდა თუმცა-ღა
კაცის ხელ-ფეხი ძვლიანი".

ალუდას კოშმარული სიზმარი პროტესტია თემის მიერ მოგონილი ბარბაროსული ადათის წინააღმდეგ, ხოლო მურმან ლებანიძის ომთან დაკავშირებული კოშმარული ფიქრები კი პროტესტი ყოველგვარი ომის წინააღმდეგ.

პოეტი, მართალია, ბევრს გვესაუბრება ომზე, ხატოვნად გვიცოცხლებს თავის ლექსებში იმ საშინელ დღეებს, მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ ან ეს თხრობა ადვილი იყოს ომგამოვლილი პოეტისათვის

„მე ვარ სალდათი (სამწუხაროდ!
ძაღლის მძორ და ცხენის ლეშ-ნაჭამი),
არ გაბედოთ ლაპარაკი
თქვენ ჩემთან ომზე".

ომმა ყველას დიდი სიმწარე აგემა, განსაკუთრებით მათ, ვინც საკუთარი თვალით იხილა „ცხენ-კაცის მძორით მოფენილი" ბრძოლის ველი, ამიტომ მისი დავიწყება შეუძლებელია.

„სუფრას ბეთანიის გზაზე
იქ მეექვსე კაცად უჯდა
ომიც, ჩვენი ცოდვით სავსე"

როგორი პოლიტიკური შეფასებაც არ უნდა მიეცეს დიდ სამამულო ომს მომავალი, ოცდამეერთე საუკუნის თაობათა მიერ, ერთი რამ ცხადია, რომ ყველაზე მეტად უბრალო ადამიანებს უჭირდათ ამ ომში, უჭირდა იმ მარადიულ ადამიანურ ხულს, რომელსაც ხახუნაულები მოუხდენია ჩვენი ცივილიზაციის არსებობის მანძილზე.

მურმან ლებანიძის პოეზია დღეის დღის პოეზიაა. პოეტი ერისკაცული გულშემატკივრობით განიცდის დღევანდელობის ყველა პრობლემას, თანამედროვეობის ხულისკვეთებით გამსჭვალული მისი შემოქმედება ორგანულ კავშირს ავლენს წინაპრებთანაც და შთამომავლობასთანაც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ნატროშვილი

ფიქრისა და ძიების გზით

(ლევან ასათიანის დაბადების 90 წლისთავის გამო)

მეოცე საუკუნის იმ მოწინავე მწერალთა შორის, რომლებიც ათეული წლების მანძილზე გამოდიოდნენ, როგორც აქტიური და დაუცხრომელი საზოგადო მოღვაწენი — უაღრესად თვალსაჩინო ადგილი ეკერა ლევან ასათიანს. ამ მაღალნიჭიერმა მკვლევარმა წარუშლელი კვალი დააჩნია ქართული ლიტერატურული აზროვნების, ლიტერატურის ისტორიის მეცნიერების და მხატვრული კრიტიკის წინსვლისა და განვითარების საქმეს. იგი როდი კმაყოფილდებოდა საკითხების მარტო იმ წრით, რომლებსაც თავის ნაშრომებში აღძრავდა; იგი, ამავე დროს, დაუღალავად იღვწოდა, რათა თავის თანამოკალმეებთან ერთად, გულითადად და მზრუნველად მოეკლო იმ დიდი მეურნეობისათვის, რომელსაც ქართული მწერლობა ეწოდება.

ლევანს მე ადრეც ვიცნობდი, მაგრამ უფრო ახლოს გავიცანი ომისწინა წლებში, როცა ეურნალ „მნათობის" რედაქციაში ვმუშაობდი. ლევანი რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი იყო. მდივანი სახელად ერქვა, თორემ ლევანი ქართული მწერლობის ამ მთავარი ეურნალის სული და გული იყო. იმ წლებში „მნათობმა" ზედიზედ გამოაქვეყნა შესანიშნავი რომანები და მოთხრობები, რომლებიც შემდგომში ჩვენი მკითხველის საყვარელ წიგნებად იქცნენ. კარგად მახსოვს, მთელი ამ მუშაობის პროცესში როგორი ფაქიზი სიყვარულით, როგორი მზრუნველობით დასტრიალებდა თავს ლევანი ყოველ ახალსა და კარგ ნაწარმოებს, რა ეანრისაც უნდა ყოფილიყო ის და რომელი თაობის მწერალსაც უნდა დაეწერა. ეს იყო ჩუმი, დაუცხრომელი მუშაობა, რომელიც, ერთი შებედვით, არა ჩანს, მასზე თითქოს მიღებულიც არ არის ლაპარაკი, ის თითქოს თავისთავად იგულისხმება, მაგრამ ეს არის მძიმე ჯაფა ხხვის ხელნაწერზე ზრუნვისა, რაც ლევანმა ხოცარი გულისხმიერებით და გულთბილობით იცოდა. ის თითქოს რედაქციისათვის იყო დაბადებული, რადგანაც მის ბუნებაში მაღალ ერუდიციასა და დიდ ინტელექტუალურ კულტურასთან შეთავსებული იყო შესანიშნავი ადამიანური თვისებები — ის ჩუმი სიყვარული, რომელიც მუდამ თან ახლავს, შინაგანად ათბობს და სტიმულს აძლევს ლიტერატორის შრომას.

მეტად სამალისო იყო ლევანთან ერთად მუშაობა. მახსოვს როგორ მოუხაროდათ მწერლებს „მნათობში" მოსვლა. იმ ბანებში ეურნალში იბეჭდებოდა კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის ჭარჯვენა". ავტორმა რომანი დასრულებული სახით როდი წარმოუდგინა რედაქციას, ნაწილ-ნაწილ მოჰქონდა და მე მახსოვს, როგორი მღელვარებით ელოდა ხოლმე ლევანი ნაწარმოების ყოველ ახალ თავს და რა გულის თრთოლვით ეცნობოდა მეთერთმეტე საუკუნის ამ ტრაგიკული ისტორიის მთელ ვითარებას, ვინაიდან იმ დროს ბევრმა და, მათ შორის, ლევანმაც კარგად უწყოდა, რომ ეს არ იყო მარტოოდენ ისტორიული რომანი, წიგნი შეფარვულად, თუმცა ფრიად გამჭვირვალედ ეხმაურებოდა და უმიზნებდა თანამედროვეობასაც — ამა, ამას საჭაროდ ვინ იტყოდა, გულში კი ბევრმა იცოდა, რომ მწერალი ამ წიგნით აფრთხილებდა ქვეყნის მბრძანებელს — მარჯვენას ნუ მოსჭრი დიდოსტატს, თორემ დადგება განკითხვის დღე და მწარედ მოგკითხავენ ყველაფერსო.

არ შემიძლია კიდევ ერთი ამბავი არ გავიხსენო. მაშინ „მნათობის" რედაქცია მწერალთა სახლის ე. წ. სპარსულ ოთახში იყო მოთავსებული. ერთ დღეს გაიღო ოთახის კარი და შემოსახსვლელთან მოულოდნელად იეთიმ გურჯი გამოჩნდა. მე მას სამით მანამდე არ ვიცნობდი, ლევანი კი მაშინვე წამოდგა და მიეგება, მერე მოხვია ხელი, როგორც უცხო და ნაპატიო სტუმარზე იციან და სკამისაკენ წაიყვანა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯდა იეთიმი, ჩუმად ჩაიყო ხელი ჩოხის უბეში, ამოიღო ლექსები და სიტყვის უთქმელად გადაეწოდა ლევანს, რატომღაც დაბნეული იყო იეთიმი. შეცბუნებულივით; ფიროსმანისა არ იყოს, ის ხომ იშვიათი სტუმარი იყო რედაქციებისა და საერთოდ ამ სახის დაწესებულებებისა. მაგრამ ლევანმა ისე შეჰღიმა, ისე მოეფერა, რომ უცებ გაახსნევინა გული, ხოლო როცა გაიხსენა ეს სტრიქონები — „გამარჯობა, ჩემო თბილისს-ქალაქო, დაკარგული შენი შვილი მოვედი", სახე გაუბრწყინდა იეთიმს. ის შიხვდა, რომ მისულა თურმე იქ, სადაც მას კარგად იცნობენ და უყვართ კიდეც. მან შინაურებში იგრძნო თავი, თვითონაც გაიღიმა, უფრო თამამად მიიხედ-მოიხედა ოთახში, მერე რატომღაც შეშფოთდა, წამოდგა და ბოდიში მოიხადა. ჩვენ ჯერ გაგვიკვირდა და მერეღა მივხვდით, რომ ის ბოდიშს უხდიდა ვაჟა-ფშაველას პორტრეტს, რომლისათვისაც თურმე თავისდაუნებურად ზურგი შეექცია.

იეთიმ გურჯის ლექსები იმავე თვეში დაიბეჭდა „მნათობის" ფურცლებზე.

არ შემეძლო, არ გამეხსენებია ეს ამბავი; მათ ცოცხალივით დამიყენეს ლევანი თვალწინ, როგორც ხარედაქციო მუშაობაში, ისე შემოქმედების სფეროში, — ეს იყო გულწრფელი მართალი კაცი, რომლის ყოველ ნაბიჯს თავისი ქვეყნის სიყვარულით ხავსე კეთილი გული წარმართავდა. ამ სიყვარულით არის გამსჭვალული მისი ყოველი ნაწარმოები. იგი ხრულყოფილად ფლობდა იმ მიმზიდველ მანერას, იმ ტრადიციას, ჩვენმა მეცხრამეტე საუკუნემ რომ შექმნა თავის ყველაზე საუკეთესო ნიმუშებში; ლევან ასათიანის ნაწერების კითხვისას თქვენ მუდამ გრძნობთ იმ სისადავეს, ძალდაუტანებელ და ღრმა ანალიზს, იმ ფართო ჰორიზონტს და მგზნებარე პატრიოტულ გულისცემას, რომელიც უხილავად გადაედება ხოლმე მკითხველს, მოჰხიბლავს მას, ადამიანისა და ქვეყნის სიყვარულს განუმტკიცებს.

ჯერ ისევ ახალგაზრდობის წლებში ლევან ასათიანი აქვეყნებს ისტორიულ-ლიტერატურულ გამოკვლევას იმ დროისათვის თითქმის ხელუხლებელ თემაზე — „ვოლტერიანობა საქართველოში". აქ მკვლევარმა გულმოდგინედ მოძებნა, აღნუსხა და დაახასიათა არა მხოლოდ ყველა თარგმანი ვოლტერიდან, რაც კი შეუსრულებია ამა თუ იმ ქართველი მწერლის კალამს, არამედ მისი უურადღების გარეშე არ დარჩენილა ის ცალკეული გამონათქვამნი საქართველოს შესახებ, რაც გაბნეულია ვოლტერის ნაწარმოებებში, თუ ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში, კერძოდ, მის მიმოწერაში ეკატერინე მეორესთან. ცხადია, პოლემიკას ამ დიდ ფრანგ განმანათლებელთან ორ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ იქნებ აღარცა ჰქონდეს აზრი, მაგრამ თუ ვოლტერს ეშლება რაიმე და ამას [illegible] საზრება თუ ცნობა საქართველოს [illegible] აღუნიშნავად მაინც არ უნდა დასტოვო, არ უნდა გაუჩუმდე. ამას თვით ისტორია მოითხოვს და ეს ჭეშმარიტება ლევანმა კარგად იცოდა. სწორედ ამიტომ მკვლევარმა თვით დიდ ვოლტერს არ აპატია, როცა მან ქართველები ერთობ მოურიდებლად მოიხსენია. მკვლევარს მოკყავს შემდეგი ადგილი ვოლტერის წერილიდან ეკატერინესადმი:

„...მოელიან ქართველების მანიფესტს, სადაც ისინი კატეგორიულად აცხადებენ, რომ აღარ სურთ უგზავნონ მუსტაფას თავისი ქალწულები. გულით მწადია, რომ ეს მართალი გამოდგებოდეს და ყველა მათი მშვენიერი ქალწული თქვენი მამაცი ოფიცრების ხელში გადავიდოდეს: მათ ისინი სავსებით დაიმსახურეს".

საქმე ეხება 1770 წლის ამბებს, როცა რუსეთი ეომებოდა ოსმალეთს და, თავის მხრივ, მეფე ირაკლიმ გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა ლეკ-ოსმალთა ჯარებს, ხოლო მხდალი ავანტიურისტი ტოტლებენი თავისი მხედრებითურთ სამარცხვინოდ გამოექცა ბრძოლის ველიდან. ქართველთა მიმართ ცინიზმითა და ეკატერინე მეორისადმი პირმოთნეობით აღსავსე ფრაზა ვოლტერისა სრულიად არახწორად გადმოხცემს მთელს ამ ვითარებას. ლევან ასათიანის ნაშრომში ამ ამბების გამო ვკითხულობთ: „რა ენაღვლებოდა ვოლტერს ქართველი ლამაზი ქალწულების ბედი! რაც შეეხება ეკატერინეს ოფიცრების დამსახურებას და „მამაცობას", ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ".

და მართლაც, მკვლევარი დაწვრილებით მოგვითხრობს ტოტლებენის უტაქტობასა და თავხედობაზე. როცა მან არა მარტო ქართველები გააგულიხა, არამედ, საკუთარი ჯარის ოფიცრებიც გადაიმტერა, ასპინძიდან გამოქცევის შემდეგ მან დაიჭირა სურამის, დუშეთისა და ანანურის ციხეები, შემდეგ გადაწყვიტა ერეკლეს ტახტიდან გადაგდება, შეპყრობა და ქართლ-კახეთის ტერიტორიის რუსეთისათვის შეერთება; მისი ბრძანებით დუშეთში, ანანურში, გორსა და ცხინვალში უკვე შეუდგენენ ბალხის დაფიცებას რუსეთის ერთგულებაზე. ამან კი მართლა საბოლოოდ გაშოიყვანა მოთმინებიდან ერეკლე. მან გადაწყვიტა ტოტლებენი შეეპყრო, რა ფასადაც უნდა დასჯდომოდა, და რუსის ჯარიც მიეყლიტა. მაგრამ ტოტლებენმა გადასწრო ლიხთ-იმერეთში, სადაც უარესი უმზგავსობა ჩაიდინა.

„ვოლტერს რომ სცოდნოდა ტოტლებენის — ამ სამხედრო მუნდირში გამოწყობილი ხლესტაკოვის ამბები, ვფიქრობთ, აღარ მოიწადინებდა გულით, რომ ქართველი მშვენიერი ქალწულები ეკატერინეს „მამაც" ოფიცრებს გადასვლოდათ ხელში". — დასკვნის მკვლევარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე წიგნში ავტორი ფრიად საინტერესოდ მოგვითხრობს ქართველ ვოლტერიანელებზე, რომელთა შორის, პირველ რიგში აღსანიშნავია ალექსანდრე ამილახვარი; ეს იყო „მოუსვენარი კაცი, რომლის ცხოვრება აღსავსეა შფოთით, ფათერაკებითა და ტანჯვით". მან დაწერა პოლიტიკური ტრაქტატი „ბრძენი აღმოსავლეთისა", გამსჭვალული ენციკლოპედისტთა იდეებით; აქვე უნდა მოვიხსენიოთ დავით ბატონიშვილი, ძე იმ გიორგი მეცამეტისა, ესოდენ მტკივნეული ემოციებით რომ შეხჩივის პატრიკოლას — „ვაი შენს გიორგის, რუსეთში მყოფმან ჩემმან შვილმან შეიხწავლა ვოლტერის ურჯული მხწავლაო"; ძაღლზე საინტერესო პიროვნება ჩანს დავით ციციშვილიც, რომელსაც ქართულ ენაზე უთარგმნია ჟან-ჟაკ რუსოს ცნობილი ლიზულება „უწყობს თუ არა ხელს მეცნიერებისა და ხელოვნების აღორძინება ადამიანთა ზნეობრივ განწმენდას". ვოლტერის პოეზიის მთარგმნელთა შორის უპირველესი ადგილი უჭირავს ალექსანდრე ჭავჭავაძეს, ბრწყინვალე ქართველ პოეტს, რომელმაც ქართველი მკითხველი ვოლტერის შესანიშნავ პოემას — „ტაქტიკას", ნათელი ჰუმანიზმისა და პატრიოტიზმის იდეებით გამსჭვალულ ამ შესანიშნავ ქმნილებას აზიარა. ყველა ამ წერილისა თუ მოაზროვნის ნაშრომისა და ღვაწლის შეფასების გზით ლევან ახათიანი სრულად წარმოსახავს იმ დროის ინტელექტუალურ ატმოსფეროს და განვითარების მთავარ ტენდენციას.

კიდევ ერთი რამ მართლაც ისტორიულ დამსახურებად უნდა ჩაეთვალოს ლევან ახათიანს: მან გამოამზეურა უძვირფასესი განძი — ძველი დროის ქართველ ქალთა პოეტური შემოქმედების ნიმუშები, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე ცხრაკლიტულში იყო ჩაკეტილი. თრთო-ოროლა სპეციალისტის გარდა, კაციშვილმა არ იცოდა, რომ არსებობდა, ვიტყვთ, პოეტი ქალი მანანა (გვარი დღესაც არ ვიცით), რომელიც ლევანის ვარაუდით, ერეკლე მეორის თანამედროვე უნდა იყოს. ჯერ ისევ 1927 წელს, ჟურნალ „ქართულ მწერლობის" ფურცლებზე და შემდეგ თავის წიგნში „ძველი საქართველოს პოეტი ქალები" (გამოკვლევა და ტექსტები), რომელიც 1930 წელს გამოსცა მეცნიერებათა აკადემიამ, ლევანმა გამოაქვეყნა სხვა პოეტების ნაწარმოებებთან ერთად, მანანას ლექსებიც. რომელთა ავტორი, მკვლევარმა გაბედა და დავით გურამიშვილის დიდი სახელის გვერდით მოიხსენია. ახათიანის ზემოხსენებულ წიგნში ვკითხულობთ:

„მანანა მარტოა გურამიშვილივით... ქრისტიანულ-მისტიკური ხულისკვეთება ყველაზე უფრო მწვავე ექსპრესიით მოცემულია დავით გურამიშვილის ლირიკაში. დავითს აქვს, სხვათა შორის, ლექსი „ოვალი ცოდვების მოგონება" და სახინანულო სიტყვები", სადაც პოეტი ... ცოდვილიანობაზე, კეთილი საქმის ... დამძიმებულ სულზე, მომავალი ხამსჯავროს მოლოდინზე. ანალოგიურია თავისი თემით მანანას „შაირნი". ამ ნაწარმოებში მანანა მოსთქვამს, რომ იგი ცოდვილი დედაკაცია და ეშინია „ამოთხის კარები დახურული არ აღმოჩნდეს მისთვის. მანანას არსება მოუცავს სინანულს".

მეორე ადგილას მკვლევარი წერს:

„ქართულ პოეზიაში დიალოგს მეტად მძაფრი ხასიათი მისცა დავით გურამიშვილმა. ცინიზმამდე მისული ირონია, სკეპტიკური განწყობილება და, იმავე დროს, უაღრესად რელიგიური გრძნობა, დამახასიათებელია მისი შემოქმედებისათვის. ასეთივე მოტივები და განწყობილება ახასიათებს მანანას პოეტურ ნაწარმოებთ".

ახლა საილუსტრაციოდ რამდენიმე ადგილი მანანას პოემიდან. ავტორი ესაუბრება თავის სულს:

აჩქარდი, სულო, ჩემთანა,
ხანი არ დაპყავ გვიანი,
შენ ჩემი შეტკბობილი ხარ,
გონიერი და ჭკვიანი,
უშენოდ მე ვერ ვიცოცხლებ,
ნუ გინდა ჩემი ზიანი,
შენ წახვალ, ზეცას იხარებ,
მე კი შემჭამენ ჭიანი.
სულო, დაგტანჯე ცოდვითა,
მანამდე ვიყავ ქალია,
მე შენ არ მოგიგონებდი,
სხვაგან მეჭირა თვალია,
ამ უსამართლო სიკვდილსა
ვერსად ვერ დავევმალია,
მოვიდა, მომცა სალამი.
შენ ჩემი გმართებს ვალია!

პოეტი ქალი წმიდა ნინოს ევედრება — მიხსენი და მიშველე, დამტანჯა ამ ცოდვითა და ვაი-ვაგლახით სავსე წუთისოფელმაო:

წმიდაო ნინოვ, მომქცევო
ქართლისა-კახეთისაო,
განმაბრწყინვეგო სოფლისა,
შუქ-მომფენელო მზისაო,
შენც მომეხმარე ქრისტესთან,
კეთილ-მორწმუნე ღვთისაო,
ეგება მიყოს წყალობა,
ნახვა მწადს სამოთხისაო.
არა ჰყავს ჩემს სულს აქიმი,
რომ შეუხვიოს წყლულია,
ღმერთო, შენს რწმუნებაზედა
მოჰსდრეკე ჩემი გული.
წყალობა მიყავ, მიბოძე,
ცრემლისა ნაკადულია,
დაიხსენ დანთქმისაგანა
ჩემი დანთქმული სულია.

მანანა თავის ლექსებში ფრიად მორიდებულად, უღრმესი მოწიწების გრძნობით შეეხარის და ლოცავს მეფე ერეკლეს თავგანწირულ ბრძოლას სამშობლოს გადასარჩენად, და დახეთ, თავის ლექსს იმის ღირსად არა სთვლის, უმღეროდეს ესოდენ ღირსეულსა და სახელოვან პიროვნებას — „აღარ დააგდო მანანამ თავის ბრიყვული გვარია, ცხებულის ხელმწიფის ქება ამ წიგნში როგორ გარია, რა ხელი ჰქონდა მეფესთან, სული აქვს საწუხარია, ღმერთო, რას მიზამ ცოდვილსა, ვარ შენი ანაბარია".

მძაფრი ირონიით არის აღსავსე მანანას „გაბაასება ციებასთან" და „მანანას კიბიდან ჩამოვარდნა". ხალისიანი იუმორით ჰყვება პოეტი ქალი, რომ „დაღესტნის ლეკი ბელადი" თურმე დიდძალი ჯარით ქართლს თავს დასხმია არა სხვა რამის გამო, არამედ სწორედ მანანას მოსატაცებლად. ეს რომ მანანამ შეიტყო, ციხესიმაგრეს შეაფარა თავი, მაგრამ ამ ფაციფუცში კიბიდან ჩამოვარდა და ხუთი საათის განმავლობაში გულწასული ეგდო იატაკზე. „იმ ურჯულოსა ფაშასა ჩემზე რად უნდა ჯარია, რისთვის მივრბოდი ციხეში, რად მოვიტეხე მხარია.., და როცა ვინმემ შეიტყო, ძევერა შეიყვარაო, არ გებრალებათ მანანა — მეუფეს მიებარაო, აბა რა იყო ასეთი, ასე რამ აიჩქარაო, სული რად მისცა ეშმაკსა, ყოფა რად გაიმწარაო".

მეტი რაღა გვეთქმის — სადაც გინდა გაიტანეთ ეს ლექსები, გაუძლებენ ყველა წუნია კრიტიკოსისა თუ რედაქტორის შეუბრალებელ მსჯავრს, ასახელებენ მთქმელსაც და გაახარებენ კიბენ გამგონსაც.

მაგრამ ლევან ასათიანის ამ ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევების წიგნის პათოსსა და ინტერესს მარტო მანანას პოეზიის შესწავლა და მზის სინათლეზე გამოტანა როდი ჰქმნის. მკვლევარს უფრო შორეულ წარსულში, თითქმის პირველ საუკუნეებში გადავყავართ, როცა ქართველი ქალი, მამაკაცთან ერთად, მასთან მხარდამხარ იწყებდა ქართლის ისტორიას, აგებდა საქართველოს სახელმწიფოს. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ქალის როლი ჩვენი პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ისტორიაში ჯერ კიდევ სათანადოდ არა გვაქვს შესწავლილი და შეფასებულიო. დასაწყისისათვის ავტორი იმოწმებს „ქართლის ცხოვრების" იმ პასაჟებს, სადაც აღწერილია, თუ ვინ აიღო პირველად ხელში კალამი, ვინ იყო პირველი მეამატიანე იმ ეპოქაში, როცა ხდებოდა მოქცევაი ქართლისა ქრისტეს სჯულზე, ვინ დაწერა პირველი ფურცლები, პირველი მონახაზები იმ დიდი წიგნისა, რომელსაც „ქართლის ცხოვრება" ჰქვია. როცა წმიდა ნინომ იგრძნო სიკვდილის მოახლოება და სული ყელში მოადგა („მოსრულ არს სული ჩემი ჩორხად ჩემდა"), თურმე იმ დღეს, ბოდბეში გახიზნულმა [illegible] წარმოსთქვა:

„მეძინების მე ძილითა [illegible] მოიხუენით ხანერელნი და დაწერეთ გლახაკი და უდები ცხოვრება ჩემი"... „მაშინ მსწრაფლ მოიხუნეს ხანერელნი სალომე უჯარმელმან და პეროეავრი სივნიელმან. იწყო სიტყუად წმიდამან ნინო, ხოლო იგინი წერდეს".

რა უამბო მათ წმიდა ნინომ, რა ჩაიწერეს ამ წარჩინებულმა მანდილოსნებმა? იგი ჰყვებოდა იმ განსაცდელზე, რაც მან გამოიარა, ვიდრე ბიზანტიიდან ჯავახეთის გზით მცხეთამდე მოაღწევდა, ჰყვებოდა როგორ დაუსხლტა ხელიდან გამხეცებულ იმპერატორ დიოკლეტიანეს, მუსრი რომ გაავლო ქრისტიანებს, ხოლო ნინო ძლივს გადაურჩა, ჩამოვიდა ქართველში, რათა ქრისტეს მადლი მოეფინა ამ წინასწარ ამორჩეული ქვეყნისათვის, რომელიც მას ესოდენ სიყვარულით შეეგება. პირდაპირ უზომო რუდუნებით, და-ძმური სიყვარულით შეხვდა მას დიდი და პატარა, ქალი და კაცი, სახახლეს ხეფე-ქალი შროშანა ცხარე ცრემლით ატირდა, როცა შეიტყო, თუ რა განსაცდელით აღსავსე გზა გამოეკლო მას, მეფის სახახლეში უნდოდა წაეყვანა იგი, მაგრამ ნინო ვერ დაითანხმა — მეფურ დიდებისა და ფუფუნებით ცხოვრებისაგან მას მუდამ შორს ეჭირა თავი, ხამეფო სახახლეში სტუმრობას მან მეფის მებაღის ღარიბული ქოხი ამჯობინა. სწორედ იქ გადაეყარა მებაღის ცოლს — ანატოსს, რომელიც ისე გულთბილად შეეგება, თითქოს პირველად კი არ ხედავდა, დიდი ხნის მეგობარი იყო. მიიპატიჟა, ძველი ქართული ჩვეულების მიხედვით, დაბანა ფერხნი, სცხო ზეთი, გაუშალა სუფრა და, მოდი აქ სიტყვა თვითონ ნინოს დავუთმოთ: „დამიგო ტრაპეზი და ღვინო და მაიძულა მე ჭამად და სმად. და დავყავ მის თანა ცხრა თვე".

ეს სიტყვები წმიდა ნინომ თვითონ უკარნახა სალომე უჯარმელს, რომელიც მარჯვედ იწერდა მის ნაუბარს. გეყურებათ რა ხდება? ღვინო დააძალეს! მერე და ვის? მიწიერ არსებას კი არა, ზეციდან ჩამოსულს, წმინდანს, ქრისტეს მოციქულთა სწორს! შეიძლება ამ სტრიქონებმა, ამოკითხულმა ღრმად მორწმუნე მემატიანის წიგნში, რომელსაც „მოქცევაი ქართლისა" ჰქვია, გაუთვითცნობიერებელ მკითხველს ყურიც მოსჭრას და თვალიც აუჭრელოს, მაგრამ ჩვენ ნუ დავივიწყებთ, რომ ქართული ქრისტიანობა ამაოდ კი არ არის ვაზთან დაკავშირებული, ქართული ჯვარი ვაზის ნახახლავით არის შეკრული ქალწულის თმებით! ამ სიმბოლოს თავისი შორს მიმავალი იდუმალი აზრი ჰქონდა, საქართველოში ქრისტეს სჯული დასაბამიდან ეროვნულ ფესვებზე დაამყნეს, ყოვლისმომცველ ქრისტიანულ ჰუმანიზმში ქართული სული ჩაა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქსოვეს. ბერძნებს. ხლავებს, და ქართველებსა ერთი ღმერთი ყავთ და მათს რწმენას საერთო საფუძველი აქვს. მიუხედავად ამისა, ეს ხალხები თავთავის ენაზე ელაპარაკება ღმერთს, ეერძოდ. ქართული ქრისტიანობა ისევე თავისებური და თვითმყოფადი მოვლენაა, როგორც ქართული კულტურა და ქართული ენა.

ზემოხსენებული გამოკვლევა, ამ ეპიზოდებიდან დაწუებული. მოძუვება მომდევნო საუკუნეებს — მკითხველის წინაშე წარმოსდგებიან მთელი თაობები მეფეთა ასულებისა, დედოფლებისა და დიდ ფეოდალთა თანამეცხედრეებისა, რომელთაც საკუთარი ძალა და ენერგია არ დაუშურებიათ ქართული მწიგნობრული კულტურის განვითარებისათვის. აქ ორიოდე მაგალითით დავემაყოფილდეთ: დადიანის ასულს, დედოფალ მარიამს (1684-1692) ჩვენი კულტურისათვის გადაურჩენია მეათე საუკუნის ძეგლი, რომლის მინაწერშიც ვკითხულობთ შემდეგს: „ჩვენ, ხელმწიფემ პატრონმა დადიანის ასულმა დედოფალთ-დედოფალმა მარიამ ესე წიგნი ურუმთა ქვეყნიდამ გამოვიხსენ და განვაახლე დაშლილი და წამხდარი ჩვენდა სადღეგრძელოდ და ცოდვათა ჩვენთა შესანობელად". მარიამს თურქთაგან გამოსყიდული ხელნაწერი ტუავის ყდაში ჩაუსმევინებია, ხელნაწერი წარმოადგენს კალიგრაფიული ხელოვნების იშვიათ ნიმუშს, რომელიც გადაწერილია შესანიშნავ პერგამენტზე. გარდა ამისა, ამავე მარიამ დედოფალს — როსტომ მეფის მეუღლეს უკვდავუყვია თავისი სახელი „ქართლის ცხოვრების" გადაწერინებით. ამ ვარიანტს, რომელიც ცნობილია „მარიამ დედოფლისეულის" სახელწოდებით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ლევან ასათიანის წიგნში მთავარი ადგილი ეთმობა ქართველ მწერალ ქალთა შემოქმედების ნიმუშებს, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ქეთევან წამებულის ერთადერთი ელეგიური ლექსი, რომელიც შირაზს „აყრობილებაში მწუხარემან სთქვა ფისტიკაურად": მკვლევარის სიტყვით, ეს ლექსი დამახასიათებელია მეჩვიდმეტე საუკუნის ქართული პოეტიკისათვის, როგორც ვერსიფიკატორული ვირტუოზობის ბრწყინვალე ნიმუში. ამას მოსდევს მომდევნო დროის პოეტთა ნაწარმოებები — მარიამ-მაკრინის „ჰიმნები", სალომეს „სევდის წიგნი", მაია გაბაონის „გამოცანა ანბანზე": მთელი ამ პოეტური მემკვიდრეობიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ ერეკლე მეორის ქალიშვილების — მარიამის, ქეთევანისა და თეკლეს ლექსები, რომლებშიც ავტორებმა გულისხმამწველი სტრიქონებით გამოიტირეს საქართველოს თავისუფლების დაკარგვა; კერძოდ, მარიამის ლექსში „მოვსთქვამ სულთქმითა საბრალოდ" ასე გამოხატავს თავის წუხილს:

იგრგვინა ცამან ჩემზედა,
რისხვითა საშინელითა,
დაჰფარნა ჩრდილოთ ღრუბელმან
მნათობთ არენი ბნელითა,
ვაი, დიდებულნი პალატნი
იქმნა მტერთ საცინელითა.
აწ განწირული უწყალოდ,
ვიწვი ცეცხლით არ ნელითა,
სად ხარ, სიკვდილო, რას ჰყოვნი,
არ მიმცემ დღესა მცირებსა,
მიგლოვდეთ მეცა მოყვასნო,
სოფლისა განაწირებსა.
დაბრუნდა ეტლი უკუღმა,
წარხდა დღე კეთილ-მზიანი,
დაემხო ტახტი მაღალი,
რა ბედნიერი, სვიანი,
განჰქირვნა ეარდნი სატრფონი,
აღარა ჰყვავის იანი,
აწ საწუთროსა მდურავი,
ვსტირ უბედური დღიანი.

ქართული აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ლევან ასათიანის ფუნდამენტურ ნაშრომს „ცხოვრება აკაკი წერეთლისა"; მის ცალკამს ეკუთვნის შესანიშნავი მონოგრაფიული ნარკვევები და ლიტერატურული პორტრეტები, რომლებშიც განხილულია ქართული კლასიკის ბუმბერაზთა — ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგისა და დავით კლდიაშვილის შემოქმედება. ამ ნაშრომებში ლევან ასათიანმა აღძრა და გადასჭრა არა ერთი საინტერესო საკითხი ჩვენი წარსულიდან, მან გამოამზეურა მრავალი დღემდე უცნობი ფაქტი თუ მოვლენა, ყოველივე ამის გამო მისი ნაშრომები ახლაც ცხოველ ინტერესს იწვევენ.

ლევანი ასევე გატაცებით მუშაობდა თანამედროვე ქართული ლიტერატურის პრობლემებზე. მისი წერილები გალაკტიონ ტაბიძის, ალექსანდრე ახალაშელის, სიმონ ჩიქოვანის, ლერ ქიაჩელის და სიტყვის სხვა ოსტატების შესახებ მეტყველებენ ავტორის მაღალ ლიტერატურულ გემოვნებაზე.

ლევანი თვითონაც ქართული სიტყვის შესანიშნავი ოსტატი იყო. მან იცოდა საოცრად მარჯვედ და ლამაზად მოკნეტა ფრაზისა; ძნელია აქ დაწვრილებით ანალიზი მისი სტილისა, მაგრამ საილუსტრაციოდ მაინც მინდა ორიოდე მაგალითი გავიხსენო. აი პირველი სტრიქონები მისი წერილისა ვაჟა-ფშაველაზე:

„1915 წელს ზაფხულში ვაჟა-ფშაველამ სამუდამოდ დაკეცა არწივის ფრთები. ფშაველებმა მას შემდეგ, ალბათ, არაერთი საკარგყმო დალიეს თავიანთ ღრეობებზე და ფანდურზე იმღერეს მისი გმირული ლექსები და სიმღერები... ვაჟა მთის ნიადგრის მჭუხარებით მოიკრა ქართულ

ლიტერატურაში. მან თან მოიტანა მანამდე უცნობი, სრულიად ორიგინალური ხმა და პირველი შთაბეჭდილება, რომელიც მან მოახდინა საქართველოზე — ეს იყო გაოცება და უდიდესი აღტაცება".

ვაჟა-ფშაველაზე მართლაც მარტო ასე შეიძლება წერა!

წერილში იაკობ ნიკოლაძეზე ლევანი იხსენებს როდენის სიტყვებს: თურმე როდენმა ოდესღაც ახალგაზრდა იაკობს მწერალ ბარბედ' ორევილის ნიღაბი 'გადასცა და წინადადება მისცა გაეკეთებინა მისი 'ბიუსტი, თანაც უთხრა:

„გააკეთე ისე, როგორც ხედავ, მხოლოდ უფრო ხმამაღლა იმღერე".

მოჰყავს რა ეს განსაცვიფრებელი სიტყვები, ლევანი ამბობს იაკობ ნიკოლაძეზე:

„მუდამ ერთგული ბუნებისა, ის იძლევა ბუნებას ისე, როგორც ხედავს და ამასთანავე მღერის უფრო ხმამაღლა, ის ემსახურება ჭეშმარიტებასა და სილამაზეს".

ერთი ფრაზა წერილიდან რეუისორ ნ. შენგელიაზე:

„ის მოკვდა იმ ასაკში, როცა იწყება შემოქმედების სიმწიფე, დიდი შუადღე შთაგონებისა".

ნატო ვაჩნაძეზე:

„ზღაპარივით დასრულდა მისი სიცოცხლე. იგი ოცნებასავით გაეხვია ღრუბელში და დაიფერფლა".

მაგონდება კიდევ ერთი საოცარი ფრაზა ლევანის მხატვრული ნარკვევიდან, რომელიც ერწოელ გლეხკაცების ცხოვრებას ეხებოდა. მასში იყო ასეთი ეპიზოდი — საშინელ განსაცდელში ჩავარდნილი ახალგაზრდა ქალი საშველად იხმობს ხალხს და ხმამაღლა იძახის — უძმო ქალი ვარ, ბიჭებო, მიხსენითო!

— უძმოს ძმა მე ვარო, — [illegible] თი ახალგაზრდა ვაჟკაცი [illegible] გადასარჩენად.

უძმოს ძმა — ეს ხალხურია, ლევანს არ ეკუთვნის, მაგრამ გამოტანა არ უნდოდა ამ ფრთიან ფრაზას, თუ სიტყვის უცნაურ შებრუნებას, რომელიც ასე მოკვეთილად გადმოსცემს ქართული ხასიათის სულსა და გულს, რომელ ეთიკურ კოდექსს არ დაამშვენებს ეს გამოთქმა, რომელიც გვასწავლის, რომ ადამიანები ძმები და და-ძმები არიან ერთი-მეორისა და მოვალენი არიან იხსნან ერთი-მეორე განსაცდელის ჟამს.

ნაადრევად წავიდა ლევანი ამ ქვეყნიდან, განუკურნებელმა სენმა ზეზეურად ჩამოამტვრა და დაადნო ეს კაცი, რომელიც შემოქმედებითი ძალების სრული სიმწიფის ასაკში იყო. მახსოვს მისი სიცოცხლის ბოლო დღეები, ქვიშხეთის აგარაკზე მას პირდაპირ თავს ევლებოდა და დღედაღამ დასტრიალებდა ხათონ მეუღლე — თინა ახათიანი, რომელმაც ასე უდროოდ დაკარგა ქმარიც და შვილიც, — ლევან და გურამ ახათიანები, უნიჭიერესი ლიტერატორი გურამი, რომ იტყვიან, მაძის ალი და ქვალი იყო, რომ გაიღიმებდა ხოლმე, შევკრთებოდი, ისე ცოცხლად დამიდგებოდა ლევანი თვალწინ. გურამი მწერალთა ახალი თაობის გზის გამკვლევი და იდეური წინამძღოლი იყო; იგი, როგორც ორიგინალური მოაზროვნე, გულდასმით იკვლევდა ქართული ეროვნული ხასიათის თავისებურებებს და ამ სფეროში მან ჭეშმარიტად ახალი სიტყვა თქვა. გურამი დიდი ხანი არ არის, რაც გარდაიცვალა, ლევანისა და გურამის სიკვდილის შემდეგ თინას სიცოცხლეს აზრი აღარა ჰქონდა და არც დიდხანს უცოცხლია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი ბაქრაძე

მწერლობის მოთვინიერება

ნაწილი მესამე

I

ულირსებო კაცი, ანუ

„ახალი ადამიანი"

ხაბჭოურ პრესაში ხშირად შეხვდებით ცნებას — „ახალი ადამიანი". 20-30-იან წლებში ხომ ხულ გაგიეებული იყვნენ ამ ცნებით და წამდაუწყმ ახსენებდნენ მას. მიუხედავად ამისა მაინც გაუგებარია და უცნობი — ვინ არის ეს „ახალი ადამიანი"? რა ბუნება და თვისებები აქვს? ამის განმარტებას ვერსად ნახავთ.

თავად ცნებას კომუნისტები ქრისტიანობას დაესესხნენ. პავლე მოციქული რომაელთა მიმართო ეპისტოლეში (თავი VI, მუხლი 6) ამბობს — „ეხე უწყით, რამეთუ ძველი იგი კაცი ჩუენი მის თანა ჯუარს ეცვა, რაითა განქარდეს ხორცი იგი ცოდვისაი, რაითა არღარა ვმონებდეთ ჩუენ ცოდვისა". ქრისტიანობის თვალსაზრისით, ქრისტეს ჯვარცმასთან ერთად მომკვდარა ძველი, ცოდვილი ადამიანი და დაბადებული ახალი, უცოდველი, აღმსარებელი ეხოს მოძღვრებისა.

ეველაფერი ნათელია და გასაგები. ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მაშინ კომუნისტების „ახალი ადამიანი" არის ის, ვინც მარქსიზმ-ლენინიზმს აღიარებს და მისი მიმდევარია. მაგრამ ამგვარი განმარტება მეტისმეტად აბსტრაქტულია არ ვიცით კომუნისტური „ახალი ადამიანის" კონკრეტული ბუნება, თვისება, ზნეობა. ასევე აბსტრაქტული დარჩებოდა ქრისტიანული ახალი ადამიანიც, რომ, ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ნაშუალებით, არ დაბატულიყო მისი ბუნება, თვისებანი, ზნეობა. ამიტომ ჩვენც ხაბჭოურ მწერლობას უნდა მივმართოთ, რომ კომუნისტური „ახალი ადამიანი" ცოცხლად და ხელშესახებად დავინახოთ.

მაგრამ, ვიდრე უშუალოდ ხაბჭოური ლიტერატურის მიერ დახატულ ადამიანზე ვიმსჯელებდეთ, ხაკითხი ასე დავსვათ — შეიძლება თუ არა ხაბჭოელი ადამიანი იყოს ჰამლეტი, დონ კიხოტი ან ფაუსტი?

გახსოვთ, ალბათ, პრინცი ჰამლეტის მამა მეფე ჰამლეტი მოკლა ძმამ კლავდიუსმა. მერე რძალი, ძმის თანამეცხედრე, გერტრუდა ცოლად შეირთო და გახელმწიფდა. პრინც ჰამლეტს ეჭვი აწამებს. ხურს ჭეშმარიტების დადგენა და დამნაშავეთა მხილება. ბოლოს ბოროტმოქმედებას ფარდა აეხდება, მაგრამ იღუპება დანიის ყმაწვილი უფლისწულიც.

ასეთია ტრაგედიის ხქემა.

ერთი შეხედვით, შექსპირის მოქმედ პირთა ხოციალური მდგომარეობა უკვე გამორიცხავს ხაბჭოელი ჰამლეტის არსებობას. პიესაში მოქმედებენ მეფე, დედოფალი, პრინცი, დიდებულები. სხრკ-ში ისინი აღარ არიან, მაშასადამე, გამოცლილია ხოციალური ხაფუძველი. მაგრამ ეს არ არის მთავარი. მარტო ამის გამო არ არის შეუძლებელი ხაბჭოელი ჰამლეტის არსებობა. თუ ხამეფო კარი არ არის, ხამაგიეროდ ჰგიეს კომპარტიის ცკ-ის ხამდივნო, პოლიტბიურო, ხადაც ბევრად უფრო მძაფრი და დაუნდობელი ბრძოლაა გაჩაღებული ხელისუფლებისათვის, ვიდრე ელსინორის ხასახლეში. გაიხსენეთ ხელისუფლების ბრძოლაში დაღუპულნი

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დამხობილნი — ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი, ბუხარინი, ბერია, მოლოტოვი მალენკოვი, ბულგანინი, ხრუშჩოვი და სხვანი და სხვანი. ვგონებ ეს ცნობილია ყველასათვის, ვინც ოდნავ მაინც იცნობს სსრკ-ის პოლიტიკურ ცხოვრებას.

საბჭოელი ჰამლეტი შეუძლებელია არსებობდეს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მწერლობას აკრძალული აქვს ამხილოს ის უნამუსობა, ინტრიგა, შური, მტრობა, ღვარძლი, დაუნდობლობა, ხიძულვილი, რაც კომპარტიის ცკ-ის სამდივნოსა თუ პოლიტბიუროში სუფევს. ეს მწერლობის ხალაპარაკო არ არის. კომუნისტებმა თავიანთი საქმე თავად იციან და სხვას იქ ხელი არ მიუწვდება. კომპარტიის ცკ-ის პოლიტბიუროს ცხოვრება და საქმიანობა შეუღწეველი საიდუმლოებით არის მოცული. ერთადერთი, რაც შეიძლება მასზე საბჭოელმა მოქალაქემ იცოდეს, გახლავთ, ის, რომ პოლიტბიურო სათნოების, კაცთმოყვარეობის, სიყვარულის სადგურია, სადაც დღედაღამ, ძილში თუ ღვიძილში სსრკ-ის მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნავენ. არ ჭამენ და არ სვამენ კომუნისტები, ოღონდ საბჭოელ ადამიანს არა გაუჭირდეს რა. აბა, რომელ ჰამლეტს, უფლისწულს თუ გლეხს, მისცემენ იმის უფლებას, რომ ეს საეჭვოდ მოიჩვენოს, არ დაიჯეროს და ეშმარიტების დადგენა მოიწადინოს? ტუუილის ზღვაში სიმართლის მარცვლის პოვნა გადაწყვიტოს? ცხადია, არავის. ამიტომ საბჭოელი ჰამლეტი ზღაპარშიც კი გამორიცხულია არსებობდეს.

იქნებ დონ კიხოტის საქმეა უკეთ და მის ორეულს აქვს უფლება სსრკ-ში იცხოვროს? ვნახოთ.

იცით ეს — დონ კიხოტს რაინდული რომანების კითხვამ აურია გონება. გადაწყვიტა, უსინდისობითა და უსამართლობით სავსე წუთისოფელში კეთილის დასამკვიდრებლად ებრძოლა, უმწეოსა და დაჩაგრულის ქომაგი გამხდარიყო. ეს არის დონ კიხოტის ქმედების მამოძრავებელი ზამბარა.

ცნობილია, სსრკ-ში მოქალაქეები თუ კითხულობენ რაიმეს, კითხულობენ მხოლოდ მარქსიზმ-ლენინურ ლიტერატურას. ვის შეუძლია გაბედოს და თქვას — მარქსისტულ-ლენინურმა ლიტერატურამ მავანი და მავანი პიროვნება შეშალა და ისიც ცხენზე ამხედრდა, საკურთმეტვირთველი იახლა და სსრკ-ში კეთილის დასამკვიდრებლად წოგზაურობსო?

ოფიციალური დადგენილების თანახმად, მარქსიზმ-ლენინიზმი ერთადერთი მართალი, ეშმარიტი და ადამიანის გამაბედნიერებელი მოძღვრებაა. ყოვლად მიუღებელი და დაუჯერებელია მან ვისმეს გონება შეურყიოს. პირიქით, საკმარისია კლინიკურ გიჟს ლენინის ერთი ტომი წააკითხოთ, რომ მაშინვე [illegible] ხალი ჭკუა.

(არც ინდუსტრიული, საკოლმეურნეო და КГБ-ისტური რომანები ემუქრება საბჭოელ მოქალაქეს შეშლილობით. ესენიც მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით არის დაწერილი და, რა თქმა უნდა, მხოლოდ გონებრივი ხიჭანხალის წყაროა.

ხოლო, რაც შეეხება სსრკ-ში კეთილის დასამკვიდრებლად ბრძოლას, ეს ხომ მთლად უაზრობა და სისულელეა. 1917 წლის ოქტომბრიდან რუსეთში და მის კოლონიებში სამუდამოდ გამეფებულია კეთილი და ვის სჭირდება მისთვის ბრძოლა! ხოცვა-ჟლეტა, ძარცვა-გლეჯა, მეკრთამეობა, ფლანგვა, ხალტურა, კომბინატორობა, ციხე კატორღა — ეს კომპარტიის მიერ საბჭოელ ხალხზე ზრუნვის გამოვლენაა და არა ბოროტება. ერთი მითხარით, იმ ქვეყანაში, სადაც ასე ტოტალურად ბატონობს კეთილი, დონ კიხოტს რა ეხაქმება? ვის წინააღმდეგ უნდა იბრძოდეს იგი?

როგორც ხედავთ, არც დონ კიხოტი შეიძლება იყოს საბჭოელი მოქალაქე.

ფაუსტის საქმე ხომ სულ წამხდარია. იგი ისე გამოყეყეჩდა, რომ მეფისტოფელთან შეკრა პირობა. სსრკ-ში რომელმა ბალღმა არ იცის, რომ არც ღმერთი არსებობს და არც ეშმაკი, არც ჭინკა და არც ქაჯი. როგორ შეიძლება არარსებულთან კავშირი? თან ამ ფაუსტს თავისთავი ბრძენი ეგონა, სამყაროს ხაიდუმლოს წვდომა უნდოდა და თან ეშმაკის არსებობა სჯეროდა და მასთან ურთიერთობაც გაბა. ასე გულუბრყვილო და მიამიტი სსრკ-ში არავინ არის. არავინ მოტყუვდება ასე ხულელურად. თუ სამყაროს ხაიდუმლოებათა წვდომა გინდა აიღე და წაიკითხე მარქსი, ენგელსი, ლენინი, კომპარტიის ცკ-ის ინსტრუქციები და ყველა იდუმალება, ზესკნელისა თუ ქვესკნელისა, ამოხსნილია.

ასე, რომ საბჭოელი ადამიანი არც ფაუსტი შეიძლება იყოს.

რა ვქნათ ახლა? აშკარაა და ცხადი, რომ ვერც ჰამლეტი, ვერც დონ კიხოტი, ვერც ფაუსტი ვერ იქნება საბჭოელი მოქალაქე. ვერცერთი მათგანი ვერ აკმაყოფილებს კომუნისტური „ახალი ადამიანის" მოთხოვნილებას. იქნებ სხვებს, კლასიკური ლიტერატურის ჩვენთვის ნაცნობი პერსონაჟებიდან | რომელიმეს აქვს უფლება იყოს საბჭოელი „ახალი ადამიანი"? გავიხსენოთ ზოგიერთი.

ანდრეი ბოლკონსკი თავადია და უკლასო საზოგადოების შვილი, საბჭოელი ადამიანი ვერ გახდება. ოქტომბრის რევოლუციამ დაამხო არისტოკრატია, მათი ბატონობა, მათი პრივილეგიები. მართალია „ომსა და მშვიდობაში" არსად არის ნათქვამი ან ნაჩვენები, რომ იგი

ვისმეს ჩაგრავდა, ყველფდა, ირთმევდა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. ლევ ტოლსტოი თვით იყო გრაფი და, ბუნებრივია, გაბატონებული კლასის მხარე ეჭირა. იგი ანდრეი ბოლკონსკის მამხილებელ სურათებს არ დახატავდა. ჩვენ, მარქსიზმ-ლენინიზმით შეიარაღებულებს, ვინ მოგვატყუებს. ვიცით, ზედმიწევნით ზუსტად ვიცით — რა შვილებიც ბრძანდებოდნენ თავადები, გრაფები, ბარონები. როგორ წოვდნენ სისხლს ისინი მშრომელ ადამიანებს. ოქტომბრის რევოლუცია რომ არ მომხდარიყო, ახლა რუსეთის იმპერიაში აღარ იქნებოდა აღარცერთი მუშა, აღარცერთი გლეხი. ისინი სულ, ერთიანად შეჭმული იქნებოდნენ. დარჩებოდნენ მარტო კაპიტალისტები და მემამულეები. მართალია, არ ვიცით, რას იზამდნენ ეს კაპიტალისტები და მემამულენი, როცა მუშისა და გლეხის ხორცი გამოელეოდათ. მაგრამ მიზნად რომ მშრომელი ადამიანის განადგურება ჰქონდათ, ეს უტყუარი და უეჭველია. თუ არ გჯერათ, დაკვირვებით წაიკითხეთ პროპაგანდისტული ლიტერატურა, ისტორიული და სოციოლოგიური გამოკვლევანი, სადაც ცარიზმის ხაშინელებანია მხილებული და ყველაფერს მაშინვე ირწმუნებთ. არც საბჭოურ მწერლობას დაუკლია ბელი, მანაც უხვად შეთხზა ნაირნაირი ეპირის თხზულებანი, ამსახველი კლასობრივი ჩაგვრისა, ექსპლუატაციისა და ყვლეფისა.

როცა საბჭოელი მკითხველი ასეა აღზრდილი და მომზადებული კომუნისტური პარტიის მი. ერ, როგორ დაიჯერებს იგი, რომ **КНЯЗЬ** ანდრეი ბოლკონსკის არავინ აეწიოკებინოს, გაწყვიდოს, გაეუპატიურებინოს, ძაღლში გაეცვალოს?

ვერ იქნება ანდრეი ბოლკონსკი კომუნისტური „ახალი ადამიანი" მეტად დიდი ცოდვა აწევს კისერზე მის კლასს. ვერც ბოროდინოში თავდადება გამოისყიდის ამას და ვერც გრაფი ტოლსტოი აგვიბამს თვალს, საბჭოელი ბალბის კლასობრივ სიფხიზლეს ვერაფერი დაიჩლუნგებს.

ცხადად ვხედავთ, რომ კომუნისტურ „ახალ ადამიანად" თავადი არ გამოდგება. იქნებ გლეხი გამოდგეს. ვთქვათ, ღატაკი, უბედური, გაროზგილი გოგია უიშვილი? ვიდრე პასუხს გავცემდეთ, გავიხსენოთ — რა ჰქნა მან. ვერ აიტანა დამცირება, შეურაცხყოფა, გაწკეპლვა და თავი მოიკლა. ყოველმა საბჭოელმა მოკალაჯემ იცის, რომ თვითმკვლელობა არ არის შეგნებული გლეხის საქციელი, გოგია უიშვილი შეგნებული გლეხი რომ ყოფილიყო, თავს არ მოიკლავდა. იგი მაშინვე დატოვებდა სოფელს, წავიდოდა ქალაქში, დაიწყებდა მუშაობას ქარხანაში. შევიდოდა მუშათა მარქსისტულ (ადრე მარტო მარქსისტულიც ეძახოდა, ახლა აუცილებელია მარქსისტულ-ლენინური) წრეში, გაეცნობოდა, შეიხვეწლიდა კლასობრივი ბრძოლის არსს და, რუსეთის იმპერიის ყველა პროლეტარიატთან ერთად, იბრძოლებდა მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალა-უფლების დასამხობად.

რაკი ასე არ მოიქცა გოგია უიშვილი, ცხადია, მას კომუნისტური „ახალი ადამიანის" სახედ ვერ მივიჩნევთ. უფრო მეტიც, მის წინამორბედადაც ვერ ივარგებს.

ნუ იფიქრებთ, რომ საგანგებოდ მივმართავ უტრირებას. თავისთავად გამოდის ამგვარად. როგორც კი საბჭოური ლიტერატურის თეორიულ მოთხოვნილებათა არსის გადმოცემას დაეპირებთ, მაშინვე უტრირებული და სასაცილო სურათი იხატება.

კლასიკური მწერლობის ნიმუშების მოშველიებით ვერ ვუპასუხებთ კითხვას — ვინ არის კომუნისტური „ახალი ადამიანი"? ამიტომ საკითხის გასარკვევად მივაკითხოთ საბჭოურ ლიტერატურას.

ქართველი საბჭოელი მკითხველი ზედმიწევნით იცნობს კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ციხეს". მას სკოლაშიც ასწავლიან.

ამ რომანში, გარდა მეკი ვაშაკიძისა, არცერთი პერსონაჟის სულიერი განვითარება არ ხდება სოციალისტური სინამდვილის გავლენით. ყველა იმადვე რჩება, რაც იყო.

ბარნაბა საგანელიძე შეძლებული, ბობოლა გლეხი იყო. მას სწამდა, სჯეროდა კერძო საკუთრების. უყვარდა იგი. მას სძულს სოციალიზმიც და საბჭოური ხელისუფლებაც, რაკი ორივე კერძო საკუთრების მოსპობისათვის იღვწის. ამიტომ შეძლებისდაგვარად ებრძვის ბარნაბა საბჭოურ ხელისუფლებას. მასში გარდატეხა არ ხდება: სოციალიზმის მოძულე და წინააღმდეგია ბარნაბა საგანელიძე ბოლომდე.

ჩარჩი და ვაჭარი იყო ერემო პირტახია. არც მისი სამშვინველი განიცდის რაიმე ძვრას. რაც უყვარდა, უყვარს. რაც სძულდა, სძულს.

ბოლშევიკია და სოციალიზმის მეტრფე ტარასი ბაზარაძე. ცხადია, ასეთივე რჩება იგი და რაიმე ცვლილება უცხოა მისთვის.

უცვლელი რჩებიან თალიკო, ბაჟუა ვარდოსანიძე, ხაუომია, დახუნდარა და სხვანი. ახალი დრო, ახალი იდეოლოგია, ახალი სოციალ-პოლიტიკური სისტემა მათი სამშვინველის გარდაქმნა-გარდატეხას არ იწვევს. ყოველ მათგანს რა დამოკიდებულებაც ჰქონდა დროსთან, იდეოლოგიასა და სოციალ-პოლიტიკურ სისტემასთან იგივე შერჩათ ბოლომდე. ამ გაქვავებულ სამყაროში ერთადერთი კაცია მეკი ვაშაკიძე, რომლის ცნობიერებაში რაღაც იცვლება.

(მეკი ვაშაკიძე უპატრონო, უსახლკარო, ობერტიალი ყმაწვილი იყო. ახალგაზრდობა მან ერემო პირტახიასა და ბარნაბა საგანელიძის მოჯამაგირეობაში გაატარა. მერე იგი, ტარასი ხაზარაძის მზრუნველობით, კომუნაში შიიღეს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედან იწყება მისი შეცვლაც. თუ ადრე ჯანსა და ღონეს მეკი ერემოსა თუ ბარნაბას ოჯახების კეთილდღეობას ალევდა, ახლა მთელი სოფლისათვის შრომობს. თურმე უდიდესი უბედურებაა, თუ პიროვნების მოჯამაგირე ხარ, ბოლო გაუგონარი ბედნიერებაა, თუ კოლექტივის მოჯამაგირე გახდები. სხვა არსებითი ცვლილება მეკის ცხოვრებაში არ მომხდარა. ერთადერთი, რაც მან კოლექტივის მოჯამაგირეობით შეიძინა, გახლავთ ის, რომ ტრაქტორისტობა ასწავლეს. ასეც უნდა მომხდარიყო. აქ არაფერია განსაკუთრებული. თუ ბარნაბა საგანელიძის საყანე მიწის დასამუშავებლად ხარი, გუთანი და ბარიც კმაროდა, კოლექტივის თვალუწვდენელ ხოდაბუნებს ტრაქტორი სჭირდება. კოლექტივის მოჯამაგირესაც ის ხელობა უნდა ესწავლა, რაც აუცილებელი იყო ახალი ბატონისათვის.

მეკი ვაშაკიძემ ახალი ხელობაც ისწავლა და ახალი ზნეობაც შეიძინა. თუ იგი პიროვნების მოჯამაგირეობის დროს დაბეჩავებული, მორიდებული, მოკრძალებული ბიჭი იყო, რომელიც „უბატონოდ" სიტყვას ვერავის შეუბრუნებდა, კოლექტივის მოჯამაგირეობამ მკვლელი და მძარცველი გახადა.

მხატვრული ნაწარმოები, მართალია ილუზიური, მაგრამ მკაფიოდ ჩამოყალიბებული სამყაროა. როგორია ეს სამყარო, როგორი ადამიანები ცხოვრობენ მასში, ამას მკითხველი ავტორის (მწერლის) დახასიათების მიხედვით კი არ იგებს, არამედ იმის შესაბამისად — რა მოვლენები ხდება მასში, როგორია პერსონაჟის საქციელი, ფიქრი, დამოკიდებულება ცალკერძ თავისთავისადმი, ცალკერძ სხვათადმი. ეს ისევე ხდება როგორც რეალურ სინამდვილეში. ყოველ ჩვენთაგანს რეალურ სინამდვილეზე წარმოდგენა იმის მიხედვით კი არ ექმნება, — რას ჩაგვჩიჩინებენ აგიტატორები და პროპაგანდისტები, — არამედ იმისდა თანახმად — რა ხდება ამ რეალურ სინამდვილეში, როგორ ცხოვრობს მასში ადამიანი.

როცა ამ თვალსაზრისით შევხედავთ მეკი ვაშაკიძის ცხოვრებას, ნათლად დავინახავთ, რა მიმართულებით შეიცვალა იგი.

კომუნისტებმა ბარნაბა საგანელიძეს, როგორც კულაკს, ქონება უნდა წაართვან. მის შესანარჩუნებლად ბარნაბამ ხერხს მიმართა: ნივთები ურემზე დააწყო. ზევიდან ლეიბ-ბალიანი გაშალა და „ავადმყოფი" თალიკო დააწვინა. დასახმარებლად მეკის მოუხმო. როგორმე „სნეული" თალიკო ქუთაისში ჩაიყვანეო. ბარნაბა ვარაუდობდა: მეკი ბოლშევიკების კაცია და ურემზე ეკვს არავინ მიიტანსო.

მეკი თხოვნისთანავე საგანელიძეების ოჯახში გაჩნდა. მას თავდავიწყებით უყვარდა თალიკო და ახლა საშუალება ეძლევა ერთგულება დაემტკიცებინა.

ურემმა, რომელზეც „სნეული" თალიკო იწვა და წინ მეკი მიუძღოდა, ქუთაისისაკენ გასწია. გზაზე მათ ხაჟომია წამოეწია. ხაჟომიას დაუდევრობამ და სულწასულობამ ბარნაბა საგანელიძის ხაიდუმლო გამეღავნა. მეკი ყველაფერს მიხვდა. იგი უკვე „ახალი ადამიანი" იყო და, ცხადია, მტკიცედ გადაწყვიტა: კულაკისათვის საკუთარი ქონება აღარ გაეტანებინა და იგი საბჭოური ხელისუფლებისათვის ჩაებარებინა.

თავგამეტებული ეძგერა მეკი ხაჟომიას, სარმა გამოჭრა და იგი მიწაზე დააგორა. ახლა ციტატი ამოვწეროთ მეტი საბუთიანობისათვის: „მეკი ზურგზე მოეკცა (ხაჟომიას — ა. ბ.). ხაფეთქელში მუშტი დაჭრა და უსულოდ მიაგდო".[1]

ასე მოკლა მეკიმ ხაჟომია. თალიკოს რაღა უყო? ეს არ ვიცით. უკანასკნელად მეკიმ თალიკოს მძულვარებით შეხედა, — მეზიზღებიო, — უთხრა და გაეცალა ქალს. მართალია, მერე ვხედავთ, როგორ მოპყავს მეკის სოფელში საგანელიძეების ქონებით დატვირთული ურემი, მაგრამ ზედ თალიკო აღარც ზის და აღარც წევს.

ასე გაძარცვა მეკიმ საგანელიძეების ოჯახი.

უთუოდ ისიც უნდა გავიხსენოთ — რა ქონებას მალავდა ბარნაბა საგანელიძე და რას ართმევდნენ მას კომუნისტები. უნდა გავიხსენოთ იმიტომ, რომ იქნებ მართლა ზღაპრული, უთვალავი საგანძურის პატრონი იყო ბარნაბა და კომუნისტებმა ცდუნებას ვეღარ გაუძლეს?

უკვე ის, რომ ბარნაბა საგანელიძის ქონება ერთ ურემზე დეტია, ნათლად მეტყველებს, რისი მფლობელიც იყო გასატ. ,ებლად გამეტებული „კულაკი", მაგრამ ურმით მიღებულ შთაბეჭდილებას ნუ ვენდობით და რომანში სიტყვასიტყვით წავიკითხოთ, რა ეწყო ურემზე.

— რა წამოიღეთო, — ეკითხება ხაჟომია თალიკოს. ქალი უპასუხებს — „ხალიჩები, ოქროვერცხლი, ჭურჭელი, ტანისამოსი..."[2] კარგად დაკვირდით, ადამიანს ართმევენ ჭურჭელსაც და ტანისამოსსაც. მე მგონია, ხაჭირო არ არის განმარტება — ვინ არის იგი, ვინც ადამიანს ჭურჭელსა და ტანისამოსს ართმევს.

ნუ დაგაბნევთ თალიკოს პასუხში ნახსენები ოქრო-ვერცხლიც. ცოტა ქვემოთ შეიტყობთ — რა ოქრო-ვერცხლია ეს — მეკიმ „ხურჯინს ხელი მოუფათურა. მაღალყელიანი სურები შეიცნო, ვერცხლით მოჭედილი ყანწები".[3]

---

1 კ. ლორთქიფანიძე — „კოლხეთის ცისკარი", 1963 წ., გვ. 355.

2-3 იქვე, გვ. 353-354.

ხულ ეს ეოფილა. სხვა არაფერი წერია რომანში. თუმცა უნდა დავამატოთ — ეაბარდოული ხარები, რომელნიც უღელში იყვნენ შებმულნი (ნურც ამას დატოვებთ უყურადღებოდ — გლეხს ხარის ყოლის უფლება არა აქვს!).

კარგად ჩანს, რომ ბარნაბა საგანელიძეს ჩვეულებრივი ხალხური ნივთები ჰქონია და მეტი არაფერი. ჰქონია ის, რაც უნდა ჰქონდეს ყოველ ნორმალურ ადამიანს, თუ იგი მუშა-საქონლად არ არის გადაქცეული.

აი, რისი გადამალვა უნდოდა თურმე ბარნაბა საგანელიძეს.

აი, რისთვის ძარცვავდნენ მას კომუნისტები.

აი, რა საქმეში მონაწილეობს მეკი ვაშაკიძე და თან ხაკუთარი ხურვილით, ძალდაუტანებლად.

იქნებ ეს მცირე კონება ბარნაბა საგანელიძემ სხვა[1] წაართვა ან უნამუსო გზით იშოვნა და ამდენად, ასე თუ ისე, ხამართლიანად ჩავთვალოთ, თუ მასაც ჩამოართმევენ? არა, ბარნაბა მუშაკაცი იყო და, რაც ჰქონდა, ყველაფერი მწარე და მძიმე შრომით იყო შეძენილი. აი, ხაბუთიც რომანიდან.

„ბარნაბას მძიმე, ხაოიანი ხელისგული დღეცისმარე მიწას ეფერებოდა, მიწაც მისი გამგონი და მორჩილი იყო.

ოცდასამი წელიწადი გავიდა, ქეიფში არ გაუთენებია, ძილში არ დაუღამებია, არც ქალის კაბას გამობმია: მიწის რჯული დროს ტარებას უკრძალავდა".

ასე გაძარცვა მეკი ვაშაკიძემ ადამიანი. ადამიანი მუყაითი, ბეჯითი, მშრომელი. მაგრამ ამის გამო (არც ხაეომიას მოკვლისათვის) მეკის ოდნავადაც არ შეუწუხებია თავი. არ უგრძვნია სულ მცირედი ტკივილიც კი ხინდისისა. პირიქით, თავი გალალებულად იგრძნო, რაკი მიხვდა, რომ პატრონსნება საბოლოოდ დათრგუნა და ჩაკლა თავისთავში. ამიერიდან იგი უკვე თავისუფლად ჩაიდენდა ყოველგვარ სისაძაგლეს, რადგან მისთვის აღარ არსებობდა ნამუსი, როგორც ადამიანის ხაქციელის დარაჯი.

უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ „კოლხეთის ცისკარში" ამოვიკითხეთ კომუნისტური „ახალი ადამიანის" ერთ-ერთი ნიშან-თვისება.

კომუნისტური „ახალი ადამიანი" კოლექტივის მოკამაგირეა. ამ კოლექტივის სასარგებლოდ იგი დაუფიქრებლად მზად უნდა იყოს მკვლელობისათვისაც და მძარცველობისთვისაც. დაკარგული უნდა ჰქონდეს ხინდისის ქენჯნის უნარიც.

პროლეტარულ მწერლობას ისე არაფრის ეშინოდა, როგორც ხიყვარულის. მაგრამ ეს ვაშაკიძეს კი არ ემუქრებოდა ხიყვარულს რცხვენითა და თავისმოკრძალებით, არამედ ყველა პროლეტარს და ღატაკ გლეხს. განსაკუთრებით ფრთხილად უნდა ყოფილიყვნენ ძველი ბოლშევიკები, რომელნიც რევოლუციის შემდეგ მოდუნდნენ. პროლეტმწერლობა სახტიკად ებრძვის ხიყვარულს, დასცინის მას.

რამ გამოიწვია ეს? რატომ გახდა ხიყვარული ხაშიში? ხიყვარული ბუნებრივი, ბიოლოგიური გრძნობაა და კლასობრივ დიფერენციაციას არ ემორჩილება. შესაძლებელია გლეხს აზნაურის ან თავადის ქალი შეუყვარდეს (ხომ უყვარდა მოკამაგირე მეკი ვაშაკიძეს კულაკის ბარნაბა საგანელიძის ასული თალიკო!). პროლეტარი, მუშა ბურჟუას ოჯახის შვილს ეტრფოდეს. ძველმა რევოლუციონერმა ბოლშევიკმა არისტოკრატიული შთამომავლობის ქალი შეირთოს. ეს არა მარტო მოხალოდნელი იყო, არამედ ასეც ხდებოდა. მაშინ კლასობრივ ბრძოლას რა ემართებოდა? როგორ უნდა მოქცეულიყო ამგვარ სიტუაციაში პროლეტარული თუ გლეხური წარსულის მქონე „ახალი ადამიანი?" ეს ხაკითხი პროლეტმწერლობას ძალიან აწუხებდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ არისტოკრატიული, ბურჟუაზიული თუ კულაკური ოჯახიდან გამოსული ქალი სოციალიზმისა და ბოლშევიზმის დაუძინებელი მტერი იყო. პროლეტმწერალი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ამ ქალების მიზანი მუშის, გლეხის, ბოლშევიკის დაღუპვა იყო, მათი რევოლუციური ხიფხიზლის მოდუნება ეოცნებებოდა და მერე, რასაკვირველია, კლასობრივი მტრის შავი ზრახვების განხორციელება. ის კი ავიწყდებოდათ, რომ მარქსის ცოლი ბარონესა იყო, ბარონესა ჟენი ფონ ვესტფალენ, ხოლო ლენინის თანამეცხედრე ნადეჟდა კრუპსკაია — აზნაურის ქალი. ამას პროლეტმწერლობისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამეთუ მათი კლასობრივი ბრძოლა უნდა აეხახათ და წინასწარ შედგენილი მოდელის შესაბამისად ეწერათ.

რას აკეთებდა ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი „ახალი ადამიანი"? პასუხს პროლეტარული მწერლობა გვაძლევს.

იაკინთე ლისაშვილის რომანში „ვარდნილი" ძველ ბოლშევიკს ლევან ქვაკირელს[1] ცოლად ჰყავს მდიდარი გლეხის ქალი ქეთო. მავნებელი რევაზ ფხაკაძე მაშინვე მიხვდება, რომ რაკი ქეთო მდიდარი ოჯახისშვილია, შესაძლებელია მისი გამოყენება მტრული მიზნის განსახორციელებლად. ფხაკაძე მავნებელ ინჟინერს პეტრე კაკანაძეს ავალებს: „— თქვენ აუცილებლად უნდა გახდეთ ქვაკირელის ახალგაზრდა ცოლის

1 კ. ლორთქიფანიძე — „კოლხეთის ცისკარი", 1963 წ., № 2, 265-266.

1 გვერს მიაქცევთ ყურადღება: ძველი ბოლშევიკი. ქალი და ერთი ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულის მესაიდუმლე. ეს, როგორც მე ვიცი, არც ისე ძნელი საქმე იქნება. ქვაკირელი უკვე 40 წლის კაცია, მისი ცოლი კი მხოლოდ 20 წლის თუ არის. ქვაკირელის ცოლი გამოსულია მდიდარი გლეხის ოჯახიდან, გაუნათლებელია, მისი ბუნება კერძო საკუთრების და განდიდების სურვილზე უფროა დაყრდნობილი, ვიდრე კომუნისტურ იდეებზე. ჩვენ კი ამ ქალის სწორედ ამ სუსტ მხარეს უნდა ჩავკიდოთ ორივე ხელი და ჩვენსკენ დავითრიოთ".[1]

რომანში არაფერია ნათქვამი — რატომ შეირთო 40 წლის ბოლშევიკმა მდიდარი გლეხის 20 წლის გოგო, ან, თუ მავნებელი ფხაკაძე მიხვდა, როგორი ბუნების იყო ქეთო, რატომ ვერ გამოიცნო ეს 40 წლის ბოლშევიკმა ლევან ქვაკირელმა? მაგრამ ამგვარ კითხვებს პროლეტმწერლისათვის არა აქვს მნიშვნელობა, იგი მოდელის შესაბამისად მოქმედებს.

ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც ფხაკაძემ დაგეგმა.

კაკანაძემ შვებულება ითხოვა — დაღლილი ვარ და ცოტა ხნით დავისვენებო. ქვაკირელმა მას შვებულება მისცა და თან სთხოვა — თქვენს მეზობლად აგარაკი ჩემი ცოლისთვისაც იქირავეთო. კაკანაძესაც ეს უნდოდა. წაღვერში მან ორი აგარაკი დაიქირავა: ერთი თავისთვის, მეორე ქეთოსათვის. ეს ხელსაყრელი შემთხვევა კაკანაძეს ხელიდან არ გაუშვია და ქეთო ხაყვარლად გაიხადა.

მერე ისინი თბილისში დაბრუნდნენ. ერთ დღეს ქეთო შინ ესტუმრება კაკანაძეს. ახლა ი. ლისაშვილს მოუსმინეთ:

„— წამოდი ჩემთან, — საჩქაროდ მიმართა მან ქეთოს და ისინი მეორე ოთახში გავიდნენ.

ამ ოთახიდან რამდენიმე წუთის შემდეგ გამოვიდა მარტოდ კაკანაძე. რომელიც შუბლზე და მთელს სახეზე გადმოღვრილ ოფლს ცხვირსახოცით იშორებდა" (გვ. 255).

სატრფოს ხარეცელიდან წამომდგარმა კაკანაძემ წერილი მისწერა სევა კალაძეს. ეს ბარათი მან ქეთოს გაატანა ვარდნილის მშენებლობაზე. ქეთომ არ იცოდა, რა ეწერა წერილში. მან უბრალოდ პეტრე კაკანაძეს თხოვნა შეუსრულა. თუმცა ამ წერილით მავნებლებს განკარგულება მისცეს ეფეთქებინათ კაშხალი.

რა ქნა ლევან ქვაკირელმა, როცა გაიგო ცოლის უნებლიე მონაწილეობა ბოროტმოქმედებაში?

წაიკითხეთ, რაც წერია რომანში:

„როდესაც ქვაკირელმა გაიგო, რომ ყოველივე ამის მონაწილეა მისი ცოლი ქეთო — ის უეცრად ერთ ადგილას გაიყინა, შემდეგ ერთი წუთით უკანვე მიბრუნება განიზრახა, რომ ტყიდან გამოვარდნილი მხეცივით მივარდნოდა ავტოში დარჩენილ ქეთოს [illegible] ის... მაგრამ არა, ლევანი ჩქარა მიხვდა, რომ ახლა ამის დრო არ არის, რომ ახლა მის წინაშე დგას უფრო მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა, რომლის გადაწყვეტა დროს ველარ ითმენს და მან ისევ მტკიცე გადაწყვეტილებით გახსნა წინ კაშხალისაკენ" (გვ. 278).

ძველმა ბოლშევიკმა ჯერ კაშხალის გადარჩენაში მიიღო მონაწილეობა და მერე ცოლი დააპატიმრა

„ლევან ქვაკირელს გული შეუტოკდა. მთელი ძარღვები დაეძაბა, ქეთოსკენ ერთი მაგარი გამომეტყველებით მიიხედა, ლოგინთან მივარდა და უეცრად ქეთო ხელში პატარა ბავშვივით აიყვანა.

ქეთო კნაოდა, ქვაკირელის მაგარ მკლავებში გამომწყვდეული, თავის განთავისუფლებას ცდილობდა, მაგრამ ამაოდ. მამაკაცის მაგარ ძვლებზე ტკეჩივით იღუნებოდა ქალის სუსტი, ნაოუთი ძვლები (ენის უცოდინარობას ნუ მიაქცევთ ყურადღებას. ეს ყველა პროლეტმწერლის სენი იყო. — ა. ბ.) და ქეთომაც თავის განთავისუფლების იმედი დაკარგა

— ძალლებო, ხისხლის მსმელებო! — იგინებოდა ის, ხოლო ლევანი მას პასუხს აღარ აძლევდა და მძიმე ნაბიჯების მოცვლით ხამმარიველოსაკენ მიჰყავდა თავისი „ერთგული" და „ხაიმედო" ცოლი..

ლევანმა მიიყვანა ის შეგროვილ ხალხთან, დაპატიმრებულის ავტოში ჩასვა და, როდესაც ავტოს კარი მიკეტა, ლევანის გულს აღარ ჭკნენდა და აღარ ღრღნიდა ქეთოს თავშეუკავებელი, გესლიანი სიტყვები" (გვ. 283-284).

ნუ იფიქრებთ, რომ „ვარდნილი" უბრალოდ უსუსური რომანია და ამის ბრალია ადამიანთა ესოდენ პრიმიტიული წარმოდგენა. ასე არ არის. ამ რომანს აღტაცებული შეფასება მისცეს ს. ჩიკოვანმა, ბ. ეფენტმან ვ. გაფრინდაშვილმა, ი. ვაკელმა.[1] გ. ნატროშვილი კი წერდა: „ამით ხდება „ვარდნილი" ახალი ბელეტრისტიკის ისეთ ნიმუშად, რომელშიაც მოსჩანს ჩანასახები ნამდვილი სოციალისტური რეალიზმისა, სამყაროსთან ახალი მიმართულისა; ყოველი მოვლენა ამგვარ პროზაში პროლეტარულ მსოფლმხედველობის დარჯაქშია გატარებული, ნაჩვენებია არა ქვეყანა: საერთოდ, არა „ღვთაებრივი" ხილულჯე ცისა და ზურმუხტი დედამიწისა, არამედ პროლეტარული მიწა, პროლეტარული ქარხანა"[2]

1 ი. ლისაშვილი — ვარდნილი, 1933 წ., გვ. 26-27.

1-2 ი. ლისაშვილი — ვარდნილი, 1933 წ., გვ. XXXI-XXXII; XXII-XXIII.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ხაზგასმულია გ. ნატროშვილის მიერ. მისათვისებელია, რომ „ვარდნილში" აღწერილია ელსადგურის მშენებლობა და არა ქარხნის — ა. ბ.).

ამდენად უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ „ვარდნილში" გამოვლენილია ადამიანისადმი დამოკიდებულების ის პრინციპი, რომელსაც საერთოდ აზიარებდა კომუნისტური სიტყვაკაზმული ლიტერატურა.

„ვარდნილმა" გაგვაცნო კომუნისტური „ახალი ადამიანის" კიდევ ერთი ნიშან-თვისება: იგი უნდა იყოს ნებაყოფლობითი მილიციელი, ნებაყოფლობითი КГБ-ისტი და თავად უნდა პატიმრებდეს თავის ოჯახის წევრებს, თითქოს კომუნისტებს დამჭერი და დამპატიმრებელი აკლდეთ.

ამ დასკვნას ადასტურებს იმავე იაკინთე ლისაშვილის მეორე რომანი „ძახილი მთაში".

ღატაკი გლეხის სოლომონ ხურციძის ვაჟს ნოდარს უყვარს კულაკის პავლია შარაძის ქალი ეთერი. ცხადია, პავლია შარაძეს უნდა კულაკური ბოროტი ზრახვების განხახორციელებლად გამოიყენოს ქალ-ვაჟის სიყვარული. იგი ეთერს ურჩევს, თავი ისე დაიჭირე თითქოს არ გიყვარსო და ამით კიდევ უფრო მტკიცე გახდებაო ნოდარის ტრფობა შენდამი. ეთერი მამის მზაკვრულ რჩევას დაიჯერებს. ეს მდგომარეობა ნოდარს საშინლად აეფორიაქებს. ვერ გაუგია — მართლა უყვარს ეთერს იგი თუ არა. ერთხელ ღამით, ძარღვებაშლილი და მთვრალი ნოდარი მათი პაემანის ადგილისაკენ გაეშურება. იგი წაიწყდა ჩაპალახით თავპირაბვეულ ორ მამაკაცს. ეს ნოდარს საეჭვოდ მოეჩვენება და მათ თვალყურისდევნებას დაუწყებს. უცნობი ხალხი პირები ჯერ მატარებლის ჩამოსვლას მოუცდიან და მერე მგზავრებს აედევნებიან, ბნელ კუთხეში ერთ-ერთ მგზავრს მოკლავენ, გაძარცვავენ და მიიმალებიან. ნოდარი მაშინვე გამოუდგება მკვლელებს. მაგრამ ვერ დაიჭერს. ამასობაში სოფელი ბოროტმოქმედების ამბავს შეიტყობს. მკვლელებს დაუწყებენ ძებნას, მაგრამ ვერ იპოვნიან. ხელთ მხოლოდ ნოდარი შერჩებათ. მას დაპატიმრებენ. ეჭვით იგი მიაჩნიათ მკვლელად. რატომღაც ნოდარი არ იტყვის — რა და როგორ მოხდა. მხოლოდ წამდაუწყმ ყვირის — დამნაშავე ვარო. ეს კიდევ უფრო აძლიერებს სოფლელების ეჭვს. რამდენიმე დღის შემდეგ ნოდარს სოფლის საკუსაღოდან გაიყვანენ და სხვაგან წაიყვანენ. გზაში ნოდარსა და მილიციელებს თავს დაესხმის უაჩაღების ჯგუფი, გიგო კურნოზაშვილის მეთაურობით. მილიციელებს დაბოცავენ და ნოდარს გაათავისუფლებენ. თურმე ეს იმიტომ ჩაიდინა გიგო კურნოზაშვილმა, რომ მასაც უყვარს ეთერი და ნოდარის საშუალებით აპირებს მის ხელში ჩაგდებას. სოფელში ხმა გავრცელდება, რომ უაჩაღებმა ნოდარის გულისთვის დაბოცეს მილიციელები. სოფლის აღშფოთებას საზღვარი არა აქვს. მართალია უკვირთ — კომკავშირელი და უაჩაღი? მაგრამ ფაქტი ვერაფრით აუხსნიათ.

თავზარდაცემულია ნოდარის მამა სოლომონ ხურციძე. კოლმეურნეობაში მას დასცინებენ: „...ვნახოთ, რამდენი ადგილი უჭირავს შენში უაჩაღ შვილს და კომუნისტობას". ამას კი ვეღარ მოითმენს სოლომონი, დაავლებს თოფს ხელს და შვილის მოსაკლავად გაეშურება.

ტყეში სასოწარკვეთილი ნოდარი დაასკვნის — ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნიაო — და გიგოს ეცემა. რევოლვერს წაართმევს. გიგო გაიქცევა და ნოდარი დაედევნება (სხვა უაჩაღები ამ დროს სად იყვნენ, არ ვიცით).

როცა სოლომონმა უაჩაღების ბუნაგს მიაღწია, დაინახა, რომ შვილი ავაზაკებს ედავებოდა.

„ალბათ, ნაძარცვზე იწყება ჩხუბიო, — გაუელვა თავში, მისი გული ისე ფეთქავდა, როგორც ზღვა ძლიერ გრიგალში.

„— შვილი? — ჰო, არასოდეს არა მყოლია! მკვდარი ხარ, შვილო! მკვდარი ხარ!" — იყვირა მან.

როდესაც შვილისაკენ მიშვერილი ბერდანის გასროლა დააპირა, შენიშნა უაჩაღი, რომელიც რევოლვერით ხელში ნოდარს ზურგიდან ეპარებოდა. ის იყო ნოდარისათვის უნდა ესროლა, რომ სოლომონმა ვერ მოითმინა და პირველი მას გაუგზავნა, მეორეთი კი შვილი დასცა ძირს".[1]

დიახ, დიახ ასე წერია სიტყვასიტყვით, უაჩაღმა რომ მოუკლას შვილი, ეს დაუშვებელია. უთუოდ თვითონ უნდა განგმიროს. სხვათა შორის არც აქ იცის მკითხველმა, ამ დროს დანარჩენი ავაზაკები რას აკეთებენ. თუმცა ავტორი იმას კი გვატყობინებს, რომ ნოდარმა მაინც მოასწრო გიგოც მოეკლა და კიდევ ერთი უაჩაღი. როგორ?

ადგას თავს მომაკვდავ შვილს სოლომონი და ესმის ნოდარის სიტყვები — „კომკავშირელი ვიყავი. გადაეცი ჩემს ამხანაგებს..." სოლომონი მაშინვე მიხვდება, რომ შვილი დამნაშავე არ არის. ამასობაში სოფლელებიც ამოვლენ ტყეში და მძიმედ დაჭრილ ნადირს სოფელში წაიყვანენ

ნოდარი გადარჩება, რაკი კომკავშირელი და მართალი იყო.

ეს ეპიზოდიც უსაშველოდ მოსწონდა ლიტერატურულ კრიტიკას და აქებდა და ადიდებდა. საბუთად ერთი ამონაწერი.

---

1. ი. ლისაშვილი — ძახილი მთაში, 1940 წ., გვ. 178.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მეტად ერუანტელდამვლელია სცენა, როდესაც ნოდარის მამა მოხუცი სოლომონი სირცხვილის ჩამოსაწმენდად გასწევს შვილის მოსაკლავად ბერდანის თოფით ხელში და თოვლით შემოსილ მთებს გადალახავს. ის ერთადერთი აზრითაა გამსჭვალული, რომ შვილი დიდიხანია ზნეობრივად მოუკვდა და ახლა ფიზიკურად უნდა მოსპოს იგი. აი, ისროლა... გაისმა მომაკვდავი შვილის კვნესა. ეს კვნესა გამოაფხიზლებს მამას, მიიკრებს და დაჭრილ შვილს ველური ღმუილით დასტირის (ღმუილი არ არის რომანში. იგი კრიტიკოსს მოეჩვენა — ა. ბ.). როგორც უკვე ნამდვილი მამა და არა როგორც მარტოდენ მოქალაქე, ჩვენი საზოგადოებრიობის სიფხიზლის სადარაჯოზე გადმომდგარი და შვილმაც შეუნდო მამას:

„...მამა, მე ყველაფერი ვიცი... შენ მართალი ხარ, მე დამნაშავე... მაგრამ ყაჩაღი მაინც არა ვარ... მე ვკვდები კომკავშირელი...“ (არაზუსტად არის ციტირებული — ა. ბ.)

და ეს წრფელი აღსარება იმდენად დამაჯერებელია, რომ ფხიზლდება და მზადაა შვილის სიცოცხლეს შესწიროს უკანასკნელი სუნთქვა, რომელიც ისევ ველურ ამონაკივლში გადმოიღვრება:

— ამუ!“[1]

კომუნისტურმა „ახალმა ადამიანმა“ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოავლინოს მოყვასის სიყვარული. ეს სისუსტე, უნიათობა და უბერხემლობაა. ერთადერთი, რაც მას უნდა უყვარდეს ეს პროლეტარიატია.

პანტელეიმონ ჩხიკვაძის პერსონაჟი, ბოლშევიკი და საკმაოდ ფაბრიკის დირექტორი გრიგოლ გიგაური (რომანი „სართულები“) თათბირს ატარებდა, როცა შეატყობინეს, რომ მისი პატარა ბიჭი ავარიაში მოჰყვა. მას ერთი წუთით ენა დაებორკა, მაგრამ თავი მალე შეიკავა და თათბირი გააგრძელა. გრიგოლმა ეს წამიერი დაბნეულობა ვერ აპატია თავისთავს.

„გიგაურს მწარედ გაელიმა. ენის დაბორძიკებაში და მეტყველების დაჩლუნგებაში საკუთარი სისუსტე აღმოაჩინა... ხასიათის და ნების სისუსტე!.. თორემ აბა, რას უნდა მიეწეროს გიგაურის ასე უცაბედი დარეტიანება? ფიქრობს ის თავისთვის... — აბა რა მოხდა ისეთი? კატასტროფა, უბედური შემთხვევა! მერე?“.[2]

მერე რა, ბავშვი თუ დაიღუპა? განა თათბირი შვილის სიცოცხლეზე უფრო მნიშვნელოვანი არ არის? ეს არც ეეჰვება „ახალ ადამიანს“ გრიგოლ გიგაურს და [illegible] ჩაატარებს.

საბედნიეროდ, პატარა გურამი არ დაღუპულა. მაგრამ სიცხით გათანგული, მძიმე ავადმყოფი წევს. მამა, გრიგოლ გიგაური, ფაბრიკაში უნდა წავიდეს და მიტინგი ჩაატაროს. ცოლი, ლუარა, ემუდარება, ნუ წახვალო: „— ადამიანო, ბავშვი სიგიჟის კარზე გვყავს, სიცხით იწვის და შენ დღეს ზეიმის ხასიათზე ხარ? შენ კიდევ ორატორობასა და ხაზეიმო სხდომაზე გამოსვლას ფიქრობ?“ (გვ. 270). რა თქმა უნდა, გრიგოლი ლუარას ყურსაც არ ათხოვებს, სნეულ შვილს დატოვებს, ფაბრიკაში წავა და მიტინგს ჩაატარებს. ფაბრიკაში მისულ გრიგოლს „ტანში ერუანტელი უვლის, ერუანტელი სიხარულის და აღტაცების...“ და იცით რატომ? იმიტომ, რომ „მოსჩანს გაელვარებული დაზგები და დაზგებთან სპეციალისტებში მორთული მუშები“ (გვ. 271).

გრიგოლი ისე იქცევა, როგორც კომუნისტურ „ახალ ადამიანს“ შეფერის, მაგრამ ის თუ მიხვდით ლუარას რატომ უყვარს შვილი და რატომ ეხვეწება ქმარს, ავადმყოფ ბავშვს ნუ დატოვებო? ლუარა არისტოკრატიული ოჯახის შვილია და ჯერ კიდევ შეპყრობილია ქრისტიანული კაცთმოყვარეობის გრძნობით. ამ ქალის შერთვა შეცდომაა, რომელიც რატომღაც ბოლშევიკ გრიგოლ გიგაურს მოუვიდა. მაგრამ მარტო ეს უბედურება არ ხვირს გიგაურს. მისი ძმა ლევანი მავნებელთა წრეში აღმოჩნდა ჩათრეული. როცა ლევანი მოჰკლეს, გრიგოლი დასაფლავებაზე არ წავიდა.

„— გრიშა!

— რა გინდა ლუარა?

— წავიდეთ... მიცვალებულსაც ხომ პატრონობა სჭირდება, გრიშა!

— იმას სათანადოდ უპატრონებენ...

— საბრალო ლევან! — აღმობდა ისევ ლუარას გულიდან.

— ლუარა! არცერთი ოხვრა და ხამძიმარი...“ (გვ. 198).

ასეთი მტკიცე და კლდესავით ურყევი არიან კომუნისტური „ახალი ადამიანები“. მაგრამ რატომღაც ყველას ერთი შეცდომა მოსდის; ან უყვართ ან ცოლად ირთავენ კლასობრივი მტრის ქალებს. იმ რომანებში, სადაც კომუნისტური „ახალი ადამიანია“ დახატული, არ არის ახსნილი რით არის გამოწვეული ეს შეცდომა. აქ შეიძლებოდა ერთი ვარაუდი დაგვეშვა: როცა რევოლუცია მიმდინარეობდა ბოლშევიკებს მოსწონდათ ტყავის ჭურთუკში და ხალდათურ ჩექმებში გამოწყობილი მაუზერიანი დედაკაცები, რომელნიც ადამიანებს ისევე იოლად ხოცავდნენ, როგორც ბუზებს. რევოლუციის მერე, როცა ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში და გაბატონდნენ, გაპირუტყვებული **подруга**-

---

1 ეკრ. „ჩვენი თაობა“, 1940 წ., № 9, ლ. კასრაძე —ლიტერატურული შენიშვნები, გვ. 43-44.

2 პ. ჩხიკვაძე — სართულები, 1934 წ., გვ. 260-261.

ები აღარ ეპიტნავებოდათ და გული ნაზი, კდემამოსილი და ჰაეროვანი ასულებისაკენ მიუწევდათ. ცხადია, ოფლისა და სისხლის სუნით აყროლებულ ქალთან ლოგინში კოტრიალს, იქ მანდილოსანთან ნებივრობა სჯობდა, ვისაც ნაირნაირი ნელსაცხებლის სურნელი ასდიოდა. თან კლასობრივი მტრის ქალიშვილების ხელში ჩაგდება არც ისე ძნელი იყო, ისინი, შიშით გულგახეთქილნი, ოღონდ ცოცხალი გადავრჩეო, უსიტყვოდ მიჰყვებოდნენ გამარჯვებულ ბოლშევიკებს.

სეკსუსმა პრაქტიკოს კომუნისტებს კლასობრივი შუღლი დაავიწყა. მაგრამ თეორეტიკოსი ბოლშევიკები მაინც ებრძოდნენ სიყვარულის ნიადაგზე კლასობრივ შერიგებას. ალბათ ამიტომ შემუშავდა მოდელი — რევოლუციონერი ბოლშევიკი და კლასობრივი მტრის ქალი. მათი ურთიერთობა, როგორც წესი, მხატვრული ლიტერატურის გმობის საგანი იყო. თეორეტიკოსები აშინებდნენ პრაქტიკოსებს — კლასობრივი მტრის ქალი გადაგაგვარებსო და იხატებოდა პერსონაჟები. მსგავსი სევასტი თალაკვაძის შექმნილი ბაიაშვილისა (რომანი „გადასახვლელი"), ნათავადარმა ცოლმა კომუნისტ ბაიაშვილს დააკარგვინა ბოლშევიკის სახე. ამ ქალის წყალობით ბაიაშვილი ისე დაეცა, რომ, ჯერ ერთი, კომკავშირელ თინას არშიყობა დაუწყო და, მეორეც, რევოლვერი ჰქონდა ჯიბეში მაგრამ კულაკის ვაჟს ჭუჭულა ეპატავს ვერ ესროლა.

ხედავთ, სანამდე შეუძლია მიიყვანოს კომუნისტი ნათავადარ, ბურჟუაზიოფილ ან კულაკის ქალს! ამ საშინელებას საბჭოური მწერლობა ვერ უძლებდა და თავგადადებული ებრძოდა სიყვარულს!

ბორის ჩხეიძის რომანში „ფერო" მელაშა, აქტივისტი მუშაქალი, ფიქრობს:

„— მაგრამ სიყვარული? — ეკითხებოდა იგი თავისთავს. და ამაში იგი გულისხმობდა არა იმ სიყვარულს, რომელსაც გულისხმობდა ვოლკოვი, როდესაც ხედავდა ამხანაგებს (ორგანიზაციულად დარაზმული ამხანაგების სიყვარულს). არა, იგი გულისხმობდა ქალისა და კაცის სიყვარულს. მელაშა ჯერ მაინც არ ასულიყო იმ ხიმაღლეზე, რომ მას გაერჩია იგი და მოტყუუდა".[1]

მელაშას შეეშალა: მას ეგონა, რომ ვოლკოვს იგი უყვარდა, როგორც ქალი. ვერ მიხვდა, რომ ვოლკოვს იგი უყვარდა, როგორც ორგანიზაციულად დარაზმული ამხანაგების ერთ-ერთი წევრი. ეს ქალის ჩამორჩენილობის ბრალი იყო, მელაშა კი, იმის მაგიერ რომ ეს გაეგო, ხალარიკმახეროში გაიქცა. თმები შეიკრიჭა, პომადა წაიხვა, წარბები გამოიქნა. მაღაზიაში პარფიუმერიული საგნებიც კი იყიდა. ეს რომ დაენახა პიონერმა შვილმა, კინაღამ გაგიჟდა და ლუდს ეხვეწებოდა — „— პირი დაიბანეთ, [illegible] რი დაიბანე. შენ ხომ ჩემი დედიკო ხარ დედიკო..." (გვ. 254).

მკითხველი რომ არ დაიბნეს უნდა გაგახსენოთ ვოლკოვისა და მელაშას ძველი ურთიერთობა.

ვოლკოვი და მელაშა თავდაპირველად პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე შეხვდნენ ერთმანეთს ზესტაფონში. ვოლკოვი „იყო ამ რაიონში არალეგალურად მომუშავე. მელაშამ მისი არც გვარი იცოდა და არც სახელი. იგი თვით არ ამხელდა და ამხანაგებმაც არ იცოდნენ ნამდვილად. მელაშას ის შეუყვარდა მხოლოდ იმისათვის, რომ ის არალეგალურად მუშაობდა" (გვ. 164).

შეუყვარდა და შვილიც შეეძინა მისგან.

მერე ვოლკოვი ომში წაიყვანეს და იგი დაიკარგა. ვოლკოვი მხოლოდ თხუთმეტი წლის შემდეგ დაბრუნდა ზესტაფონში. მელაშამ იგი ვერ იცნო. ვოლკოვმა იცნო მელაშა, მაგრამ თავი არ გაახსენა. მას არც ყოფილი სიყვარული აინტერესებდა და არც შვილი. იგი ზესტაფონში ქარხანას აშენებდა და ეს იყო მთავარი. მოხდა ისე, რომ მელაშას მეორედაც შეუყვარდა ვოლკოვი. მაგრამ ვოლკოვმა მეორედაც დატოვა ქალი. მან ზესტაფონში ქარხნის მშენებლობა დაამთავრა და გაგზავნეს „ახალ შენებაზე სადღაც ავღანისტანის თუ სპარსეთის საზღვარზე" (გვ. 251). აი, მაშინ იყო, რომ დაბნეულმა მელაშამ იკითხა — „მაგრამ სიყვარული?" — და ხალარიკმახეროშიც შეიარა კოსმეტიკისათვის, რამაც პიონერი შვილის გულისტკივილი გამოიწვია.

მაგრამ ამჯერად „ფერო" მხოლოდ სიყვარულისადმი დამოკიდებულების საჩვენებლად არ გამიხსენებია. „ფეროს" გვაცნობს კომუნისტური „ახალი ადამიანის" კიდევ ერთ ნიშან-თვისებას. კომუნისტურ „ახალ ადამიანს" არც ღვიძლი ერი უყვარს და, სულ ერთია, ვინ იქნება იგი ეროვნებით.

„ფეროს" პროტაგონისტი ლუკა ვოლკოვი ქართველი ლავრენტი მგელაძეა, მაგრამ მას არც ნამდვილი სახელისა და გვარის დაკარგვა აწუხებს და არც ეროვნების.

„იგი კმაყოფილი იყო, რომ მას ერქვა ლუკა ვოლკოვი და არა ლავრენტი მგელაძე. ბოლოს და ბოლოს სულ ერთი იყო მისთვის, პირადად ვინც უნდა ყოფილიყო, რუსი თუ ბური, ქართველი თუ ესკიმოსი, მას ჰქონდა ცხოვრებისათვის საჭირო პირობები, იგი იყო პროლეტარი, პარტიზანი, მშენებელი, შრომობდა და სწავლობდა და ესმოდა ცხოვრება როგორც ბრძოლა, დაპყრობა ბუნების, მისი მოყვანა წყობაში და შრომაში" (გვ. 248).

1 ბ. ჩხეიძე — ფერო, 1932 წ., გვ. 251.

ამიტომ სძულდა მას სიტყვა „პატრიოტი“. როცა ერთხელ ეს სიტყვა მისი მისამართით ითქვა, ვოლკოვს „დაავიწყდა ყველაფერი და ყურებში უტრიალებდა მხოლოდ სიტყვა „პატრიოტი“, რომელიც მას სძაგდა და ეშინოდა კიდევაც. თუკი მას ეროვნული თვალსაზრისით მიაწერდნენ ამ თვისებას. სული შეეხუთა. ენა დაება და მოჰყვა სლოკინს, აკანკალდა...“ (გვ. 114).

ახლა კომუნისტური „ახალი ადამიანის“ უკვე ჩამოთვლილ ნიშან თვისებებს დავუმატოთ ისიც, რაც მიხეილ ჯავახიშვილმა აგვიწერა „დამპატიჟეში“ და მივიღებთ სრულ პორტრეტს.

ერთ დღეს შრომით წელში ოთხად მოკეცილ მებაღე თევდორეს ვიღაც ოქროპირი, მეტახელად დამპატიჟე ჩაუსახლეს. კაცშვილმა არ იცის საიდან მოვიდა და ვინ არის ეს დამპატიჟე. არც ხნავს, არც თესავს, არც მკის, ხელსაც არ ანძრევს, სულ ჩრდილშია წამოწოლილი. მაგრამ არხეინად კი ცხოვრობს, ქეიფობს, ეროობა, დროს ატარებს, დილიდან საღამომდე ვა. ხალალოს გაპკივის.

თევდორეს ამუშავებენ, ცხრაპირ ტყავს აძრობენ გადასახადებით, დაჭერითა და გადასახლებით ემუქრებიან. მოცვივდებიან, თევდორეს სუფრას გააშლევინებენ და სანამ ძირფესვიანად არ გამოხრავენ, არ მიდიან. დამპატიჟეს კი არავინ აწუხებს და არავინ ემუქრება. ის თევდორეს აზის კისერზე და სისხლს წოვს. ბოლოს დამპატიჟე თევდორეს ბაბალესაც შეირთავს და ბერიკაცის სამუდამო მუყლეფელი გახდება.

„ოთხფეხს ტკიპა შეუჩნდება, ფუტკარს წინწკალი ჩაუჯდება, ხეს ხავსი და ფითრი მოეკიდება. კლდესაც კი ფათალო ჩაეკხოვება და ასე სცხოვრობენ სხვისი წვენით. ნეტა ადამიანიც ასე ხომ არ არის მოწყობილი?“

ფიქრობს თევდორე და დღემდისაც ვერ გადაუჭრია“.

ის, რაც თევდორემ ვერ გაარკვია, ჩვენთვის ნათელი და ცხადია. სწორედ კომუნისტური „ახალი ადამიანია“ ის ტკიპა, წინწკალი ბავსი, ფითრი და ფათალო, რომელიც პატიოსანი მუშაკის ნაშრომ-ნაოფლარით იკვებება და სისხლით რწყულდება.

ასე შეიქმნა კომუნისტური „ახალი ადამიანი“ სოციალისტურ ეპოქაში.

რა თქმა უნდა, მაშინაც ნამდვილი მწერლობა წერდა ნამდვილ ადამიანებზე, მაგრამ გაბატონებული იდეოლოგია მათ ულმობლად ებრძოდა. უწოდებდა მტერს, ნაკაცარების, ზედმეტი და ყოფილი ადამიანების მომღერალს.

ამ ბრძოლას სრულიად კონკრეტული მიზანი ჰქონდა. იგი ასე გამოთქვა პარტიულმა მუშაკმა და პუბლიცისტმა გრიგოლ მუშიშვილმა: „პროლეტარული მწერლობა მუშათა კლასის მომავალი ლიტერატურაა, რომელიც [illegible] ბატონდეს სავსეებით და მოლეანდ[illegible]

პროლეტარული მწერლობა [illegible] ნიშნავდა ლიტერატურასა და ცხოვრებაში ინ „ახალი ადამიანის“ პარპაშს, რომელიც ზემოთ დავახასიათეთ.

ეს განადგურებით ემუქრებოდა ჰუმანიზმს, ყოველგვარ ადამიანურს თვით ცნებები — „ზედმეტი ადამიანი“, „ყოფილი ადამიანი“ — ანტიჰუმანისტური იყო. ამას ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ებრძოდნენ რუსი მწერლები, რადგან ცნებები — „ზედმეტი ადამიანი“, „ყოფილი ადამიანი“ გასული ასწლეულის რუსულ ლიტერატურაში გაჩნდა და კომუნისტმა იდეოლოგებმა იქიდან ისესხეს. კომუნისტებს დაავიწყდათ ის მძაფრი პროტესტი, რომელსაც ობლომოვი გამოთქვამდა პენკინთან საუბარში (ივ. გონჩაროვი — „ობლომოვი“).

„— გამოსახე ჭურდი, დაცემული დედაკაცი, მტკნარი სულელი და იქვე ადამიანიც არ დაგავიწყდეს. ადამიანურობა სადღა არის? თქვენ მხოლოდ თავით გინდათ წეროთ! — თითქმის სისინებდა ობლომოვი. თქვენ ფიქრობთ, რომ აზრისათვის გული არ არის საჭირო?, არა აზრი სიყვარულით ნაყოფიერდება. გაუწოდეთ ხელი დაცემულ ადამიანს, რომ წამოაყენოთ იგი, ანდა მწარედ იგლოვეთ ის, თუ იღუპება, მაგრამ ნუ გაამასხარავებთ, გიყვარდეთ იგი, გახსოვდეთ მასში თავისთავი და მოეპყარით მას, როგორც საკუთარ თავს, — მაშინ წავიკითხავ თქვენს წიგნებს, მაშინ დავბრი თქვენს წინაშე თავს... — თქვა მან და ისევ დაწვა წყნარად დივანზე. — ხატავენ ისინი ჭურდს, დაცემულ დედაკაცს, — ამბობდა იგი, — ადამიანი კი ავიწყდებათ, ანდა არა აქვთ მისი გამოსახვის უნარი. რა ხელოვნებაა აქ, როგორი პოეტური ხალებაგები იპოვნეთ თქვენ? ამხილეთ გარყვნილება, ჭუჭყი, მხოლოდ, გეთაყვა, პოეზიის პრეტენზია ნუ გექნებათ,

— რაო, რას გვიბრძანებთ, ბუნება გამოვახახოთ! ვარდები, ბულბულები თუ სუსხიანი დილა, მაშინ, როცა დუღს, მოძრაობს ყველაფერი ირგვლივ? ჩვენ გვჭირდება მხოლოდ შიშველი ფიზიოლოგია საზოგადოებისა; არ გვცალია ჩვენ ახლა სიმღერებისათვის...

— ადამიანი, ადამიანი მოგვეცით! ამბობდა ობლომოვი, — გიყვარდეთ იგი.

— გიყვარდეს მეკახეზე, ფარმისეველი, მპარავი და გონებაჩლუნგი მოხელე — გესმით? რას ამბობთ? როგორ გეტყობათ, რომ ლიტერატურულ საქმიანობას არ ეწევით! — ცხარობდა პენკინი. — არა ისინი უნდა დაიხაჯონ, უნდა გავაძევოთ საზოგადოებიდან, მოვკვეთოთ მოქალაქეთა წრეს...

---

1 ქურ. „ფნათობი“, 1928 წ., № 8-9. გვ. 169.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოგკვეთოთ მოკალაქეთა წრეს! — შთაგონებული ალაპარაკდა უცბად ობლომოვი და წინ დაუდგა პენკინს. — ეს ნიშნავს დაივიწყოთ, რომ ამ უვარგის ბურჟელში არის უზენაესი სანუსხი: რომ იგი წამხდარი კაცია, მაგრამ მაინც ადამიანია. ე. ი. ხართ თქვენ თვითონ. უნდა გაძევოთ! მაგრამ როგორ განდევნით კაცობრიობის წრიდან, ბუნების წიაღიდან, ღმრთის გულმოწყალებიდან? — თითქმის ყვიროდა იგი და თვალები უელავდა".

ხაბეოურმა მწერლობამ დაივიწყა ის ჭეშმარიტი, რომელსაც ასე ცხარედ იცავდა ობლომოვი და პენკინების ანტიადამიანურ გზას გაჰყვა. შედეგიც სათანადო და შესაფერისი მიიღო. ხაბეოურ საზოგადოებას დეეპატრონა და ბატონად გაუხდა ჭურდი, მეკრთამე, კომბინატორი, მფლანგველი, ხალხმწიფო ხაზინის მძარცველი, მაჭინატორი, გამომძალველი და სხვა ნაირნაირი ჯურის ავაზაკი, ანუ ის „ახალი ადამიანი", რომელიც სოციალისტურმა სინამდვილემ ჩამოაყალიბა. ამ მდგომარეობამ თავზარი დასცა მწერლობას. ეს კონკრეტულადაც აისახა ლიტერატურაში: ნოდარ ნულეისკირის პროტაგონისტი გუგუ კალანდარია („თუთარჩელა") შეიშალა, როცა საკალანდარიოს სინამდვილე გააცნობიერა. ქვეყანას გაეთიშა, ჩაიკეტა და, სხვათა დანაშაულის, მოსანანიებლად ქედზე ბორკილი დაიდო.

ნ. ნულეისკირის საკალანდარიო კი ხაბეოთა საქართველოა, ისევე როგორც ფოლკნერის იოკნაპატოფა აშშ-ია, ხოლო მარკესის მაკონდო — კოლუმბია.

50-იან წლებიდან მწერლობამ ზნეობრივი პრინციპების გადასინჯვა დაიწყო. უფრო სწორად, ქრისტიანული ზნეობრივი იდეალისაკენ მიბრუნდა.

ნოდარ დუმბაძის მოთხრობაში „კუკარაჩა" უბნის ინსპექტორი, მილიციელი თუშურაშვილი სახარებას კითხულობს. ყველაფერი შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა, მაგრამ მილიციელი და სახარება ერთად. ყოვლად შეუძლებელია. ეს მწერლის ოცნებაა ქრისტიანული ... ვარეობაზე, რომელსაც იგი სოციალისტურ სინამდვილეში ველარ ხედავს.

ქრისტიანულია „დათა თუთაშხიას" ზნეობრივი დასკვნაც. „არა მკლათ" კაცი ესა და ამბნიჭი თქვენ გარდაქცევისათვის სიკეთედ ბოროტებისა".

ეს მიბრუნება ქრისტიანული ზნეობრიობისაკენ იმის მაუწყებელი იყო, რომ დრომ და მუშანიზმმა სასტიკად დაამარცხა კომუნისტური „ახალი ადამიანი" და მისი კლასობრივი იდეალი.

ამასთან ერთად გამოავლინა ის დიდი სულიერი კრიზისი, რომელიც ფლობს ხაბეოურ საზოგადოებას. ქრისტიანობისაკენ მიბრუნება ორ რამეს ნიშნავს: პირველი ის, რომ, ზნეობრივი თვალსაზრისით, კომუნისტური იდეალი დამარცხდა ქრისტიანულ იდეალთან ბრძოლაში, ე. ი. ძველმა აჯობა ახალს. მეორეც ის, რომ დაიხურა ჰორიზონტი და არ ჩანს კომუნისტური საზოგადოების ახალი ეთიკური იდეალი. თუ კომუნისტური საზოგადოება ვერ შექმნიდა ახალ ზნეობრივ იდეალს, მაშინ რაღა საჭირო იყო ზღვა სისხლი, რომელიც ვითომდა კაცობრიობის განახლებისათვის დაიღვარა? ასე მოექცა ხაბეოელი ხალხი ჩიხში. მან ამ ზნეობრივი კრიზისისაგან უნდა იხსნას თავი. მაგრამ იგი ამას მარტო ვერ გააკეთებს. ეს უნდა მოხდეს მთელ კაცობრიობასთან ერთად, დამარცხებული კომუნისტური ზნეობრივი იდეალის უარყოფით.

ალბათ კაცობრიობის აზროვნება უახლოეს მომავალში შექმნის იმ ზნეობრივ იდეალს, რომელსაც მჭიდრო კავშირი ექნება წარსულის ეთიკასთანაც და თანამედროვე კოსმოსურ ეპოქასაც სრულად შეესაბამება.

ამის გარანტია ის არის, რომ კაცობრიობა არასოდეს უკან არ იხევს.

იგი მხოლოდ წინ მიდის.

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეკვთიმე თაყაიშვილი

სამუსულმანო საქართველო

სამუსულმანო საქართველოს ეხლა, დიდი ომის შემდეგ, შეადგენს თითქმის მთელი ბასეინი ჭოროხის მდინარისა, პატარა პროვინციის გამოკლებით აჭარისტანისა ქალაქ ბათუმითურთ, ზემო-წელი მდინარე მტკვარისა, ყოფილი არდაგანის „ოკრუგი" ყარსის ოლქისა, და ფოცხოვის „უჩასტოკი" მტკვრის შემდინარის ფოცხოვის წყლის ბასეინში, რომელიც წინეთ არდაგანისავე „ოკრუგ"-ში შედიოდა. უკანასკნელ მსოფლიო ომამდის ოსმალეთის ხელთ იყო მხოლოდ ზემო და შუა-წელი ჭოროხის მდინარისა თორთუმის ხეობითურთ, სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილი ბასეინისა, სახელდობრ, ჭოროხის მარჯვენა შემდინარის ოლთისის წყლის ბასეინი და ქვემო წელი ჭოროხისა ეკუთვნოდა რუსეთს. უკანასკნელი ადმინისტრატიულად წარმოადგენდა ბათუმის ოლქს, ხოლო პირველი, ოლთისის წყლის ბასეინი, ოლთისის „ოკრუგის" ყარსის ოლქისა.

ძველად მთელი ჭოროხის ბასეინი შეადგენდა ხამ დიდ პროვინციას, კლარჯეთს, ტაოს და ისპირს. საზღვრები ამ პროვინციებისა ზოგჯერ იცვლებოდა, მაგრამ საზოგადოთ კლარჯეთი შეადგენდა, ფართო მნიშვნელობით ამ სახელისა, ქვემო-წელს ჭოროხის ბასეინისა და დაახლოებით უდრიდა ყოფილ ბათუმის ოლქს სოფელ მელომმდის.

კლარჯეთში შედიოდა თვით კლარჯეთი, ვიწრო მნიშვნელობით ამ სახელისა, შავშეთი, იმერხევი, ნიგალისხევი და, უნდა ვიფიქროთ, აჭარაც.

ნიგალის-ხევი განცალკევებული ხევი კი არ იყო, არამედ ეს სახელი ეწოდებოდა თვით ჭოროხის ბასეინის ნაწილს, თვით ჭოროხის ხეობას, რომელიც დაახლოებით უდრიდა ართვინის „ოკრუგის" ტერიტორიას და შეიცავდა ორივე ნაპირს ჭოროხის მდინარისა; ამასვე ამოწმებს ჩვენი ხახელოვანი ბატონიშვილი ვახუშტი, რომელიც სწერს: ....„ჭორობის მდინარის აღმოსავლეთის კიდეზედ არს ართვანი, ქალაქი მცირე. მოსახლენი არიან ვაჭარნი, და ამ ართვანის საზღვარითურთ, ვიდრე ,ერგეს სამზღვარამდე, ჭოროხის ხეობის იმიერი და ამიერი იწოდების ლიგანის ხეობად"[1] იგივე იგულისხმება, როდესაც ვახუშტი ანჩის ეპისკოპოსის სამწყსოს განმარტავს: „იჯდა (ანჩახ) ეპისკოპოზი მწყემსი ლიგანის პეესა გალმა-გამოლმართისა გონიამდე, ფორჩხის ხეობისა და აჭარისა"[2]. სახელი ლიგანის ხევი ოსმალებმა ლივანე-დ ანუ ლივანა-დ შეესცვალეს. გ. ყაზბეგის ცნობით, ლივანა იწყებოდა მდინარე ჩაირ-სუ-დან, რომელიც ერთვის ჭოროხს ბორჩხასთან (ვახუშტის — ფორჩხა)[3] ინგლისის კონსულის ვ. ჯიფფორდ პალგრევის სიტყვით, ლივანე ერთი საუკეთესო, მდიდარი და ნაყოფიერი პროვინცია იყო ტრაპიზონის ვილაეტისა, ჭოროხის ორივე ნაპირზე (უფრო მარცხენაზე) მდებარე, სიგრძით 80 მილი და განით 35 მილი; მისი სავაჭრო და ადმინისტრაციული ცენტრი იყო ლივანე ანუ ართვინი[4] ერთი ვაჭრის ცნობით, რომელსაც დ. ბაქრაძე გადმოგვცემს, ლივანაში პარხალიც შედიოდა.[5]

ლივანა ლიბანა-ს სახით ეხლაც დაცულია, ეს არის ერთი სოფლის სახელი, ანუ უკეთ ვსთქვათ, სოფელ ჩიხორის უბნის (მეჰლე-ს) სახელი (მარრის დღიური, გვ. 78).

კლარჯეთში შედიოდა კიდევ ეგრი, რომელსაც იხსენიებს უსახელო სომხური გეოგრაფია. ეს სახელი, ჩვენის აზრით, უდრის ეხლანდელს

---

1. ვახუშტის გეოგრაფია, ბროსსეს გამოცემა, გვ. 114.
2. იქვე გვ. 110.
3. გ. ყაზბეგი. ტრი მესიაცა ვ. ტერეცკი გრუზია. ზაპისკი კავკ. ოდელ. გეოგრაფ. ობშჩესტვა. X, გვ. 97.
4. იზვესტია კავკ. ოდტ. რუსკ. გეოგრ. ობშჩ. VII, გვ. 57—62.
5. დ. ბაქრაძე. არქ. მოგზ. გურია-აჭარაში. გვ. 39.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელს ერგი-ს ანუ ერგეს, ჭოროხის პირზე, ათი კილომეტრის სიშორით ზღვიდან. ამ ადგილას ჭოროხი გამოდის ვიწრო ხეობიდან, ქმნის ფართო კალაპოტს და მიმდინარეობს კახაბერის დაბლობში. აქ თავდებოდა ნიგალის ხევი და იწყებოდა ეგრი, რომელიც შეიცავდა ალბათ მთელს კახაბერის დაბლობს ზღვამდის. ცხადია, იმ დროს, როდესაც სომხური გეოგრაფია არის შედგენილი (ზოგის აზრით მეხუთე საუკუნეში, ზოგის მეშვიდე საუკუნეში), აქ მეგრელები ცხოვრობდნენ და ეს მხარე საეგროს შეადგენდა. სამეგრელოს ნაწილი იყო. „ქართლის ცხოვრება"-ც კლარჯეთის საზღვრებს უჩვენებს არსიანის ქედიდან ზღვამდე.[6] კლარჯეთი ეხლა ცალკე სოფელსაც ჰქვია, არტანუჯის რაიონში, სოფელ ტანზოტის მახლობლად. ამ სოფლის დასავლეთით მშვენიერი ციხეც არსებობს ორი კოშკით და მახლობლად ეკლესიის ნანგრევებია დაცული (მარრის დღიური, გვ. 107).

ისპირს შეადგენდა ზემო და შუა-წელი ჭოროხისა, ხოლო ტაოს მთელი დანარჩენი ნაწილი. ეხე იგი სამხრეთი და სამხრეთ აღმოსავლეთის ნაწილი ბასეინისა, ყოფილი ოლთისის ოკრუგი, თორთუმი, იშხანი და სხვა: მაგრამ ვინაიდან ისპირი ხშირად ტაოში შედიოდა, მთელი ჭოროხის ბასეინი ჩვენს ისტორიაში ცნობილი იყო ტაო-კლარჯეთად.

ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲭᲝᲠᲝᲮᲘ

მდინარე ჭოროხი, რომელიც თავის შემდინარეებითურთ არის სიცოცხლის მომცემი მთელი ტაო-კლარჯეთისა, იწყება სომხეთის მაღალ პლატოზე ანუ. უკეთ ვთქვათ, ამ პლატოს მთების კვანძში, ერზერუმისა და ბაიბურთის შუა, აქვე აქვთ სათავე მდინარეებს ევფრატს და არეზსაც. მაგრამ ესენი სხვა და სხვა მხრით მიიმართებიან. ევფრატი ეკუთვნის სპარსეთის ზღვის აუზს, არეზი უერთდება მტკვარს მის ბოლო-წელში და მტკვართან ერთად ეკუთვნის კასპის ზღვის ბასეინს, ხოლო ჭოროხი შავი ზღვის ბასეინს.

მიმდინარეობა ჭოროხისა ერთობ უსწორ-მასწოროა. თავიდან ის მიიმართება დასავლეთისაკენ, მაგრამ ქალაქ ბაიბურთიდან ჯერ იწყებს დენას ჩრდილოეთით, შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთით: ოლთისის წყალის შერთვის შემდეგ მიიკცევს პირს ჩრდილოეთით; ხოლო აჭარის წყალის შერთვის შემდეგ მიიმართება ჩრდილო-დასავლეთისაკენ, გამოდის კახაბერის დაბლობზე და შეერთვის შავ-ზღვას რვა კილომეტრის სიშორით ქალაქ ბათუმიდან. შესართავთან ის ქმნის რამოდენიმე ჭალაკს, დელტას.

ჭოროხი მთის მდინარეა, განი მისი კალაპოტისა არსად არ აღემატება 200 საჟენს, და საზოგადოთ შეიცავს ასიდან ორმოცდაათ საჟენამდე. ზოგჯერ ჭოროხი იკვლევს გზას სულ ვიწრო კლდის ნაპრალებში და მაშინ მისი განი სულ მცირეა, მაგალითად, ართვინის ხიდთან განი მდინარისა უდრის 12 საჟენს. სიღრმე წყლისა სხვა და სხვაა, მაგრამ საზოგადოთ სამს მეტრს არ აღემატება. ართვინიდან ჭოროხზე ნავოსნობა იწყება, მაგრამ ნავები ბრტყელძირიანებია, კაიუკები, და ბათუმამდის სულ 5 — 6 საათში ჩამოდიან, ხოლო უკანვე მათ ზემოდ ატანას რამდენიმე დღე უნდება და იგიც საჭეების საშვალებით.

ჭოროხის შემდინარე წყლები ერთობ მრავალია. მარცხენა შემდინარენი იწყებიან პონტოს ქედიდან: ამათი სიგრძე არ აღემატება 30 — 40 კილომეტრს, კლდოვან ვიწრო კალაპოტებში მომდინარეობენ დიდის სისწრაფით, კიდეები ტყიანი აქვთ. ასეთებია პარხალის-წყალი და მისი შემდინარენი არმენ-ხევი და კობაკი, შემდეგ ბელლევანი, იჩხალა, მურღული და ხატილა. უკანასკნელი ოთხი ბათუმის ოლქს ეკუთვნოდა წინეთ.

მარჯვენა შემდინარე ჭოროხისა ბევრად უფრო გრძელნი და დიდრონი არიან; მათ შორის აღსანიშნავია აჭარის-წყალი, 70 ვერსი სიგრძით, ერთვის ჭოროხს 16 ვერსის სიშორით მისი ზღვაში შესართავიდან. აჭარის-წყალის აუზი შესდგება თვით თავი აჭარის ხევიდან და შვიდი გვერდის ხეობათაგან. შემდეგი შემდინარე არის ნაჭახელის-წყალი, 85 ვერსი სიგრძით, ერთვის ჭოროხს ოთხი ვერსის ზემოდ აჭარის-წყლის შესართავიდან. ეს ჭქმნის მკაცრს ხეობას (ამ ხეობას წინათ მიეიხიანი ეწოდებოდა); განთქმული იყო საუცხოო იარაღების (თოფების, დამბაჩების) კეთებით (აქაურ თოფს გურიაში მაჭახელა ერქვა). შემდეგი დიდი შემდინარე არის იმერ-ხევი, 70 ვერსი სიგრძით; ამის ზემო-წელი ცნობილია შავშეთის წყლად, რომელიც ძველად იმერხევის სახელსაც ჰფარავდა. იგი ერთვის ჭოროხს ათი ვერსის ზემოდ ართვინისა. იმერხევს მარჯვნით ერთვიან ბაძგირეთი, ჩიხორი, ახალთა და ბერთა, რომელნიც კარჩხალის ქედიდან გამოდიან და სიგრძით თვითეული არ აღემატება 20 ვერსს. მარცხენა შემდინარეთა შორის იმერხევისა აღსანიშნავია სათლელის წყალი, 85 ვერსის სიგრძით, ერთვის იმერხევს სოფელ დოლის-ყანის ზემოდ. მარცხნივ არტანუჯის წყალს ერთვის ქალაქ არტანუჯთან ტანზოთი. საზოგადოთ იმერხევის დიდი აუზი შეადგენს დიდს რაიონს შავშეთ-იმერხევისა, რომელიც შემოზღუდულია ქედებით არსიანის, კარჩხალისა და იალნუს-ჩალისა და იყოფა ორ ნაწილად, მთიანისა და უფრო სწორისა; პირველს შეადგენს ზემო-წელი იმერხევისა, მეორეს ქვემო ნაწილი. ყველაზე უფრო

6. ქართლის ცხოვრება, მარიამის ვარიანტი, გვ. 156-7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი შემდინარე ჭოროხისა მარჯვნით არის ოლთისის წყალი, 146 ვერსი სიგრძით; გამოდის სევრიდაგის მთიდან და თავისი მრავალრიცხოვანი შემდინარეებით ჭქმნის დიდს ბასეინს. მარჯვნით მას ერთვის ბანას წყალი, 52 ვერსი სიგრძით. ბანას წყლის შემდინარედ ითვლება ბარდუხის წყალი, 66 ვერსი სიგრძით. შემდეგ ოლთის წყალს ერთვის ყანლის წყალი, 48 ვერსი სიგრძით, და სალაჩურის წყალი, 28 ვერსი სიგრძით. მარცხენა შემდინარეთა შორის ჰაყურადღებია სევრის წყალი და თორთუმის წყალი. თორთუმის წყალი ჭქმნის თორთუმის ტბას, რომლიდანაც გადმოჭქუხს ლამაზის წყალვარდნით; შუა ნაწილი ოლთისის წყლის აუზისა ახი ვერსის სიგრძით მსოფლიო ომამდის ეკუთვნოდა რუსეთს და შეადგენდა ოლთისის ოკრუგს ყარსის ოლქისა.

თვისებანი ჭოროხის ბასეინისა

ჭოროხის ბასეინი წარმოადგენს განსაკუთრებით სასტიკ მთიანეთის მხარეს; ის შემოზღუდულია თითქმის ყოველ მხრიდან წყალთ-გამყოფი მაღალი ქედებით და მხოლოდ პატარა ნაწილი ეკვრის შავზღვას ციხისძირიდან კომპუშის კონცხამდე. აღმოსავლეთის მხრიდან მას საზღვრავს მაღალი ქედები არსიანისა და სოღანლუღისა, რომელნიც ამ მხარეს გამოყოფენ კასპიის ზღვის ბასეინიდან. სამხრეთით მთელი რიგი მაღალი ქედებისა სხვა და სხვა სახელით მიიმართებიან აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, არზრუმის და ბაიბურთის მიმართულებით, და გამოჰყოფენ ჭოროხის ბასეინს არეზის ბასეინიდან. დასავლეთით მას ზღუდავს ბაიბურთის ანუ ისპირის მთები, რომელნიც ბოლოს ჭქმნიან ცნობილს ზეკარს, გურჯი-ბოღაზად. ესე იგი საქართველოს კარად წოდებულს. ჩრდილოეთის მხრით ამართულია მაღალი პონტოს ქედი, სიგრძით 675 ვერსამდის, რომელიც ჰყოფს ჭოროხის ბასეინს შავი ზღვისაგან. ეს ქედი იწყება მდინარე იეშილ-ირმაკის ქვემოწელიდან (ძველი ირისი), მახლობლად სამსუნისა და ნიკსერისა, თავში ის ჰყოფს შავ ზღვას იეშილ-ირმაკის და კიზილ-ირმაკის (ძველი ჰალისი) შემდინარეებისაგან და შემდეგ ჭოროხისაგან. პონტოს ქედის გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს კარჩხალის ქედი, რომელიც გამოყოფილია პონტოს ქედიდან ვიწრო ჭოროხის ნაპრალით. კარჩხალის ქედიც მიიმართება სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილოაღმოსავლეთად, 40 ვერსის მანძილზე და უერთდება შავშეთის ქედს. ამიტომ ზოგიერთები კარჩხალის ქედს გულისხმობენ, როგორც გაგრძელებას შავშეთის ქედისა. ამას გარდა ჩრდილოეთის საზღვარს ჭოროხის ბასეინისა შეადგენს კიდევ აჭარის ქედი, რომელიც თავდება ციხისძირთან. ციხისძირიდან პონტოს ქედის შტოის კომპუშის კონცხამდე. საიდანაც მსოფლიო ომის წინათ იწყებოდა [illegible] თა საზღვარი. ჭოროხის ბასეინი ეკვრის შავ ზღვას 40 ვერსის მანძილზე.

ყველა ჩამოთვლილი წყალ-გამყოფი ქედები გამოყოფენ აუარებელ მკლავებს და ქედ-ქედებს, ზოგჯერ ფრიად დიდებს, რომელნიც ებლებიან ერთი მეორეს, იკვანძებიან ერთი მეორეში და ჭქმნიან დიდ-რიცხოვან ღრმა ხევებს, ღელეებს, ხრამებს და ნაპრალებს. სწორი ადგილი ცოტაა, საძოვრები უამრავი. ზოგ ადგილას სჭარბობს ტყეები; მაგალითად, ყოფილ ბათუმის ოლქში ორი მესამედი სივრცისა უჭირავს ტყეს. ჰავა სხვა და სხვაა და დამოკიდებულია ადგილის სიმაღლეზე. ღრმა ხევებში, რომელნიც სულ მოცულია ბაღებით, ისე თბილა, რომ ზოგჯერ თოვლი სულ არ არის, მაგრამ მთებზე საკმაოდ დიდხანს სძლებს და ადრეც მოდის.[7]

მოკლე ისტორია ჭოროხის ბასეინისა

ისტორია ჭოროხის ბასეინისა ერთობ რთულია. აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს სხვა და სხვა ხალხები: ქართველები, სომხები, ბიზანტიელები, სპარსელები, არაბები, თათრები-სელჯუკები, თათრები-ოსმალები და სხვა. იცვლებოდა უფლება ერთი ხალხისა მეორეზე, იცვლებოდა სარწმუნოება, ენა და განათლება. სპარსელებს, არაბებს და სელჯუკიანთ არავითარი თვალსაჩინო კვალი არ დაუტოვებიათ ამ მხარეში. დიდია გავლენა ბერძნებისა, ესე იგი ბიზანტიისა, და კიდევ უფრო მეტი სომხებისა.

თავდაპირველი მკვიდრნი ჭოროხის ბასეინისა, ნ. მარრის ტერმინოლოგიით, იყო თუბალკაინის მოდგმისა. ესე იგი შესდგებოდა ჭანლაზ-მეგრელთა ხალხებისაგან[8] მაგრამ ესენი იყვნენ მარტო ერთი ნაწილის კლარჯეთ-ისპირის მცხოვრებნი, ხოლო ტაო-თორთუმი მეორე ქართველთა ტომით, მესხებით, იყო დახალებული. ქსენოფონტე, რომელმაც 10.000 ბერძენთა მხედარით მე-4 საუკუნეში ქრისტეს წინ ამ მხარეში გამოიარა, მცხოვრებთ ტაოხებს (ტაოხოი) უწოდებს. ესე იგი ტაოს მცხოვრებთ.

ჭან-ლაზთა ტომს ეჭირა ზემო და შუა-წელი ჭოროხისა და ორივე მხარე პონტოს ქედისა. შავი ზღვიდან ჭოროხის მდინარემდე; შემდეგ მათი მოსახლეობა გავრცელებული იყო ისპი-

---

7. გეოგრაფიული და სტატისტიკური ცნობები უფრო დაწვრილებით იხ. ია. პროსკურიაკოვ ზაძეტკი ო ტურციი. ზაპისკი კავკ. ოტდ. რუსკ. გეოგრ. ობშჩ. ტიფლის, 1905; კნიგა XXV; ვ. ლისოვსკი, ჩოროხსკი კრაი, ტიფლის 1887; პ. ხელიბეკი, კარსკაია ობლასტ, ჩასტ. I. ტიფლის, 1892.

8. ნ. მარრი, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. II.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიდან ტრაპიზონამდე და მის არემარემდე. და ეს დასავლეთის ადგილი იწოდებოდა ქალდეად და მცხოვრებნი ქალდელებად ანუ ხალიბებად; ზოგჯერ ეს მხარეც ცნობილი იყო ჭანეთად (ბერძნულად ცანიკად). და მცხოვრებნი ჭანებად (ბერძნულად ცანებად). ხოლო ჭორობის ქვემოწყლის მოსახლეობას შეადგენდა ლაზ-მეგრელთა ტომი.

ამგვარად ძველად მთელი ჭორობის ბასეინი დასახლებული იყო ქართველთა ტომებით, მაგრამ შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. მეორე საუკუნის დასაწყისში ქრისტეს წინ, ანტიოხ დიდის დამარცხების შემდეგ. მისმა ხარდლებმა არტაქსიმ და ზარიადრმა, სტრაბონის ცნობით, სომხეთი დაიპყრეს, და ამათ გააფართოვეს სომხეთის საზღვრები მეზობელი ერების, ხალიბების, მოსხინიკების და სხვების მიწების შემოერთებით; შემდეგ ტაოც შევიდა სომეხთა ამ სამფლობელოში, ტაიკის სახელით. აქედან იწყება სომხური ენის გაძლიერება ამ ადგილებში. ქალდეაში, პლინიუს სეკუნდუსის თქმით, ჩნდება შერეული ტოტი სომხეთ-ქალიბებისა (გენს არმენო-ხალიბეს). ასეთი შერეული მოსახლეობა სომხებ-მესხებისა უნდა ვიგულისხმოთ შემდეგ დროში ტაოშიც.

რაც შეეხება კლარჯეთს, ის ზოგჯერ გადადიოდა სომხების ხელში, მაგრამ არა ხანგრძლივად; ქართველები მას იბრუნებდენ უკან.

ჩვენ გვაქვს ცნობა: მეფე მირდატმა, ბაკურის ძემან, მეოთხე საუკუნეში აღაშენა ეკლესია თუხარისის ციხეში, „რამეთუ პესა კლარჯეთისასა", უმატებს ქართლის ცხოვრება. „არა იყო ეკლესია". მეხუთე საუკუნეში ვახტანგ გოლგასარმა აღაშენა ციხე არტანუჯში. თვით უსახელო სომხური გეოგრაფია, რომელსაც ზოგნი მიაწერენ მეხუთე საუკუნეს, ზოგნი მეშვიდეს, მოგვითხრობს, რომ კლარჯეთი, შავშეთი, ნიგალი (ნიგალის-ხევი), ეგერი (ეგრი) და აჭარა ქართველების პროვინციებს შეადგენსო.[9] მაგრამ ძველი სომეხთა მოსახლეობის გავლენა კლარჯეთშიაც ცხადად მოჩანს მრავალს გეოგრაფიულს სახელებში.

საერთოდ, არაბების შემოსევამდის, უმეტესი ნაწილი ჭორობის ბასეინისა სომხეთის მხარეს შეადგენდა. აქ იყო გავრცელებული სომხური ქრისტიანული კულტურა. ხოლო არაბების შემოსევამ უცვალა ფერი ამ მხარეს; მეტადრე მურვან-ყრუს გალაშკრებამ 780 თუ 781 წელს ძირიანად მოსპო ყველაფერი: სოფლები განადგურდა, ეკლესიები, მონასტრები და ციხეები ნანგრევებად იქცა, ამას დაერთო კიდევ ხოლერა, რომელმაც ბოლო მოუღო ისედაც განადგურებულ მოსახლეობას. ხალხი ამოწყდა; რაც დარჩა, ტყეში გაიბიზნა. ამ მდგომარეობაში იყო ქვეყანა, როდესაც აქ მოვიდა [illegible] ფეწულით და დიდის ამალით. არაბების მიერ დევნილი, ქართლის ერისთავი აშოტ დიდი და აქ კლარჯეთში დაემკვდრა. ეს იყო ქართველთა პირველი ბაგრატიონი.

აშოტის მამა, ადარნასე, როგორც საფიქრებელია, იძულებით გადმოხვეწილი თავის საპატრონო ტაო-კლარჯეთიდან. არჩილ მეფის დროს მოვიდა საქართველოში და გახდა მისი ქვეშევრდომი, მისი ვასსალი, მიიღო სამფლობელოდ არტანი და შულავერი; მისი ასული ლატავრა შეირთო ცოლად არჩილის შვილმა ჯუანშერმა. შვილი მისი აშოტი გახდა ქართლის ერისთავი, ადარნასემ, როგორც ეტყობა, საქართველოში მოიცა ძალა და ჯუანშერისავე ხიცოცხლეში დაიბრუნა თავისი კუთვნილება ტაო-კლარჯეთში, ანუ, როგორც ქართლის ცხოვრება მოგვითხრობს, „იცვალა ნასამალი კლარჯეთისა, შავშეთისა და აჭარის, ნიგალისა, ახისფორისა, არტანისა და ქვემოსა ტაოსა და აწ ციხეთაგან, რომელი ჰქონდეს შვილის-შვილთა ვახტანგ მეფისათა, და შემდგომად მისა წარვიდა ადარნასე კლარჯეთად და მუნ მოკუდა".[10]

მაშასადამე, აშოტი დაემკვიდრა თავისი მამის მამულში, ტაო-კლარჯეთში, მოშორებით თბილისის არაბთა საემიროსაგან. ამ ქვეყნის გადარჩენილმა ხალხმა ის მიიღო აღტაცებით და აღუთქვა სამსახური. აშოტმა გამოიჩინა დიდი ენერგია და უნარი თავის სამფლობელოს მოწყობისა. განაახლა არტანუჯის ციხე, რომელიც აშენებული იყო ვახტანგ გორგასალის მიერ, აღმართა შიგ ეკლესია პეტრესი და პავლესი და გააშენა ქალაქი ციხის ქვემოდ; ადადგინა გავერანებული სოფლები, შეიძინა და გააშენა ახლები. არტანუჯი გახდა რეზიდენციად პირველი ბაგრატიონისა. მაგრამ მთავარი კიდევ ის იყო, რომ მან დაიპირა მეშიდრო კავშირი ბიზანტიასთან, მიიღო ხარისხი კურაპალატობისა და ამ სახით გახელმწიფდა ტაო-კლარჯეთში (780 — 826). აქედან იწყება გაქართველება წინეთ გასომხებული ქართველობისა, ეს პროცესი ისეთი სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა წინ, რომ უკვე მეცხრე საუკუნის ბოლოს ეს ქვეყანა ენითაც და განათლებითაც სულ ქართული იყო, და ის გახდა სავანედ ქართული კულტურისა. ამას ხელი შეუწყო პირველად იმ გარემოებამ, რომ მოსახლეობა აქ შერეული იყო, ქართულ-სომხური, და ქართველობა აქ არასოდეს არ აღმოფხვრილა. მეტადრე კლარჯეთში; მეორედ, ამას ხელი შეუწყო სარწმუნოებამ. ფიდძალი სომხობა ამ ქვეყნისა მართლმადიდებელი, ხალკიდონიტი, დარჩა, და გრიგორიანობა არ მიიღო, მეშიდრო მეგობრული კავ-

9. იხ. პატკანოვის თარგმანი.

10. ბარიამ დედოფლის ვაროანტი, გვ. 218-219.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირი ჰქონდა ყოველ საქმეში ქართველობასთან და წირვა-ლოცვა მათი ქართულს ენაზე წარმოებდა. როგორც ბოლო დროს ჩვენში კათოლიკე ქართველებს თავისთავი ფრანგებად მიაჩნდათ, ისე მართლმადიდებელი ხომხები ქართველობდნენ. ხარწმუნოებას ყოველთვის დიდი გავლენა ჰქონდა დენაციონალიზაციის პროცესში; მეხამედ. და ეს მთავარია, ამ პროცესს უმეტესად ყოვლისა ხელი შეუწყო ქართულმა საერო და სამონასტრო კოლონიზაციამ, რომელიც იმთავითვე ტალღასავით მოედვა მთელ ტაო-კლარჯეთს. ქართლიდან დევნილნი და არაბთაგან შევიწროებული მოსახლეობა მიილტვოდა ტაო-კლარჯეთში, სადაც სიმშვიდე იყო. აქ მათ ბაგრატიონთა მფარველობის ქვეშ თავისუფლად შეეძლოთ გაეშალათ თავისი მოქმედება სამეურნეო და საეკლესიო დარგში, ქართლიდანვე დაიძრა სამონასტრო კოლონიზაციაც. ამის მოთავე იყო განთქმული და დაუღალავი ბერი გრიგოლ ხანძთელი (759 — 861), რომელიც მოვიდა ქართლიდან კლარჯეთში აშოტ დიდის დროს. გრიგოლს კლარჯეთში დახვდა მარტო ერთი ქართული მონასტერი ოპიზა, ხოლო ბოლო დროს ის გახდა არქიმანდრიტი თორმეტი კლარჯეთის მონასტრისა, რომელთა შორის ხუთი მის მიერვე იყო აშენებული, სხვები მისი მოწაფეების მიერ. ცხოვრება ამ შესანიშნავი მოღვაწისა ეკუთვნის დიდათ ნიჭიერ მწერალს გიორგი მერჩულს და წარმოადგენს შედევრს არა მარტო ქართული მამათა ცხოვრებისა, არამედ ხაზოგადოთ მთელი ქრისტიანული აგიოგრაფიისა.[11]

გიორგი მერჩულის თხზულება გვიხატავს იმ დროის ცხოვრების ხურათს არა მარტო სახულიერო, საეკლესიო ცხოვრებისა, არამედ საეროსაც. აშოტ დიდის და მისი მრავალრიცხოვანი შთამომავლების დროს ტაო-კლარჯეთი აღივსო ეკლესია-მონასტრებით, რომელნიც იმავე დროს შეადგენდენ კერას [illegible] ბისა. ყოველ მონასტერში იყო სკოლა, სემინარია, სადაც ასწავლიდენ წერაკითხვას, სალმთო სჯულს, ფილოსოფიას, ბერძნულს და სხვა ენებს, გალობას, კალიგრაფიას, მხატვრობას, ოქროქმედლობას და სხვა. აქედან გამოდიოდენ მღვდელ-მოძღვარნი, მთარგმნელები და გადამწერნი წიგნებისა, მინიატურისტები და ოქროქმედენი. ზოგიერთი მონასტრების ნანგრევებთან დღემდის საკმაოდ კარგად დაცულია ასეთი სემინარების ფრიად დიდრონი შენობანი, რომელნიც „ხოსტიგნენ" ანუ სასადილო შენობებად არიან აღიარებულნი, მაგრამ ეჭვს გარეშე, უფრო სემენარიების შენობებს წარმოადგენენ, ვიდრე სასადილოებს. ყოველ შემთხვევაში ორივე მიზნისათვის უნდა ყოფილიყვნენ განკუთვნილნი. ამ შენობათა გეგმა სამნავიანი ბაზილიკაა, თავისი ხვეტებით და ღია კამარებით, მაგრამ მათ ახლავთ კიდევ ერთი მხრით დიდი ზალა, დარბაზი, ტრომპებიანი გუმბათით, გვირგვინით, რომლის ქვეშ წარმოებდა გადაწერა ხელნაწერებისა, ხოლო თვით დარბაზი შეიცავდა ბიბლიოთეკას (იხ. გეგმა და ხურათები ასეთი შენობისა ოშკის მონასტერთან).

თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტაო-კლარჯეთს ქართული კულტურისათვის, საკმარისია აღვნიშნოთ, უძველესი ტუავის ხელნაწერები, რომელთაც ჩვენამდი მოუღწევიათ და რომელნიც გადაწერილი არიან საქართველოს ყოფილ საზღვრებში და არა უცხოეთში (სინას მთაზე, პალესტინაში, ათონზე და სხვა). ყველა ეკუთვნის ტაო-კლარჯეთის მონასტრებს. პირველი პერიოდიდან ქართული მწიგნობრობისა, ესე იგი მცხეთა-თბილისის პერიოდიდან, რომელიც გაგრძელდა ქრისტიანობის მიღებიდან, მეოთხე საუკუნის ნახევარში, არაბების დამკვიდრებამდე საქართველოში, მეშვიდე საუკუნის ნახევარში, ჩვენამდე ერთ ხელნაწერს ტუავის წიგნს არ მოუღწევია, თუმცა საფიქრებელია, ის პალიმპსესტის ხანმეტნი ტექსტები, რომელნიც ამ ბოლო დროს გამოქვეყნდა, უნდა ეკუთვნოდნენ ამ პირველ პერიოდს. მაგრამ ესენი ფრაგმენტებს წარმოადგენენ და არსად დაცული არ არის არც დრო და არც ადგილი გადაწერისა. უძველესი ქართული მწერლობის ძეგლები ტაო-კლარჯეთმა შეგვინახა.

ამრიგად, მეორე პერიოდში ქართული ისტორიისა, რომელიც გრძელდება მერვე საუკუნის ნახევრიდან მეათე საუკუნის დასასრულამდე, ტაო-კლარჯეთი ხდება სავანედ ქართული კუ-

---

11. გამოცემულია დიდებულად ნ. მარრის მიერ ვრცელის წინასიტყვაობით, რუსულის თარგმანით, სიტყვათა და ფრაზათა განმარტებით და სხვა სამეცნიერო აპარატით. გამოცემას დართული აქვს დღიური მოგზაურობისა შავშეთ-კლარჯეთში, რომელშიაც აღწერილია ნაშთები ყველა „ცხოვრებაში" მოხსენებულის ძეგლებისა და კლარჯეთის სხვა ეკლესია-მონასტრებისა. ამის გარდა, შეკრებილია დიდძალი ეთნოგრაფიული მასალა ეხლანდელი ამ მხარის მკვიდრთა, რომელთაც არ დავიწყებიათ ქართული ენა და ქართული ტრადიციები; მოყვანილია მრავალი მათი სახალხო პოეზიის ნიმუშები, „ცხოვრება" ეხლა გამოცემულია ლათინურ ენაზედაც ცნობილის მეცნიერის ბოლანდისტის პოლ-პეტერსის მიერ, რომლის დაუღალავი ღვაწლით ევროპა ეხლა საკმაოდ იცნობს ქართულ სასულიერო ლიტერატურას, იხილეთ Analecta Bollandina, 1. XXXVI—XXXVII — Histoires Monastiques Georgiennes. Bruxelles 1923, pp. 207—309.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლტურისა, ქართული განათლებისა. ამ პერიოდში საქართველო დაკავშირებულია პოლიტიკურად და კულტურულად ბიზანტიასთან. აქედან იწყება ინტენსიური ელინოფილური პერიოდი. ბაგრატიონთა სახლის წევრები იღებენ ბიზანტიურ საკარისკაცო ბარისხებს, მაგისტროსისა, პატრიკისა, კუროპალატისა. ეს ბარისხი შთამომავლობით გადადიოდა უფროს ბაგრატიონთა სახლის წევრებზე. ხოლო როდესაც მეფობა განმტკიცდა და საქართველო გაერთიანდა, მეფენი იღებენ უფრო უმაღლესს და უწარჩინებულესს ბარისხებს, ნობილისიმოსსისა, ხელვასტოსისა, და ბოლოს კესსაროსისაც.

დიდად ვრცელდება ვაჭრობა. არტანუჯი გადაიქცა ცენტრად აღებ-მიცემობისა ბიზანტიასა და აღმოსავლეთის შორის და ეს დამოწმებულია იმპერატორის კონსტანტინე პორფიროგენეტის მიერ მის წიგნში De administrando imperio მთელი ქვეყანა მოცულია კარგად გაკეთებულის გზებით; მოსარწყავი სისტემა არხებისა უაღრესად განვითარებულია; მათი ნაშთები დღემდე დაცულია და განსაკვირებელია. ფერდოები და ბევები მთებისა საუცხოოდ დამუშავებულია და წარმოადგენენ წალკოტებს. მატერიალურ კეთილდღეობას და სიმდიდრეს ამ ქვეყნისა სხვათა შორის ამტკიცებს უამრავი სახუროთმოძღვრო ძეგლები, რომლებითაც მოცულია მთელი ეს მხარე და რომელთ ნანგრევებსაც განცვიფრებაში მოჰყავთ მნახველნი თავისი კოლოსალური სიდიდითა და სილამაზით. ბოლოს თავი მნიშვნელობა ტაოკლარჯეთისა არის ის ფაქტი, რომ აქედან დაიწყო და გაერთიანდა მთელი საქართველო ბაგრატიონთა დინასტიის მეთაურობით, ეს იყო ხანგრძლივი პროცესი.

საქმე ის არის, რომ არაბთა ხალიფატს დამკვიდრების გამო თბილისში, ქართლის ცენტრში, ტაო-კლარჯეთი არ იყო მარტო ერთი განცალკევებული სამფლობელო, რომელიც შორეულ საქართველოს საზღვარზე დაარსდა. ამავე დროს გაჩნდა საქართველოს აღმოსავლეთის მიჯნაზე კახეთის სამფლობელო, რომლის პატრონნი ქორიკოზებად არიან წოდებულნი. პირველი ცნობილი ქორიკოზი იყო გრიგოლი (+827). ბოლო ხანს კახეთის მოსაზღვრედ ერეთში (ძველი ალბანია) დაარსდა კიდევ ერეთის სამფლობელო, ამათზე უფრო ადრე დასავლეთ საქართველოში გაჩნდა აბხაზეთის სახელმწიფო. ამის დამაარსებელი იყო ლეონ ერისთავი, რომელიც წინეთ ბიზანტიის ერისთავად ითვლებოდა აბხაზეთში, მაგრამ როცა ბიზანტია დასუსტდა ბატთა ბრძოლის გამო, იმპარჭვა დრო და ხაზართა დახმარებით თავისნ თავი გამოაცხადა დამოუკიდებლად და გახდა მეფე აბხაზთა (748 — 781) [illegible] დაიპყრო ეგრისი და მთელი დასავლეთი საქართველო ლიხის მთამდე; მათი სატახტო ქალაქი იყო ქუთაისი, მაშინ ქუთათისად წოდებული.

პირველად დასავლეთ საქართველოში უფლება ეპირათ კოლხებს, მეგრელებს, და სახელმწიფო კოლხეთად ანუ კოლხიდათ იყო ცნობილი. შემდეგ ძალაუფლება გადავიდა ლაზების ხელში და ამ მხარეს ლაზიკა დაერქვა; ხოლო ბოლოს აბხაზთა ერი მოეკცა ხათავეში და დაარსდა აბხაზთა სახელმწიფო.

საქართველოს სამხრეთით, სომხეთში, გაჩნდა რამოდენიმე სამთავრო, ხოლო მეცხრე საუკუნეში ერთი მთავარი, არარატის პროვინციის მფლობელი, ბაგრატიდი აშოტ I (885 — 890) ბაღდადის ხალიფის და ბიზანტიის იმპერატორის თანხმობით გახდა მეფე სომეთთა.

თბილისში ამ დროს იჯდა არაბთა ემირი, მაგრამ თბილისის ემირებიც მოწადინენი იყვნენ თავი გაენთავისუფლებინათ ბაღდადის ხალიფასაგან და დაეარსებინათ დამოუკიდებელი ხალიმირო. ეს მათ კიდეც განახორციელეს, როდესაც შესუსტდა ძალა ბაღდადის ხალიფატისა.

ყველა ამ საქართველოს განაპირა ადგილებში დაარსებულის სახელმწიფოების და სამთავროების მფლობელნი ცდილობდნენ გაეფართოებინათ თავიანთი სამფლობელო და შემოეკრიბათ თავისი ბატონობის ქვეშ ყველა საქართველოს ნაწილები, დაიწყო ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის, რომელიც გაგრძელდა ორი საუკუნე. აქ უნდა გადაწყვეტილიყო საკითხი, რომელ მთავარს, რომელ დინასტიას უნდა შემოეკრიბა საქართველოს ყველა ნაწილები და გამხდარიყო თვით-მპყრობელი მთელი საქართველოსი.

იყო დრო, როდესაც ძალით ჭარბობდა კახეთის ქორიკოზი; შემდეგ დიდი ძალა-უფლება მოიცვეს აბხაზთა მეფეებმა; ამათ გადალახეს ლიხის მთა და დაიპირეს აღმოსავლეთი საქართველოს მრავალი ადგილები. აქ მათ ჰყავდათ თავიანთი ერისთავები. თუ სადამდის მიდიოდა მათი ძალა-უფლება, იქიდან სჩანს, რომ კონსტანტინე აბხაზთა მეფემ (878 — 912) დაიწყო შენება საუკეთესო ტაძრისა სამშვილდეში მეოცე წელს თავის მეფობისა, ესე იგი 898 წელს; ხოლო დამთავრდა შენობა მესამე წელს აბხაზთა მეფის ლეონ მეორის მეფობასა, ესე იგი 960 წ. ლეონი 957 — 967 წლებში მეფობდა. ეს ლეონი თავისი მამის გიორგი მეორის სიცოცხლეში (912 — 957) ერისთავად იყო ქართლისა, ხოლო მამის სიკვდილის შემდეგ გახდა აბხაზთა მეფედ და 964 წელს ახალქალაქის მახლობლად აღაშენა განთქმული კუმურდოს ეკ-

ლესია[12]. მაგრამ ვერც კახეთის მფლობელებმა და ვერც აბხაზეთის მეფეებმა ვერ შესძლეს საქართველოს გაერთიანება. ეს ბედი ერგოთ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს. ამისი მიზეზი იყო ერთის მხრივ მათი უნარი, ენერგია და შორმხედველობა; მეორეს მხრივ, და ეს თავი და თავია, უალრესი კულტურა, რომელსაც მიაღწია ტაო-კლარჯეთმა მეცხრე და მეათე საუკუნეში.

ტაო-კლარჯეთი იყო მემკვიდრე და გამგრძელებელი მცხეთა-თბილისის კულტურისა. აბხაზებს, შორეულს მონათესავეს ქართველებისა ენით, წერილობა არა ჰქონიათ თავის ენაზე; მათი სახელმწიფო და საეკლესიო ენა ქართული იყო და საზოგადოთ ღრმად განიცადეს ქართული კულტურის გავლენა. აბხაზეთი, როგორც კახეთი, ქართველთა ტომების სახელმწიფო იყო. აბხაზთა სახელმწიფოში, როგორც მოვიხსენიეთ, შედიოდნენ ეხლანდელი მეგრელები სვანები, იმერლები და დიდძალი ქართველები, ასე რომ მცხოვრებთა უმეტესობა არა-აბხაზები იყო. აბხაზებს მხოლოდ სახელმწიფო ძალაუფლება ჰქონდათ ხელში; მათი დინასტია უდგა სათავეში რამოდენიმე ქართველთა ტომს, ისე როგორც წინა-დროში ასეთი უფლება ეკუთვნოდა ჯერ კოლხებს (მეგრელებს) და შემდეგ ლაზებს. ამიტომ ამ ხალხების გაერთიანება მთავარ ქართველ ტომებთან, ქართლელებთან და მესხებთან, რომელთაც დიდათ განვითარებული კულტურა და ლიტერატურა ჰქონდათ, სრულიად ბუნებრივი იყო. ასეც მოხდა.

ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა უფლების ქვეშ ჯერ გაერთიანდა აბხაზეთი, ქართლი და ტაო-კლარჯეთი ბაგრატ III დროს (978 — 1014), და ქუთაისი გახდა სატახტო ქალაქად ამ გაერთიანებული სახელმწიფოსი. შემდეგ ამ დინასტიამ შემოიერთა კახეთი და ჰერეთი, და ბოლოს დავით აღმაშენებლის დროს, 1122 წელს თბილისიც. მოიხსნა თბილისის არაბთა საემირო და თბილისი კვლავ გახდა საქართველოს სატახტო ქალაქად. აქედან იწყება ოქროს ხანა გაერთიანებული საქართველოსი.

ამ დროს საქართველომ გამოგლიჯა მაჰმადიანებს სომხეთის ხამთავროები ხამხრეთით, გაიფართოვა თავისი მფლობელობა აღმოსავლეთით; შირვანის სამეფო გახდა ვასხალი საქართველოსი; ძალაუფლება საქართველოსი გავრცელდა შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდის. საქართველომ მიიღო ხასიათი კავკასიის იმპერიისა. მისი ხელი გაწვდა ბიზანტიაზე, ... ევროპაშიც. უმაღლეს ... პოლიტიკური და კულტურული გავლენისა მან მიაღწია თამარ მეფის დროს (1184 — 1212). მაგრამ ეს ოქროს ხანა გაგრძელდა მხოლოდ მეცამეტე საუკუნის ნახევრამდის, ესე იგი მონღოლთა შემოსევამდის.

მონგოლებმა დაიპყრეს საქართველო და გაპყვეს ქვეყანა ორ სამეფოდ, აღმოსავლეთისად და დასავლეთისად. შემდეგ ამასაც არ დაჯერდნენ და ხელი შეუწყეს შექმნას მესამე დამოუკიდებელი ხამთავროისა, ხამცხე-ხაათაბეგოისა, რომლის მფლობელად გახდენ ხამცხის ათაბაგები ჯაყელთა სახლიდან. ათაბაგებმა დიდი დახმარება აღმოუჩინეს მონგოლებს წინა-აზიის ომებში, ამით მოიგეს მათი გული, გაიფართოეს თავისი ხამფლობელო და გახდნენ დამოუკიდებელნი ქართლის მეფეებისაგან. მათმა ლოიალურმა პოლიტიკამ მონგოლთადმი მისცა მშვიდობიანობა ხამცხე-ხაათაბაგოს და ეს მხარე დიდ წარმატებას განიცდიდა შედარებით ქართლის და იმერეთის ხამეფოებთან.

ამ ხამფლობელოს მაშინ შეადგენდა: ხამცხე (ახალციხის მაზრა ფოცხოვითურთ), ჯავახეთი (ახალქალაქის მაზრა), ყოფილი არდაგანის ოკრუგი (ჩილდირი, ფოსო, არტაანი, ერუშეთი და კოლა), ესე იგი მთელი ზემო-წელი მტკვრის ბასეინისა, შემდეგ მთელი ჭოროხის ბასეინი (ტაო-კლარჯეთი, ისპირი, ოლთისი), ბოლოს ლაზისტანი და არზრუმი (ერზერუმი).

პირველი დამოუკიდებელი ათაბაგი იყო სარგის I. ამან დიდი დახმარება გაუწია გულაგუზანს ბრძოლაში ბერკა-ხანთან და მიიღო ხამფლობელოდ არზრუმი თავისი პროვინციითურთ, ამით უკმაყოფილო დარჩა ქართლის მეფე დავით V, შეიპყრო სარგისი, მაგრამ იძულებული გახდა გაენთავისუფლებინა იგი ხაკანის მოთხოვნით. მაშინ სარგისი სულ ჩამოშორდა ქართლის მეფეს და დამოუკიდებლად გამოაცხადა ხამცხე-ხაათაბაგო 1283 წელს.

მისმა შვილმა ბეკა I (1285 — 1306) კიდევ გაიფართოვა თავისი ხამფლობელო და შეუერთა მას ლაზისტანი. აქ ლაზისტანი პირველად შემოდის საქართველოს საზღვრებში, და ის რჩება ამ საზღვრებში ოსმალთა მიერ ამ ქვეყნის დაპყრობამდის. აზრი, ვითომც ლაზისტანი საქართველოს პოლიტიკურ სფეროში და საზღვრებში არასოდეს ყოფილიყოს, არ არის მართალი.

პირველ ხანაში დამოუკიდებლობა ხამცხე-ხაათაბაგოსი გაგრძელდა ორმოცდაათი წელი. ამ დროს შესუსტდა მონღოლთა გამანადგურებელი ძლიერება. მონგოლეთი დაიყო რამოდენიმე სახელმწიფოდ, რომელთაც ხასტიკი ბრძოლა ჰქონდათ ერთმანეთს შორის. ამ ეამად სახელგანოდ საქართველოს ტახტზე ადიდა გიორგი VI,

12. იხ. ჩვენი „არხეოლოგიჩესკაია ეკსკურსიი ი ზამეტკი", II, გვ. 42 — 43 და „ძველი საქართველო" ტომი II, გვ. 21 — 30. კუმურდოს ეკლესიის შესახებ, იხ. ჩვენი „მატერიალი პო არხეოლოგიი კავკაზა", მოსკოვის გამოცემა, ტ. XII, გვ. 35 — 44.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრწყინვალედ წოდებული, რომელიც შემდეგ დავით აღმაშენებლისა უნდა ჰაითვალოს მეორედ აღმაშენებლად საქართველოისა (1818—1846). ამან პირველმა ალაგმა და განდევნა ოსები, რომელთაც მონღოლთა ხელის შეწყობით დაეკერილი ჰქონდათ მთელი ლიახვის ხეობა ქალაქ გორითურთ და ქართლის სხვა ადგილებიც. გიორგი მეექვსემ შემოიერთა იმერეთი და მისი გამდგარი მთავრები: დადიანი, გურიელი, ზარეშიძე აბბაზთისა და სვანთა ერისთავი; აღადგინა წინანდელი დამოკიდებულება შირვანთან, ფძლია და უკუ-აქცია აზერბაიჯანის ნოინი, რომელსაც უნდოდა კვლავ დაედვა მონღოლთა უღელი გიორგისათვის. ამანვე კვლავ შემოიერთა სამცხე-საათაბაგო და ბექას I შვილს სარგის II უბოძა სამცხის სპასალარობა, მაგრამ სარგის II ამასთანავე იყო მხატვართ-უხუცესიც. მის სურათს ზარზმის ეკლესიაში აწერია: — „სამცხის სპასალარი და მხატვართ-უხუცესი სარგის".

ბექა პირველს სარგის II-ს გარდა ჰყავდა კიდევ ორი შვილი, ყვარყვარე I და შალვა. ყვარყვარე ატარებდა სამცხის ამირ-სპასალარის თანამდებობას. ამ პირველი ათაბაგების დროს სამცხე-საათაბაგო დიდ წარმატებას განიცდიდა. აქ მშვიდობა სუფევდა. მონღოლები მას არ აწუხებდენ, მცხოვრებნი გამრავლდნენ: ბვნათესვა, წარმოება მაღალ დონეზე იყო.

სულ სხვა მდგომარეობაში იყო ქართლის სამეფო. გაუთავებელმა ომებმა მონღოლებთან, აუტანელმა დაბეგვრამ მონღოლთა ხარკისათვის, სამეფოს გადასახადისათვის, ეკლესია-მონასტერთა, ერისთავთა და მებატონეთა შენახვისათვის მწარმოებელი დაბალი ხალხი აუტანელ მდგომარეობაში ჩააგდო: ბვნა-თესვა და მეურნეობა შეწყდა: ამას მოჰყვა შიმშილობა და ჭირი; პური დიდი ფასითაც არ იშოვებოდა; ხალხი ამოწყდა. ათაბაგ ბექას ქვეყანა ამ დროს სამოთხედ ჩნდა და იქ მიაწყდა შიდა-ქართლის ხალხი, იქ მაინც პური სასყიდლად იშოვებოდა. ამ დროს სამცხე-საათაბაგომ დიდი სამსახური გაუწია ქართველ ერს. დიდძალი ხალხი გადაარჩინა გადაშენებას.

ათაბაგი ბექა პოლიტიკურადაც დაეხმარა ქართლის სამეფოს. როგორც მოვიხსენიეთ, ოსებმა ისარგებლეს ქართლის სამეფოს დასუსტებით, ლიახვის ხეობის დაპყრობასაც არ დასჯერდნენ ძამის ციხეც დაიპყრეს და ლამობდნენ ძამის ხეობის ხელში ჩაგდებასაც. მაგრამ ბექა ათაბაგმა გაილაშქრა მათ წინააღმდეგ და ალაგმა ოსები.

პირველი ათაბაგები მსჯულმდებელნი და მაშენებელნიც იყვნენ. პირველი მსჯულმდებელი, ესე იგი კანონმდებელი იყო ბექა I (1258—1286); მეორე — მისი შვილის-შვილი აღბუღა (სამდვილად არ ვიცით, ყვარყვარე I-ს შვილი იყო თუ შალვასი). ბექას კანონები [illegible] მული მე-XIII საუკუნეში შეიტანა [illegible] მე-14 საუკუნეში. ბექას კანონები შეიცავდა 85 მუხლს, აღბუღამ ანუ, უკეთ ვთქვათ, მისგან შედგენილმა საკანონმდებლო კომისიამ მიუმატა მას 85 მუხლი.[13]

აღმაშენებლობის ღვაწლი ათაბაგებისა ბევრ ადგილას მოიპოება სამცხე-საათაბაგოში, მაგრამ უმთავრესად ეს ღვაწლი სამცხეს ემჩნევა. აქ მათ მიერ აშენებულია მშვენიერი საფარის და ეკლესიების მონასტრები; ღვაწლი მათი სჩანს ზარზმის მონასტერშიც. სამივე მონასტერში დაცულია სურათები-ფრესკები სარგის I, მისი შვილი ბექა I და შვილის-შვილების, სარგის II, ყვარყვარე I და შალვასი. უკანასკნელის სურათი მოიპოვება მხოლოდ ეკლესიაში.

სამი შვილის გარდა ბექა I-ს ჰყავდა კიდევ ორი ქალი. ერთი მისთხოვდა ტრაპიზონის იმპერატორს მიხეილ კომნენს, ალექსი II-ს შვილს; მეორე — ნათელა — იყო ცოლი ქართლის მეფის დიმიტრი III-ს (გარდაიც. 1289 წ.). დიმიტრის ნათელადან ჰყავდა შვილი გიორგი ბრწყინვალე, რომელმაც საათაბაგო კვლავ მოიყვანა ქართლის მეფის ხელს ქვეშ. ამ დროიდან სამცხე-საათაბაგო 145 წელს ითვლებოდა საქართველოს ნაწილად, მაგრამ ბრძოლა ჩამოშორებისათვის არ შეწყვეტილა. როდესაც 1470 წლის ახლო ხანაში საქართველო გაიყო სამ სამეფოდ და ბუთ სამთავროდ, ათაბაგებიც გამოვიდნენ ქართლის მეფის წინანდელ, ანუ ვთქვათ, ნახევარ მორჩილებისაგან და გახდნენ სრულნი უფალნი სამცხე-საათაბაგოსი. თუმცა ბრძოლა ქართლის მეფეთა და მათ შორის მაინც გრძელდებოდა. აქედან იწყება დაკნინება მთელი საქართველოს ნაწილებისა და მათ შორის სამცხე-საათაბაგოსი.

ათაბაგები პოლიტიკურ ჩამოშორებასთან ერთად ცდილობდნენ ეკლესიურადაც ჩამოშორებოდნენ საქართველოს, რომ ამ მხარის ეპისკოპოსები მცხეთაში არ გაეგზავნათ საკურთხად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მიერ, არამედ ეს უფლება მიენიჭებინათ აწყურის მთავარეპისკოპოსისათვის. ამას ანტიოქიის პატრიარქის ცბიერის დახმარებით ცოტა ხანს კიდევაც მიაღწიეს. ათაბაგები განაგებდნენ დამოუკიდებლად თავის სამფლობელოს. მანამ ოსმალებმა არ დაიწყეს მხედრობა სამცხე-საათაბაგოში.

ანატოლიისა და კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა სულეიმან დიდის სულთანის დროს (1552 — 1566) დაიკავეს არზრუმი, ვანი და ყარსი, და დაარსეს ამ ქალაქე-

---

13. ს. კაკაბაძე: „სჯულმდებელ ბექას და აღბუღას ვინაობა". ტფილისი, 1912. ივანე ჯავახიშვილი: „ქართული სამართლის ისტორია" I. ტფილისი, 1926. გვ. 107 — 108, 111.

ბის საბეგლარბეგოები: შემდეგ ათაბაგ ქაიხოსრო მეორის დროს (1545 — 1578) დაიპყრეს მთელი ჯოროხის ბასეინი, სახელდობრ 1550 წელს ტაო, 1552 წელს არტანუჯი და არდაგანი, ამასთანავე ბაიბუთი, ხახული, ოლთისი და ბანა (პენიაკი) ადმინისტრატიულად ხინკაყებად გამოაცხადეს. შემდეგ განაახლეს ციხეები ყარსისა და არდაგანისა. არდაგანის ციხის კედელზე დღემდე დაცულია წარწერა სულეიმან დიდისა 1555 წლის თარიღით. შემდეგ ლალა-ფაშის დიდი ლაშქრობის დროს 1578 წელს დაპყრობილ იქმნა ჩილდირი, ხერთვისი, ახალქალაქი, ახალციხე და აწყური, და ამრიგად მთელი სამცხე-საათაბაგო მთლად მოექცა ოსმალთა მფლობელობაში. ქაიხოსრო II შვილები, უვარუვარე V (1578 — 1582), მანუჩარ II (1558 — 1614), ამისი შვილი მანუჩარ მესამე (1614 — 1625) იძულებულნი იყვნენ დამორჩილებოდნენ ოსმალებს და მათი სახელით დარჩენილიყვნენ მმართველად ამა თუ იმ საათაბაგოს ნაწილებისა, მაგრამ ჯერ კიდევ ქრისტიანობა შეინარჩუნეს: ხოლო ბექა III-ს შვილმა უვარუვარე V-მ. მოწამლა თავისი ძმისწული, კანონიერი ათაბაგი მანუჩარ III, წავიდა სტამბოლს, მიიღო იქ მუსულმანობა საფარ-ფაშის წოდებით და გახდა ახალციხის ფაშა.

ახალციხის საფაშალიკოში შედიოდა არა მთელი სამცხე-საათაბაგო, არამედ მხოლოდ სამცხე და ჯავახეთი. საფარ-ფაშა და მისი შთამომავალნი, ახალციხის ფაშები, ადმინისტრატიულად ემორჩილებოდნენ არზრუმის ფაშას. აქედან იწყება ტრაღედია სამცხე-საათაბაგოსი, ამ საუკეთესო კულტურული ნაწილის საქართველოსი.

ვისაც არ ხურდა მაჰმადიანობის მიღება, მისთვის ყოველი სახსარი ცხოვრებისა მოსპობილი იყო. ამიტომ თავად-აზნაურობა, რომელმაც არ უღალატა მამაპაპურ სარწმუნოებას, იძულებული შეიქმნა გადასახლებულიყო ქართლში, კახეთში, იმერეთში, გურიაში და სხვა ადგილებში: ამათ რიცხვში უფრო წარჩინებული გვარები არიან: შალიკაშვილი, ციციშვილი, ავალიშვილი, ჯაყელი, დიასამიძე, გოგორიშვილი, თავდგირიძე, ბიმშიაშვილი, კავკასიძე, დოლენჯიშვილი, ხერხეულიძე, თაქთაქიშვილი, ქობულაშვილი (ქობულისძე), სუმბათაშვილი, ზედგინიძე, თუხარელი, გუგუნავა და სხვა.

ვინც გამაჰმადიანდა და ასეთები უმრავლესობა იყო, მიიღეს თათრული ხარისხი და თანამდებობანი. უბრალო ხალხი მტკიცედ იდგა სარწმუნოებაზე. მაგრამ უამრავი გადასახადებით და ყოველგვარი შევიწროებით იძულებული იყო ცხოვრების შერჩენისათვის თანდათან მაჰმადიანი გამხდარიყო. ეკლესიები და მონასტრები ზედიზედ იკეტებოდა, განძეულობა ეკლესია-მონასტრებისა უმეტესი ნაწილი განადგურდა: ზოჯი გადმოტანილ იქმნა სხვა და სხვა საქართველოს ნაწილებში, უფრო გურიაში, და ადგილიდან ველგან შემოიღეს თათრული [illegible] ლი მიწათმფლობელობა. [illegible] ტრების საბოლოო ლიკვიდაცია მოხდა მხოლოდ მეჩვიდმეტე საუკუნის დამლევს. მანამდის ასე თუ ისე, გაჭირვებით, ზოგი მონასტერი კიდევ არსებობდა და მათ წინამძღვრებს სულტანი ამტკიცებდა ფირმანით.

საფარ-ფაშის შვილისშვილის, როსტომ ფაშის დროს (1647 — 1695) სამცხე-საათაბაგო გარეგნულად მაინც გახდა სამუსულმანო ქვეყანად. ბოლო ქობულეთში, აჯარაში და იმერხევში მაჰმადიანობამ ფეხი ვერ მოიდგა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე. არც ოსმალთა პოლიტიკური უფლება ყოფილა აქ განმტკიცებული. ზოგ სხვა ადგილებშიც დიდ ბანს დარჩნენ ქრისტიანები ხან ფარულად, ხან აშკარად. მაგალითად, გიორგი ყაზბეგმა 1874 წელს პარხალის მიდამოებში იპოვა ბუთი კომლი აშკარად ამლიარებული ქრისტიანობისა და მათი მღვდელი. გვარად მღებრიძე იყო. ხოლო 80 კომლი ფარული ქრისტიანები იყვნენ,[14] ესენი იყვნენ სოფელ ხევეკისა და არმენ-ხევის მცხოვრებნი.

უკანასკნელი მსოფლიო ომის დროს, როდესაც რუსის ჯარმა დაიკავა ჯოროხის ბასეინი, მთელმა ამ სოფლის მოსახლეობამ აშკარად აღიარა თავისი ქრისტიანული რწმენა და დიდ სიხარულს განიცდიდნენ. ჩვენმა 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებმა დ. შევარდნაძემ და ი. ზდანევიჩმა ინახულეს იგინი და ჰკონდათ მათთან საუბარი მრევლის მოწყობის შესახებ: ჩვენს საკათალიკოზო სახჯოს უნდა გაეგზავნა მათთვის მღვდელი, რომ ფრონტი არ მოშლილიყო და რუსის ჯარს არ მიეტოვებინა ეს მხარე. რასაკვირველია, დატრიალდნენ ბერძნის მღვდლებიც და უნდოდათ ჩაეგდოთ ხელში სოფელი და დაემუარებინათ იქ ბერძნული წირვა-ლოცვა, თუმცა იქ მთელი სოფელი ქართულად ლაპარაკობს. ამ მიზნით ერთ ბერძენ მღვდელს ცბიერებით გამოერთმია მათთვის ძველი ქართული საეკლესიო წიგნები, რომელნიც მალულად შერჩენილი ჰქონებოდა. ზოგ ადგილას გამუსულმანებული ქართველები ასრულებენ ზოგიერთ ქრისტიანულ წესებს და ჩვეულებას. მაგალითად ყურბან-ბაირამობის დროს (მუსულმანთა აღდგომას) ამზადებენ შეღებილ კვერცხებს და მიაქვთ ეკლესიის ნანგრევებში. ამას აღნიშნავს ე. ვეიდენბაუმიც ბანის ტაძრის შესახებ, რომელიც მან ინახულა 1879 წელს.[15] ხახულში, მონასტრის კარის ბჭეში, აღმოსავლე-

14. გ. ყაზბეგი: „ტრი მესიაცა ვ ტურეცკო-გრუზიი", კავკ. გეოგრ. სახ. „ზაპისკები", X, გვ. 124.

15. იხ: „მატერიალი პო არხეოლოგიი კავკაზა, ტ. XII, გვერდი 92.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის კედელში, ღვთის მშობლის სურათია გამოქანდაკებული, რომელსაც მკვიდრნი მარიამს უწოდებენ. თუმცა მუსულმანთა ქალები მეჩეთში არ დადიან, მაგრამ ამ ქანდაკებასთან მოდიან თამამად, აღიპყრობენ ხელებს და სთხოვენ შვილიერებას: ვისაც რძე აკლია, რძის ძიმატებას; ვისაც ავადმყოფი ჰყავს, მის მორჩენას და სხვას, ვისაც რა აწუხებს. მარიამი დადათ სწამთ არა თუ დეცხაკაცებს, არამედ მამაკაცებსაც. მათი რწმენით, მარიამ არავის შეარჩენს ტაძრის გაუპატიურებას და ხელის ხლებას. როდესაც რუსის ჯარმა უკანასკნელი ომის დროს ეს მხარე დაიკავა, ხახულის კომენდანტად დანიშნული იყო პორუჩიკი ნ. მ. შუგუროვი და ის გვამცნეს ზოგიერთ თქმულებას ხახულის შესახებ თავის ბროშურაში.[16] სხვათა შორის

16. პორუჩიკი ნ. მ. შუგუროვი მეტად პატიოსანი, სათნოიანი და ღვთისნიერი ადამიანია. როდესაც მან პირველად ხახულის ეკლესია ნახა, გაოცებული დარჩა მისი ლამაზი სტილით, შშვენიერად დაცვით და მკვიდრთა ამ ძეგლისადმი კარგის განწყობილებით. მე და სხვებსაც მოგვწერა არა ერთი აღტაცებული წერილი და გვთხოვდა, მოგვეწყო ექსპედიცია ძეგლის შესასწავლად. მეც დავპირდი. შემდეგ ის თვითონ ჩამოვიდა თბილისში და 6 ივნისს 1917 წელს თბილისის თავადაზნაურთა საკრებულოში წაიკითხა მოხსენება ხახულის ტაძრის შესახებ. მეც ვიყავი ძოწვეული, მაგრამ მოხსენებას ვერ დავესწარი სხვა საჭირო საქმეების გამო, ხოლო 1918 წელს ეს მოხსენება დაბეჭდა ბათუმში კ. დ. მაჭავარიანმა რუსულად (ნ. მ შუგუროვი: „ხახულის მონასტერი მცირე მიმოხილვა" ბათუმი, 1918. in 16 გვ. 21). მოხსენებაში აღნიშნულია მოკლე ცნობები ხახულის მონასტრის შესახებ არსებული ლიტერატურის მიხედვით და მოთხრობილია თუ რა გააკეთა მან ხახულში. შუგუროვს გაუწმენდია ტაძარი, გაუკეთებია ხის კანკელი, ტრაპეზი, მაგიდა სამკვეთლო, კარადა სანთლისათვის, სატრაპეზო ჯვარი და ზედ ქართულად დაუწერია: „აღსდეგ უფალო განსასვენებლად შენდა „კიდობანი სიწმიდისა შენისა" (ფსალმუნი 131,8). ხატები გამოეგზავნა ოდესიდან დედა-მისს მ. თ. შუგუროვისას. ერთი სიტყვით შეეკრიბა ყველაფერი, რაც საჭიროა წირვისათვის. გარდა ამისა გაუკეთებია ორი დიდი ჯვარი ბეჭოლის ხისა. ერთი დაუდგამს კარის ბეჭეზე, მეორეს დადგმა გუმბათის თავზე უკისრია ქართველ ჯარისკაცს რახრაძეს, რომელიც სასწაულებრივი სიმარჯვით ასულა გუმბათზე, აუტანია და დაუმაგრებია ეს დიდი ჯვარი მთელი გაკვირვებულის სოფლის თანდასწრებით; სოფლელებს უთქვამთ: მარიამი შეეწია, თორემ ეს შეუძლებელი იყო, როდესაც რახრაძეს გაუჩხრეკია ბუდე, რომლითაც ძველი ჯვარი უმას უამბეს: ერთს ჩვენს მოხერხებულს და მხნე ახალგაზრდას გაგონილი ჰქონდა, რომ ჯვარი ქვეშ გუმბათისა ხაზინაა დაკრძალული. მან განიზრახა ეხულიყო გუმბათზე ხაზინის მოსაპოვებლად. ასვლა მოუწყობლად ახასვლელისა ძნელია, მაგრამ ასვლით მაინც ავიდა, ხოლო ვერაფერი ვერ იპოვნა, ჩამოვიდა ძირს, დაბრუნდა სახლში, დაჯდა იატაკზე და მაშინათვე მოკვდა. მარიამმა დასაჯა ის კაცნიერებისათვისო, დასძინა მთქმელმა მაჰმადიანმაო. ზოგ სხვა ადგილებშიაც დიდი მოკრძალება აქვთ ეკლესიისადმი. მაგალითად, ოთხთა-ეკლესიის გვერდით თუმცა მწვანერი ბაღნარია, მაგრამ ხალხი იქ არ ცხოვრობს. იქ არ შეიძლება ცხოვრებაო, ამბობენ, ვინც არ დასახლდა, ყველანი ამოწყდაო. ერთხელ ერთმა მწყემსმა ეკლესიაში ფარა შერეკაო, მაგრამ ეს ფარა შემდეგ მოვარდნილმა წყალმა იმსხვერპლაო. იშხანში მხატვრობა მოშლილი დამხვდა და ეტყობოდა ზოგიერთი ფრესკის მოშლა ახალი საქმე იყო. მე ვკითხე მუხტარს, რატომ შლით სურათებს-მეთქი? მან მიპასუხა, ჩვენ მაგის გვეშინია და არაოდეს ხელი არ გვიხლია; ესენი სულ რუსის სალდათებმა ხიშტის წვერებით მოშალესო. მართლაც და თვით ხახულის ყოფილი კომენდანტი შუგუროვი გვიმოწმებს თავის ზემოხსენებულს წიგნაკში (გვ. 6) რუსის სალდათების და პრაპორშჩიკების ბარბაროსობას, რომელთაც მიაწერეს ხახულის ღვთისმშობლის ქანდაკების სახის გაფუჭებას და დასძენს: განა ესენი არ იყვნენ, იშხანის ტაძარში მიზანში სროლა რომ ასტეხესო?! ზოგიერთი სალდათის ფსიქოლოგიის მიხედვით, ამბობს ნ. შუგუროვი, ყველა ეკლესია სათათრეთში, ქართულია ის თუ სომხური, „თათრული ეკლესია" არის და არავითარი პატრიოტიზმის ღირსი არ არისო (გვ. 10).

სოფელ დასაბომა- ში, ნ. მარრის თქმით, არის მოზრდილი ეკლესიის ნანგრევები ჩვეულებრივი რიგისა; ამ ნანგრევების დიდი ში ში აქვთ სომხებს და ქართველ მუსულმანებს, აქ

ფილა დამაგრებული გუმბათზე, იქიდან ამოუღია ძელის ნაჭერი, სრულიად კარგად შენახული. ამ ნაჭრიდან შუგუროვს გაეკეთებინა სატრაპეზო ჯვარი, რომელსაც თან ატარებდა, და მეც მაჩვენა. ხე, რომლიდანაც ჯვარია გაკეთებული, თათრულად ტურგენ-ი ყოფილა, ჩვენებურად ძელქვა უნდა იყოს. ამას შემდეგ ნ. შუგუროვს 24 ივნისს 1916 წელს ზეიმით უკურთხებია ტაძარი; წირვა გადაუხდია მაშა ნიკოლსკის, გალობა ყოფილა რუსულად და ქართულად. წამოსვლის ხანს ნ. შუგუროვს გასაღები ტაძრისა ჩაებარებია ადგილობრივი ხოჯისათვის, რომელმაც ჩვენი ექსპედიციის დროს ჩვენ გადმოგვცა, და წამოსვლის ხანს მასვე ჩავაბარეთ.

Digitized by Georgian National Archives

მოდიან სალოცავად შორეული კუთხეებიდანაც. განსაკუთრებით აღდგომას, ისე სხვა დროსაც აქედან არაფრის წაღება არ შეიძლება. ამბობენ, ერთმა ბებერმა სცადა აქ ბოსტანის გაშენება, მაგრამ მაშინვე მოკვდაო (დღიური. გვ. 84 — 86).

სამუსულმანო საქართველოში ჩვეულებადაა ზიარეთში წახვლა. ეს უდრის ჩვენებურ ხატობას. ზიარეთი სამლოცველო ადგილს ჰქვია და ასეთი ადგილებია, სადაც ძველი ეკლესიის ნან. გრეგებია, ან ყოფილი საჯვარეა. აქ მოდიან სხვა და სხვა ადგილებიდან, ნამეტნავად ქალები; მოაქვთ ჩამოქნილი თაფლის ხანთლები, აანთებენ ხანთლებს და ლოცულობენ. აქ რჩებიან ერთი-ორ ღამეს; თუ შორიდან მოსული არიან, უფრო მეტსაც. და ამათ უნდა დაესიზმროთ ღამე, თუ რა ცხოველი დაკლან სამსხვერპლოდ, ცხვარი, თხა, ხბო, ძროხა თუ ხარი, და რაც დაესიზმრებათ იმას დაკლავენ ბოლმე. ასეთ ჩვეულებას ასრულებენ პორტას (ძველი შატბერდის) მონასტრის ნანგრევებში და ბევრ სხვა ადგილას. მოლები უშლიან რასაკვირველია, ასეთ ქცევას ხალხს, მაგრამ ვერაფერს ხდებიან (ნ. მარრის დღიური გვ. 80). ასეთი ზიარეთი აქვთ ხახულის მცხოვრებთაც მათი ბევის ხათავეში, მთაზე, სადაც ეკლესიის ნანგრევებია დაცული. ქრისტიანობის ნაშთი ისახება ბოლმე ზოგიერთ თქმულებაშიც. მაგალითად ამბობენ იმერხევში, თავკვეთილობას (იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთას) თოვლი მოვაო (ნ. მარრის დღიური, გვ. 8).

რაც ლეგენდებს შეეხება, ქართველ მეფეთა შორის ლეგენდები ზოგ ადგილას მარტო თამარ დედოფალზეა შენახული, იშხანში, ხახულში, ოთხთა-ეკლესიაში, პარხალში მცხოვრებნი მათი ეკლესიების აშენებას ძლევამოსილს, მდიდარს და შესანიშნავ დედოფალს მიაწერენ, მაგრამ სახელი მისი იციან კობაკში და ბინათში, სხვაგან დავიწყებული აქვთ. ოთხთა-ეკლესიის მცხოვრებნი ამბობენ, იმ მეფის ასულს, რომელმაც ოთხთა-ეკლესია აღაშენა, ფული არ ეყო და თავისი თმის სამკაული გაპყიდაო. ხოლო კობაკის მცხოვრებლებმა იციან სახელი დედოფლისა, რომელმაც აღაშენა იშხანი, ოშკი, ხახული, ოთხთა-ეკლესია და პარხალი. ეს იყო თამარ, ანუ შირვანის ასულ; მამამ ყველა შვილები გაამამამდიანა, ხოლო თამარს დიდი დამსახურების გამო ნება დართო ქრისტიანი დარჩენილიყო. თამარს ჰყავდა თეთრი რაში ისეთი, რომ ერთს დღეს შეეძლო მოევლო ოშკი, იშხანი, ოთხთა-ეკლესია და პარხალი. კობაკის მახლობლად უჩვენებენ კლდეს ხელისგულის გამოსახულებით და ამბობენ, ეს თამარ მეფის ხელის ნაშთიაო. როცა მან გაიარა ამ კლდესთან თავისი ჯარით, ცხენიდან ჩამოვარდა და ხელი კლდეს მიაბჯინა, რომელზედაც დარჩა ნასახი მისი ხელისაო.

პარხალის ზემო სოფლებში დარჩენილია დიდი ძველი გრძელი არხი, რომელიც ეწყება სოფელ უთავიდან, კობაკის მახლობლად — გაკრილია კლდეში რამოდენიმე [illegible] მიდის სოფელ ზავრიეთში; ამას მიაწერენ თამარ მეფეს და ამბობენ, ყველაზე დიდი ღვაწლი, რომელიც მან დასდო ამ მხარეს. ეს არისო. კიდევ უფრო კარგად იციან თამარის სახელი ბინათის მცხოვრებლებმა. ბინათი მდებარეობს მელოს მახლობლად, სოფელ ორჯობის ზემოდ, ჭოროხის პირზე. ამ სოფელში 214 სული ცხოვრობს, ყველა ქართულად ლაპარაკობს. მათი თქმულებით ამ სოფლის სახელი ასე წარმოიშვა ერთხელ მეფე თამარმა აქ გამოიარა; ცუდი ტაროსის გამო გზა ვეღარ განაგრძო და ინება ღამის გათევა ამ სოფელში; მას მიუჩინეს სუკეთესო ბინა და მას შემდეგ სოფელს დაერქვა სახელი ბანათი, რომ ამით აღენიშნათ თამარის ღამის გათევა ამ სოფლის ბინაში.[17]

რაც შეეხება ენას, ქართული ენა თანდათან დავიწყებას მიეცა და დაუთმო ადგილი თათ-

17. ეს ლეგენდა ბ-ნმა ალექსანდრე სტეფანეს ძე მატიასევიჩმა გადმოგვცა. ეს იყო ომის დროს „ნაჩალნიკი" მელოს „უჩასტკისა", დაიარა ყველა სოფლები ჭოროხის შუა-წელისა და შეკრიბა სტატისტიკური ცნობები მოსახლეობისა და სია გადმოგვცა ჩვენ ჩვენებით, თუ რომელ სოფელში ლაპარაკობდნენ ქართულად. აგრეთვე მან გადმოგვცა ფოტოგრაფიული სურათები ზოგიერთი სოფლებისა, ძეგლებისა და მკვიდრთა გუნდებისა, რომელთათვის უგულითადეს მადლობას ვუცხადებთ. ა. მატიასევიჩი მხატვარიც არის; მის მიერ გადმოღებული აქვარელის სურათი იშხანის ტაძრისა, ჩვენ შევიძენთ საქ. საისტ. და საეთნოგრაფიო მუზეუმისათვის. საჭიროდ ვრაცხთ შევნიშნოთ, რომ ცნობები ქართული ენის ცოდნის შესახებ ზოგიერთი სოფლებისათვის სრულიად არ ჩაითვლება. მის სიაში მოხსენებული არ არის, რომ სოფ. ოთხთა-ეკლესიაში (დორთ-კილისაში) ქართულად ლაპარაკობენ, მაშინ როდესაც იქ ყველა ქართულად მოლაპარაკეა. მცხოვრებნი ყოველთვის არ ამბელენ, რომ ქართულად ლაპარაკობენ. ამას გარდა მამაკაცები, მეტადრე რუსის მოხელენი, დედაკაცებს ვერ ნახულობენ, ოჯახებში ვერ ჩაიხედავენ. სადაც უფრო არის დაცული ქართული ენა, ზოგჯერ არც ეკლესიის შესახებ აწვდიან ცნობებს. მაგალითად, მატიასევიჩმა გადმოგვცა სურათი ოთხთა-ეკლესიის ციხისა და როდესაც ეკითხე, ეკლესიის სურათი არ გადმოიღე-მეთქი, მიპასუხა, იქ ეკლესია არ არისო. შესანიშნავი ოთხთა-ეკლესიის ბაზილიკა მას უნახავი დარჩა, თვითონ შემთხვევით ვერ წაწყდა (ეკლესია ხუთი კილომეტრით მოშორებულია სოფელზე) და მეკობრეებმა არაფერი უთხრეს მის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულ ენას. ამას ხელი შეუწყო პირველად სიადვილემ ენისა, გადმოსახლებამ თათრებისა ქართველ მკვიდრთა შორის, სკოლებმა, სადაც მხოლოდ ყორანს ასწავლიდნენ თათრულ ენაზე და სხვა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ბევრ ადგილას ჯერეც შერჩენილია ქართული ენა ნამეტნავად მთის მივარდნილს და ძნელად მისავალ სოფლებში. მამაკაცებმა ყველამ იცის თათრული, მაგრამ თათრულად ელაპარაკებიან მხოლოდ უცხოელებს და ოსმალთა თანამდებობის პირებს. თავიანთ შორის, ოჯახში მარტო ქართულად ლაპარაკობენ; ნამეტნავად ქალები და ბავშვები. არდაგანის და ოლთისის „ოკრუგებში" ნაკლებად არის დაცული ქართული ენა, ვინაიდან აქედან ბევრი ქართველობა გადასახლდა ოსმალეთში რუს-თათართა ომის შემდეგ 1877 — 1878 წლებისა და მათ ადგილას სხვები გადმოსახლეს: თათრები, თარაჯამები, ყურთები, ბერძნები და ხომხები. არადაგანის ოკრუგში ჩემი ექსპედიციის დროს 1902 წელს ქართულად ლაპარაკობდნენ მხოლოდ ხოფელ ველში.[18] ხოლო ერუშეთში მარტო მოხუცებულებს ესმოდათ ქართული. ოლთისის ოკრუგში, ფანასტაკერტი, ანზავში, ნიაკომში ქართული ესმოდათ მხოლოდ მოხუცებულებს და უფრო ქალებს ვიდრე მამაკაცებს, ბევრად უფრო კარგად არის დაცული ქართული ენა ყოფილ ბათუმის ოლქში. ცნობილია, რომ აქ ქობულეთელებსა და აჭარლებს ყველაზე კარგად აქვთ შენახული ქართული ენა. ამას გარდა ქართული ენა დაცულია კლარჯეთში და იმერხევში, სადაც დღემდის დიდათ გავრცელებულია ხახალხო პოეზიის ნაწარმოებნი, ლექსები, მეტადრე ფირალებზე. ნიმუშები მათი შეკრებილი აქვს ნ. მარრს (იხ. მისი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება", დღიური, გვ. 46—74).

ლაზები ამ ოლქისა ლაპარაკობენ თავიანთ ლაზურ ენაზე. კიდევ უკეთ არის შენახული ქართული ენა ზოგიერთ ძნელად მისავალ სოფლებში შუა-ჭოროხის ბასეინისა. ჯერ კიდევ ყაზბეგმა აღნიშნა, რომ პარხალის მახლობელ სოფლებში არმენ-ხევში და კობაკში ყველა ქართულად ლაპარაკობს, ხოლო პარხალში ყველამ არ იცის ქართულიო (იხ. მისი ზემოდ-ნახენები წერილი, გვ. 119).

ჩვენი 1917 წლის ექსპედიციის მიერ შეკრებილს ცნობებით და ნამეტნავად იმ ცნობებით, რომელნიც გადმოგვცა ალ. სტ.-ძე მატიასევიჩმა სოფლები, რომლებშიაც ყველა ქართულად ლაპარაკობს, არიან შემდეგნი: — კობაკი, არმენხევი, ხევეკი, გუდახევი, ბუმხალი, ბალბი, ბოდსუფლია, უტავი, ვანის ხევი, კირვანხი, ოთხთაეკლესი (დროთ-კილისა) და ბინათი. ამ მხარეში არის კიდევ ერთი დიდი სოფელი მაჯარა (ბაბარზე (უღელტეხილზე), იშხანის მახლობლად [illegible] ფელი იშხანის ხამუხტაროში შემოდის), სოფელში 208 სული მცხოვრებია და ყველა ქართულად ლაპარაკობს. ამ სოფლის სახელი რუკაზე არის ჩილჩიმი, მაგრამ ნამდვილად მისი სახელია ჭიმჭიმი და მცხოვრებნიც ასე გამოთქვამენ მის სახელს. ამ სოფლის სახელი გვამცნევს, თუ საითგან წარმოხდა სახელწოდება ცნობილის ქართველი მეცნიერის და ფილოსოფოსის იოანე ჭიმჭიმელისა, რომელიც ამდენ დავას და უჯერო განმარტებას იწვევდა მკვლევართა შორის. ეხლა ცხადია, იოანე ყოფილა სოფელ ჭიმჭიმიდან და აქედან წარმოსდგა ჭიმჭიმელი, როგორც რუსთავიდან რუსთაველი, ხონიდან ხონელი და სხვა.[19]

18. ეს დამოწმებული აქვს დ. ბაქრაძესაც, რომელმაც იმოგზაურა ამ მხარეში 1881 წელს. იხილეთ ვახუშტის ისტორია, გვ. 131. შენიშვნა

19. ეს აღარ იწვევდა ეჭვს მას შემდეგ, რაც ჩვენ მცირე უწყებაჲ ქართველთა მწერალთათჳს" გამოვაქვეყნეთ (იხ. „ძველი საქართველო", ტ. I, განყ. 3, გვ. 1 — 60), მაგრამ იქ აღნიშნული იყო მისი წარმოშობა სამცხის სოფლიდან და მდებარეობა ამ სოფლისა არ ვიცოდით. ამ სოფლის მცხოვრებთა გუნდის ფოტოგრაფიაც გვაქვს.

ჭიმჭიმში ძველად ერისთავიც მჯდარა. ჩემს საბუთებში ინახება სამი წარწერა, რომელნიც მე გარჩეული მაქვს, მაგრამ მათი ფაქსიმილე ეხლა ხელთ არ მაქვს და არ მახსოვს, ვინ გადმომცა, ან რომელ ძეგლს ეკუთვნიან. ერთი მათგანი, რომელშიაც ჭიმჭიმის ერისთავია მოხსენებული იკითხება ასე:

ქ^ე შ^ ს^ლი ფ
რ^ნ : ეესაჲ ივს
ძ^სი ჭ^მჭ^მსაჲ

ქრისტე. შეიწყალე სული ფირან (თუ ფრიდონ ან ფარსადან) ერისთავთ ერისთავისაჲ, იოვანეს ძისაჲ, ჭიმჭიმელისაჲ.

მეორე წარწერა:

ქ^ე ა^სო... დდე ბგრტ და
მშ დდფ

ქრისტე იესო... [ა]დიდე ბაგრატ და მარიამ დედოფალი.

აქ მოხსენებული ბაგრატ უნდა იყოს ბაგრატ მეოთხე (1027 — 1072); ხოლო მარიამ დედოფალი არის დედა ბაგრატისი. ესენი ერთად ხშირად იხსენიებიან ქართულს წარწერებში.

მესამე წარწერა:

ქ^ე შ^ე ს^ლი ნშსაჲ ესე კ^თხე მ^სია

ქრისტე, შეიწყალე სული ნუშრევანისაჲ (თუ ნუგეშისაჲ?). ესე კუთხე მისია.

ამგვარი წარწერები პარხალის მონასტრის ზემო, მეორე სართულის, კამარებზეა და შეიძლება მას ეკუთვნოდეს. იგულისხმება, ვის მიერ ეროს კამარა შეკაზმული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსულმანი ქართველები ყოველგან თვალსაჩინოდ განირჩევიან სხვა სამუსულმანო საქართველოს მცხოვრებთაგან. თურქებისაგან, ქურთებისაგან, თარაქამებისაგან და სხვებისაგან, განირჩევიან სახით, ჩაცმა-დახურვით, ზნე-ჩვეულებით დარბაისლობით (პირველ თქმულია ძველთაგან სიდარბაისლე მეხსისა), სიდინჯით და პატიოსნებით. ტანისამოსი მამაკაცისა ისეთია როგორც გურულებისა, აჭარლებისა და ლაზებისა, ესე იგი ჩაქურა. ხოლო აჭარლებქობულეთლებისაგან განირჩევიან ხასიათით. მათ შორის სისხლის აღება არ არსებობს, მრავალ-ცოლიანობა იშვიათია, ხალხი მშვიდია, პატიოსანი, ქურდობა მათ შორის შეუძლებელია. ხახულის მუხთარს ვკითხე ქურდობა თუ არსებობს თქვენ შორის მეთქი? დიდად გაიკვირა. ქურდობა ჩვენში არავის გაუგონია, ქურდი ქურთია, ჩვენში შეუძლებელია. რუხის მოხელენიც, რომლებმაც ისტორია ამ მხარისა არ იცოდნენ, ანუ ნაკლებად იცოდნენ, ისინიც ამჩნევდნენ ამ ტიპიურ განსხვავებას და გამოსთქვამდნენ აზრს, რომ ისინი გამაჰმადიანებული ქართველებია, მაგალითად ია. პროსკურიაკოვი, ვ. ლისოვსკი და პ. ხელმნიცკი და პორუჩიკი ნ. შუგუროვი, რომელთ წიგნები ზემოდ ვუჩვენეთ. სხვათაშორის ნ. შუგუროვი სწერს თავის წიგნაკში:

„სამი წლის განმავლობაში ჩემი ფრონტზე ყოფნისა მე კარგად დაეუკვირდი ნამდვილ თურქებს, მაგრამ ხახულის თურქების სახეებში, ნამეტნად ახალგაზრდებისა, აშკარად შევნიშნე ნამდვილი ქართული სახეები. მეტად თავისებურია დიდრონი შავი თვალები და ანაგები ტუჩისა... განსაკუთრებით ხახულის „თურქთა" (ესე იგი გამაჰმადიანებული ქართველების) შესახებ უნდა ვთქვა, ეს ხალხი რაინდულად პატიოსანია, სიმართლით გამსჭვალულია და ფრიად სტუმართმოყვარე. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ომით გაუბედურებული იყვნენ, მრავალჯერ შეურაცხყოფილი ხალდათთა მიერ, მათ მაინც კეთილი განწყობილება დაიცვეს ჩვენდა მომართ, ნამეტნავად ოფიცერთა მომართ. მე არ ვიცი შემთხვევა, რომ მათ ბოროტისათვის ბოროტით მოეზღოთ. პირიქით, ხულ მცირე კეთილისათვის გვიზღვნიდენ ნათელი გულის მადლობით. ერთხელ პროტოიერეი C. სთან საუბრის დროს მე მას გავუზიარე ჩემი დაკვირვება ხახულის მცხოვრებთა შესახებ და ვთქვი: „აი ხალხი, რომელთაც განახორციელეს თავიანთ შორის ქრისტიანული იდეალები!". პროტოერეი დამეთანხმა (გვ. 15 — 16).

სამუსულმანო საქართველოს დაბრუნება ყოველთვის შეადგენდა ქართველ მეფეების მისწრაფებას და ზრუნვას, მაგრამ პირობები ამას ხელს არ უწყობდა. რუს-თათარ-ომის დროს 1768 — 1774 წლებში თითქო ამნან [illegible] ელება შესაძლებლად ჩნდა [illegible] ასეთი გულწრფელი და ენერგიული მონაწილეობა ომში ირაკლი მეორემ და ხოლომონ პირველმა რუსეთის მხრით, მაგრამ ცნობილის კრიმინალის გრაფ ტოტლებენის მოღალატეობამ ხულ აწეწა საქმე და ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფოები უფრო დიდ განსაცდელში ჩააგდო, ვიდრე წინეთ იყო. თუ მაშინ ეს ორი ხახელმწიფო ხულ არ დაიღუპა, ამის მიზეზი ამ ორთა მეფის საარაკო გმირობა და ომის წარმოების იდეალური უნარი და ხერხები იყო. ზრუნვა სამუსულმანო საქართველოს დაბრუნების შესახებ შემდეგაც არ შეწყვეტილა.

1788 წლის ტრაქტატში, რომელიც დადებული იყო მეფე ერეკლე მეორესა და ეკატერინე მეორის შორის, ნათქვამი იყო სეპარატიული კონვენციის სახით, რომ ხელსაყრელ შემთხვევაში რუსეთი დაეხმარებოდა საქართველოს დაკარგული ტერიტორიის აღდგენისათვის. რა თქმა უნდა, აქ სახეში იყო მიღებული სამცხე-საათაბაგოს დაბრუნება. შემდეგ, როცა რუსეთმა შეშალა პირობა და საქართველოს ანექსია მოახდინა, შეუდგა იგი თავისი იმპერიალისტური რის მიზნებით, რასაკვირველია, ამ საქმის განხორციელებას. 1828 — 1829 წლების ომის შემდეგ ოსმალებთან, რუსეთმა მიიღო ადრიანოპოლის ზავის დადგენილებით, 2 სექტემბერს 1829 წელს, ახალციხის და ახალქალაქის მაზრები! ხოლო 1877 — 1878 წლების ომის შემდეგ, ბერლინის ტრაქტატის ძალით, რუსეთს დარჩა ყარსის და ბათუმის ოლქები. ამით სამი მეოთხედი სამცხე-საათაბაგოსი კვლავ მოედვა საქართველოს ტერიტორიას.

როდესაც საქართველო განთავისუფლდა რუსეთიდან და შექმნა დემოკრატიული რესპუბლიკა, ის ადგილები, რომელნიც შეადგენდენ სამცხე-საათაბაგოს ნაწილებს, ითვლებოდა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში. ეს საზღვრები დაადასტურა თვით ბოლშევიკურმა რუსეთმა, როდესაც საგანგებო ხელშეკრულებით 7 მაისს 1920 წელს აღიარა საქართველოს რესპუბლიკის ხუვერენობა მის საზღვრებში. ხოლო მეორე წელს ბოლშევიკური რუსეთი მოულოდნელად თავს დაესხა საქართველოს რესპუბლიკას და როდესაც საქართველო ამ უთანასწორო ომში სისხლში იწურებოდა, ოსმალეთმა, განაახლა აგრესიული მოძრაობა საქართველოს მიმართ, დაწყებული ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შემდეგ და შეჩერებული ანტანტის ხელმწიფოების გამარჯვების გამო. მან ულტიმატუმით მომართა საქართველოს მთავრობას, და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იკრა არტან-ოლთისის მხარე, ბათუმის ოლქი და უკარებდა ანექსიას ბათუმსაც, მაგრამ 17 მარტს 1921 წელს ქართველ ჯართა უკანასკნელის გმირული მოქმედებით გაძევებულ იქმნა ბათუმიდან. შემდეგ, 18 ოქტომბერს 1921 წელს ყარსში დადებულის ხელშეკრულობით ოსმალეთმა მიიღო ბოლშევიკებისაგან, რაც დაკარგა ბერლინის ტრაქტატის ძალით, ესე იგი ყარსის და ბათუმის ოლქები და მათ შორის ხამცხე-საათაბაგოს ტერიტორია, სახელდობრ არდაგანის ოკრუგი. მისი „უჩასტკებით": ფოცხოვისა, ჩილდირისა, არტანისა და გელისა, და ოლთისის „ოკრუგი", რომელიც შეიცავდა „უჩასტკებს": ოლთისისა და ტაოს-კარისა: ხოლო ბათუმის ოლქიდან მიიღო „უჩასტკები": ართვინისა, არტანუჯისა, შავშეთ-იმერხევისა და გონიისა. საქართველოს საზღვრებში დარჩა ბათუმის ოლქიდან მხოლოდ კინტრიშის, ზემო და ქვემო აჭარის „უჩასტკები" ბათუმითურთ. ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ ებლა ეს გაყოფილია: ხულოს, ქედის, ჭოროხის და ქობულეთის მაზრებად.

სივრცით არდაგანის „ოკრუგი" უდრის 5.844.74 კვ. კმ. ოლთისისა 2.958,8 კვდ. კილომეტრს და ის, რაც ბათუმის ოლქიდან დარჩა ოსმალებს, შეადგენს 4.442,81 კვ. კილომეტრს, ხოლო რაც საქართველოს საზღვრებში ითვლება 2.500 კვადრ. კილომეტრს. საერთოდ ოსმალეთს დაეთმო 13.048 კვადრატული კილომეტრი საქართველოს ტერიტორიისა.[20] მცხოვრებთა რიცხვი ზუსტ-ვილებით არ ვიცით, მაგრამ 1917 წლისთვის აღემატებოდა 250.000 ხულს.

აი, ხულ მოკლედ, კონსპექტის სახით, ისტორია ხამუსულმანო საქართველოსი და კერძოდ ჭოროხის ბასეინისა.

რაც შეეხება ახე თუ ისე გადარჩენილს შესანიშნავ სახუროთმოძღვრო ძეგლებს ხამუსულმანო საქართველოსა, ეს საჭიროებს ცალკე მიმოხილვას და აქ აღარ ვეხებით.

---

20. სტატისტიკური ცნობები ამოღებულია 1900 წლის კავკასიის კალენდრისაგან, სადაც სივრცე ოლქებისა ნაჩვენებია კვადრატული კილომეტრითაც და კვადრატული ვერსითაც, ხოლო 1917 წლის კალენდარში (ეს უკანასკნელი გამოცემაა) სივრცე ნაჩვენებია მარტო კვადრატული ვერსით და ეს ცნობები ოტა განსხვავდება 1900 წლის კალენდრის ცნობებისაგან. თუ 1917 წლის ცნობების კვადრატულ ვერსებს გადავიტანთ კვადრატულ კილომეტრებზე, მაშინ არდაგანის ოკრუგში იქნება 5.604,50 კვად. კილომეტრი, ოლთისისაში 2.985,61 კვადრ. კილომ. ხოლო ის, რაც ოსმალებს დარჩათ ბათუმის ოლქიდან, იქნება 4.481,35 კვადრატული კილომეტრი. საერთოდ ოსმალეთის მფლობელობაში გადასული ტერიტორია იქნება 13.071 კვადრატული კილომეტრი. ცნობა, რომ ბათუმის ოლქიდან საქართველოს საზღვრებში დარჩა 2.500 კვად. კილომეტრი ამოღებულია ი. რუხაძის „საქართველოს გეოგრაფი"-იდან, გვ. 63. თბილისი, 1927.

პუბლიკაცია მოამზადა **გურამ შარაძემ**.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანანა ჟუმსიშვილი

ყოფიერება, დრო, სივრცე და ადამიანი ჰაიდეგერის ფილოსოფიაში

ყოველდღიური ცხოვრების ორომტრიალში ჩაფლულ ადამიანს იმდენი საზრუნავი აქვს, რომ მას ჩვეულებრივ არ რჩება დრო ცხოვრების აზრსა და სხვა მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხებზე ჩასაფიქრებლად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავისუფალი დროის იშვიათ წუთებში თუ ცხოვრებისეული უკუღმართობის, გაჭირვებისა და ძნელბედობის ჟამს ნებისმიერი ადამიანი დაფიქრებულა საკუთარი არსებობის ამაოებისა და სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემებზე.

ფილოსოფოსებს საუკუნეების განმავლობაში აწუხებდათ კითხვები: რა არის ნამყარო, რა არის ადამიანი? რა ელის ადამიანს სიკვდილის შემდეგ? სხვა და სხვა ეპოქის სხვა და სხვა მოაზროვნეს სხვა და სხვა კითხვა მიაჩნდა ყველაზე მნიშვნელოვნად. მაგრამ იქნებ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ თითქმის ყოველთვის აშკარად თუ შენიღბული ფორმით ადამიანთა ყურადღების ცენტრში იდგა ე. წ. ყოფნა-არყოფნის ანუ არსებობა-არარსებობის პრობლემა. შექსპირის ჰამლეტის „ყოფნა-არყოფნა, საკითხავი აი ეს არის", ორგვარად შეიძლება გავიგოთ:

1. რას უნდა მივანიჭოთ უპირატესობა, რომელი სჯობს: ყოფნა თუ არყოფნა, სიკვდილი თუ სიცოცხლე? ეს ცხოვრების საზრისის შესახებ კითხვაა: აქვს თუ არა ცხოვრებას აზრი? თუ ცხოვრებას აზრი აქვს, მაშინ ამქვეყნიურ ცხოვრებასა და კეთილდღეობაზე უნდა ვიზრუნოთ, დროებით გაჭირვებას, წარუმატებლობას და უბედურებებს შედგრად უნდა შევებრძოლოთ, მომავალს ოპტიმიზმითა და იმედის თვალით უნდა შევხედოთ. თუ ცხოვრებას აზრი არა აქვს, მაშინ ხელი უნდა ჩავიქნიოთ ამქვეყნიურ ცხოვრებაზე, ყოველგვარ გაჭირვებას მორჩილად შევხვდეთ, ბედს შევეგუოთ, ჩაგვრა და დამცირება მოთმინებით ავიტანოთ და იმქვეყნიური ცხოვრებისათვის მოვემზადოთ, სულის გადარჩენაზე ვიფიქროთ. ცხოვრებისადმი ასეთი დამოკიდებულება ადამიანში პესიმიზმსა და მელანქოლიას იწვევს.

2. შექსპირისეული კითხვა შემდეგნაირადაც შეიძლება გავიგოთ: ფილოსოფიის უძირითადეს პრობლემას წარმოადგენს კითხვა იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს საერთოდ ყოფნა, ყოფიერება, არსებობა და რას ნიშნავს არყოფნა, არარსებობა, არარაობა? რითი განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან? რას ნიშნავს საერთოდ ყოფიერება, არსებობა თავის თავად და რას ნიშნავს, როდესაც ვამბობთ რომ ეს ყველაფერი არსებობს? ამ კითხვის დამსმელი ხვდება, რომ მთავარია არა ის, თუ რა ფორმით არსებობს ყველაფერი: მატერიალური თუ იდეალური ფორმით, არამედ ის, თუ რას ნიშნავს თვითონ არსებობა, ყოფიერება. ან რას ნიშნავს საერთოდ არყოფნა, არარაობა, არარა და კერძოდ, რას ნიშნავს სიკვდილი.

პირველი კითხვა უფრო პრაქტიკულ-ცხოვრებისეული და ადამიანურ-ეთიკური შინაარსის მქონეა. მეორე კითხვა კი უფრო თეორიულ-აბსტრაქტულია და ფილოსოფიურ-მეტაფიზიკური შინაარსი აქვს.

მეოცე საუკუნის ერთ-ერთმა გავლენიანმა ფილოსოფიურმა მიმდინარეობამ, ეგზისტენციალიზმმა, ანუ არსებობის ფილოსოფიამ, სწორედ ეს პრობლემები გაიხადა კვლევის საგნად.

ეგზისტენციალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლისა და მნიშვნელოვანი წარმომადგენლის, მარტინ ჰაიდეგერის აზრით, მეცნიერებასაც და ფილოსოფიასაც ყოველთვის აინტერესებდათ არსებული, ყოფიერი, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, ავიწყდებოდათ ან ყურადღების გარეშე რჩებოდათ, თუ რას ნიშნავს თვითონ არსებო-

ბა. ყოფიერება და რითი განსხვავდება ის არარსებობისგან, არარასგან. ყველამ იცის, რომ ბუნება არსებობს, კოსმოსი არსებობს, ადამიანი არსებობს, მთები, მდინარეები, ხეები, ქვები არსებობენ და მეცნიერებაც თავისი მრავალფეროვანი ხერხებით იკვლევს ამ არსებულთ. მაგრამ იშვიათად თუ ვინმე დაფიქრდება იმაზე, თუ რას ნიშნავს, რომ ეს ყველაფერი არსებობს, ანუ რას ნიშნავს საერთოდ არსებობა. ყოფიერება.

ჰაიდეგერის ფილოსოფიის ცენტრალურ პრობლემას სწორედ ყოფიერების პრობლემა წარმოადგენს. რომელიც მას განხილული აქვს ეგზისტენციალური ფილოსოფიის იხეთ უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებში. როგორიცაა „ყოფიერება და დრო". ამ ნაშრომის სათაურში ჰაიდეგერმა ორი ცნება დააკავშირა ერთმანეთთან: „ყოფიერება" და „დრო". ეს ნიშნავს, რომ ყოფიერებისა და დროის პრობლემები მას უმნიშვნელოვანეს ფილოსოფიურ პრობლემებად მიაჩნია და ყოფიერების გასაღებს ჰაიდეგერი დროში ხედავს.

ეგზისტენციალიზმი „სიცოცხლის ფილოსოფიის თავისებური მემკვიდრე და ძირითადი ბაზის გამგრძელებელია. სიცოცხლის ფილოსოფიას მთელი საბუარო ერთიან ცოცხალ პროცესად წარმოუდგენია. რომელშიც სასიცოცხლო ძალები მოქმედებენ, იზრდებიან და ვითარდებიან. ეგზისტენციალიზმმა სიცოცხლის ცნება ყოფიერების ცნებით შეცვალა, მაგრამ ეგზისტენციალური ყოფიერების ცნება დიდად არ განსხვავდება სიცოცხლის ფილოსოფიის სიცოცხლის ცნებისაგან. მაგ. ჰაიდეგერისეული ყოფიერებაც თავისებური ცოცხალი, აღმოცენებადი, გაფურჩქვნადი, მზარდი პროცესია, რომელიც დროში ვლინდება. ერთი შეხედვით, გვეჩვენება, რომ ჰაიდეგერის მიერ აღიარებული „განვითარება" პროგრესირებადი პროცესია, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, აღმოჩნდება, რომ განვითარება მისთვის უფრო მეტად არის რეგრესი, რომლის დროსაც განვითარება დაღმავალი ბაზით მიმდინარეობს. ჰაიდეგერის მოსაზრებები წარმოშობისა და განვითარების შესახებ მცენარის ზრდის სტადიებს გვაგონებს. მაგრამ იმ განსხვავებით, რომ, თუკი მცენარის თესლიდან აღმოცენებაში ჩვენ პროგრესირებად პროცესს ვხედავთ, ჰაიდეგერისათვის მიზეზი ყოველთვის შედეგზე მეტია. განვითარება მხოლოდ და მხოლოდ ჩადებული ინფორმაციის განხორციელებაა. ამიტომ მისთვის ყოფიერება დროში კი არ მიმდინარეობს, არამედ ვლინდება. დ რ ო ობ ს. გამოვლენაში ის სწორედ საკუთარი თავიდან ამოზრდას და საკუთარი შესაძლებლობების განხორციელებას გულისხმობს.

ჰაიდეგერისათვის ყოფიერების გასაღებს მუნყოფიერება წარმოადგენს. მუნყოფიერება ისეთი ადამიანური ყოფიერებაა, რომელიც ხედავს „მუნ", ანუ აქ და ახლა. ნიშნავს თუ არა ეს მუნყოფიერების არსებობას დროსა და სივრცეში? ჰაიდეგერს დროისა და სივრცის ტრადიციული გაგებისაგან სრულიად განსხვავებული გაგება აქვს. მუნყოფიერება დროში კი არ არსებობს, არამედ ის დროითია. მუნყოფიერება სივრცეში კი არ არსებობს, არამედ ვრცეულია. მუნყოფიერება წარმოადგენს თავისებურ „მონახაზს", რომელიც თავისი საკუთარი შესაძლებლობების პროექციაა. მუნყოფიერება დროში ვლინდება, ანუ დროითობა დროს. ეს ნიშნავს, რომ მუნყოფიერება მომავლისაკენ მიისწრაფის და მომავლიდან იკრებს ძალებს, მომავლიდან იღებს სათავეს. საკვებს. მომავლით უდგას ხული.

ჰაიდეგერის აზრით, დრო არ შედგება წარსულის, აწმყოს და მომავლისაგან, როგორც სამი განსხვავებული თანმიმდევარი ნაწილისაგან, არამედ ეგზისტენციალური დრო ერთიანი დროა, რომელიც დროის სამ ეკსტაზად იშლება: წარსულად, აწმყოდ და მომავლად. დროის სამ ეკსტაზში ჰაიდეგერი მომავალს ანიჭებს უპირატესობას. ამავე დროს, ეს არაა ჩვეულებრივი წარსული, აწმყო და მომავალი, ტრადიციული გაგებით წარსული უკვე აღარ არსებობს, და მომავალი ჯერ კიდევ არ არის. აწმყო კი არის მარად განმეორებადი ახლა. ეგზისტენციალური გაგებით კი, წარსულიც და მომავალიც ისევე ნამდვილად არსებობენ აწმყოში, როგორც თვით აწმყო, რომელიც წარმოადგენს არა განმეორებად ახლას, არამედ განუმეორებელ წამს, რომელიც გარკვეული ხანიერება გააჩნია. წამში უკავშირდება ერთმანეთს ყოველი არსებული როგორც სხეულებრივ-ვრცეულად არსებული.

მუნყოფიერების ვრცეულობა ნიშნავს არა სივრცეში გარკვეული მათემატიკურ-გეომეტრიული ადგილის დაკავებას, რომელსაც გარკვეული კოორდინატები გააჩნია, და მოძრაობისას ამ კოორდინატებს იცვლის. არამედ ვრცეულობა ჰაიდეგერისათვის ნიშნავს, რომ მუნყოფიერება იმთავითვე ემთხვევა მის მიერ დაკავებულ ადგილს და წარმოადგენს თავისებურ სხეულ-სივრცეს, რომელიც მასთან ერთად გადაადგილდება და მისგან განუყოფელია.

ჰაიდეგერს მუნყოფიერებისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ არსებით ნიშნად მიაჩნია „ბეფინდლიბკაიტ", რომელსაც განწყობილებად თარგმნიან. სიტყვა-სიტყვით ეს ტერმინი ნიშნავს მდებარეობას, თუმცა მას აქვს როგორც მდებარეობის, ასევე განწყობილების მნიშვნელობაც. საერთოდ კი შეიძლება ის ვთარგმნოთ როგორც მდგომარეობა, რადგან ეს სიტყვა აღნიშნავს როგორც გარკვეულ მდებარეობას სივრცეში, ასევე გარკვეულ სულიერ მდგომარე-

ობასაც. ეს სიტყვა აღნიშნავს მუნყოფიერების ერთდროულ მატერიალურ-სულიერ მდგომარეობას. მუნყოფიერების ყოფიერება, მისი სხეულებრივი არსებობა იმთავითვე გულისხმობს, რომ ის წარმოადგენს გარკვეულ ადგილს სივრცეში როგორც ვრცეული და როგორც-ვრცეულს გაკვეული მიმართება აქვს მის გარემომცველ სხეულებრივ არსებულებთან, გარკვეულ ურთიერთობაში შედის მათთან. გარკვეული პოზიცია უკავია მათ მიმართ, და მათ მიმართ გარკვეულ დამოკიდებულება-განწყობილებას ამჟღავნებს. მუნყოფიერების „ბეფინდლიხკაიტ" ნიშნავს, რომ იგი გარემომცველი გარემოს მიმართ გარკვეულად განლაგებულ-განწყობილია. და ეს ყველაფერი ხდება წამში. წამს, როგორც დროის ეკსტაზს, უნარი აქვს, შექმნას თავისებური ქსელი, თავისებური გრავიტაციული ველი და ერთმანეთის გავლენის ქვეშ მოაქციოს ერთმანეთთან ახლოს თუ შორს მდებარე ყოველი არსებული.

თავისებურად წყვეტს ჰაიდეგერი დროის სასრულობა-უსასრულობის პრობლემასაც. იგი აკრიტიკებს ტრადიციულად მიღებულ გაგებას, რომლის მიხედვითაც, დრო უსასრულოა და ამტკიცებს, რომ დრო საერთოდ სასრულოა, დრო სასრულოა იმდენად, რამდენადაც ის მუნყოფიერების დროა. მუნყოფიერება კი სასრულოა და გავრცელებულია დაბადებასა და სიკვდილს შორის ისე, რომ ამ ორ ბოლოსაც მოიცავს, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ დრო აღარ იქნება მუნყოფიერების სიკვდილის შემდეგ. დრო იარსებებს სხვა მუნყოფიერებებთან ერთად. დრო მუნყოფიერების სამყაროა, მუნყოფიერების „სამყარო-დრო-"-ა. ჩვენთვის შეიძლება სავსებით გასაგები იყოს და დავეთანხმოთ კიდეც ჰაიდეგერს იმაში, რომ დრო, როგორც მუნყოფიერების „სამყარო —დრო", სასრულოა: დრო, როგორც წამი, როგორც გარკვეული სიდიდის მქონე თავისებური „ახლა", სასრულოა და არაა უსასრულო მცირე. მაგრამ როგორ შეუძლია ჰაიდეგერს თქვას, რომ დრო როგორც მთელი ყოფიერება, როგორც საერთოდ „ყოფიერება-დრო", სასრულოა? ყოფიერება მთლიანობაში ხომ უსასრულო უნდა იყოს? ამაზე ჰაიდეგერი გვიპასუხებდა: არ არსებობს ყოფიერება საერთოდ. ყოფიერება ყოველთვის გარკვეული ყოფიერის სახით არსებობს. ნებისმიერი ყოფიერი კი დროში სასრულოა.

რატომ უწოდა ჰაიდეგერმა თავის ფუნდამენტალურ შრომას „ყოფიერება და დრო" და არა „ყოფიერება და სივრცე?" რატომ მიანიჭა უპირატესობა დროს სივრცესთან შედარებით? ჩვენი აზრით, იმის გამო, რომ დრო სივრცესთან შედარებით უფრო ცოცხალი, მოძრავი, განვითარებადი პროცესია, სივრცე კი უფრო მატერიალურ სხეულთან და მის ადგილმდებარეობასთან, გარკვეულ მდგომარ[illegible] შირებული. სივრცისა და [illegible] ყოველგვარი ცვლილებები კი უკვე მოძრაობაა. მოძრაობა კი დროში მიმდინარეობს. და დროის გარეშე მოძრაობა წარმოუდგენელია. უბრალოდ, სქემატურად რომ ვთქვათ, სივრცე მატერიაა, სხეულია, დრო — სულია, იდეაა, სიცოცხლეა.

ჰაიდეგერის ეგზისტენციალური ფილოსოფია „სიცოცხლის ფილოსოფიის" გაგრძელებაა და მისი „ყოფიერების ფილოსოფია" თავისებურ „დროის ფილოსოფიად" გვევლინება.

რა უშლის ხელს მუნყოფიერებას საკუთარი ყოფიერებისა და, საერთოდ, ყოფიერების გაგებაში, შეცნობაში? მუნყოფიერება, როგორც ადამიანი, საზოგადოებაში ცხოვრობს და ამ საზოგადოების გავლენას განიცდის, რასაც ჰაიდეგერი აღნიშნავს განუსაზღვრელი ნაცვალსახელით „მან". ვიღაც ანუ არავინ. „მან"-ი აიძულებს ადამიანს, რომ ასევე ისმინოს, დაინახოს, იფიქროს, იაზროვნოს, შეაფასოს, როგორც ამას აკეთებენ სხვები, ადამიანთა მასა, უმრავლესობა. „მან"-ში მცხოვრები მუნყოფიერება წარმოადგენს ზრუნვას, ანუ მზრუნველს იმ აზრით, რომ მას, როგორც სხეულებრივ არსებას, განუწყვეტლივ უხდება საკუთარი სხეულებრივი არსებობის, სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ზრუნვა. „მან"-ის გავლენის ქვეშ მყოფ ადამიანს, მუნყოფიერებას ახასიათებს გაუცხოება, ხაჯაროობა და ყოველდღიურობა. ადამიანი კარგავს თავის პიროვნებას, ინდივიდუალობას და ხაჯარო, განზოგადებულ, უფერულ არსებად იქცევა. მისთვის ყოველდღიურობის ერთფეროვნებას მომაჯადოებელი, გამაბრუებელი და მაცდური ძალა აქვს. ყოველი დღე ერთმანეთს გავს და ისინი ისე სწრაფად ცვლიან ერთმანეთს, რომ ადამიანი გონს მოსვლასაც ვერ ასწრებს. მას დასაფიქრებლადაც კი არ სცალია, მას დრო არა აქვს. მაგრამ თუ ადამიანმა შეძლო „მან"-ის ყოველდღიურობის, ხაჯაროობის და გაუცხოებისაგან განთავისუფლება, მაშინ ის იძენს საკუთარ თავს, და ყოველი დღე მისთვის განუმეორებელ მოვლენად იქცევა. ყოველი წამი მისთვის აღმოჩენაა და ასეთ ადამიანს უამრავი, თავზესაყრელი დრო აქვს.

როგორ უნდა განთავისუფლდეს მუნყოფიერება „მან"-ის გავლენისაგან? ჰაიდეგერისათვის ამის მისაღწევ ერთ-ერთ გზას, საშუალებას წარმოადგენს ისეთი უარყოფითი ფაქტორები, როგორიცაა შიში, ძრწოლა და სიკვდილი. სამივე მათგანი გააჩნია ადამიანს როგორც სხეულებრივ არსებას საკუთარი სხეულებრივი არსებობის შენარჩუნებასთან დაკავშირებით.

შიში სრულიად გარკვეული და განსაზღვრული ადამიანური გრძნობაა, რომელიც ადამიანს გარკვეულ დროს, გარკვეულ ადგილას, გარკვეული საფრთხის წინაშე ეუფლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძრწოლაც ახასიათებს ადამიანს როგორც სხვეულებრივ არსებას, მაგრამ ძრწოლა შიშისაგან განსხვავებით დაკავშირებული არაა არაფერ კონკრეტულთან და გარკვეულთან. ძრწოლა ადამიანს იმის გამო გაჩნია, რომ საერთოდ ყოფიერი არსებაა, საშყაროშია გადაგდებული, ამქვეყნიურ სიტუაციაშია ჩავარდნილი და მთელი სიცოცხლის განმავლობაში მთელი არსებით გრძნობს ბუნდოვნად სიკვდილისა და არარაობის შეზობლობას იმის გამო, რომ მთელი მისი არსება მთელი სიცოცხლის განმავლობაში სიკვდილითა და არარაობითაა გაჟღენთილი.

შიშისა და ძრწოლის კატეგორიების გვერდით ჰაიდეგერის ფილოსოფიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სიკვდილის კატეგორიას. ადამიანი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ხედავს, რომ სხვა ადამიანი კვდება, მან იცის, რომ როდისმე თვითონაც მოკვდება, მაგრამ „მან"-ის გავლენის ქვეშ მყოფი ადამიანი სიკვდილზე ფიქრს გაურბის და თავს იმით იტყუებს და იმშვიდებს, რომ მოკვდა ვიღაც სხვა და არა თვითონ ის. ადამიანს ყოველთვის სჯერა, რომ სიკვდილამდე საკმაო დრო აქვს და ისე იქცევა, თითქოს სიკვდილი მას არ ეხებოდეს. მაგრამ ჰაიდეგერი მოითხოვს ასეთი გაბრუებული მდგომარეობიდან გამოსვლას, გამოფხიზლებას და სიკვდილისათვის თვალებში შეხედვას. ჰაიდეგერისათვის საკუთრივი მუნყოფიერების მთელი ცხოვრება წარმოადგენს არა „სიკვდილისაგან გაქცევას", როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, არამედ „სიკვდილისაკენ ყოფიერებას".

სიკვდილი, ჰაიდეგერის აზრით, არის არა ადამიანის ცხოვრების დასასრული, ბოლო, უცხო მოვლენა, იმქვეყნიური ხამყარო, არარსებობა, არამედ სიკვდილი იმთავითვე არსებულია და ის სიცოცხლეში სიკვდილისაკენ სწრაფვის სახითაა მოცემული. ადამიანში დაბადებიდანვე ჩადებული სიკვდილის შესაძლებლობა და ამიტომ სიკვდილ-სიცოცხლე ერთმანეთისაგან განუყოფელი ორი მხარეა მედალიონისა. სახოლოო ჯამში კი, სიკვდილი სიცოცხლის შემადგენელი ნაწილია და სიცოცხლის ხაიდუმლოს ამოხსნას ემსახურება. ადამიანი ვერ ხედავს სიკვდილის ჭეშმარიტ სახეს სხვის სიკვდილზე დაკვირვებით, არამედ ყოველ ადამიანს მხოლოდ საკუთარი განუმეორებელი სიკვდილი გააჩნია და ამიტომ ყოველ ადამიანს მხოლოდ საკუთარი სიკვდილის გაცნობიერებით შეუძლია სიკვდილის გაგება. ამაში კი მას ეხმარება შიში და ძრწოლა, რომელთაც ადამიანი მაშინ განიცდის, როდესაც სახიკვდილო ხაფრთხის წინაშე აღმოჩნდება, ან როცა განსაკუთრებულ ექსტაზურ მდგომარეობაში ინტუიციურად საკუთარი არსებობის ხიდრმეებს ჩაღრმავდება და საკუთარი სიცოცხლისა ხელოვნურ ... ლით გაჟღენთილობას იგრძნობს.

ხაინტერესო და ორიგინალურ ელემენტად ... ჰაიდეგერის ფილოსოფიაში ისეთი ეთიკური კატეგორიები, როგორიცაა დამნაშავედ ყოფნა, სინდისი და გაბედულება.

დამნაშავედ ყოფნის ქვეშ ჰაიდეგერს ესმის არა ადამიანის მიერ ჩადენილი რომელიმე კონკრეტული იურიდიული დანაშაული, არამედ ადამიანის დამნაშავედ ყოფნა ბუნებით: ადამიანი დაბადებისთანავე დამნაშავეა, მას თანდაყოლილი დანაშაული გააჩნია. რას გულისხმობს ჰაიდეგერი ამ თანდაყოლილ დანაშაულში? უპირველეს ყოვლისა, იმას, რომ მუნყოფიერება, როგორც ადამიანი, ცალკე არსებად გამოეყო ყოფიერებას და ამ გამოცალკევებული არსებობით მზობელ დედა-ბუნებას, საერთოდ, ყოფიერებას დაუპირისპირდა. მაგრამ თანდაყოლილი დანაშაულის გვერდით, ადამიანს გააჩნია სინდისი, ე. წ. სინდისის შინაგანი ხმა, ძახილი, რომელიც ყოფიერებისა და საკუთარი თავისაგან გაუცხოებულ, „მან"-ის გავლენის ქვეშ მოქცეულ მუნყოფიერებას მოუწოდებს, რომ დაუბრუნდეს საკუთარ თავს და, სახოლოო ჯამში, ყოფიერებას. ასეთ სახიჯს კი გარკვეული გაბედულება სჭირდება. და ნამდვილ მუნყოფიერებას ყოფნის გაბედულება, რათა წინაღუდგეს „მან"-ის ჩამთრევ ჭაობს, განთავისუფლდეს ყოველივე მეორეხარისხოვნისაგან, უმნიშვნელო საზრუნავისაგან და თავისი ჭეშმარიტ სახე შეიძინოს. საკუთრივ მუნყოფიერება გახდეს და სინამდვილის ხაიდუმლო სიღრმეებს ეზიაროს. გაბედულება სჭირდება მუნყოფიერებას იმისთვისაც, როგორც მუნყოფიერებამ, თავისი შესაძლებლობები რომ განახორციელოს. ეს კი მხოლოდ მომავლისაკენ სწრაფვის წყალობით მიიღწევა. ხაიდუმლოებით მოცული, უცნობი და, ამავე დროს, გარდაუვალი და წინასწარგანსაზღვრული, ბედისწერისეული მონახაზის სახით არსებული მომავლისაკენ სწრაფვა მუნყოფიერებისაგან მართლაც რომ დიდ გაბედულებას მოითხოვს. ეს არის ე. წ. გამსწრები გაბედულება, ანუ მომავლისეული გაბედულება, რადგან მუნყოფიერება მომავალზე მიმართულებისა და გაბედულების წყალობით განუწყვეტლივ წინისაკენ ისწრაფვის და განუწყვეტლივ ახწრებს საკუთარ თავს იმ აზრით, რომ მისი განხორციელებული ყოველი ნაბიჯი წინასწარდახახული თავისებური „იდეის", მონახაზის სახით არსებობს და იდეა ყოველთვის სხეულს, მატერიას უსწრებს წინ.

შეუძლია თუ არა მუნყოფიერებას შემეცნება? ჰაიდეგერი შემეცნების ნაცვლად ხმარობს შეცნობის ცნებას. ამით ის ხაზს უსვამს ეგზისტენციალური შეცნობის, გაგების პროცესის პრინციპულ განსხვავებას ტრადიციული შემეც-

ნებისგან. ჰაიდეგერისეული შეცნობა, გაგება უფრო შეტად ექსტაზურ-ინტუიციურ წვდომას გულისხმობს, ვიდრე შემეცნების მეცნიერულ-ლოგიკურ პროცესს.

ჰაიდეგერის აზრით, აბსოლუტური შემეცნება შეუძლებელია, ხოლო ფილოსოფია განუწყვეტელი ამაო ძიებაა, რომელიც ყოველ ჯერზე წარუმატებლობით მთავრდება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ადამიანებს არასოდეს არ უთქვამთ უარი ამ „თავზეხედურ", „თავზეველაღებულ". უიმედო საქმიანობაზე, არასოდეს არ დაუკარგიათ ფარხმალი და თვით ჰაიდეგერის ფილოსოფიაც ერთ-ერთ ასეთ ცდას. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ.

ჰაიდეგერის აზრით, მთელი ტრადიციული ფილოსოფიის შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ ის აზრობრივად აცილებდა ერთმანეთისგან სუბიექტს და ობიექტს, მატერიას და იდეას და შემდეგ ამაოდ ცდილობდა მათს შეერთებას, მათს შორის წარმოშობილი უფსკრულის გადალახვას. ჰაიდეგერისათვის კი სუბიექტ-ობიექტი, მატერია და იდეა არასოდეს არ დაცალკევებულან და ისინი ყოველთვის ერთად არსებობდნენ, ერთ განუყოფელ მთლიანობას, ყოფიერებას შეადგენდნენ. ამიტომ ჰაიდეგერი უაზრობად თვლის საერთოდ შემეცნებადობის პრობლემას და თავისი ფილოსოფიური ხიხტემაც მას მიაჩნია ონტოლოგიად. ყოფიერების შესახებ მოძღვრებად და არა გნოსეოლოგიად ანუ შემეცნების შესახებ მოძღვრებად. თუმცა, მიუხედავად ამისა, შეიძლება ვთქვათ, რომ ჰაიდეგერის ხურვილის საწინააღმდეგოდ, მისი მოძღვრება მაინც ვერ აღწევს თავს გნოსეოლოგიურ პრობლემატიკას და ამ ხფეროში საკმაოდ საინტერესო მოსაზრებებსაც გვაწვდის.

ჰაიდეგერის ფილოსოფიურ ნააზრევში უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან მუნყოფირების მიერ ხამყაროს შეცნობა და მუნყოფირების მიერ ყოფიერების შეცნობა, და შეცნობასთან დაკავშირებით ორი კითხვა დავსვათ:

1. შეუძლია თუ არა მუნყოფირებას ხამყაროს შეცნობა? მუნყოფირებას იმთავითვე ახასიათებს ხამყარო-ში-ყოფნა. მაგრამ ეს ხამყარო მუნყოფირების ხამყაროა. ჰაიდეგერისათვის ხამყარო არის არა მუნყოფიერებისაგან ღამოუკიდებელი ობიექტი, ბუნება, ან ადამიანის გარემომცველი გარემო, არამედ ეს არის ადამიანის თავისებური „მსოფლმხედველობა", მისი აზრები, შეხედულებები, გაგება. ჰაიდეგერისეული ხამყარო სავსებით „სუბიექტური" მოვლენაა და ამიტომ მუნყოფიერებას არ გაუჩენდება მისი შეცნობა, რაც ფაქტიურად მუნყოფიერების მიერ ხაკუთარი [illegible] თვითშემეცნების ტოლფასია. [illegible] ხვევაში მუნყოფირება არ გადის ხაკუთარი თავიდან და „ობიექტური ხამყარო" როგორც „ნივთი თავისთავადი" მას შეუმეცნებელი რჩება.

2. შეუძლია თუ არა მუნყოფირებას ყოფიერების შეცნობა? მუნყოფიერება თვითონაც ყოფიერებაა, ოღონდ ადამიანური ყოფიერება და ამიტომ საერთოდ ყოფიერება მისთვის უცნობილს კი არ წარმოადგენს, არამედ მის არსებას და საზრისს, ამდენად ყოფიერება მისთვის პრინციპულად შეცნობადი უნდა იყოს. მაგრამ, მეორეს მხრივ, მუნყოფიერება ყოფიერების, როგორც მთელი ყოფიერების, ნაწილია და აქ დგება ხვა პრობლემა: შეუძლია თუ არა ნაწილს მთელის შემეცნება? ჰაიდეგერი არ ხვამს ნაწილისა და მთელის მიმართების საკითხს, მაგრამ, ჩვენის აზრით, ეს საკითხი სრულიად ბუნებრივად დგება დღის წესრიგში ჰაიდეგერის ნააზრევიდან გამომდინარე, და თუ თავს ამ კითხვაზე პასუხის გაცემის უფლებას მივცემთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იქნებ სწორედ სიკვდილში, როგორც მუნყოფირების მთლიანობის მიღწევის ერთადერთ საშუალებაში, უნდა ეძებოთ მუნყოფირების ყოფიერებასთან დაბრუნების გზა.

ჰაიდეგერის ფილოსოფია პარადოქსებითაა აღსავსე. ჰაიდეგერი ერთსა და იმავე დროს მატერიალისტიცაა და იდეალისტიც, სუბიექტივისტიც და ობიექტივისტიც, გნოსტიკოსიც და აგნოსტიკოსიც, ონტოლოგიც და გნოსეოლოგიც. ჰაიდეგერის ფილოსოფიას იმიტომ ახასიათებს ასეთი წინააღმდეგობები, რომ ჰაიდეგერს სწორედ ამ წინააღმდეგობებზე და დაპირისპირებულ მხარეებზე, უკიდურესობებზე მაღლა დგომის პრეტენზია აქვს, მაგრამ ხშირად ბოლომდე ვერ ახერხებს ამ ხაზის გატარებას, და ისევ ერთ-ერთ უკიდურესობაში (უფრო ხშირად იდეალიზმში, სუბიექტივიზმსა და აგნოსტიციზმში) ვარდება ხოლმე. ჰაიდეგერამდე ვერავინ ვერ შეძლო ამ წინააღმდეგობათა მშვიდობიანი მორიგება და ამ რთულ ფილოსოფიურ პრობლემათა წარმატებით გადაჭრა, ჰაიდეგერს ფილოსოფია კიდევ ერთ ასეთ ცდას წარმოადგენს. მაგრამ ნუთუ მთლად წარუმატებელს და ამაოს? ჩვენის აზრით — არა, სანამ იარსებებს ადამიანთა მოდგმა, სიზიფოსი კიდევ და კიდევ აიტანს მძიმე ლოდს მთაზე და ოღესმე მოხდება სახწაული, — ლოდი მას აღარ დაუგორდება! მაგრამ იქნებ სახწაული ჩვენს გვერდითაა, ჩვენს გარშემოა. ჩვენშია და მას მ ხ ო ლ ო დ დანახვა და აღმოჩენა სჭირდება.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ს. გოგიბერიძე

ბრძოლა სამშობლოსათვის

* * *

1922 წლის შემოდგომიდან მთავრობის რეპრესიები ხალხის წინააღმდეგ უფრო და უფრო გაძლიერებულ იქნა. ხალხი, რომელიც უკვე ოზურგეთის ციხეში იჯდა, გაცხრილულ იქმნა და ბევრი მათგანი გადაიგზავნა თბილისში. თვით მაზრაში დარჩენილებს აღარ აკმარებდნენ ძველებურად 2-3 თვე ციხეში ყოფნას: უმეტესობას აჩერებდნენ 7-8 თვით ყოველგვარი ბრალდების წაუყენებლად. ციხის პირობებიც ერთი ათად გააუარესეს წინა წელთან შედარებით. ყველა თემებში ადგილობრივი ადმინისტრაცია იჭერდა ხალხს და სთხოვდა მათ ჩაებარებინათ იარაღი, ხშირად ისეთ პირებს, რომელთაც ის სრულიად არც კი ჰქონდათ. ამავე დროს სამაზრო ჩეკა ახდენდა პერიოდულ თავდასხმას სხვა და სხვა თემებზედ. უყრიდნენ მცხოვრებლებს თავს და ურდგენდნენ მთელ თემს მოთხოვნილებას ჩაებარებინათ განსაზღვრული რიცხვი თოფის, რევოლვერის და ვაზნებისა. დაგროვილ ხალხს არტყამდნენ ალყას და არ უშვებდნენ სახლში ხშირად რამოდენიმე დღის განმავლობაში, არც აძლევდნენ საჭმლის მოტანის უფლებას. ბევრი არჩევდა მთელი ოჯახის დაღუპვას იარაღი ჩაებარებინა და ასრულებდა მთავრობის განკარგულებას. უბედურება ის იყო, რომ ბევრს მართლაც არ ჰქონდა არავითარი იარაღი, მაგრამ ისინი დაბეზღებული იყვნენ ადგილობრივი კომუნისტების მიერ კერძო შურისძიების ნიადაგზედ და მთავრობა ასეთ პირებს სთვლიდა თავის მოსისხლე მტრებად და გზავნიდა ციხეებში, სადაც ისინი ტყუილ უბრალოდ ლპებოდნენ თვეების განმავლობაში და ბევრი მათგანი დახვრეტილ იქმნენ საერთო დახვრეტების დროს.

ამ რეპრესიებთან დაკავშირებით მე მაგონდება ერთი შემთხვევა: 1922 წელს, შემოდგომაზე მოვიდა სოფ. ბახილეთში, ოზურგეთის ჩეკის ყოფილი მხეიძე ჯარით და მოსთხოვა სოფელს 25 თოფი, სხვებთან ერთად, ერთ ღარიბ გლეხს, მოხუც ლადიმე კოპლატაძეს, რომელიც დაბეზღებული იყო მისი ახლო მეზობლის მიერ, როგორც უაზბურ „ვინტოვკის" მქონე. მან ჯერ იუარა თოფის ქონა, მაგრამ როცა მხეიძემ მას მიუთითა, რომ მას აშკარა საბუთი ჰქონდა ამისა, კოპლატაძემ უპასუხა: „კი ბატონო, მართალია მე მაქვს თოფი, სწორედ ისეთი, როგორიც თქვენთვის მოუხსენებიათ. ამ თოფით წინათ მე ვებრძოდი მეფის „სტრაჟნიკებს" და იმედი მაქვს კიდევ მომიწევს რუსებთან ბრძოლა და თოფსაც ამ დროისათვის ვინახავო". კოპლატაძე დაატუსაღეს და გარდაიცვალა ოზურგეთის ციხეში. მხეიძემ კი თოფი მაინც ვერ მიიღო. რასაკვირველია, მთელ ხალხს ეს არ შეეძლო და მთავრობამ 1922 წლის შემოდგომაზედ ჩაიგდო ხელში უდიდესი ნაწილი იმ იარაღისა, რაც გურიის ხალხს დარჩენოდა დამოუკიდებლობის დროიდან. ვინც კი მოახერხა თავისი იარაღის გადარჩენა, ისიც ბევრი დაიტანგა და გაფუჭდა მოუვლელობის გამო, განსაკუთრებით ვაზნები.

* * *

1922 წლის შემოდგომაზედ გურიაში ადგილი ჰქონდა ერთ მოვლენას: ერთ საღამოს მთელს მაზრაში დატუსაღებულ იქმნენ ყოფილი ტყის მცველები, მწყემსები და შორეულ წარსულში საკონლით მოვაჭრე პირები და გურია-აჭარის მთებზედ მავალი. უმეტესად ხანში შესული ხალხი და სრულიად პოლიტიკის გარეშე მყოფნი. ყველგან ერთნაირად გამოჰყავდათ სახლეებიდან და იქვე, თავიანთ ეზოს ახლო ხვრეტდნენ. თავის ახალგაზრდობაში რომ რაიმე დანაშაული კიდევაც ჰქონოდათ ჩადენილი ამ

ხალხს, ნუთუ ამიტომ დახვრიტა საბჭოთა ხელისუფლებამ ისინი თითქმის 20—30 წლის შემდეგ?

თუ მთავრობას სურდა ამითი მოსახლეობის დაშინება, ერთი მხრივ, და თავისი ადმინისტრაციის განაფვა ხალხის ხვრეტაში, მეორე მხრივ? ეს პატარა „მიზანსცენა" ხალხმაც ახე გაიგო.

იმავე თვეებში საოკუპაციო ხელისუფლებამ გადაასახლა საზღვარგარეთ ერთი ჯგუფი ქართველებისა, რომელშიდაც ბევრი იუვნენ ოზურგეთის მაზრიდან. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ საქართველოს თითქმის ყველა ქალაქებში იმყოფებოდნენ გურულები სხვა და სხვა სამსახურში და ბევრი მათგანი იქვე განიცდიდა რეპრესიებს, ადვილი გასაგებია, თუ ყველა ეს უბედურება რა სიმძიმეთ აწვა ისეთ პატარა კუთხეს, როგორიც არის გურია. ამავე წლებში მთავრობამ სიხხლში ჩაახრჩო ხევსურეთის და სვანეთის აჯანყებები. მთელი გურიის ხალხი უსაზღვრო მწუხარებით უყურებდა ამ ამბებს, მაგრამ, როგორც დანარჩენ საქართველოს, მასაც სწამდა, რომ ასე განაპირა კუთხეებში ხალხის მიერ წამოსროლილ აჯანყებას მთავრობა ადვილად შემოფარგლავდა და დაამარცხებდა. სხვა და სხვა მიზეზების გამო საერთო აჯანყების პირობები მთელს საქართველოში ჯერ მზათ არ იყო და სოც. დემოკრატიული პარტიის ცენტრი თბილისიდან მოუწოდებდა გურიის ხალხს, არ მიეცათ საბაბი საბჭოთა მთავრობისთვის ხალხის გასაულტად. მიუხედავად ცენტრის დარიგებისა და თავის ხელმძღვანელების სიფრთხილისა, გურიამ მაინც ვერ

ицила თავიდან ის უბედურება, რომლის წინაშეც უბრალო თამაში აღმოჩნდა მის მიერ აკმაცის ნახული საბჭოთა მთავრობის „საქმიანობა".

ჩემი მოგონების დასაწყისში მე ვახსენე, რომ საბჭოთა მთავრობა შეეცადა, თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა ისეთი ხალხი, ვინც დამოუკიდებლობის დროს ციხეში იჯდა ან დევნილი იყო საქართველოს მთავრობის მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის გამო. ბევრი მათგანი დიდი ხნიდან ცნობილი იუვნენ გურიაში, როგორც მეტის მეტად თავზე ხელაღებული ხალხი. ისინი მიდიოდნენ რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში და სძარცვავდნენ ბანკებს, დაწესებულებებს და კერძო პირებს. უნდა ითქვას, რომ გურიაში მათ არასოდეს არ ჩაუდენიათ ისეთი რამ, რასაც ქურდ-ბაცაცობა ეწოდება. მიუხედავად მათი თავდაპერრისა გურიაში, ხალხი მათ ენერგიულად ებრძოდა ჯერ კიდევ მეფის მთავრობის დროს და განსაკუთრებით დამოუკიდებლობის ხანაში. ყველას ახსოვს, თუ როგორ დაიპირა გურიის ხალხმა დამოუკიდებლობის დროს, ეგრედ წოდებული მანწკავის ჯგუფი, რომელმაც შავ ზღვაზე გაძარცვა გემი. ეს ჯგუფი თითქმის მთლად ბოლშევიკებისაგან შესდგებოდა და ამიტომ გემის გაძარცვის შემდეგ გურიაში [illegible] მათ დაედევნა მთელი სოფლები და ეს ხალხი დატუსაღებულ იქმნა. სასამართლომ ბევრ მათგანს დიდი ხნის ციხე მიუსაჯა და ისინი განთავისუფლებულ იქმნენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ, აი ამ ხალხს მიმართა სამაზრო ხელისუფლებამ. ისინი ჩარიცხულ იქმნენ სამაზრო ადმინისტრაციაში, ჩეკაში და სხვა დაწესებულებებში. მათ მიუმატეს ბევრი უპარტიო, იარაღის მოყვარული და ყოველგვარი ავანტიურის მაძიებელი ახალგაზრდა და ამრიგად შეადგინეს კარგად მოზრდილი ჯგუფი, დაახლოებით 80 კაცამდე. პირველად ეს ხალხი მთავრობამ გამოიყვანა აშკარად 1921 წელს საღამოს ს. მათითაიშვილის წინააღმდეგ, რომელიც თითქმის ოცი წლის განმავლობაში ებრძოდა გურიაში ყველა მავნე ელემენტებს სხვა ამხანაგებთან ერთად ხალხის დავალებით. ისინი დაესხნენ მას თავზე თავის სახლში. მაგრამ მათითაიშვილმა გაასწრო და მათი განზრახვა ჩაიშალა. ამ პირებისაგან შესდგებოდა აგრეთვე ის რაზმი, რომელმაც ალყა შემოარტყა ქალაქ ოზურგეთში 1921 წელს 26 მაისის მიტინგს.

რამოდენიმე უნაყოფო ცდის შემდეგ, მთავრობამ ამოარჩია ამ ჯგუფიდან რამოდენიმე პირი და დაავალა მათ ჩუმად ზოგიერთი პირების მოკვლა. ერთი ამ ყაჩაღთაგანი ჩიგოგიძე მოკლულ იქმნა და მას ჯიბეში აღმოაჩნდა 25 კაცის სია, რომლებიც უნდა მოეკლათ. ვითომც კერძო ინტერესის გამო. არალეგალურ ორგანიზაციებს და ხალხს ძალიან ეშინოდათ ასეთი პირების, როგორც გურიის მკვიდრნი, ისინი კარგად იცნობდნენ ყოველ ბილიკს, ყველა ცნობილ თავშესაფარ კუთხეებს დევნილი ხალხისას და თუ ისინი მოინდომებდნენ, ბევრი ხალხი გახდებოდა მათი ტყვიის მსხვერპლი. უნდა ითქვას მათდა სასახელოდ, რომ მათ არც ერთი დავალება საბჭოთა მთავრობისა არ შეასრულეს. პირიქით, ძალიან ხშირად ატყობინებდნენ ხალხს მომავალ რეპრესიებს და კერძო პირებზედ ჩეკის თავდასხმას.

სცხოვრობდნენ ქ. ოზურგეთში, ღებულობდნენ ჯამაგირს, ქეიფობდნენ ქალაქში და არ ემორჩილებოდნენ მილიციას. ხშირად კიდევაც სცემდნენ კომუნისტებს, ვინც კი მათ არ მოსწონდათ. დრო გამოშვებით რამდენიმე მათგანი წავიდოდა საქართველოს სხვა ქალაქებში, დადგებოდნენ სამსახურში, გაძარცვავდნენ ამა თუ იმ დაწესებულებას და ამ „ნადავლით" ჩამოვიდოდნენ ოზურგეთში, სადაც გაიმართებოდა ქეიფი, თოფის სროლა ქუჩაში და მილიციელების ცემა ტყეპა. საბჭოთა მთავრობა თავისი საძაგელი პოლიტიკით იმდენად ჩათრეული იყო ამ ხალხთან, რომ ის იძულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული იყო მათგან ყოველივე მოეთმინა და აშკარა მძარცველები, გუშინ ტუეთ გავარდნილნი, დღეს ისევ შეერიგებინა დანარჩენების მოთხოვნით. მათი თავგასულობა იქამდის მივიდა, რომ მთავრობის მაგიერ ისინი იყვნენ სრული ბატონ-პატრონი ქ. ოზურგეთში. როცა ერთი ნახევარი ქალაქში ქეიფობდა, მეორე ნახევარი იარაღში ჩამსხდარი ქალაქ გარეთ ფრთხილად იყო, და, ამრიგად, ადმინისტრაციას არ შეეძლო მოულოდნელად და ერთიანად მათი დატუსაღება. მათმა ასეთმა თავგასულობამ ბევრი არა უარესი, პატიოსანი, მაგრამ გატაცებული ახალგაზრდა აიყოლია. მათაც მიუვეს ხელი მილიციელების ცემა-ტუქვას. იარაღის აშკარად ტარებას. ამრიგად, ეს ჯგუფი უფრო გაიზარდა.

საბჭოთა მთავრობა თითქმის ორი წლის ცდის შემდეგ დარწმუნდა თავის იმედების გაცრუებაში ამ ჯგუფის ხალხის წინააღმდეგ გამოსაყენებლად. მან გადასწყვიტა საამისოდ საგანგებოდ და საიდუმლოდ მოწვეულ კომუნისტური პარტიის კრებაზედ მისი მოსპობა. სამაზრო ხელისუფლებამ გაგზავნა კაცი თბილისში მთავრობასთან და ჩეკასთან მოსალაპარაკებლად. მათ შეუძლებლად მიიჩნიეს მთელი ჯგუფის ერთად ხელში ჩაგდება ოზურგეთში და გადასწყვიტეს რამენაირად მათი გაყვანა გურიიდან. ამ მიზნით მათ დაავალეს ოზურგეთის ხელისუფლებას ეცნობებინათ ჯგუფის მეთაურებისათვის, რომ ისინი ინიშნებიან მცველებად მატარებელზედ ბათუმსა და ბაქოს შორის. საერთოდ ამ ჯგუფს მეთაურობდა რამდენიმე კაცი, მაგრამ პირველი მათში იყო გ. ღლონტი და მთავრობაც მასთან აწარმოებდა მოლაპარაკებას. ღლონტმა მთავრობის წინადადება აცნობა თავის ამხანაგებს. მათ ეჭვი აიღეს მთავრობის განზრახვაზედ. მაგრამ ეს არ შეიმჩნიეს და დასთანხმდნენ. მხოლოდ მათი მომავალი საქმიანობის პირობების გამოსარკვევად მათ მოითხოვეს უფლება გაეგზავნათ თბილისის ჩეკაში თავისი კაცი, ვინაიდან მთავრობის სიტყვით ეს რაზმი უნდა ყოფილიყო ჩეკას განკარგულებაში. გაგზავნილ იქმნა ე. კვაშალი, რომელიც მთელი ჯგუფის სახელით დასთანხმდა ჩეკის წინადადებას, იმ განსხვავებით, რომ ისინი იკლიდნენ მხოლოდ ბათუმსა და თბილისს შორის, ჩეკაც თავის მხრივ დაეთანხმა ამ წინადადებას.

ამრიგად, ამ შეთანხმების შემდეგ, ღლონტმა გაიყვანა ოზურგეთიდან თავისი ამხანაგები, ჩავიდნენ ლანჩხუთში და მოთავსდნენ მათთვის საგანგებოდ მიჩნეულ ვაგონებში. საბჭოთა ხელისუფლების ზოგიერთ პირებს, უნდოდათ მაშინვე მოეხსნათ მათი ჯლეტა, მაგრამ უმეტესობა არ დასთანხმდა, ვინაიდან შეეშინდათ, რომ ძალების სიმცირის გამო აჯანყება მათ მოეფოდნენ. თანახმად დადებული პირობისა, როცა ჯგუფის ერთი ნახევარი ბათუმიდან წავიდოდა, მეორე უნდა ყოფილიყო ბაქოში, სადაც მათ ენიშნებოდათ მუდმივი ბინა, და როცა პირველი ნახევარი დაბრუნდებოდა ბათუმიდან, მას გამოსცვლიდა მეორე და გაყვებოდა მატარებელს თბილისამდის. ამ დროს შორაპანში სამხედრო კომისრად იყო ზეინ სენებული მანწკავა. უოფილი ოფიცერი და ყოფილი უანაღრ. ის იქმნა დაბარებული თბილისში ჩეკის მიერ, როგორც საბჭოთა მთავრობის სათვის მეტად სანდო პირი და მას ჩეკამ გააცნო თავისი განზრახვა უარაღების დახოცვის შესახებ, ვინაიდან მანწკავა იყო ყოფილი ამბანაგი ღლონტისა და ბევრი სხვების, მას დაეკალა დაეგროვებინა ისინი ერთ და იმავ დროს შორაპანში ისე, რომ ღლონტს ეჭვი არ აეღო და ნელ ნელა მოემზადებინა ადგილობრივი კომუნისტები.

დანიშნულ დროს უნდა ჩამოსულიყო თბილისიდან ობოლაძე ქართული ჯარის ორი გუნდით და შეერთებული ძალით მოეხდინათ აჯანყების განიარაღება და შემდეგ დაბვრეტა.

მანწკავამ ეს დავალება მიიღო, მაგრამ, როცა შორაპანში ჩამოვიდა, იმ წამსვე დაიბარა ღლონტი და აცნობა მას საქმის ვითარება, თან დაუმატა, რომ ასეთი ღალატის ჩადენა მას არ შეეძლო და ამავე დროს ამ საიდუმლოების გაცემისათვის მას არ ასცდებოდა დახვრეტა. ამიტომ მან გასწირა თავისი მდგომარეობა და სიცოცხლეც და შეუერთდა ღლონტის ჯგუფს. მისივე განკარგულებით, მათ განიარაღეს შორაპნის კომუნისტები, წაართვეს ორი ლუისის ტყვიის მფრქვეველი, გაძარცვეს ფოსტა და სხვა დაწესებულებები და სასწრაფოდ გაეშურნენ ფეხით გურიისაკენ იმერეთ გურიის მთებით. ობოლაძემ სდია მათ, მაგრამ ვერ მოუკრა გზა, დაბრუნდა რკინის გზაზედ, ჩასხა თავისი რაზმი მატარებელში და საჩქაროდ გაეკანა ოზურგეთისაკენ. ამავე დროს, მან აცნობა ოზურგეთის ხელისუფლებას მოეხდინათ თავიანთი ძალების მობილიზაცია და შეეკრათ გზები აჯანყებისათვის სანამ ისინი გურიაში ჩავიდოდნენ და გაიფანტებოდნენ.

სამაზრო ხელისუფლებამ სასწრაფოდ შეკრა ყველა ის გზები, რომლებიც გადმოდიან გურიაში იმერეთიდან, იმერეთ-გურია-აჭარის მთების ხაზზედ. ამ ადგილებში ამ დროს უკვე დიდი თოვლი იყო. ღლონტის რაზმი ჩაცმული იყო მეტად მსუბუქად. არ ჰქონდათ საკმელი და ბაკვლდათ ავადმყოფები. მიუხედავად ყოველივე ამისა, ღლონტმა გაფანტა კომუნისტების რაზმები, დაჰყო თავისი რაზმი ჯგუფებად და დაეშვა გურიაში, სადაც ყველა მათგანმა მიაშურა თავ-თავის სოფელს. მათ დაკარგეს მხოლოდ ერთი კაცი, გვარად ლოლაძე, რომელიც ტიფით იყო ავად და დატოვებული იქმნა სოფ-

ზოტში ჭართველ მუსულიმანისას. ის მოჰკლეს კომუნისტებმა რამდენიმე დღის შემდეგ.

ამგვარად, გურია გაიესო ერთი მხრივ ამდენი შეიარაღებული დევნილებით და მეორე მხრივ ობოლაძის რაზმით, რომელიც გაძლიერებულ იქმნა რუსის ქვეითთა და ცხენოსანი ჯარით; აგრეთვე მთელი გურიის კომუნისტებით, რომლებიც დღე და ღამ თოფ ქვეშ იყვნენ. ობოლაძემ მოსვლისთანავე აიღო შეუერიგებელი გეზი: მან დაიპირა და დახვრიტა ადგილზევე ყველა ის ხალხი, ვინც რაიმე დახმარება გაუწია ყაჩაღებს, თუნდაც საკუთარი სურვილის წინააღმდეგ. მაგალითად: მწყემსები, რომელთა დანაშაული იმაში გამოიხატა, რომ ამ დროს ისინი იყვნენ მთების კალთებზედ და ყაჩაღებმა ისარგებლეს მათი კარვებით და სურსათით. ასეთი უბრალო ხალხი, უნებლიედ ხელის შემწყობნი ან მეგზურნი გახდნენ ობოლაძის პირველი მსხვერპლი გურიაში. ობოლაძე დაესხა თავს აგრეთვე მანწკავას ოჯახს, დასწვა სახლი და თავისი ხელით შეაგდო ცეცხლში მანწკავას ახალგაზრდა ბიძაშვილი, თითქმის ბავშვი და დასწვა. მან შეირიგა ორი-სამი კაცი ღლონტის ჯგუფიდან, შემდეგ აწამა ჩეკაში და ამრიგად მიიღო ცნობები ყველა იმათ შესახებ, ვინც რაიმე დახმარებას უწევდა ყაჩაღებს. აღმოაჩინა ღლონტის მიერ გადამალული ორი ტყვიის მფრქვეველი და იქაც დახვრიტა რამოდენიმე კაცი სრულიად განუკითხავად. შემდეგ გამოირკვა, რომ გარდა ერთისა, სხვებმა არაფერი იცოდნენ ამ საქმეზე. ჩაყენა ეკზეკუციები ყველა სოფლებში, ხალხის ბინებში და ხალხის ხარჯზედ. ახდენდა კრებებს და სთხოვდა ხალხს დახმარება გაეწიათ მისთვის ყაჩაღების წინააღმდეგ დევნაში, ურჩობისათვის მიუთითებდა იმ მაგალითებზედ, რაც მან ჩაიდინა გურიაში ჩამოსვლის შემდეგ. მისი გამოსვლა კრებებზედ იყო ყოვლად უხეში, ლანძღვა-გინებით სავსე. ამათრახებდა თავისი ხელით ვინც არ მოსწონდა და გზავნიდა სამაზრო სატუსაღოში.

გურიის არალეგალური ორგანიზაციების ხელმძღვანელობა დადგა მეტის მეტად რთული საკითხის წინაშე: ეს ყაჩაღები დღიდგან საქართველოს დაპყრობისა იყვნენ საბჭოთა მთავრობის სამსახურში. დღეს ისინი გადაიქცნენ მის მოსისხლე მტრად. მთავრობა თავისი ბილწი პოლიტიკით დარჩა ზნეობრივად შერცხვენილი ხალხის წინაშე და ამასთანავე სახალხოდ დამარცხებული თავის განზრახვებში ყაჩაღების მიმართ. დღეს ის გამოდის და ხალხს სთხოვს დახმარებას და ანადგურებს მათ, ვინც მას მისი აზრით წინ ეღობება. ყაჩაღებს ჰყავთ მშობლები; ნათესავები, მეზობლები, ნაცნობები. დადიან ჯგუფებად 4 — 5 კაცი, და სარგებლობენ ამ ხალხის ბინით, საკმელით და ტანსაცმელით. ხალხმა იცის, თუ რა მოელის ყაჩაღის შენახვისათვის, მაგრამ ... ხელს, ხშირად მისდა უნებლიეთ ... ნეთ გლეხი, რომელსაც გათენებისას ესტუმრა 4 — 5 ყაჩაღი. თუნდაც უცნობი, რა უნდა ჰქნას მან? ჯერ ერთი, მას არ შეუძლია გამოიდეს სახლიდან, რომ სურდეს მათი დაბეზღება და ეს რომც მოახერხოს, ხომ გაიფლიტა მთელი ოჯახი სროლის დროს? თუ ის აცნობებს მთავრობას ყაჩაღების წასვლის შემდეგ, მთავრობას არ სჯერა მისი გულწრფელობა და ხვრეტს მას, სახლს უნგრევს, საქონელს ართმევს, ქალებს ატუსაღებს და, ერთი სიტყვით, მთელ ოჯახს ანადგურებს. ამავე დროს მთავრობა და მთელი პოლიტიკა ხალხს სძულს, ეზიზღება და მისი ტრადიციის მიხედვით მისი სიმპათია იმათ მხარეზეა, ვინც ამ მთავრობას აწუხებს, ვინც ასე თუ ისე მათ ებრძვის.

ამ მხრივ ყაჩაღები მეტის მეტად თავგასულნი იყვნენ: დადიოდნენ სოფლებში აშკარად, ისროდნენ თოფებს, სცემდნენ კომუნისტებს და ართმევდნენ იარაღს. მათ არ ესმოდათ თავიანთი ნაბიჯის სიმძიმე და არც არალეგალური ორგანიზაციებს შეეძლოთ მათი ჭკუაზედ დარიგება. ერთი იმიტომ, რომ ისინი მაინც თავის ჭკუაზედ დადიოდნენ და მეორედ და უმთავრესად იმიტომ, რომ საბჭოთა მთავრობა ეძებდა საბუთს, რომ სოციალ დემოკრატიული პარტიისათვის დაემტკიცებინა ყაჩაღებთან კავშირი და ვინ იყო იმისი თავდები, რომ ესა თუ ის ყაჩაღი ხვალ ისევ ჩეკისტი არ გახდებოდა? რეპრესიები გრძელდებოდა, ხალხი ეკონომიურად ნადგურდებოდა, ორგანიზაციები იშლებოდა, იარაღები იკარგებოდა და საფრთხეში ვარდებოდა პოლიტიკურ შეიარაღებულ თუ უიარაღო დევნილთა ბედი.

ხალხი წათამამებული ყაჩაღების გულადობით და აღშფოთებული ობოლაძის სიმხეცით უფრო და უფრო თანაგრძნობას უწევდა პირველთ. ადვილი წარმოსადგენი იყო თუ რით გათავდებოდა ამ ორი ძალის ჭიდილი. გურიის არალეგალური ორგანიზაციების სამაზრო კომიტეტმა გასცა განკარგულება თავის ორგანიზაციებში, მორიდებოდნენ ყოველივე პროვოკაციას და გადაერჩინათ თავისი ძალები. თვით კომუნისტებშიც იყვნენ ისეთები, რომლებიც მეტის მეტად უკმაყოფილო იყვნენ ობოლაძის პოლიტიკით. მაგრამ ისინი ვერაფერს გახდნენ. ობოლაძის მკვლელობის შემდეგ, ამ ნაწილმა, უკმაყოფილო კომუნისტებისა, მიმართეს წერილობით. რასაკვირველია საიდუმლოდ, გურიაში დამსჯელი ექსპედიციის უფროსს ი. ტალახაძეს, სადაც უხსნიდნენ მას ობოლაძის აღვირახსნილ პოლიტიკას და სიმხეცეს, რაც გურიაში სრულიად გაბოროტებულ, უმიზნო და პირიქით, მავნებელი იყო. აფრთხილებდნენ მასაც, მაგრამ შედეგი ამას, რასა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვირველია, ხალხის სასარგებლოდ, არაფერი არ მოუტანია. შეიძლება კი პირიქით.

ობოლაძე კარგად იცნობდა გურიის სოფ ლებს, იმ დროიდგან, როცა ის თვით იყო ყა- ზახად მოსული მთავრობის დროს. დათარეშობ- და ყველა ამ კუთხეებში, სადაც ადგილ მდე- ბარეობის მიხედვით ყაჩაღისათვის ადვილი იყო თავის შენახვა. მოუყრიდა ხალხს თავს თემებში და კუჩური ლანძღვა-გინების შემდეგ ავალებდა: „გადაეცით ყაჩაღებს, მე დღეს მივ- დივარ ამ სოფელში და თუ ლაჩრები არ არი- ან, დამხვდნენ გზაშია". სოფელ ასკანაში, რო- ბელიც მუდამ ცნობილი იყო, როგორც დევ- ნილების ბუდე, მან მიმართა ხალხს ასეთი სიტყვებით: „ამდენი ხანია გურიაში ვარ, დღე და ღამე დავდივარ და ერთს ყაჩაღს ვერ შევ- ხვდი. ასეთი ლაჩრები არიან და თქვენ კი მათ ბინას აძლევთ, ისინი კი თქვენს ცოლ-შვილს ნამუსს ადიანო". აღელვებული ხალხიდან გა- მოვიდა ერთი მოხუცი, და მიმართა ობოლა- ძეს: „ბიძია, არ დაგავიწყდეს, რომ გურიაში ხარ, იცოდე, რომ აქ მასეთ შეურაცხყოფას არ შეგარჩენენო". ობოლაძემ უპასუხა: „შენ ალბათ კავშირი გაქვს ყაჩაღებთან. მე შენ არ დაგიჭერ იმ პირობით, რომ ჩემს სიტყვებს მათ გადასცემო". (ეს მოხუცი ობოლაძის მკვლე- ლობის შემდეგ დაეპატიმრეს და რამოდენიმე თვეს იჯდა ციხეში. გადარჩა დახვრეტას, რო- გორც მოხუცი და მთელს მაზრაში ცნობილი

თავისი სიმართლით და პატიოსნებით. ... ლაძემ დაიჭირა გიორგი ღლონტის ... რამდენიმე დღის შემდეგ გაუშვა ასეთივე და- ვალებით მისი ქმრის მიმართ. ობოლაძის უსი- ნდისობა და თავგასულობა იქამდისაც მივიდა, რომ იმ თემებში, სადაც ის თავს ინახავდა დე- ვნილობის დროს (ლიხაურში და სხ.), განსა- კუთრებული სისასტიკით ემუკრებოდა იმ ოჯა- ხებს, სადაც ის იმალებოდა, იმ მოტივით, რომ ალბათ ეხლაც თქვენა ხართ ყაჩაღების შემნა- ხველნო.

ამავე ხანებში ყაჩაღებმა მოკლეს მაზრის ცხენოსანი მილიციის უფროსი კომუნისტი მდინარაძე. ყოველად საზიზღარი პიროვნება, ობოლაძე ამან უფრო გააზელა და უფრო და უფრო მოუმატა რეპრესიებს. ამრიგად ობო- ლაძესა და ყაჩაღებს შორის გაიმართა ნამდ- ვილი დუელი. შუაში კი ისრიხებოდა ხალხი, არალეგალური ორგანიზაციები უძლურნი იუ- ვნენ რაიმე გაეკეთებინათ. ეს ორი ძალა ეძე- ბდა ერთმანეთის შეხვედრას: ობოლაძე თავის ძლიერებაში დარწმუნებული, ყაჩაღები ჩიხში მიმწყვდეული, შურის ძიების ნიადაგზე შემ- დგარი და გათამამებული იმით, რომ მათი აზ- რით მთელს გურიას სურდა ობოლაძის სიკვ- დილი. ეს შეხვედრაც მოხდა 1928 წლის თვე- ბერვალში, ოზურგეთის მახლობლად, ოზურ- გეთ-ლიხაურის გზაზედ.

ნაწილი მეორე

1923 წელი გურიაში.

ობოლაძის რაზმი იმ დღეს იდგა სოფ. ლი- ხაურში, თვითონ კი იყო ქ. ოზურგეთში. ყა- ჩაღები ეცდიდნენ შემთხვევას თუ როდის გა- ემართებოდა ის ოზურგეთიდან რომელიმე სო- ფლისაკენ. ობოლაძე არ ენდობოდა არც ერთ თავის ხელქვეითს, და როცა ის განაცხადებ- და, რომ დღეს ის ამ რაიონში მიდის, სინამდ- ვილეში სრულიად სხვა ადგილას წავიდოდა. ამ დღესაც ყაჩაღები მას ერთი მიმართულებით ელოდნენ, მაგრამ გაიგეს, რომ ობოლაძე ჩაჯდა ეტლში მხოლოდ ორი კაცის თანხლებით და გაეძგზავრა ლიხაურში თავის რაზმისაკენ. მისი დაწევა უკვე გვიანი იყო. ყაჩაღებმა გადასაკ- რეს თითქმის მთელი ოზურგეთი ნაშუადღე- ვის ხან საათზედ და გავიდნენ ლიხაურის გზა- ზედ, იმ იმედით, რომ საღამოს ობოლაძე და- ბრუნდებოდა ისევ. როგორც წავიდა, ან ცოტა მეტი ამბლით, ღლონტის ჯგუფი შედგებოდა სულ 12 კაცისაგან. მათ საფარად ამოირჩიეს ლიხაურის გზაზედ გათხრილი ძველი სანგრები. ეს დღე იყო პარასკევი, როცა ოზურგეთში იმა- რთება ბაზრობა. ბევრი ლიხაურელი მცხოვ- რები წაეწყდა თავზედ ჩასაფრებულ ყაჩაღებს.

ღლონტმა ისინი ერთხანს არ გაუშვა იმ ში- შით, რომ ვინმე აცნობებდა მთავრობას მათ აქ ყოფნას. მაგრამ იმდენმა ბალბმა მოიყარა თა- ვი, რო მათი გაჩერება ყოველად შეუძლებელი გახდა. ხალხი მიხვდა, თუ რასთვის იუვნენ აქ ჩა- საფრებულები და პირიქით, ამბნევებდნენ მათ: „ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. გაგვიშვით, არა- ვინ გაგცემთ. ობოლაძე უველაფრის ღირსიაო".

ეს ხალხი დაბრუნდა ლიხაურში და არც ერ- თი მათგანი არ აღმოჩნდა, რომ მთავრობა ან ობოლაძე გეფიფრთხილებინოს. იმდენად ძლიერი იყო ხალხში ობოლაძისადმი სიძულვილი. მისმა სიმხეცემ ხალხს ყოველმხვარი სიფრთხილის გრძნობა დაუკარგა და არავინ ფიქრობდა იმას, რომ თუ მის მოკვლას რა მოუვლებოდა.

ობოლაძემ გამგართა ლიხაურში ექვსი დასწვა ორი ოჯახი, დააპატიმრა ერთი გლეხი, ხვეთისი თავისი შვილით, მოხსნა მთელი თავისი რაზმი და გაემართა ოზურგეთისაკენ. ეს რაზმი შეს- დგებოდა ერთი რუსული ესკადრონისაგან, ერ- თი ქართული გუნდისა და მილიციის ნაწილე- ბისაგან. ქართული გუნდის უფროსები იუვნენ ქართველი ოფიცრები: სანიკიძე და ჩუბინიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილი. ამრიგად, ღლონტის ანგარიში არ გამართლდა და მათ დაურჩათ საქმე ამოდენა ძალასთან. წინ მოდიოდა რუსის ესკადრონი, უკან რამოდენიმე მანძილზე ეტლი, რომელშიდაც ისხდნენ ობოლაძე, ხანიკიძე და ჩუბინიშვილი და წინ ედგათ დიდი ჩაფით (გურული ჭარიკა) ღვინო. უკან კი ქართული ნაწილები მოსდევდა. ამდენი ძალების დანახვაზე უჯარლებში რუკვა დაიწყო: ვესროლოთ თუ არაო. ღლონტი არ დაიბნა და უთხრა მათ, რომ ეხლა თავის შველაზედ ლაპარაკი ზედმეტია და გაქცევით უფრო საფრთხეში ჩავაგდებთ თავს, ვიდრე შეტევითო. ეს იყო სულ წუთის საქმე. მათ განაბეს სული და ესკადრონი სულ ახლოს მოუშვეს, რომ ობოლაძე დაენახათ. მას იცნობდა პირადად მხოლოდ ერთი მათგანი, გვარად სირაძე. გამოჩნდა ეტლი და სირაძემაც აცნობა თავის ამხანაგებს ობოლაძის შიგ ყოფნა და უთხრა: „თქვენ გინდ ესროლეთ და გინდ არაო" და მოემზადა სასროლად. მაშინვე გავარდა 12 კაცის თოფი და ხანიკიძე და ჩუბინიშვილი უსულოდ დაეცნენ ძირს. ობოლაძე კი დაჭრილი გადახტა ეტლიდან, ამოეფარა გზის პირას დაყრილ მოსაკენჭ ქვის გროვას და დაიწყო მაუზერიდან სროლა. უჯარლების ერთმა ნაწილმა დაუშინა რუსებს, რომლებიც ცხენებიდან ჩამოხტნენ და მიწაზედ დაწვნენ. ღლონტი ამოვარდა საფარიდან და ერთი კაცით გაექანა ობოლაძისაკენ. ობოლაძემ იშვიათი ვაჟკაცობა გამოიჩინა და კიდეც დასჭრა ღლონტი მსუბუქად უელში, მაგრამ ამ უკანასკნელმა ხელის ჟუმბარა დაახეთქა თავზედ, მიეკარდა, ერთი ცუვიაც დაახალა, იარაღი ამყარა და მიუბრუნდა რუსებს, აუტეხა სროლა და ხაშუალება მისცა პირველ ჯგუფს, გასულიყო მახლობელ გორაკზედ. საიდანაც იმათ ხელახლა გაბსნეს ცეცხლი და ღლონტმაც უშველა თავს. ამრიგად, ისინი გავიდნენ ამ საქმიდან სრულიად უვნებლად. ყველაფერი ეს მოხდა ისე სწრაფად, რომ რუსებმა თოფის გასროლაც კი ვერ მოახერხეს. და უკან მომავალი ჯარიკა, ხელმძღვანელობას მოკლებული, დაიბნა და დროზედ ვერ მოეხმარა თავის უფროსებს. მთელი რაზმი ისეთი მთვრალი აღმოჩნდა, რომ სოლის ხმაზედ ოზურგეთიდან მოსულმა მილიციამ მოუსწრო მათ სრულიად დაბნეულებს. რუსებს ცხენები მიეტოვებინათ და ღამის სიბნელეში ერთმანეთს ვეღარ სცნობდნენ. საშინელი არეულობა იყო. იმასაც კი ვერ ამბობდნენ, თუ როგორ მოხდა თავდასხმა. ჩაფიც არ დაენდოთ უჯარლებს და მისი წამსხვრევები ჩვენებს სასაცილოდ დარჩათ და კომუნისტებს კი სამარცხვინოდ.

* * *

აი, ამნაირად დაიწყო, განვითარდა და დასრულდა საბჭოთა ხელისუფლების ორი წლის მოღვაწეობა გურიაში. ამ ხანს, განმავლობაში ბევრის სიცოცხლე, ოჯახი და თავისუფლება გადდნენ მსხვერპლი საოკუპაციო ხელისუფლების უმსგავსო პოლიტიკისა და როცა ეს პოლიტიკა სამარცხვინოდ დამარცხდა, მთავრობამ ეს მარცხი გურიის ხალხს დააბრალა, სიხარულით ჩასჭიდა ხელი დიდი ხნით ნანატრ საბაბს და აშკარად შეუდგა ხალხის განადგურებას. მოკლეს ობოლაძე და მთავრობა იმავე დღეს შეუდგა რეპრესიებს: პირველ ყოვლისა დასწვეს და გაანადგურეს იმ უჯარლთა ოჯახები, რომლებიც ოზურგეთში და მის მიდამოებში ცხოვრობდნენ. მეორეს დღიდანვე შეუდგნენ მთელს მაზრაში ასევე სახლების დაწვას ან დაშლას და წაღებას. იმავე საღამოს გამოიყვანეს ოზურგეთის სატუსაღოდან 13 კაცი, წაიყვანეს ობოლაძის მკვლელობის ადგილას და იქვე დახვრიტეს. ბევრი მათგანი უკვე დიდი ხნიდან იყვნენ დატუსაღებულნი და არც კი იცოდნენ, თუ რა ხდებოდა, გარეთ. ამავე რიცხვში დახვრიტეს სრულიად უდანაშაულოდ 20 წლის ისიდორე კალანდაძე, სოფ. ხიდისთავიდან, რომელიც ჯარში გაწვევამდე თავის სოფელს არ მოსცილებია და იმ დროს შვებულებიდან ბრუნდებოდა. წაავლეს ხელი და განუკითხავად დახვრიტეს სხვებთან ერთად. დახვრიტეს ამრეთვე ლიხაურიდან ობოლაძის მიერ წამოყვანილი გლეხი ხავთახი თავისი შვილით.

რამდენიმე დღეში ჩამოვიდა თბილისიდან ჯალათი ტალახაძე და შეუდგა თავის საქმიანობას. თვით ტალახაძე მოთავსდა ოზურგეთში თავისი შტაბით, მთელს მაზრაში ჩააყენა რუსის ჯარის ნაწილები. შეკრა მთის კალთები, რომ უჯარლებს გურიიდან გასვლა არ შეხძლებოდათ და შეუდგა მეთოდიურად მათ მოსპობას. მეორე მხრივ მან მოიტანა სასტიკი შეტევა პოლიტიკურ ხალხზედ. უნდა აღვნიშნო, რომ ობოლაძის მოკვლამდის მთელს საქართველოში ბევრი ხალხი იკმნა დახვრეტილი საოკუპაციო მთავრობის მიერ, მაგრამ ყველა ესენი იხვრეტებოდნენ როგორც მხედრები, შეთქმულების მომწყობნი, ან როგორც ჩოლოყაშვილის და სვანეთის მოძრაობებთან კავშირის მქონე, ან წარსულში კომუნისტების წინააღმდეგ ცნობილი მებრძოლი, ერთი სიტყვით ყოველგვარი ბრალდებით, გარდა ერთისა: რომელიმე პოლიტიკურ პარტიის წევრობისათვის. აქამდის საოკუპაციო ხელისუფლება გაურბოდა ამ ბრალდებით ხალხის ხვრეტას. მით უმეტეს, რომ ათასი სხვა და სხვა ბრიკებით ის მაინც ახერხებდა თავისი მიზნის მიღწევას. ეხლა კი სრულიად აშკარად დაადგენენ პოლიტიკური პარტიების განადგურების გზას. ამ გზაზედ ტალახაძის პირველი მსხვერპლი გახდა ოზურგეთში ორი ხოციალ დემოკრატი: ერთი მოხუცი გლეხი, პარტიის ძველი წევრი, იშვიათი პატიოსანი ადამიანი, ხამსონ ქავეარაძე. ის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიყვანეს ციხიდან და შეიყვანეს ჩეკის სარდაფში. იქ მას წარუდგინეს გამზადებული წერილი ხელის მოსაწერად, რომლითაც მას უნდა ეღიარებინა ობოლაძის მკვლელობა სოციალ დემოკრატების მიერ მოწყობილ ტერორისტულ აქტად. დაეგმო ეს პარტია, ეცნო რომ საქართველოში მოხდა გასაბჭოება თვით ხალხის მიერ და ათასი სხვა. ერთი სიტყვით, ის სერიული წერილი, რომლითაც შემდეგში ასე აივსო კომუნისტური პრესის ფურცლები. ამასაც თანავე მას უთხრეს რომ ამ წერილზედ ხელის მოწერა ნიშნავდა მის განთავისუფლებას, უარის თქმა კი ადგილზე დახვრეტას. მან ეს წინადადება ზიზღით უარყო და ჯერ კიდევ ფეხზე მდგომს შუბლში ჭრეს ტყვია. მისი ქართული, ჭკვიანი ტვინი სარდაფის კედლებს შეანარცხეს და მომავალი ტუსაღებისათვის დასტოვეს ნიშნად!

მეორე პიროვნება იყო ძველი სოციალ დემოკრატი, ფოთის მუშა, ყოფილი ფოთის გვარდიის შტაბის წევრი, ტიფო ულენტი. მასაც მიმართეს იმავე წინადადებით, როგორც პირველს. ჩვენს სამაზრო პარტიულ ხელმძღვანელობას მქონდა საშუალება ამ სცენის გაცნობის და თვით კომუნისტებიც არ მალავდნენ ულენტის იშვიათ ვაჟკაცურ ქცევას ამ დროს. მისი პასუხი დაახლოებით იყო ასეთი: მე ამდენი ხანია სოციალ დემოკრატი ვარ და ჩემი შეგნებით ყალბად მიმაჩნია ის გზა, რომლითაც თქვენ სოციალიზმის დამყარებას ფიქრობთ, მაგრამ დღეს ამას მნიშვნელობა არა აქვს, ჩემი ოჯახის გულისათვის მე შემიძლია თავი დავხარო თქვენი ძალის წინაშე, მაგრამ ამ წუთში მე ვდგევარ აქ როგორც ქართველი და არასოდეს და არავითარი შიშის წინაშე არ ვიტყვი იმ ტყუილს, რომ საქართველოს გასაბჭოება მოხდა თვით ქართველი ერის ხელითო. ის გაიყვანეს და იმ ღამესვე დახვრიტეს. ამ ორი კაცის ქცევა და სიტყვები დახვრეტის წინ აშკარა საბუთი იყო იმისა, რომ ქართველ ხალხში რაღაც ახალი რამ მოხდა, რომ მან თავისი თავი იცნო, რომ ის ერად იქცა და მიუხედავად იმისა, რომ ამ დღიდან მას აშკარად მხოლოდ ქართველობისათვის ბოცვა-ულლეტა დაუწყეს, მისი აღორძინებული ეროვნული შეგნების დამარცხება არავითარ ძალას აღარ შეეძლო

ამავე დროს ოზურგეთის მაზრიდან გადაგზავნეს თბილისში დიდი ხნით დატუსაღებული ხალხი. შეუერთეს იქ მყოფ გურულების ერთ ჯგუფს და დახვრიტეს ერთად 82 კაცი, სულ გურულები. ამათში ერია ერთი იმერელი ახალგაზრდა ყმაწვილი თარგამაძე, რომელიც მისდა ბაუბედუროდ იმ ხანებში დაინიშნა მასწავლებლად ლანჩხუთში, მოხვდა ამ დაჭერილთა რიცხვში და მათთან ერთად მივიდა სამშობლოს საბოლოო ადგილზედ.

ამ დახვრეტების შემდეგ ტალახაძის, ოქმეიშვილის, ნობა ალეკუა მანქანახავით. ყველა ბუნებაში ხალხის ბარჯზე იდგა რუსის ქვეითა და ცხენოსანი ჯარი, დღიან ღამიანად ახდენდა ჩხრეკას თვითეული ოჯახის, თვითეული პატარა ტყის და შემჩნეული ადგილების. შექმნეს ყველა თემებში ერთგვარი კომისიები თვით ადგილობრივი პირებისაგან შემდგარი, რომელსაც უმატებდნენ თითოოროლა კომუნისტს. მათი მოვალეობა იყო, მთავრობისთვინ გაეწიათ ყოველგვარი დახმარება დევნილებთან ბრძოლაში! ღამე დარაჯობის მოწყობით, მთავრობისათვინ არა სიმედო პირთა სიების შედგენაში, სურსათ საწოვაგის მოკრებაში, გადასახადების გაწერაში და სხვ. ყველაზედ მეტად ეს გადასახადები აწვებოდა ხალხს. ფული არ იყო. არც იძლეოდენ ვადას და ხალხი იძულებული იყო მარჩენალი ხარი და ძროხა გაეყიდა, რომ ამით კიდევ უარესი უბედურება თავიდან აეცილებინა. ყველაზედ ცუდ მდგომარეობაში ისევ ეს კომისიები იყვნენ. რაიმეს მომიზეზება მთავრობის დავალების თავიდან ასაცილებლად მათ არ შეეძლოთ და ძალა უნებურად, თავისი სურვილის წინააღმდეგ უნდა ეკეთებინათ ხალხის გამანადგურებელი საქმე. უიარაღოდ მალული ხალხი, ასეთი რეპრესიების წინაშე, მოკლებულნი დამალვის ყოველგვარ საშუალებას, ოჯახის წევრების გადარჩენის მიზნით ბარდებოდნენ მთავრობას და ბევრი მათგანი აწერდნენ ხელს მთავრობის მიერ წინასწარ გამზადებულ ტექსტებზედ. მაგრამ მათთვის არც ეს იყო საკმარისი: ისინი მიყავდათ სამაზრო ჩეკაში და სთხოვდნენ გაეცათ, თუ სად ინახავდნენ თავს, ვისთან ჰქონდათ კავშირი, სად იმალებოდნენ დანარჩენი დევნილები. ხშირად აძლევდნენ წინადადებას წასულიყვნენ ამ დევნილთა სანახავად, რომ დაერწმუნებინათ ისინი მთავრობას ჩაბარებოდნენ და სხვა. ვინც ამას არ ასრულებდა, მისი ოჯახი ნადგურდებოდა. ბევრი იგზავნებოდა თბილისში და ბევრი ადგილობრივად გამოცხადებულ იქმნენ მძევლებად, იმ შემთხვევისათვის თუ ვინმე გაბედავდა მთავრობის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მოწყობას.

ის ხალხიც კი, ვინც პირადად გაუტეხელი აღმოჩნდა, იძულებული გახდა დევნილთა შენახვაზედ უარი ეთქვა. ვინაიდან არავინ იცოდა, რომ ეს დევნილი მეორე დღეს არ წახდებოდა და მის გუშინდელ მასპინძელს არ გასცემდა. თვით გ. ღლონტის ჯგუფი, ტანისამოს შემოგლეჯილი, ტყვია-წამალ შემოლესული, უპმელ-უსმელი და ხალხთან კავშირ მოწყვეტილი, ნელ ნელა ხდებოდა რუსის ტყვიის მსხვერპლი, მაგრამ მათ ბრძოლაში სიკვდილის ბედნიერება მაინც ჰქონდათ. დღე და ღამ გურიის სოფლებში ისმოდა თოფისა და ტყვიის მფრქვეველის ხმა. მთელი მაზრა ახლად დაპ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერობილ ქვეყანას წარმოადგენდა, რომელსაც მტერი ანადგურებდა. ყაჩაღები იბრძოდნენ ვაუკაცურად. მაგრამ მაინც განადგურებულ იქმნენ. ერთი ნაწილი ღლონტის მეთაურობით გავიდა საზღვარ გარეთ. ერთი პატარა ჯგუფი მანწყავას მეთაურობით, ყოველივე საშუალებას მოკლებული, იძულებული გახდა ბათომის მთავრობას შერიგებოდა, იმ განზრახვით, რომ ისინი ბათომიდგან საზღვარგარეთ გამოსვლას მოახერხებდნენ. მაგრამ მთავრობამ მათ დაასწრო და შერიგების პირველ ღამესვე დაესხნენ თავზე ჯარისა და მილიციის ნაწილებით და წინადადება მისცეს იარაღი აეყარათ და სახლიდან გამოსულიყვნენ. რამდენიმე მათგანი, უფრო ქართველი მუსულმანები, იმ იმედით, რომ სიცოცხლეს შეინარჩუნებდნენ, ჩაბარდნენ მთავრობას. სამი კი — მანწყავა, ანდღულაძე და სირაძე დიდი ხნის სროლის შემდეგ მოკლულ იქმნენ. მათ მოასწრეს მხოლოდ ორი სომები ჩეკისტის მოკვლა. ასე დათავდა ამ აჯანყების ბედი მას შემდეგ, რაც მათმა მთავრობასთან ჯერ შერიგებამ და შემდეგ ბრძოლამ გაანადგურა მთელი მაზრა და მთელს საქართველოში ხელი გაუხსნა საბჭოთა მთავრობას პოლიტიკურ პარტიების წინააღმდეგ ულმობელ ბრძოლის გამოსაცხადებლად.

შენდობა მათ; მათ ხშირად არ იცოდნენ, თუ რას იქმოდნენ, მაგრამ ცხოვრების სიდუხჭირის გამო სწორ გზას ამცდარნი, ეროვნულ უბედურების დროს, მამა-პაპათა მიერ შთამომავლობით გადმოცემულ ალღოთი მაინც იგრძნეს, თუ სად იყო მათი ადგილი. თუ არ იცოდნენ რა უნდა ეკეთებინათ, გრძნობდნენ მაინც იმ უთავმრესს, რა არ უნდა ეკეთებინათ. თუ არ იცოდნენ როდის, სად და ვისთან ერთად დაეკრათ, როდესაც მტერს ურტყამდნენ, ურტყამდნენ ქართველურად, ვაუკაცურად, ერთი ათს, გასაოცარი სიმამაცით, მომზიბლავი სიკოხტავით. მათ შეუპოვრობას განცვიფრებაში მოჰყავდა რუსები. და თვით ხალხში, სადაც მათ ქცევას ანგარიშის მიხედვით დამძღუპველად სთვლიდნენ, უმეტესობა მოხიბლული ჰყავდათ. ჭეშმარიტად მხოლოდ ქართველი ერის სრულ თავისუფლებას შეუძლია ამ ერის ბევრი და მრავალფეროვანი თვისებები, დროთა უკუღმართობის გამო დამბინჯებულნი, გასწოროს, ყოველ მხრივ განავითაროს და ერთ ეროვნულ კალაპოტში მოქცეული, დაუშრეტელ მდინარედ ქართველი ერის მარადისობისათვის ადინოს...

მთავრობის რეპრესიების ტალღა მოედო მთელ საქართველოს და კომუნისტური გაზეთები აივსო ნაძალადევად ხელმოწერილ წერილებით. ამავე დროს მთავრობა აწყობდა მიტინგებს, სადაც გამოყავდათ ეს შეშინებული ხალხი და მათი პირით მოუწოდებდნენ ყველას, ბოლო აღეთქვა საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაზედ. დაეგმოთ ნარ[illegible] [illegible] მოდნენ მხარში კომუნისტურ პარტიას „სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის".

ყოველივე ამ მოვლენების ლოღიკური დასკვნის გასაკეთებლად მთავრობამ გადასწყვიტა 1923 წელში ზაფხულისათვის ეგრედ წოდებული „სალიკვიდაციო კონფერენციის" მოწვევა, სადაც ოფიციალურად უნდა დასამარებულიყვნენ ქართული მებრძოლი პარტიები.

მიუხედავად ამდენი რეპრესიებისა, საოკუპაციო ხელისუფლება სასტიკად მოტყუვდა თავის იმედებში და ქართული პოლიტიკური პარტიები და მთელი ერი გამოვიდნენ ამდენი გამოცდილებიდან უფრო შეერთებულნი და გაკაჟებულნი, გაწმენდილნი ყოველგვარ სუსტი და მერყეევი ელემენტებისაგან და სამარადისოდ ერთ ეროვნულ იდეალისაკენ მიმართულნი. თუ როგორ სწარმოებდა და ვითარდებოდა ამ ხანშინელ რეპრესიების დროს პოლიტიკური ორგანიზაციების მუშაობა, თუ როგორ მზადდებოდა პასუხი საოკუპაციო მთავრობის მიერ განზრახულ „კონფერენციებისათვის", ამაზედ ქვევით.

* * *

გურიაში მკვიდრი პოლიტიკური ორგანიზაციების აღდგენის დღიდანვე საერთოდ საქართველოს მასშტაბით საკითხებისადმი დამოკიდებულება ემორჩილებოდა ცენტრიდან მიღებულ დირექტივებს. ადგილობრივ საკითხებზედ კი ზრუნავდა გურიის კომიტეტი, რომელიც თავის დადგენილებებს ატარებდა ცხოვრებაში სარაიონო და სათემო ორგანიზაციების საშუალებით. ადვილად გასაგებ მიზეზების გამო, მე აქ არ შევუდგები ორგანიზაციების დაწვრილებით დახასიათებას, ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს ორგანიზაციები გამოდგნენ მეტის-მეტად მოქნილნი და უკიდურეს რეპრესიების დროსაც კი, ზერელე შეფასებით განადგურებულნი, მაინც ახერხებდნენ მთავარ ხერხემლის შენარჩუნებას. არალეგალურად მომუშავე ხალხის რიცხვი, მინიმუმამდის დაყვანილი, ბრძოლაში გაკაჟებული და უშიშარი ხალხისაგან შემდგარი, საშუალებას აძლევდა გურიის კომიტეტს, ყოველ დღიურად მთელი გურიის სურათი თვალწინ ჰქონოდა და საჭირო განკარგულებებს, იდეალური კავშირის საშუალებით, სასწრაფოდ მიეწოდებინა მთელი მაზრისათვის. სახელმწიფო აპარატის ხელში მყონე საოკუპაციო ხელისუფლების განკარგულებებს ამა თუ იმ კუთხეში უკვე მომზადებული პასუხი ხვდებოდა. მტერი შედეგების მიხედვით ხედავდა ამ კავშირის მოძრაობას და ამავე დროს უძლური იყო მასთან ბრძოლაში. სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წყობა ისეთი იყო, რომ რომელიმე ერთი პირის ან თუნდაც ერთი მთელი ერთეულის ჩავარდნაზედ, მთავრობის წინ ისეთი გაუვალი კედელი იმართე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა, რომლის იქით ის ვერაფერს ხედავდა. იღუპებოდა და იკარგებოდა მხოლოდ პიროვნება ან ერთეული, მთელი სხეული კი უფრო გაფართხილებული, უვნებლად რჩებოდა. ამ განუწყვეტელ ბრძოლის დროს ზშირად ყოფილა შემთხვევა დიდი თანამდებობის პირის ჩავარდნისაც, მისი გატეხისა, გუშინდელ თანამებრძოლების წინააღმდეგ აშკარად გამოსვლისა, მაგრამ აქაც მხოლოდ მისი გახრწნილი ლეში შეორჩენია ჩეკას ხელში. როდესაც ჩვენი ერი განთავისუფლდება, მაშინ გამოჩნდებიან პირები ამ ორგანიზაციების ასაწერად და მათი ძლიერების საიდუმლოების გამოსამეღავნებლად. დღეს კი, ვინც ამ ორგანიზაციებს იცნობს, მან იცის, რომ ამ მხრივ ჩვენ არაფერი გვაქვს საძებარი სხვა ქვეყნების განმათავისუფლებელ ბრძოლის ისტორიაში. როგორიც არ უნდა დარჩეს მომავალში საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლის პოლიტიკა, რა მიმართულების ხალხიც არ უნდა დარჩეს ამ პოლიტიკის სათავეში, არალეგალური მუშაობის საწარმოებლად საუკეთესო იარაღი იქნება ის სისტემა, რომელზედაც აგებული იყვნენ სოციალ დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციები გურიაში 1921 წლიდან 1924 წლამდე.

გურიის კომიტეტი არ კმაყოფილდებოდა მარტო განკარგულების გაცემით; თავის ორგანიზაციების საშუალებით ის თვალ-ყურს ადევნებდა ამ ბრძანებების ცხოვრებაში გატარებას და თავის ხალხის საშუალებით ეხმარებოდა მოსახლეებს მოკმედების დროს, მუდმივ გვერდში ედგა მას. უმსუბუქებდა რეპრესიების შედეგებს და ამხნევებდა მორალურად. თვით ეს კომიტეტი, თითქმის მუდამ მთელი თავისი შემადგენლობით არალეგალურად მყოფი, ოჯახ აწიოკებული, სარაიონო და სათემო ხელმძღვანელები თავიანთი სიმტკიცით ციხეებში, ტყვის წინაშე, სამშობლოს სამსხვერპლოზედ ყოველგვარი პირადი ბედნიერების უანგაროდ მიტანით, დიდებულ მაგალითს აძლევდნენ ხალხს და განსაკუთრებით იპყრობდნენ ახალგაზრდობას. პიროვნებები იღლებოდნენ, ძირს ეცემოდნენ, მტრის ბანაკშიაც გადადიოდნენ, მაგრამ მათ ალაგს სულ ახალ-ახალი კადრები იჭერდნენ. მუშაობა შეუწყვეტლად მიმდინარეობდა. ბრძოლა გრძელდებოდა, ვით ჩამოკნილი წმინდა სანთელი, მებრძოლთა რიგები ყოველგვარ სუსტთაგან, ყოველგვარ ბუჭყისაგან იწმინდებოდნენ და ერთ ეროვნულ ოჯახად ქცეულ სამშობლოს სადარაჯოზედ იდგნენ.

ცარიელ სიტყვებს ამ შედეგების მოცემა არ შეეძლო, საჭირო იყო მოკმედება და მაგალითი, ბევრს სხვა და სხვა საშუალებათა შორის, რომელთაც მე აქ არ ვასახელებ, იყო ერთი, რომელმაც განსაკუთრებით დიდი ნაყოფი მოიტანა ხალხის გამხნევებაში და რაზედაც ეს ბოლოს ნდა შევჩერდე.

საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი ეკონომიური პოლიტიკით სრულიად მოშალა ხალხის ისედაც ღარიბი და სუსტი აღებ-მიცემობა. ქვეყანა სიმშილის კარამდე იქმნა. მიუვანილი და თვითეული ოჯახის საზრუნავს მხოლოდ დღიდან დღემდის ლუკმა პურის შოვნა შეადგენდა. ასეთ პირობებში, განსაკუთრებით მწვავე იყო დატუსაღებულთა და დეკნილთა ოჯახების ბედი. საბჭოთა ხელისუფლება სხვა და სხვა სახის ძალდატანებასთან ერთად, უპირველესად და უმთავრესად, თავის მოწინააღმდეგეების ოჯახების სიმშილით წელში გატეხას მიმართავდა. მოხუცი დედები, წვრილ შვილიანი ცოლები დილიდან საღამომდის იდგნენ აღმასკომის კარებთან და სთხოვდნენ ადგილობრივ კომუნისტებს, ეშუამდგომლათ საბჭოთა ხელისუფლებასთან მათი ოჯახის დატუსაღებულ წევრთა ან გასანთავისუფლებლად, ან რაიმე გარკვეული ბრალდების წასაყენებლად და საქმის დასაჩქარებლად. კომუნისტების პასუხი მუდამ ერთი იყო: „თქვენ აქ შიმშილით კვდებით, ხალხში მუშა არა გვავთ, ის კი იქ ლაპარაკობს. წადით, ნახეთ, უთხარით მოაწეროს ხელი და ხელად გამოგიგზავნენ გარედ". შიმშილის გარდა დეკნილთა ოჯახების წევრებს თვეობით აპატიმრებდნენ და ციხეებში უდიერად ეპყრობოდნენ. ერთი დეკნილის დედას, ღრმად მოხუცებულ ადამიანს, ოზურგეთის ჩეკის გამოძიებელმა გვანცალაძემ თავისი ხელით სცემა და ცხვირპირი სისხლით შეუღება. მთელი მაზრა მოწამე იყო ამ აქტისა და ბევრი სხვისა, რომლებსაც ჩეკის მსხვერპლნიც მუკარის ქვეშ სიიდუმლოდ ინახავდნენ. ყველა ეს ზომები, სხვებთან ერთად, ნელ-ნელა ხეტებდნენ ტუსაღის სიმტკიცეს და ის აწერდა ხელს. გამოდიოდა გარეთ და ამ პირველი ნაბიჯის შემდეგ ვარდებოდა ისეთ მახეში, რომ უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა და თანდათანობით მტრის მხარეზედ გადადიოდა. გურიაში და მთელ საქართველოში მტრის ბანაკში გადასულთა ასი პროცენტი ამ საშინელ რეპრესიების მსხვერპლნი იყვნენ და არა გულწრფელად კომუნისტური ხელისუფლების ერთგულნი, როგორც ამას მთავრობა აცხადებდა.

აი, ამ საშინელ მდგომარეობას მიაქცია დიდი ყურადღება გურიის კომიტეტმა და შექმნა განსაკუთრებული სამაზრო, სარაიონო და სათემო ორგანოები, რომელთა მოვალეობას მხოლოდ ტუსაღთა და მათ ოჯახების მატერიალურ მდგომარეობაზედ ზრუნვა შეადგენდა. თვით ციხეში მყოფ ტუსაღთათვის მოეწყო სისტემატიურად დახმარების გზავნა სანოვაგისა და ტანისამოსის სახით. ყველა ეს საიდუმლოების დაცვის მიზნით თვითეულ ტუსაღს ეგზავნებოდა ინდივიდუალურად ნათესავების სახელით

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მათივე საშუალებით. რაც უნდა მცირე ყოფილიყო ეს დახმარება, ის მაინც აღწევდა თავის მიზანს: ტუსაღმა იცოდა, რომ მასზედ ვიღაცა ზრუნავდა და მისი ოჯახიც შიმშილით არ მოკვდებოდა. ეს საკმარისი იყო მათდა გასამხნევებლად. გურიის კომიტეტის ერთადერთ შემოსავალს შეადგენდა პარტიის წევრების საწევრო გადასახადი. ვინაიდან ფული ხალხს არ ჰქონდა და ისიც არც არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდა, ის შეიცვალა სხვა შემოწირულებით: იკრიფებოდა სიმინდი, ფურცელი თამბაქო, არაყი, თაფლი, ყველი, შაშხი, ხორცი, ძველი ტანისამოსი საქალამნე ტყავი და სხვა. პარტიის წევრთა გარდა ეს შემოწირულება შემოდიოდა უპარტიო ხალხისაგან და სხვა პარტიების წევრებისაგან. ყველა ეს გროვდებოდა სოფლებში, იგზავნებოდა თემში, იქიდან რაიონში და შემდეგ მაზრაში. სამაზრო ხელმძღვანელობა კი, საიმედო ვაჭრების და ოჯახების საშუალებით აწყობდა დაგროვილ სანოვაგის განაღდებას და შემდეგ ნელ-ნელა აწვდიდა ტუსაღებს ზემოხსენებული გზით თვით ოჯახების მიმართ მოეწყო ადგილობრივი დახმარებანი: ნადის სახით უთესავდნენ და უვლიდნენ ყანებს, უკრეფდნენ ყურძენს, უმზადებდნენ შეშას, მოსავდნენ ბავშვებს, ეხმარებოდნენ ექიმით და წამლით ავადმყოფებს და დრო გამოშვებით გზავნიდნენ ოჯახის რომელიმე წევრს ტუსაღის სანახავად. შეხვედრისას ისინი ერთმანეთს აცნობდნენ მათ მდგომარეობას და ორივენი გამხნევებულნი ბრუნდებოდნენ: ერთი საკანში, მეორე ოჯახში. სურსათ-სანოვაგის დაგროვების საქმე იმდენად კარგად იყო აწყობილი, რომ ხშირად მაზრა დახმარების მიღების მაგივრად თვით ეხმარებოდა ცენტრს.

ამ დახმარების ირგვლივ მთელს ხალხში განსაკუთრებული დამოკიდებულება დამყარდა, ყველანი თავს ნათესავებად და ერთი ოჯახის წევრებად გრძნობდნენ, შენი და ჩემი აღარ არსებობდა. ყველა ცდილობდა მეტი წვლილი გაეღო, განსაკუთრებულ თავდადებას იჩენდნენ ქალები. უნდა ითქვას, რომ ყველა გაჭირვების დროს ქალები უფრო პროტესტანტული სულით იყვნენ გაჟღენთილნი, ვინემ მამაკაცები. ისინი თავის ბუნების მიხედვით უფრო გრძნობით უცქეროდნენ ყველა ტანჯულის ბედს, უფრო ნაკლებად, ვინემ კაცები, ურიგდებოდნენ ოჯახის გაღარიბებას, ყოველგვარი საოჯახო ნივთის გაცვეთას, და ახლის შეძენის შეუძლებლობას, ხელისუფლების შეურაცხმყოფელ ჩხრეკებს ოჯახებში ღამით და ათას სხვას. თავიანთი დიდედების მიერ ნაანდერძევი, დროებით მიძინებული ქართველი ქალობა, მათში ნელ-ნელა იღვიძებდა და უბრალო უკმაყოფილოთაგან მათ ნამდვილ დედა-კაცებად, ხშირად ვაჟებზე უფრო თავდადებულად აქცევდა. ამ ხანებში წარმოებული ბრძოლა ასტანდა ქართველი ქალის მოღვაწეობას [illegible] ცლები უჭირავს და ეს ფურცლები, ჯერ მხოლოდ ერის გულში საიდუმლოდ შენახული, მომავალ თავისუფალ საქართველოში საჯარაოზედ მოეფინებიან და მომავალ თაობის საბელმძღვანელოდ გახდებიან.

ამრიგად, ჭკვიანად დაწყებულმა პატარა საქმემ მოლოდინს გადააჭარბა, ქართველი ხალხის საუკეთესო თვისებები მოძრაობაში მოიყვანა, ერთმანეთს დაუკავშირა და ხალხის ერად გადაქცევას ხელი შეუწყო.

საქართველოში საოკუპაციო ხელისუფლების მოქმედება, არალეგალური პრესის გაზეთების და ფურცლების საშუალებით, ხალხს ეცნობოდა და ღირსეულად ფასდებოდა. ქართული ფულის გაუქმება, საქართველოს ძალად ამიერკავკასიის ფედერაციაში შეყვანა, შავი ზღვის ნავთსადგურების დახურვა, ქართული ჯარის რიცხვის შემცირება, თვით საქართველოს კომუნისტურ პარტიაში, ეგრედ წოდებულ „უკლონისტთა" ჯგუფის დაარსება, ამ ჯგუფის მიზნები, მისი განადგურება. მოსკოვის ბრძანებით, ყოველივე ეს საუცხოო საბუთებს იძლეოდნენ ხალხში ეროვნული მუშაობის გასაჩაღებლად. მის შეგნებაში იმ რწმენის სამუდამოდ დასამყარებლად, რომ მხოლოდ სრული დამოუკიდებლობა მისცემდა ერს საშუალებას ყოველ მხრივ განვითარებულიყო, თავისი თავის პატრონი გამხდარიყო და ერთა შორის თავისი შესაფერი ადგილი დაეჭირა. ის დემოკრატიული მოთხოვნილებები, რაც წინეთ საქართველოში მოქმედ პარტიების საერთო მოთხოვნილებას შეადგენდნენ, მაგრამ ხშირად ბევრს მხოლოდ ლამაზ სიტყვებად მიაჩნდათ, დღეს ხალხისათვის აუცილებელი გახდნენ. ისტორიაში არ ნახული ჩეკის მიერ გამეფებული წესები, ადამიანის პირუტყვად გადაქცევა, ფეხ-ქვეშ გათელვა, ხალხს აიძულებდა ეს იდეები მოეგონებინათ და მათი ერთგულნი გამხდარიყვნენ.

* * *

საქართველოს დაპყრობის პირველ დღეებში ხელისუფლების მიერ გამოცხადებულ იქნა ამნისტია პოლიტიკურ პარტიების წევრების და ეროვნული მთავრობის მოხელეთა მიმართ. ამან ხელი არ შეუშალა კომუნისტებს გადაედგათ ნაბიჯი ზოგიერთი პირების მოსასპობად. პირველ რიგში მათ მიზანში ამოიღეს ისინი, ვინც მათ განსაკუთრებით ებრძოდნენ იარაღით ხელში. თვითეულ მათგანს საიდუმლოდ დაენიშნათ მკვლელები, ერთ მათგანს, ს. მათითაიშვილს, აშკარად დაესხენ თავზედ თავის ოჯახში, როგორც ეს ზევით მოვიხსენიე. ამ შემთხვევამ ეს პირები გააფრთხილა და რამოდენიმე მათგანი შეუდგნენ არალეგალურ ცხოვრებას იარაღით ხელში. ყველასათვის აშკარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო. რომ მათ დახვრეტა არ ასცდებოდათ და არც მთავრობა ფარავდა თავის განზრახვას მათდამი. ამრიგად, ისე როგორც მეფის მთავრობის დროს, გურიას გაუჩნდა რამდენიმე იარაღიანი დევნილი, რომელთაც ხალხი ინახავდა. განსაკუთრებული იერიში მთავრობას მიჰკონდა სამ მათგანზე; ესენი იყვნენ: ს. მათითაიშვილი და თ. მუხაშავრია, მეფის დროს დევნილნი, დამოუკიდებლობის დროს დაუღალავი მებრძოლნი კომუნისტებისა და ყოველგვარ ავაზაკების წინააღმდეგ. მესამე იყო ალფესი გოგუაძე, რუსის ჯარიდან არტილერისტი, დამოუკიდებლობის დროს ჯავშნიანი მატარებლის ხელმძღვანელი თავის ძმებთან ერთად, იშვიათი ვაჟაცი, მხედრის ყოველივე ღირსებით დაჯილდოებული, სოფლად განთქმული მეურნე, მთელი გურიისათვის საყვარელი პიროვნება.

ეს ხალხი სცხოვრობდა ტუეთ პატარ პატარა ჯგუფებად, 3 — 4 კაცი. ინახავდნენ თავს, ერიდებოდნენ ყოველგვარ პროვოკაციას და უცდიდნენ მდგომარეობის განვითარებას. მათი შენახვა, მათთვის ბინების მიცემა, ადგილიდან ადგილზედ გადაყვანა, ადმინისტრაციის მიერ მათ წინააღმდეგ ზომებისათვის თვალ-ყურის დევნება, მათთვის საჩქაროდ ამ ცნობების მიწოდება, იწვევდა განსაკუთრებულ ორგანიზაციის არსებობას, რომელიც ჯერ ამ როლით ამაყოფილდებოდა. თანდათანობით, რეპრესიების გაძლიერებასთან ერთად, დევნილთა რიცხვი მატულობდა, მათი შენახვა მეტ შრომას მოითხოვდა და მათი დამხმარე ორგანიზაციებიც იზრდებოდნენ, თემებიდან რაიონებში ერთმანეთთან კავშირებს ამყარებენ, პოლიტიკურ ორგანიზაციებიდან დამოუკიდებლად ვითარდებოდნენ და უფრო და უფრო ძლიერი ხდებოდნენ. ზემოხსენებული სამი პირის საშუალებით ეს ორგანიზაციები გურიის კომიტეტს უკავშირდებოდნენ, მისგან დირექტივებს ღებულობდნენ და ნის განკარგულებას ემორჩილებოდნენ. თითქმის ოთხი წლის მანძილზე არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ რომელიმე ამ დევნილთაგანს რაიმე პირადი გამოსვლა მოეწყოს მთავრობის მოხელეების მიმართ, თუმცა ისინი და მათი ოჯახები თავიდანვე საშინელ რეპრესიებს განიცდიდნენ. გარდა შემთხვევით მომხდარ შეტაკებებისა, ისინი გაურბოდნენ ხელისუფლებასთან შეხვედრას. ერთი მხრივ იმიტომ, რომ ამით ხალხისთვის აეცილებინათ ზედმეტი ტანჯვა და მეორეც იმიტომ, რომ მათ სავსებით შეთვისებული და შეგნებული ჰქონდათ ის გზა, რომელზედაც სოციალ დემოკრატიული პარტია იდგა: ძალების დაზოგვა, ხალხში მუშაობა, მთელი ერის ერთი მიზნისათვის დარაზმვა და შესაფერ პირობებში საჭიროების მიხედვით მოქმედება. თუ პოლიტიკური ორგანიზაციები ხალხის აღსაზრდელად წმინდა საპროპაგანდო მუშაობას ეწეოდნენ, მას შემდეგ, რაც ეს დევნილთა განიზაცია გაძლიერდა, მათ მიეცათ [illegible] თრებული დავალება და მათდა ხასიათელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ეს დავალება, შესაძლებლობის ფარგლებში, პირნათლად შეასრულეს. პირველ ხანებში ეს დავალება, ასე ვსთქვათ, თავის თავად წამოსროლილ იქმნა ადგილობრივ პირობების გამო, მაგრამ ბოლო ხანებში მან გარკვეული ხასიათი მიიღო და ის მოწათლულ იქნა სამხედრო მუშაობად.

დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ გურიაში დარჩა საკმაო იარაღი, მათ შორის რამდენიმე ტუვიის მფრქვეველი. საოკუპაციო ხელისუფლება შეუდგა მათ შეგროვებას და პირველ ხანებში მან ძალა დაუტანებლად განიარაღა ისეთი პირები, ვინც ფრონტებიდან სახლში მოიტანეს იარაღი. ბევრს არ შეეძლო უარის თქმა იარაღის ქონებაზე, ვინაიდან ეს მთავრობისათვის ამკარა იყო. ბევრს არც მიაჩნდა საჭიროდ თოფების შენახვა და საერთოდ არც უნდოდათ მთავრობისათვის საპროვოკაციო საბაბი მიეცათ. მიუხედავად ამისა, როგორც ვთქვით ზემოთ, ხალხში საკმაოდ დარჩა იარაღი, როცა შემდეგში რეპრესიების დროს ხალხს გაუჭირდა და მთავრობამ კიდევ მრავალი იარაღი იგდო ხელთ. ყველა სოფელში პოლიტიკურ ორგანიზაციების წინაშე თავის თავად დაისვა კითხვა: რა ვურჩიოთ ხალხს ან პარტიის წევრებს, მისცენ იარაღი თუ არა? იმ დროს ხალხი უკვე გარკვეულ პოზიციას ადგა მთავრობასთან დამოკიდებულებაში და სცდილობდა იარაღის შენარჩუნებას, ისე რომ თვითონაც არ იცოდა რატომ და რისთვის, თავისთავად ეს ხალხი იყო სხვებზედ უფრო იარაღის მოყვარული, ვინაიდან არც პირველ ხანებში და არც შემდეგ რეპრესიების დროს არ გატყდნენ და აჭამდის თავისი თოფები შეინარჩუნეს. ამავე დროს გამოირკვა, რომ ხრულიად კერძო პირებს ჰქონდათ დამალული ლუისის ტუვიის მფრქვეველები და ამ გაჭირვების დროს აცნობეს ეს ორგანიზაციებს და მოითხოვდნენ გარკვეულ ინსტრუქციებს მომავლისათვის. გურიის კომიტეტმა ერთხელ კიდევ ურჩია ხალხს, მარტო თოფებისათვის ოჯახები არ აეწიოკებინათ ან ტუეთ არ გავარდნილიყვნენ და ამავე დროს გადაწყვიტა მიეღო ზომები ამ იარაღის მოსავლელად. რომელიც ამ რეპრესიების შემდეგ ხალხში კიდევ დარჩებოდა. აი ამ იარაღებზე ზრუნვა დაეკალა პოლიტიკურ შეიარაღებულ დევნილთა იმ პატარა ჯგუფებს, რომლებიც გურიაში დაფანტულნი იყვნენ. ეს ხალხი თავის ცხოვრების პირობების გამო იძულებული იყო ხშირად ბინა ეცვალა, სოფლიდან სოფელში ევლო და მებინავედ, მეგზურად და მიკრიკად ეოლოდათ ყველაზელ უფრო სანდო, გამოცდილი და ეოჩაღი ხალხი. ამ ხალხის საშუალებით ისინი უკავშირდებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ მათ, ვისაც იარაღი ჰქონდათ. ამხნევებდნენ მათ, აწვდიდნენ ზეთს. ვისაც სახლში აღარ შეეძლოთ იარაღის შენახვა, თითონ მიმქონდათ ეს იარაღი. აწყობდნენ შესაფერ ადგილებზედ პატარა-პატარა საწყობებში და უვლიდნენ მათ. ტყვიის მფრქვეველები ჩამოერთვა მათ პირველ შეშნახველებს და მათი შენახვა მოეწყო უფრო სხვანაირად. ამდენი იარაღისათვის ზეთის შესაძენად მოეწყო კავშირი რკინის გზის მუშებთან და მათი შემწეობით გურიაში შემოდიოდა ფუთობით იარაღის ზეთი, რომელიც შემდეგ ურიგდებოდა სოფლებს. განსაკუთრებით სათუთი შესანახი აღმოჩნდა ტყვიის მფრქვეველები. ამაზედ მრავალი შრომა დარჩა საჭირო, მაგრამ ვიტყვი მოკლედ, რომ ისინი აჯანყებამდის შენახულ იქმნენ მშვენიერ მდგომარეობაში თავისი ვაზნებით და სროლის დროს არასოდეს არ გაფუჭებულან. ვინც მაშინდელ გურიის მდგომარეობას იცნობს, მისთვისაც კი ძნელია წარმოიდგინოს ის ენერგია, თავგანწირვა და ფიზიკური შრომა, რაც დევნილებმა ამ საქმეს დახარჯეს. ამ მუშაობას მოყვა კიდევ მეორე შედეგი, უფრო დიდი მნიშვნელობის, ვინემ იარაღის შენახვა: ეს იყო იმ ძალის გაცნობა, ვინც ყოველგვარ რეპრესიებს გაუძლეს, აღმოჩნდნენ ყოველგვარ საქმეში სანდოობის საუკეთესო შემნახველნი. თავი ეჭირათ დინჯად, ტყუილუბრალოდ სიტყვებს არ ისროდნენ და მომავალს ,,მედით უყურებდნენ, თავიანთი სულის კვეთებით იმ წრეებს თანაუგრძნობდნენ, რომლებიც მტერთან შეიარაღებული ბრძოლებისათვის მზადებას მოითხოვდნენ. ეს მუშაობა იმდენად გაიზარდა, რომ ბოლოს საჭირო გახდა მისი ერთ მწყობრ ორგანიზაციად ჩამოყალიბება. ეს ორგანიზაცია აეწყო ისეთ პრინციპებზედ, როგორც ყოფილი სახალხო გვარდია: სათავეში სამაზრო შტაბი, მაზრაში სამი სარაიონო შტაბებით და ამათ ქვევით სათემო და სასოფლო ხელმძღვანელები.

სამაზრო შტაბი ერთი პირის საშუალებით შედიოდა გურიის კომიტეტში და მასვე ემორჩილებოდა. სარაიონო შტაბი შესდგებოდა სამი პირისაგან: ერთი თავმჯდომარე და ორი ამხანაგი, თვითეული განსაკუთრებული მოვალეობით და პასუხის მგებლობით. თემში ერთი ხელმძღვანელი, რომელსაც უშუალო კავშირი ჰქონდა სოფლის ხელმძღვანელებთან. სოფლებში კი ათეულები, ორ ხუთეულად დაყოფილი, ერთი ხელმძღვანელით. ყველა პირი იცნობდა მხოლოდ ერთ პირს, მას ზევით და მას ქვევით მყოფ ორგანიზაციაში მხოლოდ ხელმძღვანელებს, დანარჩენებს კი მხოლოდ რიცხვით. მოკლედ, ასეთი იყო ამ ორგანიზაციების წყობა, თავიანთ მოძრაობაში კი მათ ბევრი რამ ახასიათებდათ, რაც გამოცდილებაზე იქნა აგებული და რაზედაც აქ მე არ ვილაპარაკებ. აღვნიშნავ მხოლოდ ერთ ნიშანს, ორგანიზაცია აღმოჩნდა საუკეთესო [illegible] დუმლოების შენახვის მხრივ და დამოუკიდებლობის დროს არა თუ გვარდიაში, არამედ თვით ჯარში არ ნახული დისციპლინის მქონე. დღიდან სამხედრო ორგანიზაციების დაარსებისა, აჯანყებამდე, არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ამ ორგანიზაციის რომელიმე ერთეული ჩავარდნილიყოს ან რომელიმე სხვა ბრალდებით დაჭერილ მის წევრს ამ ორგანიზაციის არსებობა გაეცეს. საოკუპაციო ხელისუფლებამ იცოდა ან ეეჭვობდა, რომ გურიაში სამხედრო მუშაობა არსებობდა, და ესეც რომ არ ყოფილიყო, ის თვითონ ცდილობდა სადმე ისეთი საბუთი ჩაეგდო ხელში, რომ ამ ორგანიზაციის არსებობის აღმოჩენით პოლიტიკურ პარტიებისათვის აჯანყებისათვის მზადება დაებრალებინათ და შესაფერი ზომები მიეღოთ ხალხის წინასწარ გასანადგურებლად.

მათი ცდა უნაყოფო დარჩა. იყო შემთხვევები, როცა რომელიმე სამხედრო ორგანიზაციის წევრი ხელში ჩაიგდეს, უარი ათქმევინეს თავის წარსულზედ, მაგრამ სამხედრო ორგანიზაციის შესახებ კი ასეთი პირებისგანაც ვერაფერი მიიღეს. ასეთი ძლიერი იყო ამ ორგანიზაციის დისციპლინა.

ობოლაძის მოკვლის წინ ერთმა სარაიონო შტაბმა მიიღო ცნობა, რომ გურიაიმერეთის საზღვარზედ, სადაც უკანასკნელი ფრონტი იყო, ერთ ყოფილ გვარდიელს ჰქონდა ტყვია მფრქვეველი და მოითხოვდა ორგანიზაციასთან დაკავშირებას. სარაიონო კომიტეტმა გაგზავნა იქ თავისი კაცი, თავისუფალი მცხოვრები საჭირო ზეთით. ამ პირმა ინახულა ტყვიის მფრქვეველი, დაშალა, გაწმინდა და ასწავლა გვარდიელს მისი მოვლა. ეს გვარდიელი იყო 21 წლის ახალგაზრდა ითნა ჭკუასელი. ფრონტის დაშლის შემდეგ, მას თავის ნაწილიდგან, რომელიც მიხსავე სოფელთან იდგა, გადაემალა ეს ტყვიის მფრქვეველი ისე, რომ არავინ მის მეტმა არ იცოდა. როცა რეპრესიები გაძლიერდა, მან გადაწყვიტა დაკავშირებოდა სარაიონო შტაბს და გადაეცა მისთვის ეს ტყვიის მფრქვეველი. იმ ხანებში მხოლოდ ერთი კაცის გაგზავნა მოხერხდა მასთან და ახლო მომავალში კი ტყვიის მფრქვეველი უნდა წამოეღო შტაბს. ტალახაძის ჩამოსვლამ ამ განზრახვას ხელი შეუშალა და ჭკუასელი გაცემულ იქნა ვიღაცის მიერ, რომელმაც ალბათ თვალი შეასწრო მას, როცა ის ტყვიის მფრქვეველს სწმენდდა რაიონიდან ასულ კაცთან ერთად. ჩეკა დასხდა თავზედ მის ოჯახს, უძებნელად იპოვნა ტყვიის მფრქვეველი, დაატუსაღა ჭკუასელი და მთელი ოჯახი: მოხუცი დედ-მამა, ძმა და დები. ეს მოხდა საშინელი რეპრესიის ხანაში, მთელი ოჯახი წამოიყვანეს ოზურგეთში ფეხით, წვიმიან და თოვლიან ცივ დარში. ითნა კი დატ-

ვირთული იყო თავის ტყვიის მფრქვეველით. ოზურგეთში დახვრეტები გაჩაღებული იყო. ჩეკას ეზოში დიდი ზეიმით შეიყვანეს ეს ხალხი. სარდაფის ერთი ფანჯარა გამოდიოდა ეზოში. სარდაფში მყოფი ტუსაღები მოაწყდნენ ფანჯარას, ჩეკის კიბეებზე ამავალ იონას ერთმა ტუსაღმა ქვევიდან ჩუმად შესძახა: „არ შეშინდე ბიჭო". იონამ დინჯად, უველას გასაგონად ზევიდან ჩამოსძახა: „შიში ვერ იხსნის სიკვდილსაო!" გურიაში ბევრი ხალხი აწამეს ჩეკისტებმა. ბევრი გმირულად მოკვდა, მაგრამ არავის არ მოუხდენია ისეთი შთაბეჭდილება, როგორიც იონა ჭკუასელმა. მთელ ოჯახთან ერთად ის საშინლად სტანჯეს, ოზურგეთიდან თბილისში გადაგზავნეს. იქ მის თვალწინ მოხუცი დედ-მამა, ძმა და გასათხოვარი დები საშინლად აწამეს, ძმას დახვრეტით დაემუქრენ, მაგრამ იონა იდგა. როგორც ურყევი კლდე. მას სთხოვდნენ დაესახელებინა მხოლოდ ერთი პირი, ვისთანაც კავშირი ჰქონდა, და ამ გზით ჩეკას მთელი ორგანიზაციის გახსნა უნდოდა. არ ვიცი მისი ოჯახი გამოიჩენდა თუ არა ასეთ სიმტკიცეს, რომ იონას საიდუმლო რომელიმე მათგანს სცოდნოდა. ამდენი ტანჯვა-წვალების შემდეგ ალბათ ჩეკაც დარწმუნდა, რომ მათ არაფერი იცოდნენ, მაგრამ იონას გასატეხად მათ მისი თვალის წინ აწამებდნენ. მთელი ჩვენი ორგანიზაცია საშინელი გულის ტკივილით ადევნებდა თვალს ამ ერთი კაცის მთელ ჩეკის აპარატთან ბრძოლას და ბოლოს, რამდენიმე თვის შემდეგ, ეს ბრძოლა დამთავრდა იონას სრული გამარჯვებით: უკანასკნელ ტანჯვის ღამეს, ერთ საკანში მოთავსებულ მისს ოჯახს იონა გამოაცალეს და სამშობლოს ღირსეული შვილი, სამშობლოს მოღალატეებმა ლაჩრულად, ხელ-ფეხ შეკრული დახვრიტეს. მისი ოჯახი განთავისუფლებულ იქმნა რამოდენიმე დღის შემდეგ. ბკუასელის ქცევა თავიდან ბოლომდე, მისი სიტყვები, მისი სიკვდილი, კიდევ ერთი დიდებული საბუთი იყო იმისა, რომ საქართველო ერად იქცა, და რომ მისი ისტორიის წიგნი, მტრის მიერ ძალად დახურული, ხელახლავ გაიშალა და მის ფურცლებზედ ქართლოსის შვილებმა ღირსეულ წინაპართა სიტყვის გვერდით თავიანთი სახელების წერა იწყეს...

მთლიანად საქართველოში მდგომარეობის განვითარებასთან ერთად, გურიის ორგანიზაციაც ვითარდებოდა, უფრო გარკვეულ ამოცანებს ისახავდა წინ. ეხლა მისი მოქმედება ცოცხალი ძალების აღრიცხვასა და დამზადებაში გამოიხატებოდა. ამ მუშაობაში განსაკუთრებული სიფრთხილე იყო საჭირო თვით ხალხის მიმართ: არ უნდა ჰქონოდა ადგილი რაიმე გადაჭარბებას ან სიჩქარეს, რომ ამას ხალხში უსაფუძვლო ილუზიები არ გამოეწვია, ამ აღრიცხვის მნიშვნელობას ჭკვიანი განმარტება მისცემოდა, რომ ამით თავიდან აგვეცილებინა, ერთი მხრივ, საოკუპაციო ხელისუფლების უდროოდ შემოტევა და, მეორე მხრივ, და, რაც უმთავრესი იყო, უდროო გატაცებანი ხალხში რეაქციის გამოწვევა. ეს ამოცანა ისე კარგად იქმნა შესრულებული, რომ მიუხედავად იმ დიდი მანძილისა, რაც ჩვენ მუშაობის დაწყებიდან აჯანყებამდის გავიარეთ, ფართე მასაში აჯანყების ამბავი მხოლოდ თოფის გავარდნასთან ერთად დაიწყო.

ტექნიკურად ეს აღრიცხვა დიდებულად იქმნა ჩატარებული. მის დახასიათებაზედ მე არ შეეჩერდები, აღვნიშნავ მხოლოდ ორ რამეს:

პირველი — ა) მთელი ჩვენი ძალები ჩვენ ორ ნაწილად გავყავით; პირველ ნაწილში ჩაირიცხნენ მხოლოდ ისინი, ვისაც თავიანთი თოფი ჰქონდათ და იყვნენ ყოფილი, გამოცდილი ჯარის კაცები თუ გვარდიელები. ეს პირობა აუცილებელი იყო. ამ ნაწილს ჩვენ განსაკუთრებით ვუვლიდით და ვერიდებოდით მათ უველგვარ პოლიტიკურ მუშაობაში ჩაბმას, რომ ამით მათი განადგურება თავიდან აგვეცილებინა. მათი რიცხვი ჩვენ საკმაოდ მიგვაჩნდა გურიის გასანთავისუფლებლად პირველსავე შეტევაზედ. მათი დანიშნულება უნდა ყოფილიყო მტრის რეგულიარულ ან ჩონის და სამაზრო მილიციის ნაწილებთან ბრძოლა.

ბ) მეორე ნაწილში ჩაირიცხენ ისინი, ვინც იარაღთან შეჩვეულნი იყვნენ, მაგრამ არ ჰქონდათ რეგულიარული სამსახურის სტაჟი. ამათაც ჰქონდათ თოფები, ან ვისაც არ ჰქონდა, უნდა პირველსავე რიგში შეიარაღებულიყვნენ მტერზედ წართმეული თოფებით. ამ ნაწილის ამოცანა უნდა ყოფილიყო პირველი შეტევის დროს თავთავიანთ თემებში მოქმედება ადგილობრივ კომუნისტების განსაიარაღებლად და დასატუსაღებლად. ამავე ნაწილს, პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად უნდა გამოეყო პირველსავე შეტევასთან ერთად გამოცდილი ხალხი ადგილობრივი ადმინისტრაციის მოსაწყობად, შეზობელ თემებთან კავშირის აღსადგენად და ფრონტებზე მყოფთათვის ხურსათ-სანოვაგის და სასანიტარო დახმარების მისაწოდებლად.

გ) ზემდეგებს ზევით უფროს შემადგენლობის აღწერას აწარმოებდნენ მხოლოდ სამაზრო და სარაიონო შტაბები. ეს გამოწვეული იყო სიფრთხილით. ოფიცრებს, ვინც ჩვენ მხედველობაში გვყავდა ამა თუ იმ თანამდებობისათვის, სარაიონო შტაბები აწვდიდნენ დრო გამოშვებით საჭირო ცნობებს, ისე კი მათ არავინ აწუხებდა. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ მათ თავიანთი მოვალეობა უჩვენოდაც კარგად იცოდნენ და გაურბოდით მათ ისედაც მცირე რიცხვის უდროოდ მოსპობას. ჩვენი შეხედულება მათზე სავსებით გამართლდა და თავის დროზედ ისინი თავიანთ ადგილებზედ აღმოჩნდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ცნობები გროვდებოდა სარაიონო შტაბებში და ეგზავნებოდა სამაზრო შტაბს, პირველ ხანებში თვეში ერთხელ, ბოლოს ყოველ 15 დღეში. ეს ცნობები იწერებოდნენ პატარ-პატარა ქაღალდზედ განსაკუთრებული წესით, და სამაზრო შტაბს ეძლეოდა ნათელი სურათი ცალ-ცალკე პირველი და მეორე ხარისხის მხედრების რიცხვის, სამხედრო სპეციალობის და შეიარაღების შესახებ. აგრეთვე აღრიცხვაზედ აუვანილი იყო სატრანსპორტო საშუალებები: ცხენი, ხარი, ეტლი, ყველაფერი, რაც ჩვენების ხელში იყო.

მ ე ო რ ე — თავის ძალების აღრიცხვასთან ერთად სამხედრო შტაბი ახდენდა მტრის ძალების აღრიცხვას. მეფისა და დამოუკიდებლობის დროს გურია შეადგენდა ერთს მაზრას, სამ საბოჭაულოდ გაყოფილს. პირველ ხანებში ასეთივე ადმინისტრატიული დაყოფა დასტოვა საბჭოთა ხელისუფლებამ, მაგრამ შემდეგში ხალხის წინააღმდეგ უფრო მოხერხებულად ბრძოლის წარმოებისათვის, მან შეჰქმნა ახალი ადმინისტრატიული წყობა. გურია სამის მაგივრად დაყოფილ იქნა 9 მუდმივ და ერთ დროებით რაიონებად. თვითეულ რაიონში იყო მილიცია შემდეგი შემადგენლობით: მილიციის უფროსი, მისი თანაშემწე (დაბებში დამატებით უფროსი მილიციონერი) და 8-10 მილიციელი. სარაიონო პარტიული კომიტეტის მდივანი, აღმასკომის თავმჯდომარე და მილიციის უფროსი იყვნენ რაიონის ბატონ-პატრონი. გარდა ამ მუდმივი მილიციისა, მათ ხელში იყო სათემო მილიცია და სოფლის კომისრები, აგრეთვე ადგილობრივი კომუნისტები, შეიარაღებულნი და მორიგეობით მილიციასთან ერთად მომუშავენი.

ოზურგეთში იყო ქალაქის მილიცია, სამაზრო მილიცია და სამაზრო მილიციის განსაკუთრებული ცხენოსანი რაზმი, სამხედრო წესზედ განწყობილი და ყაზარმებში მოთავსებული და ყოველ წუთს მზად მყოფი საჭირო მიმართულებით წასასვლელად. ოზურგეთში იდგა სამაზრო „ჩონის" შტაბი, მცირე კადრით, რომელიც პერიოდულად ახდენდა კომუნისტების მობილიზაციას და ავარჯიშებდა მათ სამხედრო წესების მიხედვით. რამდენადაც მე მახსოვს, მაზრის მილიციის შტატი შესდგებოდა 203 კაცისაგან. ამას ემატებოდა სისხლის სამართლის მილიცია. ოზურგეთში არსებობდა სამაზრო ჩეკა, საჭირო შემადგენლობით და ყველა რაიონში თავისი რწმუნებულებით და საიდუმლო აგენტებით. რუსის და ქართული ჯარის ნაწილების რიცხვი მატულობდა რეპრესიების დროს და იკლებდა შემდეგ. მაგრამ არასოდეს არ ყოფილა შემთხვევა, რომ მაზრა სრულიად დაცლილიყოს: ერთი გუნდი ქვეითა ჯარისა და ერთი ცხენოსანი ასეული მაინც იმყოფებოდა მუდმივად გურიაში.

მაზრა რაიონებთან და რაიონები სოფლებთან დაკავშირებული იყვნენ ფანტოფონ და ტელეფონით. დიდი რეპრესიების დროს, ყველა ეს ძალები მოქმედებდნენ შეთანხმებულად, ერთი სარდლობის ქვეშ და, საჭიროების მიხედვით, სულ რამოდენიმე ათეულ წუთში შეკრავდნენ ამა თუ იმ რაიონს.

ყველა ეს ძალები ჩვენს სამხედრო შტაბს აღრიცხვაზე მყავდა აყვანილი, თვითეული დარგიც ცალ-ცალკე, თავისი შეიარაღებით და დანიშნულებით. გარდა რიცხობრივი აღრიცხვისა, უმთავრესი ყურადღება ექცეოდა მტრის ძალების ბრძოლის უნარიანობის შესწავლას. ამ მიზნით მთელი პირადი შემადგენლობა იმყოფებოდა მუდმივი თვალყურის დევნების ქვეშ. თვითეული პიროვნების ხასიათი, სიმკაცე, ცოდნა, სუსტი მხარეები, ნათესაური ან მეგობრული დამოკიდებულება ჩვენებთან, თავდადება საბჭოთა ხელისუფლებისათვის, სიმკაცრე და ლმობიერება რეპრესიების დროს, შესწავლილ იქმნენ და ამის მიხედვით აჯანყების წინა თვეებში საოკუპაციო ხელისუფლების ძალები ჩვენს აღრიცხვაში გაყოფილ იქმნენ ორ ნაწილად: პირველი, ისინი ვინც უნდა განიარაღებულ იყვნენ პირველსავე შეტევაზედ, და მეორე, დაბალი და არა აქტიური პარტიის წევრები და სხვა და სხვა მობალისენი, რომელნიც ხაშურ ძალას არ წარმოადგენდნენ და თავის თავად განიარაღდებოდნენ ჩვენს პირველსავე გამარჯვებასთან ერთად. თვალყურის დევნების ქვეშ იყვნენ აგრეთვე ახალგაზრდა კომუნისტები „კომსომოლისტები" და მტრის საიდუმლო აგენტები, რომ შემდეგ განმეორება არ დარჩეს საჭირო, აღვნიშნავთ რომ საერთო რიცხვი მტრის ძალებისა აჯანყების წინა თვეებში უდრიდა 3000 — 3500 კაცს, გარდა ჯარის ნაწილებისა, რომლის რიცხვი იცვლებოდა ხშირად მდგომარეობის მიხედვით.

ამ ორმაგი მუშაობის წარმოება ითხოვდა დიდ ენერგიას, გამოცდილებას, ხალხის პირადად ცნობას და მათ თვალში ურყევი ნდობის ქონას. ყველა ამ თვისებებით დაჯილდოებული იყო შეიარაღებულ დევნილთა ის ნაწილი, რომელიც გურიაში მოღვაწეობდა თითქმის 20-25 წლის მანძილზედ. დამოუკიდებლობის დროს გაეცვნენ სახელმწიფო მუშაობას ადმინისტრაციის თუ სამხედრო დარგში და ხელახლა ტყეედ გასულნი სრული მიუდგომლობით აფასებდნენ წარსულის დადებით და უარყოფით მხარეებს. მათი ახალი ამხანაგები, დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ ტყეედ გასულნი ,მათგან იძენდნენ არალეგალური მუშაობის გამოცდილებას და ბევრ იმ თვისებებს, რაც გურიაში მუდამ ახასიათებდა ხახალხო საქმისათვის დევნილებს: გამძლეობა ყოველივე გასაჭირის დროს, უაღრესი, იდეალურ-რაინდული თავდადება ამხანაგისათვის, ასკეტური დამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდებულება ყოველგვარი სიამოვნებისადმი, მორიდება მოსახლეობის, იარაღის ხმარა მხოლოდ საერთო მიზნისათვის ან უკიდურეს შემთხვევაში და სხვა... თვით მტერი დიდ ანგარიშს უწევდა მათ და მუდამ დამარცხებული პირადად მათთან ბრძოლაში, შურს ძიობდა მათ ოჯახებზედ. აუწერელია ის ტანჯვა, რაც მათმა მოხუცმა დედ-მამამ, წვრილმა ცოლ-შვილმა და ნათესავებმა იგემეს ხელისუფლებისაგან. მთელი სამ ნახევარი წლის განმავლობაში მათ ბევრი საშუალებებით ებრძოდნენ, მაგრამ მხოლოდ ერთი მათგანი იმსხვერპლეს და ისიც თითქმის შემთხვევით.

ეს იყო ალფესი გოგუაძე. ობოლაძის მოკვლის შემდეგ მერვე დღეზედ მთავრობა დაესხა მის ოჯახს სახლების დასაშლელად. ალფესი, იმ დროს ტიფის ნიშნებით ავადმყოფი, მარტოდ ოჯახში მისულიყო. როდესაც მის ეზოში მილიციელები შევიდნენ, მან დინჯად იარაღი აისხა, სახლიდან გამოვიდა და თავისი მეექვსე ხმით უბრძანა მათ ხელი არ გაეხლებინათ. გოგუაძეები, ყველა ძმები, ცხოვრობდნენ ერთ ეზოთ, რამოდენიმე სახლში და ყველა ესენი, თავიანთი ცოლ-შვილით უნდა ჩავარდნილიყვნენ საფრთხეში, თუ ეზოში მოხდებოდა სროლა. აი ამას მოერიდა ალფესი და თან დარწმუნებული, რომ ეზოში ასე ჯგუფად სახლის კარებთან მოსული მილიციელები, მის სახლში ყოფნას არ მოელოდნენ, მაშასადამე სხვა ძალა არ უავდათ, აუჩქარებლად გამოვიდა ეზოდან შარაზედ. აი ამ დროს მას დაუშინეს უკანიდან იქვე ჩასაფრებულმა მილიციელებმა და პირველსავე სროლაზედ სასიკვდილოდ დასჭრეს, რის შემდეგაც მან სროლით ცოტა მანძილი კიდევ გაიარა და დაეცა ძირს. მისი ანგარიში არ გამართლდა და მისი ოჯახისათვის თავის განწირვა უნაყოფო აღმოჩნდა: ოჯახი დაანგრიეს და ნელ-ნელა სხვა ძმებიც ციხითა და გადასახლებით მოსპეს.

თავის მხრივ ხალხიც კარგად იცნობდა დევნილებს და ჰქონდათ მათი უსაზღვრო სიყვარული და ნდობა. იმ საშინელი რეპრესიების დროს, როცა ტალახაძემ ღლონტის ჯგუფის უმრავლესობა მოსპო და დანარჩენი იძულებული გახადა საზღვარგარეთ გასულიყო, როცა უიარაღო პოლიტიკურ დევნილებსაც არ ჰქონდათ გასაქანი, იარაღიანი დევნილები გურიას არ მოსცილებიან, მათი შემნახავი და დამხმარე ორგანიზაციები არ მოშლილან და როცა ყველა და ყველაფერი რუსის ჯარმა მიწასთან გაასწორა, მხოლოდ ისინი იდგნენ ფეხზედ და ამათ შეაფარეს თავი გურიის კომიტეტის და სხვა პარტიული ორგანიზაციების მეტისმეტად დევნილმა წევრებმა.

მოკლედ. 1921 წლიდან ჰანუყაამდის გურიის დევნილებმა ითამაშეს უდიდესი როლი სამხედრო მუშაობის მოწყობაში, ამ ნიადაგზედ ხალხის დარაზმვაში და მისს ბრძოლაში ყველზედ გამოყენებაში. ამ მუშაობასთან ერთად ისინი ხშირად შველოდნენ გურიის კომიტეტს თავის პოლიტიკურ მუშაობაში და თავიანთ ზურგზედ გადაჰქონდათ ბევრი ტექნიკური მუშაობა.

* * *

ტალახაძის ხელით საოკუპაციო ხელისუფლებამ მოსპო ღლონტის ჯგუფი, დახვრიტა რამოდენიმე ასეული პოლიტიკურ პარტიათა წევრები, გაანადგურა ეკონომიურად მთელი მაზრა, შეიძინა დაშინებულთა შორის ახალი წევრები კომუნისტურ პარტიაში, მიიღო მრავალი ხელწერილი წარსულის უარყოფისა და მომავალში მორჩილებისა და ამ შედეგების მიხედვით სრულიად გამარჯვებულად იგრძნო თავისი თავი. მთელს საქართველოში თავისი „მოღვაწეობის" დასაგვირგვინებლად ის შეუდგა მზადებას ეგრედ წოდებული სალიკვიდაციო კონფერენციის მოსაწვევად. ამ მიზნით ხელისუფლებამ დაიწყო „ხელ-მოწერილთა" შორის კრებების მოწვევა დელეგატების ვითომდა ასარჩევად. კომუნისტურმა პრესამ აიღო განსაკუთრებული ხაზი და სცდილობდა მოეჩვენებინა ხალხისათვის, რომ ამ კონფერენციაზედ მართლაც რაღაცა საერთო ენა უნდა გამონახულიყო მთავრობასა და ხალხს შორის, რომ მომავალში ყველას მიეცემოდა საშუალება საბჭოთა მთავრობას გვერდში ამოსდგომოდა „აღმშენებლობის" ნიადაგზედ. საერთოდ ეს სიტყვა „აღმშენებლობა" იმ დროს ყველას პირზედ ეკერა, მას თავისი მოტრფიალენი და თეორეტიკოსები ჰყავდა. ამ გზით ზოგი ეროვნული ძალების გადარჩენას ფიქრობდა, ზოგი კომუნისტებზედ გავლენის მოხდენას, ზოგს მართლაც გულწრფელად სწამდა, რომ რუსეთზე დაყრდნობილ საბჭოთა მთავრობასთან უნაყოფო ბრძოლას ისევ რამენაირად მორიგება სჯობდა და სხვა. მე არა მაქვს მიზნად ეს მოძრაობა ავსწერო მთელი საქართველოს მასშტაბით, ამიტომ მის განვითარებაზედ და დასასრულზედ მხოლოდ ზერელედ ვილაპარაკებ. ჩვენს მაზრაში კი როგორც მთავრობა შეუდგა ამ მუშაობას, ჩვენი მიწაში ჩაფლული ორგანიზაციები სწრაფად გამოცოცხლდნენ და შეუდგნენ საწინააღმდეგო მუშაობას. და ეი, ამ მუშაობის დროს საბჭოთა ხელისუფლება დარწმუნდა, რომ მისმა რეპრესიებმა უნაყოფოდ ჩაიარეს, რომ მიუხედავად ამდენი მსხვერპლისა, ან სწორედ ამიტომ, ხალხმა შეინარჩუნა ის, რაც ბრძოლაში არის მთავარი, წინააღმდეგობის სული. მთავრობას წინასწარ ჰყავდა დანიშნული პიროვნებები კონფერენციაზედ დელეგატთა გასაგზავნად, და კრებებს მხოლოდ ფორმისათვის აწყობდნენ, რომ ამით მეტი ფასი მისცემოდა მათ დელეგატებს. გუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიის კომიტეტმა დაიწყო მუშაობა ორ ფრონტზედ. პირველი: პირადი შეხვედრების, საიდუმლო კრებების თუ არალეგალური ფურცლების საშუალებით (სხვათა შორის გურიის კომიტეტს ჰქონდა ერთი პატარა სტამბა) გაჩაღდა ბრძოლა ხელმოწერილ ხალხში იმ ილუზიების გასაფანტავად, რაც მათ ჩეკამ სიკვდილის შიშით ჩაუნერგა და, მეორე, მიტანილ იქმნა იერიში საველეგატოდ გამზადებულ პირებზედ. ყველა ასეთ პირებს მიეჩინა ისეთი ხალხი, ვისაც ისინი ვერ გასცემდნენ პირადი დამოკიდებულების გამო, აგრეთვე ნათესავები. ხშირად საკუთარი ოჯახის წევრებიც. ყველა ესენი დღე და ღამ ჩახჩიჩინებდნენ მათ მოღალატურ როლზედ, მიუთითებდნენ დახვრეტილ და ციხეში მყოფ ამხანაგების მაგალითზედ, მეზობლების განადგურებულ ოჯახებზედ საბჭოთა მთავრობის სიფლიდეზედ და მის დაპირებების სიყალბეზედ. ამგვარად ბევრმა „დელეგატმა" უარი თქვა კონფერენციაზედ წასვლაზედ, ზოგმა თავი ავად გაიხადა, ზოგი მაზრიდან სრულიად წავიდა და ზოგმა კი მიიღო თავის თავზედ კონფერენციაზედ მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვის წარმოთქმა. აშკარა კრებებზედ ხალხი მიდიოდა და თავისი შეკითხვებით ოფლში სწურავდა მთავრობისაკენ სამუდამოდ გადასულ პირებს, კრებებს დასასრულს არ აძლევდნენ და ხშირად უშედეგოდ შლიდნენ. ეს მუშაობა მიმდინარეობდა მწყობრად მთელს მაზრაში და მთავრობა ბრაზ-მორეული, რამოდენიმე კვირის წინათ პოლიტიკური პარტიების მისამართზედ, სულთათანას მგალობელი, დღეს თვითონვე სიტყვით და პრესით ადასტურებდა, რომ ეს პარტიები ისევ ფეხზედ იდგნენ, ებრძოდნენ მას და ზედიზედ შეტევაზედ გადადიოდნენ. ვინ არ მოიყვანეს ოზურგეთში ცენტრიდან, რუსეთიდგანაც კი გვაახლეს „ძვირფასი სტუმრები": რენეგატი მარტინოვი, ბუხარინი და სხვები, მაგრამ კონფერენციაზედ წასულ დელეგატებში უმეტესობა მაინც მისი მოწინააღმდეგე იყო. ამ კონფერენციაზე გურიის დელეგატებს აღარც კი ენდვენ და გარდა ერთი-ორი მეტისმეტად წამხდარი პიროვნებისა, არავინ მუშაობაში არ გაურიეს. საერთოდ კონფერენციამ არ გაამართლა მთავრობის იმედი, ბევრმა იქვე აშკარად ამხილა მისი ნამდვილი შინაარსი და მთელი პოლიტიკური პარტიების მაგივრად, მთავრობამ თავის გვერდით მხოლოდ მათი ღირსებითაც და რიცხვითაც უმნიშვნელო ნაწილი ამოიყენა. ამ კონფერენციის შემდეგ არალეგალურ პრესაში იბეჭდებოდა ისევ ჩვენსკენ მობრუნებული ხალხის წერილები და ამით ბათილდებოდა მათ მიერ შიშის ქვეშ გაცემული დაპირებები. ბევრი ამ ხალხიდან და თვით უოფილი დელეგატები არალეგალურ ცხოვრებას შეუდგნენ. შემდეგ ოჯახებში მიიღეს მონაწილეობა და სხვებთან ერთად მსხვერპლად იდებდნენ. აღსანიშნავია, რომ კომუნისტებიც მთავრობაზედ უველაზედ უფრო [illegible] შურის ძიებაზედ შემდგარი ეს ხალხი იყო.

აქვე მინდა აღვნიშნო ერთი დიდი მარცხი, რომელიც ჩვენ ამ ხანებში მოგვივიდა და რომელმაც მეტის მეტად დიდი ზარალი მოგვაყენა.

საოკუპაციო ხელისუფლების დამყარების პირველსავე დღიდან, რამოდენიმე წინდახედული პირის თაოსნობით, საბჭოთა სამაზრო ადმინისტრაციაში და ჩეკაში შეყვანილ იქნა რამოდენიმე ახალგაზრდა, რომელთაც პირადი თვისებებისა და ოჯახურ ნათესაური მდგომარეობის მიხედვით, ეს პირები აუცილებლად საიმედო და სამუდამოდ ურყევლად სთვლიდნენ. მათ ეს შეხედულება სავსებით გაამართლეს. თითქმის სამი წლის განმავლობაში ყოველ დღიურად აწვდიდნენ ჩვენს სამაზრო ცენტრს საბჭოთა მთავრობის ყოველივე გადწყვეტილებას, ცენტრიდან მიღებულ ცნობებს, კომუნისტური პარტიის საიდუმლო დადგენილებებს, ადგილობრივად განზრახულ რეპრესიებს და საბუთებს საბჭოთა მთავრობის საქმიანობის შესახებ ყველა დარგში. საშინელი იყო ამ ხალხის მდგომარეობა: ყოველ წუთში ისინი ელოდნენ თავიანთი მოღალატეობის გახსნას და მაშასადამე აუცილებელ დახვრეტას და ოჯახების განადგურებას. რა გვქონდა ჩვენ რომ ეს ხალხი მოგვესყიდა, ან რით შეგვეძლო მათი დაშინება, რომ ჩვენი ცნობების მომცემნი გამხდარიყვნენ? არაფერი. ამ მდგომარეობაში მათ შეგნებულად ჩაიყენეს თავიანთი თავი, და ამ საშინელ მდგომარეობაში ყოველ წუთში, დღე და ღამ სიკვდილის შიშის მოლოდინში სამი წელი ემსახურნენ თავიანთ სამშობლოს.

მათ მიემატათ ერთი პიროვნება, რომლის ბედი მეტის მეტად ამაღელვებელია. ეს იყო ძველი, იდეური კომუნისტი მარტიან კიღურაძე, ძმა დიდი ხნიდან გარდაცვალებულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცნობილ მოღვაწე ლავროსი კიღურაძის. ეს კაცი გულწრფელად იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ძალიან მომზადებულიც იყო და დიდი თანამდებობაც მიეღო საქართველოს დაპყრობის შემდეგ. მაგრამ საშინელი იყო მისი სულიერი ტრაგედია, როცა ის დარწმუნდა თავის შეცდომაში, როცა მიხვდა რომ ერის ღალატში მონაწილეობა მიიღო და მოინდომა მისი შეცდომის გამოსწორება. დიდი ცდების შემდეგ დაუკავშირდა გურიის კომიტეტს, იყო სამაზრო ჩეკის მთავარი მდივანი და აწვდიდა ჩვენებს ყოველგვარ ცნობებს. მეტის თქმა მათზედ ეხლა შეუძლებელია, უნდა ვსთქვა მხოლოდ, რომ მათი თავდადება და ღვაწლი ჩვენს მაშინდელ მუშაობაში დაუფასებელი იყო.

1923 წელს შემოდგომაზე ეს ორგანიზაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩავარდა თიოქმის მთლიანად: კიღურაძე დაბვრიტეს, ერთი პირი თბილისში გასატეხად და დასახვრეტად აყვანილი, გახაოცარი მოხერხებით გაიქცა ჩეკიდან, სასწრაფოდ ჩამოვიდა გურიაში და მოახწრო ეცნობებინა ხალხის ჩავარდნა იმათთვის, რომელთაც არაფერი იცოდნენ და კიდევ სამსახურს განაგრძობდნენ. ამით ახინიც გადაარჩინა და ეს ხალხი შეუერთდა გურიის დევნილებს. ამ ამბავმა დიდი ალიაქოთი გამოიწვია მთელს მაზრაში, მთავრობამ საეჭვოდ გამოაცხადა მთელი თავისი აპარატი. ბევრი კომუნისტი მოხსნილ იქმნა თანამდებობიდგან, ბევრი დაქვეითებული თუ გადაუვანილი საქართველოს სხვა კუთხეებში. ამ შემთხვევის გამო ბევრი ხალხი დაატუსაღეს, მათ შორის კიღურაძის ძმა, ოფიცერი, კოპრონი კიღურაძე, რომელიც შემდეგ დაბვრეტილ იქმნა თბილისში.

ამ ორგანიზაციის ჩავარდნამ დიდი ზარალი მოგვაყენა და გაგვინაბევრა შანსები არალეგალური მუშაობის წარმოებისა. გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ ეს ორგანიზაცია ჩვენ აჯანყებამდის შეგვენარჩუნებინა, ქ. ოზურგეთში მოქმედებისათვის აჯანყების დროს ის ითამაშებდა უდიდეს, გადამწყვეტ როლს.

* * *

კონფერენციის შემდეგ ცხოვრება ჩადგა ჩვეულებრივ კალაპოტში; ნელი მაგრამ შეუჩერებელი რეპრესიები ადგილობრივი ჩეკისა და ადმინისტრაციის ძალებით წარმოებული, დატუსაღება, თვეობით ციხე, გადასახლება, გაშვება, ისევ მოულოდნელად დატუსაღება, ოჯახების ნგრევა და სხვა. მთავრობა დარწმუნდა, რომ მისი პოლიტიკით ხალხი სამუდამოდ მტრად გადაიკიდა, ის უკვე აღარ ეძებდა შემარიგებელ საშუალებებს და ცდილობდა ნელ-ნელა მთელი უფროსი თაობა მოესპო, მას უკვე აღარ სწამდა, რომ შიშით ან მოფერებით ამ თაობას გარდაქმნიდა. მთელი მისი მუშაობა ამ მხრივ გადატანილ იქმნა ახალგაზრდობაზედ: გაჩაღდა ბრძოლა სკოლებში, პროპაგანდა-აგიტაცია და სკოლის კარები დაიხურა პოლიტიკურად არა საიმედო ხალხის შვილებისათვის. ათასგვარი შეღავათებით და საჩუქრებით სცდილობდნენ უღარიბეს ოჯახების შვილების მოხყიდვას, კომსომოლაში ჩაწერას. ერთხელ მათ კლანჭებში მოხვედრილს პიროვნებას აკეთებინებდნენ ისეთ რამეს, რომლის შემდეგ მას ხალხისაკენ მოხაბრუნებელი პირი აღარ ჰქონდა, თავის მხრივ ხალხს ... სპეციალურ პროპაგანდა-აგიტაციას ... ვრობის დასაფასებლად. თუ წინათ კიდევ რაღაცას მოელოდნენ მისგან, ეხლა ეს იმედი სრულიად გაჰქრა, თუ წინათ კერძო ლაპარაკში ნაცნობ კომუნისტებს ეკამათებოდნენ პოლიტიკურ კითხვებზედ, ეხლა ამის ხურვილი აღარავის ჰქონდა. ორივე მხარე სამუდამოდ დასცილდა ერთი მეორეს, ორთავენი საკუთარს პოზიციებზედ იდგნენ. სასოწარკვეთილებამდის მისული ხალხი ყოველწაღებულივით უბრალო ხავსსაც კი ეკიდებოდა, რომ ამ მდგომარეობიდან ამოსულიყო.

ეს წელიწადი 1923, მოკლედ შეიძლება დახასიათდეს ამნაირად: ხალხის სრული განკურნება საბჭოთა მთავრობაზედ დამყარებული ილუზიებისაგან, ყველა ფრეში და განსაკუთრებით ახალგაზრდობაში ანტი-რუსული სულისკვეთების ჩამოყალიბება, ეროვნული საკითხისადმი ერთხელ და სამუდამოდ უპირატესობის მინიჭება სხვა სოციალურ პოლიტიკურ შინაარსის საკითხებზედ, ამ საკითხის გარშემო მთელი ერის დარაზმვა. ამავე დროს 1921 წელთან შედარებით ხალხის, როგორც მებრძოლი ერთეულის, ძლიერ შესუსტება ქონებრივად და იარაღის მხრივ, მისი ხელმძღვანელი წრეების (როგორც მაგალითად პოლიტიკური მოღვაწენი, ინტელიგენცია, მხედრები) უაღრესად შემცირება დაბვრეტების, ციხეების და გადასახლების საშუალებით. ერთი სიტყვით, 1923 წლის ბოლოს ჩვენ უკვე გვქონდა ის, რაც არ გვქონდა (მთელ ხალხში) 1921 წელში. ესე იგი მტკიცე და ურყევი გადაწყვეტილება დამოუკიდებლად ცხოვრებისა, და არ გვქონდა ის, რაც გვქონდა 1921-ში და რაც ნელ-ნელა გაგვინახევრა საოკუპაციო ხელისუფლებამ სამი წლის განმავლობაში. მართალია, ამ ქონებრივმა და ფიზიკურმა ზარალმა შეგვაქენინა ის, რაც საუკუნეობით დაკარგული იყო, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ, რამდენადაც მთელი საქართველოს მდგომარეობას მე ვიცნობდი და მახსოვს, იმ დროს საქართველო წარმოადგენდა ცალ ფრთა მოტეხილ არწივს, ბრძოლის გუნებაზედ შემდგარს, მაგრამ ბრძოლისათვის უკვე წინასწარ განაბევრებულს.

აი ამ მდგომარეობაში და ხულიერი განწყობილებით ჩვენ შევედით იმ ხანაში, როცა საქართველოში დაიწყო აჯანყებაზედ ლაპარაკი. ეს იყო 1924 წელი, თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნებათაშორისო ურთიერთობების ისტორიიდან

(ებრაელთა სამართლებრივი მდგომარეობა ფეოდალურ საქართველოში)

საქართველოში უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ ებრაელები.

ძნელია, ზუსტად ითქვას, თუ როდის დასახლდნენ პირველად ებრაელები საქართველოს ტერიტორიაზე. ლეონტი მროველის მიხედვით, როდესაც ნაბუქოდონოსორ მეფემან „წარმოსტყუენა" იერუსალიმი „მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკით. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა წყაროსა, რომელსა ჰკუან მანავი და რომელი ქუეყანა აქაუნდა. მათ ხარკითა, აწ ჰქუიან ხერკ, ხარკისა მისთოუის".[1]

ნაბუქოდონოსორი კი როგორც ცნობილია ქრისტემდე ე. ი. ძვ. წ. VI საუკუნეში ცხოვრობდა. ნაბუქოდონოსორ მეორე იყო ახალ ბაბილონური სამეფოს ქალდური დინასტიის ცნობილი მეფე (ძვ. წ. 604-562), რომელმაც დაამარცხა ასურეთ-ეგვიპტის ჯარი და იბრძოდა ფინიკიისა და პალესტინის შემოსაერთებლად.

ძვ. წ. 597 წელს ნაბუქოდონოსორმა აიღო იერუსალიმი. მაგრამ ებრაელებმა კვლავ ურჩობა გამოიჩინეს ტირანის წინაშე და ძვ. წ. 586 წელს ხანგრძლივი ალყის შემდეგ ნაბუქოდონოსორის არმიამ კვლავ ხელმეორედ დაიმორჩილა იერუსალიმი და სასტიკად გაუსწორდა მის დამცველებს. ქალაქი დაანგრიეს დამპყრობლებმა. იერუსალიმის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ბაბილონში გადაასახლეს. ებრაელთა სხვა ნაწილი სხვადასხვა ქვეყნებში გაიფანტა. ეს იყო ძველი აღმოსავლეთის იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომ ძველი სამყაროსა და შუა საუკუნეების ისტორიკოსები, მიუხედავად ეროვნული კუთვნილებისა, ხშირად იხსენიებენ მას. ლეონტი მროველიც ხსენებულ ფაქტს უკავშირებს ებრაელების გამოჩენას საქართველოს ტერიტორიაზე.

ძნელია იმის განსაზღვრა, თუ პირველად როდის გამოჩნდნენ ებრაელები ქართლში. საყურადღებოა ლეონტის მინიშნება იმასთან დაკავშირებით, რომ ნაბუქოდონოსორის დროს მცხეთაში მამასახლისობის ხანაა, რომელშიაც ადრეკლასობრივი საზოგადოება უნდა იგულისხმებოდეს.

არსებობს მოსაზრება, რომელიც ქართლის მოქცევის ქრონიკას ემყარება ძირითადად, რომ ებრაელები მცხეთის მიდამოებში გამოჩნდნენ 169 წ. ძვ. აღ.

ლეონტი მროველი გადმოგვცემს რა ქართლის ძველი ისტორიის ამბებს წერს:

„შემდგომად ამისა რაოდენათმე წელიწადთა მეფე იქმნა სპარსეთს ძე სპანდიატისი, რომელი არს სახელით ბარამ, რომელი იცნობების არდაშირობით. ესე განდიდნა უფროს ყოველთა მეფეთა სპარსთასა. ამან დაიპყრო ბაბილოვანი და ასურეთი, მოხარკე უქნა ბერძენნი და ბრომნი, და მაშინ ქართველნი მოხარკე იყვნეს მისდავე. და იყვნეს ქართლს ესრეთ აღრეულ ყოველნი ნათესავნი, და იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული. ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, მამათა და დედათა"[1]

ლეონტი მროველი სწორია იმაში, რომ სპარსეთის ძლიერი იმპერია ერთ დროს მსოფლიო სახელმწიფოდ ითვლებოდა და რომ მას ქართველებიც ემორჩილებოდნენ. მართებულია ისიც, რომ საქართველოში ებრაული, სომხური, ბერძნული, „ასურული" ენები იყო გავრცელებული. საქართველოში რომ არამეული, ბერძნული, სომხური და ებრაული ენები იცოდნენ, დღეს ეს არ არის სადავო.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია: „უეჭველია, რომ ელინისტურ ხანაში ქართლის ქალაქებში (მცხეთა, ურბნისი) უკვე არსებობდა „უბანი მურიათა". ამ უბანში ცხოვრობდნენ ებრაელების ეთნიკურ-რელიგიური თე-

1 „ქართლის ცხოვრება", ანა დედოფლისეული ნუსხა. პროფ. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომც. თბილისი 1942. გვ. 10.

2 ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, ს. ყაუხჩიშვილის რედ. გვ. 16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მები, რომლებსაც თავისი საკულტო ცენტრები „ბაგინი ჰურიათა" (სინაგოგა) ჰქონიათ სწორედ ასეთი ბაგინის მსახური და იუდაიზმის მიმდევარი ყოფილა ქრისტიანად მოქცევამდე წმ. ნინოს ცხოვრებაში მოხსენიებული ებიათარ მღვდელი. ამ თემების ცხოვრების კვალი ქართლში აღმოჩენილ ძველ, ეპიგრაფიკულ ძეგლებშიც ასახულია".[3]

როგორც ვნახეთ, ლეონტი მროველი იხსენიებს ებრაულს, როგორც ისეთ ენას, რომელიც ძველ ქართლში იხმარებოდა. მაშასადამე ტერმინი „ებრაელი" ქართულში საკმაოდ ძველია. გარდა ზემოხსენებულისა ებრაელთა აღმნიშვნელად ქართულში გვხვდება „ისრაელი", „ისრაელიტი", „ისრაიტელი", „ურია" და „იუდეველი".[4] როგორც მ. მამისთვალიშვილი, თვითონ ქართველი ებრაელი წერდა, ზემოხსენებულთაგან სახელწოდება „ურია" რუსული და უკრაინული „უიდ"-ის თანამედროვე გაგებას იძლევა, ამავე მნიშვნელობით არის გაგებული საქართველოს ებრაელთა წარმოდგენაში და შეურაცხმყოფელ სახელწოდებად ითვლება. მაშასადამე, ასე თუ ისე რელიგიურმა მომენტებმა ეთნიკურ-კულტურულმა განსხვავებულობამ მაღალი სოციალური ფენების, ფეოდალური არისტოკრატიის ქედმაღლურმა დამოკიდებულებამ ვაჭრებისა და ხელოსნების მიმართ ხელი შეუწყო იმას, რომ შექმნილიყო ტერმინი „ურია" მისი დამამცირებელ-შეურაცხმყოფლური გაგებით. ცხადია, გარკვეულ როლს ითამაშებდა ის გარემოებაც, რომ ქრისტიანი ქართველების წარმოდგენაში ქრისტეს ჯვარცმაში, მის უსამართლოდ დასჯაში ბრალი მიუძღოდათ იუდაიზმის დამცველ ფანატიკოს ებრაელებს. ქრისტიანობისადმი მკვეთრად დაპირისპირებული იუდაიზმის წინააღმდეგ როგორც სასულიერო ისე არასასულიერო წრეებში ვრცელდებოდა უსაფუძვლო ჭორები, ცილისმწამებლური ხასიათის ხმები დ. ა. შ. მაგრამ მიუხედავად ამისა საქართველოში მეცხრამეტე საუკუნემდე, როგორც მ. მამისთვალიშვილი ფიქრობდა, „ურიას" შეურაცხმყოფელი მნიშვნელობა არ ქონია.

ავტორი წერს: „ურია" ქართულში, „ვრაგ" ოსურში და „ჯეგუდ" სომხურში, მეცხრამეტე საუკუნემდე ებრაელის დამამცირებელი და დამცინავი, რუსული „უიდ"-ის თანამედროვე გაგების სიტყვები არ იყო. მათ, როგორც მოსახლეობაში ყველაზე გავრცელებულ სიტყვებს, ეს გაგება კავკასიაში ცარიზმის ბატონობის ხანაში, მეცხრამეტე საუკუნეებზე მიეცათ, ცარიზმის მიერ ეროვნებათა შორის ხელოვნურად გაღვივებული მაცირალური შუღლისა და ამ შუღლის ერთი სახეობის, ანტირემატიზმის შედეგად".[5]

ანტისემიტიზმს კი განსაკუთრებით გულმოდგინედ უწყობდა ხელს ცარიზმი 1950 წლის რევოლუციის შემდეგ.

ფეოდალური საქართველოს ხინამდვილეში ებრაელთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ჩვენამდე მრავალ დოკუმენტს მოუღწევია. მათი ნაწილი უკვე გამოქვეყნებულია. ამ საბუთებიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ „ფეოდალურ საქართველოში ებრაელები უმთავრესად ცალკე სოფლებად ან უბნებად ცხოვრობდნენ. საინტერესოა, რომ ასეთ სოფლებში მებატონის მოხელეებად იგივე ებრაელები ჩანან: მამასახლისი, ხელოსანი".[6]

მოღწეული დოკუმენტები ჩვენ ასე თუ ისე დამაკმაყოფილებლად გვაწვდიან გვიანი შუა საუკუნეების ქართველი ებრაელების ცხოვრების შესახებ ცნობებს. თუ როგორ ცხოვრობდნენ ებრაელები საქართველოში უფრო ადრე, ამის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცით.

ჩანს, ბატონყმობის ხანაში ქართველი ებრაელობა, როგორც ამას ნიკო ბერძენიშვილი აღნიშნავდა „ერთ მთლიან სოციალურ წრეს კი არ წარმოადგენდა, არამედ სრულიად გარკვეულს და ურთიერთის მიმართ კლასობრივად დაპირისპირებულ სოციალურ კატეგორიებს".. ქართული ისტორიული დოკუმენტების მონაცემების მიხედვით ავტორი ასკვნის, რომ ღარიბი უმა — ებრაელი უმა ქართველთან თუ უმა სომეხთან ერთად ერთ სოციალურ კატეგორიას ქმნიდა, მათთან ერთად ატარებდა მებატონის მძიმე უღელს და მტარვალთა წინააღმდეგ მათთან ერთად იბრძოდა".[7]

ცნობილია, რომ გვიან საშუალო საუკუნეებში საქართველოში ერთიანი სახელმწიფო არ არსებობდა. სახელმწიფოებრიობის დაცემასთან ხდებოდა სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიც. უჭირდა ქვეყანას ეკონომიურად და ასეთი მძიმე ვითარების დროსაც კი ებრაელთა შორის იყვნენ მდიდარი, „ეკონომიურად დაწინაურებული" პირები. არაფერი არ არის გასაკვირი იმაში, რომ ებრაელთა შორის იყვნენ ვაჭრები, ხელოსნები, ვაჭარ-მოჯარადრეები. ებრაელები „თეთრით" — ფულადი გადასახადით ემსახურებოდნენ სახელმწიფოსა და ფეოდალებს. მაგრამ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ებრაელთა შორის იყვნენ უმამულოს მქონენი. ჩვენ ვიცით, რომ მოგვიანებითაც კი რიგ ქვეყნებში ებრაელებს უძრავი

---

3 „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია", ტ. 3, გვ. 666-667.

4. იხ. მ .მამისთვალიშვილი „ტერმინები: „ებრაელი", „ისრაელი", „ურია". საქართველოს ებრაელთა ისტ. ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. 1. 1940. გვ. 145-156.

5. იქვე, გვ. 156

6. იქვე, გვ. 160.

7. იქვე, გვ. 159.

ქონების შეძენის უფლება არ გააჩნდათ.

ყმა-ებრაელი, ისევე როგორც ყრმა-ქართველი, მებატონის არასრულ საკუთრებად ითვლებოდა. ის არ იყო მონა, მაგრამ მისი გაყიდვა, გაჩუქება და მზითვის ყმად გატანება შეიძლებოდა, ისევე როგორც ქართველისა.

ამ მხრივ არავითარი განსხვავება არ ჩანს ქართველ და ებრაელ ყმას შორის. ერთი კია, როდესაც ებრაელი ყმა „თეთრით" ემსახურებოდა ბატონს, ეს უკანასკნელი განსაკუთრებულად იყო დაინტერესებული იმით, რომ ასეთი ყმა არ დაკარგოდა და მას შედარებით კარგ პირობებს უქმნიდა, რათა მისგან თავის მხრივ მეტი ფულადი გადასახადი მიეღო.

რელიგიური ფანატიზმი დარღვეული ჩანს იმ მხრივაც, რომ არა მხოლოდ მეფეს, დედოფალს, თავადს ჰყავდა ყმებად ებრაელები, არამედ ეკლესია-მონასტრებსაც. დოკუმენტებით დასტურდება მკვლევართა მოსაზრება, რომ ქართველ თუ სომეხ ყმებთან ერთად საქართველოში ცნობილი იყვნენ ებრაელი ხიზნები, მკვიდრი ყმები, ბოგანოები, აყრილები...

საბუთების მიხედვით ებრაელების უმრავლესობა ვაჭრობასა და ხელოსნობას მისდევდა, თუმცა იყვნენ ებრაელები, რომლებიც ეწეოდნენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს. იყვნენ ებრაელი გლეხები, რომელთაც მოჰყავდათ პური, ხილი, უვლიდნენ ვენახს.

დოკუმენტების მიხედვით თბილისში, გორში, კახეთის ქალაქებში ებრაელები არ ჩანან. შეიძლება, რომ პოლიტიკურმა ქარტეხილებმა XVII საუკუნეში რომ განიცადა საქართველომ, ებრაელობა გაფანტა ხსენებული ქალაქებიდან.

საქართველოში ებრაული მოსახლეობა ჩანს სურამში, ატენში, ცხინვალში, ახალდაბაში, საჩხერეში, ჭალტაეში, ჩიხორეთში. იყვნენ ებრაელი ვაჭარ-ხელოსნები, რა თქმა უნდა, სამცხე-საათაბაგოშიაც.

ისმის კითხვა: ხდებოდა თუ არა ებრაელთა ასიმილაცია ქართულ მოსახლეობასთან? ჩანს, რომ ებრაელთა ნაწილის „გაქართველება" — გაქრისტიანებასაც ჰქონია ადგილი. ამის ნაკვლევი ქართულ გვარ-სახელებშიც მოჩანს. რადგანაც საქართველოში ქრისტიანობა უმრავლესობის რელიგია იყო, ეს არც არის გასაკვირი. მაგრამ უფრო საინტერესოა ის, რომ ყოფილა შემთხვევა, როცა ქრისტიანი ყმა სჯულს იცვლიდა, ებრაელთა სარწმუნოებას ღებულობდა, იუდაიზმს აღიარებდა.

საქმე ეხება ებრაელი მებატონის ქრისტიანი ყმის „გაურიავებას" ე. ი. მოსეს სარწმუნოებაზე გადასვლას.

როგორც ვიცით, საქართველოში სჯულის ღალატი დიდ დანაშაულობად ითვლებოდა. მაგრამ როგორც ჩანს ეს ძველი რიგი შერყეულა. ლეონტი მროველის მიხედვით „სჯულისა დამტვევებელისათვის მწიკულ[illegible] [illegible] არის. ისინი კანონგარეშე [illegible]

ასე მკაცრი შეხედულება ყოფილიყო გაბატონებული გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში სჯულის დამტვევებელთა მიმართ, როგორც ებრაელებისა ასევე უმრავლესობის — ქართველების მხრივ.

ძველმა ისტორიამ იცის იმის მაგალითი, რომ თავისი იდეით ისეთი მსოფლიოს სახელმწიფო — როგორიც ძველი ბაბილონი იყო, მეფე ხამურაბის ხანაში (ძვ. წ. VIII ს.) ყველა თავისუფალი ქვეშევრდომი კანონის წინაშე თანაბარუფლებიანი იყო. არ არსებობდა პრივილეგიური ეროვნება. ბაბილონელი, ქანანელი თუ ულაშელი კანონის წინაშე თანასწორი იყო. როგორც აკად. ბ. ა. ტურაევი სამართლიანად შენიშნავს ხამურაბის ეპოქის კანონებმა არ იცოდა ახალმოსულისა და უცხოტომელის ცნება.

როგორ არა ჰგავს ყოველივე ეს იმას, რაც სამურაბის ეპოქიდან ორი-სამი ათასი წლის შემდეგ ხდებოდა ევროპაში, ან თუნდაც ის საკანონმდებლო შეზღუდვებს ზოგიერთი ეროვნების წარმომადგენლების მიმართ, რასაც რუსეთის იმპერიის კანონებში ვხვდებით XIX საუკუნეში.

ასე რომ ქრონოლოგიურად ძველი იდეა შეიძლება უფრო თანამედროვე იყოს არსებითად ვიდრე ქრონოლოგიურად შედარებით ახალი.

ცნობილია აგრეთვე, რომ ჩინელებისა და ხაზარების სამართალი უზრუნველყოფდა სამართალწარმოებას ეროვნულ ენებზე, პატივს სცემდა ქვეშევრდომთა სარწმუნოებრივ გრძნობებს. არაბი მწერლის თქმით, ხაზარეთში 7 მოსამართლე იყო, აქედან ორი მოსამართლე არჩევდა მაჰმადიანებს, მუსლიმანების საქმეს, ორიც ხაზარების დავას მოსეს სჯულის საფუძველზე. ორი მსაჯულიც ქრისტიანებს ასამართლებდა „ახალი აღთქმის" (სახარების) საფუძველზე. ხოლო ერთი მოსამართლე სლავებისა და რუსების საქმეს განიკითხავდა წარმართული სჯულის საფუძველზე.

საინტერესოა, ჰქონდათ თუ არა ქართველ ებრაელებს თავის უძველეს რელიგიასთან ერთად შენარჩუნებული ძველებრაული ენა?

უნდა ითქვას, რომ ებრაელთა ალბათ მცირე ნაწილმა იცოდა ძველებრაული. უმრავლესობა კი მხოლოდ ქართულად მეტყველებდა.

რა ენაზე სწარმოებდა სამართალწარმოება ქართველ ებრაელებში?

როდესაც ყმა ებრაელის საქმეს არჩევდა ქართული სასამართლო და თუ ყმა ქართულად კარგად მეტყველებდა, საქმე ქართულად გაირჩეოდა. მაგრამ რადგანაც ქართული სამართალწარმოების წესების თანახმად ფიცი მნიშვნელოვანი მტკიცებულება იყო, ქართველი ქრისტიანულ ტაძარში, კულტის მსახურთა და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წრებით იძლეოდა ფიცს. საქმე მარტივად წყდებოდა, როდესაც მომჩივანი და მოპასუხე ერთი სარწმუნოებისა იყო; მაგრამ როდესაც ქრისტიანი და ებრაელი იყვნენ მხარეები, მაშინ საქმე რთულდებოდა.

„თუ ქრისტიანის დასაფიცებლად არსებობდა მონასტერი და ეკლესია, იუდაელისათვის ასეთი დაუშვებელი იყო; ერთის მხრივ, ებრაელი უმის დაფიცება ქრისტიანულ ეკლესიასა და მონასტერში ქრისტიანიზმის შეურაცხყოფა იქნებოდა, ხოლო მეორესმხრივ, ებრაელისთვისაც დაუშვებელი იყო იუდაიზმის მოწინააღმდეგე ქრისტიანულ სარწმუნოებაზე დაფიცება. რის გამო არსებობდა სხვადასხვა დასაფიცებელი ადგილები სარწმუნოებათა მიხედვით".[8]

როგორც ჩანს, ებრაელები იფიცებოდნენ სინაგოგაში ბიბლიაზე, რომელიც ძველ ებრაულ ენაზე იყო დაწერილი.

ბრეთის ბიბლიის 205-ე და 280 გვერდებზე არის მინაწერები ებრაულ ენაზე. მათში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ „აბიშაის შვილები იაყაკობი, მოშე და გაბრიელი მოწმეებად იყვნენ"... „რომ ეძახდნენ მოწმეებს და აფიცებდნენ".

ფეოდალურ საქართველოში ებრაელები თითქმის იმავე უფლებით სარგებლობდნენ, როგორითაც ქართველები. ეს გარემოება აღნიშნული აქვთ ნ. ბერძენიშვილს, შ. ჩხეტიას და სხვებს. „ფეოდალური საქართველოს აუვავების ხანაში არსებობდნენ, როგორც სხვა ეროვნების, ისე ებრაელი დიდ-ვაჭრები, რომლებიც ფართე პრივილეგიებით სარგებლობდნენ, და ვაჭრობასთან ერთად მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ დავალებებსაც ასრულებდნენ".

გვიან საშუალო საუკუნეებში კი (გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ხანაში (XI-XII) საუკუნეებში (მოქმედი დიდ-ვაჭრების მსგავსნი არ გვხვდებიან, მაგრამ დოკუმენტებიდან ჩანან მდიდარი ებრაელები, რომელთაც საკუთარი უმა-მამულიც გააჩნიათ და საზოგადოებაში მეტნაკლებად პრივილეგირებული მდგომარეობაც დაუმსახურებიათ.

დოკუმენტებში იხსენიებიან ებრაელები, რომელთაც იმისთვის მიუღწევიათ, რომ ზოგიერთი საქონლის (შაბის, თევზის, მარილის და მატყლის) საბაჟო გადასახადისაგან თავისუფალნი არიან, გორის, თბილისისა და ცხინვალის მიდამოებში.

მოვაჭრე უმა-ებრაელთა დიდი უმრავლესობა თავისი მდგომარეობით ქართველ მოყალნე გლეხთა კატეგორიას შეიძლება მივამსგავსოთ.

ცხადია, ებრაელი უმა-ვაჭრის მეურნეობა ანობა მისი ბატონის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. ჩანს, რომ მდიდარი ებრაელი მევახშე სასტიკად ჩაგრავდა თავისსავე მოძმეს. ქართველი მებატონეები განსაკუთრებულად ცდილობდნენ ყოლოდათ ებრაელი უმა, რადგანაც ეს უკანასკნელი მათთვის ფულადი შემოსავლის წყარო იყო. შემონახულია დოკუმენტები, საიდანაც ჩანს სვეტიცხოვლისა და მემამულე ხიდიარბეგისშვილის დავა უმა ებრაელების კუთვნილების თაობაზე.

საბოლოოდ, 1800 წელს, მსაჯულთშეკრებილობამ გაარჩია ებრაელი მანაშარაშვილებისა და მემამულე ხიდირბეგისშვილის საქმე. უმა მონაშერაშვილები ჩაოდნენ, რომ ისინი სვეტიცხოვლის უმები არიან და ხიდირბეგისშვილმა ისინი ძალით იყმო. მემამულე „მეფის ვახტანგის დავთრით უმად ეჭიდება" მანაშერაშვილებს. სასამართლომ მარტო მოჩივართ ურიათაგან ფიცი კმასაყოფლად ვერ „შერაცხა" და ორის „შეგდებულის მოწმით" ფიცი დააკისრა ებრაელებს „ორი ურია სურამიდან" და ორი ურია ცხინვალიდან უნდა „შეუგდოს" მემამულემ და მოჩივრებმა ოთხი ებრაელიდან ორი უნდა იშოონ და ხუთმა ძმამ ორი „მოწმით" ავალიშვილების ბიბლიაზე უნდა დაიფიცონ იმის შესახებ, რომ ისინი სინამდვილეში სვეტიცხოვლის უმები არიან. მაგრამ ებრაელები ამტკიცებდნენ, რომ „ურიათ მოფიცარი არ აძესო". ჩატარდა გამოძიება და თვით ებრაელთა გამოკითხვით დადგინდა, რომ თვალეახდიშვილების ებრაელებს და ლეჩხუმელ ებრაელებს „შეგდებული მოფიცარი დაედვათ"... როგორც ჩანს, ქართველ ებრაელებს მიუღიათ ქართული ფეოდალური საზოგადოების სამართალშეგნების ძირითადი იდეები; საქართველოში მანამდე, სანამ იგი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდოდა, ანტისემიტიზმი, ანტიებრაული განწყობილება საერთოდ შუა საუკუნეების საქართველოში არ შეიმჩნეოდა. ფეოდალურ საქართველოში ანტისემიტიზმი, როგორც ასეთი, საერთოდ არ ჩანს. არსად, არც ერთ ქვეყანაში ებრაელები თავის უფლებებში ისე არ ყოფილან მიახლოებულნი სახელმწიფოს ძირითად ეროვნებასთან, როგორც ეს საქართველოში იყო.

ა. კრიხელის მართებული მოსაზრებით საქართველოში საქმე გვაქვს „ებრაელთა არა იზოლირებასთან, არამედ მის სრულ გაიგივებასთან უფლებამოვალეობაში თავის სოციალურ მოძმეებთან" რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამის მიზეზი? მიზეზი მრავალი იყო.

მრავალთაგან ერთ-ერთი უპირველესი იყო

---

8 ა. კრიხელი „ბრეთის ბიბლიის საკითხისათვის", საქ. ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. I, 1940, გვ. 115.

9. ი. პაპისიმედოვი. „საქართველოს ებრაელთა აღებ-მიცემობის ისტორიიდან", იქვე, გვ. 4.

ისტორიულად ჩამოყალიბებული ქართველი ხალხის ინტერნაციონალური ბუნება, მისი ჰუმანური, სტუმართმოყვრული ტრადიციები, იქამდე, რომ ქართულ ფოლკლორში ნაციონალური ტენდენციები შედარებით მკრთალადაა წარმოდგენილი და ნაციონალიზმი, განსაკუთრებით აგრესიული ნაციონალიზმი მისთვის უცხო იყო. ქართული ხალხური ლექსის მიხედვით ყველა ადამის შვილი ვართ და „თათარიც ჩვენი ძმა არის", „ჩვენსა და სომხებს შორის განყოფილება არ არის".

გარდა ამისა, ფეოდალური ხანის საქართველოში იუდაიზმი არ იყო ისე ძლიერი, რომ ის სახელმწიფოსა და ქრისტიანული ეკლესიისათვის საშიში ყოფილიყო.

ფეოდალურ საქართველოში არ ჩანს ორიგინალური ლიტერატურული თხზულებები იუდაიზმის წინააღმდეგ. ქართველებს არ უწარმოებიათ, როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავდა, „დამოუკიდებელი ლიტერატურული ბრძოლა" იუდაიზმის წინააღმდეგ.

ფეოდალიზმის ხანის საქართველოში არ არსებობდა ებრაული კულტის მსახურთა იერარქია. საქართველოში სუსტი იყო, როგორც ა. კრეხელი აღნიშნავდა, იუდაისტური და კერძოდ თალმუდისტური (რაბინისტული) მოძრაობა რიგ სხვა სახელმწიფოებთან შედარებით.

ქართული ეკლესია არ ეწეოდა ძლიერ ანტიებრაულ პროპაგანდას. დროდადრო თავს იჩენდა მხოლოდ სუსტი ანტიებრაული პროპაგანდა.

ებრაელ ავტორს, ა. კრეხელს აღნიშნული აქვს, რომ საქართველოში იყო ქრისტიანის გაიუდეველების შემთხვევაც კი, რომელსაც არავითარი სასჯელი არ მოჰყოლია. ცხადია, მეტი იქნებოდა შემთხვევები ებრაელთა გაქრისტიანებისა.

მცხეთელმა ებრაელებმა, ყოველ შემთხვევაში მათმა გარკვეულმა ნაწილმა, ხელი შეუწყო და ნიადაგი მოუმზადა ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში (აბიათარი, სიდონია და სხვები).

საქართველოს ისტორიიდან უცნობია ფაქტები, რომ ეკლესიას იძულებით გაექრისტიანებინოს ებრაელები ან ეწარმოებინოს ისეთი ანტიებრაული პროპაგანდა, რომელიც ქართველთა და ებრაელთა შორის მტრობაში გადაიზრდებოდა. საქართველოში კანონით არ იყო აღიარებული უმა ებრაელის [illegible] ელის უფლებრივი დაკნინება [illegible] განსხვავება უმა ან ბატონი ქართველისაგან. უმა ებრაელი და უმა ქრისტიანი ერთნაირი უფლებებით სარგებლობდნენ.

„საბუთებით ირკვევა, რომ უმა ქართველი გლეხისათვის, როგორც მეფის ისე ეკლესიისა და ბატონის მხრივ არ არსებობდა ისეთი პრივილეგიები, რაც უცხო ყოფილიყო ებრაელისათვის".[10]

ფეოდალურ საქართველოში ებრაელ ბატონს შეიძლებოდა ჰყოლოდა ქრისტიანი უმები, რაც წარმოუდგენელი იყო ზოგიერთ ქვეყანაში, და ეს საქართველოში ანტიქრისტიანულ მოქმედებად არ ითვლებოდა.

რიგ ქვეყნებში იმ ებრაელებს, რომელთაც ქრისტიანი უმები აღმოაჩნდებოდათ, სჯიდნენ სხვადასხვა სასჯელებით, მათ შორის უმების ჩამორთმევით და სხვა ქონების კონფისკაციით.

საქართველოსთვის უცნობი იყო კანონი ქრისტიანებსა და ებრაელებს შორის ვაჭრობის აკრძალვის, აგრეთვე ებრაელებისათვის უძრავი ქონების შეძენის აკრძალვის შესახებ.

ფეოდალური ევროპის სოციალური პრაქტიკა კი ასეთ კანონებს იცნობდა. მაგ. 1293 წ. ესპანეთში ებრაელებს აეკრძალათ ქრისტიანებისაგან მიწის შეძენა. 1412 წ. ედიქტით ებრაელებს აეკრძალათ ვაჭრობა ქრისტიანებთან.

ძველი ქართული კანონმდებლობა არ იცნობდა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებში, სახელმწიფო აპარატში ებრაელებისათვის მუშაობის აკრძალვას, რაც არაერთხელ მომხდარა სხვა ქვეყნებში.

ქართველი ებრაელების შედარებით ნორმალური უფლებრივი მდგომარეობის მიზეზი იმაშიც უნდა ვეძებოთ, რომ როგორც სოფლად, ასევე ქალაქად, ისინი არ იყვნენ იზოლირებულნი ქვეყნის მოსახლეობისაგან, პირველყოვლისა ქართველებისაგან. სოციალური პროგრესი და ჰუმანიზმი ინდივიდთა თავისუფალი კავშირურთიერთობის შედეგად ვითარდება. გვიანი შუა საუკუნეების მრავალეროვან თბილისში — „ქალაქში" — მოფიცარი „ამოკვე-

---

10 ა. კრიხელი, ქართველი ებრაელები ფეოდალური ურთიერთობის ხანაში, საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. III, 1945, გვ. 275.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თილი" იყო. ებრაელებში კი, ისევე როგორც არაქალაქელ, ჰეშმარიტ ქართველებში, მოფიცართა ინსტიტუტმა ფეხი მოიკიდა. მოხდა ქართველთა და ებრაელთა ცხოვრების წესის დაახლოება. ჩვენი აზრით ებრაელთა მეშვეობით უნდა შემოსულიყო საქართველოში ზოგიერთი ძველადმოსავლური სამართლებრივი ფორმულები და იდეები.

საქართველოში ფეოდალურ ხანაში არ ყოფილან ისეთი მდიდარი უბრაელი მეევენახეები, როგორც საზღვარგარეთის რიგ ქვეყნებში. ქართველი ებრაელობა თავისი ცხოვრების წესით არსებითად სუსტად თუ განსხვავდებოდა ქართველებისაგან. სოციალური მიმიკრიის თვალსაზრისით უფრო ებრაელობა უახლოვდებოდა ქართველობას, ვიდრე პირიქით. ცხოვრების წესის ერთობამ ხელი შეუწყო მათი ფსიქოლოგიური წყობის, ეროვნულ ხასიათთა მსგავსებას. ანტიკურ სამყაროში, შუა საუკუნეების ევროპაში ცნობილი იყო ანტისემიტიზმი. საქართველოში ის უცნობი იყო. მხოლოდ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ვხვდებით მის სუსტ გამოვლინებას.

გიორგი ნადარეიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აუცილებელი განმარტება

წლევანდელი „მნათობის“ მეოთხე ნომერში დაიბეჭდა თენგიზ ჩხაიძის „ჩაუკლავი სული“, რომელიც გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლულ სულს“ ეხება. ჩემი, როგორც რომანის მთარგმნელის, მისამართით წერილის შესავალში გამოთქმული ქათინაურისათვის ავტორს მადლობას მოვახსენებ, ოღონდ თავს მოვალედ ვრაცხ განმარტება მივაწოდო მას ერთი შენიშვნის გამო. აქვე ვიტყვი, რომ წერილში, რომელიც თარგმანის ხარისხზე მსჯელობას არ ისახავს მიზნად, ავტორი სულ ორგან საყვედურობს მთარგმნელს. პირველ შენიშვნას იმის თაობაზე, რომ „პურთან“ დაკავშირებულ კონტექსტში უნდა იყოს „მკა“ და არა „თიბვა“, მე უკამათოდ ვიღებ, რადგან ცხადად ვხედავ, როგორ დამირღვევია ლექსიკური სინტაგმატიკის ელემენტარული წესი ტექსტის რიტმული და ბგერწერითი მხარის გამართვაზე „ზრუნვაში“ გართულს. აი, რომანის ეს ადგილიც: „მახობელა“, სიხარულით წამოიძახა თამაზმა. მას უყვარდა ეს მოლურჯო პური, მისი მკვეთრი სუნი. ერთი კვერი გატეხა, დაყნოსა და იგრძნო, რომ მიწის მადლით აივსო. გულაჩუყებული იდგა, თითქო შინაგანი ხილვით ჭვრეტდა მომლოდინე ბელტების ბნელ წიაღს, მთესველის მარჯვნას, ცოცხალი თესლების კვდომასა და კვლავ დაბადებას, მათს ჩასახვას, ღვივილს, მწიფობას, იხილა **თიბვა** კალოობა, დოლაბის ბრუნვა, ბოლოს დაბრაწული, აბოლებული პური“.

ახლა რაც შეეხება მეორე შენიშვნას, თ. ჩხაიძე წერს: „(რომანის) მესამე თავში გაპარულია ქრონოლოგიური ლაფსუსი. აქ მოქმედების დროა შუა ივლისი. პირველ თავში კი — მაისის თვე, ხოლო შუალედი მათ შორის, რომანის მიხედვით, ერთ კვირას არ აღემატება. გასარკვევია, ეს აშკარა შეუსაბამობა მთარგმნელის ბრალია თუ ავტორისა. გინდაც ავტორის შეცდომა იყოს, შემდგომ უნდა გასწორდეს“.

რაკი „გასარკვევია“, ჯერ ამაზე მოგახსენებთ. რომანის პირველ თავში მოქმედების დრო მხოლოდ ერთ წინადადებაშია აღნიშნული: „მაისის მზე გულუხვად აფრქვევდა თავის სხივებს“, მესამე თავში ასევე მხოლოდ ერთგანაა ნახსენები თვე: „სუფრის მეთაური, თამადა, უძღვება ლხინს. ასე იყო ამჯერადაც კოჯორში, შუა ივლისში“. გერმანული ტექსტის შესაბამის ფრაგმენტებში ვკითხულობთ: „Die Maisonne (მაისის მზე) schüttete verschwenderisch ihre Strahlen aus.“ „Der Tischobere, Thamada, ist der Leiter des Gelages, So war es auch diesmal in Kodschori, Mitte Juli (შუა ივლისში)“. ამ ორ თავში აღწერილ ეპიზოდებს შორის შუალედი რომ ერთ კვირას არ აღემატება. მხოლოდ შემდეგი ამბებიდან შეიძლება დაასკვნას კაცმა: პირველი თავის ბოლოს თამაზი **ერთკვირიან** შვებულებას იღებს და კოჯორში მიემგზავრება ნატასთან (შდრ. დედანი: „Am dritten Tag bekam er **für eine Woche** Urlaub und begab sich erleichtert nach Kodschori zur Nata“), მეორე თავში ნატასთან ერთადაა კოჯორში, ხოლო მომდევნო დღეს იქვე იმართება მესამე თავში აღწერილი ლხინი („მოქეიფენი იმ კაკლის მახლობლად მოკალათებულიყვნენ, თამაზმა და ნატამ **გუშინ** მზისგან რომ შეაფარეს თავი, რათა იმავე მზით დამთვრალიყვნენ“. (შდრ. დედანი: Die Zecher haben sich in der Nähe jenes Nußbaumes niedergelassen, wo **gestern** Thamas und Nata sich von der Sonne versteckten, um dort durch sie trunken zu werden“. ხაზგასმა ყველგან ჩემია — ა. კ.). რაც შეეხება შუალედს პირველსა და მეორე თავებს შორის, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ არც დედანში და არც თარგმანში არსად **წერია,** მეორე თავის სცენა მაინც და მაინც პირველ თავში მიღებული იმ ერთკვირიანი შვებულების დროს გათამაშდაო, მაგრამ მკითხველი არ სცოდავს, როცა სწორედ ამას **გულისხმობს** და მწერლის მიერ დაშვებულ ლაფსუსზე ლაპარაკობს.

ვგონებ, გასარკვევი მეტი აღარაფერია. ამის შემოწმება თენგიზ ჩხაიძესაც, ცხადია, ადვილად შეეძლო. მაგრამ, როგორც ჩანს, ფუჭ მცდელობად მიიჩნია გერმანული ტექსტის მოძიება საქართველოში, რადგან ეს წიგნი ჩვენში ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად კი არა, ლამის საერთოდ მიუწვდომლად ითვლება. ამიტომ ზედმეტი არ იქნება, თუ მკითხველს ვაუწყებ, რომ თითქმის ორი წელიწადია საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება ქსეროასლი იმ გერმანული გამოცემისა, რომლიდანაც შესრულდა ქართული თარგმანი: Grigol Robakidse, Die gemordete Seele. Eugen Diederichs Verlag Jena, 1937. გერმანიიდან ჩამოტანილი ეს ასლი ბიბლიოთეკას გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასცა ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელმა ალა ჯამბურიამ. რომელიც, სხვათა შორის, რომანის ქართულად თარგმნის ინიციატორია.

როგორც ვნახეთ, დროთა კავშირი მთარგმნელის ნებით არ დარღვეულა. მაგრამ საკუთრივ შენიშვნა მხოლოდ ახლა იწყება. „გინდაც ავტორის შეცდომა იყოს, შემდგომ უნდა გასწორდეს", წერს თ. ჩხაიძე. სხვანაირად (ანუ პირდაპირ) თუ ვიტყვით: მწერლის შეცდომა უნდა გასწორებულიყო. აქ კი ვერ დავეთანხმები წერილის ავტორს. თავი დავანებოთ იმას, რომ თ. ჩხაიძეს ისიც უნდა ეთქვა, თუ როგორ უნდა გასწორდეს ლაფსუსი: ორივეგან „მაისი" დაიწეროს თუ „ივლისი" (ვინც „ანს" ამბობს, მან „ბანიც" უნდა თქვას), მთავარი ისაა, რომ მთარგმნელს არ მოეთხოვება დედნის კორექცია. უფრო მეტიც, ასეთი საქციელი, როგორც აკრძალული, მთარგმნელისათვის მხოლოდ დასაძრახია. ნაწარმოების ავტორის მიერ დაშვებული შეცდომა მკითხველმა, მკვლევარმა, გამომცემელმა თუ კომენტატორმა შეიძლება საგანგებოდ აღნიშნოს, ან ასევე საგანგებოდ არ აღნიშნოს, მაგრამ ლაფსუსის მისაჩქმალად თვით ტექსტში ჩარევა — რა კეთილშობილური განზრახვაც უნდა გვამოძრავებდეს — მაინც ჩვეულებრივი სიყალბეა. საგანგაშო კი ამ დროს არაფერია: კარგი მწერალი ისეთ ლაფსუსს არ უშვებს, რომ მის რენომეს საფრთხეს უქადდეს.

გასათვალისწინებელია სხვა გარემოებაც. ის, რაც ერთისთვის ლაფსუსია, მეორემ შეიძლება ლიცენციად ჩაუთვალოს მწერალს და **ამიტომ** მისი თხზულებების ინტერპრეტაციასაც ფაქტების ნებისმიერი, თავისუფალი გამოყენება დაუდოს საფუძვლად. რა პარადოქსულადაც უნდა გვეჩვენოს, ამის მაგალითს სწორედ თ. ჩხაიძე იძლევა თავის წერილში. მეორე თავის შესახებ მსჯელობისას იგი წერს: „მიზანსცენა მარტივია. შუადღე, თაკარა მზე. კაკლის ჩეროში გაშლილ ერთ ხალიჩაზე ნატა წამოწოლილა, მეორე ხალიჩაზე — თამაზი. იგი კითხულობს. ეს მიზანსცენა თითქმის უცვლელია ბოლომდე. ... ნატასა და თამაზის ინტიმური სიახლოვე ხსენებული თავის დასასრულს იმავე დროს საკრალური აქტიცაა. იმ საკრალური ქორწინების რეალური განხორციელებაა, რითაც ერთიმეორეს ეუღლებიან ამათი მითოსური წინასახენი — დემუზი და ინანა (იშთარი და თამაზი უფრო ადრინდელ, შუმერულ ღვთაებებს — დუმუზის და ინანას — შეესატყვისებიან). ადგილი (ცაცლილ ... ქვეშ), სადაც ეს საკრალური ქორწინება სრულდება, წმინდა ადგილია, იგივე „გიპარ", შუმერული სახელდებით (იხ. ზ. კიკნაძე, „შუამდინარული მითოლოგია"). მართალია, „გიპარ" გულისხმობს რიტუალური წესისათვის განკუთვნილ საგანგებო შენობას, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ფორმალური მხარე როდია მთავარი. ღია ცის ქვეშ რომ სრულდება საკრალური ქორწინების აქტი, ამით ხაზი გაესმის ამ აქტის უშუალო კავშირს ბუნებასთან, ბუნების ძალებთან. ეს ხომ იგივე შესაქმის აქტია. იგივე ცისა და მიწის კავშირია, რაც იშთარისა და თამაზის (ინანასა და დუმუზის) შეუღლებით ხორციელდება. **(მართლაც: ნატა ფეხმძიმდება. ნაყოფს ატარებს. დასაბამი ეძლევა ახალ სიცოცხლეს)** (ხაზგასმა ჩემია — ა. კ.)".

ხაზგასმული სიტყვები ამ ვრცელ ამონაწერში გამოთქმული მტკიცების ერთ-ერთი მთავარი არგუმენტია. ისეთ დაკვირვებულ მკითხველს, როგორიც თ. ჩხაიძეა, რა თქმა უნდა, არ გამოეპარებოდა, რომ რომანის ბოლო, მეთვრამეტე, თავში, როცა თამაზს ციხიდან უშვებენ, ნატა ხუთი თვის ფეხმძიმეა, მეექვსე თვეშია. კოჯორში არა უგვიანეს შუა ივლისისა დაფეხმძიმებული ნატა რომ ამ დროს მეექვსე თვეში კი არა, სულ მცირე მეცხრე თვეში მაინც იქნებოდა (თუ უკვე მოლოგინებული არა). ცხადია: თამაზი 24 თებერვალს წაკითხული მისალმების შემდეგ დაიჭირეს და სულ მცირე ერთ თვეს მაინც იჯდა ციხეში (ნატასა და ბერხინის ორ ინტიმურ სცენას შორის ერთი თვე გადის, იხ. თავი XIV). რომანის მიხედვით ნატა რომ ივლისში კოჯორში არ დაფეხმძიმებულა, იმდენად აშკარაა, რომ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ოღონდ თ. ჩხაიძის იმ ვრცელ მსჯელობას რაღა ვუყოთ, თვით თ. ჩხაიძისავე უზუსტობის გამო რომ კარგავს დამაჯერებლობას? უნდა ვივარაუდოთ, რომ წერილის ავტორს ლაფსუსი კი არ გაეპარა. არამედ ფაქტებს შორის დროითი კავშირის დამყარებისას შეგნებულად გამოიჩინა ისეთივე სილაღე, როგორის მაგალითსაც განსახილველი რომანის ერთ ადგილას წააწყდა. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ზემოთ აღნიშნული „ქრონოლოგიური ლაფსუსის" უცვლელად დატოვებას რომანში ყველაზე მეტრამეტყველურად თვითონ თ. ჩხაიძე უჭერს მხარს.

ალექსანდრე კარტოზია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიკეთით განათებული გზა

ჩემს უფროს მეგობარს, ბატონ რეზო თაბუკაშვილს, მოსკოვში იმ დროს დავუახლოვდი, როცა იქ ნიჭითა და სამშობლოს სიყვარულით აღსავსე ქართველი ახალგაზრდების ჯგუფი სწავლობდა: გურამ ასათიანი, გურამ პატარაია, თამაზ მელიავა, გიორგი კალატოზიშვილი და სხვები, რომელთა შორისაც რეზო იყო მეგზური და მოსკოვის რთულ ლაბირინთებში გზას უკვალავდა ერთგულ მეგობრებს, მშობელი ქვეყნის მომავალი სამსახურისათვის.

უკვე ყველასათვის ნათელი იყო, რომ რეზოსთვის თვითონ განგებას დაეკისრებინა განსაკუთრებული როლის შესრულება ამ გამორჩეულ ახალგაზრდებს შორის. ასეც მოხდა. იგი გახდა გამოჩენილი მწერალი, დრამატურგი, კინორეჟისორი, საზოგადო მოღვაწე. ბატონმა რეზომ ფაქტიურად, სხვა კეთილ საქმეებთან ერთად, ახალ ჟანრს — ლიტერატურულ კინოს ჩაუყარა საფუძველი ქართულ კინემატოგრაფში. მის ფილმებში უნაკლო ხედვით რიგს უზადო ქართულით გაწყობილი სიტყვიერი რიგი ამშვენებდა. ეს იყო მწერლისა და კინემატოგრაფისტის ნაღვაწი, რომელიც ღრმა მეცნიერული ძიებითა და ჩანაფიქრით იყო განხორციელებული. მის მიერ შექმნილი მშვენიერი ფილმები დიდად განათლებული, მშობელი ქვეყნის ბედზე დაფიქრებული კაცის მეცნიერული შრომა იყო, რომელიც ქვეყნის ისტორიის კინემატოგრაფისტული წარმოსახვის საინტერესო ნიმუშად დარჩება მუდამ.

მთელი ცხოვრება სიყვარულით იცხოვრა. უყვარდა მეგობრები, იყო კეთილი და სიკეთით ჰქონდა გზა განათებული, სიკეთე და სითბო შეჰქონდა ყველაფერში და მეგობრებიც მისგან დიდ ადამიანურ მხარდაჭერას გრძნობდნენ.

ბატონი რეზოს ცხოვრებას ალამაზებდა მშვენიერი ოჯახი, სიყვარული, დიდებული მეუღლის, საყვარელი შვილის, რძლის და შვილიშვილების მიმართ.

საოცრად მშვიდი, შემოქმედებითად შემართული, შინაგანი ტკივილებით აღსავსე, მშობელი ქვეყნისათვის თავდადებული რაინდი, ვაჟკაცურად ერკინებოდა იმას ,რაც თვითეული ჩვენთაგანისათვის გარდუვალია, და ერთხელ კიდევ თვალნათლივ დაგვანახა, რომ სულით ძლიერი ადამიანისათვის ქვეყნად არ არსებობს რაიმე დაუძლეველი.

საქართველოს გარდაეცვალა სიბრძნით, ჭკუით, ნიჭითა და სიკეთით სავსე ადამიანი. გარდაეცვალა იმ დროს, როდესაც ბევრი რამ დარჩა საკეთებელი, რისი კეთებაც მარტო მას ხელეწიფებოდა, ვაი, რომ უფრო და უფრო ვიგრძნობთ ამ დანაკლისს.

ცუდ დროს გადაიხადა უკანასკნელი ომი. მისი გონიერება, დიპლომატიური ნიჭი და, რაც მთავარია, სიბრძნე, ნათლად გამომჟღავნდა უმაღლესი საბჭოს სესიაზე, როცა ჩვენი სამშობლოსათვის უაღრესად მნიშვნელოვანი 9 აპრილის საკითხი წყდებოდა. იგი იქცეოდა, როგორც გამოცდილებით დაბრძენებული ქვეყნის ჭირისუფალი. რამდენ ახლანდელ მოღვაწეს დაამშვენებდა მისი ეს თვისება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს, ქვეყნისთვის დამაშვრალს, გულს გადაუხსნის მშობლიური ბაბა
და საუკუნო დასავანებელს მიუჩენს ერის რჩეულთა შორის.

მშობელი მიწის სიყვარული გიფარავდეს, ქვეყნის მოჭირნახულევ და დიდო მამულიშვილო.

ელდარ შენგელაია

ყველა საჭურვლით შემკული

როცა ნათელი სიცოცხლე ნაადრევად წყდება, — იწყება ლეგენდა...
იწყება ლეგენდა იდუმალების ბურუსში გახვეული,
რომელიც ამბად პაპისაგან შვილიშვილს გადაეცემა,
რომელსაც პატარებს ძირისპირულთან ერთად სიზმარში გაატანენ.

. . . . . .

დღეს, როგორც არასდროს, ისე განვიცდი სიმძაფრეს აკაკის სტრიქონებისას:

„ენეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო".

წარხდება წამიც და ბატონ რევაზ თაბუკაშვილის ნეშტი პატიოსანი შეეხმიანება ქართული მიწის დიად ჰარმონიას. იგი მასაზრდოებელ, ღონიერ ფესვად ჩაეზრდება საფიცარ მუხას, — სიმბოლოს ჩვენი სამშობლოსას. სულს მისას უფლის ანგელოზნი სამარადჟამო ნათელს განუწესებენ ზეციურ საქართველოში.

ყოვლის დამამხობელმა სიკვდილმა მოსწყვიტა იგი წუთისოფელს, მაგრამ რევაზ თაბუკაშვილის სახით საქართველოს მლოცველ ცის მხედრიონს დიდი მეოხი შეემატა.

ერის სულიერი ამაღლებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ქარში იგი იდგა როგორც ყველა საჭურვლით შემკული, გაუტეხელი სულის მებრძოლი. გმირობა მისთვის ყოველდღიურ ამბავად იქცა.

ბრძოლაში ბატონი რევაზ თაბუკაშვილის მთავარ იარაღს სიმართლე, სიმამაცე, ზნეობა, შინაგანი კულტურა, სიყვარული და მიტევება შეადგენდა. ამიტომაც იყო, რომ ავად სახსენებელ სენს სულგრძელობის გარდა სხვა არაფერი დაუპირისპირა.

დიდ ინგლისელ მწერალსა და მოაზროვნეს ჯონ გოლზუორთს ეკუთვნის ფრაზა: „ჭირისუფლობით გაამაყებული".

თუ გუშინ, გუშინწინ და საერთოდ ბოლო ხანს ისე დავრეევიართ ერთმანეთს, ხშირად ჩვენივე თავის შეგვრცხვენია, საკუთარი სისხლი და ხორცი გვიძიძგნია, დღეს, ამ მწუხარებისა და გლოვის ჟამს, რევაზ თაბუკაშვილის ჭირისუფლობით კვლავ გაამაყებულა ქართველი ერი. გვსურს ქვეყნიერებას შევძახოთ:

— მოდით და გვნახეთ, როგორი მამულისშვილის ჭირისუფალნი გახლავართ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გინსვენებულიც გვეამაყები, ბატონო რევაზ. ჩემი თქვენთან შეხვედრებისას გამოცდილებია რწმენა, რომ ღმერთმა ადამიანი შექმნა ხატად და მსგავსად ოვის.

ახლაც თქვენი პატიოსანი ნაშტის წინაშე ვდგავართ და გვიმტკიცდება რწმენა იმისა, რომ თქვენისთანა მამულისშვილების გამზრდელ სამშობლოს მეორედ მოსვლის ჟამს ეტყვის იესო მაცხოვარი:

— ლაზარე გამოვედ გარე!

დათო მალრაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: მთ. რედაქტორის—93-55-11, მთ. რედაქტორის მოადგილის 93-55-15, პ/მგ მდივნის — 93-55-13 და განყოფილებების — 93-55-15; 93-55-17; 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 27. 07. 90 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 16. 08.90 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი 70×108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.
ტირაჟი 30.700. შეკვ. 1702. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის ბეჭდვა.

ь102/106

ფასი 80 კაპ.

ინდექსი 76128

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიწერეთ ჟურნალი „მნათობი“!

ჟურნალ „მნათობის“ 1990 წლის ერთ-ერთ უახლოეს ნომერში დასრულდება „ახალი აღთქმის“ სრული ტექსტის გეჭდვა. თუმცა საქართველოს საპატრიარქომ წელს გამოსცა თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნილი „ბიბლია“. „მნათობის“ პუბლიკაციამ მაინც მკითხველთა დიდი მხარდაჭერა და კმაყოფილება გამოიწვია. ამას მოწმობს რედაქციაში მოსული მადლობის წერილები, აგრეთვე ის ფაქტიც, რომ მათთვის, ვისაც 1990 წელს „მნათობი“ არ გამოუწერია, ჟურნალის წლევანდელი ნომრები ძნელი საშოვნელი გახდა.

1991 წლის პირველი ნომრიდან ვიწყებთ თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნილი „ძველი აღთქმის“ გეჭდვას.

გირჩევთ: დროულად გამოიწეროთ ჟურნალი „მნათობი“!

ჟურნალის საცალო გაყიდვა 1991 წელს უფრო შეზღუდული იქნება და ამაოდ მოგიწევთ ცალკეული ნომრების ძებნა ჟურნალ-გაზეთების ჯიხურებში.

ჟურნალში ძირითადი ადგილი, როგორც ყოველთვის, დაეთმობა თანამედროვე ქართველი მწერლების საუკეთესო ქმნილებებს: ლექსებს, მოთხრობებს, რომანებს, კრიტიკულ და პუბლიცისტურ წერილებს, ფართოდ იქნება გაშუქებული ჩვენი კულტურისა და მეცნიერების მიღწევები, პოლიტიკური ცხოვრების ასპექტები.

„მნათობზე“ ხელმოწერის გაფორმება შეუზღუდავად შეიძლება „სოიუზპეჩატის“ ნებისმიერ განყოფილებაში.

წინასწარ გიხდით მადლობას ნდობისა და ერთგულებისათვის.

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ